4-152



საქართველოს სსრ მეცნიერებათა
აკადემია

შოთა რუსთაველის სახელობის
ძართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ილია ჭავჭავაძე

თხზულებათა სრული კრებული

ოც ტომად

„თბილისი"
1988

ილია ჭავჭავაძე

თხზულებანი

ტომი III

ესაფურული თარგეანები

ბიბლიოთეკა
204861970
LIBRARY
LEPL ILIA STATE UNIVERSITY



„მეცნიერება"
საბჭოთა საქართველო"
1988

899.962·1
84 Гр 7—4
ჰ 152

ილია ჭავჭავაძის ნაზულებათა
აკადემიური გამოცემის
მთავარი სარედაქციო კოლეგია:

მთავარი რედაქტორი
გიორგი ციციშვილი

გიორგი აბაშიძე
გრიგოლ აბაშიძე
ირაკლი აბაშიძე
ალექსანდრე ბარამიძე
თამაზ გამყრელიძე
ლევან გორგილაძე
გურამ ენუქიძე
ალბერტ თავხელიძე
ალექსანდრე იოსელიანი
ალექსანდრე კალანდაძე
ქეთევან ლომთათიძე
გიორგი მერკვილაძე
ელენე მეტრეველი
| პროკოფი რატიანი |
გურამ ფანჯიკიძე
ნუგზარ ფოფხაძე
რევაზ ღლონტი
გურამ შარაძე
ჯანსულ ჩარკვიანი
ოთარ ჩერქეზია
| დავით ჩხიკვიშვილი |
სარგის ცაიშვილი
ვალენტინა ძიძიგური
შოთა ძიძიგური
ზურაბ ჭუმბურიძე (პ/მგ. მდივანი)
ევგენი ხარაძე
ნოდარ ჯანბერიძე
გიორგი ჯიბლაძე

— 222893 —

ტომის რედაქტორი გურამ შარაძე

ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, ვარიანტები, შენიშვნები და კომენტარები დაურთეს იზა დობორჯგინიძემ, მანანა იამანიძემ (დასავლეთევროპული ლიტერატურის თარგმანები) და თეიმურაზ ჩავლეიშვილმა (რუსული ლიტერატურის თარგმანები).

ტომს იკონოგრაფიული მასალა და ფოტოდოკუმენტები
დაურთო გურამ შარაძემ

მხატვარი გიორგი ლომიძე

4603020102
ჰ M 607 (06)—88 139—88

© გამომცემლობა „მეცნიერება“, 1988

ISBN 5—520—00139—1

© გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1988



რედაქციისაგან

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებულის წინამდებარე III ტომში შევიდა რუსული და დასავლეთევროპული ლიტერატურიდან შესრულებული ილიასეული მხატვრული თარგმანები (პოეზია, პროზა). აქ ვერ იბეჭდება ა. ბუვიეს „იზას“ ილიასეული თარგმანი, რომელიც მოცულობის გამო ცალკე ქვეყნდება თხზულებათა კრებულის IV ტომში; ასევე ცალკე ტომი დაეთმობა უცხოური პუბლიცისტიკის ილიასეულ თარგმანებს.

ილიას მხატვრული და პუბლიცისტური თარგმანები პირველად ქვეყნდება ასეთი სისრულით. თუ დღემდე არსებულ ილიას თხზულებათა ყველაზე სრულ პ. ინგოროყვას მიერ გამოცემულ ათტომეულში ილიას თარგმანებს სულ რაღაც ოთხ ათეულამდე გვერდი ეთმობოდა, ამჟამად ამ თარგმანების სამი დიდტანიანა ტომი გვექნება ხელთ. შესადარებლად მოხმობილი ეს მაგალითიც თვალნათლივ მოწმობს, თუ რამდენად განსხვავებულია და სიახლეების შემცველი ილიას თხზულებათა სრული კრებულის ამჟამინდელი გამოცემა.

მაინც რის ხარჯზე შეიცავს ილიას მხატვრული თარგმანების წინამდებარე ტომი, რომელიც აგრერიგად განსხვავდება პ. ინგოროყვას გამოცემისაგან?

წინამორბედ გამოცემაში შეტანილ ა. შენიეს, ვ. სკოტის, ფ. შილერის, ჯ. ბაირონის, ჰ. ჰაინეს, რიუკერტის, ალ. პუშკინის, მ. ლერმონტოვის, თ. მურის, ი. პოლონსკის ოხზულებებ-

თან ერთად, აქ პირველად იბეჭდება ნ. ნეკრასოვის, ბ. დოდეს, ჯ. იაკშიჩის, გ. ებერსის, ჟ. კლარეტის, ი. ტურგენევის პოეტურ თუ პროზაულ თხზულებათა ილიასეული თარგმანები. ცალკეა აღსანიშნავი უ. შექსპირის „მეფე ლირი“, რომელიც ასევე პირველად შედის ილიას თხზულებათა კრებულში. როგორც ცნობილია, „მეფე ლირი“ 1873 წელს პეტერბურგში ერთობლივად თარგმნეს ილია ჭავჭავაძემ და ივანე მაჩაბელმა, მაგრამ დღემდე იგი ილიას თხზულებათა კრებულში არ შეჰქონდათ. უკანასკნელ ხანს „მეფე ლირის“ თარგმანის ავტოგრაფული ნუსხის აღმოჩენამ და შესწავლამ ღრმად დაგვარწმუნა, რომ ილიას არანაკლები წილი უდევს ამ თარგმანში და საბოლოო რედაქციაც მას ეკუთვნის. ამიტომ მიზანშეწონილად ვცანით „მეფე ლირის“ ილია ჭავჭავაძისა და ივანე მაჩაბლისეული ქართული თარგმანის წინამდებარე ტომში შეტანა.

ᎠᏙᎤᏚᏁᏍ



ჩიტი

(თარგმანი)

ყოვლთ უწინარეს მე გავიღვიძებ,
ფრთას ფრთას შემოვჰკრავ, რა თვალს ვახილებ,
დავჰკრავ, დავუშტვენ, ღმერთსა ვადიდებ,
მშვენიერის ხმით მსმენელს ვაგიჟებ.
უფლისაგან მაქვს სასმელ-საჭმელი,
არც ვთეს, არცა ვმკი, არცა ვარ მხვნელი,
გამაძღარი ვარ, მაქვს მე ყოველი,
მოდი, ზაფხულო, მე შენ მოგელი.
მიყვარს ზაფხული მწვანით შემკული,
ვცელქობ და ეფრინავ გახარებული,
სახლი მაქვს მინდვრად ღვთის მოცემული
და საფრენად ცა განათებული;
ზეცით მწვანეზედ ჩამოვეშვები,
მშვენიერთ ყვავილთ შორისა ვჯდები,
ხან ტყის, ხან წყლისა პირს მოვედები,
ვითა ისარი მასზედ გავსხლტები...
ვინ მომეწევა, გინდ იყოს ცხენი,
გინდ მიმინო და გინდ შავარდენი...
გარნა მიჭერენ მცირის მახითა,
მიტყუებენ რა ხორბლის მარცვლითა.

17 ნოემბერი, 1856 წ.
ტფილისი

[იაკობ ჰოლონსკი]

ბედა მძადაგებელი

გეტვსი

სალამო არის, სხივნი მზისანი
გარდმოიშალნენ მთისა მწვერვალზედ,
დაშვებულ მზისგან ჩრდილნი ხისანი
გადმოწვნენ გრძლადა დედაძიწაზედ.
ყრუთ არის ველნი, ველურად ტყენი,
სრულად მდუმარებს მთა თუ ბარია,
შეჰფარებიან ბუდეს ფრინველნი
და ხმაურობა მთლად მიძწყდარია.
მხოლოდა ფიჭვნი დიდის ხნისანი
ნელის ქარითა ძლივს ირხევიან,
ხავსით მოსილნი წვეტნი კლდისანი
ძირს გაშლილს ვაკეს გადმოსცქერიან.
ყრმაზედ მინდობილ უძლურ ხელითა,
ქარით დაჭმუჭვნილ სამოსელითა,
უდაბურს ბილიკს შიშველის ფეხით
ქვაყრილსა გზასა ბარბაცით, რყევით,
უსინათლო და მოხუცებული,
ვიდოდა ბედა ჩაფიქრებული.

გარნა ყრმამ თვალი მოჰკრა ტყეში ხილს...
დაიღალა, თუ ბედას ატყუებს, —
„მოხუცო, — რქვა მან, — სვლა აღარ ძალმიძს,
ღონე აღარ აქვს დაღალულ მუხლებს...
ცოტას ვისვენებ, და შენ, თუ გწადდეს,
უქადაგე ხალხს ღვთისა დიდება...
მაღლობით უკვე მწყემსებმა გნახეს
და აგერ შენს გარს ხალხიც გროვდება,
აგერ წვრილ-შვილით დედა-მამანი...
უთხარი იმათ სწავლა-მოძღვრება
ჯვარცმულის ღვთისა, ვინცა ტანჯვანი
ჩვენის ცოდვისთვის ნებით ინება“.
მსწრაფლ სასოებით, სიწმინდით, მადლით
გამოუშუქდა სახე მოხუცსა
და მოსკდა სიტყვა ღვარებრ მის ბაგით
მთა-ბარს უდაბურს და უკაცურსა.
ვითარცა წყარო, ქვათა ძარღვისა
ამომხეთქი და გამაპობელი,
ისე ნაკადი სიტყვის მაღლისა
მის ბაგით იყო გადმომდენელი.
და ზეგარდამო შთაგონებითა,
რაღაც დიდებით, მოსვენებითა
სიტყვა სიტყვაზე იყო მდინარი...
უღმრთოდ მის მსგავსი სიტყვა არ არი!
ითქო თვით ზეცა მის ნეტარებით
გამოეცხადა მოხუცს იმ დროსა
და უკვდავების მშვენიერებით
დაენახვა მას, უსინათლოსა.
თოვლივით თეთრსა მის წვერს და თმასა
მთისა ნიავი ჰშლიდა და სძრავდა,
ცისკენ პირ-ექმნა მის გამქრალ თვალსა,
თითქო სინათლე მხოლოდ იქ აქვნდა.
ჩაესვენა მზეც, ყვითლად მღვიმარე,
ბინდის სიომა ტყე-ველს დაჰბერა,

ამოკაშკაშდა ცაზედაც მთვარე
და კლდენი ვერცხლის ფრადა დაჰფერა.
ჰქადაგობს ბედა... და მოესმა ხმა,
სიცილით, ხელ-კვრით ეუბნება ყრმა:
„დროა, წავიდეთ... დაღამდა... კმარა,
აღარვინ არის ეხლა შენს გარსა,
ყველა წავიდა — დიდი, პატარა,
დროა, გავუდგეთ ჩვენც ჩვენსა გზასა“.
დადუმდა ბედა შეწუხებული,
გზას განემართა თავჩაღუნული;
დადუმდა რა ის, კიდით კიდამდის
ქვანი მისძახდნენ პასუხად: „აქის!“

23 აგვისტო, 1857 წ.
პეტერბურგი



[ვალტერ სკოტი]

*
* *

რა ტკბილ არს, ოდეს წყვდიად ღამეში
ბნელ ბილიკზედა უდაბურ ტყეში
წმინდა გალობა მეუდაბნისა
შეეპარება მგზავრისა ყურსა:
ლოცვა ირთვება მუსიკის ხმითა,
მუსიკა აღვალს ცად ლოცვის ფრთითა,
და ვით ფრინველი — მოალერსე მზის —
ფრინვენ ცისკენა ხმანი გალობის.

9 თებერვალი, 185Რ წ.
ს. პეტერბურლი



ცრემლთა შინა ნუგეში

(შილლერისა)

მოჰქუხს მდინარე ჩქარი და ბალი
და ახმაურებს მდუმარე ტყესა;
წყლისკენ გადახრით ჰზის ნაზი ქალი,
სტირის და აფრქვევს მდუღარე ცრემლსა.
არ გაუმთელდა გულისა წყლული
იმ შეუწყვეტელ ცრემლთა დენითა
და წყლულთა ტკივილს შეწუხებული
ასე მოსთქვამდა ის გოდებითა:
— „„დამემსხვრა გული... და ეს სოფელი
გაუქმდა ჩემთვის, დაცარიელდა,
ბედნიერება, ლხენა ყოველი
გაქრა, წამიწყდა და დამინელდა.
აღარად მიღირს სიცოცხლე ჩემი,
რაღად მინდა მე სოფლად ვიდოდე...
დედავ ღვთისაო, ნუგეშისმცემი
მე ხელი შენი გამომიწოდე,
და აღმიყვანე შენს წმინდას სადგურს...
რაც ამ სოფელსა მადლი ჰრგებია,
ყოველი იგი მინახავს ბედკრულს:
მეცა დავმტკბარვარ, მეც მყვარებია“.

— „ამაოდ აფრქვევ ცრემლთ ნაკადულსა,
საფლავში სატრფოს შენსას არ არგებს!
მითხარ მე: შენსა დაკოდილს გულსა
რა მოგირჩენს და რა გაამთელებს?
შემდეგ სიყვარულთ სიტკბოებისა?
მითხარ- და ყოველს ვავლენ შენთვისა.
— „ნება მომეცი, ეგრე ურგებად
ვაფრქვევდე ჩემს ცრემლს შეუშრობელად,
თუნდა საფლავში არრას არგებდეს
მას, ვინც ჩემს თვალში ჰბადავს ამ ცრემლებს.
შემდეგ ბედნიერ სიყვარულისა
არის წამალი ჩემის გულისა,
არის ნეტარი ბედნიერება,
რითაც ტანჯვა ჩემს გულს ჰნელდება, —
ეგ ცრემლნი ჩემნი, — მათში ნუკეშს ვგრძნობ,
მათში წარსულის სიცოცხლით ვცხოვრობ“.

12 თებერვალი, 1858 წ.
ს. პეტერბურგი



სტიროდეთ!

(ლორდ ბაიროხის ებრაული მელოდია)

ოხ, სტიროდეთ მათ, ვინცა სტირიან
მდინარეებზედ ბაბილონისა,
მათ, ვისც ტაძარნი ნანგრევ არიან,
ვისიც მამული სამშობლოისა
არარა არს რა, გარდა სიზმრისა!
სტიროდეთ მსხვრეულს იუდის ჩანგსა!
სტიროდეთ... სადაც ღმერთი იმ მტირალთ
იმყოფებოდა, იძა ალაგსა
არიან, ვისაც ღმერთი არა ჰყავთ...
რომელ წყაროში დიდ ისრაილი
დაიბანს თვის ფეხთ აღსისხლებულთა?
როს იგალობებს კვლავცა სიონი
ღრმა სიტკბოებით ხმათ აღვსებულთა?
ან მელოდია როს კვლავ იუდის
გამოაცოცხლებს ისევ იმ გულთა,
რომელნიც სძგერდნენ მის ციურ ხმისთვის?
ტომო, ფეხითა სვლით მოწყლულითა,
ტომო, გულითა დაღალულითა,

ვით აღფრინდები სამშვიდო ადგილს?..
მელას აქვს ხვრელი და თვის ბუდე — ჩიტს,
კაცსა — სამშობლო, და ისრაილსა —
არარა, გარდა თვის საფლავისა!

23 თებერვალი, 1858 წ.
ს. პეტერბურღი

- 9 3 2 8 9 3 -



ანგელოზი

(პუშკინით)

ედემის კარზე ნაზი ანღელი
თავით მოხრილით მობრწყინვალებდა;
გარდა დემონი აღმშფოთი, ბნელი,
ბნელ ჯოჯოხეთის უფსკულს დაჰფრენდა.

სული უკუთქმის და სული ეჭვის
შეჰყურებდა იმ უწმინდეს სულსა,
და მღვრიედ ალსა ლმობიერების
პირველად ჰგრძნობდა ის უნებურსა.

„შემინდე, — ჰრქვა მან, — მე შენ გიხილე,
ამაოდ კი არ ჩემთვის იბრწყინვლე;
არა, ყველა მე არ მძულდა ცაში,
ყველა არ მძაგდა მე ქვეყანაში...“

27 ივნისი, 1858 წ.
ტიარლევო



ჭეშმარიტება

(პუშკინით)

ამას წინათა ბრძენნი ეძებღნენ
ჭეშმარიტების დავიწყებულ კვალს,
დიდხანს და დიდხანს იგინი ხსნიდნენ
მოხუცებულთა უწინდელთა აზრს,
და მას ამბობდნენ: ჭეშმარიტება
შიშველი ჭაში ჩვენ გვემალება.
ბეჯითად სვამდნენ რა ისინი წყალს,
ჰყვიროდნენ: აბა, აქ ვიპოვით მას.
და ვიღაცამ, კაცთ კეთილმყოფელმა,
ვგონებ რომ კიდეც ბრძენმა სილენმა,
მათ სისულელის დიდის მხილველმა,
წყლით და ყვირილით მობეზრებულმა,
ის უხილავი დაანება მათ...
პირველმან ღვინო ღრმად განიხილა,
და რა დასწურა სავსე ჯამი მთლად,
ჭეშმარიტება ძირში იხილა.

27 ივნისი, 1858 წ.
ტიარლევო



წინასწარმეტყველი

(პუშკინით)

ვ რა დავდიოდი ბნელ უდაბნოსა,
სასულიერო წყურვილი მწვავდა,
და სერაფიმი ჯვარედინ გზასა
მე ექვსფრთიანი გამომეცხადა.
თითებით მჩატით, ვითა სიზმარნი,
ჩემსა თვალებსა შეეხო ისა:
განმეხსნეს წინა-მხედველნი თვალნი,
ვით შეშინებულს დედა-არწივსა.
მერედ ჩემთა ყურთ შეეხო ისა, —
ბგერით, გუგუნით აღმევსნენ ყურნი,
და მსწრაფლ მოძესმა მე ორთოლა ცისა,
ანგელოზების ფრენა ციურნი,
აღმოცენება ველზედ ვაზისა
და ზღვის ქვემძრომთა წყლის ქვეშე დენა.
ჩემთა ბაგეთა შეეხო ისა
და ამომგლიჯა ცოდვილი ენა,
ენა ბოროტი, უქმი მეტყველი,
და ბრძენ გველისა მე საქენჯელი
დალოცვილ ხელით შთამიდგა მანა

ჩემ გასისხლებულ ბაგეთა შინა.
მერე განმიპო მკერდი მახვილით
და ამოიღო მთრთოლარე გული,
და ნაღვერდალი ცეცხლის ალივით
შთადვა ჩემ მკერდში მან ანთებული.
და, როგორც მკვდარი, უდაბნოს ვიწექ
და აღმიძახნა უფლის ხმამ: „აღზდექ,
წინასწარ-მეტყვო! ჰსჭვრეტდე, ისმენდე,
ჩემის ნებითა აღივსებოდე,
და მოიელიდე რა ხმელთ და ზღვათა, —
სიტყვითა გულებს უნთებდე კაცთა!“...

23 ივლისი, 1858 წ.
პეტერბურგი



*
* *

(ჰეიხესი)

როცა შევყურებ მე შენს თვალებსა —
გმინვა და ტეხა გულის დუმდება,
როცა მე ვკოცნი შენსა ბაგესა —
სხვა სიცოცხლეზე სული რწმუნდება.

როცა შენს მკერდზედ მე ვიხრი თავსა,
ქვეყნად აღარ ვარ, სამოთხეს ვსცხოვრებ;
მითხარ, — „მიყვარხარ!“ — და იმავ წამსა —
თვითც არ ვუწყ, რაზედ — მწარედ ვიტირებ.

22 დეკემბერი, 1858 წ.
ს. პეტერბურღი



*
* *

(ჰეინესი)

ლოყით მოეპყარ ჩემსა ლოყასა,
რომ ცრემლნი ჩვენნი ერთად შეერიოდნენ;
გულით მოეკარ ჩემს გულს მხურვალსა,
რომ ერთის ცეცხლით ორნივ აენთნენ.
და როს იმ ცეცხლსა ძნელ განშორების
დაესხმის ღვარი მდუღარე ცრემლის,
გადაგეხვევი რა ორივ ხელით,
მოვკვდები ტანჯვით და ნეტარებით.

დეკემბერი, 1858 წ.
ს. პეტერბურღი



* * *

(რიუკერტისა)

ჩრდილნი მაღალ მთებისა
აგერ წყალზე გაღმოწვსენ
და გუნდი ბატებისა
თეთრად შორსა აღმოჩნდნენ.
სიჩუმეა... დაღლილად
მკერდში სუსტად გული ჰსცემს...
აწ მეგობარს რარიგად
მაგრად მივაპყრობდი მკერდს!
გზაზე და სიხარულით
გამოდის მგზავრი დილით,
მაგრამ კი საღამოჟამს
შინ ნატრობს განსვენებას.

18 იანვარი, 1859 წ.
ს. პეტერბურგი



*
* *

(ძიბაძვა ჰეინესი)

მეცა მქონია კარგი მამული!..
თურმე სუფევდა იქ სიყვარული,
თურმე იქ ჰფრენდა ბედი მღიმარი, —
ეხლა კია ეს მარტო სიზმარი!

თურმე იქაცა ბრწყინავდნენ დღენი,
იქაც სცხოვრობდნენ ერთგულნი ძენი,
ღია ჰქონიათ მაშინ ცის კარი, —
ეხლა კია ეს მარტო სიზმარი!

19 იანვარი, 1859 წ.
ს. პეტერბურღი

ჰაჯი-აბრეკი

(ლერმონტოვისა)

ჯემათი არის დიდი სოფელი,
ოგი მდიდარი არვის აძლევს ხარჯს,
მისი ხმალია მისი კედელი,
მისი მეჩითი ბრძოლის ველზედ სდგას.
მისს თავისუფალთ შვილთა გულები
ომის ცეცხლში აქვთ გაპოწთულები. —
იმათ საქმესა მთელს კავკასშია,
შორეულ თემში, უცხო ხალხშია
როგორც ქუხილსა გაურბენია,
და რუსის გულსა იმათი ტყვია
არცა ერთხელა არ ასცდენია.
გოლვიანი დღე ცაზედ მოსცურავს,
კლდით ჰბოლავს ორთქლი გახურებული,
არწივი შავად ღრუბლებში მოსჩანს,
უძრავად ფრთებზედ შეყენებული.
ხეობას სძინავს... გარნა სოფელი
შეშინებული თითქო იცლება...
და იქ, სადაც ჰქრის ნიავი ნელი
და კლდიდამ ცივი წყარო იღვრება, —
იქ სიმრგვლივ ხალხი სდგას მთის ძირასა...

რაზედ მოუბნობს, ანუ სჯის რასა
ჯემათის ვაჟკაცთ ამაყი კრება?
ხომ არ ჰსურთ იმათ მთების აკლება,
ან მთით დაშვება ველზედ ხელახლად
მტრის ცხენის ჯოგთა მოსატაცებლად?
ხომ არ ელიან რუსისა ჯარსა —
იმ სამსხვერპლოდა სატკბო სტუმარსა?
არა, — მათ ნაიბთ თვალებში ჰკრთება
მხოლოდა ჯავრი და შებრალება.
მათ შორის უცხოს სამოსელითა
ქვაზედ ჰზის ლეკი თავ-მოწყენითა,
ლეკი უძლური, დაბერებული,
თმით — ვით თოვლითა აღთეთრებული.
წყაროსებრ სრბოდნენ მისნი სიტყვანი
და მის გარემო მის მნათნი თვალნი
შეწუხებულად მიმოვიდოდნენ.
ბებერ ლეკისა მწუხარ მოთხრობას
ყველანი ყურსა იქ მიუპყრობდნენ,
და იგი ლეკი მოსთქვამდა ამას:
„სამი ვაჟ-შვილი და სამი ქალი
ღმერთმან მოჰმადლა ჩემ სიბერესა,
მაგრამ აღშფოთდა ავი გრიგალი
და ჩამომცვივდნენ შტოები ხესა.
აწ ვდგევარ მარტო, სულ მარტოხელი,
ვითა ხე მინდვრებ შორის შიშველი.
ვაი, მოვხუცდი!... იმ მთის თოვლზედაც
უფრორე თეთრობს ჩემ თმის ჭაღარი,
მაგრამ კი ზოგჯერ თვით თოვლის ქვეშაც
სცემს და ჰრბის ხოლმე წყალი მდუღარი.
ჯემათის გმირნო! მოგროვდით! აქეთ!...
თქვენი სახელი ჩემ წინაც აქეთ!
ვინ იცნობს თავადს ბეი-ბულათსა?
ვინ დამიბრუნებს მე ჩემსა ქალსა?
ტყვეობას დაჭკნენ მის ორივ დები,

უსწორო ომში მოკვდნენ მის ძმები,
ორი — სხვა ქვეყნად, და უმცროსი ძმა
ჩემ წინ განჰგმირა წყეულმა შტიკმა.
რა კვდებოდა ის, გაიღიმებდა!
იგი უთუოდ მაშინა სჭვრეტდა,
ვით სამოთხისა ნაზი ქალწული
მის თავზედ ფერადს გვირგვინს არხევდა,
აღსრულების წინ ცით ჩამოსული.
იმ უკანასკნელ ჩემის ქალითა
უდაბნოს წაველ მე საცხოვრებლად;
მას ვინახავდი სამღთოსავითა
ჩემის სიბერის სანუგეშებლად.
რაც კი რამ მქონდა ამ ქვეყანაშა,
ყველა შეერთდა მარტო იმ ქალში!
უდაბნოს წამყვნენ მე თანა მარტო
ერთგული თოფი და ის ნორჩი რტო...
ქვაბში დავსახლდი მათთან ბედკრული
მშობლიურ ქოხსა მოშორებული,
და ჩემ სისაწყლის უბედურებას
იქ შევეჩვიე დიაღ სწრაფადა;
შეჩვეულ ვიყავ თავისუფლებას
მას აქეთ, რაც მე ვახილებ თვალთა.
მაგრამ ბედისა საათმა დაჰკრა
და ჩემი გვრიტი გაფრინდა, გაქრა!...
ერთხელ სდგა ღამე ყრუ უდაბნოსი,
მე ჩამეძინა — და გვერდით მეჯდა
ჩემი ყმაწვილი, ის ანგელოზი,
და მწვანე ფოთლით მინიავებდა.
გამომეღვიძა, მესმა ჩურჩული,
მესმა ძახილი რაღაც უძლური,
ცხენის ფეხის ხმა ქარს ამოსდევდა...
გავიქეცი და ვნახე მხედარი
თავდალმა ცხენსა მიაქროლებდა, —
მას გულზედ ეკრა ჩემი ნარნარი!

ვიხმე საშველად მიწა და ცანი,
თან გავაყოლე ჩემნი წყევლანი,
ზუზუნით ტყვია შევსტყორცე მკვდარმა!
ოჰ, იმ ტყვიამაც ვერარა მმატა:
ერთგულმა თოფმა, გაწრთვნილმა მკლავმა
მაშინ პირველად იქ შიღალატა!...
და აქ ჩამარხულ სისხლის შურითა,
ფიქრით, რომ ამა ჩემსა სირცხვილსა
ჩემის სიბერით, სიუძლურითა
ვერ გადავასხამ ჩემის მტრის სისხლსა,
მას აქეთ, ვამბობ, ამ მტანჯველ ფიქრით
მე დავეთრევი აი ამ მთებზედ,
როგორცა გველი ცხენისა ჩლიქით
გადასრესილი ეთრევა ველზედ.
იმ წყეულ დღიდამ ბედმა წარმტაცა
გულის მშვიდობაც, მოსვენებაცა...
ჯემათის გმირნო! მოგროვდით.. აქეთ!...
თქვენი სახელი ჩემ-წინაც აქეთ!
ვინ იცნობს თავადს ბეი-ბულათსა?
თქვენში ვინ მომგვრის მე ჩემსა ქალსა?“
— „მეო!“ თქვა გმირმა შავთვალიანმა,
ხელი დაიდო რა პრტყელ ხანჯალზედ;
და განცვიფრებით გარშამო ხალხმა
მსწრაფლ გაიწია და გადგა განზედ.
— „მე ვიცნობ თავადს, წასვლას ვბედავ მე!...
შენ მომიცადე აქ ორი ღამე:
თვის ცხენზედ ჰაჯის, ჰაჯის უშიშარს,
ამაოდ ფეხი ჯერ არ შეუდგამს.
და თუ ვადაზედ ვერ დავბრუნდები,
შენ დაივიწყებ ჩემსა აღთქმასა,
და შენ შენს გზასა რა შეუდგები —
სულს შემიევედრებ ძლიერს მაჰმადსა“.
იშვა ცისკარი დილისა ცაზედ,
მის ლაჟვარდოსან ღრმა კამარაზედ

ჯანღებიდამა მთები აღმოჩნდნენ;
დაგვირგვინებულ ყინვით ბრწყინავნი;
ცისა და ქვეყნის შუა გადმოწვნენ
მათნი ურყევნი, დიადნი თავნი.
ხევშიც ღრუბლები მსწრაფლ აიშალა
და როგორც აფრა ვარდისა ფერა —
გაგანიერდა, ფრთა გაიშალა,
და ეგრედ მჩატე და მშვენიერი —
აცურდა მაღლა და ჩაიმალა.
ჯერ ფშვენდა დილა... ხევის გადაღმა
ბედაურ ცხენით მოდის თავდაღმა
მძიმე ნაბიჯით მხედარი მთისა.
ჯერ უძლურია სიცხოვლე ძზისა,
ჯერ კიდევ იმის ზარმაც სხივებსა
არ შეუშვრიათ ქედისა ცვარი.
კლდიდამ ორივე გზისა პირებსა
ხეთა შტოები წამოყრილ არი
და მათ ფოთოლთა დილისა ცვარი
ჰცვიოდა გზაზედ — და ცხენს და კაცსა
ზედ შეაყრიდა ვერცხლისა ნამსა.
სადავე ჰქონდა რა ცხენს მიყრილი,
მხედარი მათრახს ათამაშებდა,
ზოგჯერ ფაფარზედ წინ გადახრილი,
მამათ სიმღერას დაიძახებდა.
და მის სიმღერას მთისა გადაღმა
ხეობა დიდი ბანსა აძლევდა,
და ნაღვლიანი შორიდამა ხმა
მწუხარედ იმ ხმას იმეორებდა.

მოსახვევია და გზა გაჭრილი
ჭრიჭინა ურმის განიერ თვლითა,
იქ, სადაც ლამაზ კლდის თავნი თლილი
ერთად იკვრება გვირგვინივითა.
მუნით — ვით თვისთა ფეხთ ქვეშ გაშლილსა —
გამოარჩევდა სოფელსა მშვიდსა,

მტვერსა ცხვართაგან აყენებულსა
და გაღვიძების პირველ გუგუნსა.
და დაქანებულ თავდაღმართზედა
ბეი-ბულათის სახლს განარჩევდა...
და არწივსავით იმის ბანზედა
უძრავ თვალებსა დააშტერებდა.
კარებში, ჩრდილში, დაღონებული
მოჩანდა ლეკის ყმაწვილი ქალი.
მის თვალთა წინ გზა გაგძელებული
მიიკლაკნოდა, მაგრამ მის თვალი
შორს გაჰყურებდა ნაღვლიანადა.
ვის ელი ეგრე დარდიანადა,
აღმოსავლეთის ცისკარო ნაზო,
ვის ელი, მითხარ, ქალო ლამაზო,
მაგ მინაზებულ საოცარ ზრუნვით,
ემაგ დუმილით და ემაგ ურვით?
მეგობარს ხომ არ ელი შორიდამ?
ან საყვარელს ძმას წყეულ ომიდამ?
ღრისა სიცხითა მისუსტებული,
ნაზი თავი გაქვს გამზადებული
დასაცემადა მაღალ მკერდზედა,
ხელი გისხლტება შენ მუხლებზედა...
და სურვილისა ტკბილმა ძალამა
მხარი დაგიხსნა ტყვეობიდამა;
მაგ მარგალიტის აღვსილნი ნამით
ნათელნი თვალნი დაგმძიმებია,
და სამხრეთისა სისხლისა ალით
ლამაზნი ღაწვნი აგწითლებია;
ტუჩნი გრძნეულნი, გასაოცარნი,
საყვარულისას კოცნას ჰლამიან,
და მის ლოდნაში თითქმის დამდნარნი
იმ გრძნეულ კოცნას ეტანებიან.
აღტაცებული დიდ სურვილითა

რაღაცას ეძებ შენ მოსახვევნად
და ხელი შენი უძლურ ცრთოლითა
სახურავს ებრძვის გადასახდელად:
„ჰოი, სადა ხარ, ძვირფასო ჩემო!...“
და აჰა ცხენის ფეხის თქრიალი,
და აგერ მტვერიც გზის გარეშემო...
„თავადიაო“, — ჩურჩულებს ქალი.
ადვილად გვაძლევს იმედი ნუგეშს,
თვალიც ადვილად ბევრჯერ გვატყუებს.
აგერ მხედარი სახლს მოახლოვდა...
და ვაი! ქალი მხედარს ვერ ჰსცნობდა,
იგი პირველად ხედავს იმასა!
ეგ ყარიბია, შორით მოსული,
სტუმრის მოყვარულს დაეძებს სახლსა, —
ჰბოლავს მის ცხენი აღქაფებულა...
ჩამოსახტომად კიდეც მზად არი...
და რად არ ხტება? რას სდგას მხედარი?
თითქო სახლმაო ის შეაშინა...
ის იყურება, — ამოიქშინა...
და ერთი მოკლე, მწუხარე კვნესა
მოშორდა იმის შეკრულ ტუჩებსა,
როგორც მეხისა დაცემის დროსა
შორდება ხოლმე ფოთოლი შტოსა.
— „რას იცდი, მგზავრო, ეშაგ კარებზედ?
რაღადა ჰზიხარ მაგ დაღლილ ცხენზედ?
მოულოდნელი მგზავრი სტუმარი, —
თვით იცი, — არის ღვთის საჩუქარი.
ჩამოხედ... ბოზაც, თაფლიც ბევრი მაქვს!
შენ ხარ საწყალი, მე ვარ მდიდარი;
პატივ ეც ბეი-ბულათისა სახლს,
სტუმრისთვის მუდამ ის ღია არი,
და შენს ლოცვაში, როს გაიმგზავრებ,
ჩვენს მოხსენებას ნუ დაიზარებ“.

ჰაჯი-აბრეკი

— ალერსით დამხვდი უცხო სტუმარსა,
ლეილავ, გიხსნას დიდმა ალლახმანმ!
სამაგიეროდ საყვარელ ქალსა
მამის სალამი მოგიტანა მან.

ლეილა

— ვიშ, მამაჩემი!... ნუთუ თვის ქალსა
ის არ ივიწყებს ამოდენ ხანსა?!
ნუთუ კიდევა ის მე მიყვარს?
მითხარი, იგი ეხლა სად სცხოვრებს?

ჰაჯი-აბრეკი

— სადაც სცხოვრობდა, — ხან სხვისა ქ
ხან ხის ძირასა, ხან უდაბნოში...

ლეილა

ბედნიერია, მხიარულია,
მითხარ მე, ეხლა იგი თუ არა?...
თუ უჩემოთა დაჩაგრულია?
ოხ, მაპასუხე, მიყვარს ჩქარა...

ჰაჯი-აბრეკი

— ის ცოცხალია, — თუმცა ხანდისხან
ვერცა წვიმისგან და ვერც ყინვისგან
ვერ დაუფარავს მას თვისი თავი.
შენ როგორღა ხარ?

ლეილა

— ისე მფრინავი
ჩიტიც არ არის სრულ ბედნიერი,
როგორაც მე ვარ.

ჰაჯი-აბრეკი (ჩუმად)

— მით უფრო ავი.

ლეილა

— რაო, რა სთქვი შენ?

ჰაჯი-აბრეკი

— მე? არაფერი.
ჰაჯი ჰზის, სუფრა მას წინ უშლია,
და არც ბოზასთვის, არც ბრინჯისთვისა
ჯერეთა ხელი მას არ უხლია.
საკვირველია მართლადაც ისა:
რა რისხვით, ჯავრით, უწყალოდ იძვრის
ნაოჭი მისის შეკრულის შუბლის.
მიზეზი — დროა, თუ წუხილია,
რომ ეგრედ იგი გადახნულია?
ჰსურს რა სტუმრისა ურვის გადაყრა,
ლეილა ხელში დაირას იპყრობს;
აჰა, მშვენიერ თითებით დაჰკრა
და აჰა, ლეკურს იმღერს, ჰთამაშობს.
თვალნი ვარსკვლავებრ სხივთა ისვრიან,
კოკრად ძუძუნი მკერდზედა ჰთრთიან,
ცხოველ ყმაწვილურ აღტაცებითა
უმანკო სული გარემოცულა
და გაუგებარ ლხენით, შვებითა

გახარებულა, განაოლებულა;
იგი ტრიალებს სტუმრისა წინა,
ვითა პეპელა მზის სხივთა შინა.
მყის მოჟღრიალეს დაირას თვისსა
თეთრის ხელებით თავს იცილებდა,
თავზედ ივლებდა, — და ეგრეთ ისა
დიდ ხანს თვის ზემო აჟრიალებდა,
და ანთებულსა შავ თვალსა მკვირცხლსა
მშვიდად გარშემო მიმოავლენდა.
უსიტყვოდ იმის ლამაზ ტუჩებსა
ტურფა ღიმილით ჰსურთ ეთქვა ესა:
„რად მოღრუბლულხარ? რაზედ შესწუხდი?
შენს თვალში რაღაც მწუხარებაა!...
ჩემო სტუმარო! გამხიარულდი, —
ბედი და ურვა — სულ ოცნებაა!...“

ჰაჯი-აბრეკი

— ლეილავ! გეყო, კარგი, დადუმდი!
ერთს წუთს მოიკალ მხიარულება!
ნუთუ არასდროს სიკვდილი ფიქრად
არა გწვევია შენს აღმაშფოთრად?
ერთი პასუხი ამის მითხარი,
მხიარულება ერთს წუთს დასტოვე.

ლეილა

— არა, რად მინდა ცივი სამარი?
მე ქვეყნად ჩემი სამოთხე ვპოვე.

ჰაჯი-აბრეკი

— ერთს კიდევ გკითხავ: არ გიდარდნია
მასზედ, სად ყმაწვილს გინავარდნია, —

შენს განშორებულ ტკბილ სამშობლოსთვის
და დაღისტნისა გადაბსნილ ცისთვის?

ლეილა

— ნეტა რასთვისა? ამ ნისლებშიაც
მე არ მაკლია ბედნიერება...
დამიჯერე, რომ ამ ცივ მთებშიაც
მოიპოვება ბედნიერება.
უფლისა ჩვენის უხვი ქვეყანა
მშვენიერია, მეხდე, ყველგან.
გულს კი არა აქვს არსად მამული!
ის ვერ იქნება დაშალებული
და ძალადობის არც ეშინიან,
მის სურვილს ვერცრით ვერ დაუშლიან.
იგი ჩიტსავით სწრაფად დაფრთხება,
გამოვარდება და გაფრინდება
ისე, რომ მის კვალს ვერც ესწრობიან...
მენდე — იქ არის ბედნიერება,
სადაც ვუყვარვართ და გვენდობიან.

ჰაჯი-აბრეკი

— სიყვარულიო!... მაგრამ შენ იცი
ამ ქვეყნად კიდევ მეორე რა არს
დიდ ნეტარება და დიდი ფიცი —
მისთვის, ვინც მისცა ტანჯვითა საფლავს
ყოველიფერი, რაც კი მას სწამდა,
რასაც ეტრფოდა და რაც უყვარდა?
ის ნეტარება და იგი ფიცი
სიყვარულზედა არს უფრო მტკიცი.
არც არას ეტრფის, არც ელის ისა,
და ითხოვს მარტო ცრემლსა და სისხლსა.
მასში კაცისთვის ნუგეში არის,

როს მოუკვდება სხვა ნეტარება;
მასშია ცოდვის, ცოდვის მწუხარის,
სრული სიცოცხლე და სიტკბოება;
მასშია ჩემის სულისა ღმერთი,
მთელი სამოთხე და ჯოჯოხეთი.
ის მუდამ სცხოვრობს ჩვენს არსებაში,
ხან გვაძლევს ტანჯვას და ხან ლხენასა.
არა, ვფიცავ, ერთს სისხლს-ზღვევის წამში
მე არ ავიღებ მთელს ქვეყანასა!

ლეილა

— რაზედ გაყვიროლდი? რამ გაგაფითრა?

ჰაჯი-აბრაჰამი

— მომისმინე მე და ყველა გითხრა.
დიდი ხანია, რაც მყვანდა მე ძმა
და ის, — მის წერა იყო უთუოდ, —
ტყვეით ვანხვრიტა ბეი-ბულათმა,
და ძმა მომიკვდა მე უსახელოდ,
განა თუ ომში? ვით მხეცი ტყისა!
არც კი უნახავს სახე თვის მტრისა.
როცა კვდებოდა, მაფიცა ძმობა,
მერედ თვის სისხლი და თვისი მტრობა
მე მიანდერძა... მე მისი მკვლელი
მალე ვიპოვე, ხარჯალი მჭრელი
მზად მქონდა გულში დასაცემადა
და მის სიცოცხლის დასანახევადა,
მაგრამ ვიფიქრე: „ზღვევა ეს არის?...
სიკვდილი რაა? ნუთუ ერთ წამის
მის ტანჯვად მიღირს ამოდენა ხნის
ჩემი წუხილი, ტანჯვა, ვაება?
არა! უთუოდ ამ ქვეყნად ისა

რასმესა ეტრფის, რამ ეყვარება!
ვპოვებ ტრფობისა საგანსა მისსა
და იმას დანთქამს ჩემი კვეთება“.
აჰა აღსრულდა. ეხლა დრო არი!
გუშინვე დაჰკრა შენმა საათმა...
უყურე, ჩადის მზეცა მღვიმარი!...
დროა! მომესმა საფლავით ძმის ხმა...
როს პირველად მე დღეს დავინახე
ეგ შენი მშვიდი და ნაზი სახე,
მწუხარებითა ბნელით და მწარით
სული აღმენთო ჯოჯოხეთსავით.
მაგრამ გაფრინდა აწ გრძნობა ისა,
ის შებრალება გამიქრა სრულებ,
და ჩემ აღთქმასა და ჩემსა ფიცსა,
ვალლახ! თამამად მე აღვასრულებ!“

ვით ზამთრის თოვლი მთებშია მჭრალი,
მის წინ მუხლებზედ დაეცა ქალი;
გოდებას, კვნესას, ვედრებას და ცრემლს
იმ უწყალოს წინ საბრალო აფრქვევს.

— „ოჰ, საშიშარ ხარ მაგ ცივ თვალითა,
ეგრედ უწყალოდ ნუ იყურები!...
იქით მიბრუნდი!... შავ ნავთსავითა
მე ზედ გადმეცხა შენი სიტყვები...
ოჰ, ღმერთო ჩემო! ნუთუ დასცინა
ჩემს ყმაწვილურსა და მშიშარს გულსა?
მითხარი, თორემ შემერყა ტვინი...
უცოდველისა ცრემლთ ნაკადულსა
ნუთუ არა აქვს ფასი შენს თვალში?
ოჰ, შემიბრალე!... მრქვი, ვით სტირიან
შენს სამშობლოში, შენს ქვეყანაში!
მითხარ, იქ ცრემლსა რარიგად ჰღვრიან,
რომ მათებრ მაინც დაგილბო გული
და შებრალებით აგინთო სული?
ადრეა, ადრე ჩემთვის სიკვდილი!...

შემარჩინე მე სიცოცხლე ტკბილი,
ხუ მართმევ სურვილს, ხუ ძარცვავ გრძნობას,
გვედრებ, ნუ მართმევ ყმაწვილ-ქალობას!
რა არის, იცი, შენ, სიხარული?
გყვარებია შენ ვინმე, თუ არა?
ყოფილხარ როსმე შეყვარებული
ისე, როგორც მე? უთუოდ არა!“

ჰაჯი კი იდგა შუბლ-შეჭმუხვნული,
სიკვდილისავით გაჩუმებული.
— „შენს თვალში არა სჩანს შებრალება,
ცრემლიც, უწყალოვ, არ იბადება!...
ვიშ!... ვიშ!... ულმერთოვ! რისთვისა მკარგავ!...
ჯერ ყმაწვილი ვარ და რისთვისა მკლავ!...
ოჰ, მომითმინე!... ერთ საათსაცა...
ერთს წუთსა კიდევ... ერთს... ერთს წამსაცა!...“

მაგრამ წყეული ხმალი გამოჰკრდა
და თავი სხეულს სწრაფად განშორდა:
და გასისხლებულ უწყალო ხელით
დასწვდა, მიწიდგან აიღო ისა,
და მის მღელვარე, შავ ნაწნავებით
წმენდა დაუწყო თვის ხმლისა პირსა.
მერედ აიღო ნაბადი შავი
და, რა შეხვია უსულო თავი,
გამოვარდა და მოახტა ცხენსა
და გაემართა გზას საშურველსა.
მორჩილი ცხენიც მისი ერთგული —
უეცრად რითღაც შეშინებული —
მის ქვეშ მიქუხდა, მიქროდა, ჰხტოდა,
მიხვიხვინებდა, შიშობდა, ფრთხოდა;
წასართმევად რა იწევდა თავსა,
მოუთმენლობით ჰღრღნიდა ღაგამსა, —
აქაფებული, გაფიცხებული
მიქროდა მთებში, როგორც შურდული.

მგზავრო! გვიან არს, ცისკარიც ჰქრება,
ახლოა ღამე ბურუსიანი;
კავკასის წვერით გველივით სხლტება
ღრუბლები ბნელი და ჟინჟღლიანი.
იგინი ჯგუფად შეგროვდებიან
და ბნელ ხნარცებში შავად ჩადიან,
და რა ბუჩქებსა შეეხებიან —
მარგალიტებსა ფოთლებზედ ჰყრიან.
წყარო ჰრბის მღვრიე ნაცრისა ფრადა,
ბალახიდამ სცემს იგი ქაფადა,
ნისლიან ხევში მობრწყინავს ისა,
როგორც თვალები მოჭრილ თავისა.
ჩქარა, მხედარო! ჰა! ჩქარა წადი!
მხრებზედ მოიგდე შავი ნაბადი,
თასმის სადავე აიკრიბე ხელს,
თასმის მათრახი მოუქნიევ ცხენს...
თუმც ჯერ არ მოგდევს არც აეი სული,
არც მხეცი ტყისა, არც ტყვია მტრული,
მაგრამ, თუ ლოცვა შენ შეგეძლება,
ილოცე, — მეტი აწ არ იქნება.
— „ჰა! გასწი, ცხენო! მშიშრადა თვალსა
რაზედ უშტერებ შენ-წინა გზასა?
აგე, ის ქვაა წყლით გალესილი,
ის გველი ბრწყინავს წელდაგრეხილი.
ჰე, ამხანაგო! ბრძოლის ველზედა
ბევრჯერ მიწმინდავს შენს ფაფარზედა
ჩემ მკლავთა სისხლი... უბედურ წამში
არაერთხელა შენ მე დამიხსენ;
მაცადე, მივალთ ჩვენს ქვეყანაში
და იქ, ერთგულო, შეგასვენებ შენ.
ემაგ შენს ლაგამს იქ უფრო ბევრსა
შევასხამ რუსის ოქროს და ვერცხლსა,
და იქმნები შენ მშობელ მთებზედა
მინებებული შენს ნებაზედა.

როდის და როდის გამომეცვალე,
მრქვი, ამხანაგო ჩემო ძვირფასო?
რატომ აღქაფდი შენ ეგრე მალე?
მრქვი, რამ შეგცვალა და რამ დაგავსო?
რადა ჰქშენ ეგრედ მძიმედ ჩემ ქვეშა!
აგერ გაგოჩნდა მთვარეც ნისლ-ქვეშა!
ნისლით გამოვა და მძინარ ხეებს
ვერცხლად შეასხამს გარს თავის სხივებს.
მაშინ განვარჩევთ მთებში ველს მწოლელს,
სადაცა ბნელში სძინავს ჩვენს სოფელს,
და ჯემათის მწყემსთ ცეცხლისა პრწყინვას —
ღამის სიოზე შორითა მთრთოლარს —
ტყეში და მთებზედ ჩვენ დავინახავთ,
და გავიგონებთ, რა ახლო მივალთ,
ჯოგის ყრუ ხრამუნს და ყრუ ხვიხვინსა;
ცხენები შენს გარს მოგროვდებიან,
მაგრამ რომ ფეხზედ წარმოვსდეგ მყისა,
ფრუტუნით უკუე შორს გახტებიან:
შორით გვიგრძნობენ იგი ცხენები,
რომ მე და შენ ვართ წერის შვილები!“

ველებსა ღამე ჯერ კიდევ ჰფარავს,
სოფელს ჯემათსა მშვიდადა სთვლემავს.
იქ მოხუცია მარტო მღვიძარი —
მარტო ვით ძეგლი მუნჯ საფლავისა.
უძრავად ქვაზედ ის იყო მჯდარი
გამტვრიანებულ გრძელ გზისა პირსა;
ღრმა მწუხარებით აღვსებულ თვალსა
ის არ აშორებს შორ გაწვდილს გზასა.

„ვინ არს ის მგზავრი? ის სიფრთხილითა
ძირსა ჩამოდის დაგრეხილ მთითა;
გრძელფაფრიანსა მის ამხანაგსა
წინ წაუწვდია დაღლილი თავი;
ნაბდის ქვეშ რაღაც უჭირავს მგზავრსა,
მას უფრთხილდება, როგორც თვის თავსა“

და ჰფიქრობს იგი მამა ბედშავი:
„უთუოდ ძღვენი არის ჩემთანა
ჩემ ლამაზ ტურფა ლეილასგანა“.
აჰა, მხედარი კიდეც მივიდა,
მან შეაყენა მთის ძირში ცხენი;
მთრთოლარე ხელით ნაბადსა შლიდა
და, რა გაშალა, მის სისხლის ძღვენი
ბალახებზედა მძიმედ დაგორდა...
ოჰ! ღმერთო! მაშინ მამა რას ჰგრძნობდა,
ოდეს ხედავდა — ვაი საწყალსა! —
თავის საყვარელ ლეილას თავსა?
და ის უგუნურ აღტაცებაში
მაგრად ტუჩებზედ მიიკრავს მკვდარს თავს.
თითქო გარდასცემს მას იმა წამში
თვის უკანასკნელ ბოლონდელ ტანჯვას...
ერთსა კვნესაში, ერთსა კოცნაში —
მთელი სიცოცხლე, გრძნობა და ძალა
იმ უბედურმა სრულად შთაცალა.
ეყო, რაც კაცთა და ვაებათა
დასჩაგრეს, სჯიჯგნეს იმ საწყლის გული!...
გაწყდა მის გული აწ უეცრადა,
ვით ძაფი დიდ ხნის გახრწნილებული.
მის უძრავ სახეს, მის უძრავ პირსა
გადედო ფერი სიკვდილის დღისა.
ისე სწრაფად მან სული განდევნა,
რომ მის ბოლონდელ წამისა აზრმა
ვეღარ მოასწრო სულთან გაფრენა
და შეირჩინა ზედ სახემ მკვდარმა.
უყურებს დინჯად ჰაჯი მკვდარს ლეკსა,
მას მის ამბავი არ გაუკვირდა;
დახედა ხმალსა, შეხედა ცხენსა,
ადგა და სწრაფად მთებში წავიდა.

გავიდა წელი. ყრუ ვიწროებში
ორი გახრწნილი კაცისა ლეში
გაძვლელთა მგზავრთა გზაზედ ენახათ
და მთის წვერზედა ღრმად დაემარხათ.
იმათ შუბლზედა ნათლად, ვით ელვა,
ზედ აღებეჭდნა მტრობასა წყევლა.
ორივე სისხლში მოსვრილნი იყვნენ,
მაგრად ჩაჰრულნი მიწაზედ იწვნენ —
გაშეშებულნი, გაყინულები,
მეგობრად სჩანდნენ, — იყვნენ კი მტრები!
იქმნება ეს არს მხოლოდ ოცნება...
მაგრამ ესე კი ეჩვენათ მგზავრებს,
რომ ზოგჯერ მათი სახე იცვლება
და ემუქრიან ტუჩნი ურთიერთს.
მდიდარი იყო საცმელი მათი,
მათს თოფ-იარაღს ბევრი არ სჯობდა,
ერთში კი იცნეს ბეი-ბულათი
და მეორეს კი ვერავინ სცნობდა.

16 მარტი, 1859 წ.
ს. პეტერბურღი



კართა ოანა

(რიუკერტისა)

სიმდიდრის კარი ვარაკუნე დიდხანსა მეცა,
ფანჯრიდამ გროში ტრიალით ჩემ ფეხ წინ დაეცა.
სიყვარულის სახლს ვერ მიუველ მე კარამდისა,
ისე ჭედით იქ გუგუნებდა ეროვა ხალხისა.

დავკარ ციხის კარს, სადაც კაცის დიდება სცხოვრებს:
„ქვეითი ხარო, არ გაგიღებთ, იქ მითხრეს, კარებს“.
შრომის სახლიდამ კენესის ხმანი მე მომესმოდა
და მე იქ შესვლა საშიშრადა მეჩვენებოდა.

ბედნიერების სახლის ქვეყნად დავიწყე ძებნა,
და ვერავინა იმისკენ გზა მე ვერ მიჩვენა.
ერთი სახლიღა დამრჩენია ეხლა საწყალსა,
იქაც გამოვცდი, ჩამოვრეკავ კარისა ზარსა;
იქ კი უთუოდ, — თუმც სტუმარი ბევრი ჰყავს საფლავს, —
ვპოვებ საწყალი ჩემთვისაცა მცირედსა ალაგს.

26 ივლისი, 1859 წ.
ტფილისი

მ წ ი რ ი

(ნაწყვეტი)

მ. ლერმონტოვით

არა-მრავალთა წელიწადს წინა,
იქ, სად ერთვიან და გააქვს გრგვინა
ორთა მდინარეთ, არაგვსა და მტკვარს,
რომელნიც დურად ჩართულ ხელი-ხელ
მიაქანებენ ქვე თვის მღვრიე წყალს, —
იქ მონასტერი ყოფილა ერთხელ,
დღესაცა მგზავრი მთებიდამ ხედავს
ბოძებს, დაქცეულს ალაყაფის კარს,
დღესაც ჩანს ბურჯი, თაღი საყდრისა,
მაგრამ მის ქვეშე საცეცხლურისა
სურნელი ბოლი აღარა ბოლავს
და ჯანთიადის საღვთო გალობას
მლოცავთა ბერთა ვერ ისმენს მგზავრი.
ეხლა მარტოკა იქ ცოცხალ-მკვდარი
ნანგრევთა მცველი მოხუცებული,
კაცით, სიკვდილით დავიწყებული —
ბტვერსა აშორებს საფლავისა ქვებს,
რომელთ ნაწერნი მოგვითხრობს, ვვამცნობს, —

ვითარ ჰქონიათ ადრე დიდება,
ვით წართმევიათ ბედნიერება,
როს ქართველთ მეფე ამა დ'ამ წელსა
რუსს აბარებდა თვის ერთგულ ერსა.

———————

მას აქეთ, რაცა კურთხევა ღვთისა
მიეცა ტანჯულს იერიის ერს,
რაც კარგი ექნას რუსისა შტიკსა,
ღმერთმა იმ რუსსვე ასკეცად მისცეს.

II

ერთხელ ვიღაცა რუსთ ღენერალი
ტფილისს ვიდოდა მთით მომავალი.
ტყვედ ყრმა მოჰყვანდა ექვსისა წლისა,
ავად გახდოდა; ყრმას შეჭირვება
ვერ გადეტანა შორისა გზისა;
ლერწმივით სუსტით ტანით იხრება,
ის ფრთხის, შიშობს ვით ქურციკი მთისა,
მაგრამ მტანჯველმა სენმა იმ ყრმასა
ვერ აუჩვილა მომთმენი გული
და მხოლოდ გახსნა მასში იმ ჟამსა
მის მამა-პაპის ძლიერი სული.
უწყალო სენით იქანცებოდა,
უჩივრად ტანჯვით სენსა ებრძოდა,
მაგრამ არც სულთქმა, არც მცირე კვნესა
არ წასცდენია მის ნორჩ ბაგესა...
სასმელ-საჭმელი ეზიზღებოდა
და ამაყად და მშვიდად კვდებოდა.
სიბრალულითა ერთ კეთილ ბერმა
თვის სენაკშია მიიღო ის ყრმა.
რა შეეფარა მფარველ კედლებსა,
ბერთ მზრუნველობით გადურჩა სენსა.
მაგრამ პირველად ყმაწვილურ ლხენას

როგორცა უცხო გაექცევოდა,
ერიდებოდა საბრალო ყველას
და მარტო ხოლმე დაეთრევოდა, —
სულ მარტო, უხმოდ, დაღონებული...
ოხვრით შესჭვრეტდა აღმოსავლეთსა,
თვის სამშობლოზედ ურვით მოკლული —
ცაზედ ეძებდა მშობლიურ მთებს.
მერეთ ემონა ტყვეობას ისა,
იწყო გაგება უცხოს ენისა;
მონათლა იგი ბერმა კიდეცა,
და როცა უნდა, ჯერ ქვეყნის უცნობს,
სამონაზონო აღთქმა მიეცა, —
გაექცა იგი თვის საპყრობილოს
ერთ შემოდგომის წყვდიად ღამეში
და დაიკარგა დაბურულ ტყეში.
ამაოდ ჩანვლეს სამ დღის ძებნათა,
ვერ მიხვდნენ იმა ყმაწვილის კვალთა,
მერეთ კი იგი გულშემოყრილი,
გაფითრებული და ფერმიხდილი, —
უგრძნოდ მდებარე ველზედა ჰპოვეს
და მონასტერში კვლავ მოიტანეს.
საშინლად იყო გაყვითლებული,
ისე გამხდარი, მისუსტებული,
თითქო შიმშილი, ან სნეულება,
არ დიდი ხნისა რამ შეჭირვება
გამოუცდია, მოუთმენია
და საბრალოსა ზედ დასჩნეულა.
კითხვაზედ პასუხს არვის ეტყოდა,
დღე-და-დღე უფრო ცხადად სჭკნებოდა.
მოუახლოვდა მას აღსასრული...
მაშინა ბერი მოხუცებული
მოვიდა მასთან დარიგებითა,
ლოცვებითა და მუდარებითა.

ამაყად ტყვემა ის მოისმინა,
თვის სუსტი ღონე შემოიკრიფნა,
წამოიწია, ტანჯვით წამოჯდა,
და დიდხანს იგი ამას ამბობდა:

III

„ჩემს აღსარების მოსასმენლადა,
გმადლობ, მოსულხარ, წმინდა მამაო!
რაც უნდა იყოს, თუმც ჩანს ძნელადა,
მაინც კარგია, მწარე სიტყვებით
შესუბუქება მოკლულ გულისა,
მოთხრობა ტანჯვის ხვედრისა ხელით
იმ გულის სიღრმეს ჩამარხულისა.
მხოლოდ კაცთათვის კი ბოროტება
მე არ მიქნია, მისთვისც ცხოვრება
ჩემი ფუჭია თქვენ გასაგონად.
ახსნა კი სულის არა მაქვს ღონად!
სიცოცხლე მქონდა, თვით იცი, მცირე,
ისიც ტყვეობას წყეულს შევწირე;
მისთანას ორსა ერთს სიცოცხლეზედ,
მგრგვინავ ბრძოლითა მხოლოდ საკვეზედ,
გავსცვლიდი, თუ რომ მე შემძლებოდა...
ერთს განზრახვასა ეს გული სცნობდა,
ერთს გულთქმას, მაგრამ ცეცხლებრ ანთებულს,
იგი ვით ჭია ჩემში სცხოვრობდა,
იგი მიღრღნიდა და სდაგავდა სულს!
იგი ჩემს ფიქრებს განუძარებდა
ამ ბნელ სენაკით და ლოცვებისგან —
იმ გასაოცარ, მებრძოლ, შფოთიან
ქვეყნისაკენა, სადაც ღრუბლისგან
კლდენი შავადა ჩაცმულ არიან,
სადაცა კაცნი თავისა ხმლითა
თავისუფლობენ არწივსავითა.

ღამეში ბნელში, მდუღარე ცრემლით,
ტანჯვით, წუხილით, კვნესით, ვაებით,
მე ის გულისთქმა გამიზარდნია,
მასზედ მოოხრავს და მიდარდნია.
და ეხლა ქვეყნის და ზეცის წინა,
ამ უკანასკნელ ჩემ წამსა შინა,
მას ვაღიარებ ხმაამაღლებით;
თუნდ იყოს ცოდვა თქვენისა მცნებით —
მის მოტევებას არ გევედრებით.

IV

„მოხუცო! ბევრჯერ მომისმენია,
რომ სიკვდილისგან მოგირჩენია
შენ ჩემი თავი; მითხარ, რისთვისა?
ამ დაჩაგრულის სიცოცხლისთვისა?
როგორც ნაწყვეტი მეხით ფოთოლი,
დაღონებული, მარტო, ობოლი,
ამ ბნელ კედლებში გამზარდა ბედმა
ბელითა ბერი და სულით კი ყრმა.
მე აქ კაცისთვის არ შემეძლო თქმა
ღვთიურ სიტყვების „ძამა და დედა“...
გული მეწოდა ობლობაზედა.
მე მჯერა, ბერო, რომ ის ერკვებდი,
რომ მე ამ უტკბეს, მშვენიერ სიტყვებს
ამ უდაბნოში გარდავჩვევოდი;
ამაოდ! გული ვერ დაივიწყებს
მას, რომლის ხმანიც მასთან ჩენილან
და აქამომდე შიგ აღბეჭდილან.
ვხედავდი — სხვებსა ჰყავთ მეგობარნი,
აქვს ტკბილ სამშობლო, სახლი და კარნი,
ნათესავნი ჰყავთ; — თავსა ვვაებდი,
ჩემთვისა იმათ ვეღარ ვპოვებდი,
არამც თუ ცოცხალთ — იმათ სამარეს...
მაშინ რა ფუჭსა აღარ ვღვრიდი ცრემლს...

გულში წარმოვსთქვი ჩუმად ფიცი მე,
რომ ერთს წუთს მაინც, ერთს წუთს როდისმე
ეს მკერდი ჩემი — მთლად ანთებული
ტანჯვით, წუხილით, მივაპყრა სხვა მკერდს,
თუნდ სძგერდეს მასში უცნობი გული,
ეკუთვნიდეს კი ჩემ მშობლიურ თემს.
ვაი! ოცნება იგი შემკული —
ეხლა აღმესპო მშვენებით სრული,
და ვით ვიცოცხლე უცხო ქვეყნადა —
ისიც მოვკვდები ობლად, მონადა.

. . . . . .

[1859 წ.]



ციცაბი კლდე

(მ. ლერმონტოვით)

ღამე ათია ნისლმა სუბუქმა
ახოვან ციცაბ კლდისა გულზედა;
დილაზედ გაჰკრა მან მხიარულმა
მიმოთამაშით ცის ლაჟვარდზედა;

მაგრამ მის კვალი სველი ბეჭდადა
დარჩა მოხუცის კლდისა ნახეთქში.
იგი მარტო დგას: ჩაფიქრდა ღრმადა
და ნელა სტირის სივერანეში.

4 აგვისტო, 1860 წ.
პავლოვსკი

ს ი ზ მ ა რ ი

(ლერმონტოვისა)

შუადღის მზისა სიცხის ქვეშე დაღისტნის ველად,
ტყვეითა გულში ვეგდე უმწედ სიკვდილის მსხვერპლად.
ღრმა წყლული ჩემი ორთქლად რადმე აბოლდებოდა
და წვეთ-წვეთადა მუნით სისხლი მეწურებოდა.

ვეგდე ველისა ქვიშაზედა მარტო და ობლად...
დიდროვან კლდეთა გროვა ჰჩანდა აქეთ-იქითა;
მზე სწვავდა იმათ წვეტიან თავთ, მჩინართა ყვითლად,
მეც მწვავდა, — მაგრამ მე მეძინა ჭკვდრისა ძილითა.

და მესიზმრა მე მხიარულად გაჩაღებული
ღამის მეჯლიში ჩემს სამშობლოს ტკბილსა მხარესა,
იქ ჰქონდათ ჩემზე მხიარული, გალაღებული
იქ ლაპარაკი და ბაასი ყმაწვილ ქალებსა.

ხოლო მათ შორის ერთი იჯდა ჩაფიქრებული
და იმ მხიარულ ლაპარაკში არ ერეოდა,
მწუხარე სიზმარს წაეღო მის ყმაწვილი სული,
და ღმერთმა იცის, იგი სიზმარს რად ეძლეოდა.

და ესიზმრა მას ქვიშიანი დაღისტნის ველი,
ნაცნობი გვამი იმა ველზედ ეგდო უძრავად,
და იმის გულში მაორთქლავი სჩნდა წყლული ბნელი,
და სისხლი სჩქეფდა გაცივებულ, უწყვეტ ნაკადად.

4 აგვისტო. 1860 წ.
პავლოვსკი



წინასწარმეტყველი

(ლერმონტოვისა)

მას აქედ, რაც მან, ვინც მეფობს ცაში,
მომცა ძე სიბრძნე წინასწარმეტყველის,
ვკითხულობ ხოლმე კაცისა თვალში
წყრომასა ცოდვის და ბოროტების.

ღვთისმართე სიტყვა საქადაგებლად
სიმართლისა და სიყვარულისა,
ყოველ ჩემ მოძმემ შეუბრალებლად
შმაგად დამიწყო მე სროლა ქვისა.

თავს წავიყარე ნაცარი, ფერფლი,
ქალაქით გლახა გავვარდი შორსა,
და აჰა, ვცხოვრობ, როგორც ფრინველი,
უფლის საზრდოთი მე უდაბნოსა.

იქ ღვთისა აღთქმას რა ასრულებენ,
მმონებენ არსნი მე მიწიერნი,
თვით ვარსკვლავიც კი მე მმორჩილებენ,
სხივით მხიარულ მოთამაშენი.

და როს გავივლი ხმოვან ქალაქთა
და ვეშურები ჩემ გზას სიფრთხილით,
მოხუცნი ხოლმე ეტყვიან ყრმათა
თავის-მომწონე ცბიერ ღიმილით:

„უყურეთ! აი მაგალითი თქვენ!
ეგ ამაყია, ჩვენთან ვერ სცხოვრობს;
სულელს უნდოდა დავერწმუნნეთ ჩვენ,
რომ მის ბაგითა ღმერთი მეტყველობს!

„უყურეთ, შვილნო, ემაგ ბედშავსა,
რა პირქუშია, მოუსვენარი,
უყურეთ, რარიგ შიშველი არი,
რარიგადა სძულთ იგი ყველასა!“...

4 აგვისტო, 1860 წ.
პავლოვსკი

(ანდრე შენიესი)

ზღვათა მფლობელის ვენეტიკის ზღუდეთა თანა,
ღამის ციმციმში უდარდელი გონდოლიერი[1]
ნავსა აბრძოლებს კიდის პირ-პირ ლაჟვარდ წყალთანა,
რინალდოს, ტანკრედს, ერმინიას[2] ჰმღერს ბედნიერი.

თვისი სიმღერა იმას უყვარს, უფასოდ ჰმღერის,
ხრუნვას და შიშსა განკიცხვისას იგი არა სცნობს,
არცა დიდებას, არცა სახელს იგი არ ელის
და დამღუპველთა ზვირთთა ზედა მღერით გზას იტკბობს.

მეც მისებრ ვმღერი უანგაროდ, შეუშინებლად,
და ხმანი, ჩემგან მოგონილნი, მხვედრს მიტკბილებენ
ცხოვრების ზღვაზედ, სად გრიგალნი შეუბრალებლად
მშფოთვარე ზვირთთა ზედა ჩემს ნავს ატრიალებენ...

[1861 წ.]

---

[1] ვენეტიკაში მრავალი ერთგვარი ხაჭირაო ნავებია, რომელსაც გონდოლა ჰქვიან, ამ ნავის მმართველს გონდოლიერს ეძახიან.

[2] სიმღერებია ტორკვატო ტასოს პოემისა.



ირლანდიისადმი

(ტომას მურისა)

არ დაგივიწყებ, არა, არა!.. ვიდრე ჰფეთქს გული,
ვიდრე მიდგია ძარღვში სისხლი და პირში სული!
ვიდრე სიცოცხლის ჩემის ძაფი სრულ არ გაწყდება,
შენი, სამშობლოვ, უბედურო, ხსოვნა მექმნება.
ჰოი, ტანჯულო! მაგ მწუხარის სახით შენითა,
უიმედობის წყლულით გულში, თვალში ცრემლითა,
შენ უტკბესი ხარ ჩემთვის ყოველ იმა ქვეყნებზე,
თავისუფლების რომელთ ათბობს მშვენიერი მზე.

შენ რომ, ვიშ ტურფავ, იქმნე ისე ძლიერ მორჭმული,
თავისუფალი, ბედნიერი და დიდებული,
როგორც ოცნებით დღე და ღამე მე მენატრები,
რა რიგ ამაყის სიხარულით თავს მოგევლები!
თუმცა დიდების სვითა შენით მე დავსტკბებოდი,
მაგრამ მაშინაც მეტად მე ვერ მეყვარებოდი,
ვით მიყვარხარ დღეს, სევდიანი, მჭმუნვარ-მწუხარე,
გულდაკოდილი, მოღრუბლული და მგლოვიარე.

დე, დაგითრგუნოს მტერმა შენმა თავისუფლება,
დე, დაგდვას კისრად მძიმე ხუნდი, მძიმე კირთება!
ხოლო რაც უფრო მწუხარედა ჩვენ-წინ იქმნები,
მით უფრო მეტის გულის-წვითა შენ გვეყვარები.

ვით არ აღვენთვით სიყვარულით შენდამი ჩვენა,
როს — ვითა თვისთა შვილთ ფელქვანი — გვაწოვებ შენა
შენსა უბიწო, წმინდა სისხლსა, რომელიც არი
მწვავის ტკივილით შენის წყლულით გადმომდინარი.

5 თებერვალი, 1872 წ.

ნატვრა

(ნ. ნეკრასოვისა)

გადის დრო და თან მაკლებს მე ძალას,
გადის დრო და თან სულსა მიწუხებს;
მამულო ჩემო! ჩავდივარ საფლავს
და ვერ ვესწრები მე ბედნიერ დღეს.

იმ დღეს, როდესაც, ცრემლი შეგშრება
და გაგიქრება შენ ყველა წყლული,
და წმინდა ნატვრა მე ამიხდება,
ყმაწვილობიდგან გულს ჩასახული.

მაგრამ კი მინდა, რომ სიკვდილის ჟამს
შევიტყო, რომ შენ გზას აღგევხარ სწორს;
რომ შენი მუშა, რომელიც სთესავს,
ელის კაი დროს, — მოსავლიან დროს!
რომ მომაკვდავთან ნიავს მოჰქონდეს
სამშობლო სოფლის ერთი მაინც ხმა,
რომელშიაცა აღარ ისმოდეს
კაცის სისხლისა და ცრემლების ღვრა.

[1892]

ღაუმუშაჯიბილი
ღა
ფრაკმენტული
თარკმანები



კაენი

(ნაწყვეტი, ბაირონიდან)

ა დ ა მ ი

ღმერთო უკვდავო! უბოლოო! მაღალო სიბრძნე!
ვინც ერთის სიტყვით — უფსკრულისა გულსა წყვდიადსა
წყალსა სინათლე გარდმოასხი და ზედ მოჰფინე, —
თაყვანსა გცემ მე! იეგოვავ! დილისა ჟამსა
თაყვანსა გცემ მე!

ე ვ ა

ღმერთო! ვინცა დღეს საამოსა
გვაძლევ, და გაჰყავ ღამე — ბნელი, დილა — ნათელი,
რომელმანც გაჰყავ მიწა, წყალი და სამყაროსა —
მაგ ერთ ნაწილსა შენ ქმნულების — მოეც სახელი,
თაყვანსა გცემ მე!

ა ბ ე ლ ი

ღმერთო! ვინცა არაფრით შეჰქმენი
მიწა, ჰაერი, ოკეანე, ცეცხლი, სივრცენი,
რომელმაც შეჰქმენ სინათლე დღის, ბნელი ღამისა, —

რადგანც ქვეყნებსა ეფინება შენივ ნათელი
და შენი ჩრდილი; შემდეგ ღაბის — დღის გაჩენისა,
ღმერთო, რომელმაც შეჰქმენ ფორმა ყოველ არსისა,
რათა იხაროს, იტრფიალოს და შეიყვაროს,
რათა შენ თითონ, იოგოვავ, მან შეგიყვაროს,
ღმერთო! თაყვანს გცემ! თაყვანს გცემ მე!

ა დ ა მ ი

ღმერთო უკვდავო!

[1860 წ.]

მანფრედი

(ნაწყვეტი, ბაირონიდან)

მოქმედება I

სცენა პირველი

სცენა წარმოადგენს გოტიკურს გალერეიას. შუალამე

მანფრედი მარტო

უნდა ხელახლათ მე აღვავსო ჩემი ლამპარი...
და ჩემი ძილი, როს კი მძინავს, ძილი არ არი,
და არის ხოლოთ უსრულებელთ ფიქრთ განგრძელება,
რომელთ არ ძალმიძთ არც დაჭერა, არც შეყენება.
ჩემს გულს არ სძინავს არცა დღისით და არ ღამითა,
დაეხუჭავ რა თვალთ, შიგ ჩამჭვრეტენ გუშაგსავითა.
(მაგრამ) კი ვცხოვრობ — მე მაქვს სახე ცოცხალ კაცისა.
გარნა წუხილი უნდა იყოს გამწურთნი ბრძნისა:
ტანჯვა — ცოდნაა, თვითვე კაცსა ცოდნით სავსესა,
უნდა ეტანჯნა, ევაგლახნა, ვიდრე სცნო ესა,
რომ ხე ცოდნისა არა არის ხე ცხოვრებისა.
მე აღმოვსწურე უძირო ტბა ქვეყნის სიბრძნისა,
ფილოსოფიის ზღვა, წყარონი გრძნეულებისა,
და ჩემს ჭკვასაცა ჰქონდა ძალა ეტვირთნა ისა, —
მაგრამ ამითა ვერა გავხდი. მე მოვინდომე

კაცთათვისა ქმნა სიკეთისა, და ვნახე რომე,
კაცთა შორისაც სიკეთეცა ყოფილა თურმე, —
მაგრამ ამანაც ვერრა მმატა, მტრებიც მომეცნენ,
მათ მე ვერ დამცეს, და თვითონვე ჩემ წინ დაეცნენ, —
მაგრამ ამანაც ვერრა მმატა. ტანჯვა, წვალება,
სურვილი, ბრძოლა და სიკეთე, და ბოროტება,
ყოველიფერი — რასაც ვხედავ სხვა არსებაში, —
როგორცა წვიმა ქვიშაზედა იყო ჩემთვისა...

[1860 წ.]



დემონი

(ნაწყვეტი ლერმონტოვიდან)

მწყრალი დემონი, განგდებისა სული
დაჰფრენდა ცოდვილს ამ ქვეყანასა,
და უკეთესი მის დრო წარსული
გლოვით წარუდგა მის მწუხარ თვალსა.

[1860 წ.]

პროზა

უკანასკნელი გასაკვეთი

ნაამბობი პატარა ალზასელისა[1]

(მოთხრობა ალფონს დოდესი)

იმ დილით მე სასწავლებელში წასასვლელად ცოტად დავაგვიანდი და ძალიან მეშინოდა საყვედურისა, მით უფრო, რომ ჩვენმა ოსტატმა გამელმა წინადვე გვითხრა, ღრამმატიკა გაიკვეთეთო, იმასა გკითხავთო, და მე კი ერთი სიტყვაც არ გამეკვეთნა ჯერ. მსწრაფლ ფიქრად გამიარა — მოდი დღეს არ წავალ სასწავლებელში-მეთქი. ვსთქვი და ავასრულე კიდეც. მინდორში გავიქეცი.

ასე თბილოდა, ასეთი ნათელი იყო ქვეყანაზედ მოფენილი!

ტყის პირში შაშვების სტვენის ხმა ისმოდა, პრუსიის ჯარისკაცნი რიპერის ქარხანის ახლოს მინდორზედ ვარჯიშობდნენ და სწავლობდნენ. ჩემთვის ყოველივე ეს უფრო სასიამოვნო იყო, ვიდრე ღრამმატიკის გაზეპირება, მაგრამ ჩემი ჯიუტობა გავტეხე, მყის გამოვბრუნდი და ჩქარის სირბილით ისევ სასწავლებლისაკენ გამოვიქეც.

მოვუახლოვდი ქალაქის სამმართველოს თუ არა, თვალი შევასწარ, რომ ხალხი მოგროვილა და რაღაც განცხადებას ჰკითხულობს. აი ორი წელიწადი იყო გასული რაც ამ სამმართვე-

---

1 ალზასი ის ქვეყანაა, რომელიც პრუსიამ წაართო საფრანგეთსა ამ უკანასკნელს დროს და რომლისაც სული და გული დღესაც !საფრანგეთისაკენ არის.

ლოდამ სულ ცუდი ამბები გვესმოდა: ხან ის, რომ აი ამა და ამ ადგილას ჩვენი ჯარი დამარცხდაო, ხან ის, რომ პრუსიელებმა დაგვარბიესო, ხან ეს ბრძანება გამოვიდა პრუსიელებთავანაო, ხან ისაო და სხვა ამგვარი.

— „ნეტა მითხრან, რა მომხდარა კიდევ", — გავიფიქრე გულში და სირბილით გავეშურე. გზაზედ შემეყარა მჭედელი ფანტერი, იმას და მის შეგირდს წაეკითხნათ განცხადება და რაკი დამინახა, დამიყვირა:

— რას მიეშურები, ჯერ მაინც ადრეა, სასწავლებელში თავის დროზედ მიხვალ.

მე მეგონა, რომ დამცინის. დაღალული და დაქანცული შევარდი ბ-ნ გამელის პატარა ეზოში, სადაც ჩვენი სასწავლებელი იმყოფებოდა.

სხვა დროს, ვიდრე სწავლა დაიწყებოდა, ასეთი ალიანქოთი და ჟრიამული იყო ხოლმე სასწავლებლის ოთახში, რომ ქუჩაში ისმოდა. ზოგი სტოლის უჯრებს გამოაღებდა და შეაღებდა, ზოგი ხმამაღლა იზეპირებდა გასაკვეთსა, ყურები კი დაეცოთ, რომ უფრო კარგად დაეხსოვნათ. ოსტატი კი თავისის მოზდილის საბაზავით დადიოდა და წამდაუწუმ ამბობდა: ყმაწვილებო, თუ შეიძლება ცოტა ნელა. მე ამ ჟრიამულის იმედი მქონდა, ჩემს ადგილას ისე დავმჯდარიყავ, რომ ოსტატს არ დავენახე. მაგრამ იმ დღეს ასეთი მშვიდობიანობა და სიჩუმე იყო, თითქო კვირა დღე არისო. გაღებულს ფანჯარაში შევიხედე და დავინახე, რომ სულ ყველანი ჩემი ამხანაგები თავის ადგილას სხედან, ოსტატი კი, თავისის საშინელის რკინის სახაზავით იღლიის ქვეშ, წინ და უკან დადის. მეტი გზა არ იყო, უნდა გამეღო კარი და იმ სიჩუმეში გამებედნა ოთახში შესვლა. ვინ იცის, რა ფერი მედო შიშისა გამო!... რა გგონიათ? ჩემმა შიშმა უქმად ჩაიარა, ბატონმა გამელმა შემომხედა მე გაუჯავრებლად და მშვიდობიანად მითხრა: „ჩქარა დაჯექ, პატარა ფრანსო, შენს ადგილას. ჩვენ უშენოდ გვინდოდა დაგვეწყო კიდეც".

გადავცოცდი ჩემს ადგილისაკენ და დავჯექი. როცა ცოტად გული დამიმშვიდდა და მივიხედ-მოვიხედე, ვნახე, რომ ჩვენს ოსტატს კარგი მწვანე სერთუკი ეცვა, თეთრი, ჩინებულად გაუთუებული პერანგის საყელო უჩანდა და თავზედ ეხურა აბრე-

შუმით ნაკერი ქუდი, რომელსაც იხურავდა მხოლოდ განსაკუთრებულს შემთხვევაში, მაგალითად, როცა უფროსი ეწვეოდა სასწავლებლის გასაჩხრეკად, ანუ ჯილდოების დარიგების დრო იქნებოდა. თვითონ ოთახში კი რაღაც საოცარი მედიდურობა იყო, თითქო სადღესასწაულო რამ არისო.

მე უფრო იმან გამაკვირვა, რომ სასხდომი ადგილები ოთახის ბოლოს სხვა დროს ცარიელი იყო ხოლმე, ეხლა კი სულ დაეჭირათ სოფლის ხალხს, რომელნიც ისე ხმაგაკმენდილნი ისხდნენ, როგორც ჩვენ. იქ ისხდნენ ბებერი ჰაუზერიც თავისის განუშორებელის სამკუთხიანის ქუდითა, უწინდელი სოფლის უფროსი, მისი უწინდელი მწერალი და ბევრი სხვანი. ყველა დაღონებულის და შეწუხებულის სახით იყურებოდა თავის ადგილას. ჰაუზერს მოეტანა თავისი ძველი, პირებმოჭმული ანბანი, გადეშალა მუხლებზედ, და ზედ გადაშლილზედ გარდაგარდმო დაედვა თავისი უშველებელი სათვალეები.

ვიდრე ყოველს ამას ვათვალიერებდი და გაკვირვებაში ვიყავ, ბატონი გამელი ავიდა თავის კათედრაზე და გვითხრა იმ ტკბილის და რიხიანის ხმით, როგორითაც მე შემოსვლის დროს მომმართა:

„ყმაწვილებო! დღეს ჩემი უკანასკნელი სწავლების დღეა. ბერლინიდამ ბრძანება მოვიდა, რომ ალზას-ლოტარინგიაში მარტო გერმანულიღა უნდა ასწავლონ. ხვალ სხვა ახალი მასწავლებელი გეყოლებათ. დღეს უკანასკნელად უნდა გაიკვეთოთ ფრანგული ენა. გთხოვთ, ყურადღებით იყვნეთ“.

ეს სიტყვები როგორც ისარი ისე მეცა გულს. ჰოი, ბარბაროსნო! აი, თურმე რა გამოცხადება ყოფილა სამმართველოს კედელზედ გამოკიდებული!...

უკანასკნელად უნდა გაიკვეთოთ ფრანგული ენაო!... მე კი ჯერ ძლივს ვჯღაბნიდი ასოებსა! — სჩანს თავის დღეში ვეღარ ვისწავლი. ნუთუ ამაზედღა უნდა გავჩერდე!... ოხ, რარიგად ვწუხდი დაკარგულ დროისათვის. როდესაც უნდა მესწავლა, მაშინ დავრბოდი ჩიტის ბუდეების საძებნელად, ანუ ვსრიალებდი ყინულზედ!... ჩემი წიგნები, რომელნიც იმ დღემდე თვალის დასანახავად მემძიმებოდნენ, ჩემი ღრამმატიკა, სამღთო წერილი

ოსტატის სიტყვების შემდეგ შემიყვარდნენ როგორც მეცობრეები, რომელთაც ძოშორება და დათმობა ძნელია.

ოვიიონ ბატონი გამელი!... რაკი წარმომიდგა, რომ იგი მადის და მის შემდეგ ვეღარ ვინახულებ, წელი მომწყდა. მე ამ ფიქრში გართულს დამავიწყდა მისი სახაზავით ცემაცა და ყოველივე მისგან მოყენებული სასჯელიცა.

საწყალი! ეხლა კი მივხვდი, რისთვისაც ჩაეცვა ახალი ტანსაცმელი და რისთვისაც მოსულიყვნენ ჩვენი მოხუცებული სოფლელები. თურმე უკანასკნელის გასაკვეთის მოსასმენლად მოგროვილიყვნენ, რომ ამით გამოეცხადებინათ ბატონის გამელისათვის თავისი გულითადი მადლობა ორმოცის წლის სამსახურისათვის, და საფრანგეთისათვის, თავისის საყვარელის მამულისათვის, რომელიც მათ ეკარგებოდათ, პატივი მიეცათ.

მე სრულიად ფიქრებმა წამიღეს, უეცრად ჩემი სახელი წარმოითქვა. ყურები ვაცქვიტე, თურმე ჩემი ჯერი მოვიდა პასუხის გებისა. რა რიგად მინდოდა, რომ თავიდან ბოლომდე შეუცდომელად ამესხნა მშვენიერი წესები ჩვენის ენის თანდებულისა. მაგრამ პირველ სიტყვაშივე ავირიე და მწუხარის გულით, როგორც კეტი, ისე ვიდეგ ჩემს ადგილას, სირცხვილით თავი მაღლა ვერ ამეღო. ბატონი გამელი მეუბნებოდა:

„ამ ხანად, ფრანსო, მე არ გისაყვედურებ. შენ უმისოდაც დასჯილი ხარ... მით, რომ არ იცი. იქნება შენა ფიქრობდე: ეჰ, ეგ არაფერია! თუ დღეს არა, ხვალ ხომ ვისწავლიო! აი, ხომ ხედავ, რა მოხდა... დიაღ მაგ დღეხვალიობაში სწავლის გადადებამ სახვალიოდ გააუბედურა ალზასი. ეხლა გერმანელებს საბუთი აქვთ გვითხრან: რა მიგიგავთ ფრანსიელებს, რომ იძახით ფრანსიელნი ვართო. როდესაც არც კითხვა, არც წერა თქვენს ენაზედ არ იცით?... ყოველს ამაში მარტო შენ არა ხარ დამნაშავე, ჩემო საწყალო ფრანსო! არა, ყოველმა ჩვენკანმა უნდა უსაყვედუროს თავის თავსა.

„თქვენი ნათესავები თქვენის განათლებისათვის ბევრს არასა ჰზრუნავდნენ, ოღონდ კი ერთი მეტი გროში შეეძინათ და ისინი სხვას არას დასდევდნენ, და ამისათვის ხან სამუშაოდ გისტუმ-

რებდნენ ქარხანაში, ხან მიწის სახვნელად. არც კი მე ვარ უდანაშაულო. განა მე კი არ უნდა ვუსაყვედურო ჩემს თავს? განა სწავლის მაგიერ ხანდახან ჩემს ბაღს არ გარწყვევინებდით ხოლმე? განა როცა სათევზაოდ მივდიოდი, თქვენის დათხოვნის ფიქრი მაწუხებდა?“

ბატონს გამელს სიტყვა ერთის საგნიდამ მეორეზედ გადაჰქონდა და ბოლოს ლაპარაკი ჩამოაგდო ფრანგულის ენის თაობაზედაც. გვეუბნებოდა, რომ ფრანგული ენა ყველაზედ მშვენიერი, ყველაზედ ცხადი, ყველაზედ მტკიცე ენა არის მთელ ქვეყნიერობაზედაო; იგი არ უნდა დავიწყებულ იქმნასო. და თუ ვინმე მონების ქვეშ ჩავარდებაო, მისთვის სამშობლო დედაენა უკეთესი ღონეა, რომ უბედურებიდამ თავი იხსნასო... მერე გადახსნა ღრამმატიკა და აგვიხსნა გასაკვეთი. მე მიკვირდა, რომ ყოველიფერი ისე ადვილად მესმოდა. რაზედაც კი იგი იმჟამად მოგვითხრობდა, ყოველივე მეადვილა. მე მეონია, რომ ჩემს დღეში ისეთის ყურადღებით არ მიგდია იმისათვის ყური და თვითონაც, მეონია, თავის დღეში ისეთის მოთმინებით არ აუხსნია გასაკვეთი, როგორც მაშინ. ადამიანს ეგონებოდა, რომ რაკი გვშორდება, ჰსურსო, რაც იცის ყოველივე ერთბაშად და ერთბაშად გადმოგვცესო და სულ ერთად თავში ჩაგვიდოსო.

გასაკვეთის ახსნის შემდეგ წერა დაგვაწყობინა. ამჯერად ბატონს გამელს თვითვეულისათვის ცალკე ახალი დედანები შეედგინა; იმ დედანებში მხოლოდ ეს ეწერა: „საფრანგეთი, ალზასი, საფრანგეთი, ალზასი“. ავიღეთ დედანები და მაღლა ჩამოვკიდეთ; როგორც ბაირაღები, ისე ფარფარებდნენ თვალწინა. უნდა გენახათ, როგორის ყურადღებით ვწერდით ამ სიტყვებს, რარიგი ხმა გაკმენდილი მდუმარება იყო! მხოლოდ ერთი კალმის წრიპინიღა ისმოდა. ზოგჯერ მაისის ბუზები შემოფრინდებოდნენ ოთახში, მაგრამ იმათ ყურს არავინ ათხოებდა, პაწაწინა შაგირდებიც კი თვალს ქაღალდიდამ არ აშორებდნენ და ისეთის გულმოდგინებით გამოჰყვანდათ თავიანთი ხაზები, თითქო ის ხაზებიც საფრანგეთისანი არიანო... ჩარდახზედ მტრედები ჰღუღუნებდნენ და მე გავიფიქრე: „ამათაც ხომ გერმანულად დააწყებინებენ ღუღუნსა“. დროგამოშვებით ზე ავიხედავ-

დი და ვხედავდი, რომ ბატონი გამელი მდუმარედ იდგა კათედრაზედ და რაღაც გულისტკივილით თვალს აკვირვებდა ყოველს საგანს, რაც მის გარეშემო იყო, თითქო სცდილობსო საუკუნოდ დაეხსომებინა ეს პატარა სახლი და ყოველი ის, რაც შიგ არის. როგორც გინდათ იფიქრეთ, — ის კაცი ორმოცი წელიწადი იყო ამ ადგილას, ორმოცი წელიწადი იყო მაყურებელი ერთისა და იმავე ეზოსი, ერთისა და იმავე სასწავლებლისა. ყოველივეს უწინდელი ფერი და სახე ედო, მხოლოდ შეგირდების სკამები და რუკა დროთა ბრუნვას მოეცვითნა, კაკლის ხე ეზოში გაზდილიყო, სვია, რომელიც თვითონ დაერგა, გარს შემოჰვენოდა ფანჯრებს და სახლის სახურავამდე ასულიყო. უსათუოდ ძალიან უკვნესდა, ძალიან სტკიოდა გული, რომ ყოველს ამას თავი უნდა დაანებოს; რომ მისი და აქედამ აყრისათვის წინა და უკან დარბოდა ზემო ოთახში და ბარგს ალაგებდა. დიაღ, ხვალზევით უნდა აყრილიყვნენ და სამუდამოდ გამოსთხოვებოდნენ ამ მხარესა.

ხოლო მას მაინც კიდევ ღონე და მოთმინება შერჩა, რომ რაც იმ დღეს სასწავლებელი იყო, ყველა შეესრულებინა. წერის შემდეგ ისტორია გაგვიკვეთა, მას მერმედ პაწაწინა ბაშვებმა ჩვეულებრივად უგალობეს თავისი ბა, ბე, ბი, ბო, ბუ. იქ კიდევ, კუთხეში ჰაუზერს ცხვირზედ გაეკეთებინა სათვალეები, ხელში აეღო ანბანი და ბაშვებთან ერთად ხმამაღლა იმეორებდა იმავე ბა, ბე, ბუ-ს. ეტყობოდა, რომ ისიც დიდ მეცადინეობაშია. შეშფოთებისა გამო ხმის კანკალი დამართოდა და ისე უცნაურად მოისმოდა იმისი ხმა, რომ ჩვენ ტირილიც მოგვდიოდა და სიცილიცა. ოხ, ჩემს ღღეში არ დამავიწყდება ის უკანასკნელი ჩვენის სწავლების ღღე!...

უეცრად დაჰკრა საყდრის საათმა შუადღე. ამასთანავე ჩვენის ფანჯრების წინ დაიგრიალა სამხედრო მუსიკის ხმამაც: ბრუსიელების ჯარს გაეთავებინა თავისი სწავლა და მიდიოდა მინღვრიდამ. ბატონი გამელი გაფითრებული და ფერმიხდილი ჩამოვიდა კათედრიდამ. მე იგი თავის ღღეში არ მომჩვენებია იმოდენა ტანისად, როგორც იმჟამად მეჩვენა, თითქო ტანი აიყარაო.

„მეგობარნო!... — გვითხრა ჩვენ: — მეგობარნო... მე... მე...“

რაღაცა მოაწვა გულზედ, რაღაცამ სული შეუხუთა და სიტყვა აღარ დაასრულებინა.

მაშინ მიუბრუნდა კედელზედ ჩამოკიდებულს საწერ ფიცარს, აიღო ხელში ცარცი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა დააჭირა ფიცარს ცარცი და უშველებელის ასოებით ეს დასწერა:

„გაუმარჯოს საფრანგეთსა!“

ამის შემდეგ შედგა. თავი დაჰკიდა და კედელს მიეყრდო. სხვა აღარა უთქვამს რა, სიტყვის ილაჯი აღარა ჰქონდა, მხოლოდ ხელით გვანიშნა:

„ეხლა წადით!... გასაკვეთი დასრულდაო!“

[1877 წ.]

უბინაო კაცი ნუიორკში[1]

I

ეს ამბავი მოხდა ერთს ზამთრის ცივ ღამეში. გარშამო ძალიან ბნელოდა, მხოლოდ განიერი კიბე სტეინ-უეი-გოლლისა გაჩაღებული იყო. ქუჩის ბიჭები ბუზსავით ირეოდნენ ამ კიბესთან და თვალით აცილებდნენ მორთულს ხალხს, რომელიც ამჟამად კონცერტიდამ გამოდიოდა. ამ მორთულს ხალხში ერია ფილიპე ტეტლოუ თავისის ცოლით; არც ცოლი და არც ქმარი სრულიად არ მოელოდნენ მას, რაც ბოლოს შეემთხვათ.

ფილიპე ტეტლოუ ოცდაათის წლის კაცი იყო, დამჯდარის კაცის სახისა; ხოლო როცა იამებოდა რამე ან თანაუგრძნობდა რასმეს, სახე გაუცოცხლდებოდა, როგორც ბაშვსა. არ იყო დიდის შეძლების კაცი, დღე-დღეურად ჰსცხოვრებდა მით, რასაც თავისის ჭკვით და ხელობით მოულობდა. ძალიან იშვიათად გამოიმეტებდნენ ხოლმე ცოლ-ქმარნი ფულს იმისთანა შექცევისათვის, როგორც კონცერტია; მაგრამ იმ ღამეს კი როგორღაც გაებედნათ წასვლა კონცერტში, რომლის გათავების შემდეგ მოდიოდნენ შინ კმაყოფილებით სავსენი. მუზიკას ისეთს აღტაცებაში მოეყვანა ცოლ-ქმარნი, რომ მარტო მაშინ იგრძნეს თოვლი მოდისო, როცა მიახწიეს მეთოთხმეტე ქუჩის ყურემდინა. გაიარეს ერთი ქუჩა კიდევ და დაიწყეს ლოდინი კაბრიოლეტისა, რომელსაც იგინი შინ უნდა მიეყვანა, მაგრამ კაბრიოლეტი

---

1 ნუიორკი უმთავრესი ქალაქია ამერიკის რესპუბლიკისა.

არსაით ჩნდა. მაშინ ცოლ-ქმართა გასწიეს ფეხით შინისაკენ და დაუსწორდნენ ერთს ოქრომჭედლის მაღაზიასა, რომელიც ამჟამად დაკეტილი იყო. ამ მაღაზიის გასწვრივ ღვინის სარდაფი იყო და იქიდამ სინათლე ჰსცემდა ქუჩის პირს და ანათებდა თოვლ-ჭყაპისაგან მოგუბებულს აქა-იქა წუმპეებსა. აქ, ამ სინათლეზედ, ტეტლოუმ თვალი შეასწრო, რომ ვიღაც კაცია ატუზვილი. ამ კაცს ჭაღარამორეული წვერი ჰქონდა და გახვეული იყო ვიწრო წამოსასხამში, რომელიც დასველებოდა თოვლისაგან. ამ კაცმა რაღაც წარმოჰსთქვა დაბლა და შესაბრალისად. ტეტლოუ მხოლოდ მაშინ მიხვდა, რომ მოწყალებას ჰსთხოვდა, როცა ამ კაცს გაჰსცილდა; ხოლო გულმა ტკივილი დაუწყო და უთხრა ცოლს:

— მე ძალიან მინდა ის კაცი ისევ ვნახო, — და დაიწყო ჯიბეში რაღაცის ძებნა.

— გინდა და წადი, ჯერ ხომ გვიან არ არის? — უპასუხა ცოლმა.

ორივ როგორღაც გაუბედავად შეჰყურებდნენ ერთმანეთს, ასე გონია, თვის მოქმედებას ვიღასაც უმალავენო. მართალია, ვისმეს რომ ამათი შემოსავალ-გასავლის ანგარიში ენახა, ანუ ამჟამად რომ შეჰსწრებოდა ერთი ვინმე მაღალის ხნეობის ნაცნობთაგანი, გულს დაუთუთქავდა მწარეს რჩევითა და დარიგებითა, მაგრამ გულის სიკეთემ თავისი ჰქმნა და ტეტლოუ მოუსრუნდა მთხოვარასა.

აბურძგნულმა, თავიდამ ფეხამდე დასველებულმა ადამიანის აჩრდილმა ჩამოართო მოწყალება ისე, თითქო ჰსცხვენიანო და წაიბუტბუტა რაღაცა მადლობის მგზავსი. ტეტლოუს ძალიან იამა, რომ პასუხად არ მიიღო ჩვეულებრივი: „ღმერთმა სამაგიერო გადაგიხადოს“. ხოლო როცა მოვიდა ცოლთან იმ მორცხობითა, რომელიც თან მოჰყვება ხოლმე ჭეშმარიტს კეთილს საქმეს, უეცრად მოესმა უკანიდამ ფეხის ხმა. ტეტლოუმ უკან მოიხედა. მის წინ იდგა ის ადამიანის აჩრდილი.

— მომიტევეთ, მოწყალეო ხელმწიფევ, მაგრამ უნდა...

ამ სიტყვებს ზედ დაერთო სხვა გაუგებარი სიტყვებიცა. ტეტ-

ლოუმ მხოლოდ ის გამოარჩია ამ ლაპარაკიდამ, რომ მთხოვარა რაღასაც ჰკითხავს. ბოლოს მოესმა სიტყვაც: „შეცდომით“.

— როგორ თუ შეცდომით? — ჰკითხა ტეტლოუმ.

— თქვენ არ მიბოძეთ ეხლა მე ნახევარ დოლლარი?[1] — უთხრა პირდაღვრემილმა ბოგანამ, რომელიც ცდილობდა სიცივისა და შიმშილისაგან თრთოლა შეეკავა.

— სწორედ, — უპასუხა ტეტლოუმ: — იქნება ნაკლები მოგეცი სიბნელეში, ხოლო სურვილი კი მაგდენის მოცემისა მქონდა.

— სურვილიო? — განიმეორა საწყალმა აკანკალებულის ხმითა, — მე მხოლოდ ეგ უნდა შემეტყო, იმიტომ რომ ჩემს დღეში მე არ შემმთხვევია ამის მგზავსი რამ.

აქ ხმა გაუწყდა უბედურსა, ეტყობოდა გულის ღელვამ სიტყვა მოუჭრა. ტეტლოუც ისე გაოცებული იყო, რომ ხმა ველარ ამოიღო.

— დიახ, მოწყალეო ხელმწიფევ, — განაგრძო სიტყვა იმ უცნაურმა ადამიანმა; — ჩემს დღეში არ შემმთხვევია! დიდი ხანია, — ვაი ჩემს თავს, — რაც მე მოწყალებას ვთხოულობ ამ ქუჩებში, მაგრამ ჩემს დღეში ჩემთვის ორი შაურის მეტი არავის მოუცია. ამის გამო მინდოდა შემეტყო, შეცდომით ხომ არ მოგივიდათ. იქნება ბნელაში ვერ გაიგეთ და მეტი მიბოძეთ.

ხმაამოუღებლივ ორივემ ერთმანეთს ყურება დაუწყეს. მთხოვარის სახე თავის დღეში არსად არ ენახა, მაგრამ ისე კი მოეჩვენა, თითქო ეს ფერმკრთალი სახე, რომელიც თვალწინ ედგა ამ ბნელა-ბუქში, უფრო ახლოდ ნაცნობია, ვიდრე სხვა ვისიმე სახე ქვეყანაზედ. რამდენისამე წუთის განმავლობაში ის სახე ისე დაისწავლა, რომ დარწმუნებული იყო, თავის დღეში აღარ დაავიწყდებოდა.

— ყმაწვილო კაცო, — უთხრა უბინაო ბოგანამ, თითქო თავის თავს ძალას ატანსო, — თქვენ ათასში ერთი ყოფილხართ. თქვენ ჩემს ცხოვრებაში დიდი კვალი დააჩნიეთ.

როცა იგი ლაპარაკობდა, მთელი მისი სახე მეტყველებდა ერთ რაღაც უპირატესობას, რომელიც დიდი ხანია დაჰკარგოდა.

---

[1] დოლლარი ამერიკის ფულია, ჩვენს ფულზედ ერთი მანეთია, ექვსი შაური და ექვსი გროში.

იგი უპირატესობა გამოჰკრთა მის მაღალ და ცოტად მოხრილ ტანშია, გამოჩნდა მის დაძონძებულს და შესაბრალისს ტანისამოსშია, გამოიოქვა მის მიბერებულს და წვალებით მიქანცულს სახეზედა.

— თქვენ ჩემ ცხოვრებაში დიდი კვალი დააჩნიეთ, — განიმეორა კვლავ უბედურმა.

ტეტლოუ, გაჩერებული თავის ცოლის ახლო, ჰკვირობდა ყოველს ამას. ამისთანა უცნაური, არაჩვეულებრივი ამბავი აოცებდა მას. არ იცოდა, რა პასუხი მიეცა და იდგა ისე, თითქო მიკერებულიაო იმ ერთს ადგილს რაღაც უცნაურის გრძნებითა, რომლისაგანაც თავი ვერ დაეხწია.

როცა ის უბედური ლაპარაკობდა, ტეტლოუმ შეამჩნია, რომ ლოყებზედ საწყალს წყალი წურწურით ჩამოჰსდიოდა, რადგანაც სულ სველი იყო თოვლისაგან. ეხლა კი შეატყო, რომ მთხოვარის თვალში სხვა რიგი სისველეა. ცრემლი ჰსდიოდა დამჭკნარს სახეზედა. ტეტლოუს გული ამოუჯდა და გაუწოდა უბედურს ხელი.

— მადლობელი ვარ, მადლობელი, — წარმოჰსთქვა მთხოვარამ და ჩამოართო გრძნობით ხელი; საწყალს, დიდის ხნის მარტოობისა გამო, დავიწყებოდა კიდეც მეგობარი მეგობარს ხელს როგორ უჭერს: — მეყოფა, მე არა მსურს, რომ ამაზედ მეტად მოგაცდინოთ თქვენ და თქვენი მეუღლე.

ამ სიტყვაზედ საწყალმა თავი დაუკრა, თუმცა როგორღაც უხერხოდ, მაგრამ ისეთის გრძნობით და გულწრფელობით, რომ ტეტლოუსის ახალგაზრდა ცოლს გული ამოუჯდა. მერე რამდენიმე ფეხით უკან დაიწია და თვალი კი ვერ მოაშორა ცოლქმარს.

— მე ძალიან ბედნიერი ვარ, — უთხრა თავდაბლად ტეტლოუმ, — რომ ცოტათი მაინც თქვენი სამსახური შევიძელ.

ამის თქმაზედ თვალი შეასწრო ღვინის სარდაფს და მაშინვე დაუმატა: — მაგ ფულს სასმელზედ ნუ დახარჯავთ.

— მაგაზედ ნუ შეჰსწუხდებით, — უპასუხა გლახაკმა ისეთის ნელის ხმითა, თითქო აჩრდილად იქცაო და გასწია.

— ღამე მშვიდობისა, — მიჰსძახა ტეტლოუმ.

— ღამე მშვიდობისა, — განუმეორა აჩრდილმა. — მე თავის დღეში არ დავივიწყებ...

ამ დროს კაბრიოლეტიც მოვიდა, ცოლ-ქმარნი ჩაჰსხდნენ და წავიდნენ.

იმ ღამეს ტეტლოუს ძალიან გვიან დაეძინა. გული ჰსტკიოდა იმ ბოგანისადმი სიბრალულითა. ამ სიბრალულს ხანდისხან ზედ დაერთოდა რაღაც გაცოფებული სასოწარკვეთილებაცა იმის მგზავსი, რომელსაცა ჰგრძნობს ხოლმე უბედური, დაშთომილი უმწეოდ, უნუგეშ და ცის ანაბარად. რამდენიმე დღეს შემდეგ, როცა ეს ამბავი გულიდამ გადაუვარდა კიდეც ტეტლოუს, იგი ძალაუნებურად შევიდა ბიბლიოტეკაში წიგნებისა და გაზეთების საკითხავად. ზამთრის ღამეებში იქ მეტად ჭრელი საზოგადოება იკრიბებოდა ხოლმე.

იმ წამს, როცა ტეტლოუმ გაათავა კითხვა გაზეთებისა და გამოსვლა დააპირა, ერთმა დაგლეჯილს ტანისამოსში შეხვეულმა კაცმა მიიპყრო იმისი ყურადღება. შეკრთა ეს ყმაწვილი კაცი, როცა იმ დაგლეჯილს ტანისამოსში იცნო იგი, რომელიც კარგა ხანია დავიწყებისათვის მიეცა. ეწყინა, რომ ხელახლად შეხვდა და ამ შეხვედრამ აუმღვრია სინდისი... ტეტლოუ შედგა, რომ პირისპირ არ შეჰყროდა მთხოვარას, რომელიც ამ დროს კარებისაკენ მიდიოდა. ამავე დროს შეჰნიშნა,, რომ პოლიციის მოხელეს, კარებში მდგომს გუშაგად, დიდის ყურადღებით თვალი ეჭირა მთხოვარაზედ.

— აი, კარგი შემთხვევა, — იფიქრა ტეტლოუმ: მე ვკითხავ, იცნობს თუ არა მაგ მთხოვარას.

ზორბამ, მხარბეჭიანმა პოლიციის მოხელემ მოიბრუნა კისერი, როცა ტეტლოუმ მთხოვარის ვინაობა ჰკითხა.

— ვიცნობ იმას თუ არა? — უპასუხა მოხელემ. — რასაკვირველია, ვიცნობ იმოდენად, რამოდენადაც შეიძლება ამგვარის წყალწაღებულების ცნობა. ეგ ბატონი აქ ყოველ დღე მოდის ხოლმე, თუ სადმე სხვაგან არ დაეთრევა ავის საქმისათვის.

— ლოთი ხომ არ არის? — ჰკითხა ტეტლოუმ.

— მგონია, რომ ლოთი უნდა იყოს, — წარმოსთქვა უგუნურად პატივცემულმა წესისა და რიგის დამცველმა. — მე ეგ არ-

სად არ შემხვედრია, თუ არ აქ. აქ არა სვამს, მაგრამ ჰსჭამს კი ხოლმე. დიაღ, ბატონო, განაგრძო მან რაკი შეატყო, რომ მისი მსმენელი ყურადღებით უსმენს ლაპარაკსა, მაგ კაცს იმოდენად დაეიწყებული აქვს ყოველივე მართებულება, რომ აქ მოდის ხოლმე საჭმელად. აქ, როგორც ხედავთ, საზდოა ჭკუისაავის და მაგ ბატონმა კი ეს ადგილი დუქნად გადააქცია. ის ჩემ თვალწინ მთელს დღეებს ატარებს აქ დიდ სიცივეებში და ერთი ფურცელი წიგნისა კი არ გადუბრუნებია თავის დღეში. მოვა ხოლმე და ჯდება თავის დაგლეჯილის ტანისამოსით და შუადღის დროს ამოიღებს ხოლმე ჯიბიდამ რაღაც ქონსა და იცოხნება... მურტალი ცხოველია! ერთხელ მთელი ნაჭერი ქონისა გამოვარდა პირიდამ და ქაღალდი გასვარა. მე მაშინ ვუთხარი, რომ აქ სიარული დაიშალოს და მეგონა, მართლადაც დაიშლის მეთქი, რადგანაც ჩემი სიტყვა გულს მოხვდა და იწყინა. მაგრამ ვერ წარმოიდგენთ, რა თვითრჯული ხალხია მაგგვარი ხალხი. ჯანაბას მაგათი თავი! მე ძალიან ადვილად გავაბძანებდი აქედამ მაგას და ერთს ორიოდე სხვასაც, მაგრამ მე მაგოდენა მოეალეობა არა მაქვს...

— დღეს ესე ადრე რად წავიდა აქედამ? — ჰკითხა ტეტლოუმ კრთომითა და თითონაც ეშინოდა ამ მომეტებულის ცხობის-მოყვარეობის გამო მეც გარედ არ გამაბძანოს ამ ულმობელმა მოხელემაო.

— იმიტომ, წამოიძახა მედიდურის სახით მოხელემ, — რომ მაგ ვირმა მოთმინებიდამ გამომიყვანა; მე მივედი და ვუთხარი: „ყური მიგდეთ, ჯონნი, მაგგვარად ქცევა აქ არ შეიძლება. თქვენ უნდა გახვიდეთ აქედამ, თუ არა და მე თვითონ გაგიყვანთ. მე მგონია თქვენთვის უკეთესი იქმნება, რომ აქედამ უჩქმოდ გაბძანდეთ“. ეს სიტყვები საკმაო იყო, რომ ის აბარგებულიყო და წაბძანებულიყო. მაშინვე აიბარგა და გასწია იქით, საცა ჰსცხოვრებს.

— განა სადა ჰსცხოვრებს? — ჰკითხა ტეტლოუმ.

— გადასხნილის ცის ქვეშ.

— როგორ თუ ცის ქვეშ?

— დიაღ, ისე, ცის ქვეშ, ქუჩაში. მაშ, რა უყოს კაცმა მაგ ეშმაკსა და ქაჯსა? საპყრობილეში ხომ ვერ ჩავაგდებთ.

— რასაკვირველია, — უპასუხა ტეტლოუმ და მოხელეს სიტყვა მოუწონა, მაგრამ ვაი მაგ მოწონებასა!.. გულის ტკივილი, სიბრალული, რომელსაც იგი ჰგრძნობდა რამდენსამე ღამეს, რაც ჰფიქრობდა იმ უბედურს კაცზედ, ხელახლად მოაწვა გულზედ. ტეტლოუ წამოვიდა იქიდამ იმ იმედით, რომ დაეწევა საწყალსა, მაგრამ ხმაამოუღებელი, შესაბრალისი ადამიანი იგი ველარსად შეხვდა. ტეტლოუ მივიდა შინ გულნაკლულად.

„საპყრობილეში ხომ ვერ ჩავაგდებთ!“ — ჰფიქრობდა იგი და იმეორებდა მოხელეს სიტყვას. — მართალია, მართალი!... მაგრამ რა ძნელი სათქმელია, ცის ქვეშ... ქუჩაში ჰსცხოვრებსო! ცოტაღა უნდა, რომ აქედამაც ჭიტლაყი ჰკრან... და მაშინ იგი აღარ იქნება არსად... ვიშ! რა კარგად არის მოგონილი, რომ ქვეყანაზედ ქუჩებია... ქუჩები რომ არ იყოს, რა უნდა გვექნა ამოდენა უბედურ ადამიანის შვილებისათვის, რომელთაც არც არა რა აქვთ და არც არა ვინ ჰყავთ. მაშინ ის უბედურები ან უნდა ჩაგვეყარა საპყრობილეში, ან უნდა ხეზედ ჩამოგვეხრო. ესეც კია... ჩვენ ხომ ყველანი არა ვცხოვრებთ ქუჩაში... .რატომ? ის რად უნდა ჰსცხოვრებდეს და ეს კი არა?

იქნება საოცრად ეჩვენოს კაცსა, რომ ტეტლოუმ უეცრად ასეთი გულის ტკივილი გამოიჩინა თვისთა უბედურთთა მოძმეთადმი. ბევრნი დადიან კონცერტში, ბევრს შეხვდება ხოლმე წინ წყალწაღებული და უბედური ადამიანი, მაგრამ არავის გული არა ჰსტკენია მარტო მით, რომ ერთხელ შემთხვევიათ ამისთანა ბედისაგან განწირული ადამიანი. ბედნიერად მცხოვრებთა შორის მომეტებულს ნაწილს ადრე თუ გვიან შეხვდებათ ხოლმე იმისთანა დღე, როცა მათ თვალწინ გულგადიხსნის ხოლმე მწყვდიადი სიღრმე ადამიანის ცხოვრებისა და მაშინ იგინი თავის თავს აღარ ატყუებენ მაცდურის ოცნებითა. ეგ დღე დაუდგა ტეტლოუსაც. მას ყოველთვის ეგონა, რომ დედამიწა მშვენიერად მოწყობილი სადგურია და ამ ცოტას ხანში იმ ფიქრმა, რომ შეიძლება შვილები ეყოლოს, სხვა თვალით დააწახვა ეს ქვეყნიერობა. სულ აურ-დაურივა ფიქრები. მაგრამ მაინც და მაინც შინ რომ მივიდა, იმ ღამეს უთხრა თავის ცოლს სიამოვ-

ნებითაც და სიბრალულითაც: — მე მგონია იმ საწყალს ველარსად ვნახავ. შემთხვევამ ორჯელ შეგვახვედრა ერთმანეთს; მესამეც კი იმედი აღარა მაქვს.

ამაში ტეტლოუ შემცდარი იყო.

II

რამდენიმე დღეს შემდეგ ძალიან ციოდა და ჟირჟლიანი დღე იყო. ამ ხანად ტეტლოუ მიდიოდა ერთს რომელღაც ქუჩაზედ და წინ გაასწრო ერთს კაცს, ცუდად ჩაცმულს, თავიდამ ფეხამდე ამოწუნწულს. ამ კაცს რაღაც დაეკუმშა და მაგრად ეჭირა ხელში. ტეტლოუმ ალმაცერად შეხედა და იცნო თავისი მთხოვარა, რომელმაც იმ წუთს მიიტანა ხელი პირთან და მოჰკბინჩა მწვანე ვაშლი. საწყალმა, მგონი, ვერ იცნო თავისი კეთილისმყოფელი, მიდიოდა თავისთვის გულგრილად მაყურებელი გარშამო და თუ ფიქრობდა რაზედმე, ისევ თავის ვაშლზედ, რომელიც ამ წუთს შეადგენდა მხოლოობითს საგანს მის ცხოვრებისას. ტეტლოუმ რამდენიმე ფეხი კიდევ წინ წადგა, მაგრამ მერმე შეიცვალა განზრახვა, მობრუნდა საწყლისაკენ და დაუწყო ლოდინი.

— სად მიდიხართ? — ჰკითხა მთხოვარასა.

უბედურმა კაცმა მძიმედ აიხედა მაღლა და შეხედა ტეტლოუს და მოიკითხა. არც მის სახემ, არც მის ხმამ არავითარი გრძნობა არ გამოაჩინა.

— მაშ, როგორც ჰსჩანს, თქვენ მე მიცანით, — ჰკითხა ხელახლად ტეტლოუმ.

— მაგას რა თქმა უნდა. მე თქვენ არ დამვიწყებიხართ.

— მაშ, რატომ ხმა არ გამეცით?

— მე მეტიჩარობა არ მინდოდა და არც შემშკენის, — უპასუხა უბინაომ თავდაბლად და არა პირფერობითა და სულდაბლობით.

— ამისთანა ავდარში რათა ხართ ქუჩაში? — ჰკითხა მოწიწებით ტეტლოუმ: — სად მიხვალთ?

— არსად.

ამ საწყალს ასეთი შეწუხებული და გათახსირებული სახე ჰქონდა, რომ ტეტლოუს გულმა ტკივილი დაუწყო. ტეტლოუ მიხვდა, რომ იმ კონცერტის ღამის შემდეგ საწყალი რამდენიმე ფეხით ძირს ჩამოსულა იმედის კიბიდამა.

— ამას წინად თქვენ მე მოწყალება მთხოვეთ, — განაგრძო სიტყვა: — ეხლა რატომ აღარ ჰქმენით ეგ.

— ოხ, მაშინ ღამე იყო, მე დღისით თავის ღღეში არა ვთხოულობ, მაგრამ... — თითქო საწყალს უნდოდა კიდევ სხვა მიზეზი ეთქვა, მაგრამ შედგა ამ უკანასკნელ სიტყვაზედა. ტეტლოუ მიუხვდა გულის წადილს. იმ საწყალს იმოდენად კიდევ ჰქონდა თავის პატივი, რომ არ იკადრა ხელმეორედ თხოვნა იმის წინაშე, ვინც ერთხელ ხელი გაუმართა. პირველი მოწყალება იმოდენად დიდი ეჩვენა, რომ შიშობდა, ვაი თუ მეორეს თხოვნაზედ უარი მივიღოო და შევრცხვეო.

— მოწყალების გარდა სხვაფრივ არაფერი ღონისძიება არ არის, რომ გეშველოთ რამე? — ჰკითხა ტეტლოუმ.

— არა მგონია იყოს, მე ვცდილობდი სამუშაო რამ მეშოვნა, მაგრამ ყველგან აყუდებული ქვა დამხვდა. მე დიდი ხანია აბანოში არა ვყოფილვარ და ტანისამოსიც ჩემი ისეთი ძველია ამ წუთს, რომ ვერ ვბედავ წავიდე ვისთანმე.

— ბევრგან არის ღარიბთათვის დაწესებული სახლი და ბინა, რატომ ერთ-ერთში არ მისულხართ?

— მე მივმართე ეკკლესიას, რომლის მრევლთაგანნი მეცა ვარ, — უპასუხა ბოგანამ.

— თქვენ განა ეკუთვნით რომელსამე ეკკლესიაას? — ჰკითხა გაკვირვებულმა ტეტლოუმ.

იგი თითქმის გაოცდა, რომ საქრისტიანო ეკკლესიის მწევრთაგანი დაეთრევა ეგრე ქუჩებში ამ უბედურის ყოვითა.

— მე ერთხელ როდესღაც ვეკუთვნოდი საქრისტიანო ეკკლესიას — უპასუხა უბედურმა იმ სახით, თითქო რაკი სიღარიბეში ჩავარდაო, წაერთვაო ყოველივე კუთვნილება ადამიანისა.

— ნუთუ თქვენის ეკკლესიის მრევლი ცოტაოდენს შემწეობას მაინც ვერ მოგცემს?

— მე მივმართე იმათ და ველარ მიცნეს. აღარავის აღარ ვახსოვდი. მითხრეს, მოდიო და ჩვენს გამგებელებთან გამოცხადდიო. ამ სიტყვამ ფრთა მომკვეთა და სარცხვილით მეორედ აღარ მივსულვარ.

ტეტლოუ დაფიქრდა.

— წმინდა იოანეს ეკკლესიის მრევლთან კი არ გიცდიათ ბედი?

— არა.

— ისინი, მგონი, ღარიბებს შემწეობას აძლევენ.

ტეტლოუს უფრო ის უკვირდა, რომ ამ უბედურმა კაცმა არც ერთი სამდურავი და ჩივილი არ წარმოჰსთქვა არავისზედ. მაშინ როცა პირველად შეხვდა, მისი გულითადი სიტყვები ტეტლოუს საეჭვოდ ეჩვენა; მაგრამ ეხლა კი მასმა სასოწარკვეთილებამ, რომელშიაც მცირედი რამ მაცდურებაც არ ერია, ტეტლოუს ღრმად ატკინა გული.

— დიდი ხანია ამ ყოფაში ხართ? — განაგრძო ტეტლოუმ მცირეს დაჩუმების შემდეგ.

— არ ვიცი.

— როგორ თუ არ იცით?

— დიაღ, არ ვიცი. მე არ შემიძლიან გითხრათ, როდის აქეთია, რაც ქვეშაგებში აღარ ვწოლილვარ. ზოგჯერ მიშოვნია აქა-იქ სამუშავო, ხან ერთი, ხან მეორე, მერე კი ხელახლა ისევ უქმად დავრჩომილვარ. ოხ, რა ცუდი რამ არის ხან მუშაობა, ხან უქმობა. ეგ სწორედ სნეულებაა, რომლისაგანაც კაცს იმედი აქვს, თავს დავახწევ და მოვრჩებიო. დიაღ, როცა მართლა სნეული ხარ, მაშინა გაქვს ქვეშ-საგები. ამ გვარი სნეულება კი მაშინ გეწვევა, როცა სრულებით ქვეშსაგები არა გაქვს.

ამ ლაპარაკმა ღიმი მოჰგვარა ტეტლოუს და შეჰსცინა უბედურს გულმტკივნეულობის ღიმილითა.

— ნება მომეცით, რითიმე დაგეხმაროთ, — უთხრა ტეტლოუმ უმოძრაობით თავმობეზრებულმა: — ხომ არა გნებავთ, ცოტა რითიმე დანაყრდეთ?

— განა ეს ჟამი თქვენის სადილის დროა? — ჰკითხა საწყალმა სიხარულით, რომელიც მაშინვე გულში მოიკლა: — დიაღ...

დაუმატა მან დინჯად: მე დიდის სიამოვნებით დავნაყრდება, თუკი იქნება რამ.

ტეტლოუმ მოიწვია, ორივენი ამოეფარნენ ტეტლოუს ქოლგის ქვეშ და დაბრუნდნენ უკან. ყმაწვილი კაცი ცდილობდა ისე ევლო, რომ მისი საწყალი ამხანაგი, რომელიც ძლივს მიათრევდა ფეხებს, უკან არ დარჩომოდა.

— მართლა, თქვენი სახელი? — ჰკითხა ტეტლოუმ.

— ფილიპე ერნი.

ტეტლოუ შეკრთა. თითონაც ხომ ფილიპე ერქვა და ამ შემთხვევითმა ერთგვარობამ სახელისამ უფრო მეტად მიუბრუნა გული იმ უბედურისკენ. ხოლო რადგანაც ამისთანა სეხნიის ყოლა სასიქადულოდ არ მიაჩნდა, თვითონ მარტო თავისი ვვარი უთხრა: — მე ტეტლოუს მეძახიანო.

მერე ისევ ჰკითხა, ნუიორკში ხართ დაბადებული თუ სხვაგანაო.

— ნუიორკში ვარ, — უპასუხა ერნმა, — იმ ქუჩაში, რომელიც თქვენ არ უნდა გეხსომებოდეთ იმიტომ, რომ ის ქუჩა დიდი ხანია აღარ არსებობს. მე იქ გამიტარებია ბედნიერად ჩემი სიყმაწვილე; ჩვენ არაფრის გაჭირება არა გვქონია, მინამ მამაჩემი ცოცხალი იყო. მაგრამ ეჰ, ისე მოკვდა, რომ არასღერი არ დაუტოვებია.

— რა ხელობის კაცი იყო?

— კამანდორი იყო.

— სასოვდაგრო ხომალდის პატრონი?

— არა, მთავრობის ხომალდზედ იყო. იმას რომ ეცოცხლა, მეც ხომალდზედ სამსახურში შევიდოდი. მამა მომიკვდა და მეც იძულებულ ვიქმენ, სხვა ხელობა ამომერჩია. მე ხარატობა ვისწავლე.

— რა იყო თქვენის უბედურების მიზეზი?

— საქმე ხელთ არ მოდიოდა. დავანებე თავი და საომრად წავედი. მას აქეთ ერთი უბედურება მეორეს ზედ მოჰყვა. მე მტერს ჩავუვარდი ხელში ტყვედ და ექვსი თვე დამწყვდეული ვყვანდით.

ამ ლაპარაკით ჩვენი მგზავრები მიუახლოვდნენ დუქანს, საცა ფულით ყველას შეუძლიან ისადილოს. ტეტლოუმ შეიყვანა

თავისი ამხანაგი ერთს ამისთანა დუქანში, რომელიც სხვაზედ უფრო ფაქიზი და წმინდა იყო.

— აქ ვისაუზმოთ, — უთხრა ტეტლოუმ: — თქვენ რას დალევთ? ელი გნებავთ?

— გმადლობთ. განა თქვენ ელს მიირთმევთ?

— დიაღ.

— არა, მე ყავა მირჩევნია.

ტეტლოუმ მახე კარგად გაუბა, რომ შეიტყოს, ლოთობს თუ არა ის უბედური. ერნმა კი არა იცოდა რა. რა სასმელიც კი დაუსახელა ტეტლოუმ, ყველაფერზედ უარი ჰსთქვა.

— მე ჯარში შევეჩვიე ყავას და ეხლა ყავა ყოველს სასმელს მირჩევნია, — ჰსთქვა უბედურმა.

ჭამის დროს ერნი მოჰყვა ჯარის ამბავსა. დაიწყო ლაპარაკი მასზე, თუ რა წვალება გამოიარა ტყვეობის დროს; რამდენიმე ღამე ცარიელ მიწაზედ ცის ქვეშ ვეყარენით ყველა ტყვეები ერთადაო, ერთიერთმანეთზედ მიყრილნიო. ისიც უამბო, რომ კინაღამ თოფით არ დამხვრიტესო. ყველაზედ მომეტებულად კი შიმშილი მტანჯავდაო.

— რაწამს თვალს დავხუჭავდი და დამეძინებოდა, მაშინვე გემრიელი საჭმელები მომელანდებოდნენ ხოლმე, მაგრამ თვალს ავახელდი თუ არა, შიმშილი გულ-მუცელს უფრო მომეტებულად მწვავდა, ვიდრე წინად.

— მაგ წვალებას ისევ თოფით დახვრეტა ჰსჯობდა მეონი, — უთხრა ტეტლოუმ.

რას იქმოდით! თვითონ იმათაც ვერა მოეხერხებინათ რა; თვითონ ისინიც ყოველდღე ვერ იძღებდნენ ხოლმე მუცელს. მაგრამ რა უცნაური რამ არის კაცის ბედი! აქაც, ნუიორკში იმავე შიმშილით ვიტანჯები. აქ მაინც შიმშილისაკან განთავისუფლებული უნდა იყოს კაცი, რომელსაც თავისის ქვეყნისათვის სისხლი ულვრია...

— არ შეიძლება, მთავრობისაგან პენცია რამ დაგენიშნოს? — ჰკითხა ტეტლოუმ.

— არა, მე სუბუქად ვიყავ დაჭრილი. აი, მე რომ იქ მოვეკა-

ლით, მაშინ სხვა იქმნებოდა. მაშინ უსათუოდ პენციას გამიჩენდნენ, თუ რომ ამღები იქმნებოდა ვინმე.

ამ ოხუჯობამ გამოაჩინა, რომ ერნი ცოტაც გამხიარულდა. იქნება ეს ამბავი საჭმელმაც მოახდინა. რარიგის სისწრაფითა ჰსჭამდა საწყალი საჭმელს! აშკარა იყო, რომ ამ უბედურს ყოველდღე არ ეღირსებოდა ხოლმე რისამე ჭამა.

როცა სადილი გაათავეს და მედუქნეს გაუსწორდნენ, ტეტლოუმ იფიქრა, რომ სხვა რამ შემწეობაც უნდა მიჰსცეს ამ უბედურსა. ტეტლოუმ შეამცნივა, რომ ზემო ტანისამოსის ქვეშ პერანგის მაგიერ რაღაც ძონძები აქვს; წაიყვანა და უყიდა ახალი თბილი პერანგი. ამას გარდა მიჰსცა ფული ვახშმისათვის და ღამის ბინისათვის და ბოლოს გამოეთხოვა და შეუკვეთა, რომ მეორეს დღეს დილაზედ ადრე მასთან მისულიყო.

III

იმავე დღეს, მოიცალა თუ არა თავისის საქმეებისაგან, ტეტლოუ შეუდგა იმ უბედურის კაცისათვის მზრუნველობას. ნუიორკში ბევრგან არის დაწესებულნი სახლნი სათნოებისა, საცა ღარიბნი, დავრდომილნი და უძლურნი შოულობენ ხოლმე ბინას და საჭმელსა მუქთად და უფასოდ. ერთს ამისთანა სახლში უნდოდა ტეტლოუს, აეჩინა ბინა იმ უნუგეშო ადამიანისათვის. მოჰკრიბა ცნობა, სად რა სახლია ამისთანა და იმავ საღამოს მივიდა რჩევის საკითხავად თავისის მოძღვრის ცოლთან, რომელიც საინოიან დედაკაცად გათქმული იყო.

ტეტლოუმ უამბო დაწვრილებით, სად შეხვდა პირველად და რა ყოფით ნახა უბედური ერნი და ამის შემდეგ დაუმატა:

— ვაი-ვაგლახმა, რაც თავზედ გადახედია, ბოლო მოუღო მის ჯანმრთელობას. საწყალი ნეკრესის ქარებით და ტკივილებით სავსეა. ეხლა იმას მარტო მოსვენებით ცხოვრებაღა ეჭირება. ამასაც კი მოგახსენებთ, რომ იმას თავ-შესაფარებელი ბინა უნდა მარტო ორიოდ დღეს. დიდი სურვილი აქვს, რომ მუქთა-მჭამელად არ იყოს და ძალიან უნდა, სამუშავო რამ იშოვოს

და იმით ირჩინოს თავისი უსიხარულო თავი. სად უფრო სამ-
ჯობინარია, რომ შევახიზნოთ ის საწყალი?

— თქვენის სიტყვიდამა ჰსჩანს — უპასუხა მოძღვრის მეუღ-
ლემ — რომ თქვენის გულმტკივნეულობის საგანი ჯერ კიდევ
ღონეზეა და არ არის სიბერით დაუძლურებული.

— დიაღ, — მიუგო ტეტლოუმ, — მართალს ბძანებთ, ის ისე-
თი ხნიერი არ არის. დღეს დილით საუზმე ჭამა ძალიან მადი-
ანად.

— მით უფრო ცუდი, იმიტომ, რომ სრულად დასნეულებული
რომ ყოფილიყო, ჩვენს სამკურნალოში ადგილს მივცემდით.

— მაშ, ისეთს, როგორც არის, ადგილს ვერ მიჰსცემთ?

— უი! თავის დღეში...

— მაშ, თუ ეგრეა, ის უჯობს, მოკვდეს და მორჩეს ამ წუ-
თის-სოფელს, — ჰსთქვა გულზედ მოსულმა ტეტლოუმ.

— იქნება უჯობდეს კიდეც. ძალიან შესაძლოა.

— მაშ სხვა რა თავში ქვა იცეს!

— მართლადა, რამდენის წლისაა? იქნება სამოცზედ მეტი
იყოს და ოთხმოცდაათზედ ნაკლები? — ჰკითხა ეხლა კი თავა-
ზით მღვდლის ცოლმა.

— რომ ოთხმოცდაათზედ ნაკლებია, ეგ ცხადია და სამოცზედ
მეტია თუ არა, ეგ კი არ ვიცი. მაინც რად მკითხეთ მე ეგ?

— მე ერთი სახლი ვიცი მოხუცთათვის, იქ შემეძლო იგი შე-
მეკედლებინა, თუ რომ ამ ორთა ხნისა შუა იქნებოდა. თქვენ
ამბობთ, რომ სასმელს არაფერს ეკარებაო. დარწმუნებული კი
ხართ, რომ იგი არ არის იმისთანა ლოთა კაცი, რომელსაც
სურს და ცდილობს, ლოთობა დაიშალოს როგორმე?

ეს იმისთანის ხმით ჰკითხა, რომ ამ ხმას თავისი ჭეშმარიტი
გულისტკივილიც ამოატანა. ეს დედაკაცი სანთლით ეძებდა ლო-
თობისგან გზადაბნეულს კაცსა და დიდ სიხარულად მიაჩნდა
მისი მორჩენა. ტეტლოუ შეწუხდა, რომ ამისთანა კარგი შემ-
თხვევა ხელიდამ ეცლება. მაგრამ რა ექნა? ხომ ვერ იტყუებდა,
მართალი უნდა ეთქვა და ხელმეორედ გაიმეორა, რომ იგი ლო-
თი არ არის.

— რაკი ეგრეა, — წარმოსთქვა მღვდლის ცოლმა — მე სრუ-

ლებით აღარ ვიცი, რა გზით უნდა ეშველოს იმ უბედურს კაცსა.

— იქნება ჩემი ბრალიც იყოს, იქნება ისე ვერ დაგიხატეთ მისი გარემოება, როგორც რიგია — უთხრა ცოტაოდენის გაკილვით ტეტლოუმ.

ერთის სიტყვით, ტეტლოუს ძარცხი მოუვიდა და ვერას გახდა. ამ სათნოებიანმა დედაკაცმა ვერაფერი ნუგეში ჰსცა. რაკი ესეაო, იფიქრა, გამოვკითხო მაინცაო ზოგიერთი რამ. ამ განზრახვით წარუდგინა სია სათნოების სახლებისა, რომლის სახელებიც იმ დილით შეეტყო.

— აი, მაგალითებრ, „წინად — მეოხი განგება". აქ განა არ შეიძლება ბინა მიეცეს?

— რას ბძანებთ? იქ მარტო საქმეს უშოვნიან და აუჩენენ ხოლმე ღარიბთა, რომელთაც კარგის ყოფაქცევის სახელი აქვთ.

— „სავანე ღარიბთათვის" რაღაა? ეს სახელი ყურისათვისაც სასიამოვნოა. იქნება აქ მაინც გავხდე რასმეს.

— სრულიად ვერას გახდებით... ეგ წიგნების საკითხავი სახლია, დღე და ღამ ღიაა; მანდ მარტო ჩაის სმა შეიძლება... ისიც ფულით.

ტეტლოუმ დაასახელა „კლდე უდაბნოში", კიდევ ერთი სათნოების სახლთაგანი; მაგრამ აქ მარტო რძეს თურმე ასმევდნენ მუქთად პატარას ჭიქითა იმ პირობით კი, რომ იქავე დაელია.

რძე აქ არის, ჩაი — სხვაგან. ისა არა ჰსჯობდა, რომ ერთი და მეორეც ერთად, ერთს ადგილას ყოფილიყო.

— სწორეს ბძანებთ. სათნოება ადამიანისა იმიტომ ჩაივლის ხოლმე ეგრე ფუჭად, რომ ჩვენ არ ვიცით ერთმანეთში მოთავსება.

— იქნება იცოდეთ, რა სახლია „მწირთა სადგური"? აქ კი მგონია ბინას ვუშოვი ჩემს ბედკრულსა.

— თქვენა ჰსცდებით. იქ მარტო ბინას აძლევენ მუშა ხალხს, რომელნიც ქალაქზედ გზად გამოივლიან ხოლმე.

— ჩემს სიაში დარჩა კიდევ ერთი სახელი: „ბეთლემი" — ჰსთქვა იმედდაკარგულმა ტეტლოუმ.

— მაგისას ვერას ვიტყვი: არა გამიგია რა.

ტეტლოუ წამოდგა წასასვლელად. ქალმა ჰსთხოვა, ცოტა

მომითმინეთო, იქნება ძველი ტანისამოსი რამ მოვუხერხო თქვენს უბედურსაო. ორიოდე წუთის შემდეგ, ქალი უკუვ-მოიქცა და გამოუცხადა, რომ ტყუილუბრალოდ ააქოთა იქაურობა და ძველი ვერა იპოვა რა; მხოლოდ ხელში კი ეჭირა ქაღალდის ფული და მიაწოდა ტეტლოუს. ტეტლოუმ მხურვალე და გულითადი მადლი გადუხადა და გამოვიდა გარედ, ქუჩაში გაშალა ქაღალდი და ნახა, რომ ხუთ დოლლარიანი ფული იყო. ძალიან იამა და გაუკვირდა კიდეც.

იმავე დღეს იმის ცდას შეუდგა, რომ ერნის მამის ამბავი რამ შეეტყო ზღვაში მოსამსახურეთაგან, და სამხედრო გამგეობისაგან კიდევ სამსახურის ვითარება თვითონ იმ უბედურის ბოგანისა, რომელმაც ამისათვის ამცნო ტეტლოუს თავისის რაზმისა და გუნდის სახელი და ნომერი.

IV

მეორეს დღეს, პირობისამებრ, უბინაო ფილიპე ეწკია ბინამოკიდებულს ფილიპესა და ორნივ ერთად წავიდნენ „ბეთლემს“.

ეგ „ბეთლემი“ არის ერთი პატარა უსიხარულო საზლი ერთს უხეირო ქუჩაზედ. ორივე ფილიპე შევიდნენ დიდს ოთახში, რომელიც სასადილოც იყო და სადახლდროცა. ფანჯრებთან რამდენიმე პატარა ტაბლა იდგა და ზედ ეფარათ ისეთი წმიდა სუფრები, რომ სინათლე გავიდოდა, თუ რომ ცოტა ფაქიზი ყოფილიყვნენ. ოთახი შუაზედ გაყოფილი იყო მესერითა და მესერს იქით იდგა დიდი ტაბლა, რომელზედაც ეწყო მიყრილ-მოყრილად წიგნები, წერილები, შუაზედ კი იდგა გეოგრაფიული რუკა. კედლის საათი მეტად უწყალო სანახაობისა, შეადგენდა დანაშთენს მორთულობას.

ახალგაზდა დედაკაცი შავის კაბითა და თეთრის ასაფარებლითა დაგოგავდა ტაბლებ შუა და ფაცაფუცობდა. ღაინახა თუ არა, რომ სტუმრები ეწვივნენ, მაშინვე გაიქცა და მესერს იქით თავის ჩვეულებრივს ადგილას დაჯდა. ტუჩებს აცმაცუნებდა, რადგანაც პირში ედო შაქარი, რომელიც ხელდახელ აეწაპნა.

— მე ბინა მინდა ამ კაცისათვის, — ჰსთქვა ტეტლოუმ მტკიცედ. მით უფრო, რომ აქ ბინის აჩენა საეჭვოდ წარმოუდგა.

ახალგაზდა დედაკაცი ადგა და უხმო ვიღაც უფალს — ნიდდოკს. ერთს წუთსაც არ გაუვლია, თვითონ ნიდდოკიც გამოცხადდა. ეგ იყო ერთი პატარა დაჩენჩილი კაცი, რომლის უცნაურს სახეს გარს მოხვეოდა თეთრი თმა. მიხრა-მოხრა ისეთი რამ ჰქონდა, თითქო ეს კაცი თავის დონეზედ არ არისო. ერთს წუთს ვერ გაჩერდებოდა ერთს ადგილას, სულ ხელ-ფეხს ატოკებდა.

— როგორ მშვიდობით გიკითხოთ ბატონებო, — სთქვა მან, როცა მიუახლოვდა სტუმრებს და განურჩეველად ორივეს ერთნაირად ჩამოართო ხელი.

აშკარაა, ეგ იმისათვის მოექცა ორსავე ერთნაირად, რომ საბრალო ღატაკსაც თავი თვისი კაცად ეცნო და არ ეგრძნო, რომ კაცთა შორის ნაბოლოვარი ვარო. ტეტლოუს შეჰრცხვა და გაწითლდა, მე ეგრე კაცურად ვერ მოვექეცო. ძალიან ნანობდა, რომ როცა გოგოს ელაპარაკებოდა, საწყალს ერნზედ ასე ჰსთქვა: „ამ კაცისათვისაო“. მაგრამ ნიდდოკმა მაშინვე მოუკვეთა სინიდისის ქენჯნა, რადგანაც ლაპარაკი გაჰმართა.

— რით შემიძლიან, ბატონებო, თქვენი სამსახური? — ჰკითხა ნიდდოკმა.

— ჩემი სახელი ტეტლოუა, — უთხრა ყმაწვილკაცმა. — ეს უფალი ერნია. ამას უნდა, რამდენიმე დღით აქ შემოგეხიზნოთ, ვიდრე უკედ შეიქნება და მიეცემა შემთხვევა, საქმე რამე გაიჩინოს.

ტეტლოუს უნდოდა კიდევ რამე ეთქვა, რომ ერნი საიმედო კაცია, მაგრამ „ბეთლემის“ გამგებელმა აღარ დააცალა და მარდად წამოიძახა:

— ეგ ამბავი ჩვენთვის ჩვეულებრივი საქმეა. ხომ არ გნებავთ საუზმის მირთმევა, ბატონო ერნო.

— რასაკვირველია, ჰნებავს, — დაასწრო ერნს ტეტლოუმ, თითქო ამით უნდაო, გული მოუგოს ერნსა და წინანდელი თვისი გულგრილობა შეინანოს.

ერნმა, რომელიც ამ სამ კაცში უფრო თავდაჭერილი იყო, ჯეროვანის ღირსებით მადლობა უთხრა.

— ჩვენ ბევრი არა გვაქვს მოსართმევად, — განაგრძო სიტყვა ნიდდოკმა ძალად მოყვანილის ღიმილითა. — ჩვენ იმდენს მეგობრებს უნდა გაუძღვეთ ხოლმე, რომ საჭიროა ვამოვზოგვა და ხელისმოჭერა...

ერნმა ჰკითხა: ერთი ფინჯანი ყავა ხომ შეიძლება მოვითხოვო.

— დიაღაც, დიაღაც. თქვენ მოგართმევენ ყავასაც და პურსაც. სხვა ხომ არა გნებავთ რა, კიდევ მაგას დაუმატოთ? მაგრამ კი უკეთესს იქმოდით, რომ სხვა არა ინდომოთ რა.

— რატომ? — ჰკითხა გაკვირვებით ერნმა.

— იმიტომ, რომ უკანასკნელმა სტუმარმა მოითხოვა, კიდევ ხომ არა გაქვთ რაო და ჩვენ აღარაფერი არა გვქონდა. კიდევ კარგია, კუჭი მოშლილი ჰქონდა და ყველაფერს იწუნებდა. იქნება თქვენც იგივე სენი გჭირთ.

ამ სიტყვებზედ ნიდდოკმა ასეთი ხარხარი დაიწყო, რომ სისხლი თავში აუვარდა; სიცილის გამო სახე ისე დაულურჯდა, ისეთის ნაოჭებით აეკრიფა, რომ კაცი ველარ იცნობდა. მაშინ ის სულ სხვა კაცს დაეგვანა.

ერნმა პასუხად უთხრა, რომ მე იმისიც მადლობელი ვიქმნები, რასაც მომიტანენო.

ამისთანა პასუხით გულმოგებულმა ნიდდოკმა დაუძახა გოგოსა.

— სამარიტავ, მოართვით ამ ჩვენს სტუმარს საუზმე და ეცადეთ, ცხელი ყავა იყოს... უცნაური სახელია „სამარიტა“. არა, ბატონებო? მაგრამ განა არა ჰგრძნობთ, რომ ეგ სახელი ამ ადგილის შესაფერია? ეგ ჩემი ძმისწულია, სოფლიდამ აქ ჩამოვიყვანე მარტო იმ მიზეზით, რომ მაგისთანა სახელი აქვს. უკაცრაოდ თუ არ ვიქნები, ეხლა კი უნდა გამოგეთხოვოთ, მე ამ კიბეზედ უნდა ავიდე, ცოტა საქმე მაქვს.

ტეტლოუმ სუბუქად დაუკრა თავი და გაიფიქრა, რომ ამ ბატონს კიბეზედ ბოლთის ცემა უფრო ჰყვარებია, ვიდრე სწორე იატაკზედ სიარული. ხოლო როცა სამარიტამ შემოიტანა სა-

ოთის ოდენა ფინჯნით ყავა და ერთი ბეწო პური, მაშინ კი ტეტლოუს გულში გაუარა, რომ ეს ბატონი „ბეთლემის“ გამგებელი იქნება იმისთვის დაიქსაქსაო, რომ სირცხვილი არ ეჭამაო ამისთანა ზომიერის სანოვაგის მორთმევის გამოო. ესე იყო თუ არა, ბატონი ნიდდოკი სწორედ მაშინ გამოცხადდა ამათ წინ, რიცა ერნმა გაათავა თავისი მეტად ხელმოკლე საუზმე. ნიდდოკმა მოსვლისვე უმალ გაუმჟღავნა, რომ თავის სამწუხაროდ, დღეს არასგზით არ შეუძლიან, ბინა მიჰსცეს ერნს.

— მაგრამ ხვალ კი სხვაა, — დაუმატა მან. — ზევით ერთი კაცი მიდგას, ხვალ მიდა დავითხოვო და მაშინ უფალს ერნს მის საწოლს ვუთავაზებ.

— მაშ, ხვალ რომ მოვიდეს, ხომ ბინა უსათუოდ ექძხება? — ჰკითხა ტეტლოუმ იმ აზრით, რომ დაპირება გაამეორებინოს უფრო მტკიცედ და აშკარად.

— ხვალ საღამოზედ დიდის სიხარულით.

— თქვენ, ბატონო ნიდდოკ, თქვენის ხარჯით ინახავთ ამ სათნოების სახლს? — ჰკითხა ტეტლოუმ და თავისის ამხანაგით წამოსვლა დააპირა.

— მე რაც შემიძლიან, იმით ვეწევი. ცოტა რამ შეძლების პატრონი ვარ და ვიფიქრე, ეს ორიოდე დღე კიდევ დამრჩენია სიკვდილამდე, მოდი ამ უკანასკნელს დღეებს შევწირავ-მეთქი მოყვასთათვის სამსახურს. დიდი ხანია, ეს გადავწყვიტე და აი, ვმსახურობ, რაც შემიძლიან. ხოლო არა ყოველთვის შემწევს ხოლმე ბედი, რომ თავი ბოლოს გადავაბა. ხშირად სახსარი მაკლდება, ბევრჯელ ხარჯი გადააჭარბებს ხოლმე შემოსავალს. მაშინ მივმართავ ხოლმე სხვის შემწეობას, ან მოწყალებას ვთხოულობ, ან არა და საშველად მოვიწვევ ხოლმე გაზეთებით საზოგადო სათნოებას. ეს უკანასკნელი პირველზედ უფრო საიმედოა და უეჭველი.

გამოვიდნენ თუ არა „ბეთლემიდამ“, გაჰსწიეს ქუჩა-ქუჩა და როცა ერთს მყუდრო ადგილს შეემთხვნენ, მაშინ ტეტლოუ შედგა და ჩააბარა ერნს მღვდლის ცოლის საჩუქარი. ამ სულგრძელებამ ისე არია საწყალი ერნი, რომ ღონე აღარ ჰქონდა, ეთქვა რამე. ორივე ხელით ეჭირა ფული და ისეთის აღტაცებით დაჰ-

ხაროდა, რომ ეგ სიხარული ყველა მადლობაზედ უკეთესი მადლობა იყო.

— ნეტა არ იქმნება, შევიძლო იმისთანის რისამე ქმნა, რომ ამ სიკეთის ღირსი გავხდე. მე მგონია, რომ უფლება არა მაქვს, ამოდენა ფული მივიღო ვისგანმე ასე მუქთად, გაურჯელად.

ტეტლოუმ გული დაუშოშმანა, მიჰსცა დარიგება, როგორ უნდა მოიხმაროს ეგ ხუთი დოლლარი და მოაგონა, რომ ხვალ უსათუოდ უნდა წავიდეს ნიდდოკთან, რომელიც დროებით ბინას გაუჩენს. ამის შემდეგ ჰსთხოვა ერნს, მეორე ორშაბათს მნახეო, რომ შენი ვითარება შემატყობინოო.

ტეტლოუმ იფიქრა, რომ ეხლა დროა თავის საკუთარს საქმეზედ წავიდეს, ხოლო ერნი, იმის მაგიერ, რომ მოჰსცილდეს, აღარ მოშორდა და აედევნა თავის კეთილისმყოფელს და სულ იმას ეუბნებოდა, რა მადლობასაც ჰგრძნობს მისდამი. ყველაზედ უფრო მეტად იმას ნატრულობდა ერნი, რომ როგორმე მალე მორჩეს და სამუშავო რამ გაიჩინოს. ზოგიერთმა სიტყვამ მთხოვარისამ იმის შესახებ, თუ როგორ უტარებია ღამეები, როცა ბინა არა ჰქონია, ტეტლოუს ცნობისმოყვარეობა მიიზიდა. ტეტლოუმ დაუწყო ამ საგანზედ გამოკითხვა.

— ჰაი, ჰაი! — უპასუხა ერნმა: — მე ხანდისხან ძალიან კარგად გამიტარებია ღამეები. როცა გარედ ძალიან ცივა, მე რომელსამე სახლს პოლიციისას შევეკედლები ხოლმე. ეგ, რასაკვირველია, ვერაფერი სასიამოვნო სადგურია, იმიტომ რომ იქ ყოველთვის მთელი გროვაა არამზადებისა და ავაზაკებისა, რომელნიც მღერიან, ყვირიან, ილანძღებიან და აქვთ ერთი ყოფა და ჟღრიამული, მაგრამ მაინც კიდევ კარგია. თუ იქ ძილი არ შეიძლება, სიცივისაგან მაინც დაისხნის კაცი თავსა. ზოგჯერ ნამჯას დაიგებ ხოლმე სარდაფის ჩასავალ კიბეზედ და ჩემთვის კარგა მოსვენებით გამოვიძინებ ხოლმე. წელს კი, მადლობა ღმერთს, კაი დარებია და მე ღამეებს უფრო ხშირად გაღასხნილს ცის ქვეშ ვატარებ.

— მაშ, ჰსჩანს, რომ თქვენ მთელი ღამე ფეხზედ ხართ და დასდიხართ...

— სწორედ ეგრეა, და სწორედ გითხრათ, ყველას ეგა ჰსჯო-

ბია კიდეც. მე ჩვეულებრივ იქით წავალ ხოლმე, საცა ზარბაზნები აწყვია, დასავლეთის მხრივ და არა წყლის მხრივ, იმიტომ, რომ წყლის მხრივ ყოველთვის ცივი ქარი იცის, მივალ 39 ქუჩამდე, აქედამ გავბრუნდები და დავადგები იმ დიდ ქუჩას, რომელსაც ბროდუეს ეძახიან და ბოლომდინ გავალ ხოლმე. ცოტა ფეხაკრეფით რომ იაროს კაცმა, ეგ მთელის ღამის სამყოფი მანძილია.

— ეგ ხომ მთელის ქალაქის სიგძეა ერთი-ორად აღებული! — დაიძახა ტეტლოუმ, — მაშ თუ მაგ სახით მაგოდენა მანძილს გაივლით ხოლმე, ძილს როგორღა ასწრობთ?

— მე ძალიან ცოტა ძილი ვიცი, უნდა მოგახსენოთ. რაც უნდა იყოს, მაინც ეგრე ყოფნა ჰსჯობია პოლიციაში ღამის თევასა. დილით ადრე, როცა გააღებენ ხოლმე ოთახებს, დანიშნულს იმათთვის, ვისიც ხელობა ქუჩაში დგომას თხოულობს, მაგალითებრ, ვინც ქუჩაში ჰყიდის გაზეთებს და სხვა ამგვარი, მეც იქ შევეხიზნები და იქ დიდის სიამოვნებით დავისვენებ ხოლმე. ამის გარდა ქალაქში იმისთანა სახლებიც არის, რომლის კედლები თბება შიგნიდამ, მივალ, მივეყუდები გამთბარს კედელს და ეგრე რამდენსამე წუთს თვალს მოვატყუებ ხოლმე.

— თვალს მოვატყუებ ხოლმეო! — გაიფიქრა ტეტლოუმ: — ნუთუ, თუ არ მოტყუებით ძილს, მაგ ღვთისაგან ბოძებულს ნიჭსაც ვერ ღირსებია საწყალი!...

კიდევ რამდენიმე ხანი ერთად იარეს ხმაამოუღებლივ. მერე ტეტლოუ შეფერხდა და უთხრა, რომ მე ჩემს საქმეზედ უნდა წავიდეო. გამოეთხოვა თავის სეხნიას და მოაგონა, რომ ორშაბათს არ დაივიწყოს მასთან მოსვლა.

მეორის დღის საღამოს ტეტლოუ და მისი ცოლი ისხდნენ ბუხრის წინ და ტეტლოუ შეჰჩივოდა ცოლს, რომ ბედკრულს ერნს სამუდამო ბინა ვერსად აუჩინა, თუმცა ნუიორკში იმდენი სახლი იყო სათნოებისა. ამაზედ გულგამწყრალმა და ცოლის გულმტკივნეულობითაც წაქეზებულმა მიჰსცა სრული ნება თავის გულისწყრომასა.

— საწყალი ერნი ეხლა „ბეთლემშია“, — ჰსთქვა მან, — მაგრამ ვინ იცის, ამ სამის დღის შემდეგ რა დღე დაადგება! საკ-

ვირველი არ არის, რომ იმ კაცს დედამიწის ზურგზედ არა აქვს ადგილი!... ჩვენ ყველანი, ვინც კი ვართ, სწორედ ასოებსა ვგევართ, რომელთაც ჰსწერენ ხოლმე ბეჭზედ და მერე ისევ წაშლიან ახალის დასაწერად. საწყალი ერნი კი, როგორც ჰსჩანს, არც ასოა, რომ ერთხელ წაიშალოს და მორჩეს. ის უბედური კაცი თავისი საკუთარი მამა რომ იყოს, ნახევარს ჯამაგირს მაინც მიიღებდა მთავრობისაგან; რომ სიკვდილამდე მიხწეული სნეული იყოს, სამკურნალოში ადგილი ეღირსებოდა. ავაზაკი რომ იყოს, არავითარ გაჭირებაში არ იქნებოდა; ლოთი მაინც ყოფილიყო და ეტყუებინა ხალხი, ლოთობისაგან მორჩენა მინდაო, — მაშინ სხვადასხვა სათნოების საზოგადოება ერთმანეთს შეეცილებოდნენ, არა მე მომარჩენინეთ, არა მეო. ხოლო რადგანც ერნი თავის მამად ვერ გახდება, რადგანაც სულმობრძავი სნეული არ არის, რადგანაც არა ლოთობს და პატიოსანი კაცია — ამისათვის საზოგადოებას საწყალისათვის ზურგი შეუქცევია და ისე გაუნებებია თავი.

V

დანიშნული ორშაბათიც მოვიდა და ტეტლოუს როგორღაც დაუმძიმდა, რომ ერნი ხელახლად უნდა ინახულოს. არ ვიცით, ისა ჰსწყინდა, რომ ეგრე ფუჭად ჩაუარა ყოველმა მეცადინეობამ, თუ ისა, რომ იმ უბედურს კაცზედ ეჭვი რამ შეეპარა და აღარ ენდობოდა. იქნება გულში ამანაც გაუარა, ნეტა თავს რაზედ ვიწუხებო. ესე იყო თუ არა, მაინც და მაინც იგი ჰგრძნობდა, რომ საწყალს ერნზედ ცოტად გული გაუგრილდა, თვითონაც კი არ იცოდა რათა და რის გამო.

ტეტლოუ რალასაცა ჰსწერდა, როცა მოესმა კიბედამ ფეხის ხმაურობა. იმავე წამს წყნარად კარი დაურაკუნეს და ერნი შემოვიდა ოთახში.

— თქვენა ხართ? — უთხრა ტეტლოუმ გულცივად: — მე ეგრე ადრე არ მეგონა, რომ მოხვიდოდით.

უბედურმა, თუმცა ფეხი წინ წადგა, უცრად უკან დაიწია.

— მე იქნება მეტი მომივიდა, რომ აქ მოვედი — დაიწყო მან, — ხოლო მე მახსოვს, რომ თქვენ თითონ...

— დიაღ, მეც მახსოვს; დღე მე დაგინიშნეთ... — უპასუხა ტეტლოუმ და სინანულში კი ჩავარდა, რომ ეგრე გულცივად მოექცა.

ერნი ისევ კარებთან იდგა გაშეშებული. ჰსწუხდა, ჰსცხვენოდა თავის თავისა და თითქმის კანკალებდა... ტეტლოუმ შეამცნივა, რომ ერნი სახით ცოტად მოჯობნებულა, მაგრამ ტანსაცმელზედ კი ისევ ისე დიდი ურიგობა ეტყობოდა. ტეტლოუმ ახლო მოიწვია.

— თქვენ რამდენი ღამე გაატარეთ „ბეთლემს"? — ჰკითხა ტეტლოუმ.

— მარტო ერთი ღამე — პარასკევს.

— მეტი რატომ არა?

— „ბეთლემი" აღარ არსებობს.

— არ მესმის, რის თქმა გინდათ.

— შაბათს დილით მოვალეები თავს დაესხნენ, რაც კი იყო, ყველას ხელი დაავლეს და ჩვენც პანჩური გვკრეს და გარედ გამოგვყარეს. ნიდდოკმა კი იქიდამ ფეხი არ მოიცვალა. ის ამბობდა, რომ ისევ მე მოვუვლიო ამ სახლსა მოვალეების სასარგებლოდაო. ეს კიაო, რომ თუ კაცს უნდაო, მუქთად არავის რა აძლიოსო, ყავა ცოტად მაინც მაგარი უნდა აკეთოსო.

ამ ბოლოს სიტყვაზედ ტეტლოუს გაეცინა. ეგ სიცილი მალე გაუქრო იმ ფაქრმა, რომ ერნი, ისევ უბინაოდ დარჩომილი, ხელახლად ამას დააწვება თავზედ... ტეტლოუ ჰკითხავდა თავის თავს: იქნება ეს ბოგანა კაცი იმათგანია, რომელთათვისაც ყოველივე შემწეობა ამაოა და უქმი, რადგანაც ყოველივე მათგანი ღავ-თავქვე დაგორებულს ქვასა ჰგავს: მაღლა ვერ ამოვა და თუ იძვრის, ძირს და ძირს ჩადის? ტეტლოუს გონების თვალწინ წარმოუდგა კიდეც გლახა-ღატაკი, რომელიც ვითომ ყოველდღე მოეთრევა და უწამლავს სიცოცხლესა...

— მე მგონია, — უთხრა ტეტლოუმ, რომ თქვენ ბევრი აღარა დაგრჩებოდათ რა ხუთის დოლლარისაგან.

ერნმა ღია ფანჯარას გახედა და არა უპასუხა რა. ფანჯა-

რას გახედა თითქო იმისათვისო, რომ თვალი გადაავლოს თავის უნუგეშო წარსულსა და წინასწარად დაინახოს თვისი მომავალი, წარსულზედ არა ნაკლებ უნუგეშო და უმწეო. ტეტლოუს სიტყვამ ფულის დახარჯვაზედ წამოუყენა თვალწინ ბედკრულსა უმწეო ყოფაცხოვრება, რომელშიაც იმყოფებოდა და რომლითაც არ უნდოდა შეეწუხებინა თავისი კეთილისმყოფელი.

— შემოგეხარჯათ განა? — ჰკითხა კიდევ ტეტლოუმ, რომ პასუხი ათქმევინოს.

— დიაღ, — წარმოჰსთქვა ერნმა, თითქო თავს ძალა ღაატანაო, — მე ზოგი დავხარჯე, მართალია. მაგრამ ზოკი მაინც კიდევ დამრჩა...

— რამდენი დაგრჩათ?

— დოლლარ-ნახევარი. მე წუღები ვიყიდე, როგორც ხედავთ, — დაუმატა მან და აჩვენა ფეხსაცმელი.

— თუ მაგაზედ მეტი აღარა გაქვთ, ცოტაა...

ერნი მიუახლოვდა და ჩამოართვა ფული, რომელიც ტეტლოუმ მოაწოდა. ტეტლოუ სინიდისმა გაამხილა, რომ თვითონ არ ადგა, თვითონ არ მივიდა და ისე არ მიჰსცა ფული. მაგრამ ცხადი იყო, რომ იმ დღეს ყველაფერი როგორღაც უხერხოდ მოსდიოდა. ყველაფერში ეტყობოდა დაფარული სურვილი, რომ ეს კაცი როგორმე თავიდამ მოიშოროს. თუმცა ერნი არასფერს ამცნევდა, მაგრამ ტეტლოუ კი ჰგრძნობდა, რომ რაღაც მძიმე თვალი გამკითხავისა ზედ დაჰსტრიალებდა; თითქო ის გლახაკი წარმოეგზავნა მასთან რაღაც უმაღლეს ძალას, რომ ამხილოს მისი გულგრილობა.

— თქვენ ეხლა მგონია უკეთა ხართ, — უთხრა მან მკვახედ, — იმედია, რომ თქვენ, დღეს იქნება თუ ხვალე, გამოხვალთ მაგ ყოფა-ცხოვრებიდამ.

ტეტლოუს ეგონა, რომ ამით გულმტკივნეულობა რამე აჩვენა ბედშავსა, მაგრამ ცხადი კი იყო, რასაც ნიშნავდა მისი სიტყვა: „ეხლა უკეთა ხართო და იმედი მაქვსო, რომ თავს აღარ მოიმაწყენთო“.

ერნმა არ შეიმჩნივა, რომ მიუხვდა ნამდვილს აზრს სიტყვებისას და რადგანაც მარტო მისი სიკეთე ახსოვდა, მიუკო პასუხი

იმ ხმით, რომელშიაც ისმოდა იმდენადვე მორჩილება, რამოდენადაც მადლობა:

— დიაღ, რასაკვირველია... მე ძლიერ, ძლიერ მადლობელი ვარ თქვენი, ბატონო ტეტლოუ, რომ ამდენი სიკეთე მიყავით.

ამ სიტყვებში ისმოდა ხმა გამოთხოვებისა. ტეტლოუ როგორღაც თავის ქერქში ველარ იყო და იფიქრა, ეხლა კაი შემთხვევა მაქვს ასე თუ ისე სამუდამოდ მოვიცალო თავიდამ ეს ღატაკიო. თუმცა სინიდისი ჰქენჯნიდა ამისათვის, მაგრამ თავს იმით იმართლებდა, რომ ხელში არაფერი საბუთი არ მიჭირავს ერნის კაიკაცობისაო. ვინ იცის, ვინ არისო? ტეტლოუ წამოდგა და კარებისკენ წავიდა. შეწუხებული ერნი უკან აედევნა იმ სიმწარით გულში, რომელსაც ჰგრძნობს უბედური ღატაკი, როცა ხედავს, რომ კარში მაგდებენო.

იმ წამს, როცა კარის დირეს ფეხი გადააცილა, ტეტლოუ თითქო მიეცა უდროოლა სინანულსა და ჰკითხა:

— გყავთ ვინმე ან თვისი, ან ტომი?.. არის ვინმე იმისთანა, რომ თქვენთვის გული სტკიოდეს?

უბედურის სახეზედ გამოჰკრთა უეცრად საშინელი მწუხარება.

არავინა მყავს, — უპასუხა მან, — ცოლი მალე მომიკვდა მას შემდეგ, რაკი შვილები დამეხოცნენ.

— განა შვილებიცა გყვანდათ?

— ორი პატარა ბიჭი... ორი მშვენიერი ბაშკი!... — უპასუხა მისუსტებულის ხმითა.

— დიდი ხანია?

— რაც ისინი დავკარგე? ომების დროს იყო. ჩემი ცოლი მწერდა, რომ ერთი ავად გამიხდაო. მერე მომივიდა წიგნი, რომ მოკვდაო. მე უფროსს შინ დავეთხოვე, მაგრამ მინამ დამითხოვდნენ, მეორეც ხელიდამ გამოგვეცალა.

ერნი შედგა. ჭუჩის ჟრიამულმა და გმინვამ მოახწია იმ ბრელ დერეფნამდე, საცა ორნივ იდგნენ, და კაცს ეგონებოდა, თითქო მისი ულმობელი და უწყალო წარსული ხმაურობსო...

— შინ დათხოვნა საჭირო აღარ იყო, — განაგრძო ერნმა, — მაგრამ მაინც დავეთხოვე, რომ შინაურობისათვის დამეხედნა.

როცა ვადა გამითავდა, ძალიან მიამა და მე ისევ ლაშქარში წავედი. ბევრი ხანი აღარ გასულა, ტყვედ წამიყვანეს. მას აქეთ არის, რაც ჩემი ცოლი ეელარა ენახე.

ტეტლოუს გულმა საშინლად ტეხა დაუწყო. ღღესაქამომდე იგი ზრუნავდა მასზედ, რომ ერნს მარტო დღევანდელი ჭირი მოაშოროს; გულს უზვიადებდა ის მფარველობა, რომელიც მან ერნს აღმოუჩინა; აქაო და მფარველი ვარო, მე მაღლა ვარ და ის დაბლაო. ხოლო ახლა კი, როცა ერნი გაენდო და ეამბო თავისი გულსაკვდავი აღსარება, ტეტლოუმ იგრძნო, რომ ამ აღსარებამ მისი თავი დაამდაბლა და ის ღატაკი კი აამაღლა. ტეტლოუმ გულის მხურვალებით გაუწოდა ხელი. ნეტა ამ დროს მოაგონდა ან ერთს, ან მეორეს, რომ პირველ ნახვის შემდეგ ერთმანეთისათვის ხელი არ ჩამოურთმევიათ?...

— მე გთხოვთ, ჩემთან მოხვიდოდეთ ხოლმე, — უთხრა ტეტლოუმ და რომ დააჯეროს, რომ გულით ჰსთხოვს, დაუმატა: — მე თქვენს ეკკლესიაში ვიყავ შაბათს. გამგებელთა პირობა მომცეს, რომ თქვენს საქმეს გაშინჯვენ. იმათის სიტყვით, ეგ ერთს თვეს გაჰსწევს, ჩვენ კი, რასაკვირველია, ერთმანეთს ამაზედ ადრეც ვინახულებთ. შემიძლიან ამის იმედი ვიქონიო?

— მას შემდეგ, რაკი თქვენ მე ფეხზედ დამაყენეთ, მეც თვითონ გავუძღვები ჩემს თავს... — ჰსთქვა საწყალმა, თუმცა მისი ძირს დაკიდებული თავი და მრთოლარე ხმა ამის წინააღმდეგს ამბობდა.

— ეს მაინც ჰქენით, რომ თუ თქვენს თავს ბინა რამ აუჩინოთ, მაცნობოთ...

— მადლობელი ვარ, ბატონო! — უპასუხა მან, ხელი მოჰკიდა კიბის მუაჯარს და ნელ-ნელა დაიწყო ძირს ჩასვლა.

მაგ მადლობის თქმაში ხელახლად მოისმა ხმა გამოთხოვებისა. კაცს ეგონებოდა, ვინც ეგა თქვაო, განშორებას ისწრაფისო. რამდენიმე საფეხური ჩავიდა თუ არა, ერნი შედგა, თითქმის პირი არ მოიბრუნა და ისე ჰსთქვა: — ჩემ მაგიერად მადლი მოახსენეთ იმ სულგრძელს ქალსა... მე თქვენ ბევრი დავიდარაბა მოგაყენეთ...

— მშვიდობით! — დაუძახა ტეტლოუმ გულნატკენად, მაგრამ მხურვალებით კი. — მშვიდობით, ესე იგი, ნახვამდე!

ერნმა, მგონი, ეს სიტყვები ვერ გაიგო. იქნება ფეხის ხმაურობაში დაიკარგა ყმაწვილი კაცის ხმა. ერნმა მალე ჩაიარა კიბე და მიეფარა თვალს.

ტეტლოუ შემობრუნდა თავის ოთახში და რაღაც გამოუცდელი სევდა გულზედ დააწვა. დაჯდა თუ არა საწერად, მაშინვე სურვილმა გაიტაცა, რომ ადგეს და ერნი უკან დააბრუნოს. მაგრამ იფიქრა, ვინ იპოვის იმ საწყალსა იმოდენა ხალხში, რომელიც ეხლა ქუჩაში ბუზსავით ირევაო. მთელს დანარჩენს დღეს თვალწინ ელანდებოდა ფერმკრთალი ერნი, რომელიც კიბეზედ ჩადიოდა, რომელმაც გამოსალმებაზედ პასუხი არ მისცა და რომელიც თვალიდამ ეკარგებოდა სრულიად... მაშინ მოაგონდა თავისი საკუთარი სიტყვები, ამას წინად თქმულნი: „ვინ იცის? ამ სამ დღეს უკან რა დაემართება საწყალს ერნს?“ საღამოზედ, როცა თავის ცოლთან იჯდა, გაუმჟღავნა, რომ გულზედ რაღაც მძიმე ლოდი აწევს; უანბო, რაც იმ დღეს შეეტყო ერნისაგან და დაუმატა: „მე ვშიშობ, რომ თავის დღეში ველარსად შეეხვედები“.

ცოლი გულს უშოშმანებდა, მაგრამ ამასვე თვითონაც წინადჰგრძნობდა.

VI

რამდენმამე დღემ გაიარა და ტეტლოუმ ერნის ამბავი ველარა გაიგო რა; ამ დროთა მიმავლობაში მოუვიდა ცნობა ზღვისა და ხმელეთის სამხედრო მმართველობისაგან და ეგ ცნობა სრულიად ამტკიცებდა მას, რაც საწყალმა უამბო თავის მამაზედ და თავის თავზედ.

ერთხელ კვირა დღეს ტეტლოუ საყდრიდამ გამოდიოდა, წინ შეხვდა ზემოდხსენებული გულშემატკივარი ღვდლის ცოლი და იკითხა უბედურის ერნის ამბავი.

— თქვენ არ იცით, რა ძნელი რამ არის იმისთანა ბედკრულს საშველი რამ აუჩინოს კაცმა. თქვენ მაინც მოუხერხეთ რამე თუ არა? სად არის ეხლა ის უბედური?

ტეტლოუ სირცხვილით დაიწვა ამ კითხვაზედ. პასუხისგება, რომელიც სურდა თავიდამ აეცილებინა, ეხლა მთელის თავის

სიმძიმით ზედ დააწვა კისერზედ და მოაგონდა შემდეგი სიტყვა ქრისტესი: „ესოდენ ვერ უძლეთ ჟამ-ერთ მღვიძარებად ჩემთანა“.

რამდენიმე კვირის წინად თვით დარბოდა და ცდილობდა იმ კაცისათვის და აი ეხლა ისე აიცრუა მასზედ გული, რომ არც კი იცის ცოცხალია თუ მკვდარია. კაცმა კაცისათვის მოწყალება ითხოვოს, მოაგროვოს მისთვის ფული და არ იცოდეს კი, სად არის და როგორ არის! საშინელია! ტეტლოუ ამაზედ მეტის სირცხვილით არ დაიწოდა, თუნდა მეეპარა კიდეც ის ფული, რაც მას მიჰსცეს ერნის შესაწევრად.

— მე ცოტა რამ მოვუხერხე... წაიდუდუნა ტეტლოუმ: ხოლო ეხლა არა ვიცი რა, რა დღეშია ჩემი საწყალი მეკობარი. მე ის თვალიდამ დამეკარგა.

— ეგრე მალე? — წარმოსთქვა ღვდლის ცოლმა თავაზიანის ძრახვითა.

ეგ ისევ ის იყო მოკლედ გამოთქმული, რასაც თვითონ ტეტლოუ თავის თავს ეუბნებოდა. მაგრამ კი, როგორც ეტყობოდა, ღვდლის ცოლი ამ ამბავს დიდს მნიშვნელობას არ აძლევდა და ტეტლოუ რომ უფრო დამჯდარის თვისებისა ყოფილიყო, ადვილად გადურჩებოდა თავის სირცხვილსა.

ტეტლოუ შინ დაბრუნდა და ჰგრძნობდა, რომ სინიდისი ჰკბენს.

ერთის თვის შემდეგ ტეტლოუ წავიდა ერნის ეკლესიის გამგებელთან იმ იმედით, რომ იქ მაინც შეიტყოს თავისის საწყლის მეგობრის ამბავი. იქ უთხრეს, რომ ეკლესიის გამგეობამ გამოიძია საქმე, ეკლესიის წიგნებში ამოჩნდა ერნის სახელი და ეხლა მზად არიან საქმე აუჩინონ, რა დღესაც კი გამოცხადდება.

— მაშ, თქვენთან ის არ მოსულა? — ჰკითხა ტეტლოუმ.

— არა, — მიუგო გამგებელმა. — თქვენ ხომ გეცოდინებათ, საცა არის და შეატყობინეთ.

— ერთის თვის შემდეგ მობძანდით, — უთხრა გაკილვით ტეტლოუმ. — და მაშინ იქნება გაცნობოთ, სად იმყოფება ის უბედური.

საუბედუროდ, იმ ბედკრულის ხსენებაც კი აღარსად იყო; იმის კვალსაც ველარ მიხვდნენ. შეწუხდა ტეტლოუ და მიჰმართა თავის ნაცნობებს ნუგეშისცემისათვის. ერთმა უთხრა: „რა ეშმაკად გინდა იმის თავი!“ მეორე უმტკიცებდა, რომ ბოგანა კაცის ხელის გამართვა ლოთობისა და ზარმაცობის ხელის შეწყობააო.

— მე რა დავა მაქვს თქვენს მეცნიერებასთან! — ეუბნებოდა ტეტლოუ, — მე ეს ვიცი, იმ კაცმა ფეხი შემოდგა ჩემს ცხოვრებაში რაღაც განგების ძალითა. იმისი სვე-ბედი რამდენსამე დღეს ჩემ ხელთ იყო. მე შემეძლო მექმნა, რომ ამ ქვეყანაზედ იმასაც ადგილი რამ ჰსჭეროდა. თუ ამას ვერ ვიქმოდი, სუსტს ხელს შემწეობისას მაინც მივაწვდიდი ყოველ იმის სამაგიეროდ, რაც საწყალს დაეკარგნა. და აი, მას შემდეგ, როცა ცოტად ფეხზედ წამოვაყენე, როცა ნახევრამდე დავიხსენ, ხელიდამ გავუშვი და დავკარგე. იქმნება იმის გამო დევნულებთან და ტანჯულებთან მისვლა-მოსვლა რამ მქონოდა... ვინ იცის?

ეს ფიქრი და ყოველივე სახსოვარი, რაც მაგ ფიქრს ზედ მოსდევდა, გულს უმძიმებდა ტეტლოუს. დაებადა მხურვალე, მოუთმენელი სურვილი, რომ ერნი ნახოს, უშველოს როგორმე, მოუაროს როგორც საკუთარს ძმასა. ბევრს ეწვალა, ბევრი შრომა გაჰსწია, რომ ეპოვნა ერნი როგორმე, მაგრამ ყველაფერმა ამაოდ ჩაუარა.

— იმის სიკვდილის ამბავი მაინც შემეტყო, სხვა არა იყოს რა! — დაიძახა თავისთავად ერთხელ, — ეგ ამ არცოდნაზედ უკეთესი იქნებოდა, იმიტომ რომ მაშინ მაინც მეცოდინებოდა, რომ მან ადგილი დაიჭირა ნივთიერებითა საზოგადო წყობაში, მეცოდინებოდა, რომ საწყალმა დასასრულ მაინც თავისი ბინა იშოვნა!

ერთხელ შეიტყო, რომ წყალში დამხჩვალი კაცი უპოვიათ; წავიდა ცხედარის გასასინჯავად, მაგრამ დარწმუნდა, რომ ერნი არ იყო.

როცა ტეტლოუმ უკანასკნელადღა ინახულა ერნი, შიშობდა, რომ ის უბედური დევნას დაუწყობდა. და აი, ეხლა ის ღატაკი სწორედ ჰსდევნიდა... მარტო ძილსა და სიზმარში კი არა, ზოგ-

ჯერ დღითვე, როცა შრომით დაღალული ისვენებდა, მაშინ უეცრად თვალწინ აეტუზებოდა მამა, ორის შვილის დამკარგავი, და ყველრებით სავსეს თვალით უყურებდა თავის ბოლო გაუტანელს მეგობარსა... ზამთრის გძელ ღამეებშიაც, როცა გარედ საშინელი ქარი ღმუოდა და გმინავდა, იგი უბინაო კაცი კვერდ ამოუდგებოდა ხოლმე...

დიახ, ყოველთვის მოეჩვენებოდა იგი, როგორც გამკითხავი და მხილებელი მოვალეობის აუსრულებლობისა.

[1878 წ.]

[ჯ. იაკშიჩი]

შვილი მოხუცებულის ჰამზასი

სერბიული მოთხრობა

I

ამ ჩვენს დროშიაც კარგი და სასიხარულო რამ არის გაზაფხული. ყვავილები ჰყვავიან, ბრწყინავს და თრთის დილის ცის ნამი, ჰყეფს ბულბული და გული, აღსავსე სიყვარულითა და ამოვნებითა, სვამს სწორედ სამოთხის სიტკბოებას. სული კაცისა აღტაცებულია, გული ადვილად და დიდის ნეტარებით ჰფეთქს, ხელნი მზად გაპყრობილ არიან სხვის მოსახვევნელად და სიტკბოებით თრობილი ადამიანი ჰფიქრობს: „ვიშ, რა ტკბილი იქნება, ეხლა სული დალიოს კაცმა მშვენიერის ქალის გულზედაო“...

უფრო ლამაზი, უფრო საამური იყო გაზაფხული წმინდა მეფის ნემანიის[1] დროს. მაშინ სხვა დრო იყო; მაშინ არ იყვნენ მიზეზნი სიხარულთა მოწამლვისა და დაშხამვისა. მაშინ შეუძ-

---

[1] XII, XIII და XIV საუკუნის დასაწყისში სერბიაში მეფობდა ნემანიის გვარეულობა, რომელთა ჩამომავალნიც იწოდებოდნენ ნემანიჩებად. ამათი დრო მეფობისა იყო უკეთესი, უწარჩინებულესი დრო სერბიის ხალხის ისტორიისა. ნემანიჩებმა მოჰსპეს წვრილ-წვრილი სამთავროები და ისეთი ძლიერი სამეფო შეადგინეს, რომ დააფიქრეს თვითონ ბიზანტიაცა. ამათს მეფობის დროს სერბიაში შევიდა ქრისტიანობა.

ლებელი იყო იმისთანა წუთი, რომ კაცის გულისათვის მიზეზა რამ მიეცა ანუ ტირილისა, ანუ რისხვა-წყევისა; არ ყოფილა ისეთი წუთი, რომლის გამოც კაცს სიცოცხლე მოსწყინდება ხოლმე. და თუ მაშინ გული ჰშფოთავდა და ჰღელავდა რისთვის-მე, — ეგ შფოთვა და ღელვა წარმოსდგებოდა ახალის სახელის შოვნის ნდომისაგან, ახალის გამარჯვების წყურვილისაგან... როცა მოხდებოდა ხოლმე, რომ ნათელი შუბლი მეფისა შეიჭმუხვნებოდა და პირმქუშად მაჩრდილობელ წარბთა ქვეშ თვალნი მეფისანი რისხვით გაიელვებდნენ, ვითარცა ელვა შავ ღრუბლებ შორის, მაშინ შეუდგებოდა ხოლმე თრთოლა და ძრწოლა სერბიის მტერთა — ბერძნებსა და მადიართა; ჰგრძნობდნენ, რომ ჭექა-ქუხილი მათს თავზედ აპირობს მოსვლას...

მართალია, ეხლაც ისმის სიმღერა... მაგრამ ეხლანდელი სიმღერები სამწუხარო და სევდიანი არიან. ასე სევდიანი, რომ დედამ უმღეროს შვილს აკვანზედა, ბაშვი ხმას გაიკმენდს და თვით დედა კი გაფითრდება და მთრთოლარე ბაგეთაგან უნებურად მოსწყდება მძიმე და საშინელი წყევლა... სევდიანია, სევდიანი ეხლანდელი სიმღერა!... მოუთმენლობის თრთოლითა და გაბოროტებით ანთებულის სისხლითა ისმენს ეხლა სიმღერებს იუნაკი[2] და ელის, როდის დაჰკრავს საათი შურისძიებისა, საათი სამაგიეროს გადახდისა...

იგი სიმღერა კოსსოვის სიმღერა, სიმღერაა სერბიელთა დამხობისა!

იმ ძველს დროს კი, როცა ყოველი გატარებული საათი სახელისა და გამარჯვების საათი იყო, სულ სხვა სიმღერებს მღეროდნენ ხოლმე... მაშინ უფრო სახელოვანნი იყვნენ საქმენი და უფრო ძლიერ ვაჟკაცნი იყვნენ იუნაკნი! იმ სიმღერებში იყო ქება და დიდება ვაჟკაცობაში გამოჩენილ იუნაკებისა, და ვისაც ერთხელ მაინც ყური მოუკრავს იმ სიმღერებისათვის, ის სამუდამოდ და გაუთავებლად ინატრებს მათს მოსმენას. იმ სიმღერებში ადიდებდნენ სახელსა, თავისუფლებას და ძლიერებას სერბიის ერისასა!...

---

[2] იუნაკი — მეომარს ვაჟკაცს ნიშნავს. სერბიაში ერთმანეთს იუნაკობით იხსენიებენ.

ოჰ, ღმერთო, ღმერთო! სადღა არიან ეხლა ის იუნაკნი? სად არის ის სახელი და ის დიდება? სად არის პრიშტინა წმინდა ნემანიჩების სრა-სასახლითა?.

II

ნემანიჩების გვარეულობის პირველ მეფის მარმარილოს დარბაზში მწკრივად იდგნენ მარმარილოს ლუსკუმები დიდას შვილისშვილის სახელოვანთა მამა-პაპათა: ხელოვანს ხელს სული ჩაედგა მარმარილოსათვის და გამოტვიფრულნი სახენი გამომეტყველებდნენ სიყვარულს, გულმართლობას, სიმტკიცეს და ძლიერებას.

ამათ შორის ბრწყინავდა ოქროს ტახტი, რომელზედაც მთელს ორს საუკუნეს ისხდნენ ნემანიჩები, ერთგულთათვის ჭირისა და ლხინისა მოზიარენი და მტერთათვის — მუსრნი.

აღსავალი ტახტისა მორთული იყო ხალებით, მძივით, ქსოვილით და ოქრომკედით გარშამო ნაკერით. ტახტის ირგვლივ აბრეშუმის ბალიშზედ ისხდნენ იუნაკნი. თვალნი მათნი ბრწყინავდნენ, როგორც დაყუდებულ შუაღამისას ვარსკვლავნი, მომასწავებელნი მალიადის განთიადისა.

ტახტზედ მეფე იჯდა.

აი წყნარად დაიწყეს კვნესა ჩანგის სიმებმა და ახალგაზდა მომღერალი მოჰყვა სიმღერას. სახე მისი უფრო ცხოვლდებოდა გულის სიმხურვალისა და სულის აღფრთოვანებისაგან.

მომღერალი აქებდა და ადიდებდა მეფის სახელსა და მეფე მდუმარედ ყურს უგდებდა; ზოგჯერ ღიმილი მოსდიოდა და მაშინ მისი ნათელი შუბლი გამოკრთოდა, როგორც გვირგვინი, რომელიც ედგა თეთრის თმით მოსილს თავზედა.

თანდათან მაღლა და მაღლა ასწია მომღერალმა და ზარივით ისმოდა სიმღერა მისი; ხან დაბალს და წყნარს ხმაზედ გადმოვიდოდა, თრთოლით და კდომით ჩაიკაკანებდა, თითქო წყლის ნაკადული მორბის და ბუტბუტებსო; ხან ისევ აიმაღლებდა ხმას, გაგიჟებით სცემდა სიმებს; სიმები გრიალებდნენ, მისი ხმა

სჭექდა, თითქო მეხი წამოვიდაო ქუხილის გრიალითა და ელვა-ჭექის ცეცხლის ისრებითაო.

იუნაკნი ყურს უგდებდნენ და თანდათან ცეცხლი ეკიდებოდათ, თვალნი რისხვით აენთებოდათ; მათი მკერდი, როგორც აფორიაქებულის ზღვის ტალღა, ადიოდ-ჩადიოდა ისეთის ძლიერებით, რომ გულზედ რკინის პერანგები დააწყდათ. ხელი ძალაუნებურად მივარდა ხმლის ტარს და ჰლამოდა ხმლის გაშიშვლებას. იუნაკები ააღელვა სიმღერის ლექსმა; სიმღერაში მტერი იწვევდა მათ საომრად; მომღერალის ხმაში მათ მოესმათ კვნესა და გოდება ომში დაჭრილთა, წარმოუდგათ თვალწინ ბოლი, მტვერი, სისხლი და მინდორი, მოფენილი სისხლში მოსვრილ მკვდრებითა... იმათ ეგონათ, რომ ცხენებზედ სხედან კიდეც და წინ მიერეკებიან დამარცხებულს და შეძულებულს მტერსა... წამოვარდნენ ფეხზედ, ძარღვებში სისხლი აუდუღდათ, გულმა მედგრად ცემა დაუწყო და ცეცხლმოკიდებულნი და აფორიაქებულნი მომღერალის სიტყვებითა, ხმადაბლა იძახდნენ: „საომრად! საომრად! ახალის სახელისათვის! ახალის გამარჯვებისათვის!“

მეფე მდუმარებდა.

მომღერალს, რომელიც ყოველის სიმის თრთოლით, ყოველის ხმის აღმოქშენით ასე კარგად და ღირსეულად ადიდებდა სახელსა და ძლიერებას თავის ერისას, კაი ჯილდო ელოდა.

მომღერალმა ნელა და ხმადაბლა დააბოლოვა სიმღერა ამ სიტყვებით:

წვიმასავითა გესლიანი მოდის ისარი,
ხმალი წკრიალებს, შუბი ჭექით შუაზედ ტყდება...
ნეტა რა იქმნენ იუნაკნი? იგი სად არი,
ვინც შურდულთ ქუხილს და ხმლის ელვას წინ დაუდგება?
ნეტა სად არის, ერთის დაკვრით დაგვიმხოს მტერი,
ქეყანა იხსნას, ფარად ექმნას მეფისა ტახტსა!
ნუ გეშის! ისევ ძლიერია სერბიის ერი,
მტრის არ ეშინის, კვლავ მოიქნევს ძლევისა ხმალსა...
მას დიდთა გმირთა გვარის კაცი არ დაელევა,
და აჰა, ჰამზა ძველი კაცი...

შეიძრა გვირგვინი განრისხებულის მეფის თავზედ, შეარყია ტახტი და მეფეს ფერი ეცვალა და ისე გახდა, როგორც მარმარილო, რომლიდამაც გამოტვიფრული იყო სახენი მის მამა-პაპისა. მოხუცებულის ჰამზის სახელი უფრო სძაგდა მეფეს, ვიდრე სახელი თავისის ქვეყნის მტრისა. დიდად სწყინდა, რომ მის გათქმულ სახელთან იხსენიეს სახელიც თავადისა, რომელიც წარმართი იყო.

— ხმა ჩაიწყვიტე, შე წინდაუხედავო! — დაუკივრა მომღერალს მეფემ.

მომღერალი მაშინვე გაჩუმდა, რაკი ასეთის გულისწყრომით უბრძანა განრისხებულმა მეფემ. იუნაკნიც შეკრთნენ მეფის გულისწყრომის შიშისაგან.

ერთი მათგანი წამოდგა და მდაბლად დაღუნა თავისი ჭაღარა თავი წინაშე მეფისა. მან იგრძნო, რომ მეფე განრისხდა მისის სახელის ხსენებაზედ. ჰამზამ თავდაბლად დაუკრა თავი მეფეს და იუნაკებს, რომელნიც ხმაამოუღებლივ და გაოცებით შეჰყურებდნენ, წარმოსთქვა „მშვიდობითო“ და გამოვიდა. მას აქეთ ჰამზა მეფის სასახლეში აღარავის უნახავს.

III

მშვენიერს ვაკე მინდორზედ, რომელზედაც დუდუნით მიგრიალებს სწრაფი მდინარე ტიმოქი, იდგა მაგარი ციხე ჰამზიგრადი. მის შორიახლო მოფანტულნი იყვნენ სოფლები და მოჩანდნენ ახალი მონასტრები, აშენებულნი სერბიის პირველ ქრისტიანთაგან სადიდებლად ახლად მიღებულის სარწმუნოებისა. იქით შორს განზიდულიყვნენ მთის მაღალი ცერები, ტყეებით მოსილნი.

ამ ჰამზიგრადში აუშფოთებლად ატარებდა თავის სიცოცხლის უკანასკნელთ დღეთა მოხუცებული ჰამზა, რომელმანც თავი დაანება სამუდამოდ ბრწყინვალეს კარს მეფისას. ჭაღარა თავი ძირს დაშვებოდა; ისიც კი ემძიმებოდათ ეხლა მის მხრებს, ოდესაც ძლიერთ და მორჭმულთა. მოხუცის ბრძნულს შუბლსა მოჰმატებოდა კიდევ რამდენიმე ნაოჭი. არაერთხელ გულის სიღრმიდამ ამოუკვნესია ოხვრა და შავ თვალთაგან გადმოსდენია

მწარე ცრემლი. ხოლო არავინ მის მახლობელთაგანმა არ იცოდა, რის გამოა ასე მწუხარე და სევდიანი მფლობელი ჰაშშიგრადისა.

ვარნა თვით მოხუცი არ იყო ამ ქვეყნად ობლად დარჩენილი; მასაცა ჰყვანდა ნუგეში, რომელსაც ბევრნი სხვანი შენატროდნენ. იგი ნუგეში იყო მისი შვილი რადიშა. მარტო იგი დაშთომოდა საყვარელის ცოლისაგან, რომელიც ამ შვილის შობიაროაბაზედ გარდაცვლილიყო. მოხუცს სულით და გულით უყვარდა თავისი ერთადერთი შვილი. შეჰხაროდა და სიხარულით ვერ სძღებოდა, შეჰყურებდა და ყურებით სურვილს ვერ იკლავდა.

ახალგაზდა ლამაზი რადიშა ღირსი იყო მამის სიყვარულისა. ჯერ სულ ცამეტის წლისა იყო და უხედნს განადარებულს ცხერს იმორჩილებდა! გადარეულს ცხენს მოახტებოდა და უმიშრად მიაქროლებდა, ხევი დახვდებოდა თუ ხნარცი სადმე, არაყერს მოარიდებდა. მამის მძიმე ჯაჭვის პერანგში ჩამჯდარი ფეხდაფეხ მშველს დაეწეოდა, მფრინავს მერცხალს ისრით შუა გააპობდა, შავარდენს თავზედ არ გადიფრენდა.

ხოლო როცა იუნაკნი შეიყრებოდნენ ხოლმე სალხინოდ და მორიგი თასი ღვინით სავსე ჩამოივლიდა სულის გასამხიარულებლად და გულის გასათბობად, ყველამ იცოდა, რომ ყმაწვილი რადიშაც ხელს წაავლებს მძიმე თასს და უსულოდ დასცლის მოლხინეთა სადღეგრძელოს, როგორც გამოცდილი ძველი ვაჟკაცი; მხოლოდ კი თვალები უფრო განუბრწყინდებოდნენ და უფრო ძლიერ დაუწყებდა ხოლმე ცემას ყმაწვილი გული.

დააყვირებდა ხოლმე რადიშა ვერცხლის საყვირს — დაიწყობდნენ აქეთ-იქით რბენას ბაზიერნი და მეკინიბენი, ძაღლები მოჰყვებოდნენ ხტომას და რამდენსამე ხანს უკან მთებსა და ტყეებში ასტყდებოდა ხმაურობა ნადირობისა, ყეფა — ძაღლისა და თქაფა-თქუფი ცხენის ფეხისა, ერთი ყოფა და ამბაკი.

აჭრიგად ატარებდა თავის დროს მამისერთა შვილი მოხუცებულის ჰამზასი. ნადირობა მისთვის შექცევა იყო, შუბი და ხმალი სათამაშო და ამ სათამაშოთი ართობდა ხოლმე თავის უასაკო გულსა.

მხოლოდ მაშინ კი დაღონდებოდა ხოლმე მისი ნორჩი გული,

როცა მამას უყურებდა და ჰხედავდა, რომ მოხუცებული მამა წელთა სიმრავლითა თანდათან ჭკნება და ჭკნება, როგორც ძველი ჭანდარი, რომელსაც ვერა დააკლეს რა ვერც მეხის დაცემამ, ვერც გრიგალთა ქროლამ, და რომელიც კი წყნარ-წყნარად ხმება და მწუხარედღა არხევს წვერზედ გაშიშვლებულს ტოტებსა.

ბოლოს მოხუცი ჰამზა დაბრმავდა და მით წაერთვა თვისის შვილის ნახვის ნუგეში. მაგრამ, როცა კი მის ხმას ყაიგონებდა — ცრემლნი ლმობიერებისა და სიყვარულისა ჩამოსცვიოდა ხოლმე გამქრალ თვალთაგან. ბებერი ჰამზა ჰგრძნობდა, რომ ბევრი ხანი აღარ დარჩენილიყო წუთისოფლად და თვით ეს წუთისოფელიც შესძაგდა და თვითონ საცოცხლეც მოსწყინდა. ხოლო სწუხდა, რომ საყვარელს შვილს უნდა გამოეთხოვოო; გული სტკიოდა, შვილი უნდა დამრჩეს აქ მსხვერპლად მტრობისა და დევნულებისაო...

ამ მოხუცის თავადის სასახლეში არც ერთი ხატი არ იყო ქრისტიანობის ნიშნად. ზოგიერთს მაშინდელს თავადებს კი ესვენათ სახლში ხატები, რომელთაც ცბიერნი ბერძნები ურიგებდნენ ხოლმე ახლად მონათლულებს. ამ ხატებას მაგიერ ბებერს ჰამზას სახლში იდგნენ ბუთნი წარმართთა ღმერთებისა, რომელთაც ჰლოცულობდნენ ჰამზას მამა-პაპანი და რომელთ წინაშეცა თვით ჰამზას ხშირად მუხლმოდრეკით აღმოუთქვამს თავისის სულის მწუხარება. არამც თუ თვით ჰამზა იყო მხოლოდ წარმართი, არამედ ყოველნი მისნი მხლებელნიცა, შინამოსამსახურენი და თვით სტუმარნიც, რომელნიც ეწვევოდნენ ხოლმე ჰამზიგრადში, ვერა სცნობდნენ ღმერთსა ქრისტიანებისასა.

მოხუცს გასჯიქებოდა კიდეც გული და მაღალი მცნება ქრისტიანობისა მას ვეღარ მიეკარებოდა: იგი გარდასრული იყო და ბრმა. იგი შენატროდა მხოლოდ წარმართთა ღმერთებს, ღმერთებს ომისას და ბრძოლისას და თაყვანს სცემდა მამა-პაპის ღმერთების ბუთთა.

ერთხელ დილით ჰამზამ მოიხმო შვილი, გადუსო ალერსით ხელი შუბლზედ, რომელზედაც ჯერ სევდას და მწუხარებას არ

დაეჩნივა თავისი ნიშანი, და უთხრა ნელისა და მისუსტებულის ხმით, რომელიც აღსასრულის მოახლოებას მოასწავებდა.

— მიიღე ჩემგან ლოცვა და კურთხევა, შვილო ჩემო! ღმერთნი შენთა წინაპართა, ღმერთნი, რომელნიც მრავალ საუკუნეს ჰპატრონობდნენ და ჰფარავდნენ სერბიის ერსა და რომელთაც თაყვანს ვცემდი მე, იყვნენ მფარველ და მეოხ შენი, ჩემო კარგო! შენ გული გაქვს გმირისა! ემსახურე შენს ქვეყანას და შენს მეფეს, — და როცა საყვირი ბრძოლისა მიგიწვევს შენ საომრად, წადი და გულდაგულ დახვდი რაზმსა მტრისასა. ეგ იმისთანა თავგანწირვაა, რომლისათვისაც ღმერთნი შენთა მამა-პაპათანი მიანიჭებენ ხოლმე კაცს სამარადისო სახელს და დიდებას. შვილო ჩემო, ნუ დაივიწყებ ჩემს ანდერძს! ნუ ჰგმობ და ნუ უღალატებ შენთა წინაპართა ღმერთებს! ნუ ჰგმობ და ნუ უღალატებ შენს სამშობლო ქვეყანას და შენს მეფეს: გმობა და ღალატობა წყეულია მთელის ქვეყნისაგან! ხოლო მოერიდე მეფის კარსა და სიკვდილი გერჩივნოს, ვიდრე ნახვა იმ ტახტისა, რომელზედაც სხედან ნემანიჩების შთამომავალნი. მეფეს ეჯავრები შენ იმიტომ, რომ შვილი ხარ დაცემულის მთავრისა; შენ ეჯავრები მას იმიტომ, რომ თაყვანს არა სცემ იმ ღმერთს, რომელსაც სცემენ მეფენი ნემანიჩების გვარისანი. კურთხევა შენდა, ჩემო შვილო!

ბებერი ჰამზა გარდაიცვალა.

დაიკეტა რკინის ჭიის-კარნი ქალაქისა და შავად შეიღება მგლოვიარობის ნიშნად; დადუმდა ხმა მონადირეთა; მხლებელნი შავად შეიმოსნენ, თმა და წვერი გამოუშვეს; გუშაგნი შუას ატარებდნენ, წვერით ძირს დაშვებულს და თავადთა ქუდის თეთრი ფრთა შავზედ შეიცვალა. თითქმის ცხენებიც კი, როგორღაც, გლოვის ხმით ჭიხვინებდნენ თავიანთ გომურებში.

ჭაბუკი რადიშა დაღონებული და შეწუხებული დადიოდა მამის ქალაქში. სახე გაუფითრდა და შუბლზედ დაეწერა მძიმე ფიქრნი, რომელთაც გარემოიცვეს ეხლა კი მისი სული. თუ დაინახავდა ხოლმე იუნაკებს სადმე ერთად მსხდართ, მიეიდოდა ისიც იშვიათად, მიუჯდებოდა ხოლმე მათს წრეს და დიდის წყურვილით ყურს უგდებდა ხოლმე მათგან ნაამბობს ამბაჟს თავიხის მამის საქმეებისას.

ერთს დილას, როცა ბრწყინვალება ამომავალის ცისკრისა ჯერ კიდევ ებრძოდა ღამის სიბნელეს, როცა ბაღანაღ ჯერ კიდევ თრთოდა ცის ნამი და რადიშას მჭმუნვარე ოკალებში ბრწყინავდა ცრემლი და გაფითრებულ ბაგეთაგან გაძვისმოდა სევდიანი ოხვრა, სევდიანი, როგორც ყეფა ბულბულისა, რომელიც მიყრუებულ ღამეში დაჰკვნესის თავის დაქცეულს ბუდეს, მაშინ-მეთქი, — რადიშას ნატკივარ გულიდამ უეცრად აღმოხდა ხმა სანადიროდ გაწვევისა. მამის შემდეგ ეს პირველი ნადირობა იყო.

გაისმა თუ არა რადიშას საყვირის ხმა, ასტყდა ერთი ფაცაფუცი მოსამსახურეებისა, ქორებმა ფრთები გაიშალეს, ცხენები მხიარულებით შეტოკდნენ და ძაღლთა ზარიანი ყეფა გაიფანტა დილის რიჟრაჟის მყუდროებაში.

სულ მზად იყვნენ.

და, აჰა, გაიხმაურა მთამა და ბარმა. შორს ისმოდა გიჟური ჭენების ხმა მონადირეთა ცხენებისა. მგელი, შიშით გალეული, ხშირ ტყეში მირბოდა დასამალავად, გახურებული ძაღლები ჩარბოდნენ და ამორბოდნენ ხეებიდამ და ხან სირბილით გამალებულნი იშვერდნენ ფეხს და სკუპით გადავარდებოდნენ ხოლმე კლდე-ღრეში.

მონადირენი უფრო და უფრო შორს მიდიოდნენ და მათის ძახილით და ყვირილით ტყე ხმაურობდა.

შორს წავიდნენ მონადირენი, მაგრამ ყველაზე წინ და შორს ჭაბუკი რადიშა წავიდა. მას უნდოდა, რომ გაცოფებულ და გიჟურ ჭენებით მოეკლა თავისი წუხილი გულისა და უკან ამხანაგებს აღარ მოჰხედა. იგრძნო თუ არა თამამმა ცხენმა, ჩემს ნებაზე მიმაგდესო, გაფრინდა როგორც ფრინველი. ბევრი კლდე-ღრე გადიარა, ბევრს ხევზედ გადავიდა როგორც ქარი; ბევრს ხანს მირბოდა ტყე-ტყე ცხენი, მაგრამ რადიშამ მაინც არ აუკრიფა სადავე დასაყენებლად და ერთხელაც არ შეშინებია იმ უცნობის და ხამის ადგილებისა. მაინც მძიმე ფიქრნი ვერ დაივრთხო, ვერ მოიშორა თავიდამ ჭაბუკმა მხედარმა და სულ მიარბეინებდა და მიარბეინებდა ცხენს გაფოთებით. ხან ის ფიქრები ჩამოეცლებოდნენ და მაშინ რადიშა სტკბებოდა ახალის ადგილების სილამაზის ხილვითა.

მიაჭენებდა ცხენს რადიშა და უეცრად თვალწინ წამოუდგა მშვენიერი, ყვავილოვანი ველი, იმისთანა, რომელიც მოეჩვენება ხოლმე სიზმრად უშფოთველს და მშვიდობიანს სულს. დაინახა ლიმონისა და თურინჯის ხეები, მათზე ასული ვაზები; ხშირ მწვანეთა შორის წითლად ღვიოდნენ ვარდები; ყურთ მოესმა მშვენიერი ყეფა ბულბულისა და მურმური წყაროსი; ოქროსფერი თევზები მჭვირვალე წყაროში თამაშობდნენ და დიდთა მუხათა მაგრილებელ ჩრდილოში მოჩანდა სათავე მეფის სრასასახლისა.

რადიშა გაოცებული შედგა; ყველაფერი, რასაც ჰხედავდა, ხამად და უცნაურად ეჩვენა. „რა ვქნა? ეს სამოთხეში ვარ, თუ რა არისო“, — იფიქრა. რადიშას შეეშინდა კიდეც ამ მშვენიერის სანახავისა: ველარც თვალის მოშორება შესძლო და ველარც უკან დაბრუნება, მაგრამ რაც მოულოდნელად და უეცრად თვალწინ გამოეცხადა, იგი უფრო უმშვენიერესი იყო ყოველსავე მასზედ, რასაც წუთის წინად ასე ძლიერ შენატროდა.

იგი იყო მშვენიერი ახალგაზდა ქალი, იმისთანა ქალი, რომლის მსგავსი რადიშას არასოდეს არ ენახა და რომლის წინაშე ყოველი ადამის შვილი მუხლს მოიყრიდა და სიყვარულის სიტყვებს კი ვერ გაუბედავდა. იგი მხოლოდ სასოებით და თაყვანისცემით დაუწყებდა ყურებას ხმაგაკმენდილ აღტაცებითა, როგორც ციდამ მოვლენილს მოჩვენებასა.

რადიშას ძლიერ დაუწყო გულმა ცემა; უნდოდა ეთქვა რამე, მაგრამ ენა არ დაემორჩილა, თუმცა აზრით კი ეუბნებოდა მშვენიერს ქალსა: „ზე აიხედე მაგ მშვენიერის თვალებითა, ჰოი, ღმერთავ, და შემომხედე მე. გამიცოცხლე სული ჩემი შენის ღვთიურის შემოხედვითა!“

რადიშას მოაგონდა ბოლოს, რომ ეს სახე სხვა დროსაც უნახავს. სახელდობრ, იმ ღამეს, როცა თავთ ეჯდა სულთმობრძავს მამას, ქვითინებდა და სწყევლიდა თავის გაჩენის დღეს, თითქო წინადჰგრძნობდა, რომ მამის შემდეგ სიცოცხლე მისი მოწამლული იქნება მწუხარებით და მარტოობითა. სწორედ იმ ღამეს, როცა სევდა ისე ძლიერ მოაწვა გულზედ, რომ აღარ იცოდა, რა ექმნა, მაშინ უეცრად მოევლინა საკვირველი მოჩვე-

ნება, წარმოუდგა თვალწინ მშვენიერი ახალგაზდა ქალი, რომლის ციურმა ღიმილმა სწრაფლად შეუშრო ცრემლი და საშინელი წვა სულისა შეუსუბუქა. იგივე მშვენიერი ქალი ეხლა ხელმეორედ ედგა თვალწინა.

ეს მშვენიერი დანაბადი იყო კრინა, სერბიის მეფის მამისერთა ქალი, რომელიც, როგორც წმინდა წვეთი ცის ნამისა ვარდის ყვავილის ფოთოლზედ, ისე წმინდად და საიუოად იზრდებოდა თავისის მამის სასახლეში. იმისთანა სურვილი რა იქნებოდა, რომ მის ხნიერს მეფეს, მის მამას, მაშინვე არ აესრულებინა.

ის ადგილი, რომელმაც თავისის სიტურფით და სიუხვით გააოცა რადიშა, მეფის ქალის კრინას საკუთარი ბაღი იყო; აქ მარტო მისთვის ჰყვაოდნენ და სუნნელობდნენ ვარდ-ზამბახნი, ბულბული მარტო მისთვის ჰგალობდა, მშვენიერი და დიდრონი ხეები მარტო მისთვის დააყენებდნენ ხოლმე ჩრდილსა და გრილოს. რადიშას ცხენი გაქვავებულივით უძრავად იდგა მეფის ქალის წინაშე და თვით რადიშაც გულისკდომით ელოდდა, აცა, ან ეხლა შემომხედავს და ან ეხლაო.

კრინამ შემოჰხედა. თვალნი მისნი ღამეზე უფრო ბნელნი იყვნენ და სახე უმტვერო თოვლზედ უფრო თეთრი ჰქონდა. შავი ნაწნავები გველებსავით ეყარა თოვლივით თეთრს მხრებზედ იმ ხორციელს ანგელოზსა.

— სწორედ ის არის, ის! მაშ სიზმარი კი არა ყოფილა, ცხადი იყო, როცა მე ეს პირველად ვნახე. ჩემი მაცხოვარი, ჩემი სიცოცხლე ეგ არის! ოჰ, ღმერთო, ღმერთო, — იძახდა მთრთოლარე გულში ნეტარებით სავსე რადიშა.

კრინამ შემოჰხედა და გაწითლდა. თვალნი განუბრწყინდნენ, როგორც გაზაფხულის მზე ღრუბლებ შორის და ალისფერი ტუჩები აუთრთოლდნენ. რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ხმამ ულალატა: იგი ვერ ჰპოულობდა სიტყვას თავისის გრძნობის გამოსათქმელად. კრინას ეგონა, რომ მის წინაშე სდგას ხორციელი ადამიანი კი არა, რაღაც სულიერი, ციდგან მოვლენილი.

— საიდამა ხარ შენ, უცნობო ყმაწვილო კაცო? — ძლივს წარმოსთქვა ბოლოს კრინამ და ხმა მისი იყო ისეთი საამო და

ნარნარი, როგორც ღულუნი გვრიტისა: შენ მამიჩემის კარისკაცი არა ხარ? მისთა თავადთა შორის შენ მე არ მინახავხარ...

რადიშამ თავისი მწვავი თვალი თვალში გაუყარა; კრინამ ამ თვალთა სიმწვავეს ვერ გაუძლო, აირია და თავი ჩაღუნა. მერე კი ისევ აიხედა მაღლა და შეხედა რადიშას, თითქოს უნდაო, საუკუნოდ დასტკბეს რადიშას თვალთა მომხიბლავის ძალითაო.

— მე ვთხოვ მამაჩემს, შენს მეფეს, რომ მიგიღოს სასახლეში დიდებულთა შორის, უთხრა კრინამ; — შენ ისეთი მშვენიერი რამა ხარ...

ახალგაზდა მხედარი გაფითრდა, ენაზედ შეაკვდა პასუხი... მსწრაფლ მოატრიალა ცხენი და როგორც ფრინველი თვალთაგან დაიკარგა.

მეფის ქალმა მწუხარებით გააყოლა მხედარს თვალი, მკლავები ჩამოჰყარა, თითქო დაუდუნდაო და სახიდამ მსწრაფლად გაუქრა ლამაზი ვარდისფერი...

რადიშა ამას იქით აღარ ნადირობდა. თავის მამის საფლავის სანახავადაც კი მოიშალა სიარული. აღარც ცრემლი მოსდიოდა და აღარც ოხვრა-კვნესა.

დაუჟანგდა მძიმე რკინის აბჯარი, დაუჟანგდა ბრწყინვალე რკინის პერანგი; სქელი მტვერი დაედო ცხენის იარაღსა. ამ ქვეყნიერობაზედ აღარაფერი არ იტაცებდა რადიშას გულს, აღარაფერი ესიამოვნებოდა. მას ერთის ნახვით შეუკვარდა კრინა და მზად იყო სიცოცხლე მიეცა, რომ ერთხელ კიდევ თვალით ჰნახოს, ჰნახოს და იქავ მოკვდეს კიდეც.

ბოლო წელიწადი წელიწადზე მიდიოდა და რადიშა მამის ანდერძისა გამო ვერ ჰბედავდა მეფის კარზედ მისვლას, თუმცა იქ ჰნახავდა თავის ღმერთას — თავის გულის სანატრელსა.

V

მეფის სრა-სასახლე ძალიან გაჩაღებული იყო; მდიდრად მორთულნი მოსამსახურენი გარბოდნენ და გამორბოდნენ ღიდს დარბაზში; მრავალნი თავადნი სერბიის სამეფოსანი ჯგუფ-

ჯგუფად წინ და უკან დაიარებოდნენ მდიდრად მოფენილ ხალებზედა.

საბჭო დარბაზში ისხდნენ ტახტის დედაბოძნი-უხუცესნი სერბიის ხალხისა. მოუთმენლად ელოდნენ, რომ მეფემ ბრძანოს რამ ტახტიდამ და ბჭობა გაიმართოსო.

მეფე წამოდგა ფეხზედ და მრისხანებით წარმოსთქვა:

— მეფე მთელის საბერძნეთისა, ბოლგარიისა და სერბიისა ჰთხოულობს ხარკსა ურჩთა სერბთაგან!

მთელს დარბაზში ერთბაშად გაიხმაურა გულისწყრომის ხმამ; რისხვამ გაუელვა თვალებში ამ მოხუცთა კრებას და მეფემ ხელახლად დაიწყო:

— ომს ირჩევთ, თუ ხარკის მიცემას? — ჰკითხა მეფემ.

— ომს, ომს! — დაიგრიალა კრებამ, დედაბოძმა ტახტისამ.

— ომს! — ამბობდა გულისწყრომით ანთებული თვალი, — ომს! — წკრიალებდა ხმალი, ქარქაშიდამ ამოწვდილი.

— მაშ ომი იყოს და სრვა მტრისა! — დაასკვნა მეფემ.

. . . . . .

პრიშტინაში წინანდელი უდარდელი მხიარულება შესწყდა; ეხლა ქალაქის ქუჩებში დაიარებოდნენ შეიარაღებულნი იუნაკნი, თავადნი, მორთულნი აბრეშუმსა და ოქრომკედით ნაკერის ტანისამოსითა. იგი იყო მხედრობა, რომელთაც წინ ედვათ დამარცხება გაზვიადებულის ბერძნისა.

იუნაკთა შორის რადიშაც იყო; იგი ერთგულობით შერჩა თავის სამშობლო ქვეყანასა და თუმცა ჯერ ჭაბუკი იყო და ამასთან ძალიან მდიდარი, მაგრამ უხაროდა, რომ თავის ყმაწვილკაცობაშივე თავს დასდებს თავის ქვეყნისათვის.

მოხუცებულის ჰამზას შვილს გულმკერდს უშვენებდა რკინის პერანგი, ოქროთი დაფერილი, საომარს ჩაჩქანზედ გადმოშვებული ჰქონდა ფრთა, ძვირფასის თვლებით შორთული. გვერდზედ ეკიდა ხმალი მდიდრად შემოსილი. თვალები მისი უნდა გენახათ, თვალები!... რამდენს მშვენიერს ქალს მდიღარის პრიშტინისას ამოუოხვრია იმ თვალებისათვის, მაგრამ კი ვერცერთს ვერ გაებედნა შიგ ჩახედვა, იმ წყვდიადსავით ბნელ თვალებში!

რადიშა იყო მშვენიერი, როგორც ღმერთი, თავმომწონე როგორც არწივი, რომელიც თამამად თვალს უსწორებს მზეს, თავისუფალი როგორც ლომი, რომელმაც არ იცის, რა არის ხუნდი, და ტანადი, როგორც კვიპაროსი.

მარტო ერთი რამ აწუხებდა რადიშას. როცა მეფის სრა-სასახლის ახლო გაივლიდა, რაღაც უცნაური ხმა ჩასჩურჩულებდა ხოლმე ყურში: „მეფეს შენ სძულხარ და ეჯავრებიო. შენ არ გწამს იგი ღმერთი, რომელსაც თაყვანს სცემს შთამომავალი ნემანიჩისა!“ რადიშა ჰძრწოდა, სული ყელში უგუბდებოდა. ხოლო გული მიუწევდა ნახვად იმ სამეფო ტახტისა, რომლისათვისაც მამამ ანდერძად დაუდო თავის დადება საომარს მინდორზედ და რომელსაც იგი იმავ ანდერძით ახლოც არ უნდა მიჰკარებოდა.

მზე დაწურვაზე იყო; უკანასკნელნი სხივნი თანდათან ჰქრებოდნენ წითლად მღვიმარე ცის კამარაზედ. შვილი ჰამზასი მჭმუნვარის სახით შეჰყურებდა ჩამავალს მზეს, თითქო სიცოცხლეს ესალმებაო. თვითონაც ვერ გაიგო, როგორ მოხდა, როცა თავის თავი უეცრად დაინახა მეფის ქალის კრინას ბაღში. მთელს პრიშტინში რადიშას არც ნაცნობი ჰყვანდა, არც მეგობარი, გარდა ამ ოქროვან სხივებისა და წითლად მღვიმარე ცისა. მარტო ამათ უმჟღავნებდა თავის გულისტკივილსა.

ობოლი იყო, ობოლი! მას გაახსენდა თავისი დაპარხული ბედნიერება — მოხუცებული მამა; მას წამოუდგა ტიმოკი აბიბინებულის ნაპირებითა, ნავარდი ნადირობისა და ქორ-შავარდნისა. ფიქრში გაუარა იმ წყარომ, საცა შეხვდა კრინას, გაუარა დაუვიწყარმა შემოხედვამ კრინას შავ თვალებისამ. რადიშამ თვალები დახუჭა და თვალწინ წარმოუდგა, როგორც ცოცხალი, მეფის ქალი, შუქშესხმული ჩამავალის მზის სხივებითა; იგი უღიმოდა რადიშას ანგელოზის ღიმილითა და ისე წყნარად უოხვრიდა გული, თითქოს საღამოს ნელი ნიავი ჰკვნესისო.

რადიშამ თვალი აახილა. მის გარემო მწუხრი ჩამოვარდნილიყო საოცარის ზაფხულის საღამოსი; ხოლო მან თვალი არ ათხოვა იმ საღამოს შვენიერებას, იგი ეჩვენებოდა მას საბნელეთად. ჭაბუკის იუნაკის გონება მიჰქროდა მეფის ქალისაკენ და ამ ყოფაში ფიქრადაც არ მოსდიოდა, რომ იგი ქალი იმ წუთში მის ახლო იყო.

მას აქეთ, რაც რადიშა მამეულის სახლიდამ წამოვიდა, ეს მეორედ ამოდიოდა ახალი მთვარე. ამ ხანში მოხსენებულის ჰამზას შვილი ყოველდღე ჰხედავდა ხოლმე სრასასახლეს სერბიის მეფისას, მაგრამ არ იცოდა კი, რომ მარმარილოს ოთახებში მისთვის ჰკვნესდა მისი ღმერთა შვენიერებისა.

ცა მოიკაზმა ვარსკვლავებითა; სადღაც ჰგალობდა ბულბული, ყველგან დუმილი იყო; ერთი ფოთოლიც არ ირხეოდა; შეუშლელად ისმოდა მხოლოდ ერთი გალობა შუაღამის მგალობლისა. ამ დროს მოისმა ნელი ფეხის ხმა... რადიშა შეჰკრთა, გულის ფეთქა დაუდგა, ძარღვში სისხლი გაუშრა.., მის წინ კრინა იდგა!...

— ჩემო ღმერთავ! — შესძახა რადიშამ და დაეცა მუხლებზედ: განა შენ არა ხარ იგი ბუთი, რომელსაც თაყვანს სცემენ, ვითარცა ღმერთს, ჩემნი წინაპარნი? მეც უნდა გიწამო და თაყვანი გცე!... იქნება შენ ხარ მოციქული იმა ღმერთისა, რომელსაც თაყვანსა სცემს მეფე ჩემი?... იქნება შენ სირინოზი ხარ?... თუ აგრეა, მომიღე ბოლო!... ხოლო თუ შენ ხორციელი ხარ... შემიყვარე მე!

მეფის ქალს თრთოლა მოუვიდა, შებარბაცდა, წაქცევას ჰლამოდა. მაგრამ რადიშამ მკლავები გაშალა და იგი შვენიერება მიეყრდო მის გულ-მკერდსა.

კრინა ჰთრთოდა, როგორც ფოთოლი ქარისაგან; მხურვალე კოცნამ იუნაკისამ გაფითრებული სახე წითლად აუნთო.

ეს წუთი იყო წუთად განუზომელისა, უსაზღვრო რეტარებისა, რომლის შემდეგაც ჩვეულებრივი ცხოვრება უფერულია და უგემური.

— ერთხელ კიდევ მიგიკრა გულზედ, ჩემო სიხარულო, ჩემო სიცოცხლევ!... ერთი კიდევ მაკოცნინე... — ევედრებოდა რადიშა.

— მითხარ, ვინა ხარ, ვინ? — ჰკითხა მეფის ქალმა. — მე მიყვარხარ, მიყვარხარ! მე მეფის ქალი ვარ! ჩემის სიყვარულისა არავინ არა იცის რა, არც მეფემ, არც ერმა... მაგრამ დასამალავი აქ არა არის რა. რისთვის უნდა დავუმალო ვისმეს ჩემი სიყვარული?..

— მე ვარ შვილი მოხუცებულის ჰამზასი, — უპასუხა რადიშამ თრთოლვით.

კრინა შეძრწუნდა. სახელი, რომელიც აწ მოისმინა, არ იხსენიებოდა მის მამის სასახლეში; ვერც ერთი დიდებული ვერ ჰბედავდა იმ სახელის ხსენებას. კრინამ ეს იცოდა; ისიც იცოდა, რომ მისი სატრფიალო შვილია წარმართისა და კერპთმსახურისა... იცოდა ეს ყოველი, მაგრამ მით არ შემცირებია ერთხელ აღზნებული სიყვარული მისდამი.

— მე ქრისტიანი ვარ, — წარმოსთქვა აუჩქარებლად მეფის ქალმა, — ხოლო შენ კი? შენ კერპთმსახური ხარ? შენ შენი ღმერთები გყავს?...

— დიაღ, შენ ხარ ღმერთი ჩემი! შენს მერმედ მე მყავს კიდევ ღმერთი ბრძოლისა, ღმერთი მშვიდობიანობისა, ღმერთი ნათელისა, ღმერთი წყვდიადისა, ღმერთი მძულვარებისა და ღმერთი სიყვარულისა!

— ჩვენს სარწმუნოებაში ეგ ღმერთები არ არიან! ჩვენ ერთი ღმერთი გვყავს! მაგრამ სიყვარული შენი საუკუნოდ იცხოვრებს ჩემს გულში!...

კრინამ სთქვა ესა და თავი თვისი მიაყრდნო ჭაბუკის გულსა.

. . . . . , ...

სერბიის მხედრობა წავიდა საომრად.

საშინელი ომი მოუხდათ; სერბიელნი ომობდნენ თავისის ქვეყნის თავისუფლებისა და სახელისათვის; დიდებას გვირგვინი დაედგათ თავზედ მათ, რომელნიც დაიხოცნენ იმ უწმინდაესს ომშია!...

VI

მეფის სრა-სასახლეში ხმაურობა შესწყდა და ყოველსა მწუხარების ფერი დაედო; ისინი, რომელნიც ამხიარულებდნენ აქაურობას, ეხლა შორს იყვნენ; მხოლოდ იშვიათად კი მეჩანგეები მოვიდოდნენ ხოლმე და გალობით ადიდებდნენ სახელსა და ვაჟკაცობას, რომელნიც სერბიელთ შეიძინეს ახალს ბრძოლაშია.

კრინა ისმენდა ამ სიმღერებს მეჩანგეებისას, ხშირად მამის სახელსაც გაიგონებდა ხოლმე, ქებით სიმღერაში ჩართულს, მაგრამ ყოველს ამ ქებას გულგრილად მიიღებდა; ერთი მარცვალი ცრემლიც არ წამოსდენია თვალთაგან. ხოლო როცა ჭაბუკმა მომღერალმა ერთხელ დაიწყო ქება და დიდება რადიშას ვაჟკაცობისა, მაშინ კი კრინას აუთრთოლდა გული და წამოჰყარა თვალთაგან ცრემლი.

მომღერალი ამას მოსთქვამდა:

„რკინის პერანგზედ ცემით შუბნი ზე იმსხვრევიან,
სისხლში მოსვრილ ხმალთაგან ნაპერწკალნი ცვივიან...
უწყალოდ სრვენ ცხენს და კაცს შუბები და ისარნი,
ცხენიდგან ძირს ცვივიან იუნაკნი, მხედარნი.
აჰა, მოჰქრის რადიშა, მტერს არღევევს ვით გემი ზღვას,
მაგრამ უწყალო ხელი გულში უმიზნებს ისარს,
მოხვდა და, ვაი ღმერთო, ის ჭაბუკი ვაჟკაცი
გადმოვარდა ცხენიდამ...“

მეფის ქალმა ვეღარ შესძლო შემდეგის მოსმენა; სახე გაუფითრდა და დაეცა გულშემოყრილი.

ჯარი შინ დაბრუნდა.

მეფის სასახლეში დიდი ნადიმი გაიმართა. შეიკრიბნენ იუნაკნი, რომ მეფის ხელიდამ მიიღონ ჯილდო ვაჟკაცობისა. ხოლო მათ შორის არ იყო იგი, ვისთვისაც მეფეს მოემზადებინა ყველაზედ უკეთესი და უწარჩინებულესი ჯილდო, — სახელდობრ, ხმალი მოჭედილი ალმასებითა და ძვირფასის თვლებითა. იმ დროს იმისთანა ხმლებს ატარებდნენ მხოლოდ მეფენი და სპასალარნი.

ეს ჯილდო ამორჩეული იყო თვით მეფის ქალისაგან, რადგანაც წინადვე ჰგრძნობდა, ვინც იქნებოდა მისი ღირსი. კრინას დიდი ხანია უნდოდა გაემჟღავნებინა თავისის მამისათვის სახელი მისი, ვინც ეგრე მხურვალედ უყვარდა; უნდოდა გაემჟღავნებინა, რომ სიკვდილს ვირჩევ და იმის სიყვარულის და-

ვიწყებას კი არაო. კრინა ფერმკრთალად იყო, როგორც ზამბახი და სხვილი ცრემლი ჩამოსდიოდა მარმარილოს ლოყებზედ.

— ღმერთო ჩემო! ნუთუ ომში მომიკლეს!.. — თრთოლვით და კანკალით ამბობდა ნელის ხმით კრინა.

— იგი აღარ არის, არა! — ერთმანეთს ჩუმად ეუბნებოდნენ იუნაკნი, ომიდამ დაბრუნებულნი.

— ის ცოცხალი არ უნდა იყოს, არა! — ამბობდნენ მწუხარებით დიდებულნი, რომელთაც ენახათ გალომებული ვაჟკაცობა რადიშასი.

მეფე წამოდგა ფეხზედ ტახტიდამ და გადაავლო რა შეწუხებული თვალი ყველას, ბრძანა:

— სად არის იგი, რომელმაც დაიმსახურა ყველაზედ უმაღლესი ჯილდო? რომელიც ყოველთვის იქ იყო, საცა მოსისხარი ხმალი მტრისა უფრო ძლიერ მოქმედებდა! რომელიც სახელოვანის ვაჟკაცობითა გაუსწორდა თვის წინაპართა! ვინ არის იგი? და რატომ არ არის იგი დღეს ჩვენთან?

— იგი რადიშაა, შვილი მოხუცებულის ჰამზასი, — უპასუხეს მოხუცთა დიდებულთა, რომელთაც ჰშურდათ, რომ რადიშამ მათს შვილებზედ უფრო დიდი სახელი იშოვნა.

ამ სიტყვებზედ მოიღრუბლა მეფე, თითქო ბნელი ღრუბელი მოადგა შუბლზედაო. კრინამ მწუხარებით ჩაჰკიდა თავი, გამოვიდა დარბაზიდამ და წავიდა ცალკე, რომ თავისუფლად მიეცეს თავისის სევდის ცრემლსა.

ამ დღიდამ მეფის ქალმა დაიწყო ჭკნობა, როგორც ნაზმა ყვავილმა. იგი თავის მოახლეებს აღარ ელაპარაკებოდა ისე მხიარულად, როგორც ადრევ; აღარ იცინოდა; აღარავისთვის არ შეუჩივლია თავისი გულისტკივილი და ნორჩ გულშიკე ჰკლავდა კვნესას და ოხვრასა.

მოხუცი მეფე სწუხდა, რაკი ჰხედავდა, რომ მისი მამისერთა ქალი დღედადღე სანთელივით დნება რაღაც უცნაურის კაეშნისა გამო.

ერთხელ მეფე ფეხთ უჯდა კრინას, ავადმყოფად მწოლარეს. კრინას ეძინა: მისი სახე ზამბახზედ უფრო ფერმკრთალი იყო. ცრემლი ჩამოსცვივდა ბებერს მამას თვალთაგან, მძიმედ ამოი-

ოხრა და აკოცა ფერმკრთალს შუბლზედ თავის საყვარელს ქალსა. კრინას გამოეღვიძა, ისევ ბურანში იყო, რომ დაინახა თავისი მტირალი მამა და წყნარის ხმით წამოსთქვა:

— შენ რადიშა არა ხარ!... გამეცალე, გამეცალე!... მე მარტო ის მიყვარს!.. რადიშა მოუკლავთ! მეც მინდა მოვკვდე!

მეფის ლოყაზედ ცრემლი თითქო გაიყინაო; მეფე ხან ჰფითრდებოდა, ხან ჰწითლდებოდა; მსწრაფლ წამოდგა და წავიდა იმ განზრახვით, რომ თავის დღეში აღარ ინახულოს თავისი ქალი, რომელსაც შეჰყვარებია შვილი მოხუცებულის ჰამზასი.

VII

ერთს დაბურულს და მიყრუებულს ტყეში, საცა ხეთა სიხშირე ძირს არ უშვებდა მზის სხივსაცა, საცა არ სმენილა თავის დღეში ფრინველის გალობაცა, იქ ერთი ბნელი და უდაბური ნაპრალი იყო. მხოლოდ მაშინ გაიხმაურებდა ხოლმე ეს უდაბური ადგილი, როცა დაიქროლებდა გრიგალი და ხეთა წვერს, როგორც საქანელს, აქანებდა. მხოლოდ მაშინ კი ის უდაბნო ხმას ამოიღებდა და ისმოდა საშინელი გრგვინვა გრიგალისა, უზარმაზართა ხეთა რხევის შუილი და მიკიოტის ძახილი. იმ უდაბურ ნაპრალის პირზედ იდგა ქვითკირის ციხე, საცა შეამწყვდევდნენ ხოლმე მამულის მგმობელთა და ეკკლესიისაგან შეჩვენებულთა. ამ ციხის ძველ კედლებს შორის თავის დღეში არავის სმენია სიტყვა შენდობისა და მიტევებისა; მხოლოდ წყევა-ქოქვა იყო წარწერილი შესისხლულის ასოებით ამ ციხის ნამიან თლილ ქვებზედა. რკინის კარი ამა ციხისა მარტო იმისთვის გაიღებოდა ხოლმე, რომ მიიღოს ახალი მსხვერპლი და იმწამსვე ისევ დაიკეტოს მისთვის საუკუნოდ.

აი ეხლაც გაიღო იგი კარი და სამმა კაცმა მოიკვანეს რკინის ჯაჭვით მეფისაგან შერისხული მსხვერპლი იმ განზრახვით, რომ იმ უბედურმა თავის დღეში აღარ ინახულოს ვარსკვლოვანი ცა, აღარ ინახულოს მზის სხივი, აღარ გაიგონოს სიტყვა შეწყალებისა... მეფემ ამისთანა სასჯელიც დასდვა, რომ არასოდეს არ ინახულოს მშვენიერი მეფის ქალი — კრინა, ის მსხვერპლი რადიშა იყო.

მზე ჩადიოდა და ღამე წყნარ-წყნარად შლიდა თავის შავს კალთას ვარსკვლავებით, როგორც ალმასებით მოჭედილს. რადიშამ უკანასკნელად შეხედა ტანჯვით და წუხილით ჩამავალს მზის სხივსა, რომელიც ერთნაირად დაჰნათის როგორც სიყვარულსა, ისეც სიძულვილს. მწუხარებით ქანცგაწყვეტილი გული მისი ესალმებოდა ყოველს მას, რაც ხსოვნამ ამჟამად წამოუყენა თვალწინ. მოეჩვენა, ვითომ ერთ გიჟ ცხენზედა ზის და მიაქროლებს მამეულს ტყეში, თავზედ ხელაღებულსავით, გაბედვით და უშიშრად; თვალწინ მოეჩვენა პრიშტინა, კურთ მოესმა საომარი საყვირი და ნაღარის ცემა; ჰგრძნობდა, ვითომ თავზედ აღგა გვირგვინი გამარჯვებისა. მსწრაფლ გაუქრნენ ეს გულის მიმტაცნი ხილვა-ზმანებანი და მათ მაგიერ წარმოუდგა წინ თვისი შავი ბედი სრულის გულსაკვდავის სამკაულითა.

— აი საბნელეთი, — ეუბნებოდა თავის თავს საწყალი რადიშა: აი ცოცხალის კაცის ადრეული სამარე! აი ეს არის ჯილდო მეფისა!... ჰოი, ცაო, ცაო, მშვიდობით, მე შენ ვეღარ ვნახავ ამას იქით! ოხ, ღმერთო, ღმერთო! რა მოწმენდილი იყო იგი, რა ულრუბლო, რა განათებული, როცა მე იარაღში ჩამჯდარი თავისუფლად დავდიოდი მამისჩემის სასახლეში. რარიგის ალერსით გამიღიმებდა ხოლმე იგი ცა, როცა მე ვნადირობდი ტყეებში... დიაღ, ნათელი ცა იყო, ნათელი იმ დროს! ვიშ, რა რიგად ბრწყინვალებდა, რა რიგად, როცა მან თვისი შუქი მიაყენა მეფის ქალის ღვთიურს სახესა!.... ვიშ, მზეც ჩავიდა. მშვიდობით, მშვიდობით შენ ცისა ხელმწიფავ! მშვიდობით შენ მანათობელო ქვეყნიერებისავ! „მე შენ მიყვარხარო! შენ ხარ ჩემი სიცოცხლეო!“ მეუბნებოდა ის მშვენიერი ქალი. უჰ, რა ნათელი და მადლი იდგა მაშინ ჩემს გარეშემო!... ეხლა?... ეხლა კი წყვდიადია, წყვდიადი! დამიბნელდა მზე, და დამიბნელდა ყოველისფერი! გაჰქრნენ ვარსკვლავნიცა! ეს რა საშინელი ღამე დგება, მშვიდობით შენც, ღამის მანათობელო! შენს ვერცხლისფერს სხივებს ვუმჟღავნებდი ხოლმე ჩემს ფიქრებს, შენს წინაშე გადავშლიდი ხოლმე ჩემს სულსა და გულს!... რარიგად ჩამობნელდა! რარიგად შავად შეიმოსა ყოველივე... განა უყვარვარდა ვისმეს? ნუთუ ყველამ გულიდამ ამომიღო და დავიწყებას მიმცა?...

არა, არა?... „შენ უყვარხარ მეფის ქალსა“, — ამოისძახა გულმა თავისის სიღრმიდამ და ციხის ბნელ და ნესტიან თაღებ შორის ყრუდ გაიხმაურა ამ ძახილმა. ციხის გუშაგნი ხმაგაკმენდილნი შეჰყურებდნენ რადიშას, როცა იგი ეგეთის ლმობიერებით ესალმებოდა ქვეყნიერობასა; თვით ამ გულქვა კაცებსაც კი გული აუტირდათ სიბრალულითა. ხოლო როცა მოესმათ ის უკანასკნელი ძახილი: „შენ უყვარხარ მეფის ქალსაო“, — მუქარით და რისხვით წასწვდნენ რადიშას.

ხელახლად დაიჭრიალა დაჟანგებულმა რკინეულობამ ციხის კარისამ, ხელახლად გაიტკაცუნა კლიტემ და რადიშა დარჩა მარტო გაუთენებელ საბნელეთში, საცა ცის ნამის მაგიერ ზედ ეცემოდა ხოლმე ცივნი წვეთნი სველისა და ნესტიან კედლებისა და საცა რკინის ბორკილის ჩხრიალის მეტი სხვა არა რაიმე ხმა აღარ ისმოდა. ამ ყოფაში მიდიოდნენ საათნი ისე გძლად, როგორც წელიწადნი და დღენი მდინარებდნენ, როგორც საუკუნენი.

. . . . . .

VIII

საპყრობილეში ეწვია რადიშას ერთი მოხუცებული მღვდელი. მის თეთრს წვერქვეშ გულზედ ბრწყინავდა ოქროს ჯვარცმა.

— კურთხევა ღვთისა იყოს შენზედა, ჰოი ძეო მოხუცებულის ჰამზისავ! გიხსნას შენ იესო ქრისტემ, — წარმოსთქვა მღვდელმა გულმტკივნეულად.

— ღმერთნი ჩემთა მამა-პაპათა არ დასტოვებენ თვისთა თაყვანისმცემელთა, — მიუგო პყრობილმა.

— ღმერთი ერთია! მხოლოდ მას ერთს უნდა სცეს კაცმა თაყვანი. მას ყოვლად მოწყალეს და ყოვლად შემძლებელს თაყვანი-ეც შენცა! იმ ერთმა ღმერთმა შეგიწყალა შენ... მეფეს აღარ სძულხარ... მიიღე სარწმუნოება ქრისტესი და ძეფის ქალი კრინა თვის ბედს შეაუღლებს შენს ბედთან... მეფის ქალს უყვარხარ!

შვილი მოხუცებულის ჰამზასი ათრთოლდა.

— არა ვიქ მაგას, წმინდაო მამავ! განდგომა და გმობა შერისხული და შეჩვენებულია მთელის ქვეყნისაგან! მე ვერ ვიწამებ იმ ღმერთს, რომელსაც თაყვანს სცემენ მეფენი, შთამომავალნი ნემანიჩებისა.

მღვდელი ადგა და გამოვიდა საპყრობილედამ.

წავიდა მღვდელი და წარმავალის ფეხის ხმა, როგორც ლახვარი, ისე განეწონებოდა ხოლმე გულში შვილსა მოხუცებულის ჰამზისას.

უფრო გრძლად, უფრო უფერულად და მოსაწყენად ვიდოდნენ ამას იქით დღენი პყრობილისა. უბედური! საპყრობილის სიბნელეზე უფრო ბნელთა ფიქრთა შეიპყრეს მთელი მისი არსება და მწარე ცრემლი ჩამოუგორდა მიმქრალთ თვალთაგან გაფითრებულს და ტანჯვით მიქანცულს ლოყებზედა. ზოგჯერ სიზმრად მოეჩვენებოდა, რომ ვითომ მეფის სასახლეშია, მხიარულს მეჯლისში, სახელოვან იუნაკთა შორის და გვერდთ უდგა დაუვიწყარი კრინა.

ამისთანა სიზმრებ შემდეგ გაძოღვიძება რადიშასი უფრო გულსაკვდავი აყო; საპყრობილე უფრო ბნელად ეჩვენებოდა და სიცოცხლე უფრო აუტანელად და სამძიმოდ.

ერთხელ ღამით, როცა გრუვინავდა გრიგალი, როცა გაცოფებული ქარი ჰლეწდა უზარმაზართა ხეთა, კლდის წვერებიდამ ჰგლეჯდა ქვებს და თვით საპყრობილის კედლებს აზანზარებდა, რადიშა იჯდა თავჩაკიდული და გულზედ დაეკრიფა ხუნდგაყრილი ხელები. მას ეგონა, რომ მის მამა-პაპათა ღმერთნი გასწყრომიან ქვეყნიერობას და ჰსურთ შემუსრონ ის დედაბოძი, რომელზედაც დამყარებულნი არიან დედამიწა, მზე, მთვარე და ვარსკვლავნი. ჭექა-ქუხილი უფრო და უფრო ძლიერდებოდა, მეხი აქა-იქ გამოიჭექებდა ხოლმე, თითქო იბრძვის, რომ შელეწოს რკინის კარი საპყრობილისა.

უეცრად კარი გაიღო და სიბნელეში გამოკრთა სინათლე ჭრაქისა, მოისმა ადამიანთა ხმაურობა და გაოცებულ რადიშას წარმოუდგა თვალწინ იგი, რომელიც არასოდეს ფიქრიდამ არ მოუშორებია. იგი იყო მისი ნეტარება თავისუფლების დროს და

მისივე სიყვარული ასულდგმარებდა მის სიცოცხლეს, რომელიც უაძისოდ უნდა გამქრალიყო საპყრობილეში.

კრინა ფერმკრთალი იყო, როგორც მთის თოვლი, დაღონებული, როგორც მოტეხილი ზამბახი. მარცხენა ხელში ეჭირა ჭრაქი და მარჯვენაში — ოქროს თასი, იქნება ის თასიც, რომლითაც მეფეს უნდოდა დაელია სადღეგრძელო გამოჩენილის გმირისა მაშინ, როცა გამარჯვების შემდეგ წვეულობა ჰქონდა.

— მე შენ მიყვარხარ!... ეს ქვეყანა მომწყინდა და შევიძულე!... საათნი საუკუნოებად მეჩვენებიან... მე თვალით ველარ დამინახავს ვერც მამა, ვერც დედა, ვერც ძმები! მე შემძულდა ყოველისფერი, — ქვეყანა, ადამიანი და თვით ჩემი თავიცა!... შენ კი... მარტო შენ კი მიყვარხარ!... მე არ ძალმიძს უშენოდ სიკვდილი... მე მოვსულვარ, რომ შენთან ერთად სული დავლიო!...

— დავიხოცნეთ ერთად, ჩემო ნეტარებავ! დავიხოცნეთ, უწარჩინებულესო ასულო სერბიის ერისავ! შენს მკერდზედ სიკვდილი საუკუნო ცხოვრებაა!

— ერთი წვეთი ამ თასიდამ მიგვიყვანს ჩვენ მამათა შენთა ღმერთებთან... მეც შევტრფი იმ ღმერთებს, რადგანაც იგინი შენნი ღმერთნი არიან. დალიე და დავიხოცნეთ! — სთქვა კრინამ.

საწამლავის წვეთმა გაიბრწყინა რადიშას და კრინას ფერმიხდილს ტუჩებზედ; ჭრაქი ძირს დაეცა სველს მიწაზედ და გაქრა.

— მშვიდობით!...

— მშვიდობით!... მშვიდობით!... მშვიდობით!... — ნელის ხმით აღმოკვნესოდენ მომაკვდავნი ბაგენი ორის შეტრფიალებულის გულისა.

IX

მეფემ მოახდინა კრება.

ყველანი დიდებულნი, იუნაკნი და ხუცესნი შეიკრიბნენ მეფის სასახლეში მეფის ბრძანების მოსასმენლად.

მეფის ტახტთან იდგნენ სამნი იმედნი სერბიის ერისანი — შეფის შვილნი: სტეფანე, ვუკი და რადცკო.

მოხუცებული მეფე წამოდგა ფეხზედ.

— ბატონებო, დიდებულნო, იუნაკნო და მოძღვარნო! მხრები ჩემნი დაუძლურდნენ და სამეფო პორფირი ემძიმებათ. ზელს ველარ შეუმაგრებია სკიპტრა, გვირგვინს ველარ იმაგრებს თავი... მე აღარ ძალმიძს გვირგვინის ტარება! შემინდეთ, დიდებულნო და იუნაკნო! წავიდეთ, შევავედროთ ყოვლად შემძლებელს ღმერთსა ერი ჩემი, ვევედრნეთ, რომ მფარველ ექმნას სერბიის თავისუფლებას, სახელსა და დიდებას! კევედრნეთ, რომ უზენაესმა სიბრძნემან სიბრძნე მიანიჭოს ჩემსა და სერბიის მეფის მემკვიდრესა — სტეფანეს!

მოხუცებულმა მეფემ სხვა აღარა სთქვა რა და დაჩუმდა; აიხადა გვირგვინი თოვლიკით გათეორებულ თავიდამ, ჩამოვიდა თვისგანვე დამყარებულ ტახტიდამ და ორი სხვილი ცრემლი გადმოსცვივდა თვალთაგან თეთრს წვერზედ.

დიდებულთაც ცრემლი მოუვიდათ.

მას შემდეგაც კიდევ დიდხანს მოსთქვამდნენ ხოლმე სიმღერით ლექსსა ნემანიჩების გვარის პირველს მეფეზედ.

[1878 წ.]



რამეთუ კაცი ვარ

(ისტორიული რომანი გეორგი ებერსისა)

I

გარშამო კლდეებია — შიშველნი, ტვიფრნი და დარიჩინის-ფრად მაყურებელნი... არაფერია ზედ, არც ერთი ბუჩქი, არც ერთი ძეძვი, არც ერთი მუჭა ხავსი; ერთის სიტყვით, არც ერთი იმისთანა რამ, რომელიც ჩვეულებრივ ამოდის ხოლმე კლდეზედ, თითქო იმის მაგალითად, რომ ცხოვრების შემოქმედი ძალა ბუნებისა თავის კვალსა ჰსტოვებს უნაყოფო ქვაზედაცაო. არაფერია, არაფერი გარდა სიპის ქვისა და ზედ წამოდგმულის ცისა, რომელიც ისე მოწმენდილია ღრუბლისაგან, როგორც თვით კლდეები ბუჩქისა და მწვანისაგან.

მაინც კიდევ ადამიანის ცხოვრება მოძრაობს. აი იქ, გამოქვაბულში, და ორი პატარა ჩიტი დაჰსცურავს წმინდა და სუბუქს ჰაერში. მაგრამ აი, ისინიც თვალს მიეფარნენ და გადაფრინდნენ კლდეებს იქით, რომელნიც ხევის პირს გადმოჰკიდებოდნენ, თითქო კედელიაო, კაცის ხელით განგებ გაკეთებულიო.

ტყუილად კი არ გადვიდნენ ის პატარა ჩიტები; იქ სწორედ მადლია ღვთისა მოფენილი. მთის წყარო მოჩუხჩუხებს და ჰრწყავს ქვიანს ადგილს და საცა ნამია, იქ სურნელი მცენარეც არიან, იქ მიმზიდველი ბუჩქიც არის.

მეოთხე საუკუნის ნახევარში აქ სინაიას მთის წმინდა ადგილებზედ რამდენიმე წლის წინად დაბინავდნენ მეუდაბნოენი,

ბერები, კაცნი, რომელნიც ცხოვრებისაგან მოღალულ იყვნენ და შეჰსდგომოდნენ სულის საცხონებელს და სინანულის საქმეს. ჯერ კიდევ ცალ-ცალკე ჰსცხოვრებდნენ, არ იყვნენ ერთმანეთთან შეკრულნი არც რაიმე წესდებითა, არც რაიმე დადგენილებითა.

წყაროს ახლო ხევში, რომელიც ზემოდ მოვიხსენიეთ, იდგა მრავალშტოიანი ალვის ხე ფრთასავით ტოტმოწყობილი. ხოლო იგი არ აჩრდილებდა წყაროს და არ იფარებდა იქაურის მწვავის მზის სხივთაგან. მისი გრილო მარტო მის საკუთარს ძირს აჩრდილებდა. ერთს მის გძელს ტოტზედ გადაფენილი იყო გაშლით სუბუქი მოლურჯო ხელთსახოცი და მისი ჩრდილი ჰფარავდა სიცხისაგან სახეს ახალგაზდა ქალისას, რომელიც გაშხლართულ იყო გახურებულს ქვებზედ და ღრმად რაღაცაზედ ჰფიქრობდა. მის გარეშემო ჰსძოვდნენ რამდენიმე მოყვითანო თხები; მხიარულად დაჰხტოდნენ ქვიდამ ქვაზედ, თითქო შუადღის პაპანაქება დიდად ესიამოვნებათო. ზოგჯერ ყმაწვილი ქალი წამოავლებდა კომბალს ხელსა და უძახდა თხებსა. აი, ხტომით მოგოგდა მასთან პატარა ციკანი. ბევრს პირუტყვს არ შეუძლიან სიხარულის გამოთქმა, მაგრამ თხებმა კი ეგ ყოველთვის კარგად იციან ხოლმე.

ქალმა გაიშოტა თავისი შიშველი და ლამაზად მოყვანილი ფეხი და ღიმილით გაიგდო ციკანი. ციკანს იამა ამისთანა შექცევა და უფრო მეტის თამაშობით და მხიარულებით ხელახლად გადმოისკუპა ქალისაკენ. ქალი კიდევ ისე ლამაზად ხმარობს ფეხს მის გაგდებაზედ, თითქო ვისმეს ელამაზებაო.

ციკანი ხელახლად მოეხუტა ქალს, ეხლა კი თავმოღერებით, თითქო რჩოლას უპირებსო, შუბლი დააჯახა ქალის ფეხის გულს, მაგრამ მაშინ კი, როცა თავისი ცხვირ-პირი ქალის ფეხის გულს წაუს-წამოუსო, ქალმა ასე ძლიერ ფეხი ჰკრა, რომ საწყალმა პირუტყვმა დაიბღავლა და შეჰსწყვიტა თამაშობა.

აშკარაა, ქალს უნდოდა იმისთანა დრო ჩაეგდო, რომ სატკენად ეკრა ფეხი ციკნისათვის. მოლურჯო ხელთსახოცის ჩრდილი სახეს უმალავდა ქალს; მაგრამ ეჭვი არ არის, რომ ვაუ-

ჯავრდა და თვალები აუბრიალდა, ციკანი რატომ აღარ მეთამაშებაო.

დიდხანს იწვა იგი უძრავად; ხოლო ხელთსახოცი ჩამოვარდა, გადაეფარა სახეზედ და იგი იძროდა ოდნივ მისის აღმოსუნთქვისაგან. ქალი დიდის გულისთქმით და ყურაღქვეტით რაღაცას უგდებდა ყურს.

მოისმა რაღაცა ხმაურობა. ხმა მოდიოდა იმ ადგილიდამ, საცა უშველებელი ბუნებითი კიბე დიდროვანის ქვებისა ჩამოჰსდევდა ფრიალო კლდეს ხევამდე, რომელშიაც წყარო მიჩუხჩუხებდა.

ქალს ელდამ გაურბინა ნაზსა და ჯერ ძლივად შემთავრებულ ასოებში, მაგრამ არ დაიძრა მაინც. პატარა ჩიტები, იქავე ძეძვზედ მსხდომარენი, დაფთხნენ და გაფრინდნენ. მათ მოესმათ ხმაურობა, მაგრამ ჯერ ვერ შეეტყოთ, ვისგან არის ის ხმა. ქალი კი უფრო ყურმახვილი იყო.

ქალმა გამოიცნო, რომ ეგ ხმა ადამიანის ხმაა. ისიც კი გამოიცნო, რომლის ხმაა; იმისთანა ძახილი მარტო ერთს შეეძლო.

ქალმა ხელი გამოიწოდა, წაავლო ქვას ხელი და ჩააგდო წყაროში. წყარო მაშინვე აიმღვრა. მერე გადმობრუნდა, გვერდზედ დაწვა, თავის ქვეშ ამოიდო მკლავი და თავი მოიმძინარა. მტკიცე და მარჯვე ფეხის ხმა უფრო და უფრო ცხადად მოისმოდა.

კიბეზედ ჩამოდიოდა მაღალი და მშვენიერი ტანადი ყმაწვილი კაცი. ტანისამოსზედ ეტყობოდა, რომ იგი ერთი ბერთაგანია სინაის მთისა. მას ტანზედ ეცვა მარტო ერთი პერანგი სხვილის ტილოსი და ფეხის გულზედ ეკრა ტყავი, ალვის ხის ხრალით ფეხზედ გამაგრებული.

ამაზედ საწყლად ტყვესაც არავინ მოჰრთავდა, მაგრამ მაინც ვერავინ იტყოდა, რომ იგი აზატი და თავისუფალი კაცი არ არის; ისე ამაყად, თავმოწონებით და რიხიანად მოდიოდა. ბევრი-ბევრი ოცის წლისა ყოფილიყო. ამას ამტკიცებდა ბუსუსი, რომელიც ამოსვლოდა ულვაშების ადგილს, წიკაბზედ და ლოყებზედ. გარნა დიდრონი, ცისფერი თვალები ჭაბუკობის ცეცხლით არ ჰქონდა ანთებული. პირიქით — თვალებში გამოჰ-

კრთოდა რაღაც გულნატკენობა და პირიც მოეკუმშა, თითქო რასმეს ჯიუტობსო.

ყმაწვილი კაცი შედგა და გადიყარა უკან სქელი თმები, რო. მელნიც ლომის ფაფარივით გადმოეფინა არეულად შუბლზედ. შემდეგ მივიდა წყაროსთან და მოემზადა, რომ წყალი ამოეღო გოგრითა. მაშინ ჯერ დაინახა, რომ წყალი აუმღვრევიათ, მერე თვალი მოჰკრა თხებსაც და ბოლოს მძინარე ქალსაცა.

გაჯავრებულმა ჭურჭელი ძირს დადგა და ხმამაღლა დაუყვირა ქალს. ქალი არც კი გაინძრა, ვიდრე უშვერად ფეხი არ წაჰკრა, მაშინ კი წამოხტა ქალი სწრაფად, თითქო გველმა უკბინაო და ორი თვალი, ბნელი როგორც ღამე, ცეცხლით აენთო და გამობრწყინდა ქალის ჭაბუკი და შავგვრემანი სახე. ცხვირის წვსტოებმა თრთოლა დაუწყეს და თეთრად გამოკრთდნენ ქალის კბილები, როცა შეჰსძახა:

— განა ძაღლი ვარ, რომ მაგრე მაღვიძებ?

ყმაწვილი კაცი წამოწითლდა, გაჯავრებით მიუთითა წყაროზედ და მკვახედ უთხრა:

— შენმა თხებმა ხელახლად აამღვრიეს წყარო; ეხლა მე აქ უნდა ვიჯდე და ვუცადო, მინამ დაწმინდება.

— არა გიშავს რა. დღე დიდია, — მიუგო ქალმა და კიდევ ჩააგორა ქვა წყაროში ისე, ვითომ ფათერაკად მოუვიდაო.

ყმაწვილმა კაცმა შეამცნივა, რომ ქალს ძალიან იამა ხელახლად ამღვრევა წყლისა და რისხვით შეჰყვირა:

— მართალი მითხრა მე იმან! შენ სწორედ შხამიანი გველი ხარ, ჯოჯოხეთიდამ გამოსული სატანა ხარ!

ქალს სიცილი წაჰსქდა, მოუბრუნდა და ისე დაელმიჭა, თითქო უნდაო დაუმტკიცოს, რომ მართლა ეშმაკების ჩამომავალია. შეჰკრთა ყმაწვილი კაცი, უკან მოდგა, გაიწვდინა ხელი მოსაგერებლად, ღვთის სახელი მოიწოდა და რა ხედავდა, რომ ქალი უფრო და უფრო მხეცურად ხარხარებს, დაიყვირა:

— გამეცა, სატანავ, გამეცა! სახელითა უფლისათა გკითხავ: შენ ვინა ხარ?

— მე მირიამი ვარ, სხვა ვინ უნდა ვიყო? — მიუგო სიცილით ქალმა.

ყმაწვილი კაცი სხვა პასუხს მოელოდა. ქალის კასკასი ძალიან ჰსწყინდა და გაჯავრებით უთხრა:

— შენ რაც გინდა დაირქვი სახელად, ხოლო შენში კი რაღაც ბოროტი სული ჰზის და მე პავლეს შევეხვეწები, რომ შენ აგიკრძალოს და თხები აღარ მოგარეკინოს აქ ჩვენის წყაროს წყლის დასალევად.

— უფრო კარგს იზამდი, შენს ძიძასთან გაიქცე და იმასთან დამაბიზღო, — მიუგო ქალმა და სასაცილოდ აიგდო.

ყმაწვილი კაცი წამოწითლდა, ქალმა კი უშიშრად გაწაგრძო ლაპარაკი:

— შენ დავაჟკაცებულ კაცად უნდა გეჭიროს თავი, იმიტომ რომ ტანი და ღონეც შეგწევს. ამის მაგიერ შენ მიგიცია ნება და რიგორც ბაშვს ანუ გოგოს, ისე გექცევიან. აბა, რა კაცი ხარ, ერთი მითხარი. ძირხვენას ჰგლეჯ, ხილსა ჰკრებ და ამ უბედურის ჭურჭლით წყალს ეზიდები. ამის მეტს ხომ არას აკეთებ? მაგაებს მე ვჩავდიოდი მაშინ, როცა აი, ამოდენა ვიყავი.

ამ ქალმა ხელი დაბლა დაიღო და მიწიდამ ძალიან მოკლე სივრცე ანიშნა.

— ფუჰ! შენ უფრო ღონიერი ხარ და ლამაზად მოყვანილი, ვიდრე აი, ის ამალეკიტელი ჭაბუკი, ქვევით რომ ჰსცხოვრებს. ხომ ასეა, მაგრამ აბა ერთი ჰსცადე და გამოეჯიბრე, ვინ ვის ჰსჯობია ან შვილდოსნობაში, ან შუბის ხმარებაში!

— მე რომ გაბედვა მქონდეს, რაც მინდა, ის ვქმნა, — გააწყვეტინა სიტყვა ყმაწვილმა კაცმა, სირცხვილით ჭარხალსავით წამოწითლებულმა, — მე იმისთანა მჭლე ქონდრისკაცებს თუნდა ათს გავუძღვებოდი.

— მე მაგაზედ დარწმუნებული ვარ, — უპასუხა ქალმა და მისი გულისთქმით სავსე თვალი რაღაც თავმოწონებით დააჩერდა ყმაწვილის კაცის მხარბეჭს და ძარღვიანს მკლავებსა. — მე მაგაზედ დარწმუნებული ვარ-მეთქი, მაგრამ, ერთი ეს მითხარ, რატომ ვერ ჰბედავ? განა შენ ყმა ხარ იმ კაცისა, რომელიც აიქ, ზევითა დგას?

— ის მამაჩემია და ამასთანაც...

— რა ამასთანაც? — დაიძახა ქალმა და გაიქნივა ხელი, თითქო რაღაც უნდა უკუირიდოსო. არც ერთმა ფრინველმა რომ არ

მოინდომოს თავის ნებაზედ ბუდიდამ გამოფრენა, კაი წეწვა-გლეჯა არ შეუდგებოდათ ბუდეში! ჩემს ციკნებს მაინც შეხედე; მინამ დედა საჭიროა, უკან დაჰსდევენ და რაკი იმოდენად მო-იყრებიან, რომ თვითონ იშოვონ საზრდო, წავლენ და სადაც უნდათ და როგორც უნდათ, ისე შოულობენ. დამიჯერე, რომ აი, ამ ერთის წლის ციკანს აღარც კი ახსოვს, ვისი ძუძუ უწოვნია: თეთრის თუ შავის თხისა. ან ვითომ მამაშენი რა დიდს საქმეს გიკეთებს, რომ მაგაებს ამბობ?

— ჩუმად! დაუყვირა მართალის გულისწყრომით ჭაბუკმა. — ეშმაკი ლაპარაკობს შენის ენითა. გაეთრიე აქედამ. მე ის არ უნდა შევუშვა ყურში, რის თქმაც მე თვითონ მეშინიან.

— უნდა ყურში შეუშვა, უნდა და უნდა! — გამოაჯავრა ქალ-მა. — თუ მაგას ვერ ჰბედავ, მაშ რის პატრონი ბრძანებულხარ? დახე, ყურში სიტყვაც ვერ შეუშვია, ეშინიან! ფუ... მაშ რაღა კაცი ყოფილხარ!

— ის კაცი ვარ, შე სატანავ, რომ შენი სიტყვა არ უნდა ყურში შევუშვა, — უთხრა გაჯავრებით. — მე შენი ხმაც კი მძულს და თუ კიდევ აქ წყაროსთან გნახე, სულ ქვის სროლით გაგაგდებ აქედგან.

ქალმა გაშტერებით დაუწყო ყურება ყმაწვილკაცსა. ტუჩე-ბი გაულურჯდა და პაწაწა ხელები მუშტებად დაეკუმშა.

ყმაწვილკაცმა წყაროსაკენ წასვლა დააპირა, მაკრამ ქალი წინ გადუდგა და თვალი თვალში გაუყარა. ტანში ჟრუოლამ გა-ურბინა, როცა ქალმა ტუჩების თრთოლით და ნაღვლიანის ხმით უთხრა:

— მე შენთვის რა დამიშავებია?

— გამეცალე-მეთქი, — უთხრა ყმაწვილმა კაცმა და გაიწო-და ხელი, რომ გზიდამ ჩამოიცალოს.

— თუ კაცი ხარ და ხელს მახლებ! — დაუყვირა ქალმა. — რა დამიშავებია, არ იტყვი?

— შენ არ იცი ქვეყანაზედ ღმერთი არის თუ არა, და ვინც ღვთისა არ არის, ის ეშმაკისაა!

— მაგას ხომ შენსას არ ამბობ, სხვის სიტყვას მეუბნები, — უპასუხა ქალმა და ხმაზედ ეტყობოდა, რომ ცოტად დაჰსცი-

ნის. — შენთვის ეგ სიტყვები უსწავლებიათ, სხვისი ჭკუა ალაპარაკებს შენს ენასა. ვინ გითხრა, რომ მე ეშმაკისა ვარ?

— მე არ დაგიმალავ მაგას! — უთხრა თავმოწონებით ყმაწვილკაცმა. — ღვთისმოყვარე პავლე მაფთხილებს და მეუბნება, შენ მოგერიდო და ამისთვის მე დიდი მადლობელი ვარ. იმან მითხრა, რომ შენის თვალით ეშმაკი იყურება. მართალიც არის, ათასჯერ მართალია! როცა შენ მე შემომხედავ ხოლმე, მაშინვე გულში სურვილი გამივლის ფეხქვეშ გავქელო ყოველი. რაც კი წმინდაა ქვეყანაზედ. უკანასკნელს ღამეს მე მესიზმრა, ვითომ კუდიანობის სერობაში მე და შენ თავგადაგლეჯით ვბუქნაობდით.

ამ სიტყვაზედ მირიამის სახიდამ გაჰქრა გულის ნატკენობა და ნაღვლიანობა. ხელი ხელს შემოიკრა და ნატვრით წამოიძახა:

— ეგ რომ ცხადი ყოფილიყო და არა სიზმრად! ნუ შეშინდი კიდევ, შე სულელო! განა შენი ჭკუა მისწვდება, რა კარგია, როცა სალამურს უკრავს, სიმები წკრიალებენ და ფეხები ატოკდებიან ცეკვითა, თითქო ფრთები გამოებათო!

— ფრთები სატანისა! — მკაცრად მოჰსწყვიტა სიტყვა გერმასმა. — შენ ეშმაკი ხარ, ეშმაკი, შე ღვთისაგან შეძულებულო ურჯულოვ!

ღვთისმოყვარე პავლე ეგრე ამბობს განა! — დაიწყო ხარხარი მირიამმა.

— მეც ვამბობ მაგას, მეც, — შეჰყვირა ყმაწვილმა კაცმა. — განა შენ როდესმე უნახივხარ ვისმე კეთილ მორწმუნეთა შორის? განა შენ როდისმე გილოცვნია? როდისმე მადლობა გადაგიხდია ღვთისა და მაცხოვრისათვის.

ვითომ რისთვის უნდა გადამეხადნა? იმისათვის თუ, რომ თქვენში ყველაზე უფრო ღვთის მოყვარე კაცი სატანას მეძახის?

— დიაღაც იმიტომ, რომ შენ ცოდვილი ხარ და ღმერთი თავის მოწყალეს თვალს გარიდებს.

— არა, არა და ათასჯერ არა! — დაიძახა მირიამმა. — არა რომელსამე ღმერთსა ჩემთვის გული არა ჰსტკენია. აბა, როგორ ვიყო გულკეთილი, როცა ავის მეტი ჩემს წილად თავის დღეში

არა ურგუნებიათ რა? იცი, მე რა ვარ და რათა ვარ ასეთი? განა მე ბოროტი ვიყავ მაშინ, როცა დედ-მამა დამიხოცეს, სალოცავად რომ მიდიოდნენ იერუსალიმს? მე მაშინ ექვსის წლისა ვიყავ, ექვსისა! მაგრამ მაინც კარგად მახსოვს, რომ ჩვენს ეზოში ბევრი აქლემი და ცხენი ჰსძოვდა, სულ ჩვენი საკუთარი იყო. მე მახსოვს, რომ დედისჩემის ხელზედ, რომელიც მე მიალერსებდა, უშველებელი ალმასი ბრწყინავდა. მეცა მყვანდა ზანგის ქალი მოახლედ და ყოველს ჩემს ბძანებას ხმაგაკმენდით ემორჩილებოდა. თუ არ დამიჯერებდა, მე ნება მქონდა, თმებით მეთრია და ტყავი გამეძრო. ვინ იცის, ის ეხლა სად არის! მე ის არ მიყვარდა, მაგრამ ეხლა რომ ის ჩემთან იყოს, რარიგად გულკეთილად მოვექცეოდი! აი ეხლა ეს თორმეტი წელიწადია, რაც ტყვის ლუკმასა ვჰსჭამ და სენატორის პეტრეს თხებს ვუელი და უკანა ვსდევ. მე რომ მორთულს და თავისუფლად მყოფს ტოლ-ამხანაგში გავერივო ეხლა, პანჩურის კვრით გამომაგდებენ და თაკიდამ მორთულობას მომხდიან. ნუთუ ამისათვის მადლობა უნდა ვუთხრა ღმერთსა და თაყვანი ვჰსცე! რომელი ღმერთი ჰზრუნავს ჩემთვისა, რომელი? მეძახეთ სატანა, მეძახეთ! ხოლო თუ პეტრე და შენი პაულე იტყვიან, რომ ის ღმერთი, რომელმაც მე ამ შავ დღეში ჩამაგდო, კეთილი ღმერთიაო, იტყუებენ. ღმერთი თვითონ ბოროტია და იმას არა ედარდება რა იმისაგან, რომ შენ ჩაგაგონა ჩემი აქედამ ქვის სროლით გაგდება.

ამ სიტყვებზე ქალმა ქვითინით ტირილი დაიწყო და ყოველა ასო საბეზედ შაეშალა.

გერმასს შეეცოდა მტირალი მირიამი. ასჯერ მაინც ენახა აქამომდე ეს ქალი, იგი ხან გულშხამიანად დახვდებოდა, ხან მხიარულად, ხან გულმრისხანედ, ხოლო თავის დღეში არ ენახა იგი ასე გულჩათუთქული და კეთილმგრძნობიარე.

დღეს პირველად გადაუსხნა გერმასს თავისი გული მირიამმა. ცრემლმა სახის მეტყველება შეუცვალა ამ ქალს და მთელს მის არსებას ისეთი ფერი დაჰსდო, რომ გერმასს ამისაკენ გული მოუბრუნდა. გერმასი ეხლა ხედავდა თავის თვალწინ ღონემიხდილს, მწუხარებით დაჩაგრულს ქალსა. შერცხვა, რომ

წინად ეგრე უგულოდ მოექცა. მივიდა მირიამთან და ალერსიანად უთხრა:

— კარგი, ნუ ჰსტირი. როგორც გინდა და როცა გინდა, იარე ამ წყაროზედ. მე აღარ დაგიშლი.

მისი რიხიანი ხმა მორბილდა და მოტკბა, როცა ეს სიტყვები უთხრა; მაგრამ ქალი უფრო ძლიერ ატირდა, უფრო ძლიერ ამოუჯდა გული. უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ვერ შეიძლო. მთელი მისი ნაზი აგებულება კანკალმა აიტანა და ეგრე მწუხარებით მოკლული მშვენიერი ტანადი მწყემსი ქალი იდგა უძრავად გერმასის წინ. გერმასმა იგრძნო, რომ შველაა საჭირო.

ჭეშმარიტი გულმტკივნეულება დაიძრა მის გულში და დაუბა მოხერხებული ენა.

სიტყვა ნუგეშის ცემისა რომ ვერ მოახერხა, მარჯვენა ხელიდამ მარცხენაში გადიღო კოკა და მარჯვენა დაასდო ქალს მხარზედ.

ქალი შეკრთა და არ ეურჩა.

მისის სუნთქვის სითბო ეცა ჭაბუკსა.

გერმასს უნდოდა უკუ მდგარიყო, მაგრამ იგრძნო, რომ თითქმის მიკერებულია ერთს ადგილას. მას სწორედაც ვერ გაეგო, მართლა ტირის ქალი, თუ იცინის. ყმაწვილი კაცის ხელი ისევ ქალის მხარზედ იყო დანდობილი. ქალი მაინც ადგილიდამ არ დაიძრა. ბოლოს კი თავი მაღლა აიღო, თვალებში ცეცხლმა გაუელვა და ყმაწვილმა კაცმა უეცრად იგრძნო, რომ ორი ნაზი ხელი მოეხვია ყელზედ .

მას ისე ეგოწა, რომ ზღვამ მის ყურში უცებ შუილი დაიწყოო და თვალთა წინ მეხმა გაიელვაო.

რაღაც გაუგებარმა ელდამ სრულიად შეიპყრო ჭაბუკი. ერთი ღონიერად დაიბღერტა, გამოეცალა ქალს, მაღლა ხმით დაიყვირა და გაიქცა, თითქო ავი სული დაედევნაო. ისიც ვეღარ შენიშნა, რომ მისი კოკა სირბილში ქვას მოხვდა და დაიმსხვრა.

მირიამი გაოცებული უძრავად დარჩა და თვალი ააყოლა გერმასსა. მერე შემოიკრა თავისი პატარა ხელი თავში, მივიდა ისევ წყაროს პირს, დაწვა და თვალი გაუშტერა ცარიელს სივრცესა.

როცა მზემ გადიხარა და ხის ჩრდილი დაგრძელდა, მირიამი წამოხტა, მოირეკა თხები და სულგანაბულმა ყური მიაპყრა იმ მხარეს, საიდაც გერმასი გაიქცა.

საღამო მოკლეა ხოლმე იმ ადგილებში და მირიამმა იცოდა, რომ ცოტა კიდევ დაიგვიანოს, ღამე მოასწრობს ღორღიანსა და ოღროჩოღრო გზებზედ. უომისოდაც ღამით ეშინოდა ხოლმე, ეშმაკისა და მავნე სულის მოჩვენებისა ეფიქრებოდა, თუმცა არ იცოდა, რა მიზეზით კი. მაგრამ მაინც ის ადგილიდამ არ იძროდა და სულ სმენად იყო გადაქცეული. მას იმედი ჰქონდა, რომ გერმასი ისევ ჩობრუნდებოდა.

მზე მიეფარა კიდეც წმინდა მთასა და მეწამული ფერი დასავლეთისა ცაზედ გაქრა.

ჩამოვარდა საშინელი ჩყუდროება. ასე რომ ქალს თავისი საკუთარი გულისცემა ესმოდა. ღამის სიცივემ შეაჟრჟოლა. უცბად მოესმა რაღაც ხმაურობა უკანიდამ. ჯიხვის ფარა ჩამოდიოდა წყაროზედ წყლის დასალევად. კაცის სუნი აიღეს და გაფთხნენ. მარტო ერთი წინამძღვარი ყოჩიღა შერჩა ხევის პირზედ და აქეთ-იქით იყურებოდა. მირიამმა იცოდა რომ ყოჩი ამის წასვლას ელის, რომ ჩამოიყვანოს ფარა წყალზედ.

გულში რაღაც მადლიანმა გრძნობამ გაურბინა და აიწია კიდეც ფეხი, რომ წასულიყო და დაეთმო ადგილი იმ პირუტყვთათვის. მაშინ უეცრად მოაგონდა მუქარა გერმასისა, რომ ამ წყაროდამ გაგაგდებო. გაბორეტებულმა წამოავლო ქვას ხელი და ესროლა ყოჩს. ყოჩი გაფრთხა და გაიქცა. უკან დაედევნა ყოჩს მთელი ფარაცა.

მირიამმა ჯიხვების ფეხის ხმა გაიგო. მერე ჩამოჰკიდა ნაღვლით თავი, გამოირეკა თხები და ბნელაში გაეშგზავრა თავის გზაზედ.

II

იმ ხევ-ზემოდამ, საცა წყარო ბდინარებდა, პატარა ვაკე იყო, რომლის ბოლოსაც კლდის კედელი მოჩანდა.

როგორც ფოლადი, ისე მაგარი სიპი ქვა საძირკვლად ჰქონდა იმ კედელსა. იმის ქვემოდ თვით ბუნების შემოქმედობისაგან

რკალად გამოქვაბული იყო კლდე. როდესღაც ამ ქვაბში ნადიობს, ფოცხვერს და მგლებს უცხოვრიათ. ესლა კი ახალგაზდა გერმასისა და მისის მამის სადგურად გადაქცეული იყო.

ბევრი ამისთანა ქვაბი იყო წმინდა მთაზედ და რომელნიც ყველაზედ დიდრონი იყვნენ, ისინი ბერმონაზონებმა დაიჭირეს.

გერმასის მამის სტეფანეს ქვაბი მაღალი იყო და გრძლად კლდეში შესული, ჩაგრამ მაინც ადგილი გამხმარის მთის ბალახისა, რომელიც მამისა და შვილის ქვეშსაგებს შუა ეყინა, ძალიან პატარა იყო.

შუაღამე გადასული იყო, მაგრამ არც ახალგაზდას და არც მოხუცს მცხოვრებს ქვაბისას, არ ეძინათ.

გერმასი ხმამაღლა იკვნესოდა და მოუსვენრად ხან ერთს გვერდზედ გადაბრუნდებოდა, ხან მეორეზედ და სულაც ყურადღებას არ აქცევდა თავის მამას, რომელიც ტკივილებისაგან დაქანცული იყო და ძილს ჰსაჭიროებდა. ჩამა კი გადაბრუნებასაც ერიდებოდა, რომ ხმაურობით შვილს ძილი არ დაეუფთხოვო, როცა შვილს ეძინა.

რა დაჰმართვია ამ ჭაბუკს, რომელმაც ადრე ასეთი მაგარი ძილი იცოდა, რომ ძნელად თუ კაცი გამოაღვიძებდა? რამ დაუფთხო ძილი და მოსვენება? რად არის ესე, ჰფიქრობდა სტეფანე, რომ უამისოდაც ღონიერს სიჭაბუკეს ეგრე მაგრად და ხანგრძლივ ჰსძინავს ხოლმე და მოხუცი და სნეული კი, რომელთათვისაც ძილი და მოსვენება აგრე საჭიროა, ძილი გაკრთობილი აქვთ? იმისათვის ხომ არა, რომ ის მოკლე დღეწი ცხოვრებისა, რომელნიც მათ ჰშთენიათ, პატარა გძლად ეჩვენონ! ან ნეტა ამ უწმაწურ ცხოვრებას ყველანი ეგრე მაგრა რად ეჭიდებიან! რარიგად ემალებიან ყველანი იმ ანგელოზს, რომელიც იწვევს ადამიანს, საიქიოს და უღებს ოქროს კარებსა სამოთხისას. ყველანი ჩვენ ვგევართ საულსა, იუდეველს, რომელიც იმალებოდა მაშინ, როცა მოციქულნი ეწვივნენ სახელმწიფო გვირგვინის მოსართმევად! უხ, წყლული საშინლადა მწვავს! ერთი ყლაპი წყალი მაინც მამცა! ჩემს საწყალს ბავშვს რომ არ დაჰსძინებოდა, ვჰსთხოვდი, წყალი მოეწოდებინა.

სტეფანემ ყური თავისის შვილისაკენ მიჰრართა, მაგრამ არ

გააღვიძა, როცა ცხადად გაარჩივა მისი მძიმე და წყობილი ქშენა.

სიცივით ათრთოლებული შეეხვია ცხვრის ტყავში, რომელიც ნახევრამდი ჰყოფნიდა მის ტანსა. ტანში დაურბინა ღამის მშრალმა სიცივემ, რომელიც შემოდიოდა იმ გვირაბიდამ, საიდამაც დღისით პაპანაქება სიცხე უდაბნოისა შემოდიოდა ხოლმე.

ავრე გაიარა რამოდენიმე დრომ. ბოლოს მოხუცმა დაინახა, რომ გერმასი წამოიწია და ქვეშსაგებზედ წამოჯდა. და მართლაც, გერმასმა გაიღვიძა, რაღაც ლაპარაკს მოჰყკა და ღვთის სახელი ახსენა.

მამა მიუბრუნდა შვილს და ნელის ხმით ჰკითხა:

— გაგეღვიძა, ჩემო კარგო?

— მე ძილი არ მომივიდა, — უპასუხა შვილმა.

— მაშ ერთი წყალი დამალევინე, — ჰსთხოვა სტეფანემ. — დაჭრილი ადგილი საშინლად მეწვის.

გერმასი მაშინვე წამოხტა და წვალებულს მიაწოდა წყალი ლიტრითა.

— მადლობელი ვარ, მადლობელი, ჩემო კარგო, — უთხრა მოხუცმა და დაიწყო ხელის ფაცური, რომ ლიტრას პირი უპოვოს და რა ნახა, რომ ლიტრას პირი მოტეხილი აქვს, გაკვირვებით წამოიძახა:

— ეს ჭურჭელი რა ცივია და სველი! ეს ხომ თიხისაა და ჩვენი კი გოგრისა იყო.

— ჩვენი გავტეხე, — ჩამოართვა სიტყვა გერმასმა: — და ეს პავლეს გამოვართვი ნათხოვრად.

— ჰო, ჰო, — წაიდუდუნა სტეფანემ და ზარპად დაეწაფა ლიტრას, მერე ისევ შვილს მიჰსცა, მოიცადა, ვიდრე შვილი დაწვებოდა და როცა დაწვა, უთხრა:

— შენ დღეს გვიანაც მოხვედი, გოგრაც გაგტეხია და ძილშიაც იკვნესოდი. ხომ ცუდი არა წაგკიდებია რა?

— მე ჯოჯოხეთიდამ გამოსულს ეშმაკს შევემთხვიე, — უპასუხა გერმასმა. — და აი, ეხლაც თვალწინ მეფეთება და ჭკუასა და გონებას მირევს რაღაცეების მოლანდებითა და მოჩვენებითა.

— ლოცვით განაგდე იგი ბოროტი, — უთხრა გულმაროლად სტეფანემ. — ღვთის სახელზედ ბოროტნი სულნი განჰქრებიან.

— ღვთის სახელიც ვახსენე, — ჰსთქვა გერმასმა; — მაგრამ არა მეშველა რა. მე მელანდებიან დედაკაცები იაგუნდისფერ ტუჩებითა და მშვენიერის ნაწნავებით, თვალწინ მიდგანან თეთრი როგორც მარმარილო, მშვენიერნი ტანადნი ქალნი ცეცხლით სავსე თვალებითა. სულ ხელს მიქნევენ და თავისთან მეძახიან.

— აიღე მათრახი! — უბრძანა მამამ. — და სისხლი დაიმშვიდე.

ხმაამოუღებლივ წამოდგა გერმასი ხელმეორედ ქვეშსაგებიდამ, აიღო მათრახი და გამოვიდა გარედ. ქვაბის სივიწროვე დაუშლიდა მათრახის თავისუფლად ხმარებას.

ბევრი ხანი არ გამოსულა, რომ სტეფანეს მოესმა მათრახის წვერების შუილი. მას მოესმა კაცის ტანზედ მათრახის ტყლაშუნი და მტკივნეული კვნესა თავისის შვილისა.

ყოველს ტყლაშუნზედ მოხუცს მამას ჟრუანტელი გაუვლიდა ხოლმე, თითქო ამასა ჰსცემენო. ბოლოს რაც შეეძლო ხმამაღლა დაუძახა შვილს: „ამხანად ეგ სამყოფია, სამყოფა!“

გერმასი შემობრუნდა ქვაბში. მამამა და შვილმა ერთად ილოცეს; მას მერმე მამამ ხელი გადუსვა შვილს მშვენიერს თმაზედ და უთხრა:

— მას აქეთ, რაც ალექსანდრიაში იყავ, სულ სხვა ხარ, ძალიან ვნანობ, რომ მე არ დავუჯერე ეპისკოპოზს აღაპიტსა და შენ იქ წასვლის ნება მოგეცი! მაცხოვარი მალე მიმიხმობს მე სააქაოდამ და ჩემს შემდეგ არაფერი აღარ დაგაყენებს შენ აქა. მაშინ შემოგადგება შენ მაცდური, შენ წინ ვეღარ დაუდგები დიდის ქალაქის მრავალგვარს სიტურფესა, რომელნიც ბრწყინვალებენ როგორც დამპალი ხე, როგორც ჭრელი გველი, როგორც შხამით სავსე ყვავილი...

— არა, მე ეგენი ვერ მაცდუნებენ, — ჩამოართვა სიტყვა გერმასმა. — თავბრუ დამასხა, შემაშინა მე იმ ხმაურობით სავსე ქალაქმა. მე ჩემს დღეში იქ არ წავალ.

— არა, შენ მარტო სიტყვით ამბობ მაგასა, — უპასუხა სტეფანემ. — მაინც შენმა იქ ყოფნამ სრულიად შეგცვალა. რა იქმნა

ეხლა შენი მხიარული ღიღინი და გალობა? როცა შენ ღიღინებდი ანუ იცინოდი, მე დარწმუნებული ვიყავ, რომ შენი ხმა ღვთისათვის საამური იყო. მაგრამ ეხლა? ხმაამოუღებლად, პირმქუშედ დადიხარ და თან გდევენ ცოდვილნი ფიქრნი და გაბოროტებულსავით იყურები.

— რა ვუყოთ! ყველა ეგ მე მავნებს, სხვას ხომ არა! — მიუგო გერმასმა. — ეხლა დამეხსენ, მამავ, გამიშვი! საცაა გათენდება და მაშინ მთელი დღე წინ გედება, რომ მე დარიგება წამიკითხო.

სტეფანემ ამოიოხრა. გერმასი თავისის ქვეშსაგებისაკენ წავიდა. არც ერთს აღარ დაეძინა. ყოველმა მათგანმა იცოდა, რომ მეორეს არა ჰსძინავს. ჯავრმა და კერპობამ შეილს ენა დაუბა, მამა კი ცდილობდა, მაგრამ ენაზედ არ მოსდიოდა ტკბილი, გულსმისახვედრი სიტყვა.

ბოლოს გათენდა. მკრთალმა ნათელმა შემოანათა ქვაბის გვირაბიდამ. ჭაბუკი მთქნარებით წამოდგა ფეხზედ და რა დაინახა მამა, თვალღია მწოლარე, გულგრილად ჰკითხა:

— რაო, მე აქ დავრჩე, თუ ცისკარზედ წავიდე?

— აქ დარჩი, ერთად ვილოცოთ, — უთხრა სტეფანემ. — ვინ იცის? დიდხანს მერგება შენთან ყოფნა კიდევ, თუ არა! მე მომიახლოვდა ის დღე, რომელსაც ჩემთვის საღამო აღარ ექმნება. მოდი აქ, ჩემს ახლო მოიყარე მუხლი და მომეც, ვემთხვიო ჯვარცმასა.

გერმასმა მამის ბრძანება აასრულა და როცა გაათავეს სამღვთო გალობა და „ამინი“ ჰსთქვეს, მათს ხმას მესამე ხმაც ჩაემატა.

— პავლეე, — დაიძახა მოხუცმა. — დიდება მაცხოვარსა! აბა დაჭრილობა გამისინჯე. ისრის წვერი გარედ იწევს და ცეცხლს მიკიდებს სიმწვავითა.

ახლად მოსულმა ბერ-მონაზონმა, რომელსაც სამოსელის მაგიერ ეცვა რაღაც უბრალო მოუთელავის შალის პერანგი და ცხვრის ტყავი, ყურადღებით გაუსინჯა სტეფანეს დაჭრილობა, რაღაც ბალახები დაადვა და ამასთანაც რაღაც ლოცვები წაიბუტბუტა.

— ეხლა მე უფრო უკედა ვარ, — ამოიხვნეშა სტეფანემ. — შენის კეთილობის გამო მეც მოვხედა ღმერთმა.

— მე ვარ კეთილი? მე ვარ ჭურჭელი უწმინდურებისა! — უპასუხა პავლემ თავისის ზარიანის ხმითა და მისი მიმზიდველი ცისფერი თვალები მიეპყრნენ ზეცასა, თითქო იმისათვისაო, რომ რასაც ჩემზედ ჰფიქრობენ, სულ ტყუილიაო. მერე თვის ჭაღარა თმას ხელი გადუსვა, გადიყარა უკან, რადგანაც ყელსა და პირზედ ურიგოდ ჩამოშლოდნენ და პირმღიმარედ წარმოჰსთქვა:

— ყოველი ადამიანი ადამიანია და სხვა არაფერი. ზოგნი ადამიანობამდინაც ვერ მიაღწევენ ხოლმე. ნოეს კიდობანში მრავალი მხეცი იყო, მაგრამ ნოე კი ერთი იყო.

— ჩვენს პაწია კიდობანში ჩვენი ნოე შენა ხარ, — უთხრა მოხუცმა.

— მაშ ეს ახმახი ვაჟიკაციც ჩვენი სპილო იქნება, — გაიცინა პავლემ.

— არც შენა ხარ ქონდრისკაცი, — უპასუხა სტეფანემ.

— ვაი, რომ ეს ქვის კიდობანი ასეთი დაბალია, თორემ ეხლავ ღონეში ერთმანეთს გამოვცდიდით. დიაღ, მე და გერმასს რომ იმოდენა ღვთისმოყვარება და სიწმინდე გვქონდეს, რაც ტანი და ღონე გვაქვს, ჩვენ სამოთხის გასაღები ჯიბეში გვედებოდა. შენ, ჩემო ძამიავ, მგონი კარგად იგვემე წუხელ! მე ეგ მესმოდა. სწორედ ეგრეთაც უნდა! როცა ხორცი ტოკვას მოჰყვება, მაშინ საჭიროა გვემა და წამება მისი.

— გერმასმა სულ კვნესით გამოიარა ის გვემა და მერე ძილიც აღარ მიეკარა, — ჰსთქვა სტეფანემ.

— ახია, ახი მაგისათვის! — დაიძახა პავლემ და მუშტები მოულერა ჭაბუკსა. ამ სიტყვებში უფრო ტყუილუბრალო მუქარა იყო, ვიდრე გაჯავრება. თუმცა მეტად აწოწვილი ბერ-მონაზონი პავლე მკვახედ იყურებოდა ხოლმე თავის ცხვრის ტყაპუჭიდამ, მაგრამ მის თვალსა და ხმაში იმოდენა სილბო და სიტკბო გამოჰკრთოდა, რომ არავის ფიქრადაც არ მოუვიდოდა მისი გაჯავრება და გულზედ მოსვლა.

— ჯოჯოხეთის ავი სულნი შეემთხვნენ საწყალსა, — ჰსთქვა სტეფანემ შვილის გასამართლებლად. — და მე კი თუნდ მაგას არ ეკვნესა, მაინც თვალს ვერ მოვხუჭავდი. აი, ეს სუეთი დღეა, რაც მე ძილი არა მაქვს.

— მეექვსე დღეს კი, სწორედ გითხრა, შენთვის ძილი საჭიროა, — უპასუხა პავლემ. — ტყავი წამოისხი, გერმას, და ქვევით სოფელში ჩადი. სენატორს პეტრეს, ან იმის ცოლს დოროტეას ჰსთხოვე ერთი კარვი ძილის წამალი ჩვენის ავადმყოფობისათვის. წადი რაღა.

— ჯერ ცოტა კიდევ მოიცა, ცოტა კიდევ, — დაიძახა სტეფანემ. — ერთი ახალი ლიტრაც მოიტანე, ჩემო კარგო, ქალაქიდამ. შენ, ჩემო პავლევ, გუშინ შენი გვათხოვე და ეხლა მინდა....

— მე, ეგ არც კი მახსოვდა, — წაართვა სიტყვა პავლემ: — მე ძალიან მადლობელი ვარ გერმასისა, რომ გოგრა გატეხა, იმიტომ რომ მარტო ეხლა გავიგე ჯანმრთელმა კაცმა, წყალი როგორ უნდა სვას. ერთი ფუთი ოქროც რომ მამცეთ, ლიტრას უკან აღარ ავიღებ! წყალი მაშინ ყოფილა სარგო და გემრიელი, როცა პეშვითა სვამ. მე ეგ ლიტრა აღარ მინდა. მადლობა ღმერთს, ეხლა თოკიდამ გამოსული ქურდიც კი ვეღარას მომპარავს აი, ამ ტყაპუჭის მეტს, იმიტომ რომ სხვა აღარა მაბადია რა.

სტეფანემ მადლობა უთხრა პავლესა და პავლემ კი ხელი მოჰკიდა გერმასს და ქვაბიდამ გარედ გამოიყვანა.

III

რამდენსამე ხანს პავლემა და გერმასმა ხმაამოუღებლივ იარეს კლდესა და ღრებზედ.

მთის წვერზედ, რომელზედაც გზა გადადიოდა სოფლისაკენ, პავლე შედგა, მოუბრუნდა გერმასს და უთხრა:

— ჩვენ, ადამიანთ რომ ყოველთვის მოსაზრება და წინად დანახვა შეგვეძლოს ჩვენის საქციელის შედეგისა, მაშინ ქვეყანაზედ ცოდვაც აღარ იქნებოდა.

გერმასმა ალმაცერად შეხედა პავლეს, თითქო ჰკითხავს, რას

ამბობო, ამიხსენიო; მაგრამ პავლემ ამას ყურიც არ ათხოვა და განაგრძო:

— შენ ცოტად მაინც რომ მოგესაზრა რამოდენად საჭიროა საწყალის მამისშენისათვის ძილი და მოსვენება, მაშინ წუხანდელს ღამეს სულგაკმენდილი იწვებოდი შენთვის, რომ მისი ძილი და მოსვენება არ დაგეფთხო.

— არა, მე მაგას ვერ ვიქმოდი, ვერა, — უპასუხა გერმასმა დაღონებით: შენ ხომ იცი, რარიგად ვიგვემე და ვიწამე თავი.

— ძალიან კარგიც ჰქმენი, რომ თავი იწამე და იგვეშე. ახია შენთვის. შენის ავის საქციელის სრული სამაგიერო ეგ გვემა იყო.

გერმასმა გაჯავრებით შეხედა თავის მოსაყვედურე მეგობარსა. თავში სისხლი აუვარდა, ლოყები აენთო. გერმასს მოაგონდა მირიამის დაცინვა, რომ ბაშვსავით ჯერ ლალაობა გინდაო და წყრომით წამოიძახა:

— არავის მივცემ ნებას, რომ მაგგვარად მელაპარაკოს, — მე ეხლა ბაშვი აღარა ვარ.

— — მაშ არც მამაშენსა? — გააწყვეტინა სიტყვა პავლემ და ისეთის გაოცებით შეხედა, რომ გერმასს შერცხვა და თავი დაჰკიდა.

— ცუდს შვრები, რომ უმწარებ სიცოცხლეს მას, ვისაც მართო შენის გულისათვისღა უნდა ამ ქვეყანაზედ ყოფნა რაოდენიმე ხანი კიდევ.

— მე ხმას გავიკმენდდი და ისე ვიწვებოდი, რომ შემძლებია-ყო. მეც ისე მიყვარს მამაჩემი, როგორც სხვებს.

— მართალია, ცემით არა ჰსცემ, — შეუბრუნა სიტყვა პავლემ. — პურიც მოგაქვს იმისათვის, წყალიც და არც მარტოკა სვამ ღვინოს, რომელსაც ეპისკოპოზი მამაშენს უგზავნის ხოლმე. მაგრამ ყოველივე ეს ცოტაა.

— მე ხომ წმინდა კაცი და ანგელოზი არა ვარ.

— არც მე ვარ! — დაიძახა პავლემ. — მე ცოდვითა და უძლურებით სავსე ვარ. ხოლო მე ვიცი, რაში მდგომარეობს სიყვარული, რომელსაც მაცხოვარი გვასწავლიდა ჩვენ, და შენ შეგიძლიან ამისი ცოდნა. მაცხოვარმა დაანთხია სისხლი ჯვარ-

ზედ შენთვისა და ჩემთვისა, ღარიბთა და მდიდართათვის. სიყვარული ძალიან ადვილია და ძალიან ძნელიც ერთსა და იმავე დროს. სიყვარულისათვის საჭიროა თავგაწირვა. შენ კი? აბა რამოდენა ხანია, რაც მამიშენისათვის ალერსიანი სახე არ დაგინახვებია.

— რა ვუყო? მე პირმოთნეობა არ შემიძლიან.

— არც უნდა იპირმოთნეო, მაგრამ სიყვარული კი შენი ვალია. ხოლო ხელებით კი არა, გულით უნდა დაამტკიცო შენი სიყვარული.

— განა ეს კი თავშეწირვა არ არის, რომ ჩემს ყმაწვილკაცობას აქა ვღუპავ?

პავლე ორს ბიჯზედ უკან გადგა, გაკვირვებით გაიქნია ბაწვკვლიანი თავი და ჰსთქვა:

— მაშ ეგ არის რაღა! შენი ფიქრი ალექსანდრიაშია განა? მართალია, იქ უფრო ჩქარა გადის ცხოვრების დღე, ვიდრე ამ ჩვენს უდაბნო მთაზედ. შავგვრემანი მწყემსი ქალი არ ვიყვარს, იქნება იქ თვალში მოგივიდა რომელიმე თეთრი ვაშლისავით წითური ბერძნის ქალი. ვინ იცის!

— მაგ შენის ქალებით თავი მომაწყინე, დამანებე თავი! — უპასუხა გერმასმა და მართლა გულზედ მოვიდა; — იქ, ალექსანდრიაში, სხვაც ბევრი რამ არის ნახვის ღირსი.

ამ სიტყვებზედ ყმაწვილ კაცს თვალები აენთო. ასე რომ პავლემ დიდის სურვილით ჰკითხა:

— სახელდობრ რა არის იმისთანა?

— შენ უფრო კარგად იცი ალექსანდრია, ვიდრე მე, — გააჭარწყლა ნამდვილი პასუხი გერმასმა. — შენ თვითონ იქაური ხარ, იქა ხარ დაბადებული და ამბობენ, ერთს დროს შენ ყოფილხარ მდიდარი ყმაწვილი კაცი.

— მაგას ამბობენო? — ჰკითხა პავლემ — ვინ იცის, იქნება ეგ მართალიც იყოს. მაგრამ ეს კი უნდა იცოდე, მე მოხარული ვარ, რომ მე ეხლა აღარა მეკუთვნის რა იმ ყალბ ზიზილ-პიპილებისაგან, რომლის მფლობელადაც მე ერთხელ ვიყავი. მე ვმადლობ მაცხოვარსა, რომ ძალა მომცა ადამიანთა გროვისათვის

ზურგი შემექცივა. აბა რა ჰპოვე იქ, ქალაქის ამაოებაში გულის მიმზიდველი, აბა რა?

გერმასმა პასუხი დაუგვიანა. თქმასაც მორცხობდა და უნდოდა კიდეც, წარმოეთქვა ის ნაღველი, რაც გულს უმძიმებდა.

თუ დაღვრემილთა და ამ წუთის-სოფლის მოძულეთა მეუდაბნოეთა შორის კაცი ვინმე იქნებოდა იმისთანა. რომ გერმანის გულისტკივილი თანაგრძნობით მიეღო, ამისთანა კაცი კიდევ მარტო პავლე იყო.

პავლე მეტად დამჯდარის გონების კაცი იყო და სასტიკად ექცეოდა მარტო თავის თავსა. დღეს თუ ხვალ გერმასს ამისათვის უნდა გადაეშალა გული და ამის გამო აჩქარებით ჰკითხა:

— შენ როდისმე ტერმაში[1] ჰყოფილხარ?

— როდისმეო? იმდენჯერ ვყოფილვარ, რომ მიკვირს, ფქვილსავით როგორ არ დავიშალე თბილს წყალში და ცომსავით არ გავფუვდი.

— რად დაიცინები მასზედ, რაც კაცს აფაქიზებს და ამშვენიერებს? — ჰკითხა გულფიცხად გერმასმა. — რად დაიარებიან ალექსანდრიაში ქრისტიანები ტერმებში და აქ კი, სინაიაზედ, შენ და მამაჩემი და სხვა მეუდაბნოენიცა წყალსა ხმარობენ მარტო წყურვილის მოსაკლავად? თქვენ მე ძალდატანებით თქვენებურად მაცხოვრებთ მაშინ, როდესაც მე არ მინდა ჭუჭყიან და საძაგელ მხეცად ყოფნა.

— ჩვენ მარტო მაღალის ღმერთის თვალისათვის ვცხოვრებთ, — უპასუხა პავლემ, — და მის მოსაწონად ვამკობთ სულთა ჩვენთა.

— ხორციც ხომ ღვთისაგანვეა მოცემული, — გააწყვეტინა სიტყვა გერმასმა, — კაციაო მგზავსება ღვთისა, ჰსწერია სამღვთო წერილში. ჩვენ კი? საძაგელ მაიმუნად მეჩვენა ჩემი თავი, როცა ვნახე დიდის ტერმიდამ გამომავალნი კაცნი და ჭაბუკნი ლამაზად დავარცხნილნი, გაბანილნი, გაწმენდილნი და განსპეტაკებულნი. ამის მნახველს რომ ჩემი თავი ღომაგონდა ამ დაგლეჯილს ბანჯგლიანს ტყავში, რომ დავხედე ჩემს ხელებს და ფეხებს, რომელნიც იმათზედ არაფრით ნაკლები არ იყო, მე სი-

[1] გველთა აბანოა.

ცივის ჟრუანტელმა დამიარა ტანში და დამცხა კიდეც ერთსა და იმავე დროს და ხახაც ისე ამომიშრა, თითქო ბალღაში დავლიეო. მე კინაღამ არ დავიკივლე სირცხვილის, შურის და ჯავრისაგან. არა, მე აღარ მინდა ყოფნა ამრიგად, მე მატლი არა ვარ!

უკანასკნელს სიტყვებზედ გერმასმა კბილები დააკრაჭუნა, პავლემ ნაღვლიანად შეხედა მას, როცა მან ხელახლად ჰსთქვა:

— ჩემი ხორციცა და სულიცა სულ ღვთისაგან არის და რასაც ალექსანდრიელი ქრისტიანები ჰსჩადიან....

— ჩვენ იმისი ნება არ უნდა მივჰსცეთ ჩვენს თავსა, — უთხრა მკვახედ პავლემ. — ვინც თავისი თავი ზეცისათვის დანიშნა, იგი ერთხელ და სამუდამოდ უნდა გამოეთხოვოს სააქაო ცხოვრების ყოველგვარს სიტკბოებას და ერთიერთმანეთზედ შეჰსწყვიტოს თვითოეული კავშირი, რომლითაც იგი მიბმულია ამ წუთის-სოფელზედ. იყო დრო, როცა მეც ვანებივრებდი ხორცს, ამ ბანჯგლიანს თავზედ ვისვამდი სურნელოვანს ზეთს თმის დასარბილებლად და მე თვითონ შევხაროდი ჩემს სახეს სარკეშია. ხოლო შენ კი გეტყვი, ჩემო გერმას, და გეფიცები მაცხოვარს, რომ გეტყვი იმიტომ, რომ ამას ღრმადა ვგრძნობ: ლოცვა ჰსჯობია ბანობასა... მე რა ვარ? ერთი ფეხბქვეშ გასაჭყლეტი მატლი, მაგრამ მეც კი ლოცვის მეოხებით ზეცამ მარგუნა იმისთანა წუთნი, იმისთანა წუთნი-მეთქი, რომელთ მიმავლობაში სული ჩემი სრულად განთავისუფლდა ამ წუთის-სოფლის ბორკილთაგან და მიიღო მონაწილეობა ზეცის დღესასწაულობაში, როგორც პატივსაცემმა სტუმარმა.

როცა პავლემ წარმოსთქვა უკანასკნელი სიტყვები, საშინლად გადიდებულნი თვალები ცისაკენ მიემართნენ და რაღაც უცნაურის ელვარებით განუბრწყინდნენ.

რამოდენიმე ხანი ორნივ ერთიმეორის პირდაპირ იდგნენ ხმაამოუღებლივ და უმოძრავოდ. ბოლოს ბერ-მონაზონმა გადიყარა უკან შუბლზედ ჩამოშლილი თმები და მარტო ეხლა გამოუჩნდა შუბლი. შუბლი ჰქონდა მშვენივრად მოყვანილი და ისეთი თეთრი, რომ საოცრად ირჩევოდა მზისაგან დამწვარს სახეზედა.

— შენ არ იცი, ჩემო ბავშვო, — უთხრა პავლემ აღმოოხვრით. — რა ნეტარებას ანაცვალებ ამ წუთისსოფლის ამაოებას! ვიდრე მადლიანს კაცს ზეცა თავისთან აღიყვანს, ჯერ თვით მადლიანი ჩამოიყვანს ხოლმე ზეცას დედამიწაზედ.

გერმასს კარგად ესმოდა მეუდაბნოეს სიტყვა. მამამისი ხანგრძლივის ლოცვის შემდეგ ეგრევე დაუწყებდა ხოლმე ყურებას ცასა და მერე, როცა აღტაცებულის ხილვისაგან ეამოფხიზლდებოდა, ეტყოდა ხოლმე შვილსა, მაცხოვარი ვნახეო და ანგელოზთა გალობა მოვისმინეო.

თვითონ გერმასმა კი ვერც ერთხელ ვერ მიაღწია მაგ ყოფამდინ, თუმცა სტეფანე დააყენებდა ხოლმე დიდხანს მუხლმოყრილს და ხანგრძლივ ალოცებდა ხოლმე თავისთან ერთად.

ხშირად მოხდებოდა ხოლმე, რომ უძლური ფეთქა ძოხუცის ცხოვრებისა აპირებდა გაქრობას, ისე ძლიერი იყო ხოლმე ზედმოქმედება საოცარის ხილვისა. გერმასი დიდის მოწაფინებით წინააღუდგებოდა მამას, რომ ეგრე ხანგრძლივ არ ეცოცხლნა, მაგრამ თვითონ მოხუცი ამ ლოცვითა ჰპოვებდა იმედს უმაღლესის ნეტარებისას და გერმასი ვერ ჰბედავდა, დაათმობინოს წმინდა მოქმედება იგი.

პავლეს კი ყველაფრის თქმა გაუბედა გერმასმა, რადგანაც იმისთანა გუნებაზედ იყო დღეს მოსული.

— განა მე კი არ მინდა სამოთხეში შესვლა, მაგრამ სამოთხის კარი სიკვდილის შემდეგ გაიღება ხოლმე. ქრისტიანი მოთმინებით უნდა იყოს. რატომ არ იცდით, ვიდრე მაცხოვარი თვით არ მიგიწვევთ საიქიოს ნეტარებისათვის? ამ წუთის-სოფელში მაინც რაღად გინდათ ის ნეტარება? ჯერ ერთი და მერე მეორე განა! რისთვის მოგვანიჭა უფალმა სიკეთე ხორცისა, თუ არ იმისათვის, რომ მითი დავჰსტკბეთ? სიტურფე და ღონე ამაო საქონელი არ არის, და თუ არ სულელი, ვინ ინდომებს, რომ მისგან მინიჭებული ძვირფასი ნივთი აიღონ და გადააგდონ.

პავლემ გაოცებით შეხედა ჭაბუკსა, რომელიც აქამომდე ხმაამოუღებლივ ემორჩილებოდა მამასა და თვითონ პავლესაც ყოველს სასულიერო საქმეში. თავის ქნევით უპასუხა:

— ეგრე ფიქრობენ ძენი ამაოებისანი, ღვთისაგან განშორებულნი. მეც ეგრე ვფიქრობდი, როცა ურჯულოდ ვიყავ და ხორ-

ცის სიტკბოებას თავგადადებით ვეძლევოდი. მერე ქრისტიანად შევიქენ. მადლი ღვთისა ჩამოვიდა ჩემზედ და მე თითქო ხელმეორედ დავიბადე. წინანდელი ქვეყნიერობა განჰქრა ჩემთვის, მე განმესხნა ზეცა. წინად მენანდრი ვიყავ, ეხლა კი, როგორც სავლე, პავლედ შევიქმენ და რაც მოჰსწონდა მენანდრს: ტერმები, წვეულობა, თამაშა რამ, ცხენები, ეტლი, სიმღერა და ქალის ტრფიალება — სულ ყველა ესენი ზურგთ უკან დამრჩა, როგორც მყრალი საფლობი ტინი, საცა კინაღამ მე მგზავრი არ ჩავიფალი და საიდამაც ძლივს დავიხსენი თავი. ძველისაგან მე განახლებულს აღარა დამრჩა რა და აი ეხლა, როცა საუკლავის გზაზედა ვარ მდგარი, მეც, როგორც ყოველს ღვთისმოყვარე კაცს, ახალის ცხოვრების მზე ამომიბრწყინდა. შენი ღროც მოვა! როცა იქნება, შენი საათიც დაჰკრავს!...

— დიახაც, თუ რომ რამდენსამე ხანს შენსავით მეხანდრად ვყოფილვიყავ! — გააწყვეტინა სიტყვა გერმასმა. — რაც არ მინახავს, ის როგორ შევიძულო! იმისათვის რომ კაცი კაცურად მოკვდეს, ჯერ სიცოცხლე უნდა იგემოს. მომწყინდა ამისთანა უხეიროდ ცხოვრება და აღარ მინდა, რომ თქვენ უკან გდეეღეთ, როგორც ხბო ძროხასა. მე თავისუფალი კაცი ვარ და გაძოჩენილის გვარისაცა; თვითონ მამაჩემს უთქვამს ეგ ჩემთვის, და დამიჯერე, მე არაფრით უარესი არა ვარ იმ ყმაწვილ კაცებზედ, რომელთაც მე ტერმიდამ გავყევ ყმაწვილ კაცთა სავარჯიშო შკოლაში.

— შენ პალესტროშიაც[2] იყავ? — ჰკითხა პავლემ გაკვირვებით.

— თიმაგეთის შკოლაში ვიყავ, — უპასუხა გერმასმა და ცოტად აწითლდა. — იქ მე ყმაწვილ კაცთა ვარჯიშობას და თამაშობას ვუყურებდი; მე ვნახე, როგორ ჭიდაობდნენ და როგორ ესროდნენ ნიშანში მძიმე თეფშს რკინისას. მე კინაღამ არ მოვჰკვდი შურისაგან, რომ მე ისე უხეიროდ ვიდეგ შორს ტყაპუჭში გახვეული და არა მქონდა ნება, იმათში გავრეულვიყავ და თავი მეცადინა. პახომი რომ არ შემსწროდა, ვფიცავ წყლულთა მაცხოვრისათა, გავიდოდი შუა მოედანზედ და გამოვითხოვდი,

---

2 უწინდელი შკოლაა ვარჯიშობისა.

ვინც იმათში უკეთესი იყო. თვითონ რკინის თეფშსაც მე უფრო შორს გავისროდი, ვიდრე ის გალიპული და განსპეტაკებული სულელი, რომელმაც მაშინ გაიმარჯვა და გამარჯვების გვირგვინიც იშოვნა.

— მადლობელი იყავ პახომისა, — ჩაიცინა პავლემ. — რომ ეგ არ გაქმნევინა, თორემ ბევრს სირცხვილს გაჭმევდნენ შენ იქ და სასაცილოდაც აგიგდებდნენ. მართალია, ღონიერი ხარ, მაგრამ დისკოს სროლას, როგორც ყოველს სავარჯიშოს, ცოდნა და შეჩვევა უნდა. თვით ჰერკულესიც კი დამარცხდებოდა მაგაში, თუ რომ ხერხი წინადვე არ ესწავლა და არ ევარჯიშნა.

— დისკოს სროლა ჩემგან პირველი ხომ არ იქნებოდა, — დაიძახა ყმაწვილმა კაცმა: — აბა, უყურე რარიგად ვიცი!

ამ სიტყვაზედ დაიხარა, დაჰსწვდა ერთს მოზდილს პრტყელს ქვასა, რომელიც გზის პირს ეგდო, ღონივრად მოიქნივა და ქვის დისკო თავ-თავქვე გასტყორცნა.

— აი ხომ ნახე, — უთხრა პავლემ, რომელმაც დიდის ყურადღებით თვალი ააყოლა გატყორცნილს ქვასა. — თუმცა ღონიერი ხარ, მაგრამ ყველა ახლადმოსწავლე შენზედ შორს გაჰსტყორცნიდა, თუ ცოტა ხერხი ეცოდინება. ეგრე არ უნდა სროლა, არა! დისკომ გალესილის პირით ისე უნდა გააპოს ჰაერი, როგორც დაწამ, ან ხელი როგორ გიჭირავს. ეგრე მარტო დედაკაცები ისვრიან, თითი ამრიგად უნდა მოსახრელში გეჭიროს, პირდაპირ, მარცხენა უკან უნდა გასდგა და ცოტად შეიხარო. აი, შე უთაურო! მომეცი აქ მე ქვა! ცოტა უნდა დარგვალდეს და მერე ვეცდებით აიმ ხეს მოვარტყათ.

დიდის ხალისით ამბობდა ამას პავლე. შემოაცალა მეტ-ნაკლებობა ქვას; დადგა ისე, როგორც რამდენიმე ხნის წინად დადგებოდა ხოლმე, ესე იგი მაშინ, როცა არც ერთი ალექსანდრიელი ყმაწვილი კაცი ამას დისკოს სროლაში ვერა ჰსჯობნიდა.

მუხლი შეიხარა, ზედა ტანი წინ წამოიწია, მთელის ძალვის გაშლით მოიქნივა და გაჰსტყორცნა ქვა. დისკომ ვერ მიაღწია ხემდინ და ახლოს დაეცა.

— დაიცა, — დაიძახა გერმასმა: — აბა ეხლა მე ვესვრი ხეს.

ქვა ზუილით წავიდა, მაგრამ ამხანად ბექამდინაც ვერ მიაღწივა, საცა ხე იდგა.

პავლემ გულნატკენად გაიქნივა თავი, წამოავლო ხელი მეორე ქვას და დაიწყეს ერთმანეთთან გამოჯიბრება. ყოველს ახალს სროლაზედ გერმასის ქვა უფრო შორსა და მორს ეცემოდა და ხანში შესულ მეუდაბნოეს ხელი კი თანდათან ჰღალატობდა.

ბოლოს გერმასის ქვა ხეს მოხვდა კიდეც და პავლემ კი ბექსაც აცდინა.

გამოჯიბრების ჟინმა, ჯობნის სურვილმა თანდათან უფრო შეიპყრო განდეგილი. გაიძრო სამოსელი, წაავლო ხელი ახალს ქვას და ერთი დაიძახა, თითქო თიმაგეთის მოედანზედ არისო, თავის ამხანაგებში, საცა იმდენი დაფნის გვირგვინი მიულია:

— ვფიცავ აპოლონს და მის ვერცხლის შვილდსა, ვფიცავ არტემიდას და მის საისრეს, რომ ხეს მოვარტყამ!

ქვა ზუზუნით წავიდა, მოხვდა ხეს ასე ძლიერ, რომ ხე შეინძრა და გერმასმა აღტაცებით დაიძახა:

— ოჰ, აბა ეგრე უნდა აი! უჰ, რა კარგი იყო! აი მაგას ქვიან სროლა! ჰსჩანს, ძველი მენანდრი ჯერ არ მომკვდარა. მშვიდობით! ხვალ კიდევ ვცადოთ ჩვენი თავი.

ამ სიტყვებზედ გერმასი გამოეთხოვა მეუდაბნოეს და ჩქარის ფეხით დაეშო მთიდამ სოფლისაკენ.

როგორც მძინარე მთელის ტანით დაიძვრის, როცა მის სახელს ხმამაღლა ჩაჰსძახებენ, ისე შეიძრა პავლეცა გერმასის სიტყვებზედა.

გონებამიხდილსავით დაიწყო აქეთ-იქით ყურება, თითქო რაღაც უცხო ქვეყანაში ჰპოვა თავისი თავი.

სხვილი ოფლი დაესხა შუბლზედ; შემკრთალმა წამოავლო ხელი მიწაზედ გდებულს ტანსაცმელს და შიშველი ტანი შეიმოსა.

რამდენსამე ხანს გერმასს თვალს ადევნებდა, მერე ერთი სახშინლად ამოიკვნესა, დიდის მწუხარებით თავზე ორივე ხელი წაივლო და წაჰსქდა ორ ტოტად თვალთაგან ცრემლი.

— რაო, რა ვჰსთქვი მე? — წაიდუდუნა თავისთავად. — ტყუილია, ტყუილი, ვითომ ჩემში უწინდელი ყოველისფერი მომკვდარა! ვაი მე სულელსა, უგუნურს რეგვენს! მე ჰავლეს მეძახიან, ისევ სავლე კი ვარ, სავლეზედაც უფრო უარესი!

ამ სიტყვებზედ მუხლებზედ დაეცა, თავი მიაყუდა კლდის ქვასა და დაიწყო ლოცვა.

მას ისე მოეჩვენა, რომ ვითომ მაღლიდამ ძირს დაეცა და მახვილისა და შუბების პირზედ აეგო, თითქო გულზედ სისხლბალღამი გადაესხა. ლოცვაში და მწუხარებაში ისე დაავიწყდა თავი, რომ ვერ ჰგრძნობდა საშინელს პაპანაქებას და სულ ზევით და ზევით აღმავალის მზისას, ვერ გაიგო, რომ დიდმა ხანმა გაიარა და ვერც ის დაინახა, რომ მის ახლო მოვიდა მთელი გუნდი მლოცავ ეპისკოპოზს აღაპიტის წინამძღოლობით, რომელნიც წამოსულიყვნენ წმინდა მთის თაყვანის საცემად.

ამათ ნახეს, რარიგად გულმოდგინედ ლოცულობდა, ამათ თავის ყურით გაიგეს მისი გოდება და უკვირდათ მისი ღვთისმოყვარება. ეპისკოპოზმა ანიშნა და ყველამ მუხლი მოიყარა პავლეს ზურგთ უკან.

ბოლოს როცა ფეხზედ წამოდგა და დაინახა თვისის შენანების მოწამენი, გაოცდა და ელდა ეცა. მივიდა აღაპიტთან, რომ კალთაზედ ემთხვიოს; ხოლო ეპისკოპოსმა უბძანა:

— ნუ, ნუ! ეგ საჭირო არ არის! ვინც ყოველს ჩვენზედ უფრო წმინდაა, ის არის ყველაზედ უმაღლესიცა. მუხლი მოვიდრიკოთ, ძმანო, ამ წმინდა კაცის წინაშე!

ყველამ მუხლი მოიდრიკა.

პავლემ სახეზედ ორივე ხელი აიფარა და გოდებით წარმოჰსთქვა:

— ვაი, ვაი მე ცოდვილსა!

მლოცავნი ამისი თავდაბლობით გაოცებულნი, წავიღნენ თავის გზაზედ.

IV

გერმასი გამალებული მიდიოდა, არსად არ შეფერხდა.

მალე მიაწია უკანასკნელს მოსახვევს ღელისას, რომელზედაც გზა გადიოდა. აქ ფერხთა წინ დაინახა ბრწყინვალე ჭავლი წყლისა, რომელიც მიდიოდა განიერს ველზედა და ჰრწყავდა უდაბნოსა. აქავ თვალწინ წარმოუდგა უშველებელი ბზის ხეები, ბუჩქნარები, რომელთ შორისაც მოჩანდნენ სახლები სოფელში

მცხოვრებთა, გარეშემორტყმულნი ბაღებითა და მორწყულის ყანებითა.

მის ყურამდე მოაღწია კიდეც მამლის ყივილმა და ძაღლთა ყეფამ. თავისს საცხოვრებელს კლდეებში იგი მიჩვეული იყო სიჩუმეს და უხმაურობას და ეხლა კი, როცა ეს ხმები მოესმა, ისე მიიღო, ვითომ გაჩაღებული ადამიანის ცხოვრება მიწვევს შესაქცევრადაო, ის ცხოვრება, რომლისათვისაც ასე ძხურვალედ გული უცემდა.

გერმასი სოფლის პირას შედგა და დაუწყო ცქერა ბოლს, რომელიც ათას ადგილას სახლებიდამ ამოდიოდა და მაღლა და მაღლა ამავალის მზის სხივებში იფანტებოდა.

— აი, აქ ბოლი რომ ამოდის, იქნება ცოლები საუზმეს უკეთებენ ქმრებსა და დედები — შვილებსა; აი იქ კიდევ, საცა სქელი ბოლია, ვინ იცის, რა დიდის წვეულობისათვის მზადდება საჭმელი! — ჰფიქრობდა თავის გულში გერმასი. — მე კი.... მე არსად არც სახლი მაქვს და არც მოპატიჟე მყავს!

პავლეს რომ გამოეჯიბრა და აჯობა, ცოტათი მოიმხნევა თავი და გული გაუკეთდა; ხოლო ეხლა კი, რომ დაინახა ეს ადამიანთა საცხოვრებელი სოფელი, გული ახალის სევდით აევსო. ტუჩი აუკანკალდა, რომ დაინახა თავისი ტყაპუჭი და ჭუჭყიანი ხელ-ფეხი.

მაშინვე უცბად მოტრიალდა, ზურგი სოფელს შეაქცივა და უკანვე კლდეებისაკენ წამოვიდა. მივიდა წყალზედ, გაიგდო ტანიდამ ის უხეირო ტყაპუჭი და ტანისამოსი, ჩაეშვა გრილს წყალში, ტანი დაიბანა, თითებით გაისწორა თმა და ისევ სოფლისაკენ დაეშვა.

გვერდზედ ჩამოურბინა იმ გორას, რომელზედაც ვითომ მოსე წინასწარმეტყველს ელოცნოს, როცა ამალეკიტელებს ეომებოდა.

ამ სოფლის ახლო-მახლო კიდევ ბევრი სხვა წმინდა ადგილები იყო. ცოტა ჩრდილოეთით კლდე იყო, საიდამაც მოსემ კვერთხით წყალი გამოიყვანა. სამხრეთ-დასავლეთით ბექი იყო, საცა უფალი ღმერთი მოეჩვენა მოსეს. იქავ ჭა იყო, საცა იგივე მოსე შეხვედრია იეტრის ასულებსა, ციპპორას და ლეედიას.

სოფლის ნაპირზედ ჩრდილოეთით ციხე იყო, საცა რომის იმპერატორის მეციხოვნე ჯარი იდგა ამ სოფლის დასაცველად სარაცინოსაგან და ბლემიელთაგან, რომელნიც მეკობრობდნენ და მტრობდნენ სოფელსა..

თვითონ სოფლელნიც კი ჰზრუნავდნენ თავის თავის დასაცველად. ციცაბის კლდეების წვერებზედ დარაჯები ჰყენდნენ გარიგებულნი; ისინი დღე და ღამ გაჰყურებდნენ წინ გამდინარეს ვაკესა და თუ მტერს თვალს მოჰკრავდნენ, მაშინვე აცნობებდნენ სოფელსა.

თვითოეული სახლი სწორედ პატარა ციხე იყო, ისე ჰქონდათ გამაგრებული სახლები; სულ მაგარის თლილის ქვით აშენებულნი. ყოველი მეკომური ჩინებული მსროლელი იყო.

იმ ბექის ახლო, საცა ეკკლესია იდგა, უფრო წარჩინებულნი ოჯახები ჰსცხოვრობდნენ. იქავ იყო სახლი ეპისკოპოზის ალაპიტისა და თვითონ სოფლის მოხელეებისა.

ამ უკანასკნელთ შორის ყველაზედ უფრო პატივცემული იყო სენატორი პეტრე. ჯერ პატივს იმისთვის ჰსცემდნენ, რომ ჭკუიანი და მდიდარი იყო, მერე იმისათვის, რომ მისი ცოლი დოროტეა მეტად კეთილი და პატიოსანი ადამიანი იყო.

მშვენიერად იყო მოწყობილი და მოვლილი პეტრეს სახლი; მშვენიერადვე იყო ნაკეთები სახლის გარეშემორტყმული ბაღი. ოცი ნასყიდი ტყვე, ბლომა აქლემი და ორი ცხენი შინ მოსახმარად ჰყვანდა.

სახლის ერთი ნაწილი ქირით ეჭირა იმპერატორის მეციხოვნეთა ჯარის უფროს ცენტურიონს ფებიცის და მის ცოლს სირონას. პეტრეს არ მოსწონდა თავისი დგმური, რადგანაც ქრისტიანი არ იყო.

ფებიცისს ჰსწამდა და თაყვანს ჰსცემდა სირიის ღმერთს მიტრას და ამის თაყვანისმცემელთა შორის მიიღო კიდეც დიდი ხარისხი „ლომისა“. ლომსვე ეძახდნენ თვითონ სოფლელნიცა.

გერმასი კრძალვით მიდიოდა პეტრეს სახლისაკენ. კრძალვა მოემატა, როცა წინა ოთახში დაუბრკოლებლივ შევიდა და აღარ იცოდა, აქედამ საით უნდა წასულიყო. არავინ არ შეხვდა, რომ ეკითხნა ვისთვისმე. ასვლა კიბეზედ, რომელიც ბემო სართულში

ადიოდა, ვერ გაბედა, თუმცა ვარაუდით სენატორი პეტრე იქ ეგულებოდა. აი, მოესმა კიდეც იმისი ხმა.

გერმასმა ფეხი დაადგა პირველს საფეხურს კიბისას და როცა უფრო გაბედვით დაიწყო კიბეზე ასვლა, მაშინ უეცრად კიბის თავში გაელო კარი და გამოცვივდნენ პატარა ყმაწვილები ჟღივილით და კასკასითა.

გაოცებულმა გერმასმა თვალი მიაბჯინა ამ ბაშვების ვუნდსა და მინამ მოისაზრებდა, რომ ამბავია, ყმაწვილები კიბეზედ მოცვივდნენ.

ყველაზედ წინ მორბოდა ქალი საკვირველის მშვენიერებისა ოქროსფერის თმითა. ხმამაღლა კასკასებდა და ხელში ათამაშებდა ჭრელად მოსილს კუკსა. ქალს კიბისაკენ ზურგი შემოექცა და ყმაწვილებისაკენ პირი ჰქონდა. ყმაწვილები კიდევ, რომელთაც დიდი სურვილი ჰქონდათ კუკი ხელში ჩაეგდოთ, ზოგი ეხვეწებოდა, ზოგი სიცილით, ზოგი კიდევ წუწუნით ეძუდარებოდა ქალს და იყო ერთი ჟღრიამული და წივილ-კივილი. „ჩვენ მოგვეცი, ჩვენ, სირონავ! ნუღარ წაგვართმევ. სირონავ! დადეგ, დადეგ, სირონა-ჯან! შენი ჭირიმე, დადეგ“, უყვიროდნენ ბაშვები.

ერთი პატარა ექვსის წლის ქალი მკლავზედ ჩამოეკიდა სირონას, რომ როგორმე ხელი მიაწვდინოს კუკს და წაართვას; სამი უფრო პატარები მოხვევოდნენ მუხლზედ და არ უშვებდნენ. სირონამ მარცხენა ხელით ეს პატარები მოიგერა, აუჩქარა ფეხი და თან მხიარულად ეუბნებოდა:

— არა, არა, თქვენ კუკს ვერ მიიღებთ, მინამ ახალი კაბა არ ექმნება მზად. ისე გძელი და ჭრელი იქნება, როგორც იმპერატორის სამოსელი. ციცილია, მომშორდი, თორემ თავ-პირს დაიმტვრევ, როგორც გუშინ ნიკონს მოუვიდა.

ქალმა უეცრად თვალი მოჰკრა გერმასს, რომელიც პირდაღებული შემოჰსცქეროდა ამ მხიარულს კრებას. სირონას ჯერ შეეშინდა და როცა მორცხობით ატაცებულმა გერმასმა პასუხი ველარ მოახერხა სირონას კითხვაზედ, რა გინდაო, ქალი ისევ მხიარულად სიცილს მოჰყვა და დაიძახა:

— რას გაჩერებულხარ? ჩვენ ხომ არას დაგიშავებთ! რას შიშობ! განა, არას დაუშავებთ, ჩემო პატარებო?

გერმასი ამ ხანობაში იმოდენად მოკეთდა, რომ უთხრა, სენატორის ნახვა ძინდაო. სირონა ძალიან დააკვირდა იმ მშვენივრად მოყვანილს ყმაწვილ კაცს და უთხრა, მე წაგიყვან სენატორთანაო.

პეტრე ამ დროს ელაპარაკებოდა თავის ორს უფროსს შვილს. პეტრეს უფროსი შვილი ლამაზი ყმაწვილ-კაცნი იყვნენ და ნიჭიერნიცა. უფროსი — ანტონი მეხანიკი იყო და უმცროსი — პოლიკარპი ძალიან მაღალის ნიჭიერების სკულპტორი. პოლიკარპი მამას ეუბნებოდა თავის აზრს მასზედ, თუ როგორ გადიტანოს ალექსანდრიაში უშველებელი ლუსკუმები, რომელიც მას შემოკვეთილი ჰქონდა. მამა არ ეთანხმებოდა, მაგრამ შვილი ისე გულმხურვალედ აჯერებდა, რომ ბოლოს ესეც დაუყაბულდა.

ოთახში შემოვიდა პეტრეს ცოლი დოროტეა და მისი ქალი მარტანა. დოროტეას ძალიან უხაროდა, რომ საყვარელის შვილის აზრი სისრულეში მოვა.

— რაო? სირონა თქვენთან არ ყოფილა? — ჰკითხა უეცრად პოლიკარპმა, რომელსაც უნდოდა გულგრილად ეჩვენებინა თავისი თავი, მაგრამ ვერ მოუვიდა და სახე აუწითლდა ამ კითხვაზედა.

მარტანამ ეს შეამცნია და ქვეშ-ქვეშობით უპასუხა:

— სირონამ დღეს ერთის წუთით დაგვანახა, თავისი მშვენიერი სახე და ისევ მალე მოგვშორდა, რაღაც მძიმე საქმე მაქვსო.

— საქმეო? ვისა? სირონას? — ჰკითხა გაკვირვებით პოლიკარპმა.

— მაშ! მაშ! — იცინოდა მარტანა: — სირონას ჰქონდა, სირონას! კუკისათვის ახალის კაბის შეკერვა მძიმე საქმე არ არის განა!

— ახლა შენ რად დაჰსცინი მის გულკეთილობას? — ჰკითხა მდურვით პოლიკარპმა.

— უჰ, გულბილი რამ ყოფილხარ! — ჰსთქვა ხმადაბლა მარტანამ. — სირონა გულუბრყვილოა და კეთილი, როგორც ანგე-

ლოზი, მაგრამ მაინც შენ ისე ხშირად არ უნდა შეაჭყიტო ხოლმე თვალები. იგი ჩვენი არ არის და რაც უნდა ჰსძულდეს თაკისი ქმარი გალელი ცენტურიონი, მაინც კიდევ....

სიტყვა ველარ დაასრულა, იმიტომ, რომ ამ დროს დედამ ამათკენ მოიბრუნა პირი.

ქვა იქავ სენატორის მამულში უნდა მოეჭრათ ლუსკუმის გამოსაკვეთად. ქვის მოჭრას მუშები უნდოდა. დოროტეამ თავისი მოურავი იეტრო დაიბარა. მოურავი მოვიდა და დოროტეამ შეუკვეთა, მუშები იშოვნეო, ზოგი ჩვენი შინაყმანი მიაშველეო, ასე კიო, ჩვენი შინაური საქმე ამითი არ შეფერხდესო. რასაც კი დოროტეა ამ საგანზედ ეუბნებოდა, ყველაფერი გონივრული და ჭკვიანური იყო. აშკარად ჰსჩანდა, რომ ოჯახის ავ-კარგი კარგად ეყურებოდა და ბძანებლობასაც ჩვეულ ყოფილა.

— აი, ის ახმახი ანუბისი! — ჰსთქვა დოროტეამ: — ის შეიძლება ცოტას ხნობით თავლას მოვაშოროთ. თავლაში ის ისე საჭირო არ არის; უიმისოდ თავლაში იოლად წავლენ.

მოურავმა ამაზედ პასუხი დაუგვიანა, თუმცა აქამომდე სწრაფად აძლევდა პასუხსა. ამასთანავე ისეთის თვალით გადახედა პეტრეს, რომელიც ამ დროს შვილის სამუშაო გეგმას სინჯავდა, რომ აშკარა იყო პეტრესი ერიდება და იმასთან პასუხის თქმა ემძიმება.

დოროტეა მიუხვდა იეტროსს და სწორედ ამ მიზეზითაც უფრო გაკვირვებით, ვიდრე გაჯავრებით ჰკითხა:

— ეგ თვალით რომ მანიშნე, რა ამბავია? რაც ჩემთვის მოსასმენია, ის პეტრესათვისაც მოსასმენი უნდა იყოს.

სენატორმა ამათკენ შემოიხედა და ისეთის თვალით გაზომა თავისი მოურავი, რომ ამან უკან დაიწია და მოჰყვა რაღაცის ტიტინსა.

ბაშვების ხმაურობამ სიტყვა გააწყვეტინა. ოთახში შემოცვივდნენ ყმაწვილები და სირონა. სირონამ გერშასი მიიყვანა სენატორთან და სიცილით უთხრა:

— აი, ეს გძელი ჭაბუკი კიბეზედ ვიპოვე; შენ გეძებდა.

პეტრემ მოყვარის თვალით ვერ შეხედა ჭაბუკს და ჰკითხა, ვინა ხარ და რა გინდაო.

გერმასს მორცხობისაგან ენა დაება. თავის დღეში ამდენს ხალხში, მერე საცა სამი ქალი იყო, თავისი თავი არ ენახა. სხვა რომ ვერა გაეწყო რა, თავისის ტყაპუჭის ბეწვს დაუწყო გლეჯა და ტუჩებს კიდევ ცმაცუნი. ბოლოს, როგორც იყო ხმა ამოიღო და ძლივ-ძლივ წაიდუდუნა:

— მე სტეფანეს შვილი ვარ, აი, ამ ბოლოს დროს რომ დაჰსჭრეს, სარაცინები რომ დაგვეცნენ. ხუთი ღამეა რაც მამაჩემს ძილი აღარ მოჰსვლია. მე გამომგზავნა შენთან პავლემ, კეთილმორწმუნე პავლემ ალექსანდრიელმა, შენ ხომ იცნობ, გამომგზავნა, რომ....

— ჰო, ჰო, — გააწყვეტინა სიტყვა პეტრემ და იმ კილოთი დაუწყო ლაპარაკი, რომ ამ ყმაწვილ-კაცს გული მოუგოს: — ჰო, ვიცი! შენ მამიშენისათვის წამალი გინდა. ერთი უყურე, დროტეავ, რამოდენა ვაჟკაცი გამხდარა ის ბაშვი, რომელიც ანტიოხელმა თავისთან მთაში წაიყვანა. ვერ ხედავ რა ტანადი ვაჟკაციაა!

გერმასი გაწითლდა და უნებლიეთ გაჰსწორდა და ტანი მოიმარჯვა. დიდის თავმოწონებით ნახა, რომ სენატორის შვილებზედ უფრო ტანადი და მაღალია თითონ. ისინი და გერმას ერთის ხნისანი იყვნენ თითქმის, მაგრამ იმათ წინ უფრო მორცხობდა, ვიდრე იმათ დაღვრემილ მამის წინაშე. ესეც უნდა ვჰსთქვათ, რომ სენატორის შვილები ვერაფრად მოსდიოდნენ თვალში გერმასს. ამისი გული იმათ როგორღაც არ მიეკარა.

პოლიკარპმა თავიდამ ფეხამდე თვალით გაზომა გერმასი და ხმამაღლა უთხრა სირონას, რომლისათვისაც ერთს წუთსაც თვალი არ მოუშორებია:

— ერთი ამისთანა მხარბეჭიანი ოციოდ მუშა რომ გვეშოვნა, ჩვენი საქმე კარგად წავიდოდა. აქ, ჩვენო ახმახო ფალავანო, სამუშაოა, თუ გინდა....

— მე ფალავანს კი არ მეძახიან, მე გერმასი მქვიან, ეს იცოდე, — უპასუხა თავმოწონებით გერმასმა და შუბლზედ ძარღვები სისხლით აევსო.

პოლიკარპს ენახა ბერ-მონაზონები წმინდა მთაზედ, იცოდა

იმათი აჯი და კარგი, მაგრამ არ ეგონა, რომ ამისთანა ჯანმრთელი, ღონიერი ჭაბუკიც მეუდაბნოეთა რიცხვში იქნებოდა. მაშინვე მიხვდა, რომ ეს მამის სტუმარი რაღაც რამ მეტია მასზედ, რაც მისი ტანისამოსი აჩენს. ისიც იგრძნო, რომ აწყენინა ჭაბუკსა და ამის გამო ასე მეგობრულად და ტკბილად უთხრა:

— მაშ გერმასი გქვიან? რათ მიწყინე? ჩვენ ყველანი მუშები არა ვართ განა? შრომა არავის არ ამდაბლებს. სახელდობრ რა საქმეზედ სდგეხარ?

ამ სიტყვამ ძალიან აამღვრია გერმასი, დოროტეამ შეამცნივა ეს ამბავი და მაშინვე წამოიძახა:

— თავის სნეულს მამას უვლის. არა, ჩემო შვილო? პეტრე შემწეობაზედ უარს არ გეტყვის.

— მაგას ეჭვი არ უნდა, — ჩაერია ლაპარაკში სენატორი. — ცოტას ხანს უკან მეც გამოგყვები მამაშენთან, გერმას. თქვენ კი, ჩემო შვილებო, იცოდეთ, ამისი მამა გამოჩენილი დიდკაცი იყო. მან დიდს სიმდიდრეზედ აიღო ხელი, ზურგი შეაქცია ამ წუთისოფელს, რომელმაც მრავალი მწარე დღე გამოატარა. და სულ მთლად მიეცა ღვთის სამსახურსა. ჩვენ შეგვიძლიან იმის აზრს ღვთაებაზედ არ ვეთანხმოთ, ხოლო პატივსაცემი კაცი კია და პატივი უნდა ვცეთ. ჩამოჯეგ, ჩემო კარგო! ჯერ ერთს მძიმეს საქმეზედ მოსალაპარაკებელი მაქვს, მოვრჩები თუ არა, წამოგყვები და წავიდეთ.

— ჩვენ ძალიან მაღალს მთაზედ ვდგევართ, — წაიბუტბუტა გერმასმა.

— მაშ წმინდა ჰაერში ჰსცხოვრობთ, როგორც ვხედავ, — მიუგო სენატორმა. — კარგია მომაგონდა! იქნება მამაშენი მარტოა ეხლა? მაგრამ შენა ჰსთქვი, რომ ის მადლიანი კაცი პავლე იქ არისო. თუ ეგრეა, კაი პატრონი ჰყოლია, არა უშავს რა, რომ აქ ცოტათი მოიგვიანო კიდეც.

პეტრეს რაღაცა მოაგონდა და ჩაფიქრდა. ცოტას ხანს მერე თვალი უყო შვილებს და უთხრა:

— შენ, ანტონივ, წადი და მუშების საქმეს შეუდეგ, შენ კი პოლიკარპ, შეუდეგ საქონელის შოვნის თადარიგს. ფულს ნუ დაიშურებ, ოღონდ კარგები იყვნენ. რაც მალე პასუხს მომიტანთ,

მით უფრო კარგი იქნება. საქმე უნდა სიტყვას ზედ მოჰყვეს ხოლმე, ის არის კარგი. როცა კვერი დაეცემა, ხმასაც მაშინვე გამოიღებს; ჩვენც ეგრე უნდა მოვიქცეთ. შენ კი, მარტანავ, ციების წამალი შეამზადე და რამდენიმე წყლულის შესახვევი მჩვრები. აი გასაღებიცა.

— მეც გიშველი, — დაიძახა სირონამ, რომელსაც უყვარდა, რომ რაშიმე კაცს გამოჰსდგომოდა. ამასთანაც ებრალებოდა საწყალი და სნეული მეუდაბნოე. გერმასს როგორღაც განსაკუთრებით უყურებდა. სირონას ეგონა, რომ ეს ჭაბუკი ჩემი ნაპოვნიაო, ჩემგან არის აქ მოყვანილიო. მას აქეთ რაც შეიტყო, რომ გერმასი დიდი-კაცის შვილია, დიდის პატივისცემით დაუწყო ცქერა.

მინამ სირონა და მარტანა წამლის მზადებაში იყვნენ, ანტონი და პოლიკარპი გავიდნენ ოთახიდამ.

უკანასკნელმა გადააბიჯა დირეს ფეხი თუ არა, ერთი კიდევ უკან მოიხედა და დიდხანს მიაპყრა თვალი სირონასა. შემდეგ სწრაფად გაჰსწია, მიიბურა კარები და აღმოკვნესით ჩაიარა კიბე.

როცა შვილები გავიდნენ, პეტრე ხელახლად მიუბრუნდა მოურავს და ჰკითხა:

— რა მოჰსვლია იმ ჩვენს შინაყმას ანიბუსსა?

— დაჭრილია, — უპასუხა იეტრომ. — ასე დაჭრილია, რომ რამდენსამე დღეს არაფრის კეთება არ შეუძლიან. მირიამმა, იმ გარეულმა კატამ, თავი გაუხეთქა ნამგლითა.

— მე მარტო ეხლა მესმის ეგ ამბავი! — დაიძახა გულნაკლულად დოროტეამ. — მერე ის საძაგელი გომბიო რა იქნა?

— ბეღელში დავამწყვდიეთ, — უპასუხა იეტრომ. — ეხლა იქა გდია და თმას იგლეჯს და იწყევლება.

დოროტეამ თავი გაიქნია გაჯავრებით და ჰსთქვა: — მაგით თქვენ იმას ვერ მოარჯულებთ. წადი და აქ მომიყვანე.

როცა მოურავი გავიდა, დოროტეა მიუბრუნდა თავის ქმარს და უთხრა:

— კაცი გაგიჟდება, როცა ხედავს, როგორ ექცევიან ერთმანეთს ის უბედურნი. აი რამდენჯერ შემინიშნავს! ისე შეუბრალებლად არავინ მოეკიდება, როგორც მონა მონასა.

V

იეტრომ და კიდევ ერთმა გოგომ შემოიყვანეს მირიამი ოთახში. ხელები შეეკრათ მირიამისათვის სხვილის თოკითა და აწეწილ თმებში ჩალა-ჩულა ჰქონდა გარეული.

რისხვის მეხი გამოჰკრთოდა მის თვალებში, სახის ძარღვები უთრთოდა, როგორც ფილენჯიანს.

როცა დოროტეამ შეხედა, მირიამმა თავი მაღლა აიღო, თვალი გადაავლო თვის ვარეშემოს, თითქო იმისათვისაო, რომ თავისი მტრები დაათვალიეროსო. უცბად თვალი მოჰკრა გერმასსა. ტუჩები გაუფითრდა; ერთი ღონივრად დაიძრა, ხელები გაინთავისუფლა თოკიდამ, პირის სახეზედ მიიფარა და კარებისაკენ გაიქცა. მაგრამ იეტრომ გზა გადუჭრა და მაგრად ჩაჰსჭიდა მხარში ხელი. მირიამმა ხმამაღლა დაიკივლა. სენატორის ქალმა ხელიდამ გააგდო წამალი და გულმტკივნეულად თვალს ადევნებდა საწყალის მირიამის მოქმედებას. ეხლა კი სწრაფად მივიდა მირიამთან, ხელი ჩამოაცლევინა მოურავს, რომელსაც კიდევ მაგრა ეჭირა მწყემსი ქალი და უთხრა: „ნუ გეშინიან, მირიამ! რაც უნდა გექმნას, შეიძლება მამაჩემმა ყველაფერი გაპატიოს“.

ეს სიტყვები ასეთის გულისტკივილით იყო ნათქვამი, რომ მირიამი აღარ ეურჩა და მიჰყვა ქალს მის მამასთან. რამდენსამე ხანს ხმა არავის ამოუღია. ბოლოს დოროტეამ ჰკითხა მირიამს:

— რა მოგივიდა ისეთი, ჩემო კარგო, რომ ასეთი ამბავი ჩაგიდენია?

მირიამმა არ იცოდა, რა ექმნა და რა ეთქვა. ცემა-ტყეპას, ლანძღვა-თრევას მოელოდა და ამისათვის მომზადებულიც იყო. ხოლო ეხლა კი ეს ამისთანა ტკბილი და ლმობიერი სიტყვები მოესმა. მისი კერპობა ამ ლმობიერმა სიტყვებმა ჩაფუშეს, თვითონაც გული მოულბა, რაკი დაინახა თავისის ქალბატონის თვალნი გულმტკივნეულობით სავსენი და ნელა უპასუხა:

— დიდი ხანია ის მე მდევდა და უნდოდა, ჩემი თავი ცოლად თქვენთვის ეთხოვნა. მე ის მეზიზღება და მძულს, როგორც ყოველი თქვენი შინაყმა კაცი.

ბოლონდელს სიტყვაზედ თვალები უწინდელებრ ცეცხლით აენთო და თავისებურის გულმხურვალობით განაგრძო:

— კარგი იქნებოდა, რომ ჯოხით მეცემნა და ნამგალი არ მეხმარა, მაგრამ ისე გამიჭირა საქმე, რომ რაც ხელში მომხვდა, იმით უნდა მომეგერებინა. მე მეჯავრება, როცა კაცი ხელსა მკიდებს და შემეხება ხოლმე. მაშინ თვითონ კაციც შემეზიზღება. გუშინ თხები რომ შინ მოვრეკე და მოვწველე, კარგა მომიგვიანდა და დიდი ღამე გავიდა. სახლში ყველას ეძინა, მეც წავედი დასაძინებლად. როცა ვწვებოდი, მომეპარა ანუბისი და მომიყვა, მიყვარხარო. მე ხელი ვკარ, ის გადამეხვია, აი, ესე დაიჭირა თავი და უნდა ეკოცნა. სისხლი თავში ამივარდა. ეაშინვე ხელი წავავლე ნამგალს, რომელიც იქვე კედელზედ ეკიდა და მინამ ტკივილისაგან ღრიალს არ მოჰყვა და არ დაეცა ძირს, ვერ გავიგე, რომ დავჭერ. მაშინ მივხვდი, რომ ავი საქმე ჩავიდინე. როგორ მოხდა ეს ამბავი, მეც არ ვიცი. ჩემში რაღაცაა იმისთანა, რომ — არ ვიცი როგორა ვჰსთქვა — იმისთანა რაღაცაა, რომ ისე მატრიალებს, როგორც ქარი ფოთოლსა და ვერასგზით ვერ ამიცილებია. ძალიან კარგს იქმოდით, რომ მომკლათ და ამ წუთისსოფელს მომაშოროთ. მაშინ ჩემს სიავეს სამუდამოდ თავიდამ მოიშორებდით.

— მაგას რისთვის ამბობ, — გააწყვეტინა სიტყვა მარტანამ. — შენ მარტო თავდაუჭერელი და კერპი ხარ და არა ბოროტი.

— მაშ აბა ამას ჰკიოხე! — დაიძახა მირიამმა და ანთებულის თვალით გერმასზედ ანიშნა. გერმასს კი კრთომით თვალები ძირს დაეშვა და ისე იდგა.

სენატორმა და მისმა ცოლმა სწრაფად შეხედეს ერთმანეთსა. ისინი ჩვეულნი იყვნენ ერთმანეთის აზრის გაგებას უსიტყვოდაც, დოროტეამ ჰსთქვა:

— ვინც ჰგრძნობს, რომ როგორც რიგია, ისე არ იქცევა, ის უკვე სიკეთის გზაზეა დამდგარი. ჩვენ თხების მწყემსად დაგნიშნეთ იმიტომ, რომ ყოველთვის იმათთან გარბოდი ხოლმე და შიშ დგომას არ იფიქრებდი. ცისკრის დროს მთაში წაასხამ ხოლმე ირებს და ვახშმად უკან ბრუნდები შინ. შენის ადამიანობის თვისების განკარგებაზედ არავის არაფერი ზრუნვა არა ჰქონია. ნახევარი შენის დანაშაულობისა ჩვენი ბრალია და ჩვენ არაფერი საბუთი გვაქვს, რომ შენ რამე გადაგახდევინოთ. ნუ გიკვირს ჩემი თქმული. ჩვენ ყველანი ცოდვილნი ვართ, პეტრეც, მეცა იმის-

თანა ადამიანები ვართ, როგორიც შენ, არც მეტი, არც ნაკლები. ეს კი, რომ ჩვენ ქრისტიანები ვართ და ვალად კვდევს, გავუფთხილდეთ იმათ სულებს, რომელნიც ჩვენ გვაბარია, ჩვენი საკუთარი შვილნი იქნებიან, თუ შინაყმანი. შენ ამას იქით მწყემსად აღარ უნდა იყო, შენ შინ იქმნები. შენი წინდაუხედავი საქციელი მე მიპატივებია შენთვის, თუ პეტრეც გაპატივებს.

სენატორმა თავი დაიქნია იმის ნიშნად, რომ მეც ვაპატივეო. მაშინ დოროტეა მიუბრუნდა იეტროს და ჰკითხა:

— რაო, ანუბისი ძლიერ არის დაჭრილი? იქნება საჭიროა, მომველი ჰყვანდეს?

— ეხლა სიცხეშია და ბოდავს, — უპასუხა მოურავმა. — ბებერი პრაქსინოა უზის და წყლულს ცივის წყლით უგრილებს.

— მაშ მირიამმა მოუაროს პრაქსინოას მაგიერ, — ჰსთქვა დოროტეამ. — და ეცადოს გაასწოროს თავისაგანვე წახდენილი საქმე. ნახევარი შენის დანაშაულობისა აგეხდება, მირიამ, თუ ანუბისი მორჩება შენის მოვლისაგან. მე და მარტანა მალე მოვალთ და გაჩვენებთ, წყლული როგორ უნდა შეუხვიო.

მირიამმა თავი დაღუნა და ხმაამოუღებლივ გაჰყვა იეტროს სნეულთანა. მარტანამაც ამასობაში წამალი მოამზადა, გერმასის მამისათვის პეტრეს ჯოხი და ქუდი უბძანა, გერმასს წამალი ჩააბარა და უთხრა, წამო, წავიდეთო.

სირონამ თვალი გაადევნა ამათ და ჰსთქვა: — ცოდო არ არის ეს ტანადი ჭაბუკი! მეწამულის ტანისამოსი უფრო მოუხდებოდა, ვიდრე ეს დაგლეჯილი ტყაპუჭი.

დოროტეამ მხრები აიწია, ანიშნა თავის ქალს და უთხრა: — აუჩქარე, მართავ, საქმეს, თორემ მზე მაღლა ამოვიდა კიდევ. რარიგად მალე მირბიან დღეები! ადამიანი რამოდენადაც ხანში შედის, იმოდენად უფრო ჩქარა ეპარება დრო.

— მაშ მე ძალიან ყმაწვილი უნდა ვიყო, — უთხრა სირონამ: — იმიტომ, რომ ამ უდაბნოში დრო ძალიან ტაატით დადის ჩემთვის. ერთი დღე მეორესა ჰგავს და ხშირად მგონია ხოლმე, რომ სიცოცხლე გამიჩერდა და მასთან გულის ძგერაც დამიდგა; რა მეშველებოდა, რომ შენი სახლი და შენი შვილები არ ყოფილიყო! სულ ერთი და იგივე სინაის მთა, ერთი და იგივე ცაცხვები, ერთი და იგივე პირისახენი! ვინ გაუძლებდა?

— სინაის მთა ზომ დიდებულის სანახაობისაა, ცაცხვებიც მშვენიერები არიან და თუ გიყვარან ადამიანები, რომელთაც ყოველდღე ხედავ ხოლმე, მაშინ აქაც შესაძლოა კმაყოფილი იყო, — უპასუხა დოროტეამ. — სხვისა არ ვიცი და ჩვენ კი მოგვწონს აქაურობა. მე განა ერთხელ მითქვამს შენთვის, საქმე რამ გაიჩინე-მეთქი.

— საქმე? ვისთვის უნდა ვისაქმო, ვისთვის? — ჰკითხა სირონამ. — შენსავით შვილები რომ მაინც მყვანდეს, კიდევ ჰო! რომშიაც არ ვიყავ ბედნიერი, მაგრამ იქ გულს ვართობდი მაინც; ხან სეირნობა იყო, ხან თამაშა და კაცი გულს აყოლებდა. აქ აბა რა უნდა ჰქმნას კაცმა? ან ვისთვის უნდა ჩაიცვა, ან ვისთვის უნდა დაიხურო? ჩემი ძვირფასი ნივთეულება ისე უქმად მიყრია ზანდუკში და ძვირფასს კაბებს კიდევ ჩრჩილი ჰსჭამს. — ეშმაკმა რომ ძღარბად მაქციოს, ან ბაიყუშად, მე არას ვინაღვლი; ჩემთვის სულ ერთია.

— სირონავ, ღმერთს ნუ ჰსცოდავ! — უთხრა მკვახედ დოროტეამ, თუმცა კი დედებრივის სიკეთით მიაპყრა თვალი მშვენიერს სახეს ახალგაზდა ქალისას და მის ლამაზს ოქროსფერს თმებსა. — შენ ჩემო სირონავ, უნდა გეხალისებოდეს მორთვა შენის ქმრის სასიამოვნოდ!

— რაო? ჩემის ქმრის სასიამოვნოდო! ის თავის დღეში არც კი შემომხედავს ხოლმე და თუ შემომხედავს მარტო იმისათვის, რომ მაწყენინოს რამე. მე ჯერ ისიც მიკვირს, რომ კიდევ ესრე მხიარულად ვარ. ესეც კია, რომ მარტო შენს სახლში ვარ გულმხიარულად და ერთიც მაშინ, როცა ჩემი ქმარი არ მაგონდება ხოლმე.

— მე მაგისთანა ლაპარაკი არ მიყვარს, — ჰსთქვა მწყრალად დოროტეამ: — მარტანავ, წამოიღე ტილო და წყალი და წამოდი, ანუბისს წყლული შევუხვიოთ.

პეტრე და გერმანი მთას შეუდგნენ. პეტრე გაკვირვებით უყურებდა განიერს მხარ-ბეჭს ჭაბუკისას და მის მოხდენილს მიხრა-მოხრას. ავიდნენ ერთს ფერდობზედა, საცა გზა უფრო გა-

ნივრად მიდიოდა. აქამდი გერმასი წინ მოუძღოდა და გზას ასწავლიდა, ეხლა კი ერთმანეთს დაუსწორდნენ და ისე წავიდნენ. დიდხანს იარეს ხმაამოუღებლივ, ბოლოს კი სენატორმა ჰკითხა: — რამდენი ხანი იქნება რაც მამაშენი აქ სინაიაზედ დასახლდა?

— დიდი ხანია, — უპასუხა გერმასმა. — და არ ვიცი კი, რამდენი წელიწადია. სწორედ გითხრათ, არც საჭიროა ამის ცოდნა. დროთა სვლას ჩვენ ვინა გვკითხავს? ვის-რად უნდა?

სენატორი შეფერხდა, ხელახლად თვალით გაზომა თავისი თანამგზავრი და ჰკითხა: თავიდამვე მამაშენთანა ხარ?

— თავისაგან არ მიშორებს, — გულნაკლულად უპასუხა გერმასმა. — სულ ორჯერ ვყოფილვარ თქვენს სოფელში მარტოდ. ისიც ეკკლესიაში ვიყავ.

— მაშ შენ შკოლაში არსად ჰყოფილხარ?

— შკოლა კი არა! სახარების კითხვა მამამ მასწავლა. უწინ წერაც ვიცოდი, ეხლა კი იქნება დამავიწყდა კიდეც. ან რად მინდა? ჩვენ ისე ვცხოვრობთ, როგორც მლოცველნი მხეცნი.

უკანასკნელნი სიტყვები ჭეშმარიტის სიმწარით იყო თქმული. პეტრემ შეატყო, რაც კუპრიელი უდუღდა ჭაბუკს გულში; ჭაბუკსა, რომლის ნორჩი ბუნება ვერ იტანდა უქმს ცხოვრებას მეუდაბნოისას.

შეეცოდა გერმასი. პეტრე იმათგანი არ იყო, რომელნიც უგუნლოდ გვერდს აუქცევენ ხოლმე გაჭირებულს კაცსა. მას მოაგონდა თავისი საკუთარი შვილები, რომელნიც გაზდილები იყვნენ ისე, რომ მტკიცედ ჰქონდათ ჩანერგული კაცობრივი მოვალეობა და სიკეთე, და უთხრა თავის თავს: ჩემთან რომ მოაბოტებს ეს მშვენიერი ყმაწვილი კაცი, იმათზედ არაფრით უარესი არ არის. რატომ ეს კი არ უნდა იყვეს ადამიანად? ოღონდ კაცი იყოს, რომ წინ გაუძღვეს, სხვა ამისათვის საჭირო არა არის რა.

ამ ფიქრებში პეტრე ხან შეხედავდა გერმასს, ხან დაბლა დაიწყებდა ყურებას და დაბლა ხმით თავისთავს რაღასაც ელაპარაკებოდა. უცრად ტანში გაიმართა და კმაყოფილებით დაიქნია თავი. განიზრახა, რომ გერმასი როგორმე ამ ყოფისაგან უნდა

დავიხსნაო და თავის ჩვეულებისამებრ აქვე შეუდგა ამის საქმეს.

ფერდობის ბოლოს გზა ორად იყოფებოდა. ერთი ბილიკი მთაში მიდიოდა, მეორე ვაკეში ჩადიოდა და იქ თავდებოდა, საცა პეტრეს მუშები ჰყვანდა ქვის საჭრელად. პეტრე ამ მეორე ბილიკს დაადგა, მაგრამ გერმასმა დაუძახა: ეგ ბილიკი ჩვენის სადგურის ბილიკი არ არის. მე მომყევი!

— არა, შენ უნდა მომყვე მე, შენ! — შეუბრუნა სიტყვა სენატორმა და ისე გამოჰსთქვა ეგ სიტყვები, რომ ჭაბუკი მიხვდა თქმულის ორგვარ მნიშვნელობას. — დღე დიდია, რას აკეთებენ ჩემი მუშები, ამის ნახვასაც მოვასწრობთ და მამიშენის ნახვასაც. შენ ის ადგილი არ იცი, საცა ჩვენ ქვას ვაჭრევინებთ?

— როგორ არ ვიცი! — უპასუხა გერმასმა და წაუძღვა სენატორს წინ, რომ გზა აჩვენოს. — მე აქ ყოველი ბილიკი ვიცი ზღვისაკენ, თუ სოფლისაკენ; თქვენს ქვა-საჭრელს იქით ორს ვეფხვს ბინა დაუდვია.

— მართალია, ჩვენ ეგ ვიცით. ამას წინად ორი აქლემი შეგვიჭამეს. ჩემმა ბიჭებმა ვერც ხაფანგით დაიჭირეს, ვერც ძაღლებით ავნეს რამე.

— მაშ ეხლა კი ფიქრი ნუღაფრისა გაქვთ, — გაუცინა გერმასმა. — აი იმ კლდიდამ შვილდ-ისრით გადავაბძანე ხვადი ვეფხვი. სოროში ძუ და ლეკვები ვიპოვე. აქ კი საქმე გამიძნელდა. ჩემი ხანჯალი ისეთი ლბილია, რომ პირველს დაკვრაზედვე მოიკაკვა. მეტი გზა არ იყო, ხელით უნდა მესაქმა; მივვარდი, გსტაცე ხელი ყელში და დავახჩე. იმ წყეულმა მხარი გამფხაჭნა და ხელიც გამიფუჭა. აი ხელებზედ ეხლაც დაჩნეული მაქვს იმის ნაკბილევი. მადლობა ღმერთს, ჩემი წყლული უფრო მალე მთელდება, ვიდრე მამის ჩემისა. პავლე მეუბნება, რომ შენ სწორედ წვიმის ჭია ხარო; წვიმის ჭია შუა რო გასჭრაო, ორივე ნახევარი ერთმანეთს გამარჯობას ეტყვიანო; ერთი იქით გაცოცდებაო და მეორე აქეთო, თითქო არაფერი გადახედიათო. პატარა ვეფხვები ასეთი სასაცილონი და შესაბრალისნი იყვნენ, რომ შემეცოდა იმათი დახოცვა. მე ისინი ჩემს ტყაპუჭში გამოგახვიე და მამაჩემს მოვგვარე. ბევრი იცინა იმ პაწაწა ბაჭიებ-

ზედ, მერე მისცა ვიღასაც, რომაელთ ვაჭრებს მიჰყიდეო. რომსა და ბიზანტიაში ძალიან უყვართ ამგვარის მხეცების ყოლა. იმანაც გაჰყიდა, ფული მე მომიტანა. მეც ავიღე და იმ ფულით გამოვიკვებე თავი, როცა ალექსანდრიაში ვიყავ პატრიარქის კურთხევის მისაღებად.

— შენ ალექსანდრიაშიაც ჰყოფილხარ? — ჰკითხა პეტრემ. — ბაშ გენახება უზარმაზარი შენობები ზღვის პირზე გაკეთებულნი, რომ წყალი არ გადმოვარდეს ღელვის დროს; გენახება დიდი კოშკი, რომელიც დიდს მანძილზედ უნათებს გემებს; გენახება უზარმაზარი ხიდები, ეკკლესიები, სრა-სასახლენი და ტაძრები თავისის ჩუქურთმებით, სვეტებით და მშვენივრად მოკირწყლულ ეზოებითა. ნუთუ ამაების დანახვაზედ თავის დღეში ჰაზრად არ აგიღია, რა თავმოწონებული გრძნობა უნდა ჰქონდეს მას, რომელმანც ააშენა იმგვარი შენობანი?

გერმასმა თავი გაიქნია, არაო და უპასუხა:

— მაგას რა თქმა უნდა, რომ მე ფართო და სვეტებით მორთულს სახლში მირჩევნია ცხოვრება, ვიდრე სულის შემხუთველს გამოქვაბულს კლდეში, მაგრამ ხელოვნება ჩემი საქმე არ არის. აბა რამდენი ხანი უნდა ეწვალოს კაცი, მინამ ერთს ქვას მეორეს მიუყენებს. მე მოუთმენელი ვარ, მაგას ვერ ვიშვნევ. მე თუ თავს დავანებებდი მამაჩემს, შარტო იმისთა რასმისათვის დავანებებდი, რომელიც სახელს მიშოვნის. აი ქვის საჭრელზედაც მივედით...

პეტრემ აღარ დააცალა სიტყვა ყმაწვილ კაცსა. ისე გულმხურვალედ, როგორც ჭაბუკი, უმტკიცებდა გერმასს, რომ არქიტექტურა დიდი და სასახელო საქმეა; იმისთანა საქმე, რომელიც დიდს პატივს მიანიჭებს მას, ვინც ყოველს მის სიძნელეს აუვა და დაჰსძლევს. არქიტექტურა დიდად ძნელი რამ არისო, დიდს მხნეობას თხოულობსო გამარჯვებისათვის და საცა გამარჯვება არ არის, იქ არც სახელია, არც დიდებაო.

— განა ვინ გითხრა, — დაუყვირა გულფიცხად გერმასმა — რომ მე შრომასა და ბრძოლას თავს ვარიდებდე? მე ყოველსფერს შევწირავ, ჩემს საკუთარს სიცოცხლესაც, სახელის შოვნისათვის. ხოლო ქვის აწევ-დაწევაში, ქვას ჭრაში, კვერით ქვის

მტვერევაში და გამოქანდაკებაში არასფერს გულის მიმზიდველს არრას ვხედავ. დაფწის გვირგვინები სავარჯიშო მოედანზედ მიღებულნი უფრო ძლიერ მიზიდვენ მე. ოჰ, რა რიგის ნეტარებით ძირს დავცემდი მე ჭიდილში უძლიერესს ფალავანს მთელს ქვეყანაზედ! რა რიგის სიხარულით ყველაზედ უწინ გადავარდებოდი მტრის რაზმში ომის დროს! მამაჩემიც ჯარისკაცად ყოფილა და თუმცა ბევრს ლაპარაკობს ეხლა, რომ ომს მშვიდობა ჰსჯობია, მაგრამ ცხადლივ თუ სიზმრად მაინც ომი და სისხლისღვრა ელანდება ხოლმე. რა წამსაც შენ მამაჩემს მოარჩენ, მე ამ უდაბურ მთაში აღარ დავდგები, გაპარვაზედაც რომ ჩიდგეს ჩემი საქმე, არ დავიშლი, გავიპარები.

პეტრემ ხმა აღარ გასცა გერმასს ამ გულამღვრეულ სიტყვებზედა; დაიწყო წვერის გრეხა და თავის თავს ეუბნებოდა.

— არწივი ბუზს არ გამოუდგება დასაჭერად; ამ ჯარისკაცის შვილს მე ვერ გამოვქნი საომრად ხელოსნობისათვის. მაგრამ ცოდვაა, რომ ეს ამ უქმმჭამელთა შორის დარჩეს; სულ დაიღუპება. მერე რა ბიჭია! ცოდვაა, ცოდვა!

პეტრემ მუშებზედ თავმდგომარეს რაც რიგი იყო დარიგება მიჰსცა და შემდეგ გამოჰყვა გერმასს და ორნივ წამოვიდნენ გერმასის სნეულ მამასთან.

VI

ბევრმა საათმა გაიარა მას აქეთ, რაც გერმასი და პავლე წაგიდნენ და სნეული მეუდაბნოე დარჩა მარტოდ მღვიმეში.

მზე თანდათან მაღლა და მაღლა იწევდა და თავის მწვავს სხივებს ჰფენდა კლდის ფრიალოსა, რომელსაც ამის გამო მხურვალე ბუღი ასდიოდა და ავსებდა სულთა შემხუთველის სიცხით მეუდაბნოის სადგურსა.

წყლული თანდათან უფრო ჰსწვავდა საბრალო სტეფანეს, ციების სიცხე ემატებოდა და წყურვილი ჰსტანჯავდა საშინლად. წინ, მართალია, ლიტრა ედგა, პავლეს მოტანილი, მაგრამ დიდი ხანია, რაც დაეცარიელებინა. პავლე და გერმასი კი მაინც არსად ჩანდნენ ჯერაც.

შეწუხებულის გულით დაუწყო ყურის გდება სულ განაბვითა, თითქო ფეხის ხმა მოესმა და ეგონა, რომ პავლე მოდისო; მას მერმედ თითქო ხმამაღლა ლაპარაკიც გაიგონა და გაგონების უშალ გამოქვაბულში ნელი ხმა გაისმა კვნესისა.

სტეფანეს უნდოდა დაეძახნა, მაგრამ უღონობით ისე უძლურად დაიძახა, რომ თვითონვე ძლივს გაიგო თავისი ძახილი, აღმოკვნესილი სნეულის გულიდამ და გამშრალის პირიდამა.

მიჰყო ხელი ლოცვას, მაგრამ რაღაც შინაგანმა შიშმა შეუშალა ლოცვისადმი გულმოდგინება. მთელი სასოწარკვეთილება მარტოობისა უცბად წარმოუდგა თვალწინ. იგი, რომელსაც იმისთანა ცხოვრება გამოუვლია, რომელსაც ბევრი ფათერაკი გადუხდია, ბევრი სიტკბოება დაულევია, ბევრი სიმწარე უნახავს; იგი, რომელსაც დიდის მხნეობით დაუძლევია თავისის გულის მხურვალე წადილნი, მოუკლავს ადამიანის გულისთქმანი, რათა თავგადადებით მიეცეს სხვას უფრო უპაღლეს საგანსა, იგი ამ წამს ამ მარტოობაში თავის თავს ისე უმწედ უნუგეშ ჰგრძნობდა, როგორც გზადაბნეული ბავშვი, რომელსაც დედა დაუკარგავს.

მარტოდმარტო იწვა მღვიმეში ის უბედური და მხოლოდ მისი ნელის ხმით კვნესაღა ისმოდა..... ბოლოს კლდეების დაგძელებულმა ჩრდილმა ამცნო, რომ მზე გადიხარა და მაშინ მის ტკივილს, წყურვილს და სასოწარკვეთილებას ზედ დაერთო ჯავრი და გაბოროტება.

დაკუმშა მუშტი და დაიწყო დუდუნი და წყევლა-კრულვა. დროდგან დრომდე მის ბაგეთაგან აღმოითქმოდა ხოლმე სახელი შვილისა ან პავლესი.

ბოლოს რისხვაჲ ისევ სასოწარკვეთილებას დაუთმო თვისი ადგილი. მეუდაბნოეს ეგონა, რომ ხელმეორედ მოესივნენ ის საზარელნი და მტანჯველნი წუთნი უწინდელის ცხოვრებისა, რომელიც დიდი ხანია დავიწყებისათვის მიეცა კიდეც.

აჰა, წარმოუდგა თვალწინ, ვითომ მეფის სრა-სასახლიდამ შინ მოდის შემდეგ დიდის ლხინისა და ნადიმისა. შინაყმანი და მოსამსახურენი ისწრაფიან მოახდინონ თავიდან და მოხსნენ გულიდამ გვირგვინები ვარდის ყვავილისა და ალვის ხის ფოთლი-

სანი და შეჰმოსონ საღამურის ტანისსამოსითა. ყერცხლის სანათურით ხელში მიდის თავის საწოლისკენ, მხიარულია და პირმცინარი. იქ ელის მას ახალგაზდა ცოლი, დედა მისის გერმასისა. ცოლი მშვენიერია და გაგიჟებითაც უყვარს იგი მას. ემზადება, რომ ცოლს უამბოს ოხუჯობა, მეფის სუფრაზედ ნათქვამები. აი, შევიდა კიდეც საწოლის წინა ოთახში. საცა ორი მხეგალი ხელზედ მოსამსახურე დედაკაცი ყოველთვის იძინებდა ხოლმე. ამ ხანად იქ მარტო ერთს ეძინა და მძიმედ ჰქშენდა. მძინარეს სახეზედ ღიმილმა დაუწყო თამაში. რა სასაცილოდ დაუღია პირი, თქვენი ჭირიმე! საწოლი მეტად ბუნდად არის განათებული. ფეხაკრეფით და ისევ პირმცინარედ მიდის სპილოს ძვლის ტახტისაკენ, რომელზედაც უნდა იწვეს მისი მშვენიერი ცოლი გლიცერა. სანათური მაღლა აიღო, დახედა ქვეშაგებს; ქვეშაგები ხელუხლებელია და არავინა წევს. სახიდამ დაეკარგა ღიმილი და მას აქეთ ბევრი წელიწადი გავიდა და არც ერთხელ აღარ გაუღიმნია იმიტომ, რომ გლიცერა გაექცა ქმარსაცა და მის შვილსაცა.

ოცი წელიწადია მას აქეთ და აი ეხლა ხელახლად მოუბრუნდნენ ეგრე მწარედ დალეულნი დღენი და ტანჯვით მოსილნი გულის ტკივილნი; ხელახლად წარმოუდგა მას, როგორც მაშინ, ცარიელი ქვეშაგები თავისის ცოლისა, ხელახლად იგრძნო მან თავის თავი მარტოდ და უნუგეშოდ როგორც იმ ღამეს, როცა ცოლი გაექცა.

მღვიმის შემოსავალში ადამიანის ჩრდილს შეასწრო თვალი. იმ საშინელ მოჩვენებისაგან განთავისუფლებულს სნეულს გულზედ მოეშვა, როცა იცნო პავლე, რომელიც შემოვიდა და მის წინ დაეშო მუხლებზედა.

— წყალი, წყალი! — ემუდარებოდა ნელის ხმით სტეფანე და პავლე, რომელსაც გულს უწყლავდა ტანჯვა სტეფანესი, ფიცხლავ წამოვარდა ფეხზედ და რა ნახა, რომ ლიტრა ცარიელია, წამოავლო ხელი, გაიქცა წყაროზედ და უმალ მოუტანა წყალი. სნეულს მიაწოდა წყალი და მან ხარბად დალია გამაგრილებელი სასმელი. სნეულს გულზედ მოეშვა და ჰსთქვა: — უჰ, ეხლა კი ისევ კარგად შევიქენ! სად იყავ აქამდინ? მე აქ წყურვილით ასე გიტანჯებოდი.

პავლემ ისევ წინ წამოუჩოქა სნეულს, მის ქვეშაგებზე პირქვე დაემხო და პასუხი არ მიჰსცა. სტეფანეს ეს ამბავი გაუკვირდა და რა ნახა, რომ პავლე გულამოჯდომით ქვითინებს, აღარ გამოეკიდა. ერთს საათამდე მღვიმეში ხმა ამოუღებელი ჩუმობა იყო. ბოლოს პავლემ წამოიხედა და დაიწყო ლაპარაკი:

— შემინდე, ჩემო სტეფანევ, შემინდე! მე ვლოცულობდი და ვგვემე ჩემი ცოდვილი სხეული, რომ ისევ მოვიპოვო ჩემი წინადელი სულის მოსვენება და ამასობაში დამავიწყდა შენი უმწეო ყოფნა და ტანჯვა. თვით წარმართიც არ იქმოდა ამისთაწა ცოდვას.

სნეულმა ალერსით შეხედა პავლეს, მაგრამ ეს უკანასკნელი მაინც თავისას დუდუნებდა:

— ადამიანს მარტო თავისი თავი ჰსდომებია და მარტო ეს ანგარი თავმოყვარეობა გვიმორჩილებს ჩვენ და ჩვენზედ უფლობს. აბა სხვის მწუხარებისათვის ვინ იტკენს ხოლმე თავს კაცთა შორის. ვინ? ამის შემდეგ ჩვენ, ჩვენ როგორღა ვბედავთ ვჰსთქვათ, რომ სულის ცხონების გზაზედ ვდგევართო!...

პავლემ მტკივნეულობით ამოიკვნესა და თავი მიაყრდო სნეულის მკერდსა. სნეულმა სიყვარულით ხელი გადუსვა მის აბურძგნულს თმას.

ამ ყოფაში იყვნენ, რომ სენატორი და გერმასი შემოვიდნენ მღვიმეში.

უქმი ბოგინი მეუდაბნოებისა სრულიად არ მოჰსწონდა სენატორს პეტრესა და ეწინააღმდეგებოდა მისს ჰაზრს ადამიანისა და ქრისტიანის მოვალეობაზედ; ხოლო როცა ტანჯულს და მწუხარეს ვისპეს ჰხედავდა, იგი არ დაეძებდა, ვინ არისო და ყველას სიხარულით შველოდა, რამოდენადაც კი შეეძლო.

ის სურათი, რომელიც მან აქ დაინახა, ძალიან იამა. სიყვარულით მიუბრუნდა პავლეს და უთხრა:

მე აქ მეტი ვარ, გულდადინჯებით შემიძლიან თავი დაგანებოთ იმიტომ, რომ როგორც ვხედავ, შენ პავლევ, კარგი პატრონი ხარ სნეულისა.

პავლე წამოწითლდა, გაიქნივა თავი და უპასუხა:

— მე ჩემის საკუთარის თავის თავდარიგს შევუდექი, დავივიწყე ჩემი მოვალეობა და ეს სნეული მარტოდ დავაგდე და წყურ-

გილითა ვტანჯე. ეხლა კი მე არ მოვშორდები, ნამდვილად გვერდთ გეყოლები და ღვთისა და თქვენის შემწეობით მოვარჩენთ კიდეც!

პეტრემ ალერსიაწად დაუქნია თავი და თუმცა არა ჰსჯეროდა, რომ მეუდაბნოე თავის თავს სამართლიანად ამხილებს, მაგრამ მისი თავდადება სნეულისათვის კი ჰსწამდა. როცა პეტრე ამათ გამოეთხოვა და მღვიმედამ გმოდიოდა, უბძანა გერმასს, რომ ყოველ დილით შემატყობინე მამის შენის ამბავიო. ამით პეტრეს მარტო ის კი არ უნდოდა, რომ თვალყური ჰსჭეროდა სნეულზედა, არამედ ისიც, რომ ხშირად შეხვედროდა პირისპირ გერმასს, რომელმაც ძალიან მიიზიდა პეტრეს გული და რომლის დახსნაც უქმის ცხოვრებისაგან ძალიან მოიწადინა.

პავლემ უარი ჰსთქვა და არ მიიღო მონაწილეობა მამისა და შვილის ღარიბულს ვახშამშია. მე აქ დავრჩებიო ავათმყოფთან. უთხრა მან გერმასს და რადგანაც ამ მღვიმეში სამნი ვერ დავეტევით, შენ ჩემს მღვიმეში წადიო. გერმასი ადგა და წავიდა.

დღეს ახალი ცხოვრება წარმოუდგა თვალწინ ჭაბუკსა. ის სევდა და სურვილი, რომელიც აქამომდე ურიგოდ და ბუნდად აღეძრა გულში, მას აქეთ, რაც ალექსანდრიაში იყო, ეხლა ნათლად გამოესახა. მან იგრძნო, რომ უნდა თავი დაანებოს ცხოვრებას მეუდაბნოისას და თავი იცადოს თავის ნებად ცხოვრებაში.

„მამაჩემიო, — ამბობდა იგი გულში, — მეომარი იყოო, და ვიდრე ჯერ მღვიმეს შემოეფარებოდაო, სრა-სასახლეში ცხოვრებდაო; პავლე კიდევ მენანდრი იყო და აქამდინაც დისკოს სროლა არ დაჰვიწყებიაო. მე ყმაწვილი კაცი ვარ, ღონიერი და კეთილშობილი, როგორც ისინი და პეტრეს სიტყვით წარმოსადეგი ვაჟკაციც ვიქნები. მე არ მინდა იმის შვილებსავით ქვები ვზიდო და ვამტვრიო. იმპერატორს მეომარი უჭირს და არა მგონია ან ამალეკიტელებს შორის და ან თვით რომაელებს შორისაც ერთი ვინმე იმისთანა გამოჩნდეს, რომ მე ვერ შევბედო და ომი ვერ გავუსწორო“.

ამ სიტყვებზედ ყელი მოიღერა, ტანში გაიმართა და თვისი განიერი მხარ-ბეჭი მოიმარჯვა.

როცა ძილი მოერია, სიზმარში მოეჩვენა, რომ ვითომ საფალავნო მოედანზე დგას და პავლე მდიდარს ძოწეულს ტანზედ აცმევს; მოეჩვენა, რომ ხუჭუჭა თმა მისი სურნელებით არის სავსე და თავზედ დადგმული აქვს გამარჯვების დაფნის გვირგვინი; მოეჩვენა მშვენიერი ქალიც, რომელიც სენატორის სახლში ნახა.

VII

სენატორის წამალმა ტკივილი დაუამა, ასე რომ სტეფანეს დაეძინა კიდეც. პავლე გვერდთ ეჯდა და ასე ფთხილობდა, რომ არც კი ინძრევოდა. სუნთქვასაც კი იკავებდა, რომ რა არი, სნეულს ძილი არ დავუფთხოვო.

შუაღამისას მოხუცს გამოელვიძა და პავლეს ჩამოუგდო თავის შვილზედ ლაპარაკი. მამას ჰსწყინდა, რომ გერმასს ხანდისხან საერო ფიქრები მოჰსდიოდა; ეს გული ჰსტკიოდა, რომ შვილი მხარს უქცევს იმ სულის ცხონების გზას, რომელზედაც თვითონ და პავლე ასეთის მოჭირვებით ძლივ-ძლივ დადგნენ.

— გამიგონე, პავლევ, — უთხრა ბოლოს სტეფანემა. აი, რამდენი წელიწადია ჩვენ ერთად ვცხოვრებთ და ჯერ ერთხელაც არ მიკითხავს შენთვის შენის ახალგაზდობის ამბავი და ძისი, თუ როგორ გადმოვიდა შენზედ მადლი უფლისა. ყოველივე ესე მეტისმეტია ჩემგან და არ ვიცი, ამის შემდეგ შემიძლიან თუ არა კიდევ ჯავრობა გერმასზედა. ჩვენ ყველანი, სწორედ რომ ჰსთქვას კაცმა, მარტო თავის თავისათვის ვზრუნავთ და სხვებზედ კი არა გვეფიქრება რა. მე მარტო ის ვიცოდი, რომ შენ თავდაპირველად კერპთ მსახური ყოფილხარ და მერე კი ბევრი წამება გამოგივლია ჭეშმარიტის სარწმუნოებისათვის და რა კი ეს ვიცოდი, ესეც სამყოფი იყო ჩემთვის; სხვა აღარა გამოვიკითხე რა. შენც თითონ, როგორც შევნიშნე, არ გიყვარდა შენს უწინდელს ცხოვრებაზედ ლაპარაკი. ჩვენ უნდა გვიყვარდეს მოყვასი ჩვენი, ვითარცა თავი ჩვენი და შენზედ უკეთესი მოყვასი აბა ვინა მყავს. დიაღ, ყოველივე ეს თავის თავის მოყვარეობას ნიშნავს ჩემის მხრით! ღვთისადმი მისაღწევს გზაზედაც მრავა-

ლი ჩაქცეული ხიდი ყოფილა, ჩემო ძმაო, მრავალი კლდე-ღრე!

— აბა ჩემი რა გიამბო! — უპასუხა პავლემ. — ამას კი გეტყვი, რომ გარდასრული ძნელი დასავიწყებელია. გინდა რომ თავიდამ მოიშოროო, გგონია, რომ აი, ეს არის დავიწყებას მიეცი ყველაფერიო და განვთავისუფლდიო, მაგრამ უცბად ისევ წარმოგიდგება თვალწინ, რაც გარდაგხედია და როგორც ძველს ნაცნობს თავს გიგკრავენ. თუმცა ბაყაყი ზოგჯერ ხის წვერზედ მოექცევა ხოლმე, მაგრამ ისევ უკანვე გუბეში ჩამოხტება.

— რაც გარდაგხედია, მისი დავიწყება შეუძლებელია, შეუძლებელი! — დაიძახა სნეულმა. — მე ძილი აღარ მომდის. მიამბე შენის ახალგაზდობის ამბავი და ისიც, როგორ გაქრისტიანდი. როცა ორნი დიდხანს ერთს გზაზედ მიდიან და ბოლოს გაყრაზედ მიუვარდებათ საქმე, უნდა ჰკითხონ მაინც ერთმანეთს, ვინა ხარ და რა გქვიანო.

პავლემ ხმა არ ამოიღო და კარგა ხანს გაუშტერა თვალი მღვიმის ცარიელს კედლებს. ბოლოს დაიწყო:

— მამაჩემი ძალიან მდიდარი კაცი იყო, ჩვენს ოჯახს მეფური ცხოვრება ჰქონდა. ჩვენ ბევრი ყმა გვყვანდა და უმეტესი ნაწილი საშინლად გარყვნილი იყო. როცა მე ყოველი იგი ზიზილ-პიპილები მაგონდება, რომელზედაც დღედაღამ მამაჩემი ზრუნავდა, თავბრუ მესხმის. ოცი გემი ევნოსტის ნავთსადგურს და ოთხმოცი ნავი მეოტის ტბაზედ სულ მამაჩემს ეკუთვნოდა; მთელი ერთი ქალაქი გლახებით სავსე რომ ყოფილიყო, იმასაც კი გამოჰკვებდა მარტო ერთი ჩვენი ქარხანა. მაგრამ ჩვენ ჩვენს შემოსავალს სულ სხვა რასმეზედ ვაფუჭებდით. ჩვენი ცხენები სულ მარმარილოს თავლაში გვებნენ და დიდი დარბაზი, საცა შეიკრიბებოდნენ ხოლმე მამის ჩემის მეგობრები, ტაძარი გეგონებოდა. უხ, რა რიგად წაგვიღებს ხოლმე ამ წუთის-სოფლის ნდომა, როცა იგი გვაგონდება! ისა ჰსჯობია თავი დავანებოთ წარსულსა! და თუ შენ მაინცდამაინც ძალას მატან, რომ ჰსთქვიო, მეტი რა გზაა, ვიტყვი... ჩემი ყმაწვილობა ისე გავატარე, როგორც ყოველის მდიდარის კაცის შვილი ატარებს, ლხინში, შექცევაში და ვარჯიშობაში....

— ყოველივე ეგ მეც გამომივლია, — გააწყვეტინა სიტყვა

სტეფანეს. — და ხშირად მომწოლია გულზედ მოგონება უწინდელის ლხინებისა და ვცდილვარ და ფიქრიდამ ვერ მოვიშორებია. შენ კი განა ადვილად ივიწყებდი ხოლმე მაგაებს?

— პირველში ძალიან გამიძნელდა და ბევრს ვებრძოლი ჩემს თავს, მაგრამ, მას აქეთ რაც ორმოცს წელს გადავაბიჯე, წუთის-სოფლის სახიბლავნი ისე აღარ მტანჯავენ. ოღონდ კი არა ვნახო ხოლმე ისინი, ვისაც ზღვის პირიდამ თევზი დააქვთ ხოლმე ქვემო სოფელში და მე არაფერს ვინაღვლი.

ეს უკანასკნელი სიტყვები ეოცა სტეფანეს და გაკვირვებით შეხედა. ხოლო პავლემ უთხრა:

— დიახ, სწორედ გასაოცარია, რაც გითხარი. კაცსა ვხედავ თუ ქალსა, ზღვას თუ სინაის მთას — ჩემთვის სულ ერთია, წუთის-სოფელი არ მაგონდება და მარტო წმინდანებისაკენ მაქვს ყოველი ჩემი ფიქრი და სურვილი, მაგრამ როცა თევზის სუნი მოხვდება ხოლმე ჩემს ყნოსვას, მაშინ თვალწინ წარმომიდგება ხოლმე თევზის მოედანი მრავალგვარის თევზეულობითა.....

— კანოპიის თევზი, უკეთესი კაცს ნურა უნდა რა, გააწყვეტინა სიტყვა სტეფანემ. — იმისი კუპატები, რათაც უნდა ღირს.

პავლემ მსუნაგსავით ბალნიანი ტუჩები მოიწმინდა და წამოიძახა:

— აი, ფილიმონის სასტუმროში რომ აკეთებდნენ, ჰერკულესის ქუჩაზედ! მართლა რომ, რადაც უნდა ღირს!

ფიცხლავ თვითონვე პავლემ გაიწყვიტა სიტყვა და მორცხვობით ჰსთქვა:

— ჰსჯობია, ჩემი ამბავი ამით გავათავო. ჯერ რიჟრაჟი არ არის, შენ მოასწრობ კიდევ ძილს.

— არა, არ შემიძლიან, — ამოიოხრა სტეფანემ. — თუ გიყვარვარ, დაასრულე შენი ამბავი.

— მაშ ნუღარ შემაწყვეტინებ სიტყვას, — უთხრა პავლემ და განაგრძო. — თუმცა ლხინის ცხოვრება მქონდა, მაგრამ მაინც ბედნიერი არ ვიყავ. როცა მარტო ვრჩებოდი ხოლმე, მოლხინეთა შორის არ ვიჯექ და, ფიალა ღვინით სავსე ხელში არ მეჭირა და გვერდით ლამაზი ქალები არ მესხდნენ, ისე მეგონა, თითქო ერთს გადასავარდნელს კლდის პირზედა ვარ, და როგორც გარეშემო, ისე შიგნით ჩემს ულში ყოველისფერი

მკვდარია და უფერული. მთელის საათობით გადავყურებდი ხოლმე ზღვას და როცა მისი ზვირთები ამოდიოდნენ და ჩადიოდნენ, ჩემს თავს იმათ ვამგზავსებდი; მე ვხედავდი, რომ ჩემს ურარაო აწმყოსა მოელოდა ურარაოვე მომავალი. კერპთმსახურება ჩემთა მშობელთა მე არ მიზიდავდა, ქრისტიანები მაშინ ყველგან ბევრნი იყვნენ, მაგრამ შიშით თავი ვერ გამოეჩინათ და მე იმათ როგორღაც ვერა ვხვდებოდი. მარტო ორჯერ მოვხვდი იმათ. ერთხელ ძალიან მეწყინა, რომ დოღში ჩემს ცხენებს აჯობეს ცხენებმა, რომელნიც დალოცეს ქრისტიანულის ლოცვითა. მეორედ, მე როგორღაც მეთაკილა, როცა ერთმა ბებერმა მუშა კაცმა, ქრისტიანმა, იმ სახითვე დამლოცა იმისთვის, რომ შვილი წყლიდამ გამოვუყვანე და გადვურჩინე. დრონი მიდიოდნენ. დედ-მამა დამეხოცა. როცა გავიყარენით, მე ჩემს ძმას დავუთმე ქარხანები, ყოველი ჩვენის საქმის წარმოება და თვითონ ქალაქის სახლიც იმას მივე, თუმცა ჩემი საკუთრება იყო. მის მაგიერ ქალაქ გარედ აგარაკი ავიღე კანოპიის ჭიისკართან და იქ თავლა ავავსე მშვენიერის ცხენებითა და სარდაფი უკეთესის ღვინითა. დღეს მე აბანოში, ჯირითში და ვარჯიშობაში ვატარებდი და ღამით კიდევ ვლხინობდით ან ჩემთან ან მეგობართან ვისთანმე, ან სასტუმროში სადმე, საცა მშვენიერს ბერძნის ქალებს აღტაცებაში მოვყვანდით ხოლმე როკვითა და სიმღერითა. აბა რა კავშირი აქვთ ერთმანეთში ამ ამაო ლხინებსა და ჩემს ჭეშმარიტების გზაზედ დადგომასაო, მკითხავ შენ? შენ ყური მომიგდე. როცა საული წაიდა თავისის მამის სახედარის საძებნად, მოიპოვა გვირგვინი. ერთხელ ლეზბიელმა ქალმა არხიდიკამ გაგვიმართა თავის სახლში დიდი წვეულობა და ლხინი; ასეთი ლხინი, რომ იმისთანა თვით რომშიაც ვერ მოხერხდებოდა. წავედით მრავალნი მიწვეულნი. ჩემს მეგობრებს და რომაელთ შუა ჩხუბი ასტყდა. ლაპარაკი ცხენებისა და ქალების თაობაზედ მოხდა. ჯერ დაუწყეს მოპირდაპირეებმა ერთმანეთს დაცინება და ოხუნჯობა. ღვინომ რომ გაახურა, დაიწყეს ერთმანეთის ცუდად ხსენება, გინება და ამას ზედ მუქარაც მოჰყვა. რომაელნი ჩვენზედ ადრე აიშალნენ და წავიდნენ. ჩვენც ჩვენის მეგობრებით თავზედ გვირგვინებითა,

როკვითა და სიმღერით წამოვედით შინ. ნავთსადგურს მივუახლოვდით თუ არა, ქუჩის ყურედამ გამოგვიცვივდნენ დაიარაღებულნი და მოგვესივნენ. მთვარე მაღლა იყო და კაშკაშებდა ასე, რომ მე ვიცანი მათ შორის ჩვენი მოპირდაპირენი, რომელნიც ჩვენთან იყვნენ წვეულობაში. მე ვეცი ერთს ახმახს ტრიბუნსა, წავუჭირე ხელი ყელში და როცა ძირს დაეცა, მეც დამიტანა. რა მოხდა მერე ბუნდად მახსოვს, რადგანაც მომდგნენ ხმლებითა და ამდენი მცეს, რომ თვალთ დამიბნელდა. ის კი კარგად მახსოვს, რაზედ ვწუხდი მაშინ, როცა სიკვდილი პირისპირ თვალწინ მედგა.

— რაზედ ჰსწუხდი? — ჰკითხა სტეფანემ.

— აი რაზედ, — უპასუხა პავლემ და წამოწითლდა. — მე შინ მწყრები მყვანდა, ერთმანეთთან საჭიდაოდ დაწურთვნილნი; იმათზედ ვწუხდი და ვამბობდი, ნეტავი ვიცოდე, წყალი დაალევინეს-მეთქი თუ არა. მას მერმედ გონება დამიბნელდა. ქვეშაგებად ჩავვარდი და დიდხანს გონებამიხდილი ვიყავ იმიტომ, რომ ისე დანაყილი და დაკუწვილი ვიყავ, როგორც ხორცი ძეხვისათვის. თორმეტგან ვიყავ დაჭრილი, წვრილს დაჭრილობას აღარა ვთვლი. სხვა ჩემ გარდა ერთისაგან სულს დალევდა. შენ თვითონ ხომ მრავალჯერ გაგკვირებია ჩემის ჭრილობის ნიშნები.

— ღმერთმა ვინ მოგიჩინა, რომ ცხონების გზაზედ დაგაყენა?

— ევზები. კანოპიის დეკანოზი. ქრისტიანებმა მნახეს ქუჩაში ცოცხალმკვდარი და მიმიტანეს იმის სახლში, რადგანაც თევდორეს ქვრივი, მისი დაი ქალაქის პატრონად იყო. და ძმანი ისე მივლიდნენ, როგორც საკუთარს ძმასა. როცა კარგად შევიქენ, იმათ მაჩვენეს ჯვარი და ეკლის გვირგვინი მისი, რომელიც სხვათაშორის ჩემთვისაც უფრო მეტად წამებული იყო, მათის შთაგონებით შემიყვარდა უფლისა ჩვენის პტკივნეულობანი და თავდაბლობით ავიტანე ჩემნი საკუთარნი. სასოწარკვეთილების გამხმარს ხეზედ მალე გამოჩნდნენ მწვანე კვირტები სასოებისა და სიკვდილს შემდეგ უსიცოცხლო არარაობის მაგიერ დამანახვეს ზეცა მთელის ზეციურის სიტკბოებით აღსავსე! მე თითქო ახლად დავიბადე და ჩემ წინ გაიშალა მოშაელისა

დაუსრულებელი ნეტარება. მაშინ ვირწმუნე, რომ უკვდავებაა ჩემი ბოლო. ფართოდ განმელო მე კარი ზეცისა. კანოპაშივე მივიღე ნათელცხება და საჯაროდ გამოვაცხადე ჩემი თავი ქრისტიანად. ბევრი ვიწამე თავი, ბევრი ვიგვემე და ვიტანჯე სულის ცხონებისათვის და ყოველი მაგეთი წამება და ტანჯვა ძვირფასად მიმაჩნდა, რადგანაც მხოლოდ ეგ წამება და ტანჯვა იყო გზა ჩემის სულის ნატვრისა და თუ ეხლა ვნანობ რაზედმე, მარტო იმაზედ ვნანობ, რომ უფალმა ღმერთმა არ ჩაღირსა გამომეცადნა უფრო მძიმე სასჯელი მაშინ, როდესაც მისმა საყვარელმა ძემან მიიღო თავის თავზედ ეგოდენი საშინელნი ტანჯვანი.

— შენ წმინდა კაცი ხარ! — უთხრა ხმა დაბლად სტეფანემ და მოწიწებით ემთხვია მისს ტყაპუჭის კალთასა, ხოლო პავლემ ითაკილა ეს ამბავი, წაართო ხელიდამ თავისი კალთა და წყენით უთხრა:

— მაგას თავი დაანებე, მე გთხოვ შენ! ვინც სააქაოს მე პატივისცემით მექცევა, იგი სამოთხის გზაზედ ხიდს მიქცევს. კარგი, გვეყო ლაპარაკი! მე ეხლა წყაროზედ წავალ და ახალს წყალს მოვიტან.

როცა პავლე დაბრუნდა წყლითა, გერმასს გამოელვიძნა კიდეც და აპირობდა სოფელში წასვლას, რომ სენატორს წამლები გამოართვას.

VIII

სირონას გაელო თავის სახლში ფანჯარა და ისე იჯდა. ზანგის გოგო, ნაყიდი რომში, თმას უწნავდა.

გოგოს დაესხა ხელზედ სურნელოვანი ზეთი და მშვენიერს თმას მშვენიერის ქალბატონისას ზედ უსვამდა ხან ერთის მხრით და ხან მეორეს მხრით. სირონა ხმაამოუღებლივ იჯდა და ზოგჯერ ღრმად ამოიოხრებდა ხოლმე.

როცა გოგომ თმა შუა გაუყო დასაწნავად, სირონამ შეაყენა და უთხრა, სარკე მიჩვენეო.

რამდენსამე ხანს ნაღვლიანად დაჰყურებდა თავის თავს სარკეში; მერე ხელახლად ამოიოხრა, აიყვანა ხელში პატარა გო-

ში, რომელიც ფეხთა წინ ეწვა, მიუბრუნა სარკე ამ ოთხფეხს და წარმოსთქვა:

— ჰო, ჩემო იამბავ, როცა ამ ოთხ კედელ შუა მე და შენში ერთ-ერთი მოიწადინებს ნახოს რამე თავისი საგულო, მაშინ უსათუოდ მარტო სარკეში უნდა ჩავიხედოთ ხოლმე.

მერე მიუბრუნდა გოგოს და განაგრძო:

— საწყალი პირუტყვი რარიგ თრთის! უსათუოდ არელას-ზედ[3] ნაღელობს და ეშინიან, კიდევ დიდხანს არ დავრჩეთ ამ მწვავის მზის ქვეყანაშიაო. წუღები მომიტანე!

გოგომ მოართო ოქრომკედით ნაკერი წუღები, ოქრომკედის ზონრებით მორთული; სირონამ უკანვე გააბრუნა და უთხრა: ეგენი არა, ძველები! აქაურობისათვის ხის ქალამანიც მეტია.

ამ სიტყვებზედ თვალი გადაავლო ეზოსა. მართლადაც, ძნელად დასაჯერია, თუ აქ ოდესმე ოქრომკედით ნაკერის წუღებით ვისმე ფეხი მიწაზედ დაედგას.

ეზოს გარს შემორტყმული ჰქონდა შენობები. ერთ მხრივ კედელი იყო შემოვლებული ჭიის კარითა, სხვა მხრებით კი სახლები იყო.

საცა სირონა და მისი ქმარი იდგა, იმის პირდაპირ სახლი იყო სენატორის პეტრესი.

ამ ორ სახლ შუა თლილის ქვის შენობა იყო, ბიჭების სადგური და გუთნის იარაღის დასაწყობი. ეზოში ეყარა ნახშირი და რიგზედ დაწყობილი მწკრივად წისქვილის თვლები, რომელსაც პეტრე თავის მამულში აჭრევინებდა და ეგიპტეში ჰყიდდა ხოლმე.

ამ დილით მთელი ეს თვალისათვის ვერაფერი სახილველი ადგილი ჯერ სრულიად განათლებული არ იყო მზის სხივთაგან. დილის მზე ძლივს მისდგომოდა ჯერ მარტო სირონას ფანჯრებს.

რომ ჰსცოდნოდა სირონას, რა ლამაზად გადაეფინა მზეს თავისი ოქროს სხივები მის მშვენიერს ტანზედ, სახეზედ, რომელიც ელვარებდა სითეთრით და ვარდისფრად მის ბრწყინვალე თმებზედ, ესენი ყველა რომ ჰსცოდნოდა, სწორედ მადლს

---

3 ეხლანდელი არლი, საფრანგეთის ნაწილი.

ეტყოდა მზეს, რომელსაც ეხლა ემდუროდა, რომ დამიფთხო ძილიო; ეგ მხოლოობითი ნუგეში მარტოობისა.

რამდენიმე წვრილ ოთახებს გარდა, სირონას ჰქონდა ერთი დიდი ოთახი, რომლის ფანჯრები ქუჩას გადაჰყურებდნენ.

სირონას თვალებზე მზისგან ხელი აეფარებინა და იძახოდა: ეჰ, გული დამილია ამ მზემ! რაღა ყველაზედ უწინ ამ ჩემს ფანჯრებს მოადგება ხოლმე! განა მაგისათვის მთელი დღე კი სამყოფი არ არის, რომ დილასაც არ გვაწუხებდეს. საწოლი წინა ოთახში უნდა გავიკეთო. ვჰსთქვი და ამას ვიქმ კიდეც, რაც უნდა იბღვიროს ამაზედ ჩემმა ქმარმა.

გოგომ თავი გაიქნივა და მოახსენა, ფებიცის ეგ არა სურს.

სირონას თვალები აენთო და ტკბილმა ხმამ თრთოლა დაუწყო, როცა ჰკითხა: რა მიზეზით არა ნებავს?

— ეს მოგახსენათ, რომ სენატორის შვილი პოლიკარპი შენს ფანჯრების წინ მეტად ხშირად დაიარებაო და შენც მეტისმეტად ხშირად ეთამაშებიო იმის პატარა ძმებსა, დებსა და ართობ ბავშვებსა.

— აქ არის ეხლა შენი ბატონი? — ჰკითხა სირონამ და ვაშლსავით წამოწითლდა ჯავრისა და წყენისაგან.

— ბატონი წაბძანდა, — წაიდუდუნა გოგომ, ჯერ მზეც ძლივს იყო ამოსული. — სადილად ნუ მომიცდითო, გვიან მოვალო.

სირონამ ხმა აღარ გაჰსცა. ნაღვლიანად ჩაჰკიდა თავი და უნუგეშო სასოწარკვეთილებამ ღრუბელი მოჰფინა მის ნორჩს და ლამაზს სახესა.

თითქმის ძაღლმაც კი იგრძნოო თავისი ქალბატონის მწუხარება; წამოსკუპდა, თითქო კოცნა უნდაო სირონასი.

მარტო შთომილმა ქალმა მაგრად მიიკრა გულზედ პირუტყვი, რომელიც მას ეკუთვნოდა ჯერ კიდევ სამშობლოში. რაღაცა გაუგებარი და უსაგნო სევდა ეწვა გულზედ; იგი თავის თავს ჰგრძნობდა ისე მარტოდ, თავმინებებულად და დაშორებულად, რომ თითქო თვალგადუწვდენელ ზღვაში ნაგში ჩაუვდიათ და ისე ქარის ნებაზედ დაცურავსო.

უეცრად შეჰკრთა. ქმარი მოაგონდა, ესე იგი, ის კაცი, რომელიც ამას ყოველისფრის ნუგეშად უნდა ჰყოლოდა და რომელ-

თან ერთად ყოფნა კი ემძიმებოდა და გულს უწელავდა. ქმრის გულგრილობა საწყენად არა ჰქონდა სირონას; სირონას გულს უკლავდა მისი ალერსი და მისი ალერსისა უფრო ეშინოდა, ვიდრე მის მხეცურის რისხვისა. სირონას ქმარი თავის დღეში არ ჰყვარებია.

სირონა ისე გაიზარდა, რომ წინა-მძღომელი არა ჰყოლია; ისე თავის ნებაზედ იზრდებოდა თვის ძმებთა და დებთა შორის. მისი მამა დაბალი მოხელე იყო ერთს სასამართლოშია. თუმცა ცირკის პირდაპირ იდგნენ, მაგრამ მამა ასეთი მართებულების მიმდევარი კაცი იყო, რომ არც ერთხელ თავისი ქალიშვილები არ გაუშვია ცირკის სანახავად. ხალხის ნახვას კი, რომელიც ცირკში ყოველდღე დადიოდა, რასაკვირველია, ვერ დაუშლიდა; ვერც იმას დაუშლიდა, რომ ხალხის მხიარული კიჟინა, მოწონების თუ დაწუნების ხმაურობა არ გაეგოთ.

ამ მხიარულებამ ხალხისამ, რომელსაც სირონა ყოველდღე ხედავდა და რომელიც მისთვის აკრძალული იყო, ადრე ჩაუნერგა გულში წყურვილი შექცევისა და მხიარულებისა. მოცლაც კი არა ჰქონდა უქმის შექცევისათვის. დედა ადრე მოუკვდა და სირონას, ჯერ თვითონაც კი ბავშს, უნდა მიეღო მზრუნველობა რვა პატარა და-ძმების პატრონობისა.

სირონა გულმოდგინედ ასრულებდა ამ მოვალეობას და თავისუფალ დროს გულდაკდომით ყურს უგდებდა ხოლმე დედაკაცების ლაპარაკს რომის ქალაქის დიდებულობაზედ და ბრწყინვალებაზედ.

სირონას შეტყობილი ჰქონდა, რომ ძალიან ლამაზია, რადგანაც კარის დირედამ ფეხს გადმოადგამდა თუ არა, ყველა ამას ეუბნებოდა. გარნა ნახვა რომისა იმისათვის კი არ უნდოდა, რომ თავი გამოეჩინა და ყველა აღტაცებაში მოიყვანოს, არამედ იმისათვის, რომ თვით ენახა რამე და ესიამოვნა.

როცა ფებიცი, სირონას ქმარი, გადიყვანეს რომის ქალაქს სამსახურისათვის და სირონა, შვიდმეტის წლის ქალი ვითარცა ცოლი უნდა გაჰყოლოდა ქმარს — მაშინ სირონას ბედნიერებას და სიხარულს სამზღვარი არა ჰქონდა, თუმცა მის და ქმრის შორის წლოვანებაში დიდი განსხვავება იყო. ქმარი ორმოცის წლით უფროსი იყო ცოლზედ.

მაშინვე ქორწილის შემდეგ მასსილიიდამ[4] რომში წავიდნენ; სირონა ზღვით — ერთის ბებერის ნათესავით თურთ და ქმარი ხმელეთით — თავისის ამალითა.

ქმარზე წინ სირონა მივიდა რომში. აქ ქმრის მოსვლას აღარ მოუცადა, აჰყვა თავის ყმაწვილქალობის მიდრეკილებასა, დაიწყო სინჯვა ქალაქისა და მის აღტაცებას და გაოცებას ბოლო არა ჰქონდა. ეს კი უნდა ვჰსთქვათ, რომ უთავისნათესაოდ ფეხიც არსად გაუდგამს, თან მოყოლილი ნათესავი ქალი სულ თან დაჰყვანდა.

ამასთან სირონას არ გამოჰპარებია თვალთაგან ის გარემოებაც, რომ საცა კი მივიდოდა, ყველანი აღტაცებაში შედიოდნენ მის სილამაზის გამო და რამოდენადაც ეს ამბავი გულში იამებოდა ხოლმე, იმოდენადვე ჰსწყინდა, რომ დიდი და პატარა, ყმაწვილი და მოხუცი ჰსდევნიდნენ სატრფიალოდ.

ბოლოს ფებიციც მოვიდა. რა ნახა, რომ სახლი მისი სავსეა სირონას მოტრფიალეებით, იწყინა და ისე დაუწყო ქცევა სირონას, თითქო დიდი ხანია ცოლმა ცოლ-ქმრობის ერთგულება დაარღვიაო.

მაინც კიდევ საცა კი შექცევა იყო რამე ანუ თამაშა, ყველგან დაჰყვანდა თავისი ცოლი, რადგანაც ყველგან თავს იწონებდა, რომ ლამაზი და ახალგაზდა ცოლი ჰყვანდა.

სირონას შესახებ ამას ვიტყვით, რომ უარს არ იყო მოსწონებოდა ვისმეს და მოეწონა ვინმე, მაგრამ რადგანაც სხვა შვილების პატრონად მამა გამოელოდდა სირონასა, ამისათვის ჯერ პატარაობითვე ჩაეგონებინა სირონასათვის გარჩევა კარგისა და ავისა, წმინდისა და უწმინდურებისა. მალე შეამცნივა სირონამ, რომ ეს დიდის ქალაქის შექცევანი, რომელნიც ლამაზ-ლამაზ ყვავილებად მოეჩვენა წინა-პირველად, ამოსულნი არიან საძაგელს და მყრალს საფლობზედა.

სირონას მოჰსწონდა ყოველივე, რაც ნამდვილად კარგი, მიმზიდველი და სამაგალითო იყო; მის ქმარს კი პირიქით — უყვარდა მხოლოდ სასალახნო და შემაზრზენი რამ.

ქმარი ყოველთვის იჭვნეულობით შეჰსცქეროდა ცოლსა და

---

[4] ეხლანდელი მარსელი.

მაინც კიდევ მის ყურადღებას მიაქცევდა ხოლმე იმისთანა საგანზედ, რომელიც ეთაკილება ხოლმე ყოველს პატიოსანს ქალს.

ყოველის ლხინისა და შექცევის შემდეგ ქმარი იმისთანა საწყენის სიტყვებით დაუწყებდა ყვედრებას, რომ ბოლოს ამა გვარის ქცევით ტანჯულმა სირონამ უარი ჰსთქვა შინიდამ გარედ გასვლისა, მაგრამ ქმარი კი ძალას ატანდა, უნდა იაროვო, რადგანაც ქმრის უფროსი, პრეფექტი კვინტილლი ამას თხოულობდა და ყოველდღე ჰგზავნიდა სირონასათვის ყვავილებს და საჩუქრებსა.

ამას ყოველსფერს ითმენდა სირონა, თითქმის ქმარს ამართლებდა და თავის თავს ამტყუნებდა. ხოლო ათმა თვემ რომ გაიარა, ფებიცის ერთმა საქციელმა გზა გადაღობა ცოლ-ქმართა შორის. როცა ამ საქციელმა სამსახურის წინ წაწევის წაცვლად, ფებიცი გაისტუმრა სინაის მთაზედ მცირე მეციხოვნეთა ჯარის უფროსად და ამ სახით სამსახურში უკან დაჰსწია, შინ გაჯავრებულმა უფრო მეტად დაუწყო ცოლს წვალება, თუმცა სირონა გაჯიქდა და ამაზედ ხმასაც არ იღებდა. ყოველივე ეს იმით დაბოლოვდა, რომ ქმარი, რომელიც არც უწინ უყვარდა, უფრო შეჰსძულდა და თვალში ისე ჰყვანდა, როგორც საზიზღარი მოურჩენელი მუწუკი.

როცა ქმარი შინ იყო, სირონა ისე იჯდა როგორც მუნჯი, გაკაპასებული და გაჯავრებული; რა წამსაც ქმარი მოშორდებოდა, ჩვეულებრივი გულკეთილობა და ყმაწვილური მსიარულება განუღვიძებდნენ ხოლმე სიცოცხლეს, რომლის უკეთესნი ყვავილნი გარდიშლებოდნენ ხოლმე სენატორის სახლში ბავშვებ შორის, საცა სიყვარულს სიყვარულითვე პასუხს ჰსცემდნენ.

ფებიცი ეკუთვნოდა კერპთმსახურთა ღმერთის — მიტრის თაყვანისმცემელთ. ამ ღმერთის სახელზედ ხშირად უმარხვწია იმდენად, რომ სასიკვდილოდ მისუსტებულა და ხშირადვე გონების მიხდამდე დამთვრალა ამ ღმერთის დღესასწაულობაში.

აქ სინაიაზედაც მას გაემართნა მღვიმე მიტრის დღესასწაულობის გადასახდელად, გარს შეეკრიბა რამდენიმე თავისი თანამორწმუნე და როცა სახლიდამ რამდენიმე დღით და ღამით წავიდოდა ხოლმე, სირონამ იცოდა, სად იმყოფებოდა.

სირონას ამ ჟამად თვალწინ წარმოუდგა ქმარი ხან ლოთობისაგან დათენთილი, ხან რისხვით ანთებულის თვალებით, და ჰკითხა თავის თავს: ნეტა, როგორ მოხდა, რომ მე ამის ცოლად შევიქენ!

გულმა ღელვა დაუწყო, როცა მოაგონდა რა რიგის გინებით შემოუტევდა ხოლმე ქმარი რომში და პატარა ხელები მუშტებად შეეკუმშნენ.

უეცრად ძაღლი წამოუხტა მუხლებიდამ და ხმამაღლა ყეფით გადაჰსკუპდა ფანჯარაზედ.

სირონა შეკრთა. გაისწორა კაბა, გაიმაგრა წუღები ფეხზედ, მივარდა ფანჯარას და გადიხედა.

იმავ წამს ღიმილმა დაუწყო თამაში პირის სახეზედ; დაინახა გერმასი, რომელიც თურმე დიდი ხანია აქა დგას, პეტრეს სახლის კედელზედ მიყუდებული და უმზერს მშვენიერს ქალს.

შავი ფიქრები ისე აღვილად შეეცვალნენ სიამოვნებად, როგორც თვალნიცა, რომელთა სამყოფი იყო ცოტაოდენი ნათელი სიამოვნობისა მიჰკარებოდა, რომ წაეშალა ყოველივე ნიშანი ნაღვლიანობის ბუნდისა. არცერთს მწუხარებას და წყენას ქვეყანაზედ არ შეეძლო იმოდენად შეეპყრა სირონა, რომ ერთს მცირეს სხივს მოულოდნელის სიხარულისას არ გაექარწყლებინა სრულიად.

რა აღვილი იყო ფებიცისათვის, რომ ამისთანა ხასიათის ქალი გაებედნიერებინა, იგი ისეთი გულჩვილი, ისეთი მოსაბირებელი იყო, თუ კაცი მცირედს რასმეს მაინც ასიამოვნებდა. და აი ეხლა კი ცოლ-ქმართა შორის ყოველივე კავშირი მოსპობილია.

სახე და მოყვანილობა გერმასისა ძალიან მოსწონდა სირონას. მისი სანახაობა კაი გვარიშვილობის სანახაობად ეჩვენა, თუმცა ტყაპუჭში იყო გახვეული. რაკი შეამცნივა, რომ ლოყებზედ ცეცხლი მოჰკიდებია და ხელი, რომელშიაც წამლით ბოთლი უჭირავს, უთრთის, იგრძნო, რომ ჩემთვის უყურებიაო და ჩემს სახეს აუდუღნია ჭაბუკის სისხლიო.

ყოველი ქალი და ნამეტნავად იმისთანა, რომელსაც უყვარს, რომ სხვას მოსწონდეს, აღვილად შეუნდობს ხოლმე კაცს ყო-

ველს საქციელს, მის და სილამაზის სახელით წარმომდგარსა. ტკბილის ხმით და მეგობრულად „დილა მშვიდობისა“ უთხრა გერმასს და ჰკითხა მამის ამბავი, როგორ გაჰსჭრაო სენატორის წამალმაო.

ყმაწვილმა კაცმა პასუხი მიჰსცა მოკლედ და მორცხობითა და თვალნი მისნი კი ამჟღავნებდნენ, რომ გულში სხვა რამ აქვს სათქმელი და არა ის, რაც მისმა მოუხერხებელმა ენამ წარმოჰსთქვა.

— მე გუშინ დოროტეამ მიამბო, — ჰსთქვა სირონამ. — რომ პეტრეს მამიშენის მორჩენის იმედი აქვს; ეხლა კიო ძალიან დასუსტებულიაო. იქნება კაი ღვინო არგებს; თუ ღვინო საჭირო იქნება, ჩემთან მოდი, ჩვენ სარდაფში კაი ძველი ღვინოები გვაქვს.

გერმასმა მადლობა გადუხადა. როცა ერთი კიდევ წაახალისა ტკბილის სიტყვით, გერმასმა, უფრო ენა დაბმით, ვიდრე თავისუფლად, უთხრა:

— თქვენ იმოდენად გულკეთილი ყოფილხართ, რამოდენადაც მშვენიერი!

ესა ჰსთქვა თუ არა, ბიჭების სადგურიდამ ერთი ქვა მოირღვა და ძირს ერთის ხმაურობით დაეცა. სირონას შეეშინდა და სწრაფად მოეცალა ფანჯარას, გოშიამ ხმამაღლა ყეფა დაიწყო, გერმასმა კი თავზედ ხელი წაივლო, თითქო სიზმარში იყო და უეცრად გამოჰფხიზლდაო.

გერმასი მაშინვე გაბრუნდა და სენატორის კარი დაარაკუნა. რა წამსაც კარი გაუღეს, მაშინვე თვალწინ გაურბინა მირიამმა, რომელიც სასახლიდამ გამოვიდა და მსახურების სადგურისკენ სწრაფად წავიდა. მსახურების სახლში ეხლა არავინ იყო, ზოგი მინდორში წასულიყო, ზოგი სად და ზოგი სად.

მირიამი შევიდა ერთს პატარა ოთახში, საცა დაჭრილი მსახური იწვა, წამალი დაადო წყლულზედ და ისევ მალე გამოვიდა. აეფარა კარებს და დაუწყო ყურება ხან სენატორის სახლს, ხან სირონას ფანჯრებს. თანდათან გული უფროდაუფრო ასწრაფებით უძგერდა. გულში შეეპარა ახალი, უძლეველი გრძნობა. რამდენსამე წუთს წინად კი მისი გული აუღშფოთებლად

იყო, სრულად დამშვიდებული იჯდა იგი სნეულთან და ჰფიქრობდა სინაის მთაზედ და თავის თხებზედა. მაგრამ ეზოდამ რაღაც ნელი ხმაურობა მოესმა, იმისთანა ნელი, რომ სხვა ვერც კი გაიგონებდა და მირიამმა კი არამც თუ გაიგონა, გამოიცნო კიდეც, ვინ არის მიზეზი ამ ხმაურობისა.

განა შესაძლო იყო არ ეცნა გერმასის ფეხის ხმა, რომლის გაგონებაზედაც ჟრჟოლა მოსდიოდა ტანში! უმალვე წამოხტა ფეხზედ და გამოვარდა გარეთ ეზოში. აეფარა თურმე წისქვილის ქვებს და იქიდამ აადევნა თვალი გერმასს, როცა ეს სირონას ფანჯრებ წინ იდგა. თვალი გერმასის თვალს გააყოლა და მირიამმაც ის დაინახა, რასაც ხედავდა გერმასი, ესე იგი, მშვენიერის მზის სხივით მოფენილი სირონა. სირონა ჰგვანდა თოვლს, ოქროთი და ვარდებით დაწინწკლულს, ანუ ანგელოზს, ეკკლესიის ხატზედ გამოსახულსა. დიახ, სწორედ ანგელოზსა! გუნებაში გაურბინა, რომ თვითონ შაგვრემანია; რომ ერთხელ გერმასმა უთხრა, ქაჯი ხარო.

რაღაც მტკივნეულობა იგრძნო გულშია, თითქო სულით და ხორცით დანაკუწრებულიაო. გაშტერდა მწუხარებით, მაგრამ სიშტერემ მალე გაუარა. გულმა ისეთის კაპასობით დაუწყო ცემა, რომ ტუჩები სულ კბილით ეჭირა, გულის ქენჯნამ და ჯავრმა არა ამომათქმევინოს რაო ხმამაღლად.

რა სიამოვნებით ეცემოდა ეხლა იგი ფანჯარას, რომელსაც შეჰყურებდა გერმასი, რა გაკაპასებით ჩაჰსჭიდებდა ხელს სირონის ოქროსფერს თმას, რარიგად დაჰსცემდა ძირს და დაუწყობდა სისხლის წუწვნას ალისფერის ტუჩებიდამ, ვიდრე ტუჩები არ დაულურჯდებოდნენ, როგორც წყურვილით წვალებულს და დამხჩვალს ადამიანს.

მირიამმა თვალი მოჰკრა, რომ სირონას კაბა გაეხსნა, თეთრი ბროლის მკერდი გადეღეღა და გერმასმა, ამისჰა მნახველმა, ხელი გულზედ წაიკლო.

ახალმა გრძნობამ შეიპყრა მირიამი. უნდოდა, ხმა მიეცა სირონასათვის და გაეფთხილებინა.

ერთმანეთზედ გადამტერებულნი ქალნაც კი სულგრძელად

შველიან ხოლმე ერთმანეთს, როცა უმანკო დედაკაცობის უწმინდაესს გრძნობას რაიმე ფათერაკი მოელის.

თვითონ შეჰრცხვა სირონას მაგიერ და ხმის მისაცემად პირი გახსნა კიდეც, მაგრამ ძაღლმა სწორედ მაშინ დაიყეფა და ლაპარაკსაც მაშინ მოჰყვნენ სირონა და გერმასი.

ერთადერთი სიტყვაც არ გამოჰპარვია მირიამის მახვილს ყურსა და როცა გერმასმა უკანასკნელი სიტყვები უთხრა მირიამს, სისხლი თავში აუვარდა და იგრძნო, რომ გონება ეკარგება.

ქვა, რომელსაც მაშინ ხელი მოჰკიდა მირიამმა თავის დასამაგრებლად, ცუდად იყო დამაგრებული, მოირღვა და ძირს დაეცა. ამის დაცემაზედ იყო, რომ სირონამ და გერმასმა ლაპარაკი შეჰწყვიტეს და მირიამი კიდევ დაჭრილთან წავიდა.

ეხლა კი კარებთან იდგა და გერმასს ელოდდა. ელოდდა, ელოდდა და ეგონა, რომ ამ ლოდინს დასასრული არ ექმნებაო. ბოლოს გერმასი და დოროტეა ერთად გამოვიდნენ და მირიამმა თვალი შეასწრო, რომ გერმასმა სირონას ფანჯრებისკენ მიიხედა ხელახლად. ნიშნის მოგების ღიმილმა დაუბრიცა ტუჩები. ფანჯარაში აღარავინ სჩანდა და მშვენიერი სახე, რომლის ნახვის იმედი ჰქონდა, დიდი ხანია ფანჯარას მოჰსცილებოდა.

სირონა ამ დროს ჯარას ართავდა დიდს ოთახში, საცა იგი ცხენის ფეხის ხმამ მიიზიდა. თურმე სენატორის უმცროსი შვილი პოლიკარპი მამის ულაყ ცხენზედ შემჯდარიყო და ჩამოეარნა ამ დიდ ოთახის ფანჯრების წინ, თავი დაეკრა სირონასათვის და ფანჯრებ წინ ვარდი გადმოაგდო.

ნახევარს საათს უკან, ზანგის ბებერი გოგო — მოსამსახურე შემოვიდა სირონასთან.

— ქალბატონო! — შეჰსძახა საზარელის ღიმილით გოგომ. სირონამ ხელს საქმეს თავი დაანება და გაკვირკებით შეხედა. ბებერმა ვარდი მიართვა.

სირონამ ყვავილი გამოართო, მტვერს შეუბერა და ნაზი ფოთლები დაუსწორა ყვავილს; მას მერმედ უბძანა: მეორედ ნუღარ აიღებ ყვავილებს, შენ ხომ კარგად იცნობ ფებიცის. — ამას გარდა ერთი ჭორიკანაობა ასტყდება, რომ სხვამ ვინმემ დაინახოს.

შავმა დედაკაცმა მხრები აიჩოჩა და გამობრუნდა. სირონას გულში გაურბინა ამ აზრმა: „რაო მითამ? პოლიკარპი ძალიან ლამაზი ყმაწვილი კაცია და კაი გულისაცა და იმისთანა დიღრონი ღრმა ცისფერი თვალები აქვს, რომ მზგავსი არსად მინახავს. ნეტავი რაღაც მხატვრობაზედ, ფიგურებზედ და გეგმებზედ კი არ იცოდეს ხოლმე ლაპარაკი და! სულ ამისთანა მძიმე საქმეებზედ მელაპარაკება, ის კი არ იცის, თუ მაგგვარს მე ვერაფრად ვეწყობი! ვერაფერი შესაქცევარია!“

IX

მეორეს დღეს, როცა მზე გადიხარა და სიგრილე ჩამოვარდა, გერმასმა და პავლემ გამოიყვანეს სტეფანე მღვიმედამ წმინდა ჰაერზედ. სნეულს იამა ეს ამბავი და ცოტად მოჯობინდა. ორნივ ბერ-მონაზონნი მოუსხდნენ ერთმანეთს ერთს კლდის პირზედ, საცა გერმასმა ახალი ბალახი დაუფინა, რომ სნეული ლბილად ჯდომილიყო. თვითონ გერმასი კი შვილდ-ისრით კრიალა კლდეებზედ დაცოცავდა და უნდოდა, ჯიხვი ეშოვნა სნეულის მამისათვის.

არცერთი სიტყვაც არ წამოუთქვამთ ბერ-მონოზნებს, ვიდრე გერმასი არ მიეფარა კლდეებსა. მას შემდეგ კი სტეფანემ უთხრა:

— რა რიგად გამოიცვალა ჩემი შვილი მას აქეთ, რაც მე ქვეშაგებად ჩავვარდი! ბავშვი ვაჟკაცად გამიხადა. რა რიგის თავმოწონებით უჭირავს თავი.

პავლემ თავი ჩაღუნა და რამოდენიმე სიტყვა წამოიდუდუნა სტეფანეს სიტყვის თანახმად. პავლეს მოაგონდა დისკოს სროლა და გაიფიქრა, გერმასს უსათუოდ თავში სულ მოედანი უზის. მერე გუშინ თავიც დაიბანა. როცა სოფლიდამ ამოვიდა წუხელ, სწორედ ახალგაზდა ფალავანსა ჰგვანდა.

სტეფანე და პავლე ხმაამოუღებლივ ისხდნენ, მაგრამ მათ შორის რაღაც იდუმალი კავშირი იყო იმიტომ, რომ ორივემ ერთს და იმავე დროს მიჰმართეს თვალები დასავლეთს, საითაც მზემ სრულიად გადიხარა.

ქვემოთ ძალიან დაბლა და შორს მოჩანდა მეწამული ზღვა ტიტველა კლდეების ნაპირებითა, რომელთაზედაც მზის ოქროს სხივები ლაპლაპებდნენ. ზღვის ნაპირების სიახლოვესვე აწოწვილი იყო ჩაკბილული გვირგვინი უშველებელის მთისა. ეგ მთის კენწეროს კბილები, გაბრწყინვებულნი ჩამავალის მზის სხივებითა, სწორედ ბრწყინვალე სარტყელსა ჰგვანდა, ცეცხლის ნაღვერდლისფერ იაგუნდებით მორთულსა. მოჭირებული ნაღვერდლისფერი მოჰფენოდა მთელს დასავლეთის მხარეს ცის კამარისას; ღრუბლის სუბუქი ზეწარი თან-თან წამოესხა ზღვის ნაპირებსა, ვერცხლისფრად ცაში მოფანტულ ღრუბლებმა ფერი შეიცვალეს; იგინი შეიღებნენ ახალის ვარდისფრად და ზღვის პირის გორებზედ კი ამეტისტოს ლურჯი ფერი დაედვა.

ნიავიც არსაიდამ იძროდა, არსაიდამ ერთი მცირედი ხმაურობაც არ მოდიოდა; ერთის სიტყვით, არასფერი არ არღვევდა იმ საღამოის დიდებულს მყუდროებას.

ზღვა თანდათან მიბნელდა, მთის წვერებზედ ჩაქრა ბრწყინვალება მზისა და ღამემ გადააფარა თვისი ზეწარი მთებსა და ღელეებსა. სტეფანემ ლოცვისათვის გულ'ხედ დაკრეფილი ხელები გაშალა და პავლეს ხმა მიჰსცა.

პავლე შეკრთა და თითქო ძილიდამ ეხლა გამობრუნდაო და ბურანში ლაპარაკობსო, იმ სახით უთხრა: შენ მართალი ხარ. ღამდება, აგრილდა კიდეც; დროა, მღვიმეში შეხვიდე. სტეფანე არ ეურჩა; პავლემ მოჰკიდა ხელი და შეიყვანა მღვიმეში.

მძიმედ ამოიოხრა პავლემ, როცა ცხვირის ტყავს ჰხურავდა ავათმყოფსა.

— რა გიმძიმებს სულსა? — ჰკითხა მოხუცმა.

— არ ვიცი, რა ვქნა? — უპასუხა პავლემ გულამღვრევითა. — აი ჩვენ ხომ ეხლა, ამ საღამოს შევხაროდით ერთს უდიდეს სასწაულს ღვთისას, მაგრამ მე წარმართთა უსირცხვილოს ამაოდ მორწმუნეობითა თვალწინ მელანდებოდა ბრწყინვალე ეტლი მზის ღმერთისა, ფრთოსანის ცხენებით შებმული. ცხენებს ხმარობდა თვითონ ჰელიოსი, ღმერთი მზისა, და მშვენიერის ოქროს თმით შემკული, იგი ღმერთი მზისა ჰგვანდა შენს გერმასსა. მელანდებოდა დროთა ღმერთთა მხიარულად მოთამაშე

და მიმზიდველი ოქროს კარები ბიწიერებისა. წყეულიმც იყოს ქალწულება იგი ეშმაკეული!.....

პავლემ სიტყვა შეჰსწყვიტა, რადგანაც ამ დროს გერმასი შემოვიდა მღვიმეში და თან მოჰქონდა მოკლული ჯიხვი.

— კარგი ნადირია! — ჰსთქვა გერმასმა. — ერთის ისრით წამოვაქციე ეს საწყალი. ეხლავ ცეცხლს ავანთებ და ერთს კაი ნაჭერს შეგიწომთ.

ერთს საათს შემდეგ შვილი და მამა შეექცნენ შამფურზედ შემწვარს მწვადსა. პავლემ არ ინდომა ჭამა. რაც გერმასთან ერთად დისკო ისროლა, მას აქეთ პავლემ აღთქმა დადო, რომ დიდი მარხულობა გასწიოს მოსანანიებლად, რადგანაც დისკოს სროლა, როგორც ერისკაცის საქმე, დიდ ცოდვად მიაჩნდა.

— ეხლა კი, — დაიძახა გერმასმა, როცა მამამ მისმა ჭამა გაათავა. — ეხლა კი უფრო უკეთესი რამ მოვა. აი აჲ ბოთლში საუცხოვო ღვინოა.

სტეფანემ ჩამოართვა შვილს ხის ჩამჩა ღვინით სავსე, ცოტა დალია და ჰსთქვა:

— სწორედ კარგი რამ არის, სირიის ღვინოა! აბა ერთი ნახე, პავლევ!

პავლემ ჩამჩა ღვინით ჩამოართვა, დასუნა ღვინოს და ტუჩი კი არ დააკარა და ჰსთქვა:

— ეს სირიის ღვინო კი არ არის, ეგვიპტისაა, მე ღვინოს კარგად ვიცნობ, იქნება მარეოტისაც იყოს.

— სირონამაც ეგრე ჰსთქვა! — დაიძახა გერმასმა. — ნუთუ მართლა მარტო სუნით შეატყე!? სირონამ მითხრა, რომ ავათმყოფისათვის ძალიან მარგებელიაო.

— მართალი უთქვამს, — ჰსთქვა პავლემ.

— სირონაო? ვინ არის ეგ სირონა? — იკითხა გაკვირვებით სტეფანემ.

მღვიმე საკმაოდ არ იყო განათებული ცეცხლისაგან, რომელიც შიგ კარებში აენთო გერმასს მწვადის შესაწვავად და ამიტომ არცერთმა ბერმა მონაზონმა ვერ დაინახეს, რომ გერმასი სტეფანეს კითხვაზედ ყურებამდინ წამოწითლდა, როცა ჰსთქვა:

— ვინ არის სირონაო? გალიელი სირონა? ნუთუ არ იც-

ნობ? ცენტურიონის ფებიცის ცოლია, აი ქვევით სოფელში დგას.

— შენ საიდამ შეხვედრიხარ? — ჰკითხა მამამ.

— პეტრეს სახლებში დგას და როცა შეიტყო შენი დაჭრილობის ამბავი....

— ჩემ მაგიერ მადლობა გადუხადე, ხვალ რომ ჩახვალ სოფელში, — უთხრა მოხუცმა, ცოლსაცა და ქმარსაცა... ქმარიც გალიიდამ არის?

— დიახ, — უპასუხა გერმასმა. — სახელად ლომს ეძახიან, გალიიდამ არის.

ყმაწვილი კაცი მალე გამოვიდა გარედ მღვიმედამ. ბებერი სტეფანე დასაძინად მოემზადა, პავლე კი წამოწვა გერმასის ქვეშსაგებზედ და ღამის თევა დააპირა ავათმყოფის წინ.

სტეფანეს ძილი არ მოუვიდა და როცა მეგობარი მისი მოუახლოვდა და დასალევად წამალი მოაწოდა, ჰსთქვა:

გალიელის ცოლმა მე სიკეთე გამიწია და მე კი უფრო ძალიან მიამებოდა, რომ აქ თვითონ გალიელი არ გარეულიყოს.

პავლემ კითხვით შეხედა და თუმცა მღვიმეში ბნელოდა, მაგრამ იგრძნო იმ შეხედვის ძალი და ჰსთქვა:

— მე არა ვისი მტრობა არა მაქვს და მიყვარს კიდეც მოყვასი ჩემი. მე დიდი თავლაფის დასხმა მომაყენეს, მაგრამ მე შევუნდევი და შევუნდევი მართლისა და წრფელის გულითა. მარტო ერთი კაცია ქვეყანაზედ, რომლისათვისაც მე ბოროტი მინდა და ის კაცი — გალიელია.

— შეუნდე იმასაც, — უთხრა პავლემ. — და ნუ იფოხიობ ძილს მწარის ფიქრებითა.

— არა მიშავს რა! — წამოიძახა ავათმყოფმა. — შენ რომ ის მოგსვლოდა, რაც მე მომივიდა, შენც კი მოგიწამლავდა ღამის მშვიდობასა.

— მე ვიცი, ვიცი, — აშოშმანებდა პავლე. — გალლიელმა შეაცდინა შენი ცოლი და ხელი ააღებინა შვილზედა და ქმარზედაცა.

— მერე რა რიგად მიყვარდა ჩემი გლიცერა! — ამოიკენესა ავათმყოფმა. — რა რიგის ალერსით ვეტრფიალებოდი, რა რიგის სიმდიდრით ვამკობდი! მაგრამ მოვიდა გალლიელი და შე-

მოჰსდგა ფეხი ჩვენს სახლში. უგემური იყო, როგორც დაძმარებული ღვინო, მაგრამ ენა ჰქონდა მაცდური და თვალები ცეცხლით სავსე და საწყალი ქალი ამით გააბა მახეში. მე გლიცერის სულისათვის დღედაღამ ვლოცულობ.... რა ძლიერი ჯადო უნდა ჰქონოდა, რომ გლიცერას შვილზედ ხელი ააღებინა; შვილზედ, რომელიც გაგიჟებით უყვარდა. ოჰ, რა უბედური კაცი ვარ! პავლევ, გყვარებია შენ როდისმე ქალი?

— რატომ არა გძინავს? — უპასუხა პავლემ. — განა შეიძლება კაცმა ნახევარი საუკუნე ისე გაატაროს, რომ სიყვარული არ გამოიაროს? მაგრამ ჰსჯობს, ლაპარაკი შევჰსწყვიტოთ, რაცა ვჰსთქვით, გვეყოფა. დალიე ეს პეტრეს გამოგზავნილი წამალი.

წამალი პეტრესი ძალიან ძლიერი იყო, მალე გაჰსჭრა, ავათმყოფს ძილი მოჰგვარა, მერე ისეთი ძილი, რომ მინამ მზე კარგა მაღლა არ ამოვიდა, არ გაუღვიძნია. პავლემ კი მთელი ღამე უძილოდ გაათენა.

— მე კარგად მეძინა მთელი ღამე და კაი სიზმრებიც ვნახე, — ჰსთქვა სტეფანემ. — შენ ეგრე გაფითრებული რათა ხარ, ასე გონია მთელი ღამე არ გძინებოდეს?

— მე? — ჰკითხა პავლემ. — არ ვიცი. მოდი, ერთი წმინდა ჰაერზედ გავალ ცოტა ხნობით.

ამ სიტყვებზედ პავლე ადგა და გარედ გავიდა. სტეფანეს თვალს რომ მოშორდა, მძიმედ ამოიოხრა, გაიზმორა და აწითლებული თვალები მოიფშვნიტა. ამ სამის დღისა და ღამის უძილობის გამო თვალებში იმისთანა ტკივილსა ჰგრძნობდა, თითქო თვალებში ქვიშა ჩავარდნიაო. წყალიც ძალიანა ჰსწყუროდა იმიტომ, რომ ამ სამს დღე და ღამეში მისი ტუჩები არც საჭმელს მიჰკარებია და არც სასმელსა. ხელები უთრთოდა, ისე დასუსტებული იყო. მაგრამ სისუსტე და წვალება, რომელსაც იგი ამ ჟამად ჰგრძნობდა, მთელს მისს არსებას რაღაც ნელის სიხარულით ავსებდა. დიდის სიამოვნებით წავიდოდა ეხლა თავის საკუთარს მღვიმეში და იქ მიეცემოდა ტკბილს ოცნებას მასზედ, რომ ვითომ ჯვარზედ არის გაცმული და მასსაც, როგორც მაცხოვარს, ხუთის დაკოდილებიდამ ჰსდის სისხლი.

ამ დროს სტეფანემ დაუძახა. შევიდა სტეფანესთან და დაუწყო ლაპარაკი. ამ ხანად ამისათვის უფრო ადვილი იყო ლა-

პარაკი, ვიდრე მოსმენა, რადგანაც ყურებში შუილი აუტყდა შიმშილისა და სისუსტისაგან. ისე იყო, თითქო დამთვრალაო მაგარის ღვინითა.

— ნეტა გერმასს არ დაავიწყდეს მადლი გადუხადოს გალილიელს, — ჰსთქვა სტეფანემ.

მადლი გადუხადოს, მადლის გადახდის თანამდებნი ჩვენ ყოველთვის უნდა ვიყვნეთ, — უპასუხა პავლემ და თვალები დახუჭა.

— მე გლიცერა მესიზმრა, — დაიწყო ხელახლად სტეფანემ. — შენ წუხელის მითხარ, რომ შენს გულსაც უცვნია, სიყვარული რაც არის. მაგრამ ცოლი ხომ თავის დღეში არ გყოლია. რას გაჩუმდი? მიპასუხე.

— მე?..... რაო? ვინ მეძახის? — წამოიდუდუნა პავლემ და უაზროს თვალით შეხედა სტეფანეს.

სტეფანე შეშინდა და როცა დაინახა, რომ პავლე თავიდამ ფეხამდე კანკალებს, წამოიწია და მიაწოდა ბოთლიდან ღვინო, სირონას გამოგზავნილი. პავლემ, რომელსაც ყოველი ღონე გამსჭელობისა მიხდოდა, გამოჰსტაცა ხელიდამ ბოთლი და სწრაფად გამოცალა. მხურვალე სასმელმა განუცოცხლა მისუსტებული ღონე; ლოყებზედ წითლად აუღვივდა და თვალთა სულ სხვა ბრწყინვალება გამოიჩინეს. ღრმად ამოიოხრა, მიიყრდო გულზედ ხელი და ჰსთქვა:

— რა რიგად მომიხდა მე ეს ღვინო!

სტეფანეს სრულად დაუმშვიდდა გული და ხელახლად განიმეორა თავისი კითხვა. მაგრამ მალე შეინანა, რადა ვკითხეო იმიტომ, რომ მისის მეგობრის ხმა სულ სხვა რიგად მოისმა, როცა მან ეს უპასუხა:

— მე ცოლი ჩემს დღეში არა მყოლია. დიახ, თავის დღეში არა მყოლია, მაგრამ მე მყვარებია კი! მე ყველაფერს გიამბობ, ყველაფერს თავიდამ ბოლომდე. ოღონდ შენ სიტყვას ნუ გამაწყვეტინებ. გესმის? ნუ გამაწყვეტინებ-მეთქი ნურც ერთხელ! მე ამ ხანად გული როგორღაც სხვა რიგად მიცემს. იქნება ღვინისაგანაც იყოს.... დიდი ხანია ღვინო აღარ დამილევია. მე გმარხულობდი მთელი..... მთელი..... მაგრამ ეგ სულ ცრთია. შენ ოღონდ ხმას ნუ ამოიღებ, მათქმევინე.

პავლე გერმასის ქვეშაგებზე იჯდა. თავი მიაყრდო კლდის კედელს, წარბი შეიჭმუხვნა, თვალი მიაპყრა ცარიელს სიერცეს და დაიწყო:

— იგი ქალი იყო ტანადი და მშვენივრად მოყვანილი, როგორც იუნონა. შუბლი, წაბლისფერის თმებით შემოზღუდული, უბრწყინავდა, როგორც სპილოს ძვალი. თვალთაგან იმისთანა ნათელი გამოჰკრთოდა, როგორც ბავშვსა, თუმცა იგი ისეც ახალგაზდა არ იყო. საზარელს ადგილას შევხვდი მას მე პირველად — მე იგი ვნახე საძაგელს რაკოტიის საპყრობილეში. ზედ ეცვა ოდესღაც მდიდრული და ეხლა კი გაქუცული კაბა. მას განუშორებლივ ზედ დაჰსტრიალებდა, როგორც სარბი ძაღლი დაჭერილს ხოხობს, ერთი მყრალი და ჭუჭყიანი ბებერი დედაკაცი და უშვერის პირით ლანძღავდა. ერთი სიტყვაც არ შეუბრუნებია ქალს ბებრისათვის. მხოლოდ მსხვილი ცრემლები მძიმედ ჩამოჰსდიოდა თვალთაგან ფერმიხდილს ლოყებზედა. მე მაშინ დიდის ხნის მონათლული ვიყავ. მე, მდიდარს მეწანდრს, პრეფექტის პომპეის ცოლისძმას, ყველგან, ყოველ საპყრობილეში კარი ღია მქონდა და მაშინ, მაქსიმინის დროს, მრავალი ქრისტიანი სული საპყრობილეში იყო დამწყვდეული. ხოლო ის ქალი კი ჩვენგანი არ იყო. როცა მე და იმან თვალი მოვკარით ერთმანეთს და მე ქრისტიანობის ნიშნად პირჯვარი დავიწერე, იმან პირჯვარი არ გადიწერა. გუშაგებმა ბებერი დედაკაცი წაიყვანეს, ის ქალი კი იქ დარჩა, მიჯდა ბნელს კუთხეში იატაკზედ და ორივე ხელი თვალებზე დაიფარა. ძლიერმა გულმტკივნეულობამ ამიტაცა და ეგ გრძნობა არ შემცირებია მაშინაც, როცა გუშაგმა უშვერის სიტყვით მიამბო, რომ ეს ქალიო ვიღაც რომაელს ხასად ეჯდაო ამ ბებრის სახლში და თვითონ ბებერი დედაკაცი გაჰქურდაო. მეორე დღესაც გულმა საპყრობილისაკენ გაიწია. მე ის ქალი ისევ იმ კუთხეში კნახე, იმ რიგადვე მჯდომიარე. თავის კერძო საპყრობილისას ისეც ღარიბულს და ცოტას აწვდიდა პატარა ქრისტიანის ბავშვს, რომელსაც სიყვარულით გულზედ მიიკრავდა ხოლმე. „ვისაც ბავშვი ასე უყვარს, ის გულწამხდარი არ უნდა იყოს-მეთქი“, ვჰსთქვი ჩემს გულში, უფრო და უფრო მებრალებოდა ის ქალი. ერთხელ

მე სხვადასხვანაირი ხილი მივუტანე. მან აიღო ხელში ვაშლი, ადგა ფეხზედ და ნელის ხმით მითხრა: მე შენ სხვას რასმეს შეგაგვედრებ. შენ ქრისტიანი ხარ და გთხოვ, ერთი ღვდელი გამომიგზავნო. მე მინდა, მოვინათლო. მაგრამ ვინ იცის? იქნება ღირსიც არ ვიყო; მე ისე ბევრი, ისე ძლიერ შემიცოდნია. — ჰსთქვა ესა და ხოლო მისი ბავშური თვალნი ხელახლად ცრემლით აივსნენ.

ქრისტიანებთან ყოფნას, ცხადია, ემოქმედნა ქალზედ. ქალი ჩუმად მოინათლა და დაირქვა სახელად მაგდალინა. მისი შეცოდება ის იყო, რომ მოტყუებულიყო ბოროტის მაცდურის კაცისაგან და იმის გულისათვის თავი დაენებებია ქმრისა და შვილისათვისა. იმ ხანად თვითონ საყვარელს დაენებებია მისთვის თავი და ანგარს სახლის პატრონს ბებერს დედაკაცს, რომლისათვის სახლის ქირა არ მიეცათ, ჯავრი ამოეყარა მით, რომ მის დაბიზღებით მაგდალინას ქურდობა შეჰსწამეს თურმე და საპყრობილეში ჩააგდეს. ხოლო მაგდალინა უდრტვინველად ითმენდა ამ წუთის-სოფლის ბოროტებას. თვითონ ჰსწყუროდა, სასჯელი რამ მიეღო, როგორც სნეულს — მწარე წამალი, ტკივილის დამამებელი. ჩვენ თან-თან უფრო დავუახლოვდით ერთმანეთსა. მე ველაპარაკებოდი ხოლმე, რომ მაცხოვარი ჩვენი ყოვლად მოწყალეა, რომ ყოველს შენანებულს ცოდვილს უფრო უკეთესი ნეტარება მოელის ცაში, ვიდრე ოთხმოცდაცხრამეტს მართალსა. ჩემმა სიტყვებმა ააყვავეს მისი გული და სული და ამის გამო იგი უფრო და უფრო გამშვენიერდა ჩემს თვალში. მაგრამ ვფიცავ შემოქმედსა ჩემსა, ჩემს აღტაცებაში, ჩემს სიყვარულში არაფერი ხორციელი არ იყო. ვგრძნობდი კი, რომ უმისოდ ცხოვრება ჩემი შეუძლებელია.

ქრისტიანების დევნა უფრო განძლიერდა. მათმა გულის სიმაგრემ და სიმტკიცემ რომაელნი მოთმინებიდამ გამოიყვანა. ერთხელ იმპერატორის ჯარისკაცნი მოვიდნენ საპყრობილეში და ყველა ქრისტიანებს ერთს ადგილს მოუყარეს თავი. მოხელემ წაიკითხა სახელები პყრობილის ქრისტიანებისა. მე სიაში არ ვიყავ ჩაწერილი, არც მაგდალინა ჩაეწერაო იმიტომ, რომ იგი სხვა დანაშაულობის გამო იყო დამწყვდეული. მოხელემ შეა-

ხვია კიდეც სია. ამ დროს მაგდალინა თავდაბლად წინ წამოდგა და თავმოწონებით უთხრა: „მეც ქრისტიანი ვარო“.

სახე ისე უნათოდა როგორ ანგელოზსა. მოხელემ, კაცმა დიდად ღირსეულმა, დააკვირვა თვალი, მერე თავი გაიქნია და ხმამაღლა ჰსთქვა: „შენი სახელი სიაში არ არის..... და არ მინდა, რომ იყოს“. — დაუმატა მან დაბლა ხმით. მაგდალინამ ერთი ბიჯი კიდევ წინ წასდგა და ხმამაღლა ჰსთქვა: „წყალობა მოიღე და მეც მომე ადგილი ჩემთა თანა მორწმუნეებთან. გთხოვ, სიაში ჩამწერო. ქრისტეს მოსავს მაგდალინას პატივობა არა სურს“.

გული ჩემი განცვიფრდა. მეც სიხარულით წამოვიძახე: „მეც დამნიშნე! ჩაჰსწერე: ქრისტეს მოსავს მენანდრს, გეროფილეს ძეს, პატივობა არა სურს“. რომაელმა თვისი მოვალეობა აასრულა. ჩვენზედ პატარა მოშორებით ტახტი იყო ამართული. ერთ მხრივ მარჯვნივ ედგა კერპთმსახური მოგვი, მარცხნივ — იმპერატორის მოხელე. ორ-ორს მიგვიყვანდნენ ხალმე. მე და მაგდალინა სულ ბოლოს ვიყავით. ერთი მოკლე სიტყვა სიცოცხლეს არჩენდა კაცს და მეორე კი — საშინელის ტანჯვით და წამებით სიკვდილს უქადდა. ოცდაათის კაციდამ მარტო ოთხი არ გადუდგა თავის რწმენას და არ უღალატა მაცხოვარსა.

საოცარმა ნეტარებამ აღმივსო სული. ასე მეგონა, ფრთა შეგვესხა და მაღლა სუბუქს ღრუბლებ ზევით ავდივართ ზეცაში. თავდაბლად და დაწყნარებით უარვყავით პატივობა და ამასთანავე მადლი გადვუხადეთ იმპერატორის მოხელეს, რომელიც გვარიგებდა და გვირჩევდა ქრისტეს უარყოფას. ერთსა და იმავე ოთახში, ერთსა და იმავე საათს ჩვენ ყველანი ჯალათს ხელში მიგვცეს. საშინლად აწამეს და აწვალეს საწყალი მაგდალინა, მარწუხით ხორცი ჰგლიჯეს, ძვლები რკინის კეტებით უმტვრიეს, ხოლო მაგდალინას მიემართა თვალნი ცისათვის და ხმაგაკმენდილი სასოებით ცას შეჰყურებდა და გაოცებით ვუყურებდი თვითონ მაგდალინას. იმ საშინელს წვალებაში მე მომეჩვენა მაცხოვარი ანგელოზების გუნდით გარემოცული ბრწყინვალე სხივებში და დაფრინავდნენ ანგელოზნი. ყურში მესმოდა ციური გალობა.

მაგდალინას ერთიც არ ამოუკვნესია, პირიდამ ხმა არ ამო-

უშვია, ისე ითმენდა იმ საშინელს წვალებასა. მხოლოდ ერთხელ წარმოსთქვა სახელი თავის შვილის გერმასისა. მე შევხედე და ვსახე, რომ მისი დიდრონი თვალები ცას შეშტერებოდა და ტუჩები უცახცახებდა. თუმცა ჯერ კიდევ ფეთქავდა, მაგრამ სულმა მისმა მიაღწია კიდეც ღმერთამდე. ჯალათი მაინც კიდევ ჰსტანჯვიდა, თუმცა მაგდალინა დაეწაფა კიდეც საუკუნო ნეტარებასა.

სული ჩემი ვერ განშორდა ხორცსა, მაგდალინამ კი იპოვა უკვდავება ჯალათის ხელ ქვეშ. მე თვითონ დავუხურე თვალნი — ის საოცარნი თვალნი, რომლებშიაც თვითონ ზეცა გამოჰკრთოდა. მე შევსხენ ბეჭედი სისხლში მოსვრილ თითიდამ და მას აქეთ არის აქ, აი აქ; ამ უშვერს ტყაპუჭ ქვეშ კინახავ და ვლოცულობ... ვლოცულობ.... ოჰ, გულო ჩემო! ერთი მალე შეაყენე შენც ფეთქა და მომარჩინე....

პავლემ წაიღლო ხელი თავზედ და ღონემიხდილი, გულშემოყრილი პირუკუღმა გადიქცა ქვეშაგებზედ. სულგაკმენდილი, აღელვებულის გულით ყურს უგდებდა ავათმყოფი პავლეს ლაპარაკსა. დიდი ხანი იყო რაც სტეფანე მუხლებზედ წამოჯდა და ისე უგდებდა ყურს, მაგრამ პავლემ ლაპარაკში ეს ვერ შენიშნა.

ცეცხლმოკიდებული, მთელის ტანის ცახცახით, სტეფანე ძლივ-ძლივ მიცოცდა პავლესთან, რომელიც ღონემიხდილი უგრძნოდ ეგდო, გადუღელა გულზედ ტყაპუჭი, მრთოლარეს ხელით დაუწყო ძებნა ბეჭედსა; იპოვა ბეჭედი და ისეთის მხურვალეს თვალით დააცქერდა, თითქო თვალით უნდაო ბეჭედის დადნობაო. ათასჯერ მიიკრა ის ბეჭედი სან ტუჩებზედ ხან გულზედ. ბოლოს მიიფარა თვალებზედ ხელი და მწარედ დაიწყო ქვითინი.

ამ ყოფას შემოესწრო გერმასი, რომელიც **ის-ის** იყო სოფლიდამ ამოვიდა. მხოლოდ მაშინ გაახსენდა სტეფანეს პავლეს ყოფა, იშველია შვილი და პავლე გონზედ მოიყვანა.

ამ ხანად კი პავლემ აღარ იუარა სასმელი და საჭმელი. როცა სასმელ-საჭმელით ღონე მიიცა, პავლე და სტეფანე ერთად გავიდნენ გარედ წმინდა ჰაერზედ და აქ შეიტყო სტეფანესაგან, რომ მაგდალინა ამისი ცოლი იყო. მაშინ ჰაკლემ ანიშნა

გერმასზედ და უთხრა სტეფანეს: „ეხლა კი მესმის, რად შეიყვარდა მე ეგ პირველ ნახვაზედვე“.

სტეფანემ ხელი ჩამოართვა და მეგობრულად მოუჭირა. იგი ჰგრძნობდა, რომ მის და პავლეს შორის ჩაშოვარდა ახალი, სათუთი კავშირი. ნელის სიხარულით აევსო გული, რაკი შეიტყო, რომ მისი ჯერ კიდევ აქამომდე საყვარელი ცოლი, დედა მისის გერმასისა, წამებულ იქმნა ქრისტიანობისათვის და მით გაიხსნა გზა ზეციურის ნეტარებისა.

მშვიდობიანად, როგორც ბავშმა, გაატარა ძილში დამდეგი ღამე და როცა მეორეს დღეს მოვიდა რაიტიდამ მოციქული, რათა ჰსთხოვოს პავლეს ჩამოვიდეს სინაის მთიდამ და მიიღოს ქრისტიანთა წინამძღვრობა, სტეფანემ უთხრა: „ხმაამოუღებლივ მიიღე ეგ წინამძღვარობა, შენ ყოვლად ღირსი ხარ მაგისი. მე ეხლა შენი შველა აღარ მინდა, მე უშენოდაც მოვრჩები“.

ხოლო პავლე უფრო შეწუხდა ამ ამბავზედ, ვიდრე გაუხარდა. ჰსთხოვა მოციქულს შვიდის დღის პაემანი, მოვიფიქროო. მას აქეთ დაიწყო ხან აქ, ხან იქ წმინდა ადგილების სალოცავად და ბოლოს გასწია სოფლისაკენ ეკკლესიაში სალოცავად.

X

მირიამს იმედმა არ უმტყუნა. მაშინ, როდესაც მირიამი ვახშმისათვის ტრიალებდა, გერმასმა გააღო ალაყაფის კარები და შემოვიდა ეზოში. სენატორს მოუტანა ჯიხვი, უნდოდა ამით მადლობა გადეხადნა წამლისათვის, რომელმაც ძალიან არგო მის მამასა.

თქმა არ უნდა, რომ ეგ ძღვენი ხვალაც შეეძლო მოეტანა იმიტომ, რომ საჩქარო არა იყო რა, მაგრამ მთაში გერმასს გული არ უდგებოდა და სულ ძირს სოფლისაკენ იწევდა. მარტო მადლობის სათქმელად კი არ მოისწრაფიდა სოფლისაკენ, — არა. მას არც შეეძლო და არც უნდოდა თავისი თავი მოეტყუებინა; იმან კარგად იცოდა, რომ სირონას ნახვის სურვილმა გამოიტაცა; სირონას ხმის გაგება ჰსწყუროდა. პირველ ნახვის შემდეგ ბევრჯერ კიდევ შეხვედრიან ერთმანეთს სალაპარაკოდ. გერმასი

სირონას სახლშიაც ჰსწვევია — ხან მამისათვის ღვინის სათხოვნელად, ხან ცარიელი ბოთლები უკან მოუტანია. ერთხელ, როცა ღვინოს ასხამდა ბოთლში, სირონას თეთრი ხელი მოხვდა მის ხელს და სირონამ ჰკითხა კიდეც, ხომ არ შიშობ რასმეო, რომ შენი ღონიერი ხელი აგიკანკალდაო, თითქო ელდა რამ გეცაო. ეს ამბავი თავიდამ აღარ გამოსვლია გერმასსა, სულ ახსოვდა.

რამოდენადაც მოუახლოვდა პეტრეს სახლს, იმოდენად უფრო ძლიერ დაუწყო ცემა გულმა. ალაყაფის კარებში რამდენსამე ხანს შეფერხდა, რომ გული მოიცეს და დალაგებულ სიტყვა-პასუხისათვის მოემზადოს, თორემ ასეთნაირად აღელვებული იყო, რომ არ იცოდა, რა ექმნა. ბოლოს გააღო ალაყაფის კარი და შევიდა ეზოში. ძაღლებმა ყეფა დაიწყეს რა წამსაც დირეზედ ფეხი გადაადგა, მაგრამ მალე იცნეს და გაჩუმდნენ.

ხომ მოჰქონდა და არა მიჰქონდა რა, მაშ რაღად ფრთხოდა, როგორც ქურდი, როცა თვალი მოჰკრა ჯგრ დიდს სახლს, მთვარის შუქით განათებულს და მერმე სირონას სადგურს, რომლის განიერი ჩრდილი გადაჰფენოდა მოკირწყლულს ეზოსა. ეზოშა სულიერი არავინ იყო. პეტრე და მისი სახლობა ვახშამზედ ისხდნენ, როგორც ჰსჩანდა, იმიტომ, რომ მწვადის სუნი მოედინა გერმასსა.

„მე ამ ვახშამზედ მეტი სტუმარი ვიქნებიო", — გულში ჰსთქვა გერმასმა და ერთის მხრიდამ მეორეზედ გადმოიღო ჯიხვი, თვალი კი სირონას ფანჯრებისკენ ეჭირა. ფანჯრები სათელი არა ჰსჩანდა და მაინც კიდევ დაინახა რაღაცა თეთრი საგანი, რომელმაც ჯადოსავით მიიზიდა მისი თვალი. იმ თეთრმა საგანმა ტოკვა დაიწყო და იქავე სირონას პატარა გოშია ყეფას მოჰყვა. ეს უსათუოდ სირონაა, სირონა. სირონას სახე წარმოუდგა სრულის მშვენებითა და მოაგონდა, რომ ეხლა სულ მარტოდმარტოაო, რადგანაც გზაზედ შეხვდა ქმარი სირონასი — ფებიცი, მიმავალი სალოცავად თავის ღმერთას მიტრისა. აქამომდე ღვთის მოშიში ჭაბუკი, რომელიცა მარხულობით და გვემითა იმორჩილებდა თავის ხორციელობას და თავიდამ ირიდებდა მაცდურს ფიქრებს, ამ უკანასკნელს დღეებში სრულიად გამოიცვალა.

თუმცა მამის მორჩილებას არ უღალატა და ისევ მთაში ჰსცხოვრებდა, მაგრამ გულში კი გადიწყვიტა, რომ არასფერს ამ წუთის სოფლისას არამც თუ არ მოერიდება, არამედ მიჰყევება კიდეც.

სნეულის მამის მოვლა მიაჩემა რა ღვთის მოშიშს პავლეს, თვითონ დარონინებდა კლდეებში მთელი დღე. ხან დისკოს სროლაში ვარჯიშობდა, ხან ჯიხვზედ ნადირობდა და ზოგჯერ კიდევ გულმილეული ჩავიდოდა სოფელში ხოლმე, გარს უვლიდა პეტრეს სახლს; აგები სირონა დავინახო თვალით მაინცაო. ეხლა კი, როცა დარწმუნებული იყო, რომ სირონა მარტოა, რაღაც უძლეველის ძალით გული სირონასაკენ ეწეოდა. თვითონაც არ იცოდა, რა უნდოდა მისგან, ხოლო ერთში კი არ ეჭვობდა; ეგ იმაში, რომ ნეტავი ერთხელ კიდევ მეღირსოსო, იმისი ხელი ჩემს ხელს შეეხოსო.

გერმასი იმას აღარ დაჰსდევდა, ცოდვაა ეგა, თუ არა! „რაც ამ უკანასკნელს დღეებში ჩავიდინეო, ხომ მაინც ცოდვაა და ცოდვაო“, — ამბობდა გულში: „ისიც ხომ ცოდვაა, რომ ყოველი ჩემი ფიქრი, სული და გული ამ წუთის-სოფლისკენ მიიზიდებაო. დეე ცოდვა იყოსო, ოღონდ ჩემს საწადელს მივხვდეო და კისრად ამიღია ეგ ცოდვებიო“. გაიფიქრა ეს და შიშით და კრთომით მივიდა მშვენიერის ქალის ფანჯარასთან. სირონამ მაშინვე იცნო მთვარის შუქზედ.

— გერმას, შენა ხარ? — მოესმა ყმაწვილს კაცს.

რაღაც ელდამ აიტაცა გერმასი ამ სიტყვებზედ; ერთს ადგილას გაჩერდა, როგორც გაშეშებული, მხარიდამ ჯიხვი გადმოუვარდა, გულმა თითქო ფეთქა შეჰსწყვიტაო. ხელახლად მოესმა ტკბილი ქალური ხმა:

— გერმას, შენა ხარ? რამ მოგიყვანა აქ ამ შუაღამისას?

გერმასმა პასუხად რაღაცა უთავბოლო სიტყვები დაილუღლუღა.

— მე არ მესმის, რას ამბობ. ახლო მოდი, — უთხრა სირონამ.

თითქო რაღაცამ ძალა დაატანაო, წინ წადგა და სირონას ფანჯრის ჩრდილში გაჩერდა.

გოშიამ ხელახლად ყეფა დაიწყო. სირონამ დააჩუმა და ჰკი-

თხა გერმასს მამის ამბავი, ღვინო ხომ არ არის კიდევ საჭიროო. გერმასმა უპასუხა, რომ შენ კეთილი ხარ, კეთილი, როგორც ანგელოზიო; მამაჩემიო თანდათან უკეთ ხდებაო, ღვინო უმისოდაც ბევრი წაგვიღიაო.

მათი საუბარი უბრყვილო და უმანკო იყო, მთელს ქვეყანას შეეძლო ყური ეგდო, მაგრამ მაინც კი ჩურჩულით ლაპარაკობდნენ. ასე გონია, საიდუმლო რამ აქვთო.

— ცოტა მოითმინე, — უთხრა ქალმა და გერმასს თვალიდამ მიეფარა. ისევ მალე მობრუნდა და უთხრა წყნარის და ნაღვლიანის ხმით: „მე მინდოდა, აქ ოთახში შემომეყვანე, მაგრამ ფებიცის კარები დაუკეტნია. მე აქ სულ მარტოდმარტო ვარ. დამიჭი ბოთლი, რომ ფანჯრიდამ ღვინო ჩაგისხა.

ამ სიტყვებზედ დაიხარა და ხელში საღვინე აიღო ადგილიდამ. თუმცა კარგა ღონე ჰქონდა, მაგრამ ეტყობოდა, რომ საღვინის აღება უმძიმდა.

— ეს საღვინე ჩემთვის მეტად მძიმეა, — ჰსთქვა მან და ამოიქვნეშა. გერმასმა ფანჯრისაკენ ხელი გაიწოდა, კიდევ ხელი ხელს მოახვედრა და ხელახლად იგრძნო ის ნეტარი ჟრჟოლა, რომელსაცა ნატრობდა დღედაღამ მას აქეთ, რაც პირველად მოუხდა ამგვარივე ამბავი.

პირდაპირ სახლიდამ ხმაურობა მოისმა. სირონა მიხვდა, რომ მოსამსახურეები ვახშმიდამ ადგნენო. შეშინდა და ელდაცემულსავით ანიშნა სენატორის სახლის კარი და დაიძახა:

— ღვთის გულისათვის! აქეთ მოდიან და თუ შენ აქ დაგინახეს, მე დავიღუპები.

გერმასმა ყური დაუგდო ხმაურობას, სწრაფად ოვალი გადაავლო ეზოს და ნახა, რომ ვერსაით ვერ დაემალება, უფრო ახლო და ახლო მომავალს მსახურებს პეტრესას. მაშინ ბძანების ხმით დაუძახა სირონას: უკან მიდეგ! — დაჰკრა ფეხი და შეხტა ფანჯრიდამ სირონას ოთახში. იმავე წამს მსახურებიც გამოვიდნენ ეზოში. ყველაზედ წინ მირიამი მოდიოდა და იმედგადაწყვეტილსავით ათვალიერებდა გარეშემოს.

ვისაც ეძებდა, აქ არ იყო. ამაზედ კი დარწმუნებული იყო, რომ გერმასი ეზოში შემოვიდა და რა იქნა, ის კი ვერ გაეგო.

ზოგი მოსამსახურე თავლაში წავიდა, ზოგი ალაყაფის კარებს გაეყე გავიდა ღამის სიგრილეში სულის მოსაბრუნებლად. მარტო მირიამიღა დარჩა ეზოში და ისეთის გულმოდგინებით აქეთ-იქით იცქირებოდა, თითქო ძვირფასი რამ დაეკარგოს და იმას ეძებსო. წისქვილის ქვებიც კი დასინჯა, ფანჩატურს ქვეშაც შეიხედა. ბოლოს შედგა და პატარა ხელები მუშტებად შეიკუმშა. მიევარდა სირონას ფანჯარას და ჩრდილში აიტუზა. ფანჯარის წინ მოკლული ჯიხვი ეგდო. შიშველა ფეხით დაუწყო შინჯვა, მაგრამ უეცრად შეხტა შეშინებული, სწრაფად მოაშორა ფეხი; თურმე ფეხი მოახვედრა ისრის ნაკრავს და სისხლი მოეცხო. გულმა შეუტყო, რომ ეს გერმასს მოუკლავს, აქ დაუგდია და თვითონაც აქ სადმეა.

ეხლა კი გამოიცნო, სად უნდა ყოფილიყო გერმასი. უნდოდა, ძალად გაეცინა მაინც, რადგანაც ეგონა, რომ ცრემლით ვერ გაიქრობდა მეტად მწვავს ტკივილს, რომელიც მან იგრძნო მთელს აგებულებაში. გონება კი მაინც შერჩა. „ისინი ბნელაში არიან, — ამბობდა თავისთავად; — მე რომ ფანჯარასთან ახლო მივიდე და ყური დავუგდო, დამინახვენ. არ იქნება კი არ შევიტყო, რას აკეთებენ ორნივ ერთად“.

წამოვიდა აქედამ და გამალებული წავიდა მსამსახურეების სადგომისაკენ. რამდენსამე წუთზე წისქვილის ქვებზედ გადვიდა და იქიდამ ჩრდილში კედელ-კედელ ცოცვით მიეპარა სირონას ფანჯარას და გაჩერდა. გული ასე ძლიერ ცემდა, რომ უშლიდა ლაპარაკის გაგებას. ლაპარაკის ხმა კი ესმოდა და ცხადად იცნო ხმა გერმასისა. ხმა იმ ოთახიდამ გამოდიოდა, რომელიც ქუჩის პირისკენ იყო. ეჭვი აღარ ჰქონდა, რომ გერმასი იქა ზის სირონასთან. მაშ ფეხზედ რომ დავდგე და შევიხედოო, ვერ დამინახვენო, იფიქრა.

აქეთ ოთახს შუა და იქითას შუა კარი მიხურული იყო, სინათლე კი, რომელიც კარებში გამოკრთოდა, ამტკიცებდა, რომ იმათ სანთელი უნთიათ. მირიამმა დააპირა თუ არა, რომ ფანჯრიდამ ოთახში გადასულიყო, მოესმა ზარიანი სიცილი სირონასი. თვალწინ წარმოუდგა სახე რაყიფის ქალისა, სახე ბრწყინვალე და სხივმოსხმული, როგორც იმ დილას, როცა გერ-

მასი ტრფიალებით და აღტაცებით შეჰხაროდა და ჭვრეტით ვერა ძღებოდა. აბა ეხლა? ეხლა, ვინ იცის, იქნება გერმასი ?ის ფეხთა წინაშე წამოწოლილა, სათუთო სიტყვებით ეტრფიალება, ეუბნება თავის სიყვარულს, უწვდის ხელს მოსახვევად, ის კი ზის და იცინის! აი ხელახლად ისევ ჩაიკასკასა სირონამ! რაღაზედ ჩაჩუმდნენ უეცრად? უეჭველად სირონამ თავისი ალისფერი ტუჩები საკოცნელად მიჰსცა. ვიშ, ვიშ! ამას ეჭვი არ უნდა, არა! — ფიქრობს მირიამი: დახე, გერმასმა კი არ მოარიდა თავი, მე კი მაშინ წყაროსთან ზიზღით გამო?ეცალაო ხელიდამ და სამუდამოდ ზურგი შემომაქციაო.

ცივმა ოფლმა დაასხა მირიამს შუბლზედ. როგორც ჯკუიდამ შეშლილი მოჰყვა თავის შავის თმის გლეჯას; გაფითრებულ ბაგეთაგან აღმოუხდა საზარელი ვაების ხმა, თითქო გააფთრებულის ნადირის ხ?აო. თვალის დახამხამების უმალ გაეარდა თაველის წინ ალაყაფის კარებში, საიდამაც საქონელს ერეკებოდნენ ხოლმე და გონებამიხდილსავით გაწკრინდა მთებში იმ ღვიმესაკენ, საცა სირონას ქმარი ფებიცი იმ ჟამად სალოცავად იმყოფებოდა.

სირონამ ყური მოჰკრა მირიამის ხმას.

— ეს რა ამბავია? — ჰკითხა შეშინებულმა სირონამ გერმასს, რომელიც ამ ჟამად მის წინ იდგა რომაელის მხედრის ტანისამოსით მორთული. თუმცა ჯერ ამგვარს ტანისამოსს ვერ იშვნევდა, მაგრამ თვითონ კი ისეთი მშვენიერი სანახაობა ჰქონდა, როგორც თვით ბრძოლის ღ?ერთსა.

— ეგ ბუის ხმა იყო, — უპასუხა გერმასმა ახლა, — როცა იქნება მამაჩემმა ხომ უნდა მითხრას ჩემის შთამომავლობის ამბავი, მაშინ წავალ ვიზანტიაში, მაგ ახალს რომში და ვეტყვი იმპერატორს: „მე გხლებივარ აქ, რომ თავი დავდო შენთვის შენთა მხედართაებრ“.

— აი ეხლა შენ მაგით უფრო მომწონხარ! — უთხრა სირონამ.

— თუ ეგ მართალია, — უპასუხა გერმასმა. — დამიმტკიცებნება მომეც, ერთხელ მაინც ბაგით დავაკვდე მაგ შენს ოქროსფერს და ბრწყინვალე თმებსა. შენ მშვენიერი ხარ და ტურფა,

როგორც ყვავილი; მხიარული ხარ და ბრწყინვალე, როგორც ფრინველი და ამასთანავე, შენ ისეთი ჯიქი და გულქვა ხარ, როგორც ეს ჩვენი კლდეები. მე ვილევი ნატვრით, რომ ერთხელ მაინც მელირსოს შენი კოცნა და თუ შენ ნებას არ მომცემ, მე ისე გავხდები, ისე ღონე მიმეხდება, რომ ამ ოთახიდამ გასვლაც არ შემეძლება, არამც თუ საოცრად წასვლა.

— ერთხელ რომ გაკოცნინო, — კასკასებდა სირონა. — ხომ მეორედაც მოგინდება, მერმე მესამედ და ბოლოს ის მოგივა, რომ მე ველარ მომშორდები და ველარც წახვალ აქედამ. არა, არა, ჩემო კარგო! მე და შენ შუა მე უფრო ჩემს გონებაზედ ვარ. ისა ჰსჯობია, შენ ა იმ ოთახში შედი, მე ფანჯარიდამ გადავიხედავ, თუ ქუჩაში არავინ არის, ფანჯრიდამ მშვიდობით გადადი ქუჩაზედ და შენს გზაზედ წადი, გესმის, მე ესე მინდა!

გერმასმა გულით ამოიოხრა და დაემორჩილა. სირონამ ფანჯრიდამ გადიხედა. სწორედ ამ დროს ბიჭები, გარედ ყოფილნი, ეზოში შემოდიოდნენ. ტკბილის სიტყვით ყველანი მოიკითხა და იმათაც სიყვარულით მადლი გადუხადეს. ყველას უყვარდა ეს მშვენიერი ქალი, რადგანაც თავის დღეში არავის არას აწყენინებდა და ყველას უალერსებდა ხოლმე, ვინც უნდა ყოფილიყო.

გერმასმა უეცრად ისკუპა და გადახტა ფანჯრიდამ, მერე ხელში ხელი ჰსტაცა, მიიკრა ცეცხლმოკიდებულს ტუჩებზედ და ზედ დააკვდა, სირონა არ ეურჩა; რაღაც აქამდის უცნობმა სიამოვნებამ შეიპყრა იგი. ამ დროს უეცრად მოისმა ხმა: „ეხლავ, ეხლავო! მე პატარებს დავაძინებო და მოვალო".

როგორც ჯადომ, ისე იმოქმედა მშვენიერს ქალზედ ამ უბრალო სიტყვებმა ღვთისმოშიშის პირით გამოთქმულმა; მშვენიერს ქალზედ-მეთქი, რომელიც გაჩენილი იყო მარტო ბედნიერებისათვის, სიყვარულისათვის, მხიარულებისათვის და რომელიც ამ ჟამად შეწუხებული და თავზარდაცემული იყო უკადრისის ქცევისა გამო.

როცა ქმარმა კარები დაუკეტა და თან წაიყვანა მისი გოგოც კი, სირონა ჯერ გარისხდა, ტიროდა, გულში ცხარობდა, ჯავრი უნდა ამოვიყაროო, მერე კი თან-თან დაუამდა გული,

მიჯდა ფანჯარასთან და დაიწყო ფიქრი თავის მშვენიერს სამშობლოზედ, თავის შორ-მყოფთ და-ძმებზედ და ზეთისხილის ჩრდილიანს ჭალებზედა. აი სწორედ მაშინ მოესწრო გერმასიცა.

დიდი ხანია იცოდა, რომ გერმასს ძალიან მოეწონა და თვითონ სირონასაც იამა ეს ამბავი, რადგანაც ყმაწვილი კაცი ამასაც ესიამოვნებოდა. უფრო ის მოსწონდა ამ ყმაწვილ კაცში, რომ ამის წინ მორცხობდა. ამასთანაც სირონამ იცოდა, რომ ეს მეუდაბნოე ცხვრის ტყაპუჭში — დიდის გვარის შთამომაელობის ყმაწვილი კაცია. როგორ არ უნდა შეჰსცოდებოდა ვისმე ეს უბედური ჭაბუკი, რომელიც გულქვა მამის მოწყალებით ჰღუპავდა აქ უდაბნოში თავის უკეთესს სიყმაწვილის დღეთა!

ქალის გული იმისკენ უფრო მიიწევს ხოლმე, რომელიც გულმტკივნეულობას გაუღვიძებს. იქნება ეგ იმის გამო მოხდება ხოლმე, რომ ამგვარს შემთხვევაში ქალი თავის თავს უფრო ძლიერადა ჰგრძნობს, ვიდრე მას, ვინც ეცოდება, და იქნება იმის გამოც, რომ ტანჯული კაცი თავისის ტანჯვით საზღოს აძლევს უკეთესს თვისებას ქალისას, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ სულგრძელებით მიეშველოს მოყვასსა. ქალის გული უფრო ჩჩვილია, ვიდრე ჩვენი. კაცის გულში სიყვარულს განქრობა მოელის, როცა გულმტკივნეულობაზედ მიდგება ხოლმე საქმე.

ხოლო ქალის გული გასაშლელი კოკორია, რომელსაც აღტაცება, როგორც სხივი მზისა, გაშლის ხოლმე ყვავილად და თვით გულმტკივნეულობა კი სხივია, ქალის გულიდამ ამომავალი. სირონას კი არც აღტაცებით მოსვლია, არც გულმტკივნეულობით, რომ იმ ღამეს გერმასი თავისთან იხმო.

იგი იყო ისე მარტოდმარტო, ისე მოწყენილად, რომ ვინც უნდა ყოფილიყო ყველას სიხარულით მიიწვევდა, ოღონდ კი იმედი ჰქონოდა, რომ ამ ჩემს შეურაცხყოფაში ნუგეშის სიტყვას გულით მეტყვისო. ამ დროს მოვიდა ჭაბუკი მეუდაბნოეც, რომელიც სირონას წინაშე ივიწყებდა ხოლმე თავს, ქვეყანას და ყველაფერს თვის გარეშემო, რომლის ყოველი მოძრაობა, თვალის დახამხამებაც კი ამტკიცებდა, რომ იგი თაყვანებით ექცევა. ახლა იმისი ამოხტომა ფანჯარაში, იმისი მხურვალე ტრფი-

ალება! სიყვარულია, სიყვარულიო, ამბობდა თავის გულში სირონა. სისხლი თავში აუვარდა და როცა გერმასმა ხელზედ კოცნა დაუწყო, სირონამ ვეღარ შეჰსძლო ურჩობა, ვიდრე დოროტეას ხმამ არ მოაგონა დარბაისელი დედაკაცი, მისი შვილები და ამასთანავე თავისი საკუთარი დაშორებულნი დები და ძმები.

ამ წმინდა არსებათა მოგონებამ ისე განწმინდა ჰისი ფიქრი და გული, როგორც წმინდა ნაკადულმა. „ესენი რომ არა მყოლოდა, რა მეშველებოდა! — გაიფიქრა სირონამ. — ან ღირს კი ეს ახმახი, შეტრფიალებული ბავშვი, რომელიც პოლიკარპთან სწორედ ქუჩის ბიჭსა ჰგავს, რომ იმის გულისათვის ამათ პირზედ თამამად ვეღარ შევხედო!“ გაიფიქრა ეს და ოავმოწონებით ხელი ჰკრა გერმასს, რომელმაც თმაზედ კოცნის სურვილი გაუბედა და უბძანა, თავი რიგიანად დაიჭიროს და დაეთხოვოს მის ხელს.

ეს უთხრა დაწყნარებით, მაგრამ ისე ფხიანად, რომ გერმასი, ისეც ჩვეული მორჩილებას, დაემორჩილა ხმაამოუღებლივ და გავიდა მეორე ოთახში. იქ კანდელი ენთო და კუთხეში ეწყო ტანისამოსი — ჩაჩქანი, კვერთხი ცენტურიონისა და სხვა იარაღი, რომელიც სალოცავად წასულს ფებიცის შემოესხნა და აქ დაეწყო და მის მაგიერად მორთულიყო სხვა ტანისამოსით, რომელიც მის ხარისხს კერპთ-მსახურობისას შეეფერებოდა.

კანდელის სინათლემ მიიზიდა სირონაცა. როცა თვალწინ დაუდგა გერმასს მთელის თავის მშვენიერებითა. ჭაბუკის გული განაძლიერა ფეთქვა და გერმასმა უფრო მომეტებულის კადნიერებით გაიწოდა ორივე ხელი, რომ სირონა მიიზიდოს. ხოლო სირონა გამოუსხლტა ხელიდამ, შემოურბინა სტოლს და სტოლს უკან გაჩერდა და ამ სახით სტოლი წინ მოიქცია თითქო ფარდათ აიფარაო. მერე აქედამ დაუწყო, როგორც დედამ ტკბილის სიტყვით, ყვედრება, რომ ასე კადნიერად, ურიგოდ და უზომოდ იქცევიო.

ქალის გულის მცოდნეს სიცილი წასკდებოდა ამ სიტყვებზედ, იმ ბაგეთაგან ნათქვამზედ, მერე იმისთა დროს; ხოლო გერმასმა სირცხვილით თავი ძირს ჩაღუნა და პირგამშრალმა

ხმა ველარ ამოიღო. სირონა უეცრად გადასხვაფერდა. თავი მოჰსწონდა თავისის კეთილმოქმედების გამო და იმ ძღვევის გამო, რომელიც თავისთავზედ გამოიჩინა. მოჰსწონდა რა ეს თავისი საკუთარი ღირსება, მოისურვა, რომ გერმასთაც იგრძნოს მის თავმოწონების მიზეზი და გაიკვიროს.

მოუყვა ლაპარაკს მასზედ, რამდენს ნაკლებულობას და ტანჯვას ითმენს აქ სოფელში; მერე ჩამოუგდო სიტყვა უცოდველობაზედ, დედაკაცის მოვალეობაზედ და მამაკაცთა ურცხვობაზედ და გულქვაობაზედ.

— გერმასი, — ამბობდა თავისთავად. — სხვაზედ უკეთესი არაფრით არ არის. და რადგანაც მე ყოველთვის ალერსით ვექცეოდი, რაღაც იმედებით აივსო გული და სხვა თვალით დამიწყო ყურება. ძალიან ჰსცდება კი, ეზოში ხალხის ფეხი რომ არ ირეოდეს, დიდი ხანია სახლიდამაც გავაბძანებდიო.

კარგა ხანია რაც გერმასი ყურს ნახევრობამდინაც არ უგდებდა სირონასა. მისი გულისყური მიიზიდა ფებიცის იარაღმა და მის წადილებს სულ სხვა ახალი მიმართულება მიჰსცა. უნებლიედ ხელი ჩაჩქანისაკენ გაიწოდა და გააწყვეტინა სიტყვა სირონას ამ კითხვით:

— შეიძლება ამ ტანისამოსით და იარაღით ვოვირთვა?

ამ სიტყვამ სიცილი მოჰგვარა სირონას, გაიცინა და ახლა სულ სხვა კილოთი უთხრა:

— რატომ, რატომ! ჯარისკაცად ყოფნა გინდა? რა რიგად მოგიხდება! გაიძერ ეგ ჭუჭყიანი ტყაპუჭი და ვნახოთ, როგორი გამოჩნდება მწირი ბერი ცენტურიონის ტანისამოსში.

გერმასს სიტყვის განმეორება აღარ მოანდომა. მოჰყვა მორთვას, სირონა შველოდა. სირონას ამგვარი ამბები ძალიან უყვარდა.

რა წამსაც გერმასი მის წინ დადგა ჩაჩქანით თავზედ, სირონას ძალიან უნდოდა, რომ თავისის ხელით მოერთვა; გულმოდგინებით დაუწყო კაბის სწორება, ბალთების შეკვრა, ხმალი შემოარტყა და როგორც ბავშვი გულუბრყვილოდ მიეცა ამ შექცევასა. თვითონ გერმასმა კი არ იცოდა, როგორ ჩაეცვა უჩვევი ტანისამოსი. ხან ისე უხერხოდ ექცეოდა ტანისამოსს, რომ სირონა გულით ხარხარებდა. როცა დააპირებდა, რომ ხელი რო-

გორმე მოჰკიდოს სირონას ხელსა, — და ამას ხშირად ჰბედავდა, სირონა ხელში კარგა ღონივრად ჰსცემდა და ზოგჯერ გაუჯავრდებოდა კიდეც ხოლმე.

მორცხობა სრულად დაეკარგა გერმასს ამ სასიამოვნო შექცევაში. მოჰყვა ლაპარაკს, რომ მომწყინდაო ამ უდაბნოში ყოფნაო, რომ თითონ პეტრემ მირჩიაო, წადი და თავი ჰსცადე ქვეყნიერობაშიო. ბოლოს გაუმჟღავნა, რომ მამაჩემი მორჩება თუ არაო, ჯარში შევალ და სახელს ვიშოვნიო ჩემის ვაჟკაცობითაო.

სირონაც კვერსა ჰსცემდა, უწონებდა განზრახვას და ახალისებდა. მერე დაუწყო დაცინება, რატომ ეგრე ცომივითა დგეხარო, აი როგორ უნდა იყურებოდეს მხედარი და თითონ გამოიჭიმა და მხედრის სანახაობა მიიღო. სირონას კასკასს ბოლო აღარ ჰქონდა, როცა ხედავდა, რა რიგის გულმოდგინებით გერმასი ცდილობდა სირონასათვის მიებაძნა.

ამ შექცევაში ბევრმა საათმა გაირბინა. გერმასს ძალიან მოჰსწონდა თავი თავის ახალ ტანისამოსში, უხაროდა, რომ სირონასთან არის და ფიქრობდა მასზედ, თუ თავს როგორ გამოიჩენს ომებში. სირონაც მხიარულად იყო; ასე რომ მირიამის ხმამაც, რომელიც გერმასმა ბუის ხმად მიიღო, მარტო ოდნავ შეუფერხა მხიარულება.

კარგა ხანი გავიდა ამ შექცევაში; ასე რომ პეტრეს მსახურებს დიდი ხანია, რაც ეძინათ კიდეც. ბოლოს სირონამ უთხრა გერმასს, რომ გაიხადოს სხვის ტანისამოსი და წავიდეს. გერმასი რომ ტანისამოსს იხდიდა, სირონა ეუბნებოდა: ეზოზე ნუღარ გაიელი, შენ უნდა ფანჯრიდამ გადახვიდე. ვიღაცა მოდის, მგონი, ქუჩაში. უნდა მოიცადო, მინამ გაივლიან.

მერე მობრუნდა და რომ დაინახა, რომ გერმასი ცდილობს ბალთები გაიხსნას და ვერ მოუხერხებია, წაჰსკდა სიცილი; მაგრამ ღიმილი მალე შეუშრა ტუჩებზედ, ალაყაფის კარები დიდის ჭრიალით გაიღო, მისმა გოშიამ და სენატორის ძაღლებმა ყეფა დაიწყეს და მოესმა ხმა თავის ქმრისა, რომელიც ძაღლებს უყვავებდა.

— ღვთის გულისათვის წადი, წადი აქედამ! თრთოლით შეჰყვირა გერმასს და საოცარის გულის სიმაგრით მივარდა, გააქ-

რო სანთელი და გერმასს ხელი ჰკრა და ფანჯარაზედ მიაგღო. გერმასი უმალ გადაფრინდა ფანჯრიდამ ქუჩაში და გამალებული გაიქცა ნიშისაკენ, უკან დაედევნენ ყეფით ძაღლები, ეზოებიდამ გამოცვივნულები.

ნახევარი გზაც არ გაერბინა, რომ დაინახა კაცის სახე, მის პირდაპირ მომავალი. მაშინვე ერთის რაღაცა სახლის ჩრდილს შეეფარა, მაგრამ კაცმა ფეხი აიჩქარა და პირდაპირ მისკენ გამოჰსწია. მაშინ იშვირა ფეხი და გაიქცა, ხოლო ის კი მაინც ფეხდაფეხ მიზდევდა, მინამ გერმასი არ გავიდა სოფელ გარედ და არ შეუდგა მთის ბილიკსა. გერმასი ჰგრძნობდა, რომ მდევარზედ ჩქარა მირბის და როცა ერთს კლდის ქვას მიადგა და მასზედ გადახტომა დააპირა, უკანიდამ ვიღაცამ დაუძახა და სახელი უხსენა. გერმასი შედგა, რადგანაც ხმა მღევარისა იცნო. ის იყო გულკეთილის პავლეს ხმა.

— შენა ხარ! — უთხრა ალექსანდრიელმა ქშენით დაღალულობისაგან. — შენ ჩემზედ სწრაფი ჰყოფილხარ. ხანი და ჟამი ტყვიით უმსებს ადამიანს ფეხებსა; გარნა იცი შენ, რა შეასხამს ადამიანს სუბუქს ფრთებს? აი ეს-ეს არის, რაც შენ ეგ უნდა შეგეტყო. მე ვეუბნები შენს უწმინდურს სინიდისზედ, რომელსაც ეხლა ძაღლების ყეფა ხმამაღლა ამხელს.

— დეე იყეფონ! — უპასუხა გულმოსულობით გერმასმა და ამაოდ იმეცადინა ხელიდამ გამოსხლტოდა პავლეს, რომელსაც მაგრად ჩაეჭიდნა ხელი და არ უშვებდა. — მე ცუდი არა მიქნია რა!

— ნუ ინდომებ ცოლსა მოყვასისა შენისასაო, — გააწყვეტინა სიტყვა პავლემ დადინჯებულის და დარიგების ხმითა. — შენ ახლდი მშვენიერს ცოლს ცენტურიონისას და თქვენი ერთად ყოფნა უეცარმა შემთხვევამ შეჰსწყვიტა. — სად არის შენი ცხერის ტყაპუჭი?

გერმასმა გაფითრებით წაიღლო ხელი მხრებზედ, მერე დაიძახა და შემოიკრა თავში ხელი:

— ოჰ, მოწყალეო ღმერთო, იქ დამრჩენია! ეხლა ის ცოფიანი ნახავს და უყურე მაშინ.

— შენ თვითონ კი არ უნახვიხარ? — ჰკითხა პავლემ.

— არა, ვერა მნახა, ვერ! — ამოიკვნესა გერმასმა. — საქმე ტყაპუჭია, ტყაპუჭი!...

— მართალი ხარ, მართალი, — ეუბნებოდა პავლე. — თუმცა ამით ცოდვა არ შეგისუბუქდება, მაგრამ მაინც კიდევ მოვახერხებთ რასმეს. შენ მარტო ეს იფიქრე, რა მოუვიდოდა მამაშენს, ეგ ამბავი რომ შეეტყო, ხომ მაგის შეტყობა და იმის სიკვდილი ერთი იქნებოდა.

— სირონაა შესაბრალისი, სირონა! — კვნესით დაიძახა გერმასმა.

— სირონას საქმე ჩემზედ მოაგდე ,— უთხრა პავლემ. — მე ვიცი და იმან. აჰა, ჩემი ტყავი ჩაიცვი. არ გინდა თუ? აბა რა? ვისაც არა ჰსცხვენიან შებილწოს ქორწინების კავშირი, იმისათვის აღარაფერია მამის მკვლელობა. აჰა, ჩაიცვი-მეთქი. აი აქ მხარზედ აქვს შესაკრავი. შენ ეგ დაგჭირდება, რადგანაც ამ ადგილებს დღესა და ხვალ უნდა გაეცალო. შენ ხომ მაინც გინდოდა ქვეყნად ყოფნა და აი ეხლა ვნახავთ, როგორ გამოიჩენ თავს, შენს ნებაზედ რომ იქნები. ყველაზედ უწინარეს შენ რაიტში უნდა წახვიდე; იქ მოკითხვა მოახსენე ღირსეულს მამას ნიკონს ჩემ მაგიერ და უთხარი, რომ აქ უდაბნოში მინდა დარჩენა, რადგანაც დიდის ლოცვის დროს ეკკლესიაში ზეგარდამოთ შთამეგონა, რომ მე ღირსი არა ვარ იმ წინამძღვარობის მაღალის ხარისხისა, რომლისათვისაც მე მიწვევდნენ, მას მერმედ შენ ჩაჯდები გემში და გახვალ ეგვიპტის ზღვის-პირს, საცა ეხლა გამოჩენილან სამტროდ ბლემიელების ჯარი. შენ უნდა იორონინო ზღვის პირებზედ და თვალყური ადევნო იმ ჯარსა. რა წამსაც ის მხეცი ხალხი დააპირებს ჩვენზედ დაცემას, შენ მაშინვე უნდა შეატყობინო მთის ყარაულებს. იმოდენა გამბედაობა და სიფთხილე გაქვს კი, რომ ყველა ეს როგორც რიგია შეასრულო? ჰო თუ არა? ჰოო? მაშ კარგი. მე შენგან მაგის თქმას მოველოდი. მაშ წადი, ღმერთი იყოს შენი შემწე! მამის შენისა ნუ გეფიქრება, ეგ ჩემი კისერი იყოს, მისი კურთხევა და კურთხევა დედის შენისა იყოს შენთან, თუ გულწრფელად მოიანიებ შენს ცოდვას და აღასრულებ მას, რაც ეხლა დაგავალე.

— ჩემს კაცობას დაგიმტკიცებო! — დაიძახა გერმასმა და თვალები გაუბრწყინდა. — შენს მღვიმეში ჩემი მშვილდისარია, თან

გამატანე... და მერე ნახავთ, ღირს კაცს მიანდეთ ეგ საქმე თუ არა. მამაჩემი მომიკითხე და ერთხელ კიდევ მომეცი ნება, ხელი მეგობრულად ჩამოგართვა.

პავლემ წაავლო ხელი ჭაბუკის მარჯვენა ხელს, მიიზიდა თავისკენ და მამობრივის ალერსით შუბლზედ აკოცა; მერე სთქვა:

ჩემს მღვიმეში, მწვანე ქვის ქვეშ, კერასთან შენ ნახავ შვიდს ოქროს, სამი გზის ხარჯად წაიღე; მოგინდება, სხვა არა იყოს რა, გემში მისაცემად მაინც. ეხლა კი გზა მშვიდობისა, გაჰსწი!... ეცადე, თავის დროზედ რაიტს მიხვიდე.

აჩქარებით აიარა გერმასმა მთა და თავს იწონებდა, რომ ამისთანა მძიმე საქმე მიანდეს. მოსახიბვლელნი სურათნი სახელოვანის საქმეებისა, რომელთ ჩადენასაც იგი აპირებდა, წარმოუდგნენ თვალწინ და სრულიად ჩრდილში კადააყენეს ნათელი სახე მშვენიერის სირონასი; მით უფრო უმეტეს, რომ იგი კაი კაცის მფარველობის ქვეშ ეგულებოდა, რადგანაც პავლემ იკისრა მისი საქმე. გერმასს ძალიან ჰსწყამდა გამოცდილება, კეთილგონიერება და უზომო გულკეთილობა პავლესი.

პავლემ ცოტა ხანს თვალი ააღევნა მიმავალს გერმასს, მოკლე ლოცვა ჰსთქვა გერმასისათვის და წავიდა მინდორ-მინდორ.

შუაღამე დიდი ხანია გადასული იყო. უფრო და უფრო აცივდა იმის კვალობაზედ, რამოდენაზედაც მთვარე ძირს ჩადიოდა. გერმასს რომ თავისი ტყავი მიჰსცა, თვითონ თხელის ტანისამოსითღა დარჩა. მაინც კიდევ ფეხი არ აუჩქარა, ნელა მიდიოდა. ხშირად შეჩერდებოდა ხოლმე და რაღასაც ლუღლუღებდა თავისთავად.

მისი ფიქრი ამ ჟამად მარტო გერმასი და სირონა იყო. ამათმა საქმემ თავისი საკუთარი ყმაწვილკაცობა მოაგონა. გაახსენდა ის ამბავი, რომ შაგვრემან აზოსი და ქერათმიან სიმაიდის ფანჯრებ ქვეშ დადიოდა და ოხრავდა ხოლმე.

— ბავშვია, ყმაწვილია, — ამბობდა გულში. — ან ვინ მოიფიქრებდა მაგისაგან ამ ყოფას? ამბობენ, რომ ქალი მშვენიერიაო, თვითონ გერმასი... მე თვითონ გამაოცა მისმა ტანადობამ, მოყვანილობამ, როცა დისკოს ვისროდით. მერე რა თვა-

ლები აქვს!.. ჰო, თვალები!... მაგდალინას თვალებს რა რიგად მიუგავს! გალილეელს რომ მოესწრო ცოლთან, შიგ გულში ჩაჰსცემდა ხანჯალს და სააქაოს მსაჯულნი ამისათვის სასჯელსაც არ დაუნიშნავდნენ. მამა იქნებოდა შესაბრალისი, მამა. საწყალს ჰგონია, რომ მის საყვარელს შვილს წუთის-სოფელი და მისნი მაცდურებანი ამ უდაბნოში ვერ ერჩიან. ახლა რა გამოდის? მე ყოველთვის ასე მეგონა, რომ ეს ნაყოფი ისე გახმება აქ დედამიწაზედ, რომ თავის დღეში ვერ მიახწევს ხის კენწეროსა, საცა უფრო მოიწევა ხოლმე ხილი. მაგრამ აი გამოურბინა ფრენით ჩიტმა, მოჰსწყვიტა ნაყოფი, წაიღო თავის ბუდეში და სწორედ კენწეროზედ კი მოაქცია. ვის შეუძლიან წინადვე დახაზოს სხვის გზა და ჰსთქვას: ეს კაცი ხვალეც ასეთი იქნება და არა სხვა.

— ჩვენ სულელნი! უდაბნოში წუთის-სოფლის დავიწყებას ვეძიებთ. წუთის-სოფელს ვემალებით და წუთის-სოფელი კი კვალდაკვალ უკან მოგვდევს. სად არის იმისთანა მაკრატელი, რომ ჩვენი ჩრდილი მოვკვეცოთ და ჩვენს თავს ?ოვაშოროთ; სად არის იმისთანა ლოცვა, რომ ჩვენ, ხორცისაგან ნაშენთ, ყოველივე ხორციელი მიდრეკილება მოვიკლათ? ჰოი მაცხოვარო ჩვენო! მხოლოდ შენ ჰქმენ ეგ, განმანათლე მეც გლახაკი გლახაკთა შორის!

XI

როცა გერმასი გადმოხტა ცენტურიონის სახლის ფანჯრიდამ, მას მერ?ედ ორიოდე წუთმაც ძლივ გაიარა, რომ ფებიცი შევიდა თავის საწოლს ოთახში. სირონას მოესწრო და ქვეშსაგებში ჩაწოლილიყო და შიშით შეპყრობილს პირი კედლისაკენ მიექცია. შეუტყვია ფებიცის, რომ აქ უცხო კაცი იყო თუ არაო? — ფიქრობდა სირონა. — ნეტა ვინ გაგვცაო და ვინ მოიყვანა ფებიციო?

ოთახში ბნელოდა, მაგრამ მაინც სირონას თვალები დაეხუჭნა და თავი მოიმძინარა. გული ისე ძლიერ უცემდა, რომ ეშინოდა გულისცემა არ შემიტყოსო ფებიციმ, რომელიც ნელ-ნელა

ფეხ-აკრეფით მოდიოდა სირონასთან. სირონამ ნახა, რომ ფებიციმ ამ ოთახში აქეთ-იქით იტრიალა და ბოლოს გავიდა სამზვარეულოში, რომელიც იქავ საწოლს ოთახთან იყო.

ამის შემდეგ ბევრი ხანი არ გასულა, რომ სირონას თვალებმა ნათელი იგრძნეს. ფებიცის აენთო სამზვარეულოში კანდელი და კანდლით ხელში ათვალიერებდა ორივე ოთახს. ჯერ სირონასთვის ხმაც არ გაეცა და არც ერთი სიტყვა არ წარმოეთქვა. ეხლა ფებიცი დიდს ოთახში შევიდა და უეცრად მოჰყვა ხარხარს; ისე ხმამაღლა და დაცინებით ხარხარებდა, რომ სირონა მოიკუნტა და საბანი თავზედ გადიფარა. სირონამ იგრძნო, რომ ხელ-ფეხი უცივდება.

ხელახლად განათდა სირონას ოთახი და კანდლის სინათლე თანდათან უახლოვდებოდა სირონას. ფებიციმ თავისი ბრიყვი ხელი გაიქნივა და დაჰკრა თავის ცოლს თავში. სირონამ მაშინვე გადიგდო საბანი და ქვეშაგებიდამ წამოხტა.

ფებიცი ჯერ კიდევ ხმას არ იღებდა; მაგრამ რაც სირონამ თავისის თვალით მაშინ დაინახა, ისიც სამყოფი იყო, რომ ყოველივე იმედი და ნუგეში დაჰკარგოდა. თვალები აფთარსავით ანთებოდა, სახე, ისეც უგემური, შეშლოდა გაბოროტებისაგან და შუბლზედ უფრო თვალსაჩინოდ ეტყობოდა დაღსავით დასმული ნიშანი მიტრისა. მარჯვენა ხელში კანდელი ეჭირა და მარცხენაში — ტყაპუჭი გერმასისა.

როცა მან თავისი უძრავი თვალი სირონას თვალს გაუსწორა, აიღო გერმასის ტყაპუჭი და თავის ცოლს ზედ ცხვირთან მიუტანა. მერე გააფთრებით იქით გაჰსტყორცნა ტყაპუჭი და ხრინწიანის ხმით ჰკითხა: ეს რას ნიშნავსო?

სირონა ხმას არა ჰსცემდა, ფებიცი მივიდა სირონას ქვეშაგებთან, იქ წყლით სავსე იღგა მშვენიერი ლიტრა, რომელიც პოლიკარპს მოეტანა ალექსანდრიიდამ და ეჩუქებინა სირონასთვის; ფებიციმ დაავლო ამ ლიტრას ხელი და დააბალა ქვეყნიატაკზედ. ლიტრა დაიმსხვრა და მისი ნატეხები გაიფანტა.

სირონამ შეჰკივლა. პატარა გოშია შეხტა ქვეშაკაებზედ და ფებიცის დაუწყო ყეფა. ფებიციმ საწყალს პირუტყვს ჩააცლო ხელი საყელურში და ისე შორს გაჰსტყორცნა, რომ ძაღლმა საცო-

დავად დაიწყო კნავილი. ჯერ გათხოვილიც არ იყო, რომ სირონას ეგ ძაღლი ჰყვანდა. როცა რომში წამოვიდა, ის ძაღლი თან მოჰყვა და მერე რომიდამ აქ წამოიყვანა. სირონა და ძაღლი ძალიან მიეჩვივნენ ერთმანეთს და სირონას ძალიანაც უყვარდა. იამბას ყველაზედ მეტად ის უხაროდა ხოლმე, როცა ეს ყმაწვილი ქალი ეთამაშებოდა და ეალერსებოდა. სირონა ხშირად, ძალიან ხშირად მარტოდ რჩებოდა ხოლმე, მაგრამ ეს პატარა ძაღლი კი არასდროს არ შორდებოდა. იამბა მოაგონებდა ხოლმე საყვარელს სამშობლოს, საყვარელს დებს, რომელთ ამბავი აი მთელი წელიწადია, რაც აღარ მოსვლოდა. იამბა ყოველთვის თანაუგრძნობდა, როცა სევდა მოაწვებოდა გულზედ მის ლამაზს ქალბატონს და ნაღვლიანად მოუყვებოდა ხელის ლოკვას, როცა მის ქალბატონს სამშობლოის მოგონება თვალში ცრემლს მოჰგვრიდა ხოლმე. იმ მარტოობაში და უქმობაში, რომელშიაც იმყოფებოდა სირონა, ის ძაღლი დიდი, ძალიან დიდი რამ იყო სირონასათვის. გული მოუკვდა, როცა სირონამ დაინახა, რომ იმ საწყალმა პირუტყვმა საცოდავის კნავილით აითრია ნატკენი ფეხი და მისკენ გაჰსწია. ჯავრზედ მოსულს სრულად დაეკარგა გულიდამ შიში, წამოვარდა ქვეშაგებიდამ, აიყვანა ხელში ძაღლი და ჰსთქვა გაბედვით და უშიშრად:

— აღარ გაბედო ამის ხელის ხლება, გესმის თუ არა!... მე ეს ამიკრძალავს შენთვის!...

— მე ხვალვე წყალში დავახჩობ, — უპასუხა ფებიციმ გულდიწყად, მაგრამ ბოროტის ტუჩის ბრეცითა. — ჩემს სახლში ამთვენი ორფეხი კუროები დადიან, რომ არავითარს საბუთს არა ვხედავ ამ ოთხფეხსაც შენს ალერსს უზიარებდე... ეს ტყაპუჭი როდის აქეთია, რაც აქ არის?

სირონამ არ აღირსა ამაზედ პასუხი და გულამოჯდომით შეჰსძახა:

— შენს ღმერთს გაფიცებ... თუ შენ იამბას დაუშავებ რასმეს, შენ მე აქ ველარ მინახულებ.

— მაშ ეგრეა საქმე! — დაიძახა ცენტურიონმა. — საით აპირობ წაბძანებას? უდაბნო დიდია, იქ ბევრი ადგილია ხორცის სალპობად და თეთრის ძვლების საყრელად.... მერე რა რიგად

ეწყინებათ ეგ ამბავი შენს კუროებს! არა, ჩემო ბატონო! მე იმათ გულისათვის მაინც, რომ სხვა არა იყოს რა ვიდრე ძაღლს დავახჩობდე, ჯერ ძაღლის ქალბატონი უნდა დაკეტილში დავამწყვდიო.

— ნეტავი არ მინდა, ერთი ხელი მახლო! — დაიძახა სირონამ გულზედ მოსულმა და ფანჯარაზედ შეხტა: — აბა ერთი თითი დამაწე და მე ხალხს დავუძახებ საშველად; დოროტეა და მისი მეუღლე მომეშველებიან და დამიხსნიან შენის ხელისაგან.

— არა მგონია, — უთხრა მკვახედ ფებიციმ. — მე ვიცი, შენ ძალიან გინდა ერთ ჭერს ქვეშ იყო იმ სალახანა ბიჭთან, რომელიც შენ გიფეშქაშებს ხოლმე ლამაზს ლიტრებს და ფანჯრებიდამ ვარდებს გაწვდის, მაგრამ ქვეყანაზედ ჯერ კიდევ არსებობენ კანონები, რომელნიც იფარვენ რომაელს მოქალაქეს სალახანაოაგან. შენ მეტისმეტად ხშირად დაეთრევოდი დოროტეასთან და იმის პატარა ბავშვებთან რომ ცელქობდი, იმისათვის ცელქობდი, რომ ხშირად შეხვედროდი სხვას, უფრო მოზდილს ბავშვს.

— რა რიგ უბრიალებდა თვალი მირიამს, როცა ჩემის ცოლის ღალატი მაცნობა. ან იმისთანა რა უნდა დაეშავებინოს მირიამისათვის სირონას? ქალები ხომ თვალით დაატყვევებენ ხოლმე კაცის გულს, როგორც მონადირე მახეთი ფრინველს. რამდენი თავმომწონე კოხტა ყმაწვილი კაცი დაჰსდევდა ხოლმე რომში! ნუთუ იქავ მღალატობდა მე სირონა? ლეგატი კვინტალეა, რომელიც მარტო ჩემის ცოლის გამო დამიმეგობრდა, სირონამ ახლოც არ გაიტარა, თუმცა ჩემთვის ძალიან სასიამოვნო იყო, რომ სირონა გაარშიყებოდა. მაგრამ ის ჩემზედ ბებერი იყო, სირონას კი ჩვენზედ ახალგაზდები უყვარს. სირონაც ის ყოფილა, რაც სხვანი! ეს ადრევ უნდა მცოდნოდა. ესე ყოფილა ამ წუთის-სოფელში, დღეს შენა ჰსცემ, ხვალ შენ გცემენ.

მწარე ღიმილი მოუვიდა ტუჩებზედ ცენტურიონს. ძალე გაუქრა ღიმილი და მის მაგიერ მძიმე და შავი ფიქრები ძოაწვნენ გულზედ. ვერაფერი სურათები გამოეხატა გუნებაში. მას მოაგონდა თავისი კეთილისმყოფელი უფროსი ტრიბუნი სერვიონი. რომლის ლამაზი ცოლიც შეაცდინა თვითონ ფებიციმ. მოატყუა, დაანებებინა თავი ქმარსა და შვილს და გააქცია. ფებიცი

შეიპყრო უგუნურმა ფიქრმა, ვითომ თვითონ ტრიბუნი სერვიონია და იმავე დროს ფებიცადღეა დარჩომილი. მთელი სიმწარე, მთელი ტანჯვა, რაც მისმა მოტყუებულმა კეთილისმყოფელმა გამოიარა, როცა მოჰსტაცეს ცოლი, მისი ლამაზი გლიცერა, ეხლა ფებიციმ თავის თავზედ გამოჰსცადა. ერთის მხრით ფიქრობდა თავი გადერჩინა გაბოროტებულის ქმრისაგან, მეორეს მხრით — ჯავრი ამოეყარა თავისის ცოლის შემაცდენელისა. ბოლოს გუნებიდამ დაეკარგა თავისის საკუთარის თავის ხსოვნა. აზრები ისეთნაირად აერივა, რომ ჭკუიდამ შეცდომის ფიქრი ძიეცა. ხმამაღლა ამოიოხრა.

თავის საკუთარმა ხმამ გამოაფხიზლა და გონება დაუბრუნა. ეხლა კი თავისი თავი ფებიცად იცნო და არა სხვა კაცად, მაგრამ მაინც. კიდევ სრულად არ იყო გამოსული ბურანისაგან. მაინც კიდევ ელანდებოდა სახე მშვენიერის გლიცერასი, რომელსაც მან თავი მიანება ალექსანდრიაში მას შემდეგ, რაკი გაფლანგა თავისი უკანასკნელი მინალთუნი და გლიცერას ნივთეულობა.

ამისი უბედური საყვარელი გლიცერა იყო, იგი ბევრსაც ჰსტიროდა და ცოტას იცინოდა ხოლმე მას აქეთ, რაც ქმარს გამოექცა. ფებიცის მისი ჩუმი სამდურავი ელანდებოდა. ამავე დროს მოეჩვენა, რომ სირონა წინ დაუდგა მუქარითა და გაბედა კიდეც პოლიკარპს ხელი დაუქნიოს. ღონემიხდილი, ლანდებით გარემოცული ცენტურიონი გააფთრებული წამოხტა თავისის აღგილიდამ და დაკუმშა მუშტები.

თანდათან გონებაზედ მოვიდა და მაშინ მოაგონდა ის ამბავი, რაც ამ უკანასკნელს საათებში დაემართა. სწრაფად გამოვიდა ბნელის ოთახიდამ გარედ, ცოტა ღვინოთი მოისურიელა თავი, მივიდა ღია ფანჯარასთან და ვარსკვლავებს ცქერა დაუწყო. შუაღამე დიდი ხანია გადასული იყო. ფებიციმ ილოცა თავისი ღმერთი მიტრა, რომლის სამსახურსა ისე გულმოდგინედ ეძლეოდა ხოლმე. ხშირად მთელის კვირის განმავლობაში დღეში რამდენსამე საათს ჩაწვებოდა თოვლში და მერე დიდს მარხულობას მიეცემოდა ხოლმე. ამას ყოველსა იმისათვის იქმოდა ხოლმე, რომ მაღალი ხარისხი „ლომისა“ ღირსებოდა.

სირონას ჰსძულდა უგუნური სარწმუნოება თავისის ქმრისა და მაგით უფრო დაშორდნენ ერთმანეთსა ცოლ-ქმარნი. ფებიცი მტკიცად იდგა თავის რჯულზედ: მას უნდოდა, დაგვიანებულის სინანულით შეენანა თავისი ადრინდელი ცოდვანი. ფებიცი ეეჯერებოდა თავის ღმერთს, იმოდენა ძალა მომანიჭეო, რომ ჩემის ცოლის უჯიათობას ბოლო მოვუღოო და მის შემაცდენელს სამაგიერო გადეუხადოო. ლოცვის შემდეგ შესხნა კედლიდამ ორი მაგარი თოკი, თავმოწონებით ტანში გაიმართა, თითქო თავისის ჯარის წინა დგა და საომრად გულს უკეთებსო, ანუ მოედანზეაო და ხალხთან ლაპარაკს ლამისო და ამ სახით გამოვიდა საწოლიდამ.

მას ფიქრადაც არ მოსვლია ცოლის გაქცევა. რაკი საწოლში ვერა ნახა თავისი ცოლი, დიდს ოთახში შავიდა, იქ ეგულებოდა სირონა; მაგრამ აქაც ვერ იპოვა. ფებიცის ეოცებოდა ეს ამბავი და სირონას გაქცევა ისეთ შეუძლებელ საქმედ მიაჩნდა, რომ გადაწყვეტით უარჰყო.

უსათუოდ ჩემის გაჯავრებისა შეეშინდაო და ან ტახტის ქვეშ ან საქვეშაგებოს უკან დაიმალაო.

„ — პატარა ძაღლი მგონი ეხლა გულზედ ეკვრება, — გაიფიქრა გულში და მოჰყვა სისინს, რადგანაც იამბა ყოველოვის ამის სისინზედ გულზედ მოდიოდა და ყოველთვის ხმამაღლა მოჰყვებოდა ხოლმე ყეფას. მაგრამ სულ ამაო იყო! არსაიდამ ჩუჩურაც არ ისმოდა. მაშინ ფებიცის რაღაც ფიქრი მიეცა; დაჩხრიკა ყოველი კუთხე ოთახებისა, ეძებდა სირონას ამისთანა ადგილებშიც კი, საცა ბავშვიც კი ვერ დაეტევოდა დასამალავად. თოკები ხელიდამ გავარდა და იმ ხელმაც, რომელშიაც კანდელი ეჭირა, კანკალი დაუწყო. მაშინ შეამცნივა, ფანჯრები ღია იყო საწოლს ოთახში. ფანჯრის ახლო სკამი იდგა, რომელზედაც სირონა იჯდა და მთვარეს შესცქეროდა, რაც გერმასი მოვიდა.

— მაშ სწორედ ამ გზით წასულა! — წაიდუდუნა ფებიცემ, — კანდელი ძირს დადგა, ჰკრა ხელი კარს, გამოვარდა გარედ. „შეუძლებელიაო, რომ ამ შუაღამისას სირონა პირდაპირ უდაბნოსაკენ წასულიყოო“, — ფიქრობდა გულში. ხელი ჰკრა ჭიის კარს და ნახა, რომ მაგრად არის დაკეტილი. ძაღლები წამოხტნენ და ყეფას მოჰყვნენ, როცა ფებიცი სენატორის სახლისაკენ წამო-

ვიდა და მოჰყვა კარის რაკუნსა. მას ეგონა, რომ მისი ცოლი აქ სენატორთან მოვიდოდა და ამათს მფარველობას ითხოვდა. ფებიცი ისე გულზედ მოსული იყო, რომ მეტი აღარ იქმნებოდა. იმას გული მოზდიოდა იმაზედ კი არა, რომ ცოლი დავკარგეო, არამედ იმაზედ, რომ პოლიკარპს ჩემი თავზედ ლაფის დასხმა როგორ გადავახდევინოო. როგორ გაბედაო ასეთი შეურაცხყოფა იმპერატორის ცენტურიონისაო! სირონასი კი მაგღენი ღარღი არა ჰქონდა, ან რა იყო მისთვის სირონა?

მას აქეთ რაც სირონამ არ ინდომა არშიყობა თავის ქმრის უფროსისა და უდიერად მოექცა, უფროსი შემოჰწყრა ფებიცის და რომიდამ აქ უდაბნოში გადმოჰკარგა. მას აქეთ ფებიციმ მტრად ჩასახა სირონა და ეგონა, რომ სირონა მარტო იმათ ექცევა კარგად, რომელნიც ფებიცისა ჰსძულდა. ამ უკანასკნელთა შორის ყველაზედ წინ პოლიკარპი იყო ფებიცის თვალში.

ფებიციმ ხელახლად დაარაკუნა კარი პეტრესი. კარი გაუღეს. სანთლით ხელში დახვდა წინ სენატორი გააფთრებულს ცენტურიონსა.

XII

საწყალი პავლე იჯდა სენატორის სახლის კარებთან და სიცივისაგან ძაგძაგებდა, რადგანაც რამოდენადაც თენდებოდა, იმოდენად სიცივე ღამის ჰაერისა მატულობდა, თავისი ტყავი კი მიეცა გერმასისათვის და თვითონ ზედ ჩასაცმელი თბილი რამ არა ჰქონდა რა. ხელში საყდრის გასაღები ეჭირა. საყდრის მნათე შინ ადრე წასულიყო. პავლეს კი უნდოდა მრავალი, მრავალი ელოცნა, ვიდრე მიიღებდა წინამძღვარობის ხარისხსა. ამის გამო მნათესათვის ეთხოვნა, გასაღები საყდრისა მე დამიგდეო და ეკლესიას მე თვითონ დავკეტავო.

— ეს რა უცნაური ღამეა! — ამბობდა თავისთავად პავლე და თავის დაგლეჯილს ტანისამოსს აქეთ-იქიდამ იფარებდა. ეხლა რომ თბილ ოთახშიაც მჯდარვიყავ და ამ მჩვრების მაგიერ ყუის ღრიშაკში ვწოლილვიყავ, მაინც კი ჟრუანტელი დამივლიდა ტანში იმ ღამის-მავნეების დანახვაზედ, რომელნიც ამ ადგილებში

დაეთრევიან. მე ჩემის თვალით ვნახე ღამის-მავნე ქაჯები. აი ამ სოფლიდამ ჩვენთან მთაში ამოდიან ეშმაკნი ქალის სახითა, სისხლს გვიმღვრევენ და ცოდვილს სიზმრებს გვაზმანებენ. ნეტა ხელში რა ეჭირა იმ ქაჯს თეთრ ტანისამოსიანს და გაშლილ თმიანს? იქნება ის ქვა ეჭირა, რომელსაც გულზედ დაგვადებენ ხოლმე, როცა მაჯლაჯუნა დაგვაწვება. მეორე კი, მგონია, მოფრინავდა, თუმცა ფრთები კი ვერ დავუნახე. აი, ამ სახლის გვერდზედ გალლიელი დგას თავისის უნამუსო ცოლითა, რომელმაც აიყოლია ჩვენი საწყალი გერმასი. ნუთუ მართლა იმისთანა მშვენიერი რამ არის? ესეც კია, რა უნდა ესმოდეს ქალის მშვენიერებისა ბავშს, რომელსაც თავისი დღენი კლდეებში გაუტარებია. ვინც კი პირველად მარილიანად შემოხედავს, იგი ეჩვენება მზეთუნახავად. მერე ქალი ქერა არისო, მაშასადამე აშვიათი მტრედი იქმნება ამ უდაბნოის შავგრემანთა შვილთა შორის. ჰსჩანს, გერმასის ტყაპუჭი ჯერ არ დაუნახავს ცენტურიონს, თორემ იქ ამისთანა სიჩუმე და დუმილი არ იქნებოდა. მას აქეთ, რაც აქა ვყარაულობ, ჩემს ყურს მაგდენი არაფერი სმენია. ერთხელ სახედარმა დაიყროყინა, ერთხელ აქლემმა დაიბღავლა, აი ეხლა კი პირველი მამალი ყივის. ადამიანისა კი ერთი სიტყვაც არა მსმენია, ხვრინვაც კი არ გამიგია არც ჩვენის ზორბა სენატორისა, არც მის ჩასუქებულის მეუღლისა. ძნელად საფიქრებელი კია, რომ ისინი ძილში არა ხვრინავდნენ, ეგ სწორედ სასწაული რამ იქნებოდა.

პავლე ფეხზედ წამოდგა, მივიდა ფებიცის საბლის ფანჯარასთან და ყური დაადო ნახევრად ღია ფანჯარას, იქსება გავიგო რამეო, მაგრამ გალლიელის სახლში ჩუჩუნიც არ იყო. ერთის საათის წინად მირიამი იდგა სწორედ ამ ადგილას და ყურს უგდებდა. რაკი სირონა გაჰსცა და დააბეზღა, შორი-ახლო აჰყვა მირიამი ფებიცის და თაელის ახლო ჩაიპარა და სენატორის ეზოში შევიდა. „მე უნდა შევიტყოო", — ამბობდა გულში, — „აქ რა ღონდებაო, გააფთრებული ქმარი რა დღეს დააყენებსო ვერმასსა და სირონასაო". მირიამი გახელებული იყო და ყველა ფერზედ მზად იყო იმის ფიქრი; რომ ცენტურიონი იარაღს იხმარებს ორივეზედ, კიდეც უხაროდა, კიდეც აწუხებდა.

მირიამმა შეამჩნივა სინათლის ზოლი, რომელიც ნახევრად ღია ფანჯრიდამ გამოდიოდა; სულ გააღო ფანჯარა, აცოცდა მაღლა და შიშველი უეხი გაიმაგრა კედელზედ. მაშინ კი ოთახის შიგნით ყველაფერი დაინახა, დაინახა სირონა ქვეშაგებში წამომჯდარი და მის პირდაპირ გალლიელი, მრისხანე და გააფთრებული. სირონას ფეხთა წინ ეგდო ტყაპუჭი გერმასისა. მარჯვენა ხელში ფებიცის ეჭირა კანდელი, რომლის სინათლე მოჰფენოდა მის ფერმკრთალს სახეს და ქვის იატაქს, საცა რაღაც სისხლისფრად ბრწყინავდა სინათლეზედ.

— „სისხლია, სისხლი“, — გაიფიქრა მირიამმა; ჟრუანტელმა გაურბინა ტანში და თვალებზედ ხელი აიფარა. როცა ხელმეორედ გაახილა თვალი, დაინახა მრისხანებით ანთებული პირისახე სირონასი, ქმარზედ მიმართული. მაშ სირონა მრთელია და უვნებელიო; ხოლო გერმასი?

„ეგ გერმასის სისხლია, გერმასისა!“ — ამოიკვნესა მირიამმა და გულმა საშინლად ტკივილი დაუწყო. — ვაიმე, მე დავლვარე მისი სისხლი, მე ვარ მისი მკვლელი!“

მირიამი მაშინვე ჩამოვიდა ძირს და ჭკუაზედ შემცდარსავით გამალებული ვაიქცა ისევ ადრინდელ გზით მთებისაკენ. „მშიერს ვეფხვს პირში მივეცემიო“, — ამბობდა გულმოკლული მირიამი, შიმშილს, წყურვილს და სიცივეს ვირჩევო და ამისთანა საშინელის საქმით სინიდის დამძიმებული კიო თვალით ვერ დავენახვებიო დოროტეას, სენატორს და მორმონასაო.

შეშინებული მირიამი იყო ერთი იმათგანი, რომელიც პავლეს ქაჯი ჰგონებოდა. ყოვლის მომთმენი მეუდაბნოე ხელახლად მოვიდა, ადრინდელ ადგილს დაჯდა და დაიწყო ფიქრი:

— სიცივე კარგა იკბინება. კარგი რამ არის ცხვრის ტყავი, მაგრამ მაცხოვარი ჩვენი უფრო მომეტებულს ტანჯვას ითმენდა. განა მე წუთის-სოფელს იმიტომ არ გამოვეთხოვე, რომ მაცხოვრის გზას დავადგე და მოთმინებითა და წამებითა მოვიპოვო საიქიოს ნეტარება იქ, საცა ანგელოზნი სუფევენ; საჭირო არ არის რაღაც საბრალო ტყაპუჭი პირუტყვისა. რაც შეეხება ჩემს საქციელს, მასში ჩრდილიც არ არის თვით-ანგარებისა. მე ვიტანჯები სხვათათვის. მე აქ ვძაგძაგებ გერმასის გამო, რათა ამით მის მოხუცებულს მამას მწუხარება ავაცდინო. ნეტა ამაზედ

უფრო ცივოდეს! ამას იქით თავის დღეში, დიახ, თავის ღვინო თბილი ტყავი აღარ მიეკარება ჩემს ტანს ამას იქით.

პავლემ ისე რიხიანად დაიქნია თავი, თითქო ენდაო თავისი თავი გაამხნევოსო. მაგრამ მაშინვე წარბი შეეკრა და შეეჭმუხვნა; ფიქრად მოუვიდა, რომ ხელმეორედ მრუდე გზას დაადგა.

— აი ესეთები ვართ ხოლმე ყოველთვის, — ამბობდა თავისთავად. — ერთს ბეწვის ოდენას კეთილს რასმეს ვიქმთ ხოლმე და გული ჩვენი იმოდენის თავმოწონებით და ამპარტავნებით აივსება, რომ ერთის აქლემის საპალნე გამოვა. თუმცა სიცივით კბილი კბილსა ვეღარ მიმხვედრებია, მაგრამ მაინც მე ერთი საბრალო ცოდვილი ვარ და სხვა არაფერი. რა რიგად გასალისდა ჩემი თავმოყვარეობა, როცა მოციქულებმა რაიტიდამ წინამძღვარობის ხარისხზედ მიმიწვიეს! სად გამექცნენ მაშინ მჯელობა და მოსაზრებანი, როცა ჩემმა ოთხმა ცხენმა დოღში პირველად გაიმარჯვა. მე მაშინ ჩემს სიხარულს ხმამაღლა ვაცხადებდი, ვიდრე ეხლა; მაგრამ მაშინ უფრო ნაკლები ამაოთმოყვარეობა მქონდა, ვიდრე ეხლა. ესეთნი არიან ბევრნი ჩვენგანი. უნდათ მაცხოვრის კვალს დაადგნენ ხოლო, და ეტანებიან კი მარტო მის ღიდებას; ხოლო ყოველს მას, რაც მაცხოვარმა ტანჯვა, წამება და შეურაცხყოფა გამოიარა, გზას უქცევენ დიდის სიფრთხილით. ჰოი მაღალო ღმერთო, შენ ხომ მხედავ, რომ მე გულწრფელად ვეძიებ მაგ ტანჯვას, წამებას და შეურაცხყოფას! ხოლო როცა ეკლით დაჩხვლეტითა წამომსკდება ხოლმე სისხლი და სისხლი იგი იმ წამსვე გადამეცვლება ვარდად, განა ჩემი ბრალია? ჩემი ბრალია განა, რომ როცა იმ ვარდს მოვწყვეტ ხოლმე, კვლა სხვანი ამოდიან და მოეფინებიან გზასა ჩემსა შესამკობლად. ეგრე ყოფილა თურმე! ამ ქვეყანაზედ ისე ძნელია მოიპოვოს კაცმა ტანჯვა უსიხარულოდ, როგორც სიხარული უტანჯველად.

ასე ფიქრობდა პავლე და კბილების ძაგა-ძუგი სიცივისაგან უფრო და უფრო ემატებოდა. უცბად ძაღლების ყეფა მოესმა და ფიქრები დაუფთხო. ფებიცი სენატორის ჭიის კარს არახუნებდა. პავლე ფიცხლავ წამოდგა ფეხზედ და მივიდა ჭიის კართან. არც-

ერთი სიტყვა არ გამოჰპარვია, სენატორი და ფებაცი რომ ლაპარაკობდნენ ეზოში.

ფებიცი ეუბნებოდა, მომეცი ჩემი ცოლიო, რომელიც შენც ხახლში გყავს დამალულიო; პეტრე კი ეფიცებოდა, რომ გუშინდელ დილას აქეთ სირონას ჩვენს ეზოში ფეხიც არ შემოუდგამსო. თუმცა მკვახედ და აურზაურად ლაპარაკობდა ფებიცი, მაგრამ პეტრე კი არ აუჩქარდა და გულდინჯად პასუხს უგებდა. ბოლოს უთხრა, რომ წავალ ჩემს ცოლსა ვკითხავო, იქნება მე რომ მეძინა, მაშინ უჩემოდ გაუღო კარი და შემოიყვანაო.

პავლე ხედავდა, რომ გააფთრებული ცენტურიონი წინა და უკან ეზოში ბოტვით დადის და ბოლოს ნახა, შედგა კიდეც, რადგანაც კარებში გამოჩნდა დოროტეა თავისის ჰძრით და მტკიცედ აღიარა, რომ სირონა თვალითაც არ უნახავს და არც იმის ამბავი იცის რამე.

— უფრო კარგი, — წაართვა სიტყვა ფებიციმ. — მაშ თქვენს შვილს პოლიკარპს ხომ ნამდვილად ეცოდინება სირონას ბინა.

— ჩემი შვილი გუშინდელს აქეთ რაიტშია საქმეზედ წასული, — უპასუხა გულნაკლულად პეტრემ. — და დღეს დილაზედ მოველით, უნდა მოვიდეს.

— უნდა ვიფიქროთ, რომ დაპირებულზედ ადრე წამოხულა, — ჰსთქვა ფებიციმ. — ჩვენ რომ ჩვენის ღმერთის დღეობისათვის მზადებაში ვიყავით, ეგ არავისთვის დაფარული არ იყო; არც ჩემი იქ წასვლა იყო საიდუმლო და ხომ იცით, პატრონის სახლიდამ წასვლა ყოველთვის ამხნევებს ქურდსა, ნამეტნავად არშიყსა, რომელსაც ჩვეულებად დაჰსჩემებია თავის სატრფიალოს ფანჯრიდამ ვარდები აწვდიოს. თქვენ, ქრისტიანებო, თავი იმითი მოგაქვსთ, რომ ცოლ-ქმრობა სამღთო და ხელშეუხებელი საიდუმლოება არისო, მაგრამ როგორცა ჰსჩანს, ეგ მარტო თქვენთა თანამორწმუნეთა ცოლ-ქმრობისათვის არის და წარმართის ცოლებთან კი თქვენს შვილებს ნება აქვთ იქეიფონ. ხოლო აქ კაცმა უნდა იკითხოს: ჩარმართი ქმარი ნებას მიჰსცემს თუ არა, რომ მისი პატივი ხელში მჩვრად გაბადონ? მე რაც შემეხება, ამას ვიტყვი, რომ მე ხუმრობის თავი არა მაქვს და პირდაპირ გიცხადებ შენ, რომ იმპერატორის ტანი-

სამოსს, რომელიც მე მაცვია, ჩირქს არავის მოვაცხებინებ. მე უნდა შენი სახლი მოვჩხრიკო და თუ მე აქ ჩემი ნამუსდაკარგული ცოლი შენს შვილთან ერთად ვნახე, იმასაც და თვითონ შენც სამართალში მიგცემთ და ჩემის ცოლის შემაცდენელს ისე მოგეპყრობი, როგორც სამართალი მიმიძღვის.

— ტყუილად გაირჯები, — უპასუხა პეტრემ და ძლივს შეიმაგრა თავი წყენისაგან. — როცა მე ან „ჰოს“ ვამბობ, ან „არას“ — ეგ სამყოფია. ეხლაც გიმეორებ: არა, აქ არც შენი ცოლი გვყავს დამალული, არც ჩემი შვილი. ან მე ან დოროტეას რა ხელი გვაქვს თქვენს ცოლ-ქმრობასთან, ამ სახითვე რა ხელი აქვს ვისმეს, რომ შუაღამისას ჩვენს სახლში, ჩვენს ოჯახში შემოგვიხტეს! ამ კარის დირეზედ ფეხის დადგმა მარტო მას შეუძლიან, ვისაც მე თვითონ ნებას მივცემ, ანუ მარტო მსაჯულს ჩემის ხელმწიფისას, რომელსაც მოვალე ვარ აქ შემოსვლა არ დავუშალო. შენ კი აქ შემოსვლის ნებას არ გაძლევ და გიმეორებ: სირონა ჩვენთან არ არის და შენ კარგს იქმოდი, რომ წახვიდე და სხვაგან მონახო და აქ ტყუილად დრო არა ჰკარგო.

— ჩემთვის შენი რჩევა საჭირო არ არის! — დაუყვირა ცენტურიონმა მკვახედ.

— მეც კი, სწორედ მოგახსენო, — უთხრა პეტრემ. — იმ გუნებაზედ არა ვარ, რომ შენის ცოლ-ქმრობის აჭიკჭიკი საქმე ვასწორო. სირონას შენ უჩვენოდაც დაიბრუნებ, იმიტომ, რომ ცოლის გულის მოგება ყოველთვის უფრო ძნელია, ვიდრე მისი დაჭერა, როცა ქმარს გაექცევა.

— მე შენ გაჩვენებ, ვინცა ვარ! — დაემუქრა ცენტურიონი და თვალი გადაავლო სენატორის მოსამსახურეებს, რომელნიც აქ მოგროვებულიყვნენ და რომელთანაც ამ დროს მივიდა ანტონი — უფროსი შვილი პეტრესი. მე ეხლავ დავუძახებ ჩემს ხალხს, — დაიყვირა ცენტურიონმა. — და თუ თქვენ მაშინაც არ გამომიჩენთ ჩემის ცოლის მომტაცებელს, მთელს სახლს აღგას შემოვარტყამ.

— ერთი საათიც მოითმინე, — უთხრა დოროტეამ და ხელი ჩაავლო ქმარს, რომელიც ძლივს იმაგრებდა თავს; ერთი საათიც და შენ შენის თვალით ნახავ, რომ პოლიკარპი მოვა თავის მამის ცხენითა. ნუთუ მარტო იმ უმანკო ვარდებმა, რომელსაც

პოლიკარპი უწყობდა ხოლმე ფანჯარაზედ სირონას, ეჭვში შეგიყვანეს და დაგაჯერეს, რომ შენის ცოლის მტაცებელი ჩემი შვილია, თუ სხვა რამ საბუთი მიგიძღვის, რომ ჩემს შვილს და ჩვენც ამისთანა სამარცხვინო საქმეს გვწამებ?

ხშირად მოხდება ხოლმე, რომ როცა გააფთრებული მამაკაცნი, როგორც შავი ჭექა-ქუხილის ღრუბელნი მზად არიან ერთმანეთს ეცნენ, მაშინ ერთი სიტყვა გონიერის დედაკაცისა შეაყენებს ხოლმე იმათ და გაჰფანტავს ღრუბლებსა.

ფებიცის სულაც უნდოდა დაჰყოლოდა პოლიკარპის დედის სიტყვას, მაგრამ მისმა კითხვამ კი ჩააფიქრა და მოაგონა, რომ მის ეჭვს ძალიან სუსტი საბუთი ჰქონდა. ამასთანაც მოისაზრა, რომ თუ მართლა სირონა აქ არ არის და სხვაგან სადმე წასულა, ხომ ტყუილად ვიგვიანებო და სირონას კი აქით უფრო მეტი დრო ეძლევაო, თავი სადმე შორს დაიმალოსო.

რამდენსამე წამს ყველა ეს მოიფიქრა და რადგანაც როცა საჭირო იყო, იცოდა თავის დაჭერა, ჰსთქვა მორბილებულის ხმით: „მაშ ვნახოთ, როგორმე ამ საქმეს ეშველება“. მერე არც კი გამოეთხოვა სახლის პატრონებს, მძიმედ მობრუნდა და ნელნელა წავიდა თავის სახლისაკენ. ჯერ კარებთანაც არ მისულიყო, რომ ქუჩიდამ ცხენის თქაფა-თქუფი მოესმა და პეტრემ ხმა მიჰსცა:

— ერთს წუთს მოიცადე. აი, პოლიკარპი მოდის და თვითონ პირისპირ მოგელაპარაკება.

ცენტურიონი შედგა. სენატორმა ანიშნა ბებერს იეტროს, ალაყაფის კარი გააღეო. მხედარი გადმოხტა ცხენიდან, შემოვიდა ეზოში და აქ მდგომებმა პოლიკარპის ნაცვლად ვიღაცა ამალეკიტელი დაინახეს.

— რა ამბავი მოიტანე? — ჰკითხა სენატორმა.

— ბატონმა პოლიკარპმა, შენმა შვილმა, — უპასუხა ჭაღარამორეულმა და მზეპოკიდებულმა მხედარმა, მოკითხვა მოგახსენა შენა და შენს ცოლს და დამაბარა თქვენთან, რომ შუადღისას მოვა აქ რვა კაცით, რომელიც მუშად დაიჭირა რაიტში. ქალბატონს დროტეას ჰსთხოვს, რომ ბინა და საუზმე მოუმზადეთო.

— როდის აქეთია, რაც წამოხვედი? — ჰკითხა სენატორმა.

— მზის ამოსვლამდე კიდევ ორი საათი იქნებოდა.

პეტრეს თითქო გულიდამ ქვა აეხსნაო, ისე თავისუფლად ამოისუნთქა, რადგანაც ეხლა სრულიად დააჯერა გული, რომ მისი შვილი ამ საქმეში უბრალოა. მაგრამ ამით თავი კი არ გაიზვიადა ფებიცის წინაშე. პირიქით, საკუთრად ეხლა შეეცოდა ეს უბედური კაცი. მოუბრუნდა სრულის გულმტკივნეულობით და უთხრა:

— ნეტავი ამ კაცს შენის ცოლის ამბავიც მეეტანა, საღ არის. ამ უდაბნოს მყუდრო ცხოვრებას ვერ შეეჩვიენ, იქნება იმის გამოც გაიქცა, რომ იმისთანა ადგილს დაბინავდეს, საცა მის ახალგაზდას და მშვენიერს არსებას უფრო მეტი სიფართოე ექმნება, ვიდრე ამ მიყრუებულს უდაბნოში.

ფებიცემ უარის საყოფელად ხელი გაიქნივა, თითქო უნდაო თქვას, მე უფრო კარგად ვიცი, რისთვისაც გაიქცაო და დაუმატა: „მე ნიშანს გაჩვენებ, რომელიც იმ ღამურა ფრინველს ჩემს ბუდეში დაუგდია; იქნება იცოდე, ვის ეკუთვნის“. ჰსთქვა და გაჰსწია თავის სახლისაკენ. ამ დროს ალაყაფის კარი გაიღო და შემოვიდა პავლე; თავი დაუკრა სენატორს და ყველას იქ მდგომს და მიაწოდა პეტრემ საყდრის გასაღები. ამ დროს მზეც კარგა ამოვიდა და თავიდამ ფეხამდე გაანათა მეუდაბნოე. პავლეს შერცხვა დროტეასი და აწითლდა, რადგანაც პერანგის ამხანაგი აქა-იქ გამოფლეთილი ჰქონდა და ტიტველა, სწორედ რომ ფალავანური ბარკლები უჩანდა.

პეტრეს დღევანდლამდე კარგის მეტი პავლეზედ არა შეეტყოთ რა, მაგრამ მაინც კიდევ იმისი აქ მოსვლა ამ დროს არ იამა. იმიტომ, რომ რაც ჩვეულების გარედ მოხდებოდა ხოლმე, შლიდა იმ წესს და რიგს, რომელიც, მისის აზრით, ყოველსფერში საჭირო იყო. პავლემ ეგ უსიამოვნობა მალე შეამცნივა სენატორს იმიტომ, რომ სენატორმა ისე ჩამოართვა გასაღები, რომ ხმა არ გაუცია. პავლეს კი უნდოდა, იმისი აზრი შეეტყო და ამიტომაც რაღაც მორცხობით წარმოჰსთქვა: „ჩვენ ჩვეულებად არა გვაქვს ხალხში გამოვიდეთ და ტყავი არ გვესხას, მაგრამ ეხლა ასე ვარ, უტყავოდ, რადგანაც ტყავი დავკარგე“.

ეს სიტყვა ჯერ არც კი გაეთავებინა, რომ ფებიციც მოვიდა გერმანიკოსის ტყავით ხელში. მიუბრუნდა სენატორს და უთხრა: — აი რა ვიპოვე ოთახში, როცა შინ დავბრუნდი.

— აბა როდის გინახავს, რომ პოლიკარპს როდისმე მაგისთანა წამოსასხამი ეტარებინოს? — ჰკითხა დოროტეამ.

— როცა ღმერთნი ადამიანთა ქალებს ეწვევოდნენ, — უპასუხა ცენტურიონმა, — მაშინ სხვის სახეს მიიღებდნენ ხოლმე. განა კოპწია ალექსანდრიელს არშიყს კი დაუშლიდა რამე, რომ მორთულიყო ერთის ვისიმე სულელის მეუდაბნოის ჭუჭყიან ტანისამოსითა? მაინც მე აღვიარებ, რომ შენის შვილის თაობაზედ ვცდებოდი, განა არის ვინმე იმისთანა, რომ არ შემცდარიყოს? ამას ნუ მიწყენ, სენატორო! შენ ჩემზედ მეტს ცხოვრებ ამ ადგილებში და მითხარი, ვის უნდა მოეტანოს ჩემთვის საჩუქრად ეს ახალთახალი ტყაპუჭი რქებთან ერთად?

პეტრემ გასინჯა ტყავი და ჰსთქვა: — ეს მეუდაბნოის ვისმეს ტყავია, ყველას იქ მთაში განდეგილს ამისთანა ტყავი აცვიათ.

— მაშასადამე ჩემს სახლში შემოთრეულა ვინმე იმ უქმად მოწანწალეთაგანი! — დაიყვირა ცენტურიონმა: — მე იმპერატორის მსახური ვარ და ნაბძანები მაქვს, რომ ყოველი, რაც აქაურების ანუ მგზავრების მშვიდობიანობას ამღვრევს, მოესპო. ასე მიწერია ბძანების ქაღალდში, რომელიც რომიდამ გამომატანეს. მე ვუბძანებ, რომ იმ საძაგლებს ყველას თავი ერთად მოუყარონ, როგორც ტყის ნადირებს მოსარეკში. ყველანი ქურდები და მცარცველნი არიან და მაშინ მე ვიცი, როგორ გამოვაჩენინებ დამნაშავეს.

— მაგისათვის იმპერატორი ვერაფერს მადლობას გეტყვის, — უპასუხა პეტრემ. — ისინი სულ ღვთის მოშიშნი ქრისტიანები არიან და ხომ იცი, რომ თვითონც კონსტანტინე...

— კონსტანტინე? — დაცინებით განიმეორა ცენტურიონმა. — იქნება მოინათლოს კიდეც, რადგანაც წყალი არავის არას ავნებს და თუ არ ნდომობს დიდის დიოკლეტიანისაებრ მაგ ხროვის ამოწყვეტას, რომელიც თან დასდევს ხოლმე ვიღაცა მონათლულს თვალთმაქცსა, იმისათვის არ ნდომობს, რომ სახელმწიფო უკაცოდ დარჩებოდა. აბა ეს ფული გასინჯე; ერთს მხარეზედ

ხომ იმპერატორის სახეა, მეორეზედ რაღას ხედავ? თქვენს ნაზარეველს თუ ჩვენს ძველს ღმერთს — დაუსრულებელს უძლეველს მზესა? წყალს, რომელშიაც ხვალ კონსტანტინეს აბანებენ, კონსტანტინეც ხვალ-ზევით დააშრობს და როცა ღრო ხელს მიჰსცემს გამოიყვანს მოედანზედ ისევ ძველს თქვენის ამაოდ მორწმუნოების პირისპირ და ძველნი ღმერთნი ხელს ჰრუმართვენ.

— მინამ ეგ მოხდება, — უთხრა ტკბილად პეტრემ. — ბევრი დრო გაივლის, ჯერ კი კონსტანტინე ქრისტიანების მომხრეა. მე ერთს კარგს გირჩევ, ეგ საქმე ეპისკოპოზს აღაპიტს გარდაეცი.

— იმისათვის ხომ არა, რომ მომართვას თქვენი ქადაგება, რომელიც დედაკაცის საფერიც არ არის, — დაცინებით ჰსთქვა ცენტურიონმა. — ფეხი აულოკეო შენს მტერსაო, ეს უნდა მითხრას განა? უკაცრაოდ. ყველანი ვინც კი აი ზევით, მთაში არიან, სულ ავაზაკები არიან, ამას ხელმეორედ ვამბობ საქეყნოდ და როგორც ავაზაკებს, ისეც მოეპყრობიან იმ ბოროტ სულელებს იმ დრომდე, ვიდრე არ გამოვაჩენ იმას, ვინც მინდა. ღღესვე მივესევი.

— ღღესვე შენს გულისწადილს აისრულებ იმიტომ, რომ ეგ ტყაპუჭი მე მეკუთვნის. ეს სიტყვები ხმამაღლა და თამამად წარმოჰსთქვა პავლემ. ყველამ ამასა და ცენტურიონს შემოხედა.

პეტრესაც და მის მოსამსახურებსაც ხშირად უნახავთ პავლე და ყოველთვის ტყაპუჭი ზედა ჰსცმია და ჰსთქვეს, პავლეს ტყაპუჭი ძალიან ჰგავს იმას, რომელიც ეხლა ფებიცის ხელში ეჭირა.

პავლემ რომ თავისი თავი გაამხილა, ყველას, ვინც კი პავლეს და სირონას იცნობდა, უკვირდათ, მაგრამ მაინც კიდევ ყველამ, თვითონ სენატორმაც კი, დაიჯერა მისი სიტყვები.

მარტო დოროტეამ საეჭვოდ მიიღო და გაიქნივა თავი, არა მგონიაო. თუმცა სენატორის ცოლს ვერა გზით ვერ აეხსნა ყოველივე ის, რაც ესმოდა და ხედავდა, მაგრამ ეს კი ცხადი იყო მისთვის, რომ ეს კაცი სხვის ცოლის მტაცებელს არა ჰგვანდა, და არც ის მშვენიერი ქალი ამის გულისათვის თავის ნამუსს არ დაჰკარგავდა. დოროტეას მაინც და მაინც არა ჰსჯეროდა უნამუ-

სობა სირონასი, რომელიც წრფელის გულით უყვარდა და თუმცა ცუდი კია, მაგრამ დედობრულმა თავმოწონებამ იქამდინ წაიტყუვა, რომ ეს გააფიქრებინა: თუ მართლა ლამაზმა ქალმა ცოდვა რამ მოინდომა, უეჭველია უფრო მის მოხდენილს შვილს პოლიკარპს აირჩევდა და არა ამ ჭუჭყიანს და ბებრუცანა კაცს.

სულ სხვა რიგად უდუღდა გული ცენტურიონს. მას სჯეროდა მეუდაბნოის სიტყვა მით უფრო, რომ რამოდენადაც ცოლის შემაცდენელი უღირსი იქმნებოდა, იმოდენად უფრო დიდად საძრახი იყო სირონა, იმოდენად უფრო შეუნდობელი და შეუწყნარებელი იყო შეცოდება. თვითონ მის თავმოყვარეობისათვისაც ისეთი სამარცხვინო არ იყო ცოლის ღალატი პეტრესა და დოროტეას წინაშე იმიტომ ვითომ, რომ იმის ცოლს უკეთესი კი არ უძებნია, არამედ გარყვნილობის გამო მისცემია პირველს, ვინც კი შეხვედრია, თუნდა ამ ძონძებში გახვეულს მთხოვარასა; უფრო მეწყინებოდაო, — ამბობდა გულში. — რომ ჩემზე უფრო ახალგაზდა, უფრო ლამაზი და უფრო ღირსეული აერჩიაო.

ბევრჯელ ჰქონია ამას დანაშაული ცოლის წინაშე, მაგრამ ამ ჟამად კი ყველა თავისი დანაშაულობა, როგორც ბუმბული ისე ედო სასწორზედ. საქციელი კი სირონასი ტყვიასავით სასწორსა ჰსძლევდა. ფებიცი ეხლა ჰგვანდა იმ კაცს, რომელიც ჩაფლულა საფლობში და უეცრად უგვრძნია ფეხთა ქვეშ მაგარი მიწა. ყოველმა ამან გამბედაობა დაუბრუნა და იმ სითამამით წაიწია მეუდაბნოისაკენ, როგორადაც ეგ ჩვეულებად ჰქონდა ხოლმე, როცა იმპერატორის წინაშე ჯარს წინ მიუძღოდა.

ძალად მოირიხიანა თავი, თავმოწონებით ტანში გაიმართა და ისე ამაყად მივიდა ალექსანდრიელთან, რომელმაც ერთის ბიჯითაც უკან არ დაიწია და თავიდამ ფეხამდე ისეთის ღიმილით გაზომა, რომ პეტრესა და ყველა იქ მდგომს ელდა ეცათ.

კანონით ცოლის შემაცდენელი ხელში უნდა მიეცათ სრულიად ქმრისათვის; მაგრამ ფებიცის ეგ გუნებაშიც არ გაუტარებია. მარტო ზიზღი და მძულვარება ისმოდა მის სიტყვებში, როცა წამოიძახა:

— ვინც მუნიანს ძაღლს ხელს დააწებს დასასჯელად, ის ხელს გაიმუნიანებს. ჩემი ცოლი, რომელმაც მიღალატა მე შენის გულისათვის, და შენ, მუნიანო მთხოვარავ, ორნივ ერთმანერთის

ღირსნი ხართ. როგორც მატლს ისე გაგსრესდი, რომ მინდოდეს, მაგრამ ჩემი ხმალი ჩემის ხელმწიფისაა და შენს უწმინდურს სისხლში ვერ გავსვრი. მაინცდამაინც ტყუილაო კი არ გაგიხ-დია, შე მუტრუკო„ ეს ტყაპუჭი. მეტად სქელია და მე ჯაფა აღარ მომივა გამეძრო შენთვის ეგ ტყაპუჭი, რომ ღირებულის სასჯელით დაძესაჯე. ნუ გეშინიან, ამდენს მოგარტყამ, რომ გულნაკლულად არ დამრჩები. თუ მეტყვი, სად არის ეხლა შენი საყვარელი, ცოტა მოგხვდება, რამოდენაც გვიან მეტყვი, იმდე-ნად ბევრსა გცემ. ეი, შენ! მომეცი ერთი ეგ შოლტი!

გამოართვა ერთს იქ მდგომარეს შოლტი კამეჩის ტყავისა, ცვირ-წინ აეყუდა პავლეს და ჰკითხა: — სირონა სად არის?

— ჰა, დამკარ რაღა, — ჰსთხოვდა პავლე და უჩვენებდა შიშ-ველს მხრებს. რაც უნდა მწვავი იყოს შენი შოლტი, მაინც იმო-დენას ვერა იქმს, რომ ჩემის ცოდვების სამაგიერო იყოს, ხოლო სად არის შენი ცოლი, მაგისი სწორედ გითხრა, არა ვიცი რა, თუნდა მარწუხით მაგლიჯო ხორცი და არა მაგ უბრალო თას-მით დამიზილო ტანი.

პავლეს სიტყვებში რაღაც ბავშური გულწრფელობა იყო, ასე რომ ცენტურიონმა კინაღამ არ დაიჯერა კიდეც. მაგრამ ჩვე-ულებად არა ჰქონდა თავისი მუქარა არ აესრულებინა და იმ საკვირველს მეუდაბნოეს უნდა ეგრძნო, რომ ფებიცის ხელი არა ზელს იქ, საცა ტკენა ჰსწადიან.

პავლემ იგრძნო კიდეც ეგა, მაგრამ ერთხელაც არ ამოუკვნე-სია, არც კი შეტოკებულა. როცა ცემით დაიღალა, ფებიცემ ქშე-ნით პირვანდელი კითხვა განუმეორა გვემულს მეუდაბნოეს, რომელმაც ასე უპასუხა: — მე ხომ წინადვე გითხარ, რომ არ ვი-ცი და ამიტომ მე ვერას გაცოდინებ, შენი ცოლი სად არის.

პეტრემ არა ერთხელ მოიწადინა მიშველებოდა თავის თანა მორწმუნეს, მაგრამ თავს იმაგრებდა და სრულს თავისუფლებას აძლევდა გულნატკენს ქმარს; რადგანაც ეგონა, რომ აგრე თავ-ზედ ლაფდასხმულ ქმრისაგან კიდევ კარგია მარტო ამ ცემას ამყოფინებსო. ეხლა კი მიშველება გაბედა თავისთავად, თუმცა დოროტეაც კი ძალას ატანდა, მიეშველეო. პეტრე მივიდა ცენ-ტურიონთან და უთხრა: — „შენ ეხლა მიუწყე დამნაშავეს ის, რის

ღირსიც იყო... თუ გინდა უფრო სასტიკად დასაჯო, კიდევ გირჩევ, ეპისკოპოზს მიჰმართო. აი ხომ ნახე, შენ მაგით ვერას გახდები. დამიჯერე, მე უფრო კარგად ვიცნობ მაგ კაცს და ყოველს მის მგზავსა. მაგან მართლა არ იცის, სად არის შენი ცოლი და შენ აქ ტყუილად ჰკარგავ დროს და ღონესა. იმის მაგიერ, რომ მიიღო რაიმე ზომიერება შენის ცოლის საპოვნელად. მე მგონია, შენი ცოლი ეცდება ზღვით ეგვიპტეში გავიდეს აქედამ, თუ შეიძლება, ალექსანდრიაში გავა და ხომ იცი, რაც არის ის ბერძნის ქალაქი, იქ შენი ცოლი საუკუნოდ დაიღუპება.

— რა უშავს? — დაიცინა ცენტურიონმა. — იქ იგი იპოვის მას, რასაც ეძებდა; სულ ახალ-ახალს შექცევას და ყოველგვარს საქეიფოს. იმისთანა ახალგაზდა ქალისათვის, რომელსაც აგრე უყვარს ყველა სიტკბოება წუთის-სოფლისა, განა ბიწიერებაზედ უკეთესი შექცევა სხვა რამეღა იქმნება? მე კი წინ გადეუდგები და გზას გავუღობებ. შენ მართალი მითხარ. მე აქ ტყუილად დროსა ვკარგავ და იმას ვმატებ. თუ მართლა იმას ზღვისაკენ გაუგნია, ეხლა ის:..... ჰეი, თალიბ! — დაუძახა პოლიკარპისაგან გამოგზავნილს ამალეკიტელს: — შენ რაიტიდამ მოდიხარ? ხომ არ შეგხვედრია გზაზედ მიმავალი ქალი პირთეთრი და ოქროსფერ თმებიანი?

კაცი, რომელსაც ფებიციმ ჰკითხა, ძალიან პატივცემული იყო სენატორის სახლში, რადგანაც მართლადა ჭკვიან კაცად იყო ცნობილი, თვითონ ფებიციც კი პატივსა ჰსცემდა. თალიბი დიდი ხანი ელოდებოდა ამ კითხვას და უპასუხა:

— ელ-გესვიდამ ორს აღაჯზედ დიდი ქარვანი შემომხვდა, იმ ქარვანს მოსდევდა იმისთანა ქალი, როგორიც შენ მანიშნე. თქვენი ლაპარაკი რომ გავიგე, მე მინდოდა ეგ მეთქვა, მაგრამ კოღოს ბზუილს ვის გავაგებინებდი, როცა ჭექა-ქუხილია!

— ერთი ფეხმოტეხილი გოშია ხომ არა ჰყოლია თან? — იკითხა ფებიციმ და სული გაინაბა პასუხის ლოდინში.

— რაღაც კი ეჭირა ხელში, — უპასუხა თალიბმა — მთვარის შუქზედ ძუძუმწოვარა ყმაწვილად მეჩვენა. ჩემი ძმაც ქარვანს მოსდევდა და იმან მითხრა, რომ ეს ქალი უსათუოდ გამოპარულიაო, რადგანაც ფულის მაგიერ სულ ოქროს ბეჭდებს ურიგებს, როცა ყიდულობს რასმესო.

ფებიცის გაახსენდა ერთი მშვენიერი ბეჭედი, რომელიც გლიცერას დაჰსტყუვა და ქორწინების დღეს სირონას აჩუქა.

ფებიციმ უბძანა, პეტრეს მოსამსახურეს კარგად ასვას და აჭამოს თალიბის ცხენსა და თვითონ კი შეუდგა მზადებას, რომ მდევრად გამოუდგეს ქარვანს. მალე მოემზადა და გამოუდგა ქარვანს.

როცა ფებიცის ცხენის ხმა მიჰსწყდა, პავლემაც თავი დააწება სენატორის ეზოს და წავიდა.

— არა, თუ ღმერთი გწამს, პეტრევ, — უთხრა ქმარს დოროტეამ და ანიშნა პავლე, აღმართზედ მიმავალი — უცნაური დილა არ იყო ეს დილა! თითქო ყველაფერი ცხადიაო როგორც ხელის გულზედ, მაგრამ მაინც კიდევ მე აქ არაფერი არ მესმის. გული მელევა, რომ მაგონდება რა დღე დაადგება საწყალ სირონას, როცა თავის გააფთრებულს ქმარს ხელში ჩაუვარდება.

XIII

ძალიან სხვადასხვაგვარნი არიან სახენი, რომელშიაც გამოითქმება ხოლმე ადამიანის სულის თვისება.

კაცს ცემა ეტკინება, სირცხვილი ჰსწვავს, უსაქართლო სასჯელი კი უბოროტებს გულს. ხოლო პავლეს სულმა ეძება და ჰპოვა იმისთანა გზა, რომელსაც არც ერთი, არც მეორე და არც მესამე არ მიუდგება. იგი ჰგვემეს, შეგინებულ ჰყვეს და მეტად მძიმე კანონი დაჰსდეს. ეპისკოპოზმა აღაპიტმა შეიტყო პეტრესაგან ყველაფერი, რაც პეტრეს ეზოში მოხდა, დაიბარა პავლე და როცა ამან არ უარჰყო ბრალი, რომელსაც ზდებდნენ, მაშინ ეპისკოპოზმა გამორისხა თავისის მრევლისაგან. გარდა ამისა, აუკრძალეს ეკკლესიაში სიარული, თუ არ უქმე დღეს. ეპისკოპოზს უნდოდა ეს თვისი განჩინება მთელის მრევლისათვის სასჯაროდ გამოეცხადებინა. როგორ იმოქმედა ამან ყოველმა პავლეზედ, როცა იგი პაპანაქებაში, მარტო, ყველასაგან შეჩვენებული ხვნეშით შეუდგა აღმართს მთისაკენ მიმავალს?

ერთმა ზღვის პირველმა მეთევზემ დაინახა მიმავალი პავლე თუ არა, ჰსთქვა გულში, ეს კაცი ისე მხიარულად გამოიყურება,

თითქო ხაზინა უპოვნიაო. საყარაულო კოშკთან რამდენიმე ბერმონაზონები ქვებს აქუჩებდნენ ყორესათვის. ამათ იცოდნენ აღაპიტის განჩინება ცოდვილის თაობაზედ და ამის გამო პავლეს სალამი არ მიჰსცეს. პავლემ ეს შეამცნივა და ხმა არ ამოიღო. როცა იმოდენად განშორდა, რომ ბერები ველარ დაინახავდნენ, ხელით დაისინჯა ცენტურიონის შოლტისაგან დაშაშრული წყლულნი, ჩაიცინა და წაიდუდუნა:

— თუ ამ ბატონებს ჰგონიათ, რომ ამგვარი ზღვენი ცენტურიონისა ძალიან გემრიელია, ჰსცდებიან. მაინც კი მთელს ტიკს ანტილის ღვინით სავსეს არ ავიღებდი ამ წყლულთა სამაგიეროდ. რომ იცოდნენ, რომ თითოეული მათგანი ღირსია თითო ამისთანა წყლულისა მაინც, აბა მაშინ გაიკვირვებდნენ აი! მაგრამ ვცოდავ ღმერთს, რომ აგრე თავს ვიწონებ. რა რიგად ფურთხით შეგსვარეს შენ, ჰოი ჩემო იესოვ! მითამ მე რა ვარ შენსა წინაშე? ერთხელ მომიხდა, რომ სხვის მაგიერ ჩემი საკუთარი ზურგი მივუშვირე და რა მცირედის სასჯელით დამსაჯეს ადამიანებმა! ერთი წვეთი სისხლიც არ დამინთხევია! მე შინდოდა, რომ უფრო ძლიერ ეცემნათ ჩემთვის.

მხიარულად მიდიოდა წინ პავლე და მოაგონდა ფებიცის სიტყვა, რომ მატლსავით გაგსრესდიო, რომ მინდოდესო. პავლემ ჩაიცინა, რადგანაც კარგად იცოდა, რომ ცენტურიონზედ ერთი ათად თვითონ ღონიერია. მოაგონდა, რომ მოედანზედ ერთი-ერმანეთზედ ძირს დაჰსცა ბაქია არკეზილაი და მისი ბიძაშვილი ახმახი ქსენოფანე. მერე მოაგონდა გერმასი, მისი ძვირფასი დედა და მამა. კარგად მოვიდა საქმეო, ძალიან კარგად, ბებერი მამა დიდს მწუხარებას გადავარჩინეო, ამბობდა გულში პავლე.

დაინახა გზაზედ კლდეებში ამოსული ყვავილი. დიდი ხანია, რაც პავლეს ყური აღარ უთხოვებია ყვავილებისათვის და მათის მოწყვეტის ნდომა ხომ გულშიაც არ გაუტარებია. ეხლა კი დაჰსწვდა და უნდოდა მოეწყვიტნა, მაგრამ მინამ წადილს აისრულებდა, გაიფიქრა:

— ვის უნდა მივუტანო? ვინღა მყავს? ვინ იცის, იქნება ეს პაწაწა ყვავილი ეხლა ჰსტკბება მზის სხივითა და თავის მშვიდობიანს და ჩუმს ცხოვრებას შეჰხარის! რა რიგად ჩაჰკვრია გულში ამ კლდესა! აი იქით, გზის გადაღმა იქნება უფრო ლამა-

ზი ყვავილები იყოს ამოსული, იქ არავის თვალი არ ეკარება. არიან თავისთვის და თუ ირთებიან მშვენიერის სამკაულით, ამას ისინი სჩადიან მხოლოდ თვის შემოქმედისათვის და იმისთვისაც, რომ მაგ მორთულობას თვითონაც შეჰხარიან. მეც ეხლა შორს გავეცლები იმ გზებს, რომელზედაც ადამიანები დადიან! მაგრამ მეყო ამდონი ავად ხსენება ადამიანთა! მე თუ ვიცხოვრებ, მარტო ჩემის თავისათვის და ღმერთთან ერთად; მაშინ ჩემთვის საჭირო არავინ არის. ვინც თავს იძდაბლებს.... განა კი თავს იმდაბლებს ვინმე. როცა იქნება ჩემი სათიც დაჰკრავს! იქ, საიქიოს ყველანი ერთად თავს მოვიყრით. პეტრე, დოროტეა, აღაპიტი და ძმანნი ბერ-მონაზონები; ყველანი იქ შეიტყობენ ნამდვილად, მე რა კაცი ვყოფილვარ და ყველანი თაყვანს მცემენ.

პავლეს, ამ ფიქრებში გართულს, დრო ისე გაეპარა, რომ ვერც კი გაიგო და როცა სტეფანეს მღვიმესთან მივიდა, გზა სოფლიდამ აქამდე უწინდელზედ მოკლედ ეჩვენა.

სტეფანე ძალიან შეშფოთებული ნახა, რადგან აქამომდე შვილს ელოდდა და ეგონა, რომ უბედურობა რამ ხომ არ შეემთხვაო. სტეფანეს იმანაც გაუარა გულში, რომ იქნება ჩემმა შვილმა თავი დამანებაო და ამაო წუთის სოფელს მიეცაო. პავლემ დაუშოშმანა გული, უამბო, რომ მე გავგზავნეო გერმასი ზღვის მეორე პირზედაო და ესა და ეს საქმე მივაჩემეო. ადამიანი ყოველთვის მშვიდობიანად მოისმენს ხოლმე ცუდს ამბავს, როცა უფრო უარესს მოელოდდა. აი რის გამო სტეფანემაც გული დაიდინჯა თავისის მეგობრის სიტყვის შემდეგ.

სტეფანემ კარგად იცოდა, რომ გერმასი განდეგილის ცხოვრებისათვის არ ვარგოდა. უწინ ეგ ძალიან ჰსწყინდა, რადგანაც უნდოდა, რომ თავისისა და გერმასის მონანებითა დაესხნა წყევისაგან სული გლიცერასი. ეხლა კი იცოდა, რომ თვითონ გლიცერას მოუპოვებია თვისი სიმართლე ღვთისა წინაშე.

— როდის დაბრუნდება გერმასი? — ჰკითხა პავლეს.

ხუთს ექვს დღეზედ. მეთევზე ალიმ, რომელსაც ამას წინად ფეხიდამ ეკალი გამოვაცალე, მითხრა საიდუმლოდ, რომ ბლემიელნი ჯარად იყრებიანო გოგირდის მთებს იქითაო და თქვენზედ დაცემას აპირებენო. როცა იმათ უკუვაქციეთ და დავამარ-

ცხებთ, შენ გერმასი უსათუოდ უნდა დაითხოვო, ალექსანდრიაში წავიდეს. ჩემი ძმა ისევ ცოცხალია და გერმასის გულისათვის როგორც მეგობრისათვის, ნათლისღება მიიღო კიდეც.

— მაშ შევუკვეთოთ რომ ნეტარი ნიკოლოზი ინახულოს ხოლმე ხშირად და თუ.. თუ..

— ჰო, როგორმე მოვახერხებთ, — გააწყვეტინა სიტყვა პავლემ, ნუთუ შენა გგონია, რომ სასუფეველში მარტო იმათ ეძლევათ ადგილი, ვისაც თავის დღეში არ შეუცოდნიათ და გინდა რომ გერმასიც სრულიად უცოდველი იყოს? ეგ იმასა ჰგავს, რომ ერთი ექიმი იკვეხდა, მე ჩემს დღეში ერთი ავადმყოფი არ მომკვდომიაო; მართალს ამბობდა, იმიტომ რომ არც ერთი ავადმყოფი არ მინდობია თავის დღეში და არ უთხოვნია იმისათვის წამალი. დეე, გერმასმა თავისი თავი ჰსცადოს და თუ იმისაგან ღვთის მსახური არ გამოვა, კარგი მეომარი მაინც იქნება. მამა-პაპებრ განა მეომრობაში კი არ შეიძლება გულმართლად ემსახუროს უფალსა... მაგრამ ეს ხომ ჯერ შორს არის. მინამდინ კი მე ამიღია კისრად შენი მოვლა და პატრონობა... წყალი ხომ სამყოფი გაქვს ლიტრაში?

— შენს შემდეგ ეგ ლიტრა ორჯერ იყო კიდევ ხელახლად ავსებული. შავგვრემანი მწყემსი ქალი, რომელიც ხშირად მოერეკებოდა ხოლმე ჩვენს წყაროზე თავის თხებს; ჯერ ერთხელ მოვიდა აქ დილას ადრიანად და მეორედ, შენს მოსვლამდე ერთის საათის წინ. გერმასის ამბავი იკითხა და აღმითქვა, რომ მინამ გერმასი დაბრუნდებაო, წყალს მე გიზიდავო. ისეთი ფრთხალია, როგორც ფრინველი; მომიტანა წყალი თუ არა, სწრაფად გაიქცა.

— ის პეტრეს გოგოა და დიდხანს არა რჩება იმისათვის, თუ რომ თხებისათვის თავი ვერ დაუნებებია, ,— უთხრა პავლემ. ეხლა მე წავალ და ძირხვენას დაგიგლეჯ საუზმედ. აბა კარგა შემომხედე, დიდ ცოდვილად ხომ არ მიგაჩნივარ? რაც უნდა ცუდი გაიფიქრო, მაინც უფრო უარესს შეიტყობ ჩემზედ. აი ეხლაც ორნი მოდიან აქეთ. ერთი კარგად გავსინჯო, ვინ არიან. ერთი ილლარიონია, ეპისკოპოზის თანაშემწე, მეორე პორომია, მემფისიდიმ ახლად მოსული უდაბნოში; აქ მოდიან. ეგვიპტელს საღვინე მოაქვს.... კარგი ქნება თუ ღვინო მოაქვთ შენთვის!

არც პავლეს და არც სტეფანეს ვერ გამოეცნოთ, რა მიზეზით მოდიან აქ. მცირეს ხანს უკან შემოვიდნენ და განძრახ ზურგი შეუქციეს პავლეს. ეპისკოპოზის თანაშემწემ პირჯვარიც კი გადიწერა, თითქო ეშმაკი რამ დაინახაო.

პავლემ ეს შეამცნივა, უკან მიდგა და ხმა გაიკმინდა. ილლარიონმა ეპისკოპოზის სახელით, აცნობა სტეფანეს, რომ პავლემ დიდად შეჰსცოდაო ღმერთს. ამის გამო, ვიდრე სრულიად არ მოინანებსო, განგდებულ უნდა იქმნეს მრევლისაგან, როგორც ცხვრიდამ მუნიანი თხაო და აეკრძალოს მრევლთან მისვლა-მოსვლაო და მაშასადამე შენც, როგორც კეთილმორწმუნეს ქრისტიანს აღარ უნდა მოგეკაროსო.

— ჩვენ პეტრესაგან შევიტყეთ, — განაგრძო ილლარიონმა, რომ შენი შვილი შორს გაუგზავნიათ და რადგანაც შენ უკაცოდ ვერ დაგაგდებთ, ამის გამო ეპისკოპოზმა ლოცვა-კურთხევა შემოგითვალა და ეს ღვინო გამოგიგზავნა ყუათისათვის. ეს მწირი ბერი შენთან დარჩება და მოგივლის, ვიდრე გერმასი დაგიბრუნდება.

ილლარიონმა მიაწოდა საღვინე ავადმყოფს, რომელსაც პავლეს ამბავზედ ვერ მოეკრიფნა გონება და გაოცებით ხან ილლარიონს შეხედავდა პირდაღებული, ხან პავლეს. პავლეს ძალიან ეწყინა, როცა ეპისკოპოზის თანაშემწემ წყრომით დაუკივლა: „დაიკარგე აქედგან“. პავლემ ხმაამოუღებლივ დაემორჩილა, და სნეულს ახლო გაუარა. სტეფანემ და პავლემ ერთმანეთს შეხედეს და ნახეს, რომ ორივეს თვალში ცრემლი იყო მოგუბებული.

— პავლევ! — დაიძახა სტეფანემ და ორივე ხელი გაუწოდა პავლეს, რომელსაც შეუნდობდა ყოველს ცოდვას, თუ კი ჰკითხავდნენ. ხოლო პავლემ არ ჩამოართო ხელი, ზურგი შეაქცია, გამალებული წავიდა და შეუდგა მთას ასე, რომ უკანაც აღარ მოუხედნია. მიდიოდა ისე უსაგნოდ, ვიდრე ერთს უშკელებელს მორღვეულს თავთაქვეს არ მიადგა.

მზე კიდევ ძალიან მაღლა იდგა და საშინელი პაპანაქება იყო. ოფლი ღაპა-ღუპით ჩამოსდიოდა პავლეს, მძიმედ ჰქშენდა. მიეყუდა კლდეს, აიფარა თვალებზედ ხელი და ცდილობდა გო-

ნება მოეკრიფნა, ელოცნა. დიდხანს ვერ მოიხერხა ეს იმიტომ, რომ სიხარულის მაგიერ, რომელსაც იგი გამოელოდდა სხვისთვის ტანჯვისათვის, გულს უწყლავდა განმარტოება და ყურში ედგა სულ ის მწუხარე ძახილი სტეფანესი.

სტეფანეს ძახილის მოგონებამ ეჭვი დაუბადა თავისის საქციელის თაობაზედ. ჭოჭმანებდა და ფიქრობდა მასზედ თუ კარგია თუ არაო, რომ პატიოსანი ხალხი მოვატყუეო, ტყუილად ბრალი დავიდეო და უსამართლობა ვაქნევინე ჩემს თავზედაო. პავლეს გული ეწოდა სევდისა და ტანჯვისაგან. ხოლო როცა ჰსცნო, რომ ესე ძლიერ იტანჯება ეხლა ხორცითაც და სულითაც, ხელახლად მოხალისიანდა და ტუჩებზედ ღიმილმაც კი გაუთამაშა. პავლემ იმაზე დაიწყო ზრუნვა, დარჩეს თუ არა სტეფანეს ახლო მღვიმეში, თუ ახალი სადგური მოძებნოს. უკანასკნელი ირჩია და ჯერ კი ცივის წყლისა და საჭმლის შოვნის თადარიგს შეუდგა, რადგანაც ძალიან დამშეული იყო და წყურვილით პირი და ხახა ამომშრალი ჰქონდა.

ცოტა ქვემოდამ წყარო გამოდიოდა და მის გარეშემო იყო რაღაც ბალახ-ბულახი და ძირხვენა, რომლითაც პავლეს არაერთხელ მოეკლა შიმშილი უწინაც, ჩავიდა წყაროზედ, სულით და ხორცით გაგრილდა, მერე ამოვიდა, დადგა ერთს კალო ადგილას და დაუწყო მაღლიდამ ცქერა მის ფეხთა ქვეშ გაწოლილს უდაბურს მინდორს, რომელზედაც ამწვანებული ბაღები სოფლისა, საფლავზედ ამოსულ ხეებივით მოჩანდნენ. იმ ტრიალს მინდორზედა დაინახა თვითონ სოფელიც და თეთრად გალესილი სახლები. ყველაზედ უკეთესად ჰსჩანდა ეკკლესია, საცა ამას შესვლა აუკრძალეს. ერთს წუთს გული თითქო დანით დაესერაო, როცა მოაგონდა განგდებული ვარო თანამორწმუნეთა კრებისაგან, ვეღარ მივიღებ მონაწილეობას ჩემთა საერთო სერობაშიო, ვეღარ ვილოცებ მათთან ერთადაო. მერე კი უთხრა თავის თავს: განა ყოველი კლდე აქ, მთაზედ არ წარმოადგენს საკურთხეველს? განა ეს ლაჟვარდი ცა ათასჯერ უფრო დიდი, უფრო დიდებული არ არის თვით საუკეთესო გუმბეთზედ, რომელნიც კი გაუკეთებია ადამიანის ხელს? პავლეს გაახსენდა, რომ ბრმის ქადაგების შემდეგ ქვებმა დაიძახეს „ამი-

ნი“. ამით გამხნევდა და გასწია ერთს მორღვეულ კლდის პირად, საცა ეგულებოდა მღვიმე, რომლის პატრონი რამდენიმე კვირის წინ გადაცვლილი იყო.

— სწორედ, მე ვგრძნობ, რომ სიმძიმემ ჩემის შეურაცხყოფისამ არ დამამდაბლა კი, არამედ ამამაღლა, — ამბობდა გულში პავლე. აქ, ამ მაღალს მთაზედ ძირს არ უნდა დავუშვა თვალნი ჩემნი. აქ მე ვარ მარტოდ ჩემს ღმერთთან ერთად და მის წინაშე, მე მგონია, არაფრისა არ უნდა მცხვენოდეს.

ამ ფიქრებით პავლე მიდიოდა მღვიმესაკენ. უცბად შედგა. იქავ ახლო მოესმა ძაღლის ყეფა და მცირეს ხანს შემღეგ პატარა გოშიაც მოვარდა. ერთი ფეხი მაღლა ეჭირა მჩვრებში შეხვეული. გოშია ხან გააფთრებული მიესეოდა, ხან შიშით უკან გამოიქცევოდა ხოლმე.

პაელეს მოაგონდა, რომ ფებიციმ ამალეკიტელს თალიბს ძაღლის ამბავი გამოჰკითხა და მაშინვე გაიფიქრა, რომ ფებიცის ცოლი აქავ სადმე ახლო უნდა იყოს. გულმა ძგერა მოუმატა. ჯერ თუმცა არ იცოდა, რა პირით უნდა შეეყაროს მუხანათს ქალსა, მაგრამ გული ძალიან მიუწევდა, რომ უსათუოდ ენახა. დიდხანს აღარ უფიქრია, გასწია იქითკენ, საცა ქალი ეგულებოდა და თვალი შეასწრო თეთრს ტანისამოსიანს ქალს, რომელიც სულ იქით და იქით გარბოდა. მაინც დაეწია გაქცეულს. ქალი მიჰკროდა ზედ მორღვეულს კლდეს და საშინელს სანახაობას წარმოადგენდა. აქედამ ერთი საშიშარი გადასავარდნი იყო. გაწეწილი თმა გადმოშლოდა და მკერდზედ და მხრებზედ ეყარა. ერთი ფეხი კლდის პირზედ ებჯინა და მეორე, ქვისაგან დაჭრილის წუღით ჰაერში ეჭირა თვალჩაუწღომელ სიღრმეზედ გადაკიდებული. სწორედ ერთს ბეწვზედ ეკიდა, თორემ იგრიალებდა, გადავარდებოდა და ძვლებსა ველარ იპოვიდნენ. მაგრად კი ჩაეჭიდნა ხელი გამოწვდილს ქვისათვის. ხოლო პავლე ხედავდა რომ ქვა მოლაღებული იყო და საცა არ იყო, მოირღვეოდა. სირონა მიჰკროდა კლდეს ისე, თითქო მთვარეზედ მოარულსავით, ანუ შეშლილსავით. თვალები უბრიალებდნენ ისეთის უგუნურებით, ისეთის გახელებით, გული ისე ძლიერ უფეთქდა, რომ პირველს დანახვაზედვე პავლეს ელდა ეცა და უკან დაიწია.

ხედავდა რომ ტუჩებს აცმაცუნებდა, მაგრამ ვერ გაეგო, რას ამბობდა. ჰგრძნობდა კი, რომ ქალს უნდაო, თავიდამ მოეშორდეო. პავლემ არ იცოდა, რა ექმნა. მივარდეს და უცებ დაიხსნას კლდეში გადავარდნისაგან, თუ ისე დაანებოს თავი? რომ ვერ მოასწროს და ქალი გადუვარდეს? მაშ რა ქმნას? ქვა, რომელზედაც ხელი უჭიდია ქალს, თაწდათან შორდება კლდეს; რომ მოიღვეს, ხომ დაიღუპა ქალი! გაეგონა, რომ მთვარეზედ მოარულს კაცმა ხმა გაჰსცეს, ცუდიაო; ამიტომ ხმა არ გაჰსცა. იმ საწყალმა ქალმა ანიშნა, უკან წადიო. გული დაელია პავლეს იმიტომ, რომ ქალმა ხელი შეატოკა თუ არა, ქვამ წინ წამოიწია.

ქალი რაღაებსაც ამბობდა, მაგრამ პავლემ ბევრი ვერაფერი გაარჩია. ერთი მარტო ფებიცის სახელი მოესმა. ამის შემდეგ კი ეჭვი აღარ ჰქონდა, რომ ქალს, როგორც ჯიხვს მონადირესაგან მოტანებულს, გულში გადუწყვეტია კლდეში გადავარდეს, ოღონდ კი ხელმეორედ არ ჩაუვარდეს თავის მტარვალს ქმარს.

პავლეს ამ წუთს აღარც ის აგონდებოდა, რომ ეს ქალი დამნაშავეა, არც ის, რომ მშვენიერია. ეხლა მის წინ ხორციელი ადამიანი იყო, რომლის სიკვდილის ხელიდამ გამოხსნა თვის მოვალეობად ჰსცნო და უნდა დაესხნა კიდევაცა, რაც უნდა დამემართოსო.

ეხლა კი ხმა ამოიღო პავლემ. პირველი სიტყვები, რომელიც მიჰმართა საწყალს ქალს, იმ აზრით უთხრა, რომ გაუფანტოს ეჭვი და დააჯეროს, რომ მე შენის ქმრის მდევარი არა ვარო. ასეთის ტკბილის სიტყვით დაუწყო ლაპარაკი, რომ ყოველს სიტყვაში გამოითქმოდა მისი კეთილი და კაცთმოყვარე გული.

— გიხაროდეს უბედურო დედაკაცო! — უთხრა პავლემ. — ბედნიერი ხარ, რომ მე შეგხვდი. მე ვარ პავლე, უკეთესი მეგობარი გერმასისა და არაფერს დავზოგავ, ოღონდ შენ გეშველოს რამე. ნუ გეშინიან, ფებიცი შენ ამ ადგილებში არ გეძებს. მე მოვკვდე! თვითონ შენც იტყვი, რომ მე იმისთანას არ ვგავარ, რომ გზა დაბნეული ქალი მოვატყუო. ხოლო შენ ისეთს ადგილზედ დგეხარ, რომ ჩემი მტერიც მდგარიყო იქიც შემე-

ცოდებოდა. აჰა, დამიჭი ხელი: ეხლა მართალია უშნო ხელია, მაგრამ ჯერაც მტკიცეა და პატიოსანი. ჰა, მომეც ხელი და თავის დღეში არ ინანებ. ფეხი აქეთ ქვაზე დაადგი და ფთხილად გაუშვი ხელიდამ ქვა. ნეტავი ერთი გენახა, რა რიგად დაღონებით იქნევდა ეგ ქვა თავს და ჰკვირობდა, ესე თავგამომეტებით როგორ მომენდოო ეს ქალი. გაფთხილდი, აგე, ქვაც მოირღვა! გესმის, რა ჭექა-ქუხილით დაეშვა ძირს! მგონი იქ ქვევით მტვრად იქცა და შენც, სწორედ გითხრა, კარგი ჰქმენ, რომ მე გამომყევი და არა ქვასა.

პავლემ როგორც იყო გადმოიყვანა სირონა დედაწიწაზედ, გაუძღვა წინ და წაიყვანა მღვიმესაკენ. სირონამ სიარული ვეღარ შეჰსძლო და შეფერხდა. პავლემ შენიშნა დაღალულობა, დასვა ქვაზედ და უთხრა:

— ცოტა შეისვენე. მე თვითონ ვხედავ, რომ ეგ შენთვის საჭიროა. ძნელია მთელი დღე პაპანაქება მზის ქვეშ ყოფნა.

სირონამ თავი დაუქნივა, პირზედ ხელი დაიდო და ძლივ-ძლივ ჰსთქვა:

— წყალი, ერთი წვეთი წყალი!

პავლემ შუბლზედ ხელი შემოიკრა და უპასუხა:

— ამ წამსვე ცივს წყალს მოგართმევ, თვალის დახამხამების უმალ აქ შენთანვე ვიქნები.

სირონამ ჯერ თვალი ააყოლა წარმავალს მეუდაბნოეს. თვალები ერულებოდა და ისე გაუხდა როგორც მიწა. ბოლოს ქვა, რომელზედაც იჯდა, გემად მოეჩვენა და მოელანდა, ვითომ ზღვაშია და გემი ქანაობს. ბოლოს წარმოუდგა, ვითომ გემმა ერთს ადგილას ტრიალი დაიწყო და ლამის დაღუპოს. სირონას თვალები დაეხუჭა და ხელს აფაცურებდა, იქრება ხელის მოსაჭიდებელი ვიპოვო რამეო. თავი უღონობით გადეხარა მხარზედ, გულიდამ კვნესა ამოუვარდა, რადგანაც მოეჩვენა, რომ ვითომ ყოველის ასოდამ მოიშალა, თვითეული ასო ცალ-ცალკე ჰსცევა ტანიდამ, როგორც ხიდამ შემოდგომის ფოთოლი. ერთმა წუთმაც გაიარა და გონებამიხდილი ქალი უკან გადიქცა გულშემოყრილი.

როცა პავლე დაბრუნდა, მოიტანა წყალი ამოფუღრულის

კლდის ქვითა და დაინახა სირონა. ეგონა რომ ულმობელმა სიკვდილმა ისევ თვითონვე დაიბრუნა ხელიდამ წართმეული ჭსხეერპლიო. გული ტკივილით აევსო პავლეს, რომ ხედავდა ამ ახალგაზდა, მშვენიერს და უბედურს ქალს ამ ყოფაში, აუწია თავი და თან წყალს ასხურებდა შუბლსა და პირის სახეზედ და თან ლოცულობდა სირონას დასხნისათვის.

როცა სირონა მოსულიერდა, წამოჯდა, მოიფშვნიტა თვალები, გაიზმორა, ორივე ხელით მოეხვია თავის პატარა გოშიას; მერე წამოჰსქდა ცრემლი და საშინელს ქვითინს მოჰყვა.

პავლე შორიახლო დადგა, რომ ტირილი არ დაუშალოს და იფიქრა, ამ ცრემლითა ჩამოირეცხს გულიდამ ნახევარს ტკივილს მაინცა.

პავლემ რომ ნახა ცრემლი შეიშროო, მივიდა, მიაწოდა ხელახლად წყალი; ჯიბეში ერთი ნატეხი პურიც იპოვა, დაალბო წყალში და ისიც მიაწოდა. სირონამ წყალი დალია, პურით დანაყრდა და ისე მოჯობიანდა, რომ ფეხზედ წამოდგომაც მოიწადინა. უღონობით ვერ წამოდგა და პავლე მიეშველა. სირონა თავის ტკივილს ჰგრძნობდა და სისუსტეს, მაგრამ იმოდენა ღონე ჰქონდა, რომ ფეხზედ მდგარიყო.

როცა პავლემ გული დააჯერა, რომ სირონას აღარა უშაკსრა, უთხრა:

— ეხლა შენ ერთი თბილი საჭმელი გაკლია და ერთი თბილი ქვეშაგები. ერთიცა და მეორეც ჩემი კისერი იყოს. აქ დაჯეგ პატარა ხანს! ეგ ჩრდილი კლდისა რამოდენად დაგძელდა და მინამ მზე მთას გადეფარება, მე ისევ აქ გაკჩნდები. ჩემს მოსვლამდე შენი ოთხ-ფეხი თანამგზავრი შეგაქცევს.

გამალებული წავიდა პავლე, რომ ის წინად განზრახული უპატრონო მღვიმე ეპოვნა. წყაროს პირ-პირ დასინჯა ადგილები და მღვიმე იქ იპოვა. შევიდა შიგ და სიხარულით ნახა, რომ კარგი ქვეშაგებია ხმელის ბალახებისა, მაშინვე ბალახი აიღო, დაბღერტა, ცეცხლის კერა გაწმინდა და ისე მოამზადა მღვიმე. მიათვალ-მოათვალიერა იქაურობა და ერთი გამოქვაბული იპოვა. იმ გამოქვაბულში გამომცხვარი პური ნახა, ლიტრა და რამდენიმე ქილა. ერთს ქილაში კარგი ხუზა ხურმა იპოვა, მე-

ორეში — თეთრი ფქვილი, მესამე — ნახევრად ზეითუნის ზეთით, მეოთხე — მარილით.

— რა კარგია, რომ მიცვალებულს კარგი ჭამა-სმა ჰყვარებია! — ამბობდა თავისთავად პავლე, მღვიმედამ რომ გარედ გამოდიოდა.

მზეს გადეხარა, რომ პავლე სირონასთან მოვიდა. პავლეს ისეთი სანახაობა ჰქონდა, რომ ყოველს ეჭვს გაუფანტავდა კაცს; ძნელი იყო რომ პირველს დანახვაზედვე კაცი არ მინდობოდა. სირონაც მოემზადა რომ გაჰყოლოდა, მაგრამ უღონობით ფეხიც ვერ გადადგა.

— მე ეხლა ისე სუსტადა ვარ, — ამბობდა სირონა, — რომ თითქო პატარა ბავშვი ვარ და ეხლა ვსწავლობ ფეხის ადგმასა.

— მაშ მე მომეცი ნება, რომ გიძიძაო. მომეყრდე ხელით, პატარა გაგატარო, მინამ გაიმართები.

სირონამ ხელი მოჰკიდა და პავლემ დაუწყო ტარება ნელნელა წინა და უკან. ბოლოს სირონამ უთხრა, რომ ღამდებაო და თუ წასასვლელნი ვართ, წავიდეთო. პავლემ მაშინვე ხელი გაუშვა და გაუძღვა წინ. მღვიმეში რომ შევიდნენ და პავლემ უჩვენა საწოლი, უთხრა, ჯერ ნუ დაიძინებო, თბილს რასმეს მოგიხარშავო. რამდენსამე ხანს უკან მოართვა ვახშამი, „ღამე მშვიდობისა“ უთხრა და მოშორდა.

სირონამ განუწილა პური და საჭმელი თავის გოშიას, მერე წამოწვა და მიეცა ღრმა ძილსა. პავლე კი ცეცხლს მიუჯდა და ისე იყო. ცდილობდა, რომ ლოცვით დაეფთხო ძილი, მაგრამ დაღალულობა თავისას სჩადიოდა. ხან უეცრად სირონა მოაგონდებოდა ხოლმე ლოცვაში და ფიქრობდა, რა სიამოვნებით ვამყოფებდიო, ეხლა რომ ალექსანდრიაში ვცხოვრობდეო და უწინდელებრ მდიდარი მენანდრი ვიყოვო. ვერც ერთი ლოცვა ბოლომდე ვერ დაასრულა. ხან თვალები მიერულებოდა, ვიდრე „ამინ“-ამდე ჩავიდოდა, ხან თვალწინ წარმოუდგებოდნენ საერო სურათნი და როცა ამათ მოიშორებდა ხოლმე ფიქრიდამ, ხელახლად უნდა დაეწყო ხოლმე ლოცვა.

ამ თვლემაში და ბურანში გონება ვერ მოეკრიფნა, რომ რიგიანად ელოცნა. ვერც იმით გახდა რასმეს, რომ ხან მაღლა

აიხედავდა და დაუწყებდა ყურებას ცასა და ვარსკვლავებს, ხან ძირს გადიხედავდა სოფლისაკენ, საცა ამის მზგავსად არა ერთსა და ორსა დაკარგული ჰქონდა მოსვენება და სულის მშვიდობა.

XIV

საუცხოო დილა იყო. როგორც კარავი ერთფერის აბრეშუმისა ლაჟვარდი ცა გადაჰფენოდა მთასა, უდაბნოსა და სოფელსა. მუჭისოდენა ღრუბელიც კი არ აჩრდილებდა მის მოწმენდილს კამარასა. კარგი რამ არის, როცა აქ მთის ცერზედ კაცი სვავს წმინდას, სუბუქს და სურნელოვანს ჰაერსა, ვიდრე მზე არ გაახურებს დედამიწას და გახურებულ კლდიდამ და მიწიდამ ბუღი არ ადის ზევით.

რა სიტკბოებით, რა სიამოვნებით სვამდა სირონა იმ საკვირველს ჰაერს! მეტად საამოდ ჰქონდა სირონას, რომ გაღასხნილ ცის ქვეშ დგას მას შემდეგ, რაკი ოთხი ღამე გაატარა ჰაერ დახშულ მღვიმეში. პავლე კი ცეცხლა პირას იჯდა და ისე გართული რაღაც ფიქრებში, რომ სირონას მიახლოება ვერც კი გაიგო.

„რა კეთილი რამ არის“, — გაიფიქრა სირონამ, როცა თვალი მოჰკრა ქოთანს საჭმლით ცეცხლზედ აჩუხჩუხებულს და ხის ფოთლიანს ტოტებს, რომელიც პავლეს კარებზედ აეფარებინა, რომ მღვიმეში სირონას მზე არ მოსდგომოდა. სირონას წყაროსაკენ გზაც ესწავლა. წამოავლო ხელი ლიტრას და გასწია წყაროსაკენ. პავლემ არ დაუშალა და თვალი მოარიდა, ვითომ არასა ვხედავო, რადგანაც იცოდა, რომ სირონა პირის დასაბანად მიდის და გასალამაზებლად. მაშ რაში გამოჩნდეს დედაკაცი!

სირონა რამდენსამე ხანს შემდეგ მობრუნდა წყაროდამ. არა მგონია, რომ ეხლანდელზედ უფრო მშვენიერი და მომხიბლავი ყოფილიყო სირონა მაშინ, როცა გერმასმა პირველად ნახა ფანჯარასთან და გაოცდა მის მშვენიერებაზედ.

სირონამ ოჯახი ქმრის სახლიდამ გამოქცევის შემდეგ ბევრი მწუხარება გამოიარა, მაგრამ ამ ბოლოს დროს მწუხარება შეუმსუბუქდა პავლეს მზრუნველობის წყალობითა. სულაც

კარგად შეიქმნებოდა, რომ თავისი ერთგული გოშია ავად არ გახდომოდა. ეს საწყალი ოთხფეხი საშინლად კნავოდა და ისე საცოდავად შეჰყურებდა ხოლმე თავის პატრონს, რომ კაცს შეებრალებოდა. თურმე ფეხის მოტეხის გარდა, სხვა შიგნეული სნეულებაც ასჩენოდა. ასე, რომ ეხლა ფეხზედ ვეღარა დგებოდა, რამდენსაც წამოიწევდა, ისევ უკან გადიქცევოდა ხოლმე. ეს ამბავი გულს უწყლავდა სირონას.

როცა სირონა წყაროდამ მობრუნდა, თავის ძაღლს წყალი მოუტანა და დაალევინა. გამობრუნებაზედ პავლე მოიკითხა. პავლემ ზე აიხედა და მადლობა უთხრა. მერე ჰკითხა ძაღლის ამბავი. სირონამ მხრები აიწია და დაღონებით უთხრა:

— საწყალი დღესაც ისე ყელში ხრიალებს, როგორც გუშინ საღამოს. აღარაფერსა ჰსჭამს და მეც ვეღარა მცნობს, მეც! ვაი, თუ ეგ ოთხფეხი მომიკვდა...

ამ სიტყვებზედ გული ასეთის მტკივნეულობით აეკსო, რომ სიტყვა ვეღარ დაამთავრა. პავლემ გულნაკლულად გაიქნივა თავი და ჰსთქვა:

— ცოდვაა, კაცმა აგრე იწუხოს უგუნურის პირუტყვისა გამო.

— იამბა, ჩემი ძაღლი უგუნურია! — დაიძახა სირონამ — თუნდ რომ ეგრეც იყოს, მის შემდეგ რაღა მრჩება მე! ეგ ძაღლი მამიჩემის სახლშია გაზდილი, იქ, საცა მე ყველას ვუყვარდი. რამდენიმე დღისა იყო, როცა მე ჩამივარდა ხელში, სულ რძით გამომიზდია. მე ჩემი სამშობლო დაკარგული მაქვს და აქ, საცა ყველანი ჩემზედ მარტო ცუდსა ფიქრობენ, თუმცა არავისათვის არა მიწყენებია რა, აქ მე ყველასა ვძულვარ და მარტო იამბას ვუყვარვარ.

— მე ვიცი ერთი კიდევ, რომელსაც ყველანი თანასწორად უყვარს ღვთაებრივის სიყვარულითა, — გააწყვეტინა სიტყვა პავლემ.

— მაგისთანა სიყვარული რად მინდა! საჭირო არ არის, — უპასუხა სირონამ. იამბა არავისთან არ მივა თუ არ ჩემთან, რად მინდა მე ისეთი სიყვარული, რომელიც მთელს ქვეყანას უნდა განვუზიარო. შენ უთუოდ ქრისტიანების ღმერთზედ მეუბნები.

მე შემიტყვია, რომ იგი მოწყალეა და სულგრძელი, ეგრე ამბობს დოროტეა, მაგრამ იგი მკვდარია, მე მას თვალით არა ვხედავ, მას მე ყურით ვსმენილობ და არც არავინ მინდა იმისთანა, რომ მოწყალება მაძლიოს. მე იმისთანა მინდა, ვისთვისაც მე თვითონ უნდა ვიყო რამე, ვისთვისაც მე სიცოცხლეს და ბედნიერებას უნდა შევადგენდე და უჩემოდ არც სიცოცხლე სიცოცხლედ იყოს და არც ბედნიერება ბედნიერებად.

ტანში ჟრჟოლამ გაურბინა პავლეს ამ სიტყვებზედა. სიბრალულით და მასთანავე აღტაცებით სავსე თვალით შეხედა პავლემ სირონას და გულში ჰსთქვა: „სატანა ყოველთა ანგელოზთა უმშვენიერესი იყო, ვიდრე ღმერთი შეაჩვენებდა და დახე, აქამომდე ამ ქალზედ თავისი ძალა ჰქონია. სირონა ჯერ მომზადებული არ არის მაღლის მისაღებად, მაგრამ მოსიყვარულე გული ჰქონია და სულიც, უსათუოდ, წაუმხდარი აქვს, თუმცა ბევრჯელ უცოდვნია.

სირონას და პავლეს თვალები ერთმანეთს შეხვდა და სირონას უთხრა:

— შენ მე ისე მიყურებ, თითქო გებრალებიო, ხოლო თუ იამბა მომირჩება და მე როგორმე ალექსანდრიაში წავედი, ჩემი ბედი იქნება უკეთესზედ შეიცვალოს.

პავლე აღგა, გადმოიღო ქოთანი ცეცხლიდამ, მიართვა სირონას და უთხრა:

— ჯერ ამ შეჭამადმა გაგიწიოს მაგიერი დიდის ქალაქის ლხინ-შექცევისა. მე მიხარიან, რომ შეჭამადი მოგწონს. ახლა ერთი ეს მიბძანე, კარგად მოგიფიქრებია თუ არა, რა განსაცდელი მოელის ლამაზს, ახალგაზდას და უპატრონო ქალს იმ გარყვნილს ბერძნების ქალაქში, რომელიც სავსეა ცოდვითა და ბიწიერებითა? უფრო კარგი არ იქნებოდა, შენი შეცდომა გეკისრნა, მისულიყავ ისევ ფებიცისთან, რომელსაც საუბედუროდ მაინც კიდევ ეკუთვნი?

ამ უკანასკნელს სიტყვებზედ, სირონამ ხელიდამ თეფში გაადგო და ფეხზედ წამოვარდა.

— მაგას თავის დღეში არა ვიქ!... როცა მე აიქ ქვევით ვიყექი გონება მიხდილი, მაშინ იმ საშინელს წამს ღმერთებმა მაჩვენეს გზა, რომ ჩემი თავი დავისხნა მისგანაც, შენგანაც და

ყოველის კაცისაგან, რომელიც კი ჩემს უკან დაბრუნებას გულ-
ში გაიტარებს. მაშინ გააფთრებული და გახელებული მივვარდი
და დავდეგ მორღვეულ კლდის პირს და გეფიცები, მამის ჩემის
სახლის ნახვას აღარ ვეღირსო, ჩემის და-ძმების დაუტირებელი
მოვკვდე, თუ ეხლა მე სრულს გონებაზედ მყოფმა არ ავასრუ-
ლო ის, რაც მაშინ ჭკუიდამ მოშლილს მინდოდა ამესრულებინა.
ვაი, რა ვიყავი მე და რა გამხადა ფებიციმ! მე ეს ქვეყანა ყვა-
ვილით მოფენილი ბაღი მეგონა, მზის სხივებით გაჩაღებული,
ალმასებრ მჭვირვალე წყლებით რწყული, მაჩრდილობელის
ხეებით მორთული და აღსავსე ფრინველთა გალობითა; მან კი
დამიბნელა ეს ქვეყანა, ამიმღვრია წმინდა ნაკადულნი, ფეხქვეშ
გამითელა ნაზი ყვავილები. ეხლა ჩემთვის სულ ერთია. კლდე
რომ გაირღვეს და შიგ ჩამიტანოს, არავის არა დააკლდება რა,
არავინ არ შემიბრალებს.

— საწყალო ადამიანო! — უთხრა პავლემ. — შენს ქმარს ძა-
ლიან ცოტად ჰყვარებიხარ უთუოდ?

— ჰყვარებიხარო! — გაიცინა სირონამ. ფებიცი და სიყვარუ-
ლი ვის გაუგონია! მე ხომ გუშინ გიამბე, რა რიგად უღვთოდ
მექცეოდა, როცა ღვინისაგან გაბრუჟებული მოვიდოდა ხოლმე
თავისის ღმერთის დღეობიდამ. ეგ კიდევ არაფერი. ერთი რამ
იკადრა იმან, ერთი რამ, რომელმაც სამუდამოდ გაჰსწყვიტა
უიმისოდაც სუსტი კავშირი ჩვენ შორის. ჯერ ჩემგან ეგ ამბავი
არავის გაუგონია, დროტეასათვისაც კი არ მიამბნია, თუმცა
ხშირად დავუტუქსივარ, როცა ჩემს ქმარზედ ცუდი სიტყვა რამ
წამომცდენია. სხვა სხვის ომში ბრძენიაო, ნათქვამია. მე რომ
იმისთანა ქმარი შემხვედროდა როგორიც პეტრეა, იქნება მეც
დროტეასავით კარგი დედაკაცი გამოვსულვიყავ. მე თვითონ
მიკვირს, რა სასწაულმა გადამარჩინა, რომ სამუდამოდ არ წა-
ვიბილწე იმ საძაგელის გამო, რომელმაც მე..... რომელმაც მე....
რაღა დაგიმალო... რომელმაც, როცა ყელთამდე ვალში ჩავარ-
და, რომში მიმყიდა თავის უფროსს კვინტილის, ოღონდ ვალებს
გადამარჩინეო. თვითონვე მოიყვანა ჩემთან ის ბებრუცანა, რო-
მელიც უწინაც უკანა მდევდა. მაგრამ ჩვენმა სახლის პატრონმა
პატიოსანმა დედაკაცმა ყური მოჰკრა ამ საძაგელს აღებ-მიცე-

მობას და ყველაფერი მე შემატყობინა. ეს ასეთი უნამუსობაა ჩემის ქმრისაგან, ეს ასეთი სიმდაბლეა, რომ აქამომდე ლაქად მაზის გულზედ. თუმცა უფროსმა ვალები გადუხადა და ჭრელ-ჭრელი მანეთები დაურიგა, მაგრამ უქმად ჩაუარა ხარჯმა. ფე-ბიციმ, რასაკვირველია, ფული უკან აღარ დაუბრუნა. უფროსი გაწყრა და რომიდამ აქ გამოაგდო ჩემი ქმარი. მას აქეთ არაის, რომ ჩემი ქმარი ცხვირში ძმარს მადენს. შენ მიყავი ეს. ეხლა სომ ყველაფერი იცი, მაშ აბა, ეხლაც მირჩიე იმ კაცთან უკანვე მისვლა. ყური დაუგდე, რა რიგად ღმუის საწყალი პირუტყვი. ჩემთან მოსვლა უნდა და ფეხზედ დგომის ღონე არა აქვს.

სირონა მღვიმეში შევიდა. ჰავლემ გულმტკივნეულად თვა-ლი ააყოლა ქალს, გულ-ხელი დაიკრიფა და ისე დაუწყო ლო-დინი. კარგა ხანს დაიგვიანა სირონამ და მხოლოდ ხანდისხან ისმოდა ხმა სირონასი, რომელიც უყვავებდა სნეულს ძაღლს ალერსიანის სიტყვითა. პავლე უეცრად შეკრთა. მღვიმედამ მო-ისმა ხმამაღალი ვაის ხმა სირონასი. სწორედ ის ერთგული ამხანაგი საწყალის ქალისა მოკვდაო, იფიქრა პავლემ. უნდოდა და ვერ შებედა მღვიმეში შესვლა, იგრძნო კი, რომ თვალში ცრემლი მოერია და გულიდამ ნუგეშსაცემი სიტყვები ენაზედ მოადგა.

ბოლოს სირონა ისევ გარედ გამოვიდა, თვალები ნამტირა-ლევი ჰქონდა. პავლე მართალი იყო. სირონას ხელში ეჭირა მკვდარი პატარა ძაღლი.

—საცოდავი ძაღლი! — ჰსთქვა პავლემ, — რა კარგი პირუტყ-ვი იყო!

სირონამ მოხსნა ყელიდამ მორთული საყელური და ჰსთქვა:

— ეს საყელური პატარამ აგნესამ შეუკერა. მე თვითონ ვას-წავლე ნევსის ხმარება და ეს საყელური იმისი პირველი ხელთ-საქმეა. ეს ბალთა კიდევ წმინდა ვერცხლია, მამაჩემმა მაჩუქა. მამაჩემს ძალიან უყვარდა ეს პატარა პირუტყვი იმიტომ, რომ შეაქცევდა ხოლმე. ეხლა კი აღარც ირბენს და აღარც იხტუ-ნებს, საწყალი პირუტყვი!

ამ სიტყვებზე ნაღვლიანის თვალით დააცქერდა იამბის ლეშსა. მერე უეცრად, თითქო რაღაც მოიფიქრაო, აიხედა ისევ მაღლა და აჩქარებით მოჰყვა:

— ეხლა მე აქაურობას მინდა მოვშორდე. აღარასფერი, აღარასფერი დამრჩომია, რომ გული აქ დამიბას. სენატორის სახლი, საცა მე ყველას ვუყვარდი და საცა ხანდისხან ბედნიერად დროს ვატარებდი, ეხლა ჩემთვის დაკეტილია იმით მაინც, რომ ის ჩემი მტარვალი იქა დგას. თუ შენ ჩემთვის ავი რამ არ გინდოდა, რომ ამოდენა სიკეთე მიყავი, მიშველე, დღესვე აქაურობას გამოვესალმო და ალექსანდრიაში წავიდე.

— დღეს არა, დღეს არას შემთხვევით, — უპასუხა პავლემ. ჯერ უნდა შევიტყო, გემი როდის მიდის, მერე უნდა მოგიმზადო ყველაფერი გზისათვის. შენ შენის მხრით მოვალე ხარ, ჰასუხი მომცე ამაზედ: მითამ რის იმედი გაქვს ალექსანდრიაში, ან იქ რა უნდა გააკეთო? შე საწყალო ბავშვო! რამდენადაც ლამაზი და ახალგაზდა ხარ.....

— მე წინადვე ვიცი, რასაც იტყვი, — ჩამოართვა სიტყვა სირონამ. — საცა კი დაუნახვივართ, ყველგან თვალი ჩემთვის გაუშტერებიათ ყმაწვილკაცებს და როცა შემიმცნევია, რომ მე იმათ მოვწონვარ, ტყუილი რა საკადრისია, ძალიან გამხარებია. ზოგი ლამაზ-ლამაზ სიტყვებს ყურში ჩამჩურჩულებდა და ყვავილებს ღომართმევდა, ზოგნი ჩემის გულის მოგებისათვის მაჭანკლებსაც მიგზავნიდნენ, მაგრამ მაინც კიდევ თავი წმინდად შემინახავს, არ მიღალატნია ჩემის სახლისათვის და ყველანი იქ გამისტუმრებია, საიდამაც მოსულიყვნენ.

— ეგ იმ დრომდე, ვიდრე გერმასი არ მოვიდა და ფეხქვეშ არ გაგეშალა თავისის სიყვარულითა. გერმასი ძალიან მოხდენილი ყმაწვილი კაცია.

— კაი მოხდენილია, მაგრამ გაუთლელი რამ კია, არც მეტი და არც ნაკლები, — უპასუხა სირონამ. — მართალია, უგუნურება იყო ჩემგან, რომ სახლში ჩემთან შემოვუშვი, მაგრამ თვით უმანკოებაც კი არ ითაკილებდა იმისთანა ქცევას, როგორც მე იმას მოვექეცი. მე უმანკო ვარ და უცოდველი. ეგრეც ვიქნები ყოველთვის იმიტომ, რომ მინდა პირნათლად შევეყარო მამაჩემს; მე იმასთან წასვლა მინდა, როცა საგზაოდ სამყოფს ფულს ვიშოვი ალექსანდრიაში.

პავლეს ელდა ეცა ამ სიტყვებზედა. მაშ ტყუილად დავიღე

კისრად იმისთანა ცოდვაო, რომელიც არც კი ყოფილაო. მე რომ ტყუილი ბრალი კისრად არ ამეღოვო, ხომ სენატორი ეგრე მალე გულიდამ არ ამოიღებდა სირონასაო და ასე არ გასწირავდაო. პავლე იდგა სირონას წინ ისე, როგორც ბავშვი, რომელსაც ფათერაკად გაუტეხნია რაიმე ძვირფასი ნივთი ხელოვნებისა. აკი გული მეუბნებოდაო, რომ ეს ქალი ნამუსდაკარგულს არ ჰგავსო, — გაიფიქრა პავლემ.

რამდენსამე ხანს აგრე გაოცებული იდგა პავლე ხმა ამოუღებლად, ბოლოს კრთომით ჰკითხა:

— მაშ, რა საქმეს დაადგები ალექსანდრიაში?

— პოლიკარპმა მითხრა, რომ ყოველს კარგს ნივთს იქ კარგი მუშტარი ჰყავსო და მე ძალიან კარგად ვიცი ოქრომკედით კერვა. იქნება ადგილზედაც დავდგე. თუ კაი სახლობა ვიშოვე, დღისით ბაშვებს მოვუვლი და ღამით, ანუ როცა მოვიცლი, ქარვას მივუჯდები. როცა სამყოფს ფულს მოვაგროვებ, მაშინ გემს ვიქირავებ და სამშობლოში წავალ. ეხლა ხომ გული დაგჯერე, რომ მე ფებიცი აღარ უნდა ვინახულო და თუ შეგიძლიან რამე, მიშველე.

— თუ შეგიძლიანო? — უპასუხა პავლემ. შემიძლიან და იმაზედ მეტიც, რაც შენა გგონია. შენ კი არ უნდა მთხოვდე ღამიხსენიო, შენ შეგიძლიან ბძანო და მე მოვალე ვარ, აგისრულო. შენ ჩემი სიტყვა გიკვირს, ხოლო ეხლა მე არ ძალმიძს აღგიხსნა ჩემი თქმული. ეხლა კი მომეც, ეგ ძაღლი დავმარხო. მე ქვას დავსვამ მაგის საფლავზედ ნიშნად, რომ იცოდე, საცა არის დამარხული. მომეც ძაღლი, ლეში დიდხანს არ უნდა დარჩეს დაუმარხავი. აჰა, ეს რაღაცაა. გუშინ შენ ჩიოდი, რომ თმა ამებურძგნა და ვერაფრით დამივარცხნიაო, მეც წავედი და გაგიკეთე სავარცხელი, რადგანაც აქ არსად იშოვება. ქვემოდ სოფელში არა ჰყიდიან სავარცხლებს და მე კი, უდაბნოს ნადირი, სავარცხელს არა ვხმარობ. ეს რა მოისმა? მგონია, ქვა მოირღვა კლდიდამ და ძირს დაეცა. დიახ, მართალია, კაცის ფეხის ხმაც მოდის. ჩქარა შედი მღვიმეში, ხმა არ ამოიღო, ვიდრე მე არ დაგიძახებდე.

სირონა მღვიმეში დაიმალა, პავლემ კი წაავლო ხელი მკვდარს ძაღლს და უნდოდა დაემალა, რომ მომავალს არ და-

ენახა. პავლე გარშამოს ათვალიერებდა, რომ ჩაყრუებული ადგილი რამ ენახა, მაგრამ ამ დროს ერთმა ვიღაცამ მაღლიდამ თვალი მოჰკრა პავლესაც და მკვდარს ძაღლსაცა. ჯერ პელეს სწორედაც ვერ გაეგო რა ამბავია, რომ ქვებმა კლდიდამ დაიგრიალეს და იმავე წუთს ვიღაცა კაცი ქურციკივით უშიშრად კლდიდამ კლდეზედ მოხტოდა. ბოლოს ძირს ჩამოირბინა, მივარდა პავლეს გააფთრებული და წყრომითა და რისხვით შეჰყვირა:

— სწორედ ეგ არის, მე ვიცანი. ეგ სწორედ სირონას ძაღლია. სად არის მაგის პატრონი, ეხლავ მითხარ, სად არის სირონა-მეთქი!

ბევრჯელ ენახა პავლეს სენატორის სახლობა ეკკლესიაში და იცნო, რომ ეს თავზედ ხელაღებული კაცი, თმააშლილი და თვალებდაბრიალებული პოლიკარპია, მეორე შვილი პეტრესი.

ძლივს შეიმაგრა პავლემ თავი, რომ ჯეროვანი პასუხი არ მიჰსცა გაკადნიერებულს ყმაწვილ კაცს. პასუხი რომ არ აღირსა, პოლიკარპი უფრო გააფთრდა, წაავლო ხელი საყელოში, შეჰბღერტა და წყრომით დაჰკივლა:

— არ გეყურება? ვინ მოგცა შენ ეგ პირუტყვი, ვინ?...

უცებ სიტყვა ენაზედ გაუშრა, გაუშვა ხელი, თავიდამ ფეხამდე გაზომა და მერე ნელა და დაწყნარებით ჰკითხა:

— ნუთუ მართლა? ალექსანდრიელი პავლე ხომ არა ხარ?

მეუდაბნოემ თავი დაუქნივა. პოლიკარპს წყენის სიცილით დაებრიცა ტუჩები, თავში ხელი შემოიკრა და მერე სრულიადის ზიზღით ჰსთქვა:

— მაშ მართალი ყოფილა! ამ საძაგელ მაიმუნის გულისათვის!.. არა, არა მჯერა, რომ მას შენთვის ხმის გაცემა ეღირსებინოს, იმიტომ, რომ მარტო ერთი შენი დანახვა კაცს ჩირქს მოჰსცხებს.

თითქო კვერიაო, ისე დაუწყო გულმა ცემა პავლეს. სისხლი თავში აუვარდა, ყურებმა შუილი დაუწყეს. როცა პოლიკარპმა კიდევ გაიწოდა პავლესაკენ ხელი, პავლე უნებლიედ ფრთხალვანსავით გაიმართა ტანში, თითქო სინჯავსო, სად უფრო უჯობს ხელის ჩაჭიდებაო და მუქარის ხმით უთხრა:

— აქედამ გამეცა, თორემ ცუდი დღე დაგადგებაო.

ეგრეთვე უთხრა პავლემ, მაგრამ იგი პავლე აღარ იყო. იგი ეხლა მენანდრი იყო, ის უწინდელი მენანდრი, თავმოწონებული ფალავანი, რომელიც არავის ერთს სიტყვასაც არ დაუთმობდა, თუ არ მოეწონებოდა. ეხლახან კი სოფელში უფრო მეტი წყენა მოითმინა, უფრო მეტი შეურაცხყოფა მიიღო და არამც თუ გაჯავრდა, რაღაც სიხარულიც კი იგრძნო. მაშ ეხლა საიდამ აეშალა უწინდელებრ გულის სიფიცხე, რამ გააშმაგა ისე, რომ საბრძოლველად თავი მოიღერა?

ორის დღის წინად პავლე თავის უწინდელ მღვიმეში შევიდა, იქ ოქროები ჰქონდა დამალული, იმის გამოსატანად. უნდოდა სტეფანეც ენახა, მაგრამ მასთან მიჩემებულმა ეგვიპტელმა ნება არ მიჰსცა წყევლით, როგორც მავნე სული, გამოაგდო და უკანიდამ ქვაც დაუშინა. ამას წინად კიდევ სოფლად იყო, ბევრს ეცადა რომ საყდარში შეეშოთ სალოცავად და თუ საყდარში არა, საყდრის დერეფანში მაინც, სადაც კათაკმეველნი დგებიან, მაგრამ ლანძღვით და თრევით გამოაგდეს და მნათემ კიდევ, რომელიც წინად საყდრის გასაღებსაც კი ანდობდა, ეხლა პირში შეაფურთხა. მაინც კიდევ ამა ყველაფერმა გული არ ატკინა და მოთმინებიდამ არ გამოვიდა. გაუჯავრებლივ, უჩივრად გამოეცალა მათ, ვინც ამოდენა შეურაცხყოფა და თავსაცილი მიაყენეს. იგი მობრუნდა თავის მღვიმეში მხიარულისა და მადლით სავსე გულითა. გულში ჰქონდა ის მაღალი მცნება ადამიანისა, რომ მე როგორც ჭეშმარიტი ქრისტიანიო სხვის გულისათვის დევნულ და შეგინებულ ვიქმენო.

ეხლა რაღა დაემართა, რომ ესე იწყინა პოლიკარპის სიტყვა და ქცევა? რატომ გაუწყდა ეხლა ყოველივე ძაფი მოთმინებისა, რომელიც დიდის ხნის მარხულობით და ლოცვით შეეძინა? იქნება ის ეთაკილა, რომ მშვენიერს მოწამეს მღვიმეში ესმის რომ უკადრისად ექცევიან? ან იქნება პოლიკარპი იმ თვალზე კი არა ნახა, რომ ეს კაცი ჩემი თანამერჯულეაო მხოლოდ ამ ჟამად გულგამწყრალიო; იქნება ეგონა, რომ პოლიკარპი კაცია, რომელიც ლამის მე გზაზედ წინ გადამიდგესო? ნუთუ ეს იყო ამისი წყრომის მიზეზი?

როგორც ტყის ნადირნი, ერთმანეთთან დასატაკებლად გამ-

ზადებულნი, იდგნენ ერთმანეთის წინ ყმაწვილი კაცი და ახოვანი პავლე, ჭაღარა თმით მოსილი. პოლიკარპმა ერისის ბიჭითაც უკან არ დაიწია, თუმცა იცოდა, რა ღონიერ და გამოცდილ ფალავანთან აქვს საქმე. არც თვითონ იყო უღონო და ამასთანავე გააფთრებული იყო და უნდოდა დაჰსტაკებოდა პავლეს, როგორც სირონას შემაცდენელს.

— აბა ფეხი წამოდგი, თუ კაცი ხარ, — უყვიროდა გულგამწყრალი პოლიკარპი და თვალებს აბრიალებდა და ტანში იმართებოდა. — მოდი რაღა! უთუოდ შენ ფალავანი ჰყოფილხარ, ან სხვა იმის მსგავსი უწინ, ვიდრე მაგ ჭუჭყიან ტანისამოსს ჩაიცვამდი მარტო იმისთვის, რომ ღამ-ღამობით სხვის სახლში დაუსჯელად შესულიყავ და გამოსულიყავ. მაშ, ეს წმინდა ადგილი მოედნად აქციე რაღა! და თუ შენ აქ მე სულს ვამაფთხობინებ, მადლობელიც ვიქნები იმიტომ, რომ უმისოდაც შენ გამიუქმე ყველაფერი, რითაც კი ჩემს სიცოცხლეს ფასი ჰქონდა ჩემს თვალში. მოდი რაღა! იქნება შენის აზრით, ქალის ბედნიერების დამხობა უფრო ადვილია, ვიდრე მის მოსარჩლესთან ომი? მოდი მეთქი რაღა! ჰა, მოდი, თორემ...

— თუ გესმის მოხვალ განა, — უთხრა ეხლა დაწყნარებით და ტკბილის ხმით პავლემ, რომელსაც ხელები მოუდუნდა ამ ჭაბუკის სიტყვაზედა. — მაშ შენ მოდი ჯერ, რაც გინდა ჰქმენ, მე ხელს არ გამოვიღებ. მე ხელს არ გავძრავ და არ შეგეჭიდები იმიტომ, რომ შენ მართალი ჰსთქვი; ეს წმინდა ადგილი მოედანი არ არის, ხოლო ქალი იგი არც შენია, არც ჩემი და ვინ მოგცა უფლება...

— ვინ მომცა მასზედ უფლებაო? — გააწყვეტინა სიტყვა პოლიკარპმა, თვალები ისევ აუბრიალდა და ახლო მივიდა პავლესთან. — ვინ მომცაო? თვითონ იმან, რომელიც ნებას აძლევს მორწმუნეს თავის ღმერთზედ ილაპარაკოს. სირონა მეკუთვნის მე როგორც მეკუთვნის მზე, მთვარე, ვარსკვლავი, იმიტომ, რომ იგი მინათებს მე ბნელსა ეზას ჩემის ცხოვრებისას. ჩემი სიცოცხლე მე მეკუთვნის და იგი ჩემის სიცოცხლის სიცოცხლეა და ამიტომ თამამად ვიტყვი, იგი ჩემია თუნდა ოცი სხვა ფეხბიცი იყოს. შენ ფარისეველობით საკვესე, შენ სხვის მცარცველს,

რომელსაც საკუთარი თავი მოგძულებია და მხეცად გაგიხდია, განა შეგიძლიან დააფასო მშვენიერება იმ ციდამ მოვლენილის არსებისა, მომხიბლავი ძალა მის სილამაზისა, რომელიც გულუბრყვილო ბავშვებსაც კი იმორჩილებს, რომლის წინაშეც თვით ღმერთნი მუხლს იდრეკენ! მე სიმართლე მიმიძღვის სირონაზედ. შენ შეგიძლიან, იგი საცა გინდა დამალო, ფებიცის შეუძლიან, შეიპყრას იგი და რკინის ჯაჭვით დააბას, მაგრამ მაინც კი არც ერთს თქვენგანს, არც არავის სხვას ამ ქვეყნიერობაზედ არ ექნება გულში ჩემებრ ის, რაც სირონას ხდის ამა ქვეყნის გვირგვინად, — ესე იგი, ხატი მისის მშვენიერებისა. ჯერ არც ერთხელ ეს ჩემი ხელი არ მიჰკარებია შენს მსხვერპლს სირონას; მაგრამ მაინც კიდევ იგი თვით ღვთისაგან ჩემთვის არის შექმნილი იმიტომ, რომ იგი არავისთვის არის ის, რაც ჩემთვის არის, არვის ძალუძს ისე უყვარდეს, როგორც მე მიყვარს! იგი კეთილია, როგორც ანგელოზი და გული კი ბავშვისა აქვს. იგი გულუბრყვილოა. იგი წმინდაა როგორც ალმასი, წმინდა როგორც დილის ცვარი ყვაეილზედა. დეე, თუნდა ათჯერ შეგიყვანოს შენ თავისთან, თუნდა მამაჩემმა, ჩემმა საკუთარმა დედამ, ყველამ, ყველამ, ვინც საჩვენებელი გახადონ, დეე, სწყევლონ იგი, მე მაინც გულიდამ არ ამოვიღებ, რომ იგი წმინდაა. შენ, შეარცხვინე იგი, შენ... შენ დაასხი თავზედ ლაფი!

— როცა შენი სახლობა ცუდად იხსენიებდა, მე ხმა არ ამომიღია, — უთხრა პავლემ და ხმაში რაღაც მოლბილობა ეტყობოდა. — ხმა არ ამომიღია იმიტომ, რომ მე მჯეროდა იმისი ბრალეულობა, როგორც ეხლა შენ ჩემი გჯერა, როგორც ყოველს სხვას სხვისა უფრო მალე ცუდნი ჰსჯერა, ვიდრე კარგი. ეხლა კი ვიცი და ნამდვილადაც ვიცი, რომ ჩვენ იმ საწყალს ქალს არ ვემართლებოდით, თუ შუქი ბრწყინვალის ხატისა, საუცხოვო ოცნებისა, როგორც შენ სირონაზედ ამბობდი, ჩემის მიზეზით დაბინდდა....

— დაბინდდა? მერე შენის მიზეზით? — გაიცინა პოლიკარპმა. განა ბაყაყი, რომელიც ზღვაში ჩახტება, ზღვის სიწმინდეს აამღვრევს; განა შეუძლიან შავ ღამურასა, ბნელაში რომ დაფრინავს, დააბინდოს მთვარის შუქი?



ა. პუშკინი



მ. ლერმონტოვი



ი. ტურგენევი



ნ. ნეკრასოვი



ი. პოლონსკი



უ. შექსპირი



ჯ. ბაირონი



ფ. შილერი



ვ. სკოტი



ტ. მური



ა. შუნე



ჰ. ჰაინე



რიუკერტი



ა. დოდე



ვ. ებერსი



ჟ. კლარეტი



ილია ჭავჭავაძე და ვასილ მარჯანელი



„მეფე ლირის" ილია ჭავჭავაძისა და ივანე მაჩაბლისეული ქართული თარგმნის ავტოგრაფი



„მეფე ლირის“ ილია ჭავჭავაძისა და ივანე მაჩაბლისეული ქართული თარგმნის ავტოგრაფი



„მეფე ლირის" ილია ჭავჭავაძისა და ივანე მაჩაბლისეული ქართული თარგმნის ავტოგრაფი



„მეფე ლირის“ ილია ჭავჭავაძისა და ივანე მაჩაბლისეული ქართული თარგმნის ავტოგრაფი

„მეფე ლირის“ ილია ჭავჭავაძისა და ივანე მაჩაბლისეული ქართული თარგმნის ავტოგრაფი

მეუდაბნოეს გული ისევ წყენით აემღვრა, მაგრამ ეხლა კი თავი შეიმაგრა. გულშეკავებით და სიმწარით უთხრა:

— სულ ტყუილ-უბრალოდ აგრე მტრულად მიყურებ. მე ხომ შენი წყენა არ მინდა. ამას გარდა მე შენს ბოროტს სიტყვებზედ კეთილით მოგიგებ, ისეთის კეთილით მოგიგებ, ისეთის კეთილით, რომ, იქნება, თავის დღეშიაც არ გაგეგონოს. სირონა პატიოსანი და უცოდველი ქალია და ვიდრე ფებიცი წავიდოდა მის საძებნელად, იმ დრომდე ჩემს თვალს ის თავის დღეში არ უნახავს, ჩემს ყურებს იმისი სიტყვა არ გაუგონია.

ამ სიტყვაზედ წარბი გაეხსნა პოლიკარპს სახეზედ. გაკვირვებულმა პავლეს სიტყვებით მხურვალედ დაიძახა:

— მაშ, თუ ევრეა, რად აგვემინე და აცემინე ხმა ამოუღებლად თავი ფებიცის? ეგეც რომ არ იყოს ხომ ტყაპუჭი შენი გამოდგა.

— ჩემისთანა ჭუჭყიანი მაიმუნი, — ნიშნით გაიმეორა პავლემ პოლიკარპის სიტყვები, — საჭიროებს, რომ ხანდისხან იგვემოს და მე იმ დილას არც არა მეთქმოდა რა, იმიტომ... იმიტომ რომ... მაგრამ ეს შენ არ შეეხება. რამდენსამე დღეს კიდევ შეიკავე შენი ცნობისმოყვარეობა და მაშინ ნახავ, რომ ის კაცი, რომლის დანახვაზედაც კაცს ჩირქი ეცხობა, ის ბაყაყი, ის ღამურა...

— კარგი ერთი, მაგას ნუ იმეორებ! — დაიძახა პოლიკარპმა. — იქნება წყენამ ამომათქმევინა ჩემის ტანჯულის და დაკოდილის გულიდამ სულელური სიტყვა, მომიტევე კაცნიერება და უსამართლობა. ეხლა პირიქით სულ სხვას ვხედავ, ვხედავ, რომ ეგ აბურგვნილი თმა შემოხვევია კარეს და პატიოსანს სახეს. მე თავი ვერ შევიკავე და მთლად გადაგიშალე გული და რადგანაც ეხლა შენც თვითონ იცი რა ამბავია ჩემს გულში, ვთხოვ კიდევ, მითხარი, სირონა სად არის?

პავლემ პასუხი დაუგვიანა. გადიხედა მღვიმესაკენ და თეთრს ტანისამოსს თვალი მოჰკრა და იფიქრა, თუ პოლიკარპი აქ კიდევ რამდენსამე ხანს დარჩაო, სირონას მოჰკრავს როგორმეო და ეგ არას გზით არ უნდა მოხდესო. წაავლო ხელი ისევ მკვდარს ძაღლს და უპასუხა:

— მე, რასაკვირველია, ვიცი საცაა სირონა და როცა დრო

მოვა, შენც შეიტყობ. ეხლა კი მე ეს პირუტყვი უნდა დავფლა, თუ გინდა შენც მიშველე.

პავლე წავიდა და პოლიკარპიც თან აედევნა. როცა პავლემ მიწას თხრა დაუწყო მღვიმეზედ კარგა ჩოშორებით, პოლიკარპმა ისევ განუმეორა თავისი თხოვნა და პავლემ უპასუხა:

— ხვალ ამ დროს კიდევ მოდი აქ და იქნება მაშინ შენის თხოვნის პასუხი მოგცე.

— ნუთუ გგონია, რომ მაგით მომიშორებ თავიდამ?

— დაიყვირა ჭაბუკმა. — ძალიან ჰსტყუვდები და თუ გგონია რომ მე თვალი ამიბი ლამაზ-ლამაზ სიტყვებითა, მაშ მე.

არ დაჰსცალდა რომ მუქარა დაესრულებინა, დუმილი უდაბნოისა დაირღვა მაღალისა და გულიანის კივილითა.

— პოლიკარპ! პოლიკარპ! — ჰკიოდა ვიღაცა და ხმა უფრო და უფრო ახლო მოდიოდა.

ტანში გასწორდა, სული გაინაბა და ისე დაუწყო ყურის გდება ჭაბუკმა, ბოლოს დაიძახა:

— სირონას ხმაა, სირონასი! მოვდივარ, სირონავ, მოვდივარ!

ყური აღარ ათხოვა პავლეს და ერთი გაიწია, რომ წინ შეეყაროს. პავლემ გზა გადუჭრა და მტკიცედ და რიხიანად უთხრა:

— შენ აქ უნდა დარჩე.

— გზა, გზა მეთქი, — დაუყვირა გულზედ მოსულმა პოლიკარპმა. სირონა ქეძახის იქიდამ, სადაც შენ ჩაგიკეტნია, ჰოი, შენ სხვის ნამუსის მპარავო, შე უსირცხვილო მატყუარავ! გზა მეთქი, მე შენ გეუბნები! არ მეცლები! მაშ კარგი! აბა გამიმაგრდი, შე საზიზღარო ბაყაყო, თორემ გაგსრეს, თუ ჩემი ფეხი არ ითაკილებს, რომ შენის გესლით შეისვაროს.

აქამომდე პავლე იდგა უძრავად და მტკიცედ, როგორც დიდი მუხა. უეცრად პოლიკარპი მივარდა და მუშტი დაჰკრა. ამან მოუღო ბოლო მის მოთმინებას, თავი ველარ შეიკავა და შეჰსძახა:

— მაგის სამაგიეროს მიზღავ.

ამის თქმა და ზურგზედ წამოკიდება პოლიკარპის ერთი იყო. წამოიღო ზურგულით, დაიქნივა და ქვებზედ ტყაპანი მა-

აღებინა. პოლიკარპი გადიშხლართა ძირს. პავლე როგორც დარჭმული ბოძი გაჩერდა გულდაკრეფილი და აქეთ-იქით იყურებოდა. ამ ყოფას ადგა, ვიდრე პოლიკარპი არ წამოდგა და არ წავიდა. ისე წავიდა, რომ უკან აღარ მოუხედნია. მიდიოდა ბარბაცით როგორც მთვრალი და თავი ორის ხელით მაგრა ეჭირა.

პავლემ თვალი გააყოლა და ადევნა იმ დრომდე, ვიდრე პოლიკარპი კლდეს არ მიეფარა. ის კი ველარ დაინახა, რომ პოლიკარპი მივიდა თუ არა წყაროსთან, წაბარბაცდა, ერთი ნელა ამოიკვნესა და უსულოდ დაეცა დედამიწაზედ.

XV

ხელახლად მოისმა სირონას ხმა. — „უეჭველია, სირონას ხმაურობა გაგვცემს", — იფიქრა პავლემ, წამოვიდა სირონასაკენ და ჩქარის ნაბიჯით შეუდგა აღმართს.

— „დღეს კი, მე მგონია, იმ თამამმა ვაჟბატონმა აღარა იკადროს რა", — ბუტბუტებდა თავისთავად პავლე. — „იქნება ხვალაც, რადგანაც ლურჯი ნიშნები მოავონებენ ჩემს თავს. საკვირველია, რომ ძნელად ავიწყდება კაცს, რაც ოდესმე ჰსცოდნია! ის ზურგული, რომლითაც მე დავეც პოლიკარპი, დელფისაგან მჭონდა ნასწავლი და მას აქეთ რამოდენი ხანია გასული! დიახ, ჯერ ტვინი არ ამომშრომია და მე ამას დავუმტკიცებ ჩემის მუშტებით იმ გათამამებულს ვაჟბატონს, თუ გაბედა და ორიოდ სამიოდ თავის მზგავსი კაცი მოიყვანა მეშველად!"

დიდხანს არ დაჰსცალდა პავლეს ამ ფიქრებში გართობა. მღვიმისაკენ მიმავალს ბილიკზედ წინ შეემთხვა სირონა.

— პოლიკარპი რაღა იქნა? — დაუძახა სირონამ ჯერ კიდევ შორიდამ, თვალი მოჰკრა თუ არა პავლეს.

— უკანვე გავისტუმრე, — მიუგო პავლემ.

— დაგიჯერა და გაბრუნდა?

— ზოგიერთი ყუათიანი საბუთები ვიხმარე, — უპასუხა პავლემ.

— ხომ კიდევ მოვა?

— ჯერ არა მგონია, რადგანაც რაც საჭირო იყო, ჩემგან ყველაფერი გაიგო. ეხლა, ჩვენ უნდა მოვიფიქროთ შენს წასვლაზედ ალექსანდრიაში.

— მე კი მგონია, — უპასუხა სირონამ და აწითლდა, — რომ ამ მღვიმეშიაც არაფერი მემიზეზება, აქაც კარგად ვიქნები. თვითო შენც გითქომს ეგ ამას წინად....

— მე მარტო გაფთხილებდი ალექსანდრიაში ყოფნის თაობაზედ, — გააწყვეტინა სიტყვა პავლემ. — ეხლა კი მე მომაგონდა შენთვის ერთი კაი ბინა და საიმედო მცველი. აი, შინაც მოვედით. მღვიმეში შედი, თორემ შენი ძახილი უცხო კაცის ყურამდე მიახწევდა და თუ სხვათა მეუდაბნოეთა შეიტყეს შენი აქ ყოფნა, ძალად წამაყვაინებენ შენს თავს შენს ქმართან.

— ეხლავ შევალ, — ჰსთქვა ოხვრით სირონამ. — ჯერ ერთი ეს ამიხსენ, მე ხომ თქვენი ლაპარაკი სულ მესმოდა, — ხელახლად წამოწითლდა სირონა. ეს როგორ მოხდა, რომ გერმანის ტყაპუჭი ფებიცემ შენად იცნო და შენც თავი არ გაიმართლე და ტყუილუბრალოდ ეცემინე.

— იმიტომ მოხდა, — უპასუხა პავლემ, — რომ ჩემი მხარ-ბეჭი უფრო განიერია, ვიდრე იმ ახოვან ვაჟბატონისა. ეხლა კი ბოდიშს ვიხდი და მერე კი, როცა უფრო გულდაწყნარებით ვიქნებით, ყველაფერს დაწვრილებით გიამბობ. ჯერ მღვიმეს შეეფარე, თორემ საქმეს სულ გამიფუჭებ. მე ვიცი, რომ მას აქეთ, რაც სენატორის შვილის საუბარი გაიგე, ერთს რასმეს ნატრულობ.

— აბა რას? — ჰკითხა სირონამ.

— სარკეს, — გაუცინა პავლემ.

— რა რიგად ჰსცდები! — უპასუხა ქალმა და მღვიმეში მიმავალმა გაიფიქრა: — „ის ვისაც პოლიკარპი იმ თვალით უყურებს როგორც მე, თავის დღეში სარკეს არ ინდომებს“.

მთას იქით დასავლეთისაკენ, მეთევზეების სოფელში ერთი მოხუცებული სოვდაგარი ურია იდგა. იგი ეგვიპტეში ჰგზავნიდა ხოლმე ნახშირსა გასასყიდლად და ერთს დროს პავლეს მამასთანაც ვაჭრობა ჰქონია, რადგანაც მის ქარხანებს ეს უგზავნიდა ნახშირს და არა ერთხელ თვითონ პავლესაც ამასთან საქმე დაუჭერია. ეგ ურია იყო ჭკვიანი და შეძლებული კაცი. რამ-

დენჯერაც შეჰხვედრია პავლეს, იმდენჯერ უყვედრებია, რად გაუდეგ წუთისსოფელსაო; იწვევდა თავისთან და ეუბნებოდა, აი ჩემი ქონება, როგორც გინდა, ისე მოიხმარეო. აი, ეს ურია იყო ის კაცი, რომელსაც გემი უნდა ეშოვნა და სირონა გაესტუმრებინა ალექსანდრიაში.

რამდენსაც პავლე ჰფიქრობდა სირონას წასვლაზედ, იმდენად გული ეუბნებოდა, რომ უნდა მე თვითონ გავაცილოო სირონა ალექსანდრიამდე, მივიყვანო და მე თვითონ ავუჩინო საიმედო ბინაო. იცოდა, რომ თავისუფლად შეეძლო მოეხმარებინა განუზომელი სიმდიდრე თავის ძმისა, მით უფრო, რომ ნახევარი თვითონ პავლეს ეკუთვნოდა. აი, რამდენი წელიწადი გასულა და ეხლა პირველად იგრძნო სიხარული მისი, რომ შეძლება აქვს. დაიწყო ფიქრი მასზედ, თუ როგორ მოუმზადებს და მოურთავს სადგურს მშვენიერს სირონას. ჯერ ამბობდა გულში, ერთი უბრალო, მაგრამ ფაქიზი ბინა უნდა ამოვურჩიოო. მერე კი თანდათან ფიქრად მოუვიდა სახლის მორთვა ბრწყინვალეს ოქროთი, თეთრის და ვარდის ფერის მარმარილოთი, მრავალგვარის ძვირფასის საფენითა, მშვენიერის მხატვრობითა და ლუსკუმებითა.

ამ ფიქრებში გართული დადიოდა წინა და უკან. ხშირად გაჩერდებოდა ხოლმე მღვიმეს კარებთან, საცა სირონა იყო. ერთხელ თვალი მოჰკრა მის ფერ-ღია კაბას და ჰსთქვა, რომ ამ კაბით არ უნდა ეჩვენოს იგიო არავის, რომ ყოველიე კვალი დაუკარგოს ფებიცის და პოლიკარპს, ამისათვის უბრალო კაბა უნდა ეშოვნა და პირბადე, რათა იმის ქვეშ დაუმალოს ბრწყინვალე თმა და თეთრი პირის სახე, რომლის მზგავსი თვით ალექსანდრიაშიაც ძნელად მოიპოვებოდა.

იმ ადგილიდამ, საცა პავლე იდგა ამ ჟამად, ჰატარა მოშორებით იყო ქოხი ამალიკეტელისა, რომელმაც ორიოდჯერ თხის რძე მიჰსცა პავლეს სირონასათვის. ამ კაცის ცოლისა და ქალისაგან პავლემ განიზრახა სყიდვა, რაც საჭირო იყო სირონასათვის. ბევრი აღარ უფიქრია და გასწია იმათკენ, თუმცა ცა მოიღრუბლა და სამხრეთიდამ თბილი სულთამხუთავი ქარი ადგა.

მზე გადიწურა და მაინც კიდეც სიცხის ბუღი იდგა ჰაერში. პავლემ ყური არ ათხოვა ამ ავდრის ნიშნებსა, მივიდა მღვიმესაან, დაუძახა სირონას, მე ეხლავ მოვალო და გასწია სწრაფის სიარულითა.

სირონამ გზა მშვიდობისა უთხრა ასე, რომ არც კი მოჰხედა პავლეს, რადგანაც ძალიან იამა მარტოდ დარჩენა. მიჰსწყდა პავლეს ფეხის ხმა თუ არა, სირონა ხელახლად კანიტაცა იმ ძლიერმა და უძლეველმა გრძნობამ, რომელიც გულში გაუღვიძა მას ცეცხლმოკიდებულმა ლაპარაკმა პოლიკარპისამ.

პავლე ამ უკანასკნელ დროს მენანდრად გადიქცა, ხოლო ეს ქალი კი, ეს მღვიმეში მარტოდ დამწყვდეული არსება, ეს ცოლი ფებიცისა, რომელმაც ამდენი შრომა მიაყენა პავლეს, უფრო ძლიერ გამოიცვალა.

ეს სირონა იყო, მაგრამ უწინდელი სირონა კი აღარ. როცა მეუდაბნოემ ურჩია მღვიმეში შესვლა, სირონა სიხარულით დაემორჩილა. თვითონვე უნდოდა მიმალულიყო სადმე, რომ მარტო, სრულიად მარტო დარჩომილიყო, რადგანაც ჰგრძნობდა, რომ მის გულში რაღაც აჩბავი მოხდა, რაღაც დიდებული და გაუგებარი. ჰგრძნობდა, რომ მის გულში რაღაც ჩაისახა, რაღაც იმისთანა, რის გამოთქმაც სიტყვით ვერ მოეხერხებინა. ჰგრძნობდა კი, რომ ის რაღაცა ძლიერი რამ არის, უქადის სიცოცხლეს, სავსეს ამოვნებითა და მღელვარებითა. ის რაღაცა მას ეუცხოებოდა, ამასთანავე ისეთი ტკბილიც იყო, ისეთი მიმზიდველი, ისეთის ნეტარებით აღსავსე, ისეთი მწვავი, ისეთი უზომოდ მომხიბლავი! რაღაც მღელვარებამ შეიპყრა მთელი მისი არსება და ეგონა, რომ ახალმა, უფრო წმინდა სისხლმა დაუწყო ძარღვებში დენა მას აქეთ, რაც ყური მოჰკრა პოლიკარპის ცხარე ლაპარაკსა. ყოველი ძარღვი უთრთოდა, როგორც ფოთოლი, როცა ნიავი ჰსცემს. ამ ყოფაში ვერ დაუგდებდა რიგიანად ყურს პავლეს ლაპარაკსა და ვერ მიჰსცემდა რიგიანს პასუხს.

დარჩა მარტო თუ არა, მაშინვე მიჯდა თავის ქვეშაგებზედ, მუხლზედ დაიყრდო მკლავი, მკლავებზედ თავი დააბჯინა და წასქდა თვალთაგან ცხარე ცრემლი ორ ტოტად. ამ ცრემლებმა

გაუნელეს ის მსურვალე გულისთქმა, რომელიც უფრო და უფრო ცეცხლს უკიდებდა.

აგრე თავის დღეში არ უტირნია!

ბეწვის ოდენა ტკივილი, ბეწვის ოდენა სიმწარე არ ერია იმ წმინდა და გამაგრილებელ ცრემლთა ცვარში. მის გულში გადიშალა, რაღაც საუცხოო ყვავილი აქამდის უცნობ სიუხვითა და სიტურფითა. როცა ბოლოს ცრემლი სრულად ამოეწურა გულიდამ, დაუამდა გული და გაუნათლდა სხივოსანის ნათლითა. დიახ, სირონა იმ წამს იყო უბედურიც და ამასთანავე უბედნიერესი დედაკაციც!

ეს სიყვარულიაო, გალობასავით, ჩანგის ბგერასავით ხმაურობდა ეს სიტყვები მის გულში. მოაგონდა უწინდელი დრო და ყველა უწინდელი თავისი თაყვანისმცემელნი, რომელნიც ეტრფიალებოდნენ ჯერ კიდევ როცა ბავშვი იყო არელასში და მერე რომში ქმრის შერთვის შემდეგ. ყველა ისინი ჩრდილნი იყვნენ წვრილის სანთლებით ხელში პოლიკარპის წინაშე, რომელიც წინ მედიდურს მზეს მოიმძღვარებდა.

„რაც ქვეყნიერობაზედ ხალხია, რაც მეფენი არაან, — ამბობდა სირონა, — სულ რომ ყველამ თავისი საუნჯე მომიტანოს და ფეხქვეშ გამიფინოს, მაინც ისე ვერ გამამდიდრებდნენ, როგორც იმან გამამდიდრა. რაც ვარსკვლავებია რომ სულ ჩამოცვივდნენ და შეადგინონ ერთი მნათობი, მაშინაც მათი შუქი ისეთი ბრწყინვალე არ იქნება, როგორც შუქი იმ სიამოკნებისა, რომელიც მე ეხლა გულში მაქვს. ეხლა რაც მოვა მოვიდეს. ამას იქით მე აღარას ვიჩივლებ“.

შემდეგ გაიხსენა ყოველი შემთხვევა, როცა კი ენახა პოლიკარპი; გაიხსენა, რომ არასოდეს პოლიკარპს ერთი სიტყვაც არ წასცდენია თავის სიყვარულის თაობაზედ.

ეგ თავის შემაგრება რა ძვირად დაუჯდებოდა! ის აზრი, რომ თვითონაც წმინდაა და ღირსია პოლიკარპისა, სირონას გულს უვსებდა უზომო თავმოწონების გრძნობითა და მადლითა. თითქო ამ აზრისა გამო ფრთა გამოებაო იმ სიყვარულს, რომელიც მიჰმართა მარტო ერთს კაცს მთელს ამ ქვეყნიერობაზედ. სიყვარულს მაღალს, წმინდას, რომელიც შეექმნა სარწმუნოებად და ხატად თაყვანებისა და ლოცვისა.

გული ძლიერ უცემდა, ხელნი განეპყრნენ, თითქო მთელის ქვეყნის მოხვევნა უნდაო, თითქო უნდაო ყოველს სულდგმულს, ყოველს ქმნილებას ამ დედამიწის ზურგზედ თავისი მადლი და სიყვარული გამოუცხადოსო. მის სულს ჰსწყუროდა მადლის გადახდა წინაშე უმაღლესისა და მოწყალე არსებისა, რომელმაც მოანიჭა ამოდენა ნეტარება.

მოაგონდა, რომ ამ წინაზედ პავლე ურჩევდა, თაყვანი ეც ნათელღებულს ღმერთს ქრისტიანობისასაო, რომელიც თანასწორად განავრცობსო ყველაზედ თავის ღვთაებრივსა სიყვარულსაო. ამავე ღმერთს ლოცულობს თვით პოლიკარპიც, ჰყიქრობდა სირონა, იქნება ამ ჟამადაც, და თუ მეც ვილოცებო, ჩვენი ლოცვები შეერთდებიანო და მაშინ ერთგან მაინც თანაზიარი ვიქნები იმ საყვარელის კაცისა, რომელზედაც მე ასე შორსა ვარო.

დაეცა მუხლებზედ, დაიკრიფა გულზედ ხელები ისე, როგორც ენახა ქრისტიანთაგან და გაიხსენა იგი არსება, რომელიც უდანაშაულოდ ეგეთის მოთმინებით იწამა, როცა ჯვარზედ ეკიდა ხელ-ფეხ დალურსმული. გული აევსო დიდის ტკივილითა და თვალნი ზე ამართა და ნელის ხმით ჰსთქვა:

— მე შენ მოგმართავ წამებულო, მოწყალეო ძეო ღვთისავ, შენ უწყი რა მძიმედ ასატანია უსამართლო წყევა ადამიანთაგან და შენ ადვილად ჰსცნობ, რა რიგად უნდა მტკივნეულობდეს ამით გული ჩემი!

ხოლო ამბობენ, რომ გული შენი სავსეა განუზომელის სიყვარულითა და ამიტომაც მიმიხვდები იმასაც, რომ მე, ამოდენა ტანჯვის მნახველი, ვხადი ჩემს თავს უბედნიერეს დედაკაცად. თვითონ შენც, უსათუოდ, ამასავე ჰგრძნობდი, როცა გაწვალებდნენ შენ და შეგინებულ გყოფდნენ. შენც ხომ სიყვარულის გამო წვალებულ იქმენ.

იგინი ამბობენ, რომ შენ იყავ სრულიად წმინდა და უმანკო. მე კი, რასაკვირველია, ბევრი სულელობა ჩამიდენია, მაგრამ ცოდვა კი, ჭეშმარიტი ცოდვა ჩემს დღეში არ მიქნია! ეს ხომ თვითონ შენ უნდა იცოდე. შენ ხარ ღმერთი და ადამიანთა გულთამხილავი. რასაკვირველია, მე ვნატრობ, სულითა და გულითა ვნატრობ, რომ საუკუნოდ ვიყო უმანკოებით მოსილი, მაგრამ

რა ვქნა, რომ მე პოლიკარპისა უნდა შევიქნე მაშინ, როცა კანონით სხვას ვეკუთვნი?

განა შესაძლოა ჭეშმარიტი მეუღლეობა იმ კაცთან, რომელიც საზიზღარია გარყვნილობით, რომელმაც უნამუსოდ სხვას მიმყიდა? იგი ისე ეუცხოება ჩემს გულს, ისე ეუცხოვება, თითქო ჩემს თვალს თავის დღეში არ ენახოს. მაინც კიდევ, მერწმუნე, მე იმისათვის ცუდი არა მინდა რა. მე მსურს მხოლოდ, თავის დღეში იგი თვალით აღარ ვინახულო.

პოლიკარპი კი!... ჰოი, ნეტა ეხლა აქ იყოს!

იმან ჰსთქვა, რომ მე იმის საკუთრება ვარ, თუმცა ამისი მიზეზი თავის დღეში არ მიმიცია. მაგრამ ეხლა კი!... იმას რომ რამე ფათერაკი ან მწუხარება მოელოდეს, მე თუმცა ძნელად ვიტან ტკივილს და სიკვდილისაც მეშინიან, მაგრამ მაინც კი ხმამოუღებლივ ჯვარს გავეცმოდი, ლურსმით ზედა დაველურსმებოდი, თუ რომ იმითი დავისხნიდი მას, როგორც ჰქმენ შენ, რათა დაგვიხსნა ჩვენ ყოველნი.

ხოლო იმან უნდა იცოდეს კი მაშინ, რომ მე იმის გულისთვის ვკვდები. და როცა იგი თავის მშვენიერის თვალით ჩაიხედავდა ჩემს გასაქრობად მილეულს თვალებში, მაშინ ვეტყოდი, აი, როგორ გადაგიხადე შენი სიყვარული, რომელიც უზომოდ უმაღლესია სხვა ყველა სიყვარულზედ, რაც კი ამ დღემდი მე მინახავს და გამომიცდია. ნუთუ იგი, რაც ასრე უზომოდ უმაღლესია ყოველს კაცობრიულზედ ღვთისაგან არ უნდა იყოს ზეგარდამო ჩაგონებული! ნუთუ ამ გვარი სიყვარული ცოდვა უნდა იყოს! მე არ შემიძლიან ამის პასუხისგება იმიტომ, რომ არა ვიცი რა. შენ კი, ჰოი, ძეო ღვთისავ, ღმერთი ხარ და უნდა იცოდე. იგინი შენ კეთილ მწყემს გიწოდებენ. ბაშ, შევეყარე ჩვენ ერთმანეთს, ანუ გაგვაშორე. ერთის სიტყვით ჰქმენ ის, რაც უმჯობესია პოლიკარპისათვის და თუ შესაძლოა ერთმანეთი გვაჩვენე ერთს საათს მაინც! მარტო ის მინდა შევატყობინო იმას, რომ მე ისეთი ბოროტი არა ვარ, რომ საწყალს სირონას სურდა მასთან შეერთება, მარტო მასთან და არავის სხვასთან. მინდა მარტო, ეს შეეტყო იმას და მერე თუნდა მომკვდარვიყავ კიდეც. კეთილო, ჰოი კეთილო მწყემსო, გიმიღე მეც შენს სამწყოში და წინამძღვარ იქმენ ჩემი!“

ეგრე ილოცდა სირონა და ალერსით სავსე, მშვენიერი სახე ჭაბუკისა თვალწინ ედგა.

მოეჩვენა, რომ შევიდა ეითომ პოლიკარპის ოთახში და დაიწყო მილაგ-მოლაგება. პოლიკარპი კიდევ თვალს აყოლებს ყოველს მის მოძრაობას და თვალს არ აშორებს. უცრად წამოვიდა სირონასაკენ, შედგა და... გაშალა ხელები, რომ მოეხვიოს. სირონა შეკრთა, დაიფარა პირის სახე და გულდაკდომით დაეცა მის გულზედ. წასქდა თვალთაგან სიხარულის ცრემლი. გაშალა ხელები, რომ ყელზედ მოეჭდოს საყვარელს კაცსა, მაგრამ ამ დროს ტკბილი ოცნება უცრად გაუფთხა. რაღაც ნათელმა გაიელვა მღვიმეში და გაანათლა სიბნელე, ზედ მოჰყვა გრიალი ჭექა-ქუხილისა.

ოცნებიდამ გამოსული სირონა მივიდა მღვიმის კარებთან და გაიხედა. ბინდი მწყვდიად ღამედ გარდაქცეულიყო. ძავი ღრუბელი მოჰფენოდა ცას და სხვილი წვიმა შუილით მოდიოდა. პავლე კი არსადა ჰსჩანდა. უფრო და უფრო მოუხშირა ჭექა-ქუხილმა და ელვამ, უფრო და უფრო ბნელდებოდა. საშინელმა შიშმა აიტაცა სირონა. დაუწყო ყურება მთასა, რომლის წვერები ბნელ ზეწარში შეხვეულნი, ხანდისხან განათლდებოდნენ ხოლმე, როცა ელვა გაიკლაკნებოდა ცაზედ.

ერთი-ერთმანეთზედ ცეცხლის ისრები გველებსავით მიიგრიხებოდნენ შავს ღრუბლებშია. ერთი-ერთმანეთს მოსდევდა გრიალი ჭექა-ქუხილისა, თითქო უშველებელი ბუკია, ისე გაიხმაურებდა ხოლმე, მერე ერთი საშინლად დაიჭექებდა, გრიალით წავიდოდა და შორს სადმე მიჰსწყდებოდა.

უცრად ერთი საშინელი მეხი ჩამოვარდა და გაბრწყინდა ცა ელვისაგან; კლდე, საცა სირონას სადგური იყო, შეინძრა. მოიბუზა სირონა, კანკალით გაიქცა და მიიმალა მღვიმის კუნჭულში და ყოველთვის როცა ელვის ალი უცრად გაინათებდა მღვიმეში, სირონა თრთოდა.

ბოლოს ელვამ თანდათან იკლო, ქუხილი ისეთის ძალით აღარ გრიალებდა და დასასრულს ყოველივე მიჰსწყდა. ავდარმა გადიარა და სამხრეთისაკენ დაეშო.

XVI

მღვიმეში თვალგაუვალი სიბნელე იყო, საშინელი სიბნელე და რამოდენადაც სიბნელე მატულობდა, იმოდენად მატულობდა შიში და ელდაც სირონასი. როგორც წყალწაღებულს წყლის ნაპირი ენატრება, ისე სირონას ენატრებოდა სინათლე. ზოგჯერ თვალებს დაიხუჭავდა რამოდენადაც შესაძლოა მაგრად, სცდილობდა, წარმოედგინა სხივოსანი შუქი ნათლისა.

შიშმა ამოუვსო გული სხვადასხვა საშიშარის სურათითა და ელდითა. ვინ იცის, იქნება პავლემ სულაც თავი დამანება და დამაგდოო ჩემის ბედის ანაბარად? იქნება ამ საშინელებამ მთებში მოასწროო პოლიკარპს ჩემს საძებნელად წამოსულსაო და ბნელაში კლდეში სადმე გადიჩეხაო, ანუ მეხი სადმე დაეცა და სული გააფთხობინაო? ეს კლდე, მღვიმეს შემოსავალის თავზედ გადმოშვერილი, რომ მოირღვეს და გზა შემიკრას, რა მეშველებაო? მაშინ ხომ ცოცხლად დამარხულს აქ მარტოდმარტო უნდა ნელ-ნელა ამომივიდეს სული, ისე მოვკვდე, რომ კელარა ვნახო ის, ვინც ასე მიყვარს, ისე გამოვესალმო ამ წუთის სოფელს, რომ ველარ უთხრა მას, რომ მე შენს გულს არ ვუმტყუნეო.

ამ ფიქრებით ელდაცემული სირონა წამოხტა და ხელების ფაცურით გაიგნო გზა და მღვიმეს გარედ გამოვიდა. ველარ აიტანა ეს ხმაამოულებელი მარტოობა და საშინელი სიბნელე. მაგრამ ფეხი გააცილა მღვიმის შემოსავალს თუ არა, პოესმა ვიღაცის ფეხის ხმაურობა. ახალმა ელდამ შეიპყრო ქალი. ვის გაუბედნია ამ კლდეებზე სიარული ამ თვალგაუვალ ბნელა ღამეში? იქნება პავლე იყოს? იქნება პოლიკარპიც არის და სირონას დაეძებს? ამ უკანასკნელის ფიქრით ატაცებულმა სირონამ წაიღლო გულზედ ორივე ხელი, უნდოდა ხმა გაეცა, მაგრამ ენა დაუდუნდა და ხმა გაუწყდა.

თრთოლით და კანკალით სულგანაბული ყურს უგდებდა თანდათან ახლო და ახლო მომავალს ფეხის ხმაურობას. ძომავალმა თვალი მოჰკრა თეთრს კაბას და ხმა მიჰსცა. ეგ იყო პაველე. პავლეს ხმაზედ გულზედ პოეშო სირონას, თითქო ერთი ძლიმე ქვა აეცალაო და სალამზე სალამი მიჰსცა.

— მე მგონია, — ჰსთქვა მეუდაბნოემ. — ამისთანა საშინელე-

ბაში შიგნით ყოფნა უმჯობესი უნდა იყოს, ვიდრე გარედ. იმაზედ კი მაინც გული დაჯერებული მაქვს, რომ ამისთანა ჰაერში ყოფნა ვერაფრად მოსაწონია.

— თვითონ შიგ მღვიმეშიაც საშინელება იყო, — უპასუხა სირონამ. — მე დიდი შიში და ელდა გამოვიარე ამ საშინელს სიბნელეში, რომ მარტო ვიყავი. ჩემი პატარა ძაღლი მაინც მყოლოდა, რაც უნდა იყოს, სულიერი მაინც იყო.

მე ძალიან ვეჩქარებოდი რამოდენადაც კი შესაძლოა ადამიანისთვის. მაგრამ აქ გზები ისე გატკეცილი არ არის როგორც ალექსანდრიის ქუჩებში და მე რადგანაც ცერბერი არა ვარ და სამი თავი არ მაბია, ამისათვის ვამჯობინე ნელა ვიარო-მეთქი და შინ მშვიდობით მივიდე-მეთქი. ფრინველმა, რომელმაც ეგ ქარიშხალი მოგვიტანა, ერთბამად შთანთქა თითქო შუმლიაო. რაც ვარსკვლავები იყო და ბებერი მთა ისე შეწუხდა ამ ამბავზედ, რომ ყოველ მხრიდამ მის ქვიანს ლოყებზედ წამოსქდა ნიაღვარი ცრემლისა. აქაც კი სისველეა! მღვიმეში შედი, ერთი სადმე მშრალს ადგილს გამაშლევინე რაც მოგიტანე. ხვალ საღამოს ბინდი ჩამოვარდება თუ არა, გზას შევუდგებით. გემი ვიშოვე, რომელიც კლეზლას მიგვიყვანს და იქიდამ მე თვითონ წაგიყვან ალექსანდრიამდე. აი, ამ ტყავშია გახვეული ტანისამოსი და ჩადრი. თუ გინდა რომ გზა-კვალი დაუბნიო ფებაცის, ამ ტანისამოსით უნდა მოირთვა, თორემ თუ მაგ ტანისამოსით გნახეს, შენ ფებაცის ვერ დაემალები.

— მე მგონია, აქაც კარგადა ვარ დამალული, — უპასუხა სირონამ. მე ზღვაში სიარულისა მეშინიან. ამასთანაც თუნდაც მშვიდობით მივიდე ალექსანდრიაში, მაინც კიდევ არ ვიცი, როგორ...

— ეგ ჩემი საქმეა, შენ ფიქრი ნუ გაქვს, მე დაგაბინავებ, — გააწყვეტინა სიტყვა პავლემ. ხომ გაგიგონია ლომისა და ვირის ზღაპარი. აი ეგრეა ხოლმე, რომ ხშირად ლომს ვირის ტყავი აცვია. გუშინ შენ სიამოვნებით იგონებდი სრა-სასახლეების მედიდურობას და ნატრობდი მათში მცხოვრებელის პეჯნიერებას. შენც ერთს იმისთანა მარმარილოს სრა-სასახლეში იდგები და როგორც პატრონი ისე მოიხმარებ, არავინ შეგეცილება. რაც შე-

ეხება ტახტრევანს, ეტლსა, შინა მოსამსახურებს, იმისი მე ვიცი, ყველაფერს გიშოვნი. ნუ ეჭვობ, მე იმისთანას არას დაგპირდები, რომ ასრულება არ შემეძლოს, — დამიჯერე. აი წვიმასაც გადუღია, ეხლა ცეცხლს ავანთებ. ეხლა, ღამე მშვიდობისა და დანარჩენი კი ხვალინდელს დღეს დავაცალოთ.

გაოცებული სირონა დაემორჩილა პავლეს ბძანებას. უწინ რამდენჯერ უნატრია სირონას ყოველივე ის, რასაც ეხლა ჰპირდება ეს უცნაური მამინაცვალი. ეხლა კი ყოველივე ეს არაფრად მიაჩნდა. გულში ჩაინერგა, რომ არას შემთხვევაში არ აჰყვეს პავლეს რჩევას, რადგანაც პავლეზედ რაღაც ეჭვი დაებადა, ამიტომაც გულგრილად უპასუხა პავლეს გამომშვიდობაზედ და უთხრა:

— ხვალ საღამომდე კიდევ ბევრი დროა, რომლის განმავალობაში შეგვიძლიან უფრო კარგად მოვიფიქროთ ყველაფერი.

პავლე ცეცხლის ანთებას შეუდგა და სირონა მაინც მარტო დარჩა ბნელაში და ხელახლად შიშმა წაიღო. დაუძახა პავლეს და უთხრა:

— მე ამ ბნელაში მეშინიან. დღეს დილით შენ კიდევ რაღაც ზეთი დაგრჩა, იქნება ჭრაქი მაინც მოვახერხოთ, თორემ ბნელაში ყოფნა საშინლად მაშინებს.

პავლემ სწრაფად წამოავლო ხელი რაღაც ნატეხს, ჩაასხა ზეთი, მოხია თავის ისეც დაფხრეწილს კალთას მჩვარი, დაგრიხა პატრუქად, ჩადო ზეთში, მოუკიდა და მიაწოდა სირონას ამ სიტყვით:

— ჯერ დრომდე ამ ჭრაქმა გაიწიოს სამსახური, ალექსანდრიაში კი მე ვეცდები გიშოვნო იმისთანა კანდელი, რომელიც ჩემზედ უკეთესის ოსტატისაგან იქნება გაკეთებული.

სირონამ თახჩაში თავით დაიღგა ჭრაქი და მიწვა ლოგინზედ. როგორც ტყის ნადირი ფთხის ნაფელზედ, ისეც შიში, რომელიც ამღვრევს ხოლმე კაცის მშვიდობიანობას. ყოველივე საშიშარი ფიქრი თავიდამ მოშორდა სირონას.

გულდადინჯებული იწვა ლოგინზედ და მტკიცედ ჩაინერგა გულში, რომ იმ დრომდე არ წავიდეს ამ მღვიმედამ და არ მიენდოს მეუღაბნოეს, ვიდრე როგორმე არა ნახოს პოლიკარპი და

იმასთან არ მოილაპარაკოს. ხომ იცის ეხლა სადაცა ვარო, იფიქრა სირონამ. უთუოდ ამოვაო დღესა თუ ხვალეო.

„ხვალ, იმედი მაქვს, ვხახავ, — ამბობდა სირონა. — ჩემს გულს მთლად გადვუხსნიო. იგი ჩაიხედავს ჩემს გულში და ჰსცნობს, რომ როგორც გადაშლილს წიგნში, მისი სახელი ჰსწერია ყოველს ფურცელზედ, ყოველ სტრიქონზედ. მე იმასაც ვუამბობ, რომ დღეს მე ჩემი ლოცვა მივმართე მის „კეთილს მწყემსსა“ და მას შემდეგ გული დამიამდა, მწუხარება გამინელდა. მე ვეტყვი, რომ ისეთივე ქრისტიანად ყოფნა მინდა, როგორც მისი დედაა, როგორც მისი დაი მარტანაა. დოროტკას ძალიან გაუხარდება, ამას რომ გაიგებს. მე იმას თავის დღეში აღ დედაკაცად არ მივაჩნდი. ყოველთვის სიყვარულით მექცევოდა. პატარები ხომ რაღა... სიხარულით ხტომას დაიწყობენ“.

მხიარული სახენი პატარა ბავშვებისა წარმოუდგნენ თვალწინ, მერე ფიქრი ბურანმა ნელ-ნელა შეიპყრო და ბოლოს ნუგეშმცემელი ძილი ნაზად ჩაეპარა გულში და გაუფანტა უკანასკნელი ჩრდილი დღეთა ცხოვრების მზრუნველობისა.

ღიმილით ბაგეზედ ჩაეძინა სირონას როგორც გულუბრყვილო ბავშვსა, მისი უცნაური ზედამხედაი ამ დროს ისევ ცეცხლს დაჰსტრიალებდა და რაც შეეძლო უბერავდა სველს შეშას, რომელსაც ძნელად ეკიდებოდა. ზოგჯერ კი მოშორდებოდა ცეცხლს, წინა და უკან დადიოდა და მხურვალეს თვალით გაიცქირებოდა იქით, საცა ჭრაქის შუქზედ მოჩანდა მძინარე სირონა.

აქამომდე ჯერ კიდევ გონება არ მოეკრიფა, მას აქეთ, რაც პოლიკარპი დაამარცხა. ერთს წუთსაც არ შეუნანია იგი, რაც ღღე დააყენა პოლიკარპს. სულ ფიქრადაც არ მოსვლია, რომ ძირს დაცემა პოლიკარპისა უბედურობით გათავდა.

ეგრე უნდაო იმისთანა კაცნიერს და თავზედ ხელაღებულ კაცსაო! ვინ მიჰსცა იმას ნება, რომ სირონას წამოსარჩლებოდაო, მაშინ როდესაც მე, პავლემ, სირონა სიკვდილს გადავარჩინეო და ყოველივე მზრუნველობა მასზედ კისრად ვიდეო?

ჯერ პირველ შეხვედრაზედვე სირონას სიტურფემ ამოვნებით აავსო გული პავლესი, როცა იგი აღტაცებით შეჰყურებდა

ლამაზს ქალს და გულმტკივნეულობით ყურს უგდებდა მის გულწრფელს ლაპარაკსა. მხოლოდ პოლიკარპის აღსარებამ ჩაუგდო გულში ნაპერწკალი; და ეს ნაპერწკალი უშველებელ ცეცხლად გაღააქცია იჭვმა და შიშმა, რომ სირონას სხვა წამართმევსო.

არ უნდოდა ეს ქალი დაეთმო ვისთვისმე, უნდოდა, რომ სამუდამოდ ამაზედ მზრუნველობა თვითონ ჰქონოდა. უნდოდა, რომ ის ქალი მარტო, მარტო ამის მადლობელი ყოფილიყო და სხვის არავისი. ამიტომაც ასე აჩქარდა, ასე გულმოდგინედ სულით და გულით მიეცა სამგზავროდ მზადებასა, რომ ეს ქალი მალე გააქციოს როგორმე. ავდარს და ნიაღვარს, ჭექა-ქუხილს, ღამის თვალგანუწვდენელს სიბნელეს, არაფერს არ შეუშინდა და როცა თავიდამ ფეხამდინ გაწუწვილი, დაქანცული, ხელის ფაცურით გზას იკვლევდა, კლდიდამ კლდეზედ ბობღინობდა სასიკვდილოდ თავგამომეტებული, იგი მხოლოდ სირონაზედ ჰფიქრობდა, ზრუნავდა მასზედ, თუ როგორ მიიყვანოს მშვიდობით ალექსანდრიაში, როგორ დააბინაოს, როგორ მიანიჭოს ყოველისუერი, რითაც კი დედაკაცის გული სიამოვნებს ხოლმე.

ბევრგვარი აზრი მოსდიოდა, ბევრგვარი სარისტა დაიწყო, მაგრამ ყოველს ამას მარტო სირონას სიამოვნებისათვის ლამოდა. საკუთრივ თავისთვის კი არა უნდოდა რა, სრულიად არაფერი.

როცა ჭრაქი აანთო და ჭრაქის შუქზედ ხელახლად დაინახა სირონა, მისმა სიტურფემ თავზარი დაჰსცა. ხოლო დიდხანს ვერ დაჰსტკბა საუცხოო ხილვითა. სირონამ მალე ღაანება თავი და მარტოდ დააგდო წვიმის ქვეშ ღამის სიბნელეში.

მოუსვენარად დადიოდა წინა და უკან. უფრო და უფრო ცეცხლს უკიდებდა მწვავი სურვილი, რომ ერთხელ კიდევ ნახოს ჭრაქის შუქით განათებული სახე და ჭრაქისაკენ ვამოწვდილი თოვლივით თეთრი ხელი. უფრო და უფრო უძლიერდებოდა გულის ფეთქა.

როცა მღვიმეს შესავალს წინ გაუვლიდა და შიგნიდამ შუქი გამოკრთოდა, რაღაც იდუმალი ძალი ეწეოდა შიგნით, რომ ერთხელ კიდევ დაინახოს მშვენიერი ქალი. ეხლა პავლე იმაზედ აღარ ფიქრობდა, როგორმე ლოცვით და გვემით მოიშოროს თავიდამ მაცდური წადილი, ეხლა საბუთს ეძებდა, რომ თავის-

თავის წინაშე თავი იმართლოს, თუ რომ შიგ მღვიმეში შესვლა მოუხდებოდა. მიზეზიც მალე იპოვა, ცივი ღამეაო, ტყაპუჭი იქა მაქვსო. განიზრახა შესვლა და გამოტანა, თუმცა აღთქმა დადებული ჰქონდა, რომ ტყაპუჭი ტანზედ აღარ მიიკაროს. ახლა სირონა, ვჰსთქვათ, კიდევ ვნახეო, მერე რაო? ჰკითხა თავის თავს.

როცა დირეს ფეხი გადააცილა, გულის ხმამ ურჩია, უკან დაბრუნდიო; ეუბნებოდა, რომ მრუდე გზაზედ მიხვალო, ფეხის თითებზედ მიცოცავო, როგორც მპარავი და ქურდიო! მაგრამ აქავ თავი გაიმართლა, ფეხის თითებზედ მივცოცავო მისთვის, რომ სირონას ძილი არ დავუფთხოვო. ამის მერმედ ჩაუჩუმდა გულის ხმა იმიტომ, რომ მივიდა კიდეც იმ ადგილამდე, საცა სირონას ეძინა.

სირონას ეძინა თავის ხმელს ლოგინზედ, ძილით მოცულს როგორც ფერიას. გარშამო ბნელოდა. სუსტი ნათელი ჭრაქისა შუქსა ჰსცემდა მარტო ერთს პატარა კუნჭულს მღვიმისას. ხოლო პირისსახე, გულ-მკერდი და ხელები ქალისა, რომელთაც ჭრაქი შუქსა ჰფენდა, ჰნათობდნენ თითქო საკუთარის შუქითაო და აძლიერებდნენ ჭრაქის სუსტს ნათელსაო.

პავლემ სული გაინაბა, დაეშვო მუხლებზედ და თვალნი აღტაცებით და მხურვალედ გაუშტერა მშვენიერს სახეს მძინარისას. სირონა ამ დროს სიზმრებში იყო. მისი თავი, ოქროს თმებით გარემოცული, ბალახების ბალიშზედ ესვენა, პირისსახე, ნაზად ვარდისფრად წამოწითლებული, მიქცეული ჰქონდა მღვიმის ჭერისაკენ. მისი ნელად მოკუმშული ბაგენი მოძრაობდნენ... აი, ტოკვა დაიწყო ოდნად მოხრილმა თეთრმა ხელმაც, რომელიც ესვენა შუბლზედ, ჭრაქის შუქით განათებული.

— „განა ჰსთქვა რამე?“ — ჰკითხა თავის თავს პავლემ და მაგრად მიეყრდო გამოშვერილს კედელს კლდისას, თითქო ამით უნდაო, შეაყენოს ძარღვში აშფოთებული სისხლი, რომ თავში არ აუვარდესო. სირონას ხელახლად აუთრთოლდა ბაგენი. — ჰსთქვა რამე თუ არა, იქნება მე მიხმოო.

არა, ვერ იხმობდა, რადგანაც ქალს ეძინა. პავლეს კი უნდოდა, რომ ეგ ეგრე ყოფილიყო. უფრო ახლო და ახლო მიიწია. ბოლოს მოიხარა თავი და ხმაგაკმენდით მოჰყვა ყურის გდებას, მაგრამ ღონემ უღალატა, სუნთქვა დაუდგა, თავბრუ დაესხა. თა-

ვი ველარ შეიმაგრა და ბალნიან ტუჩებით დაჰსწვდა ჯერ ხელს, რომელიც ქალმა უკან წაიღო ძილში, მერე თვალნი უძრავად დააშტერა ოდნივ განპობილ ქალის ბაგეთა, რომელთაც შორის გამოჰკრთოდნენ თოვლივით თეთრი კბილები. ამ პატარა ბაგეთა კოცნის წყურვილმა შეიპყრო მთელი მისი არსება უძლეველის ძალითა.

მთელის ტანით მთრთოლარემ, დაიწია თავი რომ კოცნის წყურვილი მოიკლას, მაგრამ უეცრად თავი მოარიდა, თითქო რაღაც მოჩვენებამ თავზარი დაჰსცაო. ეხლა თვალნი მისნი მიეპყრნენ ლალისფერს ტუჩებს კი არა, არამედ ხელს, რომელიც ესვენა მძინარე ქალის შუბლზედ.

შუქი ჭრაქისა სხივსა ჰსცემდა ოქროს ბეჭედს, რომელიც ხელზედ ჰქონდა სირონას და ბრწყინვალედ ანათებდა შიგ ჩასმულს ქვას, რომელზედაც გამოჭრილი იყო სახე ტიქეისა, ანტიოქიის ღმერთასი, თავზედ ბურთით და ხელში რქითა.

ეს რომ ნახა, სისხლი უფრო აემღვრა და გულმა უფრო ძლიერ დაუწყო ცემა. მაშინვე უბეს იკრა ხელი, და ამოიღო პატარა რკინის ჯაჭვი და ბეჭედი, რომელიც წინად გერმასის დედას შესხნა, როცა იგი გადიცვალა. სინათლეზედ გასინჯა და ნახა, რომ იმისთანავე ქვა ზის, იმისთანავე სახეა ამოჭრილი როგორც სირონას ბეჭედზედ. აკანკალებული ხელი მისი ძირს ჩამოეშვა მისთვის ძვირფასის განძითა, მერე ორივე ხელი წაიელო აბურძგნულს თმებში, ერთი საშინლად ამოიკვნესა და თითქოს შენდობას ევედრებაო, რამდენჯერმე ახსენა სახელი მაგდალინასი.

მერე ხმამაღლა დაუძახა სირონას და როცა შეშინებულმა გამოიღვიძა, ჰკითხა: — „ვინ მოგცა შენ ეგ ბეჭედი?“

— ფებიციმ მაჩუქა და მითხრა რომ ანტიოქიაში მაჩუქესო რამდენიმე წლის წინადაო. ეხლა მე ეს ბეჭედი არც კი მინდა, რომ მქონდეს. თუ მოგწონს, წაიღე, შენი იყოს.

— გადააგდე! — დაიძახა პავლემ. — შენ ეგ ბედნიერებას არ მოგიტანს!

ამის შემდეგ ხელახლად დაიმორჩილა თავი, ადგა, თავი დაღუნა, გავიდა გარედ, მიეგდო სველ ქვებზედ და წამოიძახა:

— მაგდალინავ, შენ წმინდა ხარ! შენ გლიცერა გერქვა და წამებულ კი იქმენ ღვთისათვის და მით მოიპოვე გზა საუკუნო ცხოვრებისა. მეც, მეც მჭონია დღენი სიმაროლისანი და მაშინ ვბედავდი და ჩემს თავს პაულეს ვუწოდებდი. ეხლა კი, ეხლა?

სასოწარკვეთილებით აღვსილი იცემდა თავში ხელს და კვნესოდა: — „წარხდა ყოველი ჩემთვისა, წარხდა!“

XVII

ყოველს კაცს არ შეუძლიან იგრძნოს, რა არის ის საშინელი მწვავი ტკივილი, რომელსაც გამოივლის ხოლმე სული, თავის თავზედ იმედგადაწყვეტილი და სასოწარკვეთილი. მაგრამ ესეც კია, რომ რამოდენადაც ამ შემთხვევაში ტანჯვა და ქენჯნა ძლიერია, იმოდენად ნატკივარს გულს შვებაც ეძლევა ხოლმე.

პავლეს ფიქრში აღარ მოსდიოდა ლამაზი მძინარე ქალი. იგი, შეწუხებული იმ საშინელის სულის ქენჯნითა, მიეგდო ტიტველა ქვებზედ და ჰგრძნობდა, რომ ყოველივე ბრძოლა ამაოა და ფუჭი. როცა მან სხვის მაგიერად იკისრა ცოდვა და მიიღო სასჯელი, როცა კისრად იდო გერმასის სამარცხვინო საქციელი, მაშინ ეგონა, რომ მაცხოვარისაგან ნაჩვენებ გზას დავადექიო. ეხლა კი? ეხლა კი იგი ჰგვანდა იმ კაცს, რომელიც დაეწია თავის სასურველს საგანს და როცა ხელი უნდა წაევლო, წამოჰკრა ფეხი ქვას და ჩავარდა ლაფში.

— „ღმერთი ხედავს წადილს და არა მოქმედებას“, — ჰფიქრობდა გულში. — „რა დავაშავე მე სირონის წინაშე და რა არა, ეგ სულ ერთია, ამას ვინ იკითხავს. როცა მე გავიწიე სირონასაკენ, მე მაშინ ვეყმე სატანას და ამით თანაზიარი გავუხდი დაუძინებელ მტერს მისას, ვისაც შევჰსწირე მე ჩემი სული და ხორცი. რას მიშველის მე, რომ გამოვეთხოვე წუთისსოფელს და აქ, ამ უდაბნოში ვგდივარ? ვინც ბრძოლას თავს არიდებს, რასაკვირველია, შეუძლიან დაიკვეხოს მე ჯერ არავის დავუმარცხებივარო, მაგრამ ამით განა ის გმირად ჩაითვლება? დაფნის ფოთოლის ღირსი მარტო ის არის, ვინც ამ ქვეყნიერ ბრძოლაში

არ გაიმრუდებს გზას ცისაკენ მიმავალს და არ შეიშლის სიარულს. მე კი ვეხეტებოდი მარტოდ და როცა წინ შემხვდა ყმაწვილი კაცი თავისის მუქარითა და დედაკაცი თავისის სილამაზითა, დავივიწყე ჩემი გულითადი საგანი და მსწრაფლს ჩავეშვი სატანის წუმპეშია. ეგრე არ იქნება, მე აქ იმას ვერ ვიპოვი, რასაც ეძიებს სული ჩემი! მაშ როგორ და სად? განმანათლე მე, უფალო, და მასწავლე, რა უნდა ვჰქმნა“.

ამ ფიქრებში გართული პავლე წამოდგა, დაიჩოქა და გულმოდგინედ დაიწყო ლოცვა. როცა ბოლოს წარმოჰსთქვა „ამინო“, თავი გაუხურდა თითქო ეწვისო და ენა თითქო გაუშრაო.

ამასობაში ცამ ღრუბელი გადიყარა, მარტო ჩასავლეთისკენ კიდევ შავად მოჩანდნენ შეჯგუფებულნი. ხანდისხან სადმე შორს გამოჰკრთებოდა კიდევ ელვა და ანათებდა ჩაკბილულს წვერს კლდეებისას. მთვარეც ამოსული იყო, მაგრამ მისი კლებაში შესული დისკო დაფარულიყო მსწრაფლ მორბედ ღრუბლებითა. ბრწყინვალე ნათელი ელვისა, ნაზი შუქი მთვარისა და სრულიადი სიბნელე ღამისა საოცარის სისწრაფით რიგ-რიგად მოივლინებოდნენ. ბოლოს პავლე ადგა და დაეშო წყაროსაკენ, რომ წყალი დალიოს და გაიგრილოს გახურებული შუბლი.

გზად მიმავალი ამბობდა, რომ მე უნდა დავიწყო სხვა ახალა ცხოვრებაო და მინამ ამას შევუდგებიო, ჯერ პირველად წარსულთა ცოდვათა მონანიება მმართებსო. მძიმე საკანონო უნდა დავჰსდო ჩემს თავსაო. მაგრამ როგორი საკანონოო?

წყაროს პირს იდგა, როცა ეს ფიქრი მოუვიდა და დასალევად დაწაფვას ლამობდა. მაგრამ მინამ პირს დააკარებდა წყალს, წამოდგა ისევ, ხელახლად გაჰსწორდა ტანში. სახელდობრ იმიტომ, რომ წყურვილი ჰსწვავდა და უნდოდა უწყლოობით დაესაჯა თავი.

სწრაფად მოარიდა თავი წყაროს და უკუიქცა. როცა ამ რიგად დაიმორჩილა თავი და იგრძნო, რომ ცოტაოდენად მაინც ვძლიე ჩემ თავსაო, მის ამღვრეულს გულს ცოტა შვება მიეცა.

მას უნდოდა, მოშორებოდა აქაურობას, ამ უდაბნოს, ამ წმინდა მთას და საითმე გადაკარქულიყო. მაგრამ საით და რად? ხომ მარტო წვალება უნდოდა თვითონ და წვალებაც ეგ იყო. — „ვის

უნდა გაექცევო, ვის?“ — ჰკითხავდა დაჟინებით თავის თავს და ეს პასუხი იპოვა:

ის, ვისაც შენ გინდა მოშორდე და გაექცე, თვითონ შენა ხარ. შენი მტერი საკუთარი შენი „მე“ არისო და საცა უნდა გადიკარქო, იგი ყველგან თან გამოგყვებაო, უფრო ადვილია მოიშორო თავიდამ შენი ჩრდილიო, ვიდრე შენი „მე“.

პავლემ ეხლა სრულიად იგრძნო თავისი საკუთარი უძლურება და შემდეგ იმ წვალებისა, რაც ამ უკანასკნელს საათებში გამოიარა, სულ მოიშალა ტანში, მოჰსწყდა და დიდს მწუხარებაში ჩავარდა.

ღონე მოკლებული, მისუსტებული, თავ და სიცოცხლე მოძულებული პავლე მიეგდო ქვებზედ და დაიწყო მასზედ ფიქრი, რაც ამ უკანასკნელ დღეებსა და საათებში გამოიარა და შეემთხვა.

— „ყველა სულელზედ, რომელიც კი ოდესმე მე მინახავს, მე შორს წაველ და ყველას გადავაჭარბე“ — ამბობდა თავისთავად პავლე. — „ამასთან ისე ნაირად ავრიე ჩემი გზა და კვალი, რომ ბრძენიც ვიყო, ველარ გავასწორებ. ერთხელ ვიღაცამ მიამბო, რომ ყოფილა ვითომ ერთი ვიღაც უდაბნოელი, რომელსაც აქაო და სამღთო წერილში ჰსწერია, მკვდრებს დამარხვა უნდაო, აუღია და რადგანაც ცხედარი არსად ყოფილა, მოუკლავს მგზავრი, რომ სამღვთო წერილის ბძანება დამარხვის შესახებ მით აესრულებინა. სწორედ ისე მომივიდა მეც. რადგანაც, იმისათვის რომ სხვა გადავარჩინო წვალებას და სხვის ბრალი კისრად ვიდო, მე უბედურებაში ჩავაგდე პატიოსანი ქალი და თვითონაც ცოდვილ შევიქმენ. რა წამსაც ირაჟრაჟებს მე სოფლისაკენ გავწევ და ყველაფერში გავუტყდები პეტრესაც და ეპისკოპოს აღაპიტსაც. იგინი საკანონოს დამდებენ და მე ვეცდები, რომ ის საკანონო უნაკლულოდ ავასრულო. რაც უფრო ნაკლებ შეიცბრალებ ჩემს თავს, მით უფრო მალე შემიბრალებს ყოველად მოწყალე და უკვდავი გამკითხველი ჩემი“.

ადგა, შეხედა ვარსკვლავებს და რა ნახა, რომ გათენება მალე იქნება, გაემართა სირონასთან წასასვლელად და გადადგა ფეხი თუ არა, ერთი შესაბრალისი კვნესა მოესმა. ყური დაუგდო, ხელმეორედ მოისმა უცნაური კვნესა. პავლემ იფიქრა იქნება

დაჭრილი ნადირიაო სულის დალევამდე მიხწეულიო, და გაჰსწია იქით, საიდამაც კვნესის ხმა მოდიოდა.

კვნესის ხმა თანდათან უფრო გაძლიერდა და მოუხშირდა, თანდათან უფრო გულსატკივარი ხმა ისმოდა. მაშინ კი მიხვდა, რომ ის ხმა უსათუოდ ადამიანისა არის. მიიხედ-მოიხედა და ნახა, რომ იქავ გადმოშვერილ კლდის ქვეშ გდია უძრავად ადამიანი.

„იქნება მწყემსი ვინმეა, მეხისაგან გაფუჭებულიო“, – იფიქრა პავლემ. მივარდა ტანჯულს, ნელა წამოჰსწია და გულზედ მიიყრდო სნეული. და როცა ცხვირში ეცა სუნი თმებზედ ცხებულ სურნელოვანის ზეთისა, მაშინ დაებადა საშინელი წინადგრძნობა.

„პოლიკარპ, შენა ხარ?“ — დაიძახა პავლემ და უფრო ძალიან მოხვია ხელები სნეულსა. პოლიკარპი შეიძრა და ცოტა რამ წაიდუდუნა წყნარა და გაუგებრად, მაგრამ იმოდენად კი, რომ პავლემ გული დააჯერა, რომ მართლა პოლიკარპია.

გულმტკივნეულად ამოიოხრა პავლემ, გადეხვია დაუძლურებულს ყმაწვილ კაცს, მერე სიფრთხილით ასწია და როგორც ბავშვი წაიღო წყაროსაკენ და იქ თავისი პატიოსანი ტვირთი დაუშვო ძირს ბალახზედა.

პოლიკარპი შეტოკდა და აახილა თვალები. ამ დროს გარიჟრაჟდა კიდეც, სუბუქს ღრუბლებს ცის აღმოსავლეთის მხრივ ვარდისფერი ქობა გაუკეთდა და ახლად დაბადებული დღის ნათელი ლამოდა ბნელის ზეწრის ახდას და ქვეყნიერობის სახისა და ფერის გამოჩენასა.

ყმაწვილმა კაცმა იცნო უდაბნოელი, რომელიც აკანკალებულის ხელით ჰბანდდა წყლულს კეფაზედა. ცეცხლივით აენთო თვალები პოლიკარპს და შეიკრიბა რა უკანასკნელი ღონე, ჰკრა ხელი პავლეს, რომ თავიდამ მოიშოროს.

პავლემ უკან არ დაიწია და ხელის კვრა ისე მიიღო, როგორც მოკითხვა, როგორც ჯილდო და იფიქრა: — „დიახ, ხანჯალიც რომ გქონოდა ხელში, მაშინაც ადგილიდამ არ ღავიძროდი“.

დაჭრილობა პოლიკარპისა მეტად მძიმე და დიდი იყო, ხოლო სისხლი თმებში ჩაჰკდომოდა და შეეკრა პირი წყლული-

სათვის. ასე რომ სისხლის დენა ამით შემწყდარიყო. როცა პავლემ მოჰბანა წყლული, ხელახლად წამოჰსქდა სისხლი. სისხლის დენა მოემატა მას შემდეგ უფრო, როცა პოლიკარპმა თავის მტერს პავლეს შეუტია ხელის კვრითა. ყოველ ამან დაასუსტა ისეც მისუსტებული პოლიკარპი და ამიტომაც იგი, უღონობით გრძნობა მიხდილი, დაეცა პავლეს მისაშველებლად გაწვდილ ხელებზედ.

სუსტმა დილის ნათელმა უფრო მეტად გააფითრა უსისხლობით გაფითრებული და ფერმილეული სახე ყმაწვილ-კაცისა, რომელიც თვალებ ამღვრეული და უკანასკნელ ღღემდე მიხწეული ესვენა უდაბნოელის ხელებზედა.

„სულსა ჰლევსო“, — წაიდუდუნა პავლემ და ელდაცემული, სულგანაბული ხან ცას შეხედავდა, ხან მინდვრებს გადაჰსცქეროდა თითქო ეძებსო ადამიანს, რომ იშველიოსო.

თვალწინ მოჩანდა დიდებული მთა, დილის სხივებით მორთული, რომელზედაც უფალმა ქვის ფიცარზედ დაჰსწერა კანონი თავის საკუთარის ერისათვის და მთელ ქვეყნიერობისათვისაც. პავლეს მოეჩვენა უზარმაზარი სახე მოსესი, რომელიც ვითომ გადმომდგარა ერთს მაღალ ცერზედ და ხმამაღლა ღაღადებს ყველაზედ უმძიმეს მცნებას: „არა კაც ჰკლა“.

პავლემ თვალებზედ ხელი აიფარა და შიშის ზარით ელდაცემული იდგა ხმაამოუღებლივ გულზედ მიყუდებულ ტვირთითა. თვალებზე ხელი აიფარა იმიტომ, რომ ეშინოდა დაენახა ფერმკრთალი სახე ყმაწვილ-კაცისა და უფრო მთა. მაგრამ ძლიერი ხმა მაღალის მთიდამ უფრო და უფრო ღაღადებდა, უფრო და უფრო ძლიერ ისმოდა. პავლეს გულში ხმაურობდა სასტიკი ხმა უფლისა: „არა კაც ჰკლა“. მერე მეორე: „არა გული გიოქმიდეს ცოლისათვის მოყვასისა შენისა“, და მესამე: „არა იმრუშო“. და ბოლოს მეოთხე: „არა იყვნენ შენდა ღმერთნი უცხონი ჩემსა გარეშე“.

„ვინც შეჰსცოდავს თუნდ ერთს რომელსამე მცნებას ამ ოთხიდამ, იგი შეჩვენებული და წყეულია. მე კი, მე კი ოთხსავ ერთად შევცოდე, ოთხივ ერთად დავარღვიე ცხონების ეკლიანს გზაზედ“. — იძახოდა სასოწარკვეთილი პავლე თავში ცემით.

უნებლიედ ხელნი აიპყრო ცისა მიმართ, მძიმედ ამოიკვნესა და შეხედა მთას. რა ნახა ძთაზედ? სინაის წვერზედ საყარაულო იყო, საცა მუდამ ყარაული იდგა მტერის საზვერად, იმ საყარაულოს წინ ფრიალებდა ალამი ნიშნად იმისა, რომ მტერი გამორჩდა და მოდისო.

პავლე მართალი იყო. როცა ეს ამბავი დაინახა და მოსალოდნელის შიშისა გამო გონება ისევ მოეკრიფა, ნახა, რომ ხმა, რომელიც მას მთის წვერიდამ მოესმა, ყარაულის საყვირის ხმა იყო გასაფთხილებლად მცხოვრებთა და მეუდაბნოეთა.

გერმასი დაბრუნდა თუ არა? იქნება ბლემიელებმა გზა აუქციეს? რომელ მხრიდამ მოდის მტერი? აქ მომაკვდავთან უნდა დარჩეს პავლე, თუ მოვალეობა ითხოვს, წავიდეს და თავისი ღონიერი მკლავი მოიხმაროს თავის მოძმეთა საშველად?

ამაების კითხვით და შიშით დაჰსცქეროდა იგი ფერმალეულს სახეს ჭაბუკისას და გული აევსო მტკივნეულობით და სიბრალულითა. რა მშვენიერი იყო ეს ნორჩი ყვავილი, რომელიც ყუნწში გადატეხილ იქმნა ამის ტლანქის ხელითა! ამ შავ ხუჭუჭ თმასა ჯერ კიდევ გუშინ ათამაშებდა ხომ დედის ნაზი ხელი! უდაბნოელს თვალში ცრემლი მოერია, დაიხარა და როგორც მამამ, ალერსით აკოცა უსისხლო ტუჩებს უსულო ჭაბუკისას.

სიხარულის ჟრუანტელმა გაურბინა ტანში ამიტომ, რომ ტუჩები პოლიკარპს ჯერ კიდევ თბილი ჰქონდა და აი, ხელითაც ტოკვა დაიწყო... მადლობა ღმერთს! ხელახლად თვალიც ახილა.

— „მე კაცის მკვლელი არა ვარ, არა“, — უგალობდა პავლეს გულში ათასნაირი ხმა ლხენითა და სიხარულითა. მერე ჰსთქვა: — „ჯერ თავის მშობლებთან მივიტან ამას და მერე — ძმებთან!“

უეცრად ხელახლად გაისმა ხმა საყვირისა და მყუდროება უდაბნოსი დარღვეულ იქმა ადამიანის ძახილითა და კივინითა; თითქო ჯადომ ჩაუდგა სული ამ უენო უდაბნოსაო და ქვებს და კლდეებს ხმა ამოაღებინაო, ასეთი ჟღრიამული ადგა.

— გვიანღაა, გვიან! — ჰსთქვა პავლემ. — მე რომ შემძლებოდა, მე რომ მცოდნოდა....

— ჰაი, ჰაი, ღვთის მოშიშო პავლე! — გააწყვეტინა ფიქრი ქალის ხმამ, რომელიც მაღლიდამ მოისმა. — გერმასი კარგად

არის, გერმასი ხელახლად აქავეა! აბა შეხედე ზევით, აქ ბაირაღი ფრიალებს. იმიტომ, რომ გერმასმა შეატყობინა ყარაულებს. ბლემიელები მოდიან და გერმასმა შენთან გამომგზავნა, რომ გიპოვო სადმე. ჩქარა წამოდი, იმ ბურჯში გელოდება, რომელიც გზის მხარ-მარჯვნივ არის. ჩქარა! ნუ იგვიანებ! გესმის, ჩქარა-მეთქი! იმის სიტყვას გეუბნები, ჩქარა-მეთქი! ეგ გულზედ ვინა გყავს მიყრდობილი? ეგ ხომ....

— პოლიკარპია, პოლიკარპი, — უპასუხა პავლემ. — შვილი შენის ბატონისა უკანასკნელ დღეშია. გაიქეც და შეატყობინე სენატორს, შეატყობინე დოროტეას...

— მე ეხლა სხვა საქმე მაქვს, — უპასუხა მირიამმა. — გერმასმა ბევრგან სხვაგან გამგზავნა და იქ მივდივარ. სოფელში კი რომ ჩავიდე, ბატონები დამამწყვდევენ და არსად აღარ გამიშვებენ. რა დამართვია საწყალს? მაგრამ ეხლა ეგ რა საკითხავია! დღეს შენ უფრო მძიმე საქმე გაქვს. აქ მდგომა და სენატორის დედის ნებიერ შვილზედ კნავილი დღეს არაფრად მოგიხდება. ჩქარა წადი გერმასთან-მეთქი, ეგ ან მანდ დააგდე, ან წაიღე შენს ახალს ბუდეში და გადაეცი შენს სატრფიალოს, ქალი უფრო კარგად მოუვლის...

— აი შე წყეულო, — დაუყვირა პავლემ და ქვას ხელი წამოავლო...

— დაანებე მაგას თავი-მეთქი გეუბნები, — უძახოდა მირიამი. — თორემ წავალ და ფებიცის შევატყობინებ. აბა ნუ აასრულებ გერმასის სიტყვას და მე გიჩვენებ, რასაც გიზამ. მე ეხლა სხვებთან წავალ და იმედი მაქვს, ბურჯში ვნახავთ ერთმანეთს. ჰა, დიდხანს არ დაგაგვიანოს შენმა ოქროსთმიანმა მეგობარმა, შე ღვთის მოშიშო პავლე, შე, წმინდაო პავლევ!

მირიამმა ჰსთქვა ესა და მოჰყვა ხმამაღლივ ხარხარს და იმ ხარხარით კლდიდამ კლდეზედ მიფრინავდა, თითქო ჰაერში ჰსცურავსო. პავლე გაჯავრებული თვალს აღევნებდა, ბოლოს იგრძნო, რომ კარგი ურჩივა, წამოიკიდა საწყალი პოლიკარპი და წაიღო თავისს მღვიმესაკენ. ჯერ არ მისულიყო მღვიმეშდინ, მოესმა ფეხის ხმა და მწუხარე ოხვრა და ვაება და რამდენსამე წუთს შემდეგ თვითონ სირონაც დაუდგა თვალ-წან. გამწარებული სირონა გულმოწყლულის ხმით მოჰსთქვამდა:

— პოლიკარპია, პოლიკარპი! სწორედ ის არის, სწორედ! მაგის სიკვდილი შეუძლებელია. ეგ რომ მოკვდეს, მაშ თქვენი კაცომოყვარე ღმერთი, ღმერთი მოწყალებისა და სიყვარულისა ულმობელი, უწყალო და შეუბრალებელი ყოფილა.

სხვა ვეღარა ჰსთქვა რა, რადგანაც ცრემლმა და ტირილმა ხმა წაართვა. პავლე კი წინ მიდიოდა და მის ყვედრებას და გულისწვას ყურს არ ათხოებდა. შევიდა მღვიმეში, დაასვენა გრძნობადაკარგული ჭაბუკი სირონას ლოგინზედ და როცა სირონამ პოლიკარპის წინ ჩაიჩოქა და ტუჩებით ზედ დააკვდა ჭაბუკის ულონო ხელს, მაშინ პავლემ უთხრა წარბ-შეკვრით, მაგრამ ალერსით კი:

— თუ ეგ ყმაწვილი გიყვარს, ეხლა მაგ გოდებას თავი დაანებე. გუშინდელს აქეთ მძიმედ დაჭრილია თავში. მე ჭრილობა მოვბანე, ეხლა შენ შეუხვიე ფთხილად და კარგად დაუსველე ხოლმე შეხვეული ცივის წყლით. ხომ იცი, საცა არის წყარო. როცა მოსურიელდება, ფეხები დაუზილე, პური აჭამე და რამდენიმე წვეთი ღვინოც დაალევინე. ღვინო აქავეა სარდაფში, იქავეა ზეთიც სანათურისათვის. მე კი უნდა წავიდე ჩემ სულიერ ძმებთან და თუ ხვალამდე ვერ დავბრუნდი, ეგ საწყალი ჭაბუკი დედას მისას ჩააბარე. ესეც უთხარი, რომ მე, პავლემ გაჯავრებულ გულზედ მოგიკალ შვილი-თქო და თუ შეუძლიან, შემინდოს დედამაც და მამამაც. შენც შემინდე, რაც შეგცოდე და თუ ომში მომკლეს, ილოცეთ ჩემთვის ღვთისა წინაშე, რომ ძლიერ არ დამსაჯოს, რადგანაც ცოდვანი ჩემნი დიდნი და მძიმენი არიან.

ამ დროს მღვიმეში შემოისმა საყვირის ხმა. სირონა შეფთხა და ჰსთქვა:

— ეგ რომაელების საყვირია, მე მაგ ხმას ვიცნობ. უსათუოდ ფებიცი აქ სადმე მოგზაურობს!

— იგი თავის მოვალეობას ასრულებს, — გააწყვეტინა სიტყვა პავლემ. — ერთი კიდევ რამ უნდა მეთქვა, მე წუხელ შენს ხელზედ ბეჭედი ვნახე.

— აი იქა გდია, — უპასუხა სირონამ და თითით მიანიშნა.

— მაშ იქავ იყოს, — ჰსთხოვა პავლემ, ხელახლად გადეხვია სნეულს და აკოცა შუბლზედ, მერე პირჯვარი გადაჰსწერა სირონას და გამოვარდა მღვიმედამ.

XVIII

პავლეს ბძანების მორჩილმა გერმასმა გამოართვა სამგზავროდ ფული პავლეს, შვილდ-ისარი მოიმართა, ჩაიწყო საგზლად პური და წყნარად გამოეთხოვა მძინარე მამას და წავიდა რაიტას.

თავი მოსწონდა, რომ ამას მიანდეს ამისთანა თავმოსაწონებელი და ვაჟკაცის ღირსი მძიმე საქმე. გულში ჰგრძნობდა ღონეს და ვაჟკაცობას და უხაროდა. გზად მიმავალი ჰფიქრობდა მარტო იმას, რომ რაც უნდა დამემართოს, თუნდაც მომკლან კიდეცაო, მე ჩემს მონდობილს საქმეს უნდა თავდადებით შევუდგეო. ამ აზრით გამხნევებული აჩქარებით მიდიოდა და მთვარიანი ღამე გზას უნათვიდა. საცა გზას მისახვევ-მოსახვევი ჰქონდა, იმას თავს ანებებდა და პირდაპირ მიბობღავდა კლდეებზედ, რომ მით გზა შეემოკლა და პირდაპირ გადაეჭრა. ვაკეზედ ისე გამალებული მიდიოდა, თითქო უკან მტერი მიჰსდევსო. მზე რომ ამოვიდა, ცოტად დანაყრდა და ისევ გაუდგა გზას იმავე სიჩქარითა. ამ გაცხარებულ სიარულში აღარ აგონდებოდა არც სირონა, არც თავისი ყოფილი ამბები. ის სულ იმაზედ ჰფიქრობდა, თუ როგორ მივა დანიშნულს ადგილს, როგორ დაზვერავს ბლემმიელებს, როგორ გაუგებს განზრახვასა და როგორ მალე მოიქცევა უკან თავისიანებში.

ბოლოს როცა თანდათან უფრო და უფრო დაღლილობა გამოაჩნდა, როცა შუადღის სიცხემ შეაწუხა, სისხლი აუვარდა თავში და გულმაც ცემა მოუჩქარა, გერმასს ყოველივე ფიქრი მოესპო და ეხლა წინ ეწევოდა მას მარტო ერთი სურვილი — დროზედ მისვლისა და დაბრუნებისა.

როცა გერმასი მივიდა რაიტაში ზღვის პირს და ეძებდა პატარა რამ ნავი ექირავნა წასასვლელად, მაშინ ორი ცხენოსანი მოახლოვდა ნავთსადგურს, საცა მრავალთა გემთა შორის ერთი დიდი ხომალდი იდგა დაბმული. მენავემ, რომელსაც გერ-

მასი ნავის ქირაობას ევაჭრებოდა, დაანახვა ის ორი ცხენოსანი და უთხრა:

— ეგენი ქარავანს ელიან. აი, ის უფრო ხნიერი რომ არის, დიდი სარდალია იმპერატორისა, იგი უფროსია აქაურებისა.

გერმასმა აქ პირველად ნახა ფებიცი და როცა ფებიცი წამოვიდა იქითკენ, საცა გერმასი და მენავე იდგნენ, გერმასს ფიქრი მიეცა. პირველს გულისთქმას რომ აჰყოლოდა, გერმასი უნდა გაქცეულიყო აქედამ, მაგრამ თვისი ბრწყინვალე თვალი რომ გაუსწორა მოქანცულს და გამჭვრეტავს თვალს ცენტურიონისას, აწითლდა, შედგა, დაიკრიფა გულზედ ხელები, თავმოწონებით მოიმარჯვა მხარ-ბეჭი და დაუწყო ცდა უებიცის, მოვიდეს და აბა ვნახოთ, რასა იქმსო.

მოვიდნენ ის ორი ცხენოსანი. ერთი ფებიცი იყო და მეორე — თალიბი. თალიბს ენახა უწინაც გერმასი, ეხლა იცნო და ჰკითხა. დიდი ხანია აქა ხარო? გერმასმა შეატყო, ესენი ამის საძებნელად არ არიან წამოსულნი და გული დაიმშვიდა. სრულად გულდამშვიდებულმა დაუწყო სინჯვა ცენტურიონს და პირზედ სიცილი მოადგა, როცა ნახა, რომ მჭლე ქანც-გაწყვეტილი ბებერი ისე დაღლილიყო ცხენზედ, რომ ძლივსღა ივდა ზედ. მაშ ეს სამასხარო ადამიანია ქმარი იმ ახლად ცაშლილის და სიცოცხლით სავსეს სირონასი!

გერმასს ისე მოუვიდა გული ფებიციზედ, რომ გულში ჰსთქვა, მაშ ამას იქით სანანურადაც არ უნდა მქონდეს, რომ ამისთანა მასხარად ასაგდებს ქმარს სახლში შეუვარდიო და როცა ფებიციმ ჰკითხა, ხომ არ გინახავს სადმეო ქერა თმიანი ქალი პატარა ფეხ-მოტეხილ ძაღლითაო, გერმასმა მასხარად აიგდო და უპასუხა:

— როგორ არა, სწორედ მაგისთანა ქალი ვნახე, ძაღლიცა ჰყვანდაო, მაგრამ ძაღლს კი, მგონია, კოჭლობა არ ეტყობოდა.

— სადა ჰნახე, სად? — მოუთმენლობით ჰკითხა ფებიციმ.

გერმასი გაწითლდა იმიტომ, რომ ტყუილი უნდა ეთქვა და ტყუილით იქნება ევნო კიდეც რაე სირონასათვის. ამიტომაც არ მიჰსცა პირდაპირი პასუხი და მხოლოდ ჰკითხა:

— განა იმ ქალმა დააშავა რამ, რომ აგრე გამოჰსდგომიხართ?

— დიდად დააშავა, — უპასუხა თალიბმა. — ის ქალი ამ ბატონის ცოლია და....

— რაც დააშავა ეგ ჩემი საკუთარი საქმეა, — მკვახედ გააწყვეტინა ფებიციმ სიტყვა თავის მხლებელს, — რა გქვიან შენ, ჭაბუკო?

— გერმასი, — უპასუხა მან, — შენ ვიღა ხარ?

ფებიცის ძალიან უნდოდა, რომ ერთი მრისხანე პასუხი ეთქვა ამ კითხვაზედ, მაგრამ სურვილი მოიკლა და უპასუხა:

— მე ვარ ცენტურიონი იმპერატორისა და გკითხავ შენ, რა სახისა იყო შენგან ნახული ქალი და სად ნახე?

გაბოროტებული თვალი მხლებელისა და რიხიანი სიტყვა მის უფროსისა უმტკიცებდა გერმასს, რომ სირონას კეთილი არ დაეყრება, თუ ამათ ჩაუვარდათ ხელში და რადგანაც სრულებით არა სურდა, რომ სირონას მდევნელთ რაშიმე გამოადგეს, სამასხაროდ მომართულმა გერმასმა მიჰსცა თავს ნება და უპასუხა:

— მე ხომ ის ქალი არ მინახავს, რომელსაც თქვენ ეძებთ, იმიტომ რომ ის, რომელიც მე ვნახე სწორედ ამ ბატონის ცოლი არ იქნება. აბა როგორ იქნება, რომ ჩემგან ნახული ქალი ამას შვილიშვილად ძლივს შეეფერება! მე რომ ქალი ვნახე ოქროსფერი თმა ჰქონდა და ძაღლსაც, რომელიც თან მისდევდა, იამბას ეძახოდა.

— სად ნახე-მეთქი, — დაუყვირა ცენტურიონმა.

— აიმ მეთევზების სოფელში, მთის ძირს. იქ ნავი იქირავა და ზღვით გაემგზავრა.

— საით, ჩრდილოეთისკენ? — ჰკითხა ფებიციმ.

— მგონია, მაგრამ სწორედ კი არ ვიცი იმიტომ, რომ მე ჩემი საქმე მქონდა და თვალი ვერ ვადევნე.

— მაშ კლისმაში უსათუოდ დავეწევით და დავიჭერთ, — უთხრა ფებიციმ თავის მხლებელს თალიბს. ოღონდ ერთი ახალი ცხენები კი ვიშოვოთ ამ ოხერს უდაბნოში.

— ოთხის დღის სავალია, — უპასუხა თალიბმა, — და რა კი ელიმს გავცდებით ასეთი უწყლო ადგილებია, რომ წვეთს ვერ

ვიშოვით მოსეს წყარომდე. მაგრამ თუ კარგი ცხენები ვიშოვეთ კი....

— თუნდაც რომ იშოვოთ, — გააწყვეტინა სიტყვა გერმასმა, — შენ, ცენტურიონო, აქაურობას არ უნდა მოშორდე, იმიტომ რომ, ბლემმიელები დაცემას თურმე აპირებენ. აი, რაწამს ჩამობინდდება, მე უნდა წავიდე იმათ დასაზვერავად.

ფებიციმ თავი დაჰკიდა და გაჯავრებით დაიწყო ძირს ყურება. ამასაც მოსვლოდა ამბავი, რომ ბლემმიელები აპირებენ დაცემას. მოტრიალდა, ზურგი შეაქცია გერმასს და უთხრა თავლიბსა:

— შენ მარტო უნდა წახვიდე კლისმაში და ეცადე, როგორმე დაიჭირო. იმ ულირსის ქალის გულისათვის მე არ შემიძლიან ვუღალატო ჩემს სამსახურს და აქაურობას თავი დავანებო.

ცხენოსნები წავიდნენ, გერმასი შესცქეროდა წარმავალთ და გაიცინა, როცა დაინახა რომ ორნივ დუქანში შევიდნენ.

მინამ წასვლის დრო მოვიდოდა, გერმასი ჩაწვა ნავში და მიეცა ღრმა ძილსა. მთვარის ამოსვლის დროს გააღვიძეს, რადგანაც ნათქვამი ჰქონდათ, ჩაათრიეს ნავი ნაქირავნები, რომელიც ზღვის პირზედ ქვიშაზედ ეგდო, მენავემ ჩაუსვა გერმასს ნავში პატარა ბიჭი, რომელმაც ნავის ხმარება იცოდა, და გაისტუმრა. როცა გერმასმა თავის თავი ზღვაში ნახა და ზღვის სიომ დაჰკრა, გაუმხიარულდა გული, როგორც არწივის ბახალას, როცა პირველად თავს ანებებს თავის დედის ბუდეს, დაფრინდება და ნავარდზედ წავა. თავისუფლად, თავის ნებად ყოფნამ ისეთის ტკბილის ამოვნებით აუვსო გული, რომ გერმასმა სიხარულით კინაღამ არ დაიძახა და პატარა ბიჭს, რომელიც ჰმართავდა ნავს, გაუკვირდა, როცა ნახა, რომ გერმასი თუმცა უხერხოდ, მაგრამ ისე ძლიერ ჰსცემდა ნიჩაბსა, რომელიც გერმასისათვის მიენდო.

— ქარი სამყოფია, — უთხრა ბიჭმა გერმასს და ამართა იალქანი. უშენოდაც ძალიან კარგად მიდის ნავი. ისა ჰსჯობია, ღონეს გაუფთხილდე.

— ნუ გეშინიან, მე ღონე სამყოფი მაქვს და გაფთხილება საჭირო არ არის, — უპასუხა გერმასმა და გადიწია უკან, რომ უფრო ღონიერად მოუსვას ნიჩბები. კარგა მანძილი რომ გაი-

არეს, გერმასმა ნიჩბის სმას თავი დაანება და დაისვენა. ?ას გულს ურთობდა მთვარე, რომელიც ზღვის ზედაპირზე კამკამებდა, როგორც სახე სარკეში. მთვარის შუქმა მოაგონა პეტრეს ეზო, რომელიც ამ ფერისავე შუქით იყო განათებული იმ ღამეს, როცა ფანჯრიდამ ესტუმრა სირონას. წარმოუდგა სახე ლამაზის ქალისა, მისი თოვლივით თეთრი ხელები და ყოველმა ამან ცეცხლი შეაპარა გულში.

ნელა ამოიოხრა ერთხელ, ორჯელ და როცა გულმა მესამედაც დააპირა მტკივნეულობით ამოკვნესა, მოაგონდა ის საქმე, რისთვისაც წამოსული იყო; მოაგონდა, რომ ყოველი ბორკილი შინ დაადგო დამსხვრეული, გათამამდა, წაავლო ხელი ნიჩაბს და ისეთის ძალით მოუსვა, რომ წინწკლები წვიმასავით ჩამოცვივდა ნავში და შიგ მსხდომი დაასველა. ხელახლად მოჰყვა ნიჩბის მოსმას და ჰსთქვა, რომ მე ეხლა უფრო უკეთესი საქმე მიძევს წინაო, ვიდრე ლამაზ ქალებზედ ოცნება და სი'ხმრებიო. ადვილად მოიშორა სირონაზედ ფიქრი, რადგანაც ამ ბოლონდელ დღეებში გული უცემდა მარტო ლაშქრობისათვის და ვაჟკაცობისთვის.

ორს საათს არ გაუვლია მას აქეთ, რაც რაიტიდამ გერმასი წამოვიდა ნავით, რომ ფეხი დაადგა კიდეც სხვა მეორე ნაწილს ქვეყნისას[1]. ნავს კაი ადგილი უპოვა, დააბა და ჰაშინვე მოჰკურცხლა მთებისკენ, რომ იქიდამ დაეზვერა ბლემიელნი.

პირველ დღესვე შეემთხვა ერთს ვაკე ადგილს მთებ შუა, საცა ბლემმიელებს თავი მოეყარათ. მეორე დღეს როცა შეუტყეს მზვერაობა და დასაჭერად დაედევნენ, მაშინ როგორღაც მოუვიდა და დაიჭირა ერთი იმათი ჯარისკაცთაგანი საზვერად გამოგზავნილი. მაგრა შეუკრა ხელები და მუქარით ბევრი რამ გამოათქმევინა. ჯარი, რომელიც აპირებდა დაცემას, დიდიაო, მაგრამ გერმასს იმედი ჰქონდა, რომ მე ამათ წინ მივასწრობო, რადგანაც ტყვედ დაჭერილმა მიასწავლა, საცა ჰქონდათ დამალული ნავები, ჯარების გადასაყვანად.

---

1 ნახევარკუნძული, რომელზედაც სინაის მთა არის, აზიაშია და ვიწრო ზოლი მეწამულის ზღვისა ჰყოფს სინაიას და ეგვიპტეს, რომელიც აფრიკაშია.

რაწამსაც ჩამობინდდა, გერმასმა გასწია თავის ნაეისაკენ და როცა ბლემმიელებმა ბნელაში ჩამოათრიეს წყალში თავისი პირველი ნაკი, გერმასი წინ წავიდა, დიდის ფათერაკით მიადგა მთის ძირს დასავლეთის მხრივ და გაიქცა სინაისაკენ, რომ შეატყობინოს მთის ყარაულებს.

მინამ მზე ამოვიდა, გერმასი მთის წვერზედ ავიდა, ვაღვიძა მძინარე ყარაულები და მინამ ესენი მდევარს დაიძახებდნენ, ალამს გამოჰკიდებდნენ და საყვირს დააყვირებდნენ, ვერმასმა გაჰკურცხლა, დაეშო დაბლა და თავის მამის მღვიმესთან მივიმდა.

მას აქეთ, რაც გერმასი სხვაგან წასულიყო, მირიამი არა შორდებოდა სტეფანეს მღვიმეს და დილით, შუადღისას და საღამოს ახალს წყალს უზიდავდა. მირიამი იკვებებოდა ძირხვენითა და პურითა, რომელსაც აძლევდა ხოლმე სნეული სტეფანე და ღამით იძინებდა კლდის ნახეთქში, რომელიც ჯერ უწინვე მწყემსობის დროს შემჩნეული ჰქონდა. მზის ამოსვლამდე წამოხტებოდა ხოლმე, წავიდოდა, მოუტანდა წყალს სტეფანეს, მერე მოუჯდებოდა და დაუწყებდა ლაპარაკს გერმასზედა. სიამოვნებით ემსახურებოდა მოხუცს, რადგანაც როცა კი მოვიდოდა, მოხუცი თავის შვილზე მოჰყვებოდა ლაპარაკს და მოხუცს კიდევ ესიამოვნებოდა ამისი მოსვლა იმიტომ, რომ შვილზედ ლაპარაკის შემთხვევა ექნებოდა ხოლმე.

რამდენიმე კვირის განმავალობაში მოხუცი ისე შეეჩვია მოვლას და ლოლოებას, რომ სამსახურს მირიამისას არაფრად ჰსთვლიდა, თითქო მართლადა ეგ მირიამის ვალი იყო. თვითონ მირიამსაც კი ერთხელაც ფიქრადაც არ მოსვლია ეკითხნა, მითამ რაო ჩემოო, რომ ამ სნეულს ვემსახურებიო.

სტეფანეს ადვილად შეეძლო გაეძლო უმირიამოდ. მირიამისთვის კი წყაროზედ მისვლა-მოსვლა და მოხუცთან ლაპარაკი წყურვილად გადიქცა, რადგანაც ჯერ არ იცოდა, ცოცხალია გერმასი თუ ფებიციმ მოაკვდინა თვითონ მირიამის დაბეზღების გამო.

იქნება ის, რასაც ამბობდა სტეფანე შვილის სადღაც გაგზავნაზედ, მოგონილი იყო პავლესაგან იმისათვის, რომ ქალწულს

მამას უცარის ამბით გული არ გაუხეთქოს და ცოტ-ცოტად შეაპაროს შვილის დაღუპვის ამბავი. მაგრამ მაინც უფრო ჰსწავდა, რომ გერმასი ცოცხალია და თუ მზის ამოსვლამდე მოვიდოდა ხოლმე სტეფანესთან და შუაღამემდინ რჩებოდა, იმ იმედით რჩებოდა, რომ თუ გერმასი ცოცხალია, მოსვლის უმალვე აქ მამასთან მოვაო. საწყალს მირიამს ერთი წუთი მოსვენებაც არა ჰქონია. იმიტომ, რომ ყველაფერი უფთხობდა მოსვენას. ჩამოვარდებოდა თუ კლდიდამ მორღვეული ქვა, ანუ მოესმოდა ფეხის ხმა ნადირისა, ყველა ეს ააცქვეტინებდა ყურებს ხოლმე საწყალს ქალს და აუფეთქებდა გულს იმდენად თავის ბატონის პეტრეს შიშით არა, რომელსაც გამოექცა, რამდენადაც იმ კაცის ლოდინითა, რომელიც მტერთან დააბიზღა და რომლისათვის დღე და ღამ უკვნესოდა გული და ეტანჯებოდა.

როცა მირიამი წყალზედ მივიდოდა, თავის აბურძგნულს თმებს დაისველებდა ხოლმე და დაივარცხნიდა და ისეთის გულმოდგინებით იხეხავდა პირის სახეს, თითქო უნდაო, შავგრემანი ფერი გადიტყავოსო. ყოველს ამას გერმასისათვის სჩადიოდა, უნდოდა თავი მოეწონებინა ისე, როგორც მოაწონა თავი პირთეთრმა სირონამ, რომელიც იმოდენად ჰსძულდა მირიამს, რამოდენადაც უყვარდა გერმასი.

ბოლონდელს ღამეს, როცა იმისთანა საშინელი წვიმა, ჭექა და ქუხილი იყო, მთის ნიაღვარი შეუვარდა მირიამს კლდის ნარღვევში, საცა დასაძინად მიდიოდა ხოლმე მას აქეთ, რაც ბატონს გამოექცა. თავიდამ ფეხამდე ამოწუწული, უბინაო, დევნილი სინიდის ქენჯნითა, შიშითა და მწვავის ნაღველითა, გამოვარდა კლდის ნარღვევიდამ და ხან აქ ამოეფარა ქვას, ხან იქ, ხან ამ და ხან იმ კლდის ქვეშ ეძებდა თავის მისაყრდომს ადგილს. ამ ყოფაში თვალი მოჰკრა ნათელს, რომელიც გამოდიოდა პავლეს ახალ მღვიმედამ, მივიდა, დაინახა პავლე და იცნა. პავლე კი ვერა ხედავდა მირიამს, რადგანაც ცეცხლა პირას იჯდა, ზურგი მირიამისაკენ ჰქონდა შემოქცეული და ამასთანავე ღრმა ფიქრებში იყო წასული. ეხლა კი შეიტყო სადგური განდევნილის პავლესი, რომელსაც ასე ხშირად ჰკიცხულობდა ხოლმე სტეფანე. სნეულის ჩივილით და ორიოდე უნებლიედ წამოცდენილ სიტყვებით მირიამმა შეიტყო, რომ მის

მტერ-მოყვარეს სირონას გაუბამს მახეში ღვთის მოშიში პავლე და დაუღუპსია.

როცა ალიონი გაქრა ცაზედ და რიჟრაჟი მოახლოვდა, მირიამმა გამოჰსწია სტეფანეს მღვიმესაკენ. გულში მოჰგუბებოდა ცრემლი და ვერას ღონით თვალთაგან ვერ წამოეწურა, რომ მით გულის ტკივილი დაეყუჩებინა და მწვავის მწუხარებისაგან შვება ეპოვნა. ამ ყოფით მიუახლოვდა სტეფანეს მღვიმესა. უჩდოდა, აქავ დაცემულიყო და სული დაელია, რომ სიკვდილით მაინც მოეშორებინა ის ტანჯვა, რომელიც მოსვენებას არ აძლევდა.

ჯერ კიდევ ძალიან ადრე იყო და მოხუცის ჰილის გაკრთობას მოერიდა. მაგრამ ვერას გზით ვერ იშორებდა წყურვილს, რომ ვინმე გაეხმაუროს, ვინმემ უთხრას სიტყვა, თუნდაც მრისხანე და გულსაკლავი, ოღონდ კი უთხრას რამ იმიტომ, რომ ეკრე ნადირსავით ყოფნა, სულის შემხუთველი და გულის მომწყვლელი, ვაება მარტოობისა, ძლიერ ჰსტანჯავდნენ საწყალსა.

მირიამი ჯერ არ შესულიყო მღვიმეში, რომ მაღლიდამ მოესმა ქვების რახა-რუხი და ადამიანის ძახილის ხმა. განცვიფრდა, კისერი გაიწვდინა და დაუწყო გულმილეულობით ყურის გდება. ერთბამად ხმამაღლა დაიკივლა გახარებულმა და ხელებ გაშლილი გაიქცა, რომ წინ აეგებოს.

— გერმას! გერმას! — ჰყვიროდა გახარებული ქალი და ბრწყინვალე, როგორც მზე, ნეტარება მისას სულისა ისე ცხადად და უმანკოდ გამოჰკრთა ამ ძახილში, რომ ჭაბუკის გულში თანაგრძნობის სიმნი შეიძრნენ და იმანაც სიხარულით საკვირველი სალამი მოჰსცა პასუხად.

ასეთი ტკბილი და ალერსიანი სალამი თავის დღეში გერმასისაგან არ ენახა და როგორც წყურვილით მომაკვდავს წყაროს წყალი საყვარელის ხელით მიწვდილი, ისე გერმასის ტკბილი სალამი ნეტარებად გადაექცა საბრალოს და დატანჯულს სულს მირიამისას. აღტაცებამ და სიხარულმა, რომელიც აქამომდე არასოდეს არ ეგრძნო, დაურბინა მთელს აგებულებაში და რადგანაც გერმასი ასე კარგად მოექცა, თვითონაც უნდოდა ეჩვენებინა, რომ არც მე ვარ უმადურიო, მეც შემიძლიან სიკეთის

სამაგიეროს გადახდაო. აი ამ მიზეზით ყველაზედ უწინარეს ეს უთხრა გერმასს:

— მე მამაშენს ერთს წუთსაც არ მოვშორებივარ, სულ იმასთან ვიყავ, დილით ადრე და ღამით გვიან წყალს ვუზიდავდი, რამდენიც კი საჭირო იყო.

სიწითლე კი მოსდიოდა, რომ თავის თავს ასე აქებდა, მაგრამ გერმასმა უპასუხა:

— კარგად გიქნია, კარგად და მე თავის ღღეში მაგას არ დავივიწყებ. შენ ერთი ნადირსავით ფრთხალი, უგუნური ბავშვი ხარ, მაგრამ მგონია, რომ ვისზედაც გული საკეთილოდ გეთქმის, ის შენში არ მოტყუვდება არასდროს.

— აბა მცადე! — უპასუხა ქალმა და გაუწოდა ხელი.

გერმასმა ხელზედ ხელი დაჰკრა და უთხრა:

— აგე, გესმის საყვირის ხმა? — მე ყარაულებს შევატყობინე კიდეც. ბლემმიელები მოდიან. პავლე მამასთან არის?

— არა, მაგრამ ვიცი კი საცაა.

— მაშ წადი, დამიძახე, — გააწყვეტინა სიტყვა ყმაწვილ-კაცმა, — ჯერ პავლე, მერმე სხვანი მეუდაბნოენი, ვისაც კი ნახავ. უთხარი, ყველამ თავი მოიყაროს ბურჯში, აი, დიდს გზაზეღ რომ არის. მე მამაჩემსაც იქ გადმოვიტან; შენ კი დაეშურე შენს საქმეს და დაამტკიცე, რომ ვინც შენ მოგენდობა, არ ინანებს.

ამ უკანასკნელ სიტყვებზედ გერმასს უნდოდა მოხვევნა, მაგრამ მირიამმა ითაკილა, გამოუსხლტა ხელიდამ, გაიქცა და შორიდამ დაუძახა:

— დაიცა, მაგას ყველას შევატყობინებ, ყველას!

მღვიმის კარებში, საცა პავლე ეგულებოდა, სირონა დახვდა, მაგრამ არ შეჩერდა, ერთი ორიოდე მკვახე და საწყენი სიტყვა მიარტყა და კასკასით დაეშვა თავდაღმართზედ.

ჩაირბინა წყაროსაკენ, იქ იპოვა პავლე, უთხრა, რაც სათქმელი იყო, მერე დაურბინა ყველა მღვიმეებს, ვინც ნახა, გერმასის დაბარებული უთხრა და ასე აასრულა გერმასის მინდობილობა.

XIX

ციხის კედელს უკან, დიდის გზის პირზედ თავი მოიყარეს ყველამ იმ უცნაურმა კაცებმა, რომელთაც ზურგი შეაქციეს ამ წუთის სოფელს, გამოეცალნენ მის ცხოვრების დუღილს, მის ლხინსა და ჭირსა, მის ტირილსა და სიცილსა, ვაებას და სიხარულსა, მოშორდნენ სახლს, კარს, ცოლ-შვილს, თვისსა და ტომსა, და გამოცვივდნენ და შეეფარნენ უსიხარულო უდაბნოს. ყველა გულის წადილი მოიკლეს და მიეცნენ მხოლოდ ერთს საგანს, რომელიც ხორციელ ცხოვრებაზედ უმაღლესია. ამ მიყრუებულს უდაბნოში, საცა ქვეყნიერების მაცდური ხმები ვერ მოსწვდებოდნენ, უფრო ადვილად შესაძლო იყო კაცს თავისი ხორციელნი წადილნი მოეკლა. მოეკლა გულის თქმანი და ვნებანი და ამ სახით მიემზგავსებინა ადამიანის არსება, ამაობაზედ გადაგებული ცოდვისა და ხორცისა გამო, წმინდა, და ხორცთუსხმელ ღვთაების არსებისათვის. ყველა ეგენი ქრისტიანები იყვნენ და როგორც მაცხოვარი ნებსითის წამებით შეიქმნა მხსნელად, ისეც ესენი ცდილობდნენ მარხულობის განმწმედელის ძალითა განთავისუფლებულიყვნენ ადამიანის უწმინდურის ბუნებისაგან და მძიმე სინანულითა მიემართათ თავისი სიცოცხლე ისე, რომ გამოეხსნათ თავნი თვისნი და მთელი თვისი ხალხი ცოდვათაგან. დევნულობის შიშმა კი არ გამოიყვანა ეგენი უდაბნოში, არამედ სასოებამ, რომ ამ ძნელს ძლევამოსილობას მოიპოვებენ.

ყველა ბერ-მონაზონნი, ბურჯთან თავმოყრილნი, ეგვიპტელნი და სირიელნი იყვნენ. შიშიანობამ მალე მოუყარა თავი ამ წუთისსოფლის და სააქაო ცხოვრების მოძულეთა. მარტო ერთი მოხუცი კოსმასი დარჩა თავის მღვიმეში და თავის თანამოძმეს გელაზის, რომელიც ურჩევდა ციხეში თავის შეფარებას, უთხრა: „ჩემთვის სულ ერთია ყოველი ჟამი და ყოველი ადგილი, საიდამაც კი მიმიწვევს უფალი, და ღვთის ნებაზედ დამოკიდებულია, რამ უნდა განმელოს საიქიოს კარი, სიბერემ თუ ისარმა მტრისამ.

სულ სხვას ჰფიქრობდნენ დანარჩენნი განდეგილნი, რომელ-

ნიც ისეთის მოუთმენლობით ერთმანეთს ეცილებოდნენ, რომ იჭედებოდნენ ბურჯის ვიწრო კარებში და თვითონ პატარა ბურჯიც სულ აავსეს. პავლემ ნახა, რომ ამისთანა ვიწროობა კარგს არას მოასწავებს. იძულებულ შეიქმნა, აღარავინ შეეშვა.

არაფერი ჭირი, არაფერი შესაყარი ისე მალე არ გადედება ერთის ცხოველისაგან მეორეს, ერთის ნაყოფისაგან სხვას, როგორც შიში და ელდა ერთის კაცისაგან მეორეს.

ვისაც შიში უფრო ძალიან მორევოდა, ის, რასაკვირველია, ყველაზედ უწინარეს მოვარდა ბურჯთან და თავი შეაფარა. ტირილითა დაუხვდებოდნენ ხოლმე წინად მოსულნი ახალ მოსულებს და საცოდავი სანახავი იყო, რომ ეს ფარა, პირად ისე ხმამაღლა და სასოებით ღვთის ნებაზედ თავდაჯებული, შიშისაგან ხელებს იმტვრევდა და ცდილობდა, თავისი პატარა თან მოტანილი ქონება გადერჩინა ჯერ თავის თანამოზიარეთა ხარბობისაგან და მერედ მოლოდინებულის მტრისაგან.

პავლესთან ერთად მოვიდნენ სერგია და იერემია, რომელთაც პავლე გზადაგზა ანუგეშებდა. ეს სამივე იმედს აძლევდნენ შიშით ატაცებულთა. ბოლოს პავლემ უთხრა:

— „ამ ორიოდ კვირის წინად ბევრმა თქვენგანმა დიდი მონაწილეობა მიიღო ქვებისა და ხეების აზიდვაში აი, იმ ფერდობზედ. ქვები და ხეები მოვაგროვეთ მაშინ იმისთვის, რომ ხელარიელები არ დავხვედროდით მტრებსა და ქვისა და ხეების დაგორებით მტერი მოგვეგერებინა. ეხლა, დრო მოვიდა, ძმანო, წავიდეთ და ჩვენი ვალი ავასრულოთ“. ამის გამგონემ ზოგმა გულში ჰსთქვა, ნეტა სხვანი წავიდნენ და მე კი აქ მამყოფაო.

ბევრი არ გამოჰყვა ბურჯიდამ პავლეს. მერე კი, როცა გერმასი გამოჩნდა და ნახეს, რომ ზურგზედ მამა ჰკიდია და თან მირიამიც მოზდევს, პავლემ უთხრა თავის მოძმეებს, ერთი გამოიხედეთ და თქვენის თვალით ნახეთ გულის მოსალბობი მაგალითი მამაშვილურის სიყვარულისაო. მაშინ ცნობისმოყვარეობამ ყველანი, ვინც კი ბურჯში შემწყვდეულნი იყვნენ, გარედ გამოიწვია. თვითონ პავლე კი წავიდა, წინ მიეგება სტეფანეს, ჩამოართვა იგი ზურგიდამ ხვნეშით მომავალს ჭაბუკს, თვითონ წამოიკიდა და წამოვიდა ბურჯისაკენ. ხოლო სტეფანეს, რო-

გორც ძველს მეომარს, ეთაკილებოდა ბურჯში დამალვა და ჰსთხოვდა თავის მეგობარს, აქავ კედელთან მამყოფეო.

პავლემ აუსრულა სურვილი, მერე გერმასი წაიყვანა და ავიდა ბურჯის თავზედ, რომ იქიდამ მოჩხრიკოს მტერი.

რაწამსაც პავლე მოშორდა, სტეფანე მიუბრუნდა ბერ-მონაზნებს და უთხრა:

— ეს ქვები ვერ გაუმაგრებიათ რიგიანად და მე, თუმცა ღონემოკლებული ვარ, მაგრამ მეც კი შემიძლიან მათი გადმონგრევა. როცა საქმე ომზედ მივარდება, ჩემი ბებერი ომში გამოცდილი თვალები, ეხლა დაუძლურებულნი, თქვენის საკუთარის თვალების მოშველებით, ცოტას რასმეს გამოგადგებიან რაშიმე. ყველაზედ უწინარეს აქ ერთი უნდა იყოს ბძანებელი, რომელსაც ყველანი უნდა ემორჩილებოდნენ, თუ გინდათ, რომ იმ ავაზაკებს ადვილად არ დარჩეს გამარჯვება.

— შენ, ჩვენო ძმაო, — უპასუხა სირიელმა. — ჯარში ნამყოფი კაცი ხარ და ამ ბოლონდელს მტრის მოსევაზედ შენი ვაჟკაცობა და საომარი ხერხი დაამტკიცე კიდეც. იყავ ბძანებლად ჩვენდა!

სტეფანემ დაღონებით გაიქნივა თავი და უთხრა:

— მე ხმა დამიუძლურდა გულში დაჭრილობითა და ხანგრძლივის სნეულებითა. ისინიც კი ვერას გაიგებენ ჩემგან ომის ჯახა-ჯუხში, რომელნიც ჩემს ახლო იდგებიან. მოდით, პავლე ამოვირჩიოთ უფროსად. ის ღონიერია, ფრთხილია და ვაჟკაცია.

ბევრი ბერ-მონაზონთაგანი დიდი ხანია უყურებდა პავლეს, როგორც თავის იმედს ყოველს გაჭირებაში, რადგანაც ყველასაგან პატივცემული იყო და ბევრს შემთხვევაში გამოეჩინა ღონე და გამბედაობა, მაგრამ ამ ხანად ერთმანეთს შეხედეს გაოცებით, ეჭვით და უკმაყოფილობით.

სტეფანემ შეატყო იმათ ეს ამბავი და უთხრა:

— მან შესცოდა და ღვთის წინაშე იგი, რასაკვირველია, უკანასკნელია თქვენს შორის, ხოლო ვაჟკაცობით და ღონით ყველაზედ პირველია. რაკი იმას იწუნებთ, აბა, მაშ ვის გინდათ უფროსობა?

— ორიონი დავაყენოთ, ორიონი! — დაიძახა ერთმა განდეგილმა. — დიდიც არის და ღონიერიც, თუ მოინდომა...

ორიონმა უარი ჰსთქვა და როცა ანდრიამ და იოსებმაც თავიდამ მოიშორეს ეს ძნელი მოვალეობა, სტეფანემ ჰსთქვა:

— აი, ხომ ხედავთ, სხვა გზა არ არის, ისევ პავლეს უნდა ჰსთხოვოთ, უფროსობა მიიღოს, მინამ მტერი კარზედ გვედგება, მერე კი აღარ. აი, თვითონაც მოდის. ვუთხრა თუ არა?

თუმცა ყველამ თავი დაუქნია თანხმობის ნიშნად, მაგრამ ძალაუნებურად კი, უსიამოვნოდ. პავლემ, რომელსაც ჰსწყუროდა თავი დაედვა და სისხლი დაეღვარა უძლურთა დახსნისათვის და რომელიც აფიცხებული იყო ომის სურვილითა, მიიღო სტეფანეს წინადადება, როგორც თავისთავად საგულისხმო და შეუდგა საქმეს, როგორც სარდალი, თავის იმედდაკარგულ მომხრეთა შორის.

ზოგი გაჰგზავნა ყარაულად ბურჯის თავზედ, ზოგს ქვის ამოზიდვა შეუკვეთა, ზოგს კიდევ უბძანა, ქვები და ხეები დააგორეთო, როცა მტერი მოგვადგებაო. უფრო სულდაცემულთ ჰსთხოვა, ერთად მოიყარეთ თავიო, ილოცეთ მეომართათვისაო, იგალობეთ საგალობელნიო და ყველას აცოდინა თავისი ნიშნები, ომისათვის საჭირო. პავლე ხან იქ მივარდებოდა ხან აქ, საქმობდა დიდის გულმოდგინებით და მხიარულებით. ასე რომ თავისი მხიარულება და იმედი მშვიდობით გაჯარჩენისა მხთლებსაც კი შეჰყარა.

ამაობაში გერმასი გამოესალმა პავლეს და თავის მამას, რადგანაც მოესმა ხმა საომარის საყვირისა და დაფის ცემისა. ეგ ხმა იმ ჯარისა იყო, რომელიც ფებიცის წინამძღვარობით გამოვიდა სოფლიდამ მტრის დასახვედრად. გერმასმა იცოდა, საცა არიან ბლემმიელნი და რაწამსაც მივიდა ჯართან, მაშინვე აცნობა ფებიცის.

ფებიციმ მაშინვე იცნო გერმასი, რადგანაც, რაიტაში რომ პირველად შეხვდა, მას აქეთ ვეღარ დაევიწყა გერმასის თვალები, რომელნიც გლიცერის თვალებს ძლიერ ჰგვანდა. ფებიცი მოკლედ ჰკითხავდა ხოლმე გერმასს და გერმასიც სწრაფად და ცხადად აძლევდა პასუხს და პასუხის გვარად ფებიციც აძლევდა მხლებელთ რიგიანს და გონიერს ბძანებასა.

ერთს მესამედს ჯარისას უბძანა წინ წასვლა დაფის და ბუკის ცემითა, ვიდრე მტერს წინ შეეხლებოდნენ და როცა შეხვ-

დებოდნენ, უკან დაიწიეთო ბურჯისაკენაო. თუ ბლემმიელნი ამით მოტყუვდნენ, მაშინ მეორე მესამედი უნდა დაეცესო მემარცხენე ჯარს მტრისას, თვითონ მე კი დანარჩენის ჯარით ჩავესაფრებიო კლდის იქით, საცა ბურჯიაო და უეცრად გამოვალ და დავეცემიო. გერმასს კი უბძანა, წაიყვანე ეხლავ რამდენიმე კაციო, წადიო და საცა იცოდე, იქ რაც ნავები აქვთ ბლემმიელებს სულ წყალში დანთქეო. თუ გაჰსჭირებოდა რამე, ფებიცის შეეძლო ციხეში შესულიყო და იქ გამაგრებულიყო, ვიდრე სხვა მხრებიდამ ჯარები მოეშველებოდა, რადგანაც ყველგან გაეგზავნა კაცები.

ბძანება ფებიცისა, მაშინვე აღსრულებაში მოიყვანეს. გერმასი გაუძღვა თავის პატარა ჯარს ისეთის თავმოწონებით, თითქო იმპერატორის სარდალიაო და შეჰყავს მისი ლეგიონები ომშიაო. ზურგზედ ეკიდა შვილდი და ისრები და ხელში ეჭირა ნაჯახი, რომელიც რაიტში ეყიდნა.

მირიამსაც უნდოდა, თან გაჰყოლოდა გერმასის ჯარს, მაგრამ გერმასმა შეამცნივა ეს და დაუყვირა: — „ბურჯში წადი, სულელო, ბურჯში მამაჩემთან“, — მწყემსი ქალი მაშინვე დაემორჩილა.

მეუდაბნოენი ციხისანი მოგროვდნენ გადმოსახედავზედ და იქიდამ დაინახეს, რომ ჯარი მოდის. დაიწყეს ყვირილი, უძახოდნენ ჩვენ მოგვეშველენითო, მაგრამ ეგ იმედი მალე გაუმტყუნდათ, რადგანაც ჯარები თავის გზაზედ წავიდნენ.

სტეფანემ ჰსთხოვა პავლეს, ერთი შემატყობინე ის ჯარები საით მიდიან და როგორ დაყოფილან, მე იქამდი თვალი არ მიჭრისო. პავლემ უამბო, რაცა ნახა და სტეფანე, როგორც გამოცდილი მეომარი, მიხვდა ყოველს დაწყობილობას ცენტურიონისას.

ახლა გერმასის ჯარმა აუარა გვერდზედ ბურჯსა და ყმაწვილმა კაცმა ნიშნითა და სიტყვითა მოკითხვა და სალამი გაუგზავნა მამას. სტეფანემ, რომელსაც ყური უფრო უჭრიდა ვიდრე თვალი, იცნო შვილის ხმა და რამოდენადაც შეეძლო ხმამაღლა გამოემშვიდობა შვილს მამობრივის ლოცვითა და კურთხევითა.

პავლემ მოხუცის გძელი ლოცვა და კურთხევა ერთს სიტყვაში გამოჰკრა, ზედ დაართო თავისი დალოცვაც და გადაჰსძახა თავის მეგობრის შვილს საომრად მიმავალს. გერმასმა მოისმინა ყველა ეს და თუმცა ძალიან მოხვდა გულს მამის გამოთხოვება და პავლესი, მაგრამ ვერა უპასუხა რა სიტყვით და მარტო ნიშნებით გამოჰსთქვა ამ გამოსალმების პასუხი. მშობელი მალე იპოვის ხოლმე თუნდ ათას სიტყვას კურთხევისათვის, ვიდრე შვილი ერთს სიტყვას მადლობისას.

როცა გერმასი კლდეს მიეფარა, პავლემ უთხრა:

— შენი შვილი ისე მიდიოდა, როგორც ძველი გამოცდილი ჯარისკაცი და სხვანი ისე მიზდევდნენ, როგორც ცხვარი ბელადს ჭორს. ეჰა, გესმის? უთუოდ პირველი გუნდი ჩვენების ჯარისა დაეტაკა მტერს. აგე, ხმაურობა და კიჟინა უფრო ახლო და ახლო მოდის.

— მგონი ეხლა საქმე კარგად დაბოლოვდეს, — ჰსთქვა მხიარულად სტეფანემ, — თუ ჩვენებმა როგორმე შემოიტყუეს აქეთ ვაკეზედ. მე მგონია, მტერმა საფლავი აქ გაითხაროს. ჩვენ აქედამ შეგვიძლიან თვალი ვადევნოთ ომის მსვლელობასა და თუ ჩვენებს საქმე გაუჭირეს, ესეც კი მოსალოდნელია, მაშინ ჩვენები ციხეში შამოცვივიან. მაშასადამე, ქვების წარამარა სროლას და უბრალოდ ხარჯვას უნდა მოვერიდნეთ იმიტომ, რომ თუ ჩვენს ბურჯზედ მოდგება საქმე, ქვები ძალიან დაჰსჭირდება ჯარს.

ამ სიტყვებს ზოგიერთმა მეუდაბნოემ ყური მოჰკრა და როცა ომის ხმაურობა და მეომართა კიჟინა ახლო მოისმა, შეშინებულთ მეუდაბნოეთა თავი დაანებეს თავის ადგილებს. დაიწყეს ტყუილ-უბრალო ფაცა-ფუცი, წინა და უკან რბენა, თუმცა პავლე ჯავრობდა ამაზედ. ამათ პავლეს სიტყვა არ დაიჯერეს, წავიდნენ, ჩადგნენ მოხუცებში და უძლურებში და მოჰყვნენ ტირილით ლოცვას და თავში ცემას. პავლე ჩადგა მათ შორის შუაში, დაიწყო გაკიცხვა სულმოკლეობისათვის, ტკბილის სიტყვით ემუდარა თავიანთ ადგილებზედ დაბრუნებულიყვნენ და აღმოსავლეთის მხრივ კედელი მაინც გაემაგრებინათ. ზოგნი დაემორჩილნენ კიდეც, მაგრამ როცა დააპირეს ასრულება, უეცრად მოესმათ ბურჯის კედლის ძირში ერთი საშინელი ღრიალი და

კიჟინა ბლემიელების, რომელნიც უკან მოსდევდნენ გამოქცეულს ჯარს ცესტურიონისას.

ზარდაცემულნი ისევ ერთი-ერთმანეთს მიეკვრნენ მეუდაბნოენი. სირიელმა სალატიმ გაბედა, ამოუდგა უკან სტეფანეს და ძირს გადიხედა. გადახედისავე უმალ, ციბრუტივით მოტრიალდა შეშინებული და კანკალით დაიძახა — ვაი! ჩვენები გამოუქცევიათო. გელაზიმ ამ ამბავზედ გულში ხელი ჩაიკრა, წაიბლო თმებში ხელი და გულამომჯდარმა დაიყვირა:

— „ღმერთო, რაი გწადიან ჩვენგან? ნუთუ წასაწყმედად გამოგვიმეტე და არა გსურს შველა ჩვენი? ჩვენ რომ წარმართებმა დაგვამარცხონ, მაშინ უღმერთობა და თვითრჯულობა დაიქადებს თავის ძლევამოსილობას მართლმადიდებლობაზედ და ჭეშმარიტებაზედ“.

პავლემ რომ ვერა გააწყო რა, დაანება ამათ თავი, მივიდა სტეფანესთან და დაუწყო ყურება ომს. ბლემიელები ბევრი ყოფილიყვნენ. იმათი იერიში ისეთი ძლიერი იყო, რომ ჯარი ვერ გაუმაგრდა, უკუიქცა და მიმწყვდეულ იქმნა იქ, საცა გზა ვიწროვდებოდა.

— საქმე ისე არ მოდის, როგორც იმედი გვქონდა, — ჰსთქვა სტეფანემ.

— ამ მხდალმა ხროვამ, ამ პირუტყვებმა კიდევ, — დაიყვირა პავლემ გულზე მოსულმა, — დაანებეს თავი თავის ადგილებს, ბურჯის კედლები უკაცოდ დააგდეს და იმის მაგიერ რომ ან კედლები გაიმაგრონ, ან იომონ, აქ დამდგარან და ღმერთსა ჰგმობენ.

მეუდაბნოებმა შეატყეს, რომ პავლემაც იმედი გადიწყვიტა ამათ გამო და მათ შორის სერვიამ დაიყვირა:

— ნუთუ მართლა იმედი აღარაფრისაა! რატომ არ ჩამოვარდება ციდამ ცეცხლი და არ შთანთქავს ჩვენზედ მოსეულს ავაზაკებს? რადა მდუმარებს ჭექა-ქუხილი? სად არის მეხი, რომელიც ანათებდა სინაის წვერსა? რატომ მზე არ დაბნელდება, რომ წარმართებს თავზარი დაჰსცეს? რატომ დედამიწა არ გაირღვევა, რომ ისინი თან ჩაიტანოს, როგორც...

ძალა უფლისა, — ჰსთქვა დულასიმ, — გაუქმდა ჩვენთვის.

ღმერთმა აიღო ხელი ჩვენზედ, თითქო ჩვენ ღირსნი არ ვიყვნეთ!

— არცა ხართ ღირსნი, არა, — შეპსძახა პავლემ, რადგანაც ყური მოჰკრა უკანასკნელ სიტყვებს, როცა მიჰყვანდა ანუ უფრო მიჰქონდა სტეფანე აღმოსავლეთის კედლისკენ, რომელიც სულ უკაცოდ იყო დაგდებული, — დიახ, არა ხართ ღირსნი, არა, რადგანაც იმის მაგიერ რომ მტერს წინა აღუდგეო, თქვენ ჰგმობთ ღმერთსა და თავზედ ლაფს ისხამთ თქვენის საზიზღარის ჯაბნობითა. ამ სნეულის მოხუცისა მაინც გცხვენოდეთ! აი, ეს აპირებს მტრის ხელისაგან დაგიფაროთ. თქვენ ეხლავ დაემორჩილენით უდრტვინველად ჩემს ბძანებას, თორემ ვფიცავ ყოველთა წამებულთა წმინდა სისხლსა, რომ თმებში და ყურებში ჩაგავლებთ ხელს და ისე მიგათრევთ თქვენს ადგილებამდე და....

არ დაასრულა მუქარა, რადგანაც ძლიერმა ხმამ გააწყვეტინა სიტყვა. კედლის ძირიდამ ამოვიდა ის ხმა და პავლეს სახელი ახსენა.

— აღაპიტი ბძანდება! — ჰსთქვა სტეფანემ, — თხრილზედ ამიყვანე პავლევ და იქ დამსვი.

ვიდრე პავლე ამას აუსრულებდა თავის მეგობარს, აღაპიტი გვერდთ ამოუდგა კიდეც.

აღაპიტი ყმაწვილობაში ჯარში ყოფილა. ეხლა, როცა შეეტყო მტრის შემოსევა, შინ ჯდომა ვერ მოითმინა, უბძანა ღვდლებსა და დიაკვნებსა, დედაკაცები და წვრილ-ვეხობა სულ საყდრებში დახიზნეთო და იმათთან ერთად ილოცეთ მეომართათვისაო. თვითონ კი ორი თანაშემწე და ერთი გზის მცოდნე წამოიყვანა და წამოვიდა, რომ ომში დაესწროს. როცა თავისიანებმა და სხვა მღვდლებმა დაუშალეს, უპასუხა: „საცა სამწყსოა, იქ უნდა იყვეს მწყემსიცაო“.

რისხვით ანთებულის თვალით იდგა ეხლა ეპისკოპოზი პავლეს წინ, წყრომით აიღო ხელი მაღლა, დაემუქრა და უთხრა:

— შენ როგორ ჰბედავ, შენ, განდევნილო მართალთაგან, რომ მაგ სახით ელაპარაკები ძმათა შენთა? შენ, ეშმაკის თანამოზიარე, როგორ ჰბედავ და ბძანებას ჰკადრებ ღვთის ჩსახურთა და

მოსავთა! რასაკვირველია, შენ ძალიან გეწდომება მაგ საფალავნო მკლავებითა ხელახლად დაიბრუნო სახელი და დიღება, რომელსაც გამოაკლდა შენი სული, დაუძლურებული ცოდვითა და ბრალეულობითა. მე მომყევით, ძმანო ჩემნო, უფაღი ჩვენთან არს და იგი გვიხსნის ჩვენ!

პავლემ ხმაამოუღებლივ მოისმინა სიტყვანი ეპისკოპოზისა და სხვათა ჴეუდაბნოეთამებრ თვითონაც აიპყრო მაღლა ხელნი, როცა აღაპიტი ჩადგა მათ შორის და წარმოჰსთქვა მოკლე და ძლიერი ლოცვა. მერე ეპისკოპოზმა, სარდალისამებრ, ყველას თავისი ადგილი დაუნიშნა ბურჯის კედლებზედ, დაარიგა როგორ მოიქცნენ და ხმამაღლა დაიძახა:

— დაამტკიცეთ, რომ თქვენ ხართ მსახურნი უფლისა!

ეპისკოპოზს ყველა დაჰმორჩილდა და როცა თვითეულმა თავ-თავის ადგილი მოირიგა, თითონ ეპისკოპოზი გადადგა ფერდობზედ და დაათვალიერა საომარი ადგილი.

ომის საქმე ეხლა კარგად მიდიოდა. როცა ჯარმა უკან დაიწია და ბლემმიელნიც უფრო გაბედვით მოაწვნენ, მაშინ ფებაცი უეცრად გამოვარდა თავისის ჯარით საფარიდამ, თავ დაესხა ბლემმიელებს, ასეთი ყოფა დააწია, რომ ბლემმიელების ჯარი შუა გააპო და საშინელი ხოცვა და ჟლეტა დაჰმართა ბლემმიელებს. იმათ პოთავეებმა დაინახეს თუ არა, რომ საქმე ცუდად არისო, შეჰქმნეს ერთი უცნაური ძახილი და მყის მთელი მათი ჯარი, როგორც ბუმბულის კონა, ქარისაგან გაიშალა და სხვადასხვა მხრივ გაიფანტა.

აღაპიტმა ეგ საომარი ხერხი ბლემმიელებისა გაქცევად მიიღო, გულდამშვიდებით ამოისუნთქა, მობრუნდა, დააპირა ბურჯიდან მინდორზედ გასვლა, რომ ნუგეში ჰსცეს დაჭრილთა თანამორწმუნეთა, მაგრამ თვითონ ბურჯშიაც გამოუჩნდა საქმე სასულიერო. წინ ედგა მირიამი, რომელმაც რიდით, მაგრამ სხარტად, სწრაფად მოახსენა:

— სნეული სტეფანე, მამა გერმასისა, გთხოკთ, ბატონო ეპისკოპოზო, მობძანდეთ იმასთან, რადგანაც წყლული ხელახლად აეშალა და ჰგონია, რომ სულის დალევის ღღე ჰოახლოებია.

აღაპიტმა მაშინვე გაჰსწია სნეულისაკენ. მიჰიდა ღა ნახა, რომ პავლეს და ორიონს შეუხვევიათ კიდეც წყლული. ეპისკოპოზმა ისეთის ჭეშმარიტის გულმტკივნეულობათ მოიკითხა, როგორითაც არ მოიკითხავდა ხოლმე ბევრს სხვას მეუდაბნოეს.

სტეფანემ ხელი გაუწოდა, ეპისკოპოზი გვერდთ მოუჯდა, უბძანა იქ მდგომთ, მოგვშორდითო და ყურადღებით დაუგდო ყური სნეულის დაბალ ხმით მოთქმასა.

როცა სტეფანემ გაათავა თავის თავის ამბავი, აღტაცებით უთხრა:

— მე, როგორც შენ, ვადიდებ უფალსა, რომ შენს დაკარგულს ცოლს გზა სიმართლისა აპოვნინა და შენი შვილიც, ღვთის მადლით, იმისთანავე კარგი მეომარი შეიქმნება, როგორც შენ იყავ. შენი საქაო ცხოვრება კეთილად იყო მოწყობილი, ხოლო მეორეს, საუკუნო ცხოვრებისათვის როგორ მოამზადე თავი შენი, ჩემო ძმაო?

— მე მთელი თვრამეტი წელიწადი მარხულობაში, სინანულში და ლოცვაში გამიტარებია, — უთხრა სტეფანემ. — ბევრი ტანჯვა გამომივლია. მე ზურგთ უკან დამიგდია ეს ქვეყნიერობა და იმედი მაქვს გამეხსნას გზა მიმავალი ცისაკენ.

— მეც მაგას ვიმედეულობ შენთვის და შენის სულისათვის, — უპასუხა ეპისკოპოზმა. — შენ ბევრი მძიმე საქმე გადაგხედია ამ წუთისსოფელში. ცდილხარ, რომ წრფელის გულით მიუტევო მათ, ვისაც ყველაზედ დიდი მწუხარება მოუყენებია შენთვის და შეგიძლიან გულმართლად ჰსთქვა ეხლა: „და მომიტევე ჩვენ თანამდებნი ჩვენი, ვითარცა ჩვენ მიუტევებთ თანამდებთა ჩვენთა“. ხომ გახსოვს სიტყვანი სამღვთო წერილისანი; „უკეთუ თქვენ მიუტევებთ კაცთა ცოდვათა მათთა, მოგიტევებთ თქვენც მამა თქვენი ზეციერი“.

— გლიცერას არამც თუ მივუტევე, — უპასუხა სნეულმა, — არამედ ხელახლად გადვუშალე სიღრმე გულისა ჩემისა, ხოლო იმ კაცს, რომელმაც ურცხვად აიყოლია იგი, იმ ბედშავს, რომელმაც იმდენის ჩემმიერ სიკეთის ნაცვლად მომატყუა მე, გამცარცვა, თავლაფი დამასხა, იმასაც...

— უნდა მიუტევო, — უთხრა აღაპიტმა, — რომ შენც ყოველივე მოგეტევოს.

— მე აი თვრამეტი წელიწადი ვცდილობ, დავლოცო მტერი ჩემი და ამას იქითაც ვეცდები...

აქამდე ეპისკოპოზი მარტო სნეულის ლაპარაკში იყო გართული. ეხლა კი, ყოველ მხრივ ამას უწოდნენ და ბოლოს გელაზიმ დაუძახა:

— გვიშველე, მამაო! წარმართნი კლდეზედ ამოდიან.

აღაპიტმა აკურთხა სტეფანე და ხელახლად გულწრფელობით უთხრა:

— მიუტევე და ზეცა შენია!

მინდორზედ ბევრი დაბოცილი და დაჭრილი ეყარა. ჯარი ისევ უკან დაწეულიყო ბილიკისაკენ, რადგანაც ბლემმიელები არ გაქცეულიყვნენ კი, არამედ გაფანტულიყვნენ, ამოსხდომოდნენ კლდეებს და იქიდამ აყრიდნენ წვიმასავით ისრებს.

— რომაელნი სად არიან, — ჰკითხა აჩქარებით აღაპიტმა ორიონს.

— ხეობისაკენ დაიწიეს, გზა რომ მოდის ჩვენკენ, — უპასუხა ორიონმა, — ერთი შეხედე მაგ წარმართებს! ღმერთო, შეგვიწყალე! ისე მობობღამენ კლდეებზედ, როგორც კოსალა ხეზედ.

— აბა თქვენი ჭირიმე ქვები, ქვები! — დაუყვირა აღაპიტმა იქა მდგომს მეუდაბნოებს, — ქვევით კედელთან ვინ არის? გესმისთ? რომაელების საყვირის ხმაა. გული მოიეცით, ძმანო, იმპერატორის ჯარი მოადგა ჩვენს ბურჯს საშველად. აბა აქეთ! აი, ხომ ხედავ სანათურიდამ ტანშიშველა კაცებს, ბლემმიელები არიან. აბა, მოათრიეთ ხე და დაუშვით ძირს. ჰო, ეგრე, უყურეთ, ეგ ხე რასა იქმს. ნეტავი ხე არას გამოედოს კი! მაღლობა ღმერთს, არამ დაუშალა და დაეცა! აი ეგრე უნდა, აი! ექვსი კაცი კი გამოასალმა წუთის სოფელს და!

— აი იქ კიდევ სამი კაცი ჰსჩანს, — დაიძახა ორიონმა. — აბა ერთი მიშველეთ, ხე დავცეთ თავში.

პირველმა წარმატებამ ისე გაამხნევა მეუდაბნოენი, რომ აღაპიტი ძლივს იჭერდა, გაუფრთხილდით, ცუდუბრალოდ ნუ ჰყრით ხეებსაო.

იმ დროს, როცა აღაპიტის განკარგულებით, მეუდაბნოენი

ქვებს და ხეებს აყრიდნენ თავზედ მტერსა, პავლე იჯდა სტეფანესთან და თავი ჩაეღუნა.

— რატომ არა შველი იმათ? — ჰკითხა სტეფანემ.

— აღაპიტი მართალია, — უპასუხა პავლემ, — მე ბევრში მმართებს მონანიება და ბრძოლას კი სიამოვნება მოაქვს. რამოდენად არის ეგ სიამოვნება დიდი, მაგას მე ვგრძნობ იმით, რომ გული მიკვდება, სხვანი ომობენ და მე კი აქ გულხელდაკრეფილი ვზივარ. შენ ეპისკოპოზმა გულკეთილად გაკურთხა.

— მე აღსასრული მომიახლოვდა, — დაიწყო სტეფანემ თრთოლით, — აღაპიტმა დამიქადა სამოთხე, თუ მე წმინდის გულით მივუტევებ ჩემის ცოლის მომტაცებელსა. დეე მიეტეოს, ყოველივე მიეტეოს და დეე, ყოველივე განზრახული კეთილად აუსრულდეს და ბოროტად არ გადექცეს! ხომ ხედავ, რა რიგად მიცემს გული! ვიდრე ცემას სამუდამოდ შეჰსწყვეტს, ხელახლად გამიმხნევდა, თუ მოვკვდე, გერმასს უთხარ ყოველი, რაც ჩემგან იცი. დალოცე ათასჯერ, ათი -ათასჯერ ჩემ მაგიერ და დედის მაგიერ, ხოლო არასდროს არ უთხრა, რომ დედა მისი გაჰყვა ერთს საძაგელს, ერთს კაცს, ისე იგი, ერთს პედკრულს, რომელსაც მე ყოველისფერი მივუტევე. გერმასს ეს ბეჭედი მიეც. ჩემს მღვიმეში ბალახებქვეშ ლოგინზედ წიგნსაც იპოვი, ისეც მიე, როცა ბეჭედს აძლევდე. იმ წიგნით თავის ბიძასთან მივიდეს და ის უშოვის ჯარში ადგილს, რადგანაც ჩემი ძმა წინ წამდგარი კაცია იმპერატორის წინაშე. ყური დაუგდე, აღაპიტი როგორ ამხნევებს ჩვენებსა. იქ ჩვენები გულადად იბრძვიან! ეგ რომაელების საყვირის ხმაა! აი ნახავ, ეხლა ჩვენი ჯარი აქ, ბურჯში შემოვა და აქედამ დაუწყებს სროლას წარმართებსა. თუ აქ მოვლენ, მე შიგნით ბურჯში შემიყვანე. მე ღონე მიმეხადა და მინდა ერთხელ კიდევ ღონე მომეკრიფა და გულიანად მელოცნა, რომ ღმერთმა მომცეს ძალა, მივუტევო იმ კაცს მარტო პირით კი არა, გულითაცა.

— აი, იქ ხედავ, რომაელები მოდიან კიდეც, — გააწყვეტინა პავლემ სიტყვა.

მერე ძირს გადასძახა:

— აქეთ, აქეთ, მარცხნივ საფეხურებია.

— ჩვენ აქ ვყოფილვართ, — უპასუხა მკვახედ ერთმა, — ხალ-

ხო, თქვენ ამ ყურეზედ დადექით და თვალი არ მოაშოროთ ბურჯს. თუ რამ მოხდეს, საყვირით დამიძახეთ. მე ზევით ავალ, რადგანაც ზემოდამ უფრო ადვილად დავინახავ, ის ძაღლები სად ჯანაბას წავიდნენ!

მინამ ეს ხმა მოდიოდა, სტეფანე ყურს უგდებდა და ძირს გადაიყურებოდა. როცა რამდენსამე წუთს შემდეგ ფებიცი მაღლა ამოვიდა და დაიძახა „განა არავინ არის, რომ ხელი მომაწოდოს და მაღლა ამომიყვანოს?“ — მაშინ სტეფანე მიუბრუნდა პავლეს და უთხრა:

— ერთი ამაყენე და მიშველე, ფეხზედ დავდგე, ჩქარა!

ისე მარდად წამოდგა სტეფანე თვითონ, რომ პავლე გაოცდა. წამოდგა თუ არა, გადიხარა კედელზედ სწორედ იქ, საცა ფებიცი იყო, დააცქერდა პირისახეს, შეთრთოლდა, ძალა დაატანა თავის თავს და ჩააწოდა თავისი გამხმარი ხელი.

— სერვიან! — დაიძახა ფებიციმ, რომელსაც ამ ადგილას სტეფანეს ნახვამ გულ-მუცელი გადმოუბრუნა და რომელიც ამაოდ ცდილობდა, არაფერი შეემცნივა და გაოცებით უყურებდა ხან მოხუცებულს სტეფანეს და ხან პავლესა.

ვერც ერთმა ხმა ვეღარ ამოიღო, ორივეს სიტყვა პირში გაუშრა. სტეფანეს თვალი მიეკრა ლურსმანივით ფებიცის პირისახეს და რამდენსაც უყურებდა, იმდენად უცვივდებოდა საკუთარი ლოყები და ტუჩები უფითრდებოდა. მაგრამ ხელი მაინც გაწვდილი ჰქონდა, იქნება, მიტევების ნიშნადაც.

ამ ყოფაში კარგა ხანმა გაიარა. ბოლოს ფებიცის მოაგონდა, რომ როგორც ერთგულმა იმპერატორისამ, არ უნდა დაივიწყოს თავისი მოვალეობა, დადგა თითებზედ და მარდად წააყლო ხელი მოხუცებულის ხელს. რაწამსაც სტეფანემ იგრძნო ხელშეხება ფებიცისა, დაბარბაცდა, თითქო მეხი დაეცაო; ხრინწიანის ხმით დაიკივლა, ეცა თავის დაუძინებელს მტერს, რომელსაც კედლის პირას ერთს დამპალს ხეზედ ფეხი ძლივს ემაგრა.

პავლეს ელდა ეცა, ეს საშინელი სანახაობა რომ დაინახა; მერე ხმამაღლა, გულით და მშუდარებით დაუძახა:

— თავი დაანებე, მიუტევე, რომ ზეცამ შენც ოვიტევოს.

— რა ზეცა, რა მიტევება! — ყვიროდა ბებერი, — წყეულიმც იყოს, წყეულიმც!

მინამ პავლე მიეშველებოდა, დამპალმა ხემ ამ ორ მტერების ჭიდილს და ძიძგინს ვეღარ გაუძლო, ჩატყდა და ორნივ ერთად გადაცვივდნენ თვალჩაუწვდენელ ხევში.

პავლემ საშინელი გოდება ამოუშვა გულის სიღრმიდამ და ცხარეს ცრემლით თვალში წაიბუტბუტა:

— ესეც იბრძოდა, მაგრამ აგრეთვე ამაოდ!

ომი გათავდა და ჩამავალმა მზემ სხივი მოჰფინა ბევრს მკვდარს ბლემშიელებისას. ბოლოს მზეც ჩავიდა, მწუხრი დადგა და მოწმენდილი ცა მოიჭედა ვარსკვლავებით. სოფელი მთვარის შუქზედ განათდა.

საყდრებიდამ ხალხი შეხიზნული გამოვიდა. აღაპიტმა მიიწვია ყველანი მკვდრების სანახავად, ლოცვისათვის და დამარხვისათვის. ხმაამოუღებლივ მოგროვდა საზოგადოება დახოცილ მოძმეთა გარშამო და გულმტკივნეულობით ისმენდა ლოცვასა და კურთხევას, რომელსაც მოჰსთქვამდა ეპისკოპოზი პატიოსან გვამთა ზედა, ძმათა სასხნელად თავდადებულთა და სისხლდანთხეულთა. ლოცვის შემდეგ თითოეულს ცხედარს თავზედ დაადგა ტირილით და გოდებით თავისიანი. არაერთი და ორი ცხარე ცრემლი დაეცა დედამიწაზედ დედის, ანუ ცოლის თვალთაგან, არა ერთი და ორი კვნესა ამოვიდა მამის გულიდამ და წარემართა ცისკენ.

იმ საკაცესთან, რომელზედაც სტეფანე ესვენა, სხვა საკაცეებიც იყო, და ამ საკაცებ შორის იდგა დაჩოქილი გერმასი და ტიროდა. მეგობრულმა ხმამ ზევით აახედა საწყალი ჭაბუკი.

— პეტრევ, შენა ხარ! — დაიძახა ჭაბუკმა და ჩამოართვა სენატორს გამოწვდილი ხელი. მინამ საწყალი მამა ცოცხალი მყვანდა, სულ სხვაგან მიწევდა გული და ეხლა კი, როცა მამაჩემი სამუდამოდ გამშორდა, რა რიგის სიამოვნებით განუშორებლივ მასთან ვისურვებდი ყოფნას!

— იგი მოკვდა სახელოვანის სიკვდილითა, იგი მოკვდა თავისიანთათვის, — უპასუხა სენატორმა.

პავლე იმასთან იყო, როცა გადავარდა, — უპასუხა გერმასმა, — ამ ბურჯის სასხნელად იყო, რომ გადიჩეხა კედლიდამ. მაგრამ აქ მოიხედე, შეხედე ერთი ამ ქალს, ამ უბედურს ბავშვს,

რომელიც თხებს აძოვებდა ხოლმე. იგი მოკვდა ვაჟკაცთა სიკვდილითა. საწყალი, ფრთხალი მირიამი! რამდენს კეთილს ვისურვებდი შენთვის, შენ რომ ეხლაც ისევ ცოცხალი იყო.

ამ სიტყვებზედ გერმასმა წყნარად აიღო მირიამის ხელი, აკოცა პატარას და გაცივებულს ხელს და ფრთხილად დაუკრიფა გულზედ.

— როგორ მოხდა რომ ქალი ვაჟკაცთა ომში გაერივა? ჰკითხა პეტრემ, — მაგრამ მაგას მერეც მიამბობ, შინ რომ წავალთ. ჩვენთან გთხოვ და იყავ ჩვენთან სტუმრად რამდენს ხანსაც გენებოს. ჩვენ ყველანი შენგან დავალებულნი ვართ.

გერმასი წამოწითლდა და თავდაბლობით აიცალა ქება, რომელსაც ყველანი გარშამო ეუბნებოდნენ როგორც მხსნელსა მტრის ხელისაგან.

როცა მივიდნენ მომტირალე დედაკაცები, გერმასმა ერთხელ კიდეც დაიჩოქა მამის თავით, უკანასკნელად შეხვდა სიყვარულით მშვიდობიანს სახეს მირიამისას, ადგა და გაჰყვა პეტრეს, რომელმაც ხელახლად მიიწვია თავის სახლში.

სენატორი და ჭაბუკი ერთად შევიდნენ ეზოში. გერმასმა უნებლიედ შეხედა ფანჯარას, საცა არა ერთხელ ენახა სირონა და ანიშნა რა ფებიცის სახლზედ, ჰსთქვა: „ისიც მკვდარია“. პეტრემ თავი დაიქნივა ჰოს ნიშნად და შეაღო კარი თავის სახლისა. განათებულს დერეფანში გამოეგებათ დოროტეა და აჩქარებით იკითხა:

— მაინც ჯერ კიდევ პოლიკარპისაგან ამბავი არა არის რა.

ქმარმა უარყოფის ნიშნად თავი გაიქნივა. დოროტეამ მაინც განაგრძო:

— არც უნდა იყოს ჯერ! კლისმიდამ უნდა მოეწერა, ან იქნება თვითონ ალექსანდრიიდამაც.

— მეც ეგრე მგონია, — უპასუხა პეტრემ და თავი ძირს ჩაღუნა. მერე გერმასი წარუდგინა ცოლს. დოროტეამ მხურვალის მონაწილეობით მიიღო ყმაწვილ-კაცი. იცოდა, რომ მამა მოუკვდა და თვითონ გერმასმაც სახელი გამოიჩინა. ვახშამი მზად იყო და გერმასი მიიწვიეს ვახშამზედ.

დოროტეამ ანიშნა თავის ქალს მარტანას, რომ სტუმარს

ქვეშსაგები მოუმზადოს, ხოლო პეტრემ დააყენა მარტანა და უთხრა:

— გერმასი ანტონიოს ქვეშსაგებზედ მოისვენებს. ის ამაღამ არ მოვა, მუშებთან საქმე აქვს. იეტრო სადღაა შინამოსამსახურებით?

— იმათ ვახშამი გაათავეს კიდეც, — უპასუხა დოროტეამ.

ცოლ-ქმართა ერთმანეთს შეხედეს და პეტრემ მწარედ გაიღიმა და ჰსთქვა:

— მე მგონია ისინი მთაში არიან.

დოროტეამ ცრემლი მოიწურა და ჰსთქვა:

— იქ ანტონიას ნახვენ. ნეტავი პოლიკარპიც იპოვნონ? ძე ამას შენს სანუგეშებლად კი არ ვამბობ. უფრო დასაჯერია, რომ ის მკვდარი არ არის და წასულია ალექსანდრიაში, რადგანაც უნდოდა, ამ ადგილებს მოშორებოდა ცოტას ხნობით, იმიტომ, რომ აქ ბევრი რამ მოაგონებდა ხოლმე იმისთანა რამეებს, რომელნიც გულს უწყლავდნენ. მგონი კარი გაიღო?

მარდად წამოხტა და გადიხედა ეზოსკენ. მერე მოუბრუნდა მარტანას, რომელიც საჭმელს აწვდიდა გერმასს და ჰსთქვა გულის ტკივილითა:

— ჩვენი ანუბისია.

რამდენსამე ხანს ყველანი გულდამძიმებულებსავით ისხდნენ გაჩუმებულნი. ბოლოს პეტრე მიუბრუნდა თავის სტუმარს და უთხრა:

— შენ გინდოდა გეამბნა, როგორ მოკვდა ომში ჩვენი მწყემსი მირიამი. ის ჩვენის სახლიდამ გაიქცა....

— მთაში ავიდა, — დაუმატა გერმასმა — და ისე უვლიდა მამაჩემს, როგორც ღვიძლი შვილი.

— აი, დედი, ხომ ხედავ, — ჩამოართვა სიტყვა მარტანამ — ავის გულისა არა იყო-მეთქი, მე ამას ყოველთვის ვამბობდი.

— დღეს დილით, — განაგრძო გერმასმა — მირიამი თან მოჰყვა მამაჩემს ბურჯში და როცა მამაჩემი გადიჩეხა, მაშინვე გამოიქცა თურმე ჩემთან ამ მწუხარე ამბის მოსატანად. ესე მითხრა პავლემ. მირიამმა მნახა, მე საითაც წავედი ჩემის ჯარით, იქით წამოვიდა და მალე მიპოვნა იმიტომ, რომ თვალი მშვენისა ჰქონდა და ყური დაფთხალის ფრინველისა. არც ძნელი

იყო იმ ჟამად ჩემი პოვნა, რადგანაც მაშინ ჩვენ ვომობდით ბლემმიელებთან ხეობაში, რომელიც მთიდამ ზღვამდე ჩამოჰსდევს. ისინი ბევრნი იყვნენ. წინადამ და უკანიდამ, მარცხნივ და მარჯვნივ მოგვიარეს, რადგანაც ის წყეულები ისე ღახტიან კლდეებზედ, როგორც ფსიტები მოგვექცნენ მთის წვერებზეღ და იქიდამ მოგვაყარეს ქვები და ისრები. სამმა თუ ოთხმა ისარმა მეც გამკობლა და ერთმა კიდევ თუმცა თავზედ გადმიარა, მაგრამ თმებში მომხვდა და იქ დარჩა. ვერას გეტყვით ომის მსვლელობაზედ იმიტომ, რომ სისხლი თავში ამივარდა. მარტო მახსოვს, რომ ვყვიროდი და ვიძახოდი გიჟსავით. ხან იქ ვეცემოდი ხან აქ რომელსამე წარმართს და ჩემმა ნაჯახმა ერთსა და ორს კი არ გაუპო მაშინ თავი. ამ ყოფაში შევასწარ თვალი, რომ ზოგმა ჩემთაგანმა გაქცევა დააპირა და კიდეც მე დავუძახე, დაბრუნდით-მეთქი. მობრუნდნენ და ისევ გამომყვნენ მე. ერთხელ გაცხარებულს ომში თვალი მოვჰკარ მირიამს, რომელიც გაფითრებული მიჰყუდებოდა კლდეს და უყურებდა ომს. მე დავუძახე, რომ იქიდამ წასულიყო და მამიჩემისათვის მიეხედნა. იმან უარის ნიშნად თავი გაიქნია. ფეხი არ მოიცვალა იქიდამ და ასეთის მწუხარის და გულმტკივნეულობის თვალით დაიწყო ცქერა, რომ თავის დღეში არ დამავიწყდება. ხელებით და თვალებით მანიშნებდა, რომ მამაჩემი ცოცხალი აღარ არის და მეც თუმცა ამას ვერ მივუხვდი, მაგრამ გავიგე კი, რომ ჩემს თავზედ რაღაც დიდი უბედურობა მოსულა. მე აღარ დამცალდა სწორე შემეტყო რამ, იმიტომ, რომ მინამ რასმეს ვკითხავდი, თავზედ დამეცა ბელადი ბლემმიელებისა და მირიამის თვალწინ ცხარედ დავეტაკენით ერთმანეთს. ჩემი მოპირდაპირე ღონიერი იყო და მე დავუმტკიცე, მირიამს, რომელიც ხშირად მაყვედრიდა ქალაჩუნობას, რადგანაც მამის მორჩილი ვიყავ, მე დავუმტკიცე-მეთქი, რომ ის არა ვარ, რაც ვეგონე. მე ვერ ავიტანდი, რომ მის წინ დავემარცხებინე ვისმეს, დედამიწაზედ დავანარცხე წარმართი და ნაჯახით იქავ სული გავაფთხობინე. ამ დროს წინადამ მომესმა საშინელი ხმა. ვიღაცამ დაიკივლა. გავიხედე და ჩემ თვალთა წინ ძირს დაეცა სისხლში მოსვრილი მირიამი. ერთი ბლემმიელი თურმე მომპარვოდა, როცა მე გულზედ

მუხლი დავაბჯინე და ვკლავდი მის ამხანაგს, და ეტყორცნა ჩემთვის შუბი, მაგრამ მირიამმა... მირიამმა...

— დაგიხსნა შენ სიკვდილისაგან და თავისი საკუთარი სიცოცხლე შემოგწირა, — ჩამოართვა პეტრემ სიტყვა ყმაწვილკაცს, რომელსაც ამ ამბის მოგონებაზედ ხმა გაუწყდა და თვალები ცრემლით აევსო.

გერმასმა ჰოს ნიშნად თავი დაიქნია და ხმადაბლა ჰსთქვა:

— საწყალმა ხელები მაღლა აიშვირა და ჩემი სახელი წამოიძახა, როცა შუბი ეცა გულში ჩემ მაგიერ. ობედიანის უფროსმა შვილმა მაგიერი გადუხადა იმის მკვლელს. მე კი მივვარდი მაშინვე მირიამს და როცა მომაკვდავი უნდა გადაქცეულიყო მივისვენე გულზედ და ჩავძახე: მირიამ, მირიამ-მეთქი. იმან თვალები ერთხელ კიდევ წამოახილა, შემომხედა ნაზად და ისეთის სიტკბილით, ისე მეგობრულად ახსენა ჩემი სახელი, რომ ჟრუანტელმა გამიარა ტანში. მე ჩემს ღლეში არ დავიჯერებდი, რომ განადირებულს მირიამს ასე ტკბილად შეეძლო ხმის ამოღება. საშინლად დამიწყო გულმა ტკივილი და მე თვალები და ტუჩები დავუკოცნე. მერე ერთი კიდევ შემომხედა, დიდხანს დამაცქერდა, მიყურა, მიყურა სიყვარულით და მადლითა და ამ ყურებაში დალია კიდეც სული.

— კერპთმსახური იყო, — ჰსთქვა დოროტეამ და მოიწმინდა ცრემლი, — მაგრამ მაგგვარის სიკვდილის გამო ღმერთი ბევრს რასმეს მიუტევებს.

— მე იგი ეხლა უფრო შემიყვარდა და რაც საუკეთესო ყვავილია იმით მოვურთავ საფლავსა, — ჰსთქვა მარტანამ. ნებას მომცემ დედი, რამდენიმე შტო მოვსჭრა შენს აყვავებულს მირტს გვირგვინისათვის?

— ხვალ, ხვალ, ჩემო კარგო, — უპასუხა დოროტეამ, — ეხლა წადი, დაიძინე, ძლიერ გვიან არის.

— ნება მომეცით, ცოტა კიდევ დავრჩე, — ჰსთხოვა ქალმა, — მინამ ანტონი და იეტრო მოვლენ.

— მე სიამოვნებით გიშველით, რომ თქვენი შვილი იპოვოთ, — ჰსთქვა გერმასმა — და გნებავთ წავალ რაიტას და კლისმას და მენავეებს ვკითხავ. განა ცენტურიონმა თავისი ცოლი ვერ იპოვა?

ამ კითხვაზედ მორცხობით თავი დაიღო ძირს და ძირს დაიწყო ყურება.

— სირონა ჯერ არ მოუყვანიათ, — უპასუხა პეტრემ და ვინ იცის, იქნება.... მაგრამ შენ ამას წინად პავლე ახსენე, შენიც მახლობელი იყო და მამიშენისაც. ნუთუ არ იცი, რომ იმან ურცხვად არივა ცენტურიონის ოჯახის მშვიდობიანობა?

— პავლემ? — დაიძახა გერმასმა — როგორ დაგიჯერებიათ ეგ ამბავი!

— ფებიციმ იპოვა იმისი ტყაპუჭი თავის ცოლის ოთახში, — ხუმრობა გაშვებით უთხრა პეტრემ — ჩვენ თვალწინ ურცხვმა ალექსანდრიელმა აღიარა თავისი ცოდვა და ჰსთხოვა ფებიცის, დამსაჯეო. სწორედ იმ ღამეს მოახდინა ეს სამარცხვინო ამბავი, როცა შენ წახვედი მტრის დასაზვერავად.

— ფებიციმ ჰსცემა კიდეც? — დაიძახა გულამღვრეულმა გერმასმა. — და საწყალმაც კისრად იდო სირცხვილი და თქვენი კიცხვა მარტო ჩემის გულისათვის! ეხლა მე მესმის, რა უნდა ეთქვა! ომის შემდეგ დამხვდა, მითხრა მამის სიკვდილი და როცა გამომეთხოვა, მეუბნებოდა, რომ მე დიდად დიდი ცოდვილი ვარო, რომ სოფელში ყველგან და ყველანი ამას გეტყვიანო. მე კი ვიცი, რაც არის. იგი სულგრძელია და გულკეთილი და მე ვერ მოვითმენ, რომ იგი ჩემის გულისათვის შერცხვენილ და გაკიცხულ იქმნას.

ამ სიტყვაზედ გერმასი წამოხტა ფეხზედ და ნახა, რომ მასპინძლები გაოცებით შემოჰყურებენ, უთხრა:

— პავლეს თვალითაც თავის დღეში არ ენახა მაშინ სირონა და მე გარწმუნებთ, თუ ქვეყანაზედ ვინმე წმინდაა, კეთილი და უცოდველი, პავლე იმათში პირველია. ჩემის გულისათვის, რომ მე გადამარჩინოს სასჯელს და მამაჩემის წყენას, თვითონ უკისრნია ჩემი ბრალი და ის ცოდვა, რომელიც თავის დღეში არ უქმნია. ამისთანა საქმეზედ მარტო იმას შეუძლიან თავდადება, მარტო იმას, იმ ერთგულს და პატიოსანს მეგობარსა! ამას იქით არც ერთს წუთსაც იმაზედ არაფერი ეჭვი აღარ უნდა იყოს.

— შენ მაგას ამბობ იმ კაცთან, რომელიც შენზედ ბევრიო

უფროსია, — გააწყვეტინა ჭაბუკს ძლიერი სიტყვა, — შენმა მეგობარმა თავის საკუთარის პირით აღიარა...

— ეგ უტყუვნია თავის გულკეთილობისა გამო, — დაუყვირა გერმასმა სენატორს. — ცხვრის ტყაპუჭი, რომელიც ფებიცის უპოვნია, ჩემია. მაშინ როცა თავის ღმერთას მიტრას ღამეს უთევდა, მე სირონასთან შევედი, მამიჩემისათვის ღვინო უნდა მეთხოვნა და სირონამ კიდეც ნება მომცა და მე ცენტურიონის ტანისამოსით მოვირთე. როცა უეცრად სახლში დაბრუნდა, მე ვკარ ფეხი და ფანჯრიდამ გადავხტი. ტყაპუჭი იქ დამავიწყდა, გამოქცეულს წინ პავლე შემხვდა, მითხრა, რომ ყველაფერს მე ჩავაფარცხებო, შენ წადიო და შენ მაგიერ მე გავცემ პასუხსაო, თორემ მამაშენს ეწყინებაო. მე სულელობა მომივიდა, რომ იმ ღამეს სირონასთან შეველ. მაგრამ გეფიცებით მამიჩემის სულს, რომელიც დღეს ღმერთმა მიიბარა, რომ სირონა ისე მექცეოდა მე, როგორც პატარა ბავშვსა და ნება არ მომცა იმის მშვენიერ ოქროს თმებს ხელით მაინც მივკარებოდი. ღმერთია მოწამე და მამიჩემის სული, რომ მართალს ვამბობ. მართალს ვამბობ, რომ პავლეს იმისთანა ბრალი აუღია კისრად, რომელიც თავის დღეში არ უქმნია, და თუ თქვენ სირონა გაგიკიცხავთ, უსამართლობა ჩაგიდენიათ იმიტომ, რომ არამც თუ პავლეს გამო, არამედ ჩემ გამოც იმას თავის დღეში ქმრისათვის არ უღალატნია.

დოროტეამ და პეტრემ ერთმანეთს გაოცებით შეხედეს. ყმაწვილი კაცი კი ძირს იყურებოდა და ხმა აღარ ამოიღო. ბოლოს თითქო გამოჰფხიზლდაო სხარტადა სთქვა:

— მე ნება მომეცით წასვლისა. მე მინდა საწყალი პავლე ვიპოვნო სადმე. მე მადლობელი ვარ თქვენის გულკეთილობისა, მაგრამ აქ დარჩენა არ შემიძლიან, უნდა მთაში წავიდე!

სენატორი და ცოლი ეხვეწებოდნენ დარჩენას, მაგრამ არ დარჩა და როცა გააცილეს და კარი დაკეტეს რაღაც მძიმე სევდა დააწვათ ორივეს გულზედ. პეტრემ მტკივნეულობით ამოიოხრა. დოროტეა მივიდა და ნუგეშინის სიტყვები უთხრა.

არ გასულა ბევრი ხანი, რომ ძაღლები ყეფას მოჰყვნენ და პეტრე გულდამძიმებული, თითქო ცუდს რასმეს ელისო, ადგა და ხმადაბლა ჰსთქვა:

— იქნება ისინი არიან.

დოროტეამ ხელი ხელს ჩაჰკიდა ქმარს, მაგრამ მაშინვე ხელი გამოაცალა, როცა კარის რახუნი მოესმა.

— ეს არც იეტრო უნდა იყოს და არც ანტონიო — ჰსთქვა პეტრემ — იმათ გასაღები თან აქვთ.

მარტანა მამასთან მივიდა, როცა ის გადიხარა ფანჯრიდამ და დაუძახა:

— ვინა ხარ მანდ, კარს რომ არახუნებ?

ძაღლებმა ასე ხმამაღლა დაიწყეს ყეფა, რომ ვერც კაცებმა და ვერც დედაკაცებმა ვერ გაიგეს, რა პასუხი იყო.

— ერთი არგუსას შეხედეთ, — ჰსთქვა დოროტეამ. — ასე იცის ხოლმე ყეფა როცა ან შენ მოდიხარ, პეტრევ, ანუ ჩვენებიანი ვინმე, ან კიდევ როცა უხარიან რამ.

პეტრემ ტუჩებზედ თითი მიიდო. ვიღაცამ ძალიან დაუშტვინა, ძაღლებმა ხმა გაიკმიდეს, თითქო დაუჯერესო. მაშინ პეტრემ დაუძახა:

— ვინა ხარ ემანდ? ხმა ამოიღე, თუ რომ გინდა კარი გაგიღო!

პასუხი დაუგვიანდა, პეტრეს უნდოდა, კიდევ ხმა გაეცა, მაგრამ ამ დროს ჭიის კარიდამ მოისმა ტკბილი ხმა, რომელმაც რიდით და კრთომით ჰსთქვა:

— მე ვარ, პეტრევ, მე, გაქცეული სირონა.

რაწამსაც ეს გაიგონა მარტანამ, გამოუსხლტა მამას ხელიდამ, რომელიც მხარზედ ედო, ჩაირბინა კიბე და ეცა ჭიის კარებსა.

— სირონავ, ჩემო კარგო, ჩემო საცოდავო სირონავ! — ყვიროდა ქალი, მინამ ურდულს გამოუყრიდა და როცა კარები გაიღო და სირონამ ეზოში ფეხი შემოდგა, ყელზედ გადეხვია მარტანას, ჰკოცნიდა, ეალერსებოდა, შეჰხაროდა, თითქო ამის ღვიძლი დაი ყოფილიყოს.

მართანამ აღარა ათქმევინა რა, წაავლო ხელი და სუგეშისცემით წაიყვანა დედ-მამასთან. კარებში პეტრე და დოროტეა მოეგებნენ, უკანასკნელმა მიიზიდა თავისკენ სირონა, აკოცა შუბლში და უთხრა:

— საწყალო! ჩვენ შევიტყეთ, რომ უსამართლოდ მოგექეცით და ვეცდებით ყველაფერი გავასწოროთ.

სენატორიც მივიდა, ჩამოართვა ალერსით ხელი, მოიკითხა მამობრივად. სირონამ ვერა უპასუხა რა, რადგანაც არ იცოდა რა ეთქვა.

როცა მთიდამ ძირს ჩამოდიოდა და უგზო-უკვლოდ მოდიოდა ბნელაში ეგონა, რომ როგორც გაკიცხულს გარედ გამოაგდებდნენ. ფეხთ-საცმელი დაჰფხრეწოდა პირიან ქვებზედ და ძლივსღა შერჩენოდნენ დაკაწრულ ფეხებზედ. ლამაზი თმა ასწეწოდა ქარისაგან და თეთრი კაბა კიდევ მთხოვარის ძონძებს დაჰმზგავსებოდა, რადგანაც დაეჭრა, რომ წყლული შეეხვია პოლიკარპისათვის. ყველაფრის ამის მომლოდინე სიხარულით კი მიიღეს პოლიკარპის მამამ, დედამ, დამ და ძველებურად ალერსით მოეგებნენ!

განუზომელ ლმობიერებით და მადლობით აევსო გული ამის მნახველს სირონას, გული ამოუჯდა, წასქდა ცრემლი და ტირილი ველარ შეიმაგრა. ამ ტკბილის გრძნობით დიდხანს ვერ დარჩა, რადგანაც ბედნიერება უპოლიკარპოდ ამისთვის სრულებით უქმი იყო. განა პოლიკარპის გულისათვის არ შეჰბედა ამ ბნელაში ამ საშიშარს გზას? მარტანა ხელახლად მიუახლოვდა და ნაზად დაუწყო ალერსი, მაგრამ სირონამ არ დააცალა და ჰსთქვა:

— ეხლა მაგისი დრო არ არის, ჩემო კარგო! ისეც მიელი ერთი საათი ტყუილად დავკარგე აქა-იქ ხეტებაში. პეტრევ, მოემზადე, უნდა მთაში წამომყვე იმიტომ, რომ..... ნუ შეშინდები, დოროტეავ! პავლემა ჰსთქვა, რომ ეხლა ფიქრი აღარაფერისა აქვსო და თუ პოლიკარპიო.....

— ღვთის გულისათვის, თუ იცი რამე, ჰსთქვი, — დაიკივლა დოროტეამ და სისხლი თავში აუვარდა, პეტრე კი გაფითრდა, გააწყვეტინა სიტყვა თავის ცოლს და ძლივსღა ჰკითხა:

— სად არის პოლიკარპი და რა დამართვია?

— ცუდს ამბავს გეტყვით, — უპასუხა სირონამ და ასეთის თვალით შეხედა ცოლ-ქმარს, თითქო ბოდიშს ითხოვსო. — პოლიკარპი დაეცა ქვებზედ და თავი გაიტეხა დღეს დილით პავლემ, ბლემმიელებთან საომრად წასვლის წინად, ზურგით მოიტანა ჩემთან და მე ჩამაბარა. მეც გულმოდგინებით წყლით ვუგ-

რილებდი წყლულს; შუადღის დროს თვალი გაახილა, მე მიცნო და ჰსწუხდა თქვენს შეწუხებაზედ. მზე რომ ჩამოვიდა, ჩაეძინა, ეხლა ცოტა სიცხე აქვს. პავლე მობრუნდა თუ არა, მე აქეთ გამოვიქეც. მინდა, საყუათო სასმელი რამ გამოგართოთ და ეხლავ უკანვე წავიდე.

ცრემლით თვალში მოჰსთქვამდა ამას სირონა და დედ-მამა როგორც გლოვის ზარს ყურს უგდებდნენ, ჰსწუხდნენ და იმედოვნებდნენ კიდეც, რომ შვილი მოურჩებათ.

— ჩქარა, ჩქარა, მარტანავ, — დაიძახა იმედმოცემულმა დოროტეამ, — ჩქარა მოიტანე არტახების კალათა, სასმელს მე თვითონ მოვუმზადებ.

პეტრე მივიდა ჱირონასთან ახლო და ხმადაბლა ჰკითხა:

— მართლა ისეა საქმე, როგორც შენ ამბობ? მაშ არა უშავს რა? მართლა ცოცხალია და პავლემაც.....

— პავლე ამბობს, რომ თუ კარგად მოუარესო, პოლიკარპი ორ-სამ კვირაზედ ფეხზედ ადგებაო, — უპასუხა სირონამ.

— ახლა შეგიძლიან მე წამიყვანო, გზა ხომ არ აგერევა?

— ვაიმე! — დაიძახა სირონამ, — იქნება მე უბედურმა გზა ველარ გავიგნო, რადგანაც არსად ნიშნები არ დავაგდე. მაგრამ მოიცა! მემფისიდამ რომ მეუდაბნოე იყო, აი, ეხლახან რომ გადიცვალა, ხომ იცი...

— ჰო, აი ბებერი სერაპიონი? — ჰკითხა სენატორმა.

— დიაღ, ისე ეძახდნენ. — უთხრა სირონამ. — იმისი მღვიმე ხომ იცი.

— საიდამ მეცოდინება. იქნება ალაპიტმა იცოდეს...

— მაშ არც წყარო იცი, რომელსაც პავლე თურაჯების წყაროს ეძახის.

— თურაჯების წყაროს, — უპასუხა სენატორმა, — ეგ კი ვიცი. ღრმად ამოიოხრა, აიღო თავისი ჯოხი და უთხრა დოროტეას: — სასმელი მოამზადე, შესაკრავები, ჭრაქები და შენი ტახტრევანი, მე კი წავალ ჩემს მეზობელს მაგადონთან, ბიჭები მაშველიოს.

— მეც თან გამოგყვები, — უთხრა მართანამ.

— არა, არა, შენ დედაშენთან უნდა დარჩე.

— შენა გგონია, მე კი აქ დაგიწყებ ლოდინს თუ? — ჰსთქვა დოროტეამ, — მეც თქვენთან მოვდივარ.

— შენ აქაც ბევრი საქმე გაქვს, — უთხრა პეტრემ, — მერე ჩვენ ძალიან ჩქარა უნდა ვიაროთ.

— მე მართალია ისე ჩქარა ვერ მოგყვებით, — ჰსთქვა ამოოხვრით დოროტეამ — მართანა მაინც წაიყვანეთ, სუბუქი და ბედნიერი ხელი აქვს.

— თუ შენ საჭიროდ ჰხადი, — წამოვიდეს, უთხრა სენატორმა და გავიდა ოთახიდამ.

როცა მარტანამ კალათა აავსო წამლებითა, ტილოს შესაკრავებითა, ღვინითა და წმინდა წყლითა, აჩვენა სირონას. სირონამ მოუწონა და უთხრა:

— მაშ ერთი წყვილი მაგარი წულებიც მე მათხოვე, თორემ ჩემები სულ დამეგლიჯა ქვებზედ და ფეხშიშველა ვერ მივყვები კაცებს, რადგანაც ქვები დანასავით ფეხებს მიშაშრავენ.

აქ მართანამ პირველად დაინახა სისხლი სირონას ფეხებზედა; მაშინვე წამოავლო ხელი სანთელს, ძირს დადგა, დაიჩოქა სირონას წინ, ხელით აუწია თეთრი თოვლივით ფეხი, გაუსინჯა დაჭრილობა და დაიძახა:

— ღმერთო, ამას რას ვხედავ! რა რიგად დაგიშაშრია ფეხები!

მსწრაფლ მოიტანა ჯამით წყალი, ჩამოჰბანა სისხლი და ფეხები შეუხვია კარგად. როცა შეუხვია ფეხები, სირონა წამოდგა და უნდოდა შეეტყო, წყლული უშლის სიარულს თუ არა, მაგრამ ძალიან გაუძნელდა სიარული. ასე რომ, როცა პეტრე დაბრუნდა თავის მეზობლიდამ შინ, სასტიკად აუკრძალა თან გაყოლა.

მინამ სენატორი თავის ქალით ოთახიდამ დააპირებდა გასვლას, რაღაც წაჰსჩურჩულა ცოლს, მერე მივიდა სირონასთან და უთხრა:

— იცი, რა დაემართა შენს ქმარს?

სირონამ თავი დაუქნივა და უთხრა: — მე პავლემ მითხრა. ეხლა მე უბინაოდ ვარ დარჩომილი.

— სულაც არა, — დაატანა ზედ პეტრემ, — ჩვენი სახლი შენი ჭირის სანაცვლო იყოს, აქ ჩვენს ჭერს ქვეშ საფარავსაც

იპოვნი და სიყვარულსაც, როგორც საკუთარის მამის-შენის სახლში. ჩვენ მადლობის გადახდას არ ვითხოვთ, ისეც ძალიან დავალებული ვართ შენგან. შვიდობით, ჩემო ცოლო! წამო მართანავ, ეხლა ყოველი წუთი ძვირად გვიღირს.

როცა სირონა და დოროტეა მარტო დარჩნენ, დოროტეამ უთხრა:

— წავალ, ქვეშსაგებს მოგიმზადებ, ძალიან დაღლილი იქნები და დასვენება საჭირო.

— ნუ, ნუ, — დაემუდარა სირონა, — მე შენთან ვიქნები და მოვიცდი, სულ ერთია არ დამეძინება, მინამ არ შეიტყობ იმის ამბავს.

ეს სიტყვები ასე ტკბილად და გულიანად იყო ნათქვამი, რომ დოროტეამ მადლობის ნიშნად ხელი გაუწოდა ახალგაზდა ქალს. მერე უთხრა:

— ცოტას ხანს მარტო გაგიშვებ, გული ჩემი ასეა საკვირველგვარის ეჭვითა და შიშითა, რომ უნდა ვილოცო და შევევედრო ღმერთს, რომ ჩემს შვილს მიჰსცეს შემწეობა და მე — სიმაგრე და ღონე.

— მეც თან წამიყოლიე, — დაემუდარა სირონა, — ჩემს უბედურობაში მე გადვუხსენ გული ჩემი თქვენს კეთილს და მოწყალე ღმერთსა და ამას იქით თავის დღეში აღარ თაყვანს ვცემ სხვა ღმერთსა. მარტო ერთი ფიქრი თქვენს ღმერთზედ გულს მიმაგრებს და ნუგეშს მცემს და ეხლა მისი შველა უფრო მიჭირს, ვიდრე როდესმე.

— ჩემო შვილო, ჩემო კარგო! — დაიძახა სიხარულით სენატორის ცოლმა, გადეხვია სირონას, დაუწყო კოცნა შუბლზედ, ტუჩებში, მოჰკიდა ხელი და წაიყვანა თან. როცა შეიყვანა თავის ოთახში, უთხრა:

— აი, აქ ვლოცულობ ხოლმე, თუმცა აქ არც საკურთხეველია, არც ხატი. ჩემი ღმერთი ყველგან არის და ყოველს ადგილას უსმენს მავედრებელსა.

ორმავე დედაკაცმა მუხლი მოიდრიკა ერთმანეთთან ახლო, ორივე ერთსა და იმავე ღმერთს ევედრებოდნენ მოწყალებას არა თავისთვის, არამედ სხვისთვის და ორნივ მწუხარებაში ღმერ-

თსა ჰმადლობდნენ; სირონა იმისათვის, რომ დოროტეაში დედა იშოვა და დოროტეა იმისათვის, რომ სირონაში იშოვა შვილი, ძვირფასი შვილი.

XXI

როცა პოლიკარპი ტახტრევანში ჩასვეს, წინ მაშხალებით გაუძღვნენ და წაიყვანეს. პავლე მღვიმეს გარედ გამოვიდა, დაჯდა და თვალს ადევნებდა მაშხალებს, რომელთა ნათელიც თანდათან თვალწინ ქრებოდა, რადგანაც მთებიდამ დაბლა ვაკეზედ ჩადიოდნენ ტახტრევანის წამღებნი და მაშხალები გზას უნათებდნენ. მამა და დაი თან მისდევდა თავგატეხილს პოლიკარპსა.

— ერთი საათი კიდევ, — ჰსთქვა პავლემ, — და დედა გადაეხვევა კიდეც თავის შვილსა. კიდევ ერთი კვირაც და პოლიკარპი ქვეშსაგებიდამ წამოდგება. ერთი წელიწადიც და მარტო ნიშანიღა მოაგონებს პოლიკარპს გუშინდელ დღეს. ჩემთვის უფრო ძნელია ამ დღის დავიწყება. კიბე, რომელიც ამდენს წელიწადს ვაშენე, რომლითაც მინდოდა ავსულვიყავ ცამდე და რომელიც მეგონა, საკმაოდ მაღალია და საიმედოა-მეთქი, უეცრად ჩამომენგრა და განაცრებული მიგდია თვალწინ და ხელი, რომელმაც იგი დაფუშა, იყო ხელი საკუთარის ჩემის უძლურებისა. მე მგონია, რომ ეგ უძლურება უფრო ძლიერი ყოფილა, ვიდრე შინაგანი ღონე. იმიტომ, რომ მან ერთს წუთს დაანკრივა ის, რაც იმდენი წელიწადი შინაგანმა ღონემ ააშენა. მარტო უძლურებაში ვყოფილვარ მე დევი და სხვა არაფერში.

უკანასკნელ სიტყვებზედ პავლე ჟრჟოლამ აიტანა, რადგანაც ძალიან ციოდა. იმ დღიდამ, როცა გერმასის ბრალი თვითონ იკისრა, აღთქმა დაჰსდო, რომ თავის დღეში თავის ტანს თბილი რამ არ მიაკაროს და ტანი მისი, დაჩვეული სითბოს, უფრო მეტად ჰგრძნობდა სიცივეს ეხლა, როცა სისხლი უდუღდა უფრო ძლიერ მეტისმეტის ჯაფისა, უძილობისა და უკანასკნელ დღეების მღელვარებისაგან. სიცივით აკანკალებული შეეხვია უფრო მაგრად მასში, რაც ეცვა და ჰსთქვა:

— „მე ეხლა იმ მდგომარეობაში ვარ, რა მდგომარეობაშიაც ცხვარია, რომელსაც მატყლი შუა ზამთარში გაჰპარსეს. მე ეხლა

თავი ისე მიხურს როგორც ხაბაზს, რომელმაც ეს-ეს არის ეხლა ამოიღო თორნიდამ პური. ბავშვს შეუძლიან ეხლა პირაღმა გადამაქციოს და თვალებიც მელულება. ლოცვა მწყურიან და ასე საჭიროა, მაგრამ ღონე არ მომდევს რომ ვილოცო. მე გამოვექეც წუთის სოფელს და ამ მთას შემოვეკედლე, ხოლო წუთის სოფელი უკან მომყვა აქ და თავის მახეში გამიბა ფეხები. მე უნდა სხვა უდაბნო მოვნახო, საცა ჩემს მეტი არავინ, არავინ არ უნდა იყოს, რომ მარტო დავშთე ჩემს ღმერთთან და ჩემს საკუთარ თავთან. მე იქნება გზა სიმართლისა კიდევ მეპოვნა, რომ ის, ვისაც ჩემი „მე“ ჰქვიან და რომელშიაც ისახება მთელი ქვეყანა თავისის წადილითა, გულისთქმითა და ვნებითა, თან არა მდევდეს და არ მიუქმებდეს ყოველს ღვაწლს. ვისაც თავისი „მე“ თან გაჰყოლია უდაბნოში, ის მარტოობას ნუ დაიქადებს“.

პავლემ მძიმედ ამოიოხრა და ხელახლად ჰსთქვა:

— „რა რიგად თავი მომწონდა, როცა გერმასის მავიერ მე მივიღე გვემა! მე მაშინ მთვრალსა ვჰგვანდი, რომელიც კიბეზედ ფეხწასხლტილი ერთის საფეხურიდამ მეორეზედ ეცემა. საწყალს სტეფანესაც აგრევე წაუსხლტა ფეხი, თუმცა ისე ახლო იყო თავის განზრახულზედ, იმოდენა ძალა აღარ ჰქონდა, რომ შეენდო და სენატორმა კი, რომელსაც თითქმის შვილი მოუკალი, ხელი მომცა შენდობის ნიშნად. შევატყე, რომ მან წმინდის გულით მომიტევა. ქვეყანაში კია და დილია, საღამომდე მარტო წუთის სოფლის საქმეებშია გართული“.

ხელახლად სიცივემ მოუჭირა და გაუფანტა აზრები. როცა ირაჟრაჟა, ასეთი აცივდა, რომ ცეცხლის ანთება მოიწადინა.

როცა ადგა და ცეცხლს დაუწყო ნთება, გერმასი მოვიდა, სალამი მიჰსცა.

პოლიკარპის წამღებთაგან შეეტყო, სადაც იმყოფებოდა პავლე, და მოვიდა თუ არა, მივარდა, ხელი ჩამოართვა და მხურვალეს გულით მადლი გადუხადა მისთვის, რომ თავი გაიწირა და იმის მაგიერ მიიღო სამარცხვინო სასჯელი.

პავლემ უარჰყო მადლობა, სიტყვა გადუსხვაფერა და დაუწყო გერმასს ლაპარაკი მამაზედ და მერე იმაზედ, თუ საკუთლაოდ შენთვის რას ჰფიქრობო.

როცა გათენდა, გერმასმა დააპირა სოფელში ჩასვლა, რომ უკანასკნელი პატივისცემა გადუხადოს მას და ჰსთხოვა, შენც წამოდიო, მაგრამ პავლემ უპასუხა:

— ვერა, ვერა, ეხლა არ იქნება, არა. ეხლა ხელახლად რომ გავერიო ადამიანებში, ისე დავიშლები, როგორც ძველი ტიკი დაუდუღარის ღვინისაგან. ჩემს თავში თითქო მთელი გუნდია ფუტკრისა და გულში კიდევ ჯიანჭველისა. წადი და დამანებე თავი, რომ მარტო ვიყო.

როცა მამა დამარხა, გერმასი გამოეთხოვა აღაპიტს, პეტრეს, დოროტეას; წავიდა ისევ პავლესთან და იმასთან ერთად გაჰსწია იმ მღვიმისაკენ, საცა მისი მამა ჰსცხოვრებდა.

აქ პავლემ მიჰსცა მამის ამანათი და წიგნი და უწინდელზედ უფრო მეტის სიყვარულით დაუწყო ლაპარაკი.

ღამე ორნივ ერთს მღვიმეში დაწვნენ, მაგრამ არც ერთსა და არც მეორეს არც ძილი მოუვიდა, არც გული ჰქონდა დამშვიდებული. ხანდისხან პავლე კი გულისტკივილით ოხრავდა და ამბობდა თავისთავად:

— წარხდა, წარხდა ჩემთვის ყოველისფერი!... მე ვეძებ, მაგრამ ვინ არის, რომ გზა მიჩვენოს!

ჯერ გათენება არ იყო, რომ ორივე ფეხზედ იდგნენ.

გერმასი ერთხელ კიდევ ჩავიდა წყაროზედ, მუხლი მოიყარა, გამოესალმა და გაიხსენა გულისტკივილით თავისი მამა და საწყალი მირიამი. მის გულში გაიღვიძა ათასნაირმა გრძნობამ,, მოაგონდა ბევრი რამ. ყოვლად შემძლებელია ძალი სიყვარულისა. სახე საწყალის შავგრემანის მწყემსი ქალისა ეხლა წარმოუდგა ათასჯერ უფრო მშვენივრად, ვიდრე სახე მშვენიერის სირონასი.

ჯერ მზე არ ამოსულიყო, რომ პავლემ წაიყვანა გერმასი მეთევზეთა სოფელში, მიიყვანა თავის მამის ნაცნობ ებრაელთან, მიაცემინა საჭირო ფული უხვად, ჩასვა ნავში კლისმაში წასასველელად.

როცა ერთმანეთს ეთხოვებოდნენ, ძალიან დაუძძიმდათ განშორება და როცა გერმასმა პავლეს თვალში ცრემლი ნახა და ხელის კანკალი შეამცნია, უთხრა:

— ჩემთვის ნუ შეჰსწუხდები, პავლევ, კიდევ ვნაბავთ, ღვთის მადლით, ერთმანეთს. მე შენცა და მამაჩემიც ყოველთვის მეხსოვებით.

— დედაშენიც, — დაუმატა პავლემ, — შენ, მართალია, ჩემთან აღარ იქმნები, მაგრამ მე სხვას აღარ დავეძებ წვალების და მწუხარების მეტს.

ერთს ვისმეს რომ შეეძლოს გაისაკუთროს მწუხარება მთელის ქვეყნისა და ყოველს ამოსუნთქვაზედ გულისწყვა იკრძნოს, რა წყურვილით დაუწყობდა ლოდინს ხმასა მაცხოვრისასა, საიქიოდ მიმწოდებელსა!

გერმასი ტირილით გადეხვია ყელზედ და როცა ცხურვალე ტუჩები მეუდაბნოისა იგრძნო შუბლზედა, შეშინდა.

ბოლოს მენავებმა ახსნეს გემი. პავლე ხელაბლად მიუპრუნდა გერმასს და უთხრა:

— შენ ეხლა შენს საკუთარს გზაზედ დაადგები. ნუ დაივიწყებ ამ უდაბნოს და დაიხსომე აი კიდევ რა: ყველა ცოდვაზედ უმძიმესნი შემდეგნი სამნი არიან: ამაოთა ღმერთთა ოაყვანისცემა, ნდომა ცოლისა მოყვასისა შენისა და სასიკვდილოდ ხელის გამოღება. ერიდე ამ ცოდვებს! და ყველა კეთილზედ უფრო ძნელი და ამასთანავე უფრო დიდი ორი კეთილია: გულმართლობა და თავდაბლობა. ესენი უნდა აღასრულო. ყველა ნუგეშმცემელზედ უკეთესი ნუგეშმცემელი ორი რამ არის: ერთი იმის რწმენა, რომ სიმართლეს ადგეხარ, წყურვილი გაქვს, თუნდაც ზოგჯერ შეჰსცდე ხოლმე და წაიბორძიკო ადამიანობის უძლურებისა გამო და მეორე — ლოცვა!

ერთხელ კიდევ გადეხვია გამგზავრებულს, მერე წამოვიდა ზღვის პირ-პირ მთებისაკენ ისე, რომ უკან აღარ მიუხედნია.

დიდხანს თვალი არ მოუშორებია გერმასს თავის კეთილმყოფელისათვის და ჰსწუხდა, როცა ხედავდა, რომ მისი ღონიერი მეგობარი ბარბაცებდა როგორც მთვრალი და ხშირად ხელს იდებდა შუბლზედ, რომელიც ისე უნდა გახურებული ჰქონოდა, როგორც ტუჩები.

ახალგაზდა მეომარმა ვეღარ ინახულა ამის შემდეგ ვერც მთა და ვერც პეტრე, ხოლო როცა სახელი იშოვა და სამსახურში თვალსაჩინო ადგილი დაიჭირა, მაშინ შეხვდა პოლიკარპს,

პეტრეს შვილს, რომელიც დიდის პატივით მოეწყივა და დაესახლებინა ვიზანტიის იმპერატორს და რომლის სახლშიაც უფლებდა როგორც ერთგული და საყვარელი ცოლი — სირიხა.

პავლე კი გერმასის მოშორების შემდეგ დაიკარგა. ბევრს ეძებდნენ მეუდაბნოენი და ეპისკოპოზი აღაპიტი, რომელმაც პეტრესაგან შეიტყო, რომ საწყალი პავლე უბრალოდ დასჯილ და განდევნილ იქმნა და ამის გამო უნდოდა, საკუთარის პირით შენდობა ეთქვა და ნუგეში მიეცა. ბოლოს ათის დღის შემდეგ, ორიონმა იპოვა პავლე ერთს მეტად გადაკარგულს მღვიმეში.

ანგელოზი სიკვდილისა ის იყო იბარებდა მის სულსა; ჯერ კიდევ ფეთქავდა და მთლად გაცივებული არ იყო. იგი ჯერ კიდევ მუხლმოდრეკილი იყო შუბლით კლდეზედ მიყუდებული და მისი გაჭნავებული ხელები მაგრად ჩასჭიდებოდნენ მაგდალინას ბეჭედს.

როცა ამხანაგებმა საკაცეზედ დადეს, მისი პატიოსანი სახე მოირთო წმინდისა და განათებულის ღიმილითა.

ძალიან მალე გავარდა ხმა მისის სიკვდილისა, ყველამ შეიტყო, სოფლელებმა, მღვიმეებში მცხოვრებელთა და ამალიკეტელთ მწყემსებმაც კი.

დიდძალმა ხალხმა გააცილა იგი უკანასკნელ სადგურამდე, ყველაზედ წინ მიუძღოდა ეპისკოპოზი აღაპიტი წარჩინებულის სამღვდელოებითა და დიაკვნებითა. მერე მიდიოდა პეტრე თავის სახლეულობით, რომელთა შორის თვითონ სირონაც იყო.

ავადმყოფობისაგან განთავისუფლებულმა პოლიკარპმა შენდობის და შერიგების ნიშნად მიიტანა და ყვავილების გვირგვინი დაადვა მის საფლავს, რომელიც ბოლოს შეიქმნა იმათ სალოცავად, რომელთაც საწყალი პავლე იდუმალად შეელოდა.

პეტრემ ქვა გააკეთებინა და პოლიკარპმა ზედ ამოსჭრა შემდეგი სიტყვები, რომელიც თვითონ პავლეს ნახშირით თავის მღვიმის კარებზედ დაეწერა:

„ილოცდეთ ჩემთვის ცოდვილისათვის, რამეთუ კაცი ვარ!“

[1878 წ.]

თურკოსი კომუნელთა შორის[1]

(ალფონს დოდესი)

ეს იყო პატარა მედაფე აფრიკის ჯარისა. სახელად ერქვა კადური და იყო იმ თურკოსთაგანი, რომელნიც ღენერალ ვინაოს ძხედრობას მიჰყვნენ პარიჟში. მან გამოიარა მთელი ომიანობა ვისსამბურღიდამ მოყოლებული შამპინიამდე, ჩიტსავით დაფრინავდა ერთ ბრძოლის ველიდამ მეორემდე, და ისეთი ცოცხალი და მარდი იყო, რომ ტყვიამაც არ იცოდა, საიდამ მიჰკარებოდა. დადგა ზამთარი და ამ აფრიკელმა, ომის ცეცხლში ნამყოფმა და გამოვლილმა, ვერ აიტანა სიცივეში ყარაულობა, თოვლში უძრავად დგომა. ერთს დილას იანვრისას ჰპოვეს იგი მარნის წყლის ნაპირას ფეხებდამძრალი და, სიცივისაგან მოკრუნჩხული. დიდხანს მოუნდა სამკურნალოში წოლა. იქა ვნახე პირველად.

დაღონებული და უჩივარი, ვით სნეული ძაღლი, მტკნარის თვალით იყურებოდა გარშემო. თუ დაელაპარაკებოდა ვინმე, გაიღრიჭებდა და კბილებს წამოჰყრიდა; მეტი კი ვერა შეეძლო რა, რადგანაც ჩვენი ენა არ ესმოდა. გულის გასართობად კადურს ჰქონდა მარტო დაფი. ხანდახან, როცა კადური მეტისმეტად მოწყენილი იყო ხოლმე, მიუტანდნენ ქვეშსაგებში დაფს, დაუკარო; მაგრამ ძალიან მაღლა დაკვრას კი უშლიდნენ, სხვა ავადმყოფნი არ შეწუხდნენო. აი მაშინ გაცოცხლდებოდა ხოლმე მი-

[1] კომუნელებს უწოდებენ იმ რევოლიუციის მოღვაწეთ, რომელიც ახტყდა პარიჟში 18 მარტს 1871 წ. თურკოსებს უწოდებენ ალჟირიელ ჯარისკაცთ.

ში ნისლიანი, დაღვრემილი პირის-სახე; ტანს, ხელს, ფეხს სულ ააყოლებდა ხოლმე დაფის წყობილ ხმაურობას. ხან დაჰკრავდა დაფს თოფის სროლისას და მაშინ ღრეჭა აღტაცებულ კასკასად გადაექცევოდა. ხან რომელსამე თათრულს ხმას შეუწყობდა, მაშინ თვალში ცრემლი მოერევოდა, ნესტოები გაებერებოდა და თავში ეხატებოდა ბლიდაჰის ტყე თურინჯებით დაჭეირთული და სხვა მრავალი სურათი თავისის სამშობლოსი.

ამ ყოფაში გაატარა ორი თთვე. ამ ხანის განმავლობაში ბევრი რამ მოხდა პარიჟში, მაგრამ კადურს ამის აზრიც კერ აელო. ერთხელ თვალი მოჰკრა, რომ ჯარმა ფანჯრებწინ გაუარა; მერე მოესმა ზარბაზნების გრიალი ქუჩაში, ბოლოს სროლის ხმაცა. ამაებისა სრულად ვერა იაზრა რა, დაიჯერა კი, რომ ჯერ ომიანობა არ გათავებულაო, მაშ კიდევ ვიომებო, წავალ, მეც ვავერევიო, ფეხები ხომ მორჩენილი მაქვსო. აი გადიდო ზურგზედ თავისი დაფი და გასწია თავის ჯარის მოსანახავად. დიდხანს არ დასჭირებია ძებნა. კომმუნელები დაჰხვდნენ და წაიყოლიეს მოედანზედ. ღენერალმა მისცა ათი ფრანკი, ცხენი და შერიცხა თავის შტაბში. თავის ყვითლად ნაკერ ლურჯ ტანისაძოსით, თავისის ჩალმით და დაფით ჩვენი თურკოსიც ჩაერია კომმუნის შტაბის კაცთა შორის და უფრო ააჭრელა თავად ისეც ჭრელი და მრავალფეროვანი ტანისამოსი კომმუნალებისა. მზის სხივებმა, ზარბაზნების გრიალმა და თოფ-იარაღის მრავალგვარობამ სიხარულით აიტაცა და სრულიად დაუბნია გონება. გულმოდგინედ ემსახურებოდა შტაბს. ხან აქეთ გააქცუნებდნენ, ხან იქით. კადური დარწმუნებული იყო, რომ ისევ პრუსსიელებს ებრძოდნენ, მაგრამ ერთი რამ კი აკლდა კადურს სრულ ბედნიერებისათვის; ომი სწყუროდა, ჰსურდა, აელაპარაკებინა თვით თოფის წამალი.

ერთს დილას მაისისას საშინელმა თოფის სროლამ გამოაღვიძა ჩვენი თურკოსი. სამინისტრო დიდ ღელვაში და ფაცა-ფუცში იყო; ყველანი გარბოდნენ და გამორბოდნენ. კადურიც სხვებს აჰყვა, ცხენს მოახტა და შტაბს უკან გამოუდგა. ჰნახა გონებადაბნეულნი მებუკენი, აქა-იქ დაქსაქსულნი ბატალიონები..... მოკირწყლულ ქუჩების ქვები აჰყარეს, სანგლებს აკეთებდნენ. ცხადი იყო, რაღაცა დიდი ამბავია. რამდენად უფრო უხ-

ლოვდებოდნენ წყლის ნაპირს, იმდენად აყალმაყალი მატულობდა და თოფის გრიალიც უფრო მეტად მოისმოდა. ხიდზედ რომ მივიდა, კადურს შტაბი თვალიდამ დაეკარგა. შემდეგ ვიღამაც ცხენიც წაართვა (შესატყობად, ქალაქის საბჭოში რა ამბავიაო.). გაბრაზებული თურკოსი გაიქცა იქით, საიდამაც სროლა მოდიოდა. მირბოდა და თან ხელდახელ თავის თოფს სტენავდა და თან ბურდღუნებდა: Macach bono, Brissien..... რადგანაც ეგონა პრუსსიელები შემოცვივნილანო. ტიულერის ბაღში ტყვია ჰზუზუნებდა კიდეც. რივოლის ქუჩის სანგალიდამ დაუძახეს: „ეი! თურკოს! თურკოს!...“ იქ მარტო თორმეტნი იყვნენ. ერთი კადური მთელს მხედრობად ჰღირდა.

კადური შედგა სანგალზედ თავმომწონე და თვალსაჩინო როგორც დროშა და ომობდა გიჟურად და კიჟინით ტყვიის წვიმის ქვეშ. ერთს წუთს ბოლი თვალწინ გაღეწმინდა, თვალი მოჰკრა წითელ შალვრებიანებს და იფიქრა, პრუსსიელები მატყუებენო და ხელახლად ტყვია-წამალი აალაპარაკა. უეცრად სანგალმა ხმა გაიწყვიტა. უკანასკნელმა კაცმა უკანასკნელი სროლაღა დაცალა და გაიქცა. თურკოსი კი ადგილიდამ არ დაიძრა. ჩასაფრებული იჯდა, ერთ მუხლზედ წამოჩოქილი, მაგრა ეჭირა ნიშანში ამოღებული თოფი და ელოდდა. ქვევითი ჯარი მოადგა. აფიცრებმა დაუძახეს, დაგვნებდიო. კადური ერთს წუთს შეკრთა, მერე წამოხტა, თოფი შეათამაშა და დაიძახა: Bono, bono Française!...

ეგონა, ეს ის მეშველი ჯარიაო, რომელსაც ამოდენა ხანი ელოდდნენ პარიჟელები. რარიგად შეჰხაროდა, რარიგად შესცინოდა მათ მთელის თავის თეთრის კბილებითა!... თვალის დახამხამების უმალ სანგალი აიღეს. გარს მოეხვივნენ კადურს და მუჯლუგუნები დაუშინეს, გაგვასინჯე შენი თოფიო. თოფი ჯერ ისევ ცხელი იყო. გვიჩვენე ხელებიო, ხელები გამურული ჰქონდა თოფის წამლისაგან. თურკოსი თავმოწონებით უჩვენებდა თოფს და ხელს და იღიმოდა თავის კეთილის ღიმილითა.

კედელზედ მიაყრდინეს და დახვრიტეს...

ისე მოკვდა, ვერ გაიგო, რა ამბავი იყო.

[1879 წ.]

ერთი უბედურთაგანი

(მოთხრობა ჟულ კლარეტისა)

პირველს იანვარს 1859 წლისას ნოელ რამბერმა გამოიღვიძა განთიადისას, გულზედ მოსული იყო და მშიერი. ერთი მთელი დღე და ღამე პური არ ეჭამა; თავი ისე მძიმედ ჰქონდა, თითქო ტყვია ჩაუსხამთო. მისი ჩამქრალი თვალი მწუხარედ დასცქეროდა ხუთის წლის ბალღს, იქავ ცარიელს ცივს ოთახში მწოლარეს. დაფლეთილ და ჭუჭყიანს ლოგინზედა.

ნოელ რამბერი იყო ერთი ღარიბი მუშა კაცი. მთელის ორმოცის წლის განმავლობაში იგი გულმაგრად და უდრტკინველად ატრიალებდა ხელში სიღარიბის და გაჭირების ჩარხსა. დაუღალავად მედგრად და თითქმის ქეიფითაც მუშაობდა ხოლმე ყმაწვილობისას და ხშირად მისი ზარიანი ხმა სიმღერისა გარდემატებოდა ხოლმე მაშინების და ჩარხების გრიალსა და ტკრციალსა. მაშინ ჯერ მარტოხელი იყო, ცოლ-შვილი არა ჰყვანდა და ულოთველი მშვიდობიანი მუშაკი თავის თავსა ჰრაცხდა ბედნიერად, თუმცა ღარიბი კი იყო.

— მე ჯანმრთელობა არ მაკლია და ღონე, ამბობდა ხოლმე სიცილით; დიდს კვერს ისე ვეწევი, როგორც ბუმბულს. სხვა რა მინდა ამაზედ მეტი? მე ჩემი თავი მდიდრად მიმაჩნია და ჩემს ბედს როტშილდის ბედშიაც არ გავცვლი.

მაგრამ რამბერს შავი დღეც დაუდგა, დღე იმედთა გაცრუებისა და უწყალო წამებისა, მას ობოლს, მუშებში გაზდილს, ჯერ პატარაობითვე შეეთვისებინა ის აზრები, რომელთაც ეგრე

სწრაფად გაიდგეს ფეხი პარიჟში 1848 წელსა და როცა თებერვლის რევოლიუციამ იფეთქა, იგი ყმაწვილკაცობის სიმხურვალითა ჩაღგა მეომართა შორის. იმ დროს მისი საყვარელი გმირები იყვნენ: ბარბესი, წინამძღვარი თავის ყოჩაღის ესკადრონისა, და ფლოკონი, უბრალო ძველ ტანისამოსით თავდაბლად მიმავალი ხოლმე თავის სამინისტროში. ხოლო როგორც რევოლიუციას, ისე მის მოღვაწეებს, მალე დააცლევანეს მოედანი. კავენიაკისაგან შემზადებულმა და ორ დეკემბრის ღამის იმპერიით დაგვირგვინებულმა რეაქციამ დასთქა თავისის მღვრიე წყლით როგორც საქმენი, ისეც კაცნი, რომელიც წინ წამოყენებულ იქმნენ 1848 წლის მოძრაობისაგან. რამბერი, დარჩენილი დამარცხებულთა შორის, დაუბრუნდა ისევ თავის მძიმე მუშაობას, თითქო სულ ორიოდ დღეაო, რაც თავი დაანებაო. ამ ომებში და ბრძოლაში მას გული არ დაჰსჯაბნებია, პირიქით, ჰგრძნობდა, რომ ახალგაზდობის ღონე ჯერ კიდევ ჭარბადა აქვს (რამბერი მაშინ 34 წლისა იყო) და სიცილით იტყოდა ხოლმე: „მოვიცდით, არა უშავს რა, წინ ჯერ კიდევ დიდი დროა!“

ხომ ამას ამბობდა, მაგრამ ბოლოს ნახა, რომ მისნი უწინდელნი ამხანაგნი, თან შეზდილნი პატარაობითვე, ჭირსა და ლხინში თანამოზიარენი და მოძმენი მის გარეშემო აღარ არიან. ორმა დეკემბერმა[1], როგორც შავმა ჯანღმა, თვალგაუვლელ სიბნელით მორთო ყველა და ყოველი. დამარცხებული საფრანგეთი ფეხთა ქვეშ ეშალა თავის კეისარსა, ხმაგაკმენდილი და ზარდაცემული. რამბერსაც გულზე სევდა-ნაღველი დააწვა. ნახა თუ არა, რომ პარიჟი, ერთ დროს მხიარული, გაცოცხლებული და აღტაცებული, ეხლა წარბშეკრულია და დამუნჯებული, რამბერს სული შეუგუბდა, თითქო ჰაერი აღარ არისო ამ დიდს ქალაქში, რომ სული მოებრუნებინა. საწყალს დაეკარგა ის მუდამი მხიარულება, ყმაწვილკაცობის ხალისი და ქეიფის გუნება. ყოველივე, რასაც ეხლა თვის გარეშემო ხედავდა, მის თვალში მკვდარი იყო, წვრილმანი, უხეირო და უსაგნო.

---

[1] ორს დეკემბერს ნაპოლეონმა მესამემ უღალატა რესპუბლიკას, მისი მომხრენი დაქსაქსა და თვითონ დაიჩემა იმპერატორობა საფრანგეთისა.

„ წუთუ ამ დღეში ჩავცვივდით? — იძახდა იგი მწუხარედ. — ნუთუ არღაა იმედი?

ეს უიმედობა ჰსწოვდა და ჰქენჯნიდა იმის გულს, მაგრამ მაგ უიმედობამ კი არა ჰკრა სასიკვდილო ისარი, არამედ სიყვარულმა, მხურვალემ და უძლეველმა, რომლისთვისაც თითქო გაჩენილი იყო მისი ვაჟკაცური გული.

ერთხელ ნოელ რამბერი შეხვდა ერთს ქალს და შეიყვარა იგი საშინლად, გაგიჟებით და იმ გულითადის აღტაცებითა, რომელიც ჯერ კიდევ შერჩენოდა ამდვენ იმედთა გამტყუნების და გაბოროტების შემდეგ. თავის მხრით მართა გარდიც, რამბერისაებრ ობოლი და უთვისტომო, გულწრფელად შეემსჭვალა, როგორც ეტყობოდა, რამბერს და რამდენსამე წელს უწია უღელი ჯაფისა და ღარიბის ცხოვრებისა. დღითი დღე რამბერს სიყვარული უძლიერდებოდა და ეგონა, რომ ნამდვილი სიცოცხლე იმ დღიდგან დავიწყეო, როცა მართა ვნახეო. თავისი უწინდელი საქმეები, გმირული ნატვრა და ოცნებანი, ომების ბძვინვარე დღენი, დაუსრულებელი ღამეები სატუსაღოში, — ყველა ესენი ეხლა სიზმარი ეგონა, ბინდ-ბუნდად მოზმანებული. ეხლა ოცდამეხუთმეტე წელიწადში ისე მთლად მიეცა ახალს ტრფიალებას, როგორც ამ ათის წლის წინად თავის პირველს სიყვარულს — მამულისას და თავისუფლებისას.

რამდენჯერმე უთხრა მართას ჯვარი დავიწეროთო, მაგრამ ქალი პასუხად ყოველთვის ამას ეტყოდა ხოლმე:

— რათაო? თუ ბედად გვიწერია, რომ ერთმანეთი ყოველთვის გვეყვარება, ღვდლის გარევა ჩვენს საქმეში რა საჭიროა, და თუ გვიწერია, რომ ოდესმე უნდა ერთმანეთს დავეთხოვოთ, რათ გვინდა, რომ ჩვენ თავს ჩვენვე ხუნდები შევუყაროთ და დღევანდელი კავშირი ბოლოს ორივეს სანანური გაგვიხდეს.

— შენი ნებაა, — ეუბნებოდა ხოლმე რამბერი.

ამ სახით ჰსცხოვრებდა საწყალობელი მუშაკი; დღე მთელი ქარხანაში მუშაობდა და საღამოობით კი ისვენებდა თავის ღარიბულ სადგურში საყვარელის ქალის ახლო. როცა მართა დაწვა და უშობა ვაჟიშვილი ჟაკი, მაშინ რამბერის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. ბედნიერებისაგან თითქმის გონება დაჰკარგა

და ერთი ორად უმატა მუშაობას, თითქო შვილის ყოლაზედ თვითონაც გაყმაწვილდაო. არიან იმისთანა ადამიანები, რომელნიც იმისთვის არიან გაჩენილნი, რომ მამობა გასწიონ. შვილებისადმი სიყვარული გაგიჟებამდე მიახწევს ხოლმე იმათს გულში და ვერა დედა ვერ შეჰსძლებს იქამდინ თავი გაიწიროს შვილისათვის, როგორც, მაგალითებრ, მეფე ლირმა უგუნურად გაიწირა. ამგვარს ადამიანებს ეკუთვნოდა ნოელ რამბერიც, რომლის სიცოცხლე, სული და გული ეხლა იყო მარტო აკვანი თავის პატარა ჟაკისა.

ხოლო დიდხანს არ გასწია მისმა ბედნიერებამა. ცხოვრება მისი, აღსავსე ჯაფითა, ბედნიერებითა და იმედოვნებითა ერთბამად და უწყალოდ შეჰმუსრა ერთმა უბედურმა წუთმა.

ერთხელ, ჟაკის გაჩენის რამდენიმე თვის შემდეგ, რამბერს ხელში ჩაუვარდა პატარა ბარათის ნამწვი და იქიდამ პსცნო, რომ მართა, რომელიც მას ასე გაგიჟებით უყვარდა, მართა, დედა მისის შვილისა, ურცხვად ჰღალატობდა; სხვა კაცს დაჰსჯდომოდა საყვარლად! რამბერის გული მტკივნეულობით შეიკუმშა და თუ ჭკუიდამ არ შეიშალა იმიტომ, რომ ამ უბედურებაში ალღო აიღო სხვა უფრო დიდის უბედურებისა და მოიწადინა, მწარე მართალი თავიდამ ბოლომდე შეეტყო. თუ მართა სხვა კაცს უჯდა საყვარლად, შესაძლო იყო, რომ პატარა ჟაკიც უცხო კაცისა ყოფილიყო. ამ საგანზედ დატრიალდა ეხლა ჩარხი მთელის მისის სიცოცხლისა.

რამბერი პირდაპირ წავიდა იმ ბარათის დამწერთან. ბარათის დამწერი იყო ახალგაზდა, ლამაზი, მხიარული ყმაწვილი კაცი. ამას მიეზიდნა მართა თავის ოხუჯობითა და სიმდიდრის დაპირებითა.

— მე თქვენ არ გიცნობთ, — უთხრა რამბერმა; — თქვენ მე წამართვით ის, რაც ჩემთვის ყველაფერზედ უძვირფასესი იყო ამ ქვეყანაზედ. პირველ წუთს თქვენი მოკვლა განვიძრახე, მაგრამ ეხლა გიპატიებთ, თუ მართალს მეტყვით, მარტო მართალს და სხვას არასფერს. როდის აქეთია, რაც თქვენ ჰყვარობთ მართას?

ყმაწვილს კაცს უნდოდა უარზედ დამდგარიყო, მაგრამ რამბერმა შეჰკივლა:

— მითხარი, თორემ შენი აღსასრული მოვიდა! მითხარი-მეთქი, და თუ შენ ერთს დღეს ან დააკლებ და ან მოუმატებ, აქავ ჩემის ხელით დაგახჩობ.

— ერთი თვეა.

— მაშ ბალღი..,

— პატიოსნებას გეფიცებით.

რამბერმა აღარა უთხრა რა, გამოვიდა და პირდაპირ მართასთან მივიდა.

— შენ უნამუსოდ მიღალატე მე. მე კი ასე გაგიჟებით მიყვარდი, — უთხრა რამბერმა. — მაგრამ მე გაპატიებ, თუ მართალს მეტყვი. როდის აქეთია შენ ის კაცი გყავს?

— ნოელ! — დაიძახა ელდაცემულმა მართამ და მის წინ მუხლებზედ დაეცა.

— მითხარი-მეთქი, მე მინდა ყველაფერი გავიგო.

— ერთი თვეა, — წარმოჰსთქვა მართამ და თავიდამ ფეხამდე მთელის ტანით კანკალებდა.

რამბერი დააცქერდა მართას, თითქო გულში უნდა ჩაუჯდესო მართალის ამოსაკითხავად. მერე ჰკრა ხელი, მივარდა აკვანს და ხმამაღლა დაიძახა:

— კარგი! ორივემ ერთი და იგივე ჰსთქვით. ჰსჩანს, ბალღი ჩემია. ჩემია და ჩემთან დარჩება კიდეც. შენ კი წადი იქ, საითაც სალახანობა გიწვევს. მე ხელ-ფეხი მაქვს და ჟაკი ულუკმაპუროდ არ დარჩება. მე გამოვზდი ბალღს და იმედი მაქვს თავისის მამის გამო მაინც იგი არსად წამოწითლდეს.

ამ სიტყვით წამოავლო ხელი ბალღს და გავარდა ოთახიდამ. ეხლა რამბერის სიცოცხლე მარტო ეს პატარა ჟაკიღა იყო. გაგიჟებით უყვარდა და მხოლოდ ერთი ეჭვი უფხაჭნიდა გულს: „ვაი თუ ორივემ მომატყუესო? ვაი თუ ჟაკი ჩემი შვილი არ არისო!“ მაგრამ ეგ მწარე ფიქრი მალე განუქარდა სრულიად, რადგანაც ვიღაც ნათლიდედები და ნაცნობები ყოველთვის ეუბნებოდნენ, რომ პატარა ჟაკი ძალიანა გგავსო. მართა სრულებით ამოიღო გულიდამ, იგი მისთვის აღარ იყო ქვეყანაზედ. გულში იქნება აპატია კიდეც ღალატობა პატარა ჟაკის გამო; ჟაკის ღიმილი აქარწყლებდა დედის ღალატსა. ჰყვანდა კი ჟაკს დედა? რამბერს ხანდისხან ეგონა, რომ ბალღი მარტო მისია, მარტო

მისი. სხვა ყველაფერი დავიწყებას მიჰსცა: მართაც, თავისი წინანდელი ბედნიერებაც, თავისი საშინელი სევდაც. მარტო ჟაკი და ისღა იყვნენ და, თუ შესაძლოა, უფრო გულძოდგინედ მიჰყო ხელი მუშაობას. უწინდელი მხიარულება კი სრულიად გაუქრა; აღარ ისმოდა მისი ზარიანი სიმღერა, მისი ფიცხელი ლაპარაკი. ეს კაცი, უწინ ეგრე თავგადადებული და ეგრე უზრუნველად მცხოვრები, ყოველგვარ უბედურობის მნახველი, იმედებგაცრუებული, ეხლა ხშირად ჩაფიქრდებოდა ხოლმე ნაღვლით აღსავსე. გული წვას დაუწყებდა, როცა ფიქრად მოუვიდოდა, რომ მისს პატარა ჟაკს მოელოდა ამისთანავე მძიმე და ჯაფის ცხოვრება ღატაკისა. აბა, რა უნდა ექმნა უბრალო მუშა კაცს, ჟაკისათვის ქონება როგორ შეეკრიბა?

ეს მწარე ფიქრი უწამლავდა სიცოცხლეს საწყალობელს მუშაკსა, რომელიც უამისოდ ბედნიერ კაცად ჩაჰსთვლიდა თავის თავს, როცა აიყვანდა ხელში ხოლმე ჟაკსა და ჰკოცნიდა მის მსუქანს ფაფუქს ვარდისფერს ლოყებს, ჰგრძნობდა, რომ ნაღველი და ბოროტი, რომელიც გულში უტრიალებდა, თანდათან უქრებოდა და მათ მაგიერ იმედები იღვიძებდნენ. სანდისხან იქამდინაც წახალისდებოდა ხოლმე, რომ თავის თავს უწინდელებრ ყმაწვილ კაცად ხედავდა, ჯანითა და ღონით სავსეს.

მაგრამ კი ეს კაცი ეკუთვნოდა იმ უბედურთა ჯგუფის ხალხს, რომელთ შუბლზედაც იგიეჳა წარწერილი, რაც ერთს უთვისტომო კაცს ჰსწერებოდა, როცა სიცივისაგან გაშეშებული მკვდარი ეპოვათ პარიჟის ქუჩებში: „ყველა ბედია!“.

ერთხელ დეკემბრის დასაწყისში დილით ნოელი მუშაობდა ქარხანაში; დაჰსწვდა თურმე, რომ რაღაც იარაღი აღლოს და უეცრად ხელი მაშინის ჩარხში მოაყოლა. ნოელმა დაიკივლა, უკან გადმოხტა და გაფითრებით დახედა გასისხლიანებულს ხელს: ორი თითი მოეკვეთნა ჩარხსა. სხვა გზა არ იყო, უნდა წასულიყო ექიმთან, რომელმაც, რაც რიგია, გაუკეთა და ამ სახით უორთითოდ დაბრუნდა შინ. იმ ღამესვე ხელი დაუსივდა და ციება დააწყობინა, რამდენიმე დღე შინ უნდა დარჩენილიყო, და მერე, როცა ხელახლად წავიდა ქარხანაში, უთხრეს, რომ სამუშაო ცოტააო და მუშები მაგდონი აღარ გვინდაო.

— მაშ რა ვქნაო? — იკითხა რამბერმა.

— რაც გნებავდეთ, უპასუხა ქარხანის პატრონმა. ჩვენ თქვენთვის სამუშაო არა გვაქვს; სხვაგან მონახეთ.

— კარგიო, უთხრა რამბერმა და გასწია სხვა ქარხანაში.

ყველგან მუშების სიმრავლე დახვდა, ყველგან ერთსა და იმავე პასუხს იძლეოდნენ: „თქვენ პატიოსანი კაცი ხართ და კაი მუშაც, მაგრამ სამუშაო არა გვაქვს რაო“. „ვა! — იძახდა გულში რამბერი. — ეს კაი ამბავია!“ დადიოდა სამუშაოს საშოვნელად და თან აგირავებდა ყველაფერს, რის პატრონიც კი იყო. ამხანაგები ამისებრ ღარიბნი იყვნენ და ვერა შველოდნენ და ამ სახით ახალწლის ღამეს ნოელ რამბერმა თავისი უკანასკნელი გროში დახარჯა და უკანასკნელი თავისი ფარაჯა დააგირავა.

ამ დღიდამ დავიწყეთ ჩვენი მოთხრობა.

რამბერი პირველს იანვარს, წამოდგა თუ არა ფეხზედ, ამრეზილის და უიმედობის თვალით გადახედა მძინარე ბაშვსა, მივიდა ფანჯარასთან, შეხედა ჯანღიანს ცას, სველს ბანებს და გიჟსავით მოატარა თვალი თავის ოთახში. ეძებდა, იქნება ეგდოს რამეო ან უნუგეშო ადგილას, რომ ან გავყიდო, ან დავაგირავო, ან ლუკმა პურზედ გავცვალოო. მაგრამ სრულებით ვერა იპოვა რა.

— ჟაკი გაიღვიძებს, და მე არამც თუ სათამაშო რამა მაქვს საჩუქრად, ერთი ფინჯანი წვენიც არა მაქვს, რომ ბალღმა შიმშილი მოიკლასო.

აი, პირველი ფიქრი, რომელმაც გულში გაურბინა რამბერს ახალწლის პირველ დღეს. თვითონაც არ უნდოდა, მაგრამ მოაგონდა წინანდელი წელიწადები, როცა ამ უქმე დღეს მართასთან ატარებდა და მხიარულებით და კოცნით მიეგებებოდნენ ახალწლის პირველს დღეს. ეხლა!... მართას ხსენებაზედ იმ მწარე ფიქრმა გაურბინა, რომ ეხლა ის კმაყოფილებით ჰსცხოვრებსო და რომ იცოდესო ეს ჩემი საშინელი ყოფა, სწორედ მომეშველებაო. ერთი ხმის ამოღებაღაა საჭიროო. მაგრამ არაო, შიმშილით სიკვდილს ვირჩევო და მოწყალებას კი არ ვიკადრებო იმისაგან, ვინც ასე ურცხვად მიღალატაო და ვინც, იქნება სწორედ ამ წუთში სხვასა ჰკოცნის და ეხვევაო.

ნახა, რომ ბალღს ჯერ კიდევ ჰსძინავს, რამბერმა იფიქრა, წავალ და სადმე ლუკმაპურს ვუშოვნიო ჩემს საწყალს ჟაკსაო.

მაგრამ, კარი გააღო თუ არა, ბალღმა გაიღვიძა, გამოუწოდა პატარა თათები და წამოიტიტინა:

— მამავ!

რამბერი შემოტრიალდა უკანვე, ხელში აიყვანა და ალერსით ჩაჰკოცნა.

— მამავ, მომილოცავს ახალი წელიწადი, ტიტინებდა ჟაკი ღიმილით.

ღატაკს რამბერს თვალში ცრემლი მოეგუბა. სწრაფად ჩააცვა ბალღს და მიჰგვარა მეკარეს, რომელსაც უწინაც მიაბარებდა ხოლმე, როცა თვითონ გარედ გადიოდა. მერე გავიდა ქუჩაში, არ იცოდა კი, სად მიდიოდა და აფთარსავით აქეთ-იქით იყურებოდა. გული კი ეუბნებოდა, რომ ლუკმა-პურს, საცა იქნება, როგორმე იშოვის.

დიდხანს იარა. თითქმის უაზროდ და სიხარბით გადაავლებდა ხოლმე თვალს დუქნების ფანჯრებს, საცა გამოწყობილი იყო მუშტრის საჩვენებლად მრავალნაირი სანოვაგე და საჭმელები. ყოველს ფეხის გადადგმაზედ ხედავდა მხიარულს ხალხს, თავის ბედის მადლობელს ადამიანებს, რომელნიც შედიოდნენ და გამოდიოდნენ დუქნებიდგან და ყიდულობდნენ ძვირფას სანოვაგესა. სამზვარეულოებიდამ გამოდიოდა სუნი გემრიელის საჭმელებისა, მდიდარის სახლის ფანჯრებში ხედავდა, რომ მთელი ჯალაბობა მხიარულად სხდებოდა სადილზედ; ყველგან მაძღრობა და მხიარულება იყო.

ეჰა! — ამბობდა თავისთავად რამბერი. — დღეს პარიჟში ყველა არ ყოფილა ჩემებრ ულუკმაპუროდ.

მარტოობა უბედურისა უფრო ძნელი ასატანია ხალხში, რომლის ხმაურობაც მასხარად აგდება ჰგონია საწყალს და ეს მოჰგვრის ხოლმე თვალში გაბოროტების წყევა-კრულვას ცრემლსა. როცა ადამიანი, მწარე სევდით შეპყრობილი, მარტოა ცარიელს ოთახში, მას კიდევ შეუძლიან თავი დავიწყებას მიჰსცეს და დრო გაუგებრად გაატაროს. ხოლო თავის გარეშემო კაცი რომ ხედავდეს ამდენს გულგრილს და მხიარულს ხალხს, ესმოდეს ხმამაღალი ხარხარი და ამასთანავე ჰგრძნობდეს თავის მწუხარებას მაშინ, როცა სხვანი სულ ყველანი მხიარულებენ, — ეს

ერთი იმისთანა ტანჯვა და წამებაა, რომელსაც მოიაზრებენ მარტო ისინი, ვინც უბედურობით მოწყლულნი მარტოდმარტოდ ოდესმე ჩავარდნილან მხიარულს ხალხში დღესასწაულ დღეს.

დრო ვადიოდა და რამბერი მაინც კიდევ დაეძებდა შემთხვევას, რომ ბედი როგორმე ფათერაკად მაინც ხელთ იგდოს, მაგრამ ვერას გახდა რა. ჯერ მინამ სინათლე იყო, იმედი ჰქონდა. მაგრამ როცა დაბინდდა, წვიმაც წამოვიდა და ხალხი გათხელდა ქუჩებში, მაშინ უბედურმა რაღაც გაბოროტებით და ღვარძლიანად უთხრა თავის თავს:

— რა ვუყოთ? ნურც დღეს გვექნება სადილი.

— ამ დროს რამბერი აუსტერლიცის ხიდზედ პიღიოდა დაქანცული, მშიერი, გვემული ხორცისა და სულის ტანჯვითა. მსუნაგობით დააცქერდა ბნელს სიღრმეს მდინარისას, რომელიც თითქო იწვევდა უბედურსა. რამბერი შედგა და სახეზედ გაურბინა საზარელმა ღიმილმა, რომელიც ცხადად ამბობდა: „კარგი იქნებოდა, ამ წყლის რბილს ლოგინზედა მიჰსცე თავი საუკუნო ძილსა და დავიწყებასაო“. რა თქმა უნდა, რომ წყალში გადავარდნილიყო, ერთბამად ბოლოს მოუღებდა ამ უნუგეშო და გულსაკვდავს ცხოვრებასა, მაგრამ ცეცხლმოკიდებულ თვალწინ წარმოუდგა საყვარელი სახე ჟაკისა.

— საწყალო ბალღო! ვინ გიპატრონებს, მე რომ აღარ ვიყო? — წაიდუდუნა ეს, გაიქნივა თავი და გიჟსავით გაწკრინდა თავის სახლისაკენ.

რამბერი გაიტაცა მთლად მხურვალემა, გიჟურმა სურვილმა, რომ გულზედ მიიკრას თავისი საყვარელი შვილი, რომელიც თითქო მთელი წელიწადი არ უნახავსო, ისე ეჩვენა. ჟაკი დახვდა რამბერს მეკარის ოთახში, ჯარობანას თამაშობდა სხვა პატარა ბალღებთან. მამამ ისე მაგრა მიიკრა გულზე, რომ კინაღამ არ დააღჩო.

— მე გიყვარვარ, ბალღო, თუ არა? მითხარ! — უთხრა შვილს მამამ.

— ჰო, მამი, უპასუხა ბალღმა, — მაგრამ აკოცა მამას და დაუმატა: — სად იყავ? ძალიანა მშიან.

— არა გიჭამია რა?

— არა.

— მეკარემ არა მოგცა რა?

— არ მითხოვნია. ჩვენი სახლი ხომ არ არის.

— ჩვენი სახლიო, — გაიმეორა ნოელმა და მუშტები მოკუმა, რომ მოაგონდა ცივი, ცარიელი ჩარდახი, რომელსაც მისი სახლი ერქვა. — როგორ იქნება, რომ ვერა ვიშოვო რა. — წამო, წავიდეთ, ჟაკ.

ხელში აიყვანა ბალღი და გამალებული გავიდა ქუჩაში. ბალღი ტიტინებდა:

— მულინომ არც ერთი სალდათი არ მაჩუქა. ეხლა სათამაშოების სასყიდლად მივდივართ განა, მამი?

ჰო, ჰო, გეთაყვანე! წამო, წამო! — ეუბნებოდა ენის კვნეტით ნოელი.

ბულვარზედ რომ გავიდნენ, ბალღი ჩამოსვა მიწაზედ და ბალღი ბაცბაცით აედევნა მამას თავის დახეულ წუღებითა. საწყალს ბაშვს თვალი სულ მუდამ დუქნებისაკენ ეჭირა და გაჩაღებულ ფანჯრებზედ იშვერდა ხელსა. რამბერი ჰგრძნობდა, რომ შვილი ხელს მოჰკიდებდა ხოლმე და ხვეწნით და მუდარებით ჰსთხოვდა:

— მამიჯან, სალდათი მიყიდე, შენი ჭირიმე! მამი, შაქრის პური მიყიდე! ხილი მიყიდე!

ეგ სიტყვა „მიყიდე“ უწყლავდა გულს უბედურს მამას, მრისხანედ მოაცლიდა ხოლმე შვილს მაცთურ ფანჯრებიდამ და ეტყოდა:

— აქეთ ნუ იყურები, ჟაკ.

— რარიგად მიჭერ ხელს, მტკივა, — უთხრა ბოლოს ბალღმა.

უბედური უნებლიედ მუხრუჭსავით უჭერდა ხელს ჟაკის პატარა თათსა.

— მაპატიე, ჩემო გვრიტიკო, მე განგებ არ ვიმიჭერია, — უპასუხა მამამ და გონზედ მოვიდა.

— გაპატიებ, თუ აი, იმას მიყიდი, — უთხრა ბაშვმა და გაიშვირა ხელი სათამაშოზედ, რომელიც სათამაშოების დუქნის ფანჯარაში ეკიდა.

რამბერმა დაავლო ხელი ბაშვსა, გამალებული წავიდა და, როგორც ქურდი, ერიდებოდა უფრო გაჩაღებულს ქუჩებს. როცა მეტი გზა არ იყო, უნდა გაჩაღებულ ღუქნების წინ ვაეარნა, შვილს თვალებზედ ხელს აფარებდა და სხვილი ცრემლი გაბოროტებისა გადმოუცვივოდა ხოლმე ლოყებზედ. ამ ყოფით მიმავალმა უცბათ იგრძნო, რომ ჟაკი ხელზედ ჰკოცნის და ჩესაბრალისად ეუბნება:

— მამი, ჰსტირი, რათა? მე ვიცი, რომ შენც ისე მშიერი ხარ, როგორც მე. პურს როდისა ვჭამთ?

— კმარა მოთმინება! — დაიძახა რამბერმა და შეუხვია ბუნდად განათებულს ვიწრო ქუჩას.

იქ შედგა, ძლივსღა იბრუნებდა სულს, სასოწარკვეთილებისაგან გონებაარეული. ფული უნდოდა, ბალღი პურსა ჰსთხოვდა. ამ დროს დაუპირდაპირდა ერთი ღიპიანი კაცი, ბეწვიან ქურქში გახვეული, ხელში დიდი ყუთი ხილისა ეჭირა და მოიმღეროდა. რამბერმა მაშინვე მოიშვლიპა ქუდი და უთხრა მკვახედ, ისე ყრუ ხმით, რომელშიაც ვედრებაც იყო და მუქარაცა:

— ღვთის გულისათვის.

— მოწყალებას ითხოვთ... — უთხრა იმ კაცმა და უნებლიედ უკან დაიწია.

— ბალღი მშიერი მყავს. მე თვითონ არას ვითხოვ, მე....

ერთის წუთის წინად რამბერის ხმას ბძანებლობის რიხი ჰქონდა, ეხლა კი ძლივს ენას აბამდა. მარტო ნაღვერდალსავით ცეცხლმოკიდებულ თვალებში გამობრწყინავდა გაბოროტება და მტკიცე განზრახვა. ღიპიანმა კაცმა მხრები აიჩეჩა, ფული ჩაუგდო ქუდში, სწრაფად მოშორდა, წავიდა და წინანდელებრ მიიმღეროდა.

რამბერს მადლობა უნდა ეთქვა და ეკითხნა ვინაობა, რომ მერე, როცა შეიძლებს, ფული უკანვე დაუბრუნოს, მაგრამ ის კაცი იქავ ახლოს ერთს სახლში შევიდა და ნოელი კი გაშეშდა იმ ადგილას, როგორც ერთი უსულო რამ.

— მე მოწყალება ვითხოვე, მე! — ჰსთქვა მან ბოლოს: — რა ვუყოთ, რომ ვითხოვე? ვისი ბრალია?

ამოიღო ქუდიდამ ფული და როგორც ბაშვი, სიხარულით ათამაშებდა ხელში ვერცხლის ფულს, რომელიც ეხლა მისთვის მთელი განძი იყო.

— მშიერი ხარ განა, ჩემო ჟაკ! — ამბობდა იგი: — წავიღეთ, პური ვჭამოთ, სათამაშოსაც გიყიდი. შენ გეგონა, მარტო შენ დარჩები, რომ არას გიყიდიან? არა, საწყალის შვილებსაც ნება აქვთ, ისიამოვნონ დღესასწაულ დღეს!

შევიდა პირველს დუქანშივე, რომელიც კი წინ შეხვდა. მოითხოვა ქათამი, ნაზუქი და ღვინო. ჟაკი მივარდა საჭმელს და მადიანად დაიწყო ჭამა. შვილი რომ გამხიარულებული ნახა, რამბერს ყოველისფერი გადაავიწყდა.

— შენ რატომ არ სჭამ, მამი? — ჰკითხა ბალღმა.

— მე არა მშიან.

და მართლაც წყალ-ღვინოს მეტს არაფერს მიეკარა.

მე შაქრის სალდათი მინდა, ჰსთქვა ჟაკმა, დუქნიდამ რომ გამოდიოდნენ. რამბერს კიდევ რამდენიმე გროში დარჩა და უყიდა სალდათი. გზაზედ ბალღს ხელზედ დაეძინა. შინ რომ მოვიდა, ფთხილად მიაწვინა ბაშვი გამოფლეთილ ლეიბზედ, რომელიც ლოგინად ჰქონდა. მერე ჩამოვიდა ძირს და რაღაც არეულის ხმით უთხრა მეკარეს:

— მე სამხრის საჭმელად მივდივარ. თერთმეტი საათია ღამისა, მგონი, დროა.

ღონე მიხდილი შიმშილით, სიცივით და გულის ტანჯვითა, უბედური მიდიოდა, რომ ერთი ჭიქა არაყი დაელია და ღონეზედ მოსულიყო. გული არ უდგებოდა ერთს ადგილას. უნდოდა ხეტებულიყო, რომ ძარღვები დაეწყნარებინა და მოენელებინა ციება, რომელიც აძაგძაგებდა.

ქუჩები, რომელზედაც მიდიოდა, ხალხით, ხმაურობით და ბრწყინვალებით იყო სავსე. ყოველს ფეხის გადადგმაზედ მხიარული კასკასი და სიცილი ისმოდა. დუქნების ფანჯრები გაჩაღებულნი იყვნენ. სალხინო დარბაზებში შექცევა, როკვა და თამაშობა იყო მუზიკის ხმაზედ. რამბერი კი სულ წინ მიდიოდა და მიდიოდა ელისეის მინდვრებისაკენ. იქ გძელ ხეივნებ ქვეშ სუფევდა ჩრდილი და დუმილი, რომელიც უნებლიეთს ელდას მოჰ-

გვრიდა კაცს. ამ მარტოობაში წვიმა, რომელიც ჟინკლავდა მთელი დღე, უფრო საგრძნობელი იყო და სისველე ძვლებამდე უვლიდა ტანში ადამიანს.

ნოელსაც დაურბინა ტანში ჟრჟოლამ. ამ ბნელა ჯანღიანს ღამეში მარტოდ მიმავალი ფიქრობდა თავის უნუგეშო ბედზედ, თავის უიმედო მომავალზედ და რაღაც ღვარძლმორეულ გულის ღელვით იფშვნეტდა თავის დაკოდილს ხელსა. უცბად შედგა ფიცრულის შენობის წინ, საცა კუკების კამედია იყო და რომელიც ერთხელ ეჩვენებინა პატარა ჟაკისათვის. რომ ?ოაგონდა ის მხიარული დღე, ის სიხარული ჟაკისა, იმისი გულიანი სიცილი. უნებლიედ თვალში ცრემლი მოერია საწყალობელს. მწარედ გაიქნივა ხელი და მაშინვე უკან გამობრუნდა. ეხლა კი შინ დაბრუნება ძალიან მოუნდა. მაგრამ ორი ბიჯიც არ გადმოედგა, რომ ხეების ჩრდილიდამ ვიღაცა გამოვიდა და პირდაპირ ამისაკენ წამოვიდა. სანათურის წინ რომ გამოიარა, დაინახა, რომ ქალია, შავ აბრეშუმის კაბა აცვია და ზედ ასხია ხელდახელ წამოსხმული წამოსასხამი, თეთრის ბეწვით მორთული. თუმცა თავზედ ყაბალახი ეხურა, მაგრამ თვალი მოჰკრა ბრწყინვალე თვალებს, გაფითრებულს და შეწუხებულს სახეს, რომელიც სიტურფით იყო სავსე. სწრაფად მოვიდა ქალი ნოელთან და მტკიცე ხმით მოჭრით უთხრა:

— გინდათ კაი საქმით ფული შეიძინოთ?

რამბერმა უნებლიედ უკან დაიწია. ამ განმარტოებულს ბნელ ადგილას მარტო ორი სულიერი იყო: კაცი და ქალი; ერთი თვითონ ღატაკი და მეორე — ქალი, როგორც ეტყობოდა, მდიდარი და წარჩინებული. და მაინც უკან დაიწია ღონიერმა და ჯანიანმა ღატაკმა და არა მდიდარმა და უღონო ქალმა. ფულის ხსენებამ ელდა ჰკრა.

— ნუღარ იცდით, დროს ნუ ჰკარგავთ; საქმე ადამიანის სიკვდილ-სიცოცხლეზეა მიმდგარი.

— რა უნდა დამსაქმოთ? — ჰკითხა რამბერმა, რა მიუახლოვდა უცნობს ქალს და გადისო ხელი შუბლზედ, რომელზედაც ცეცხლი ეკიდებოდა, როგორც საოფლეში მყოფს.

— თქვენ ღონიერი ჰსჩანხართ და, რასაკვირველია, ვაჟკა-

ცობაც არ გაკლდებათ, — განაგრძო ქალმა აჩქარებით; — და იმედიცა მაქვს, რომ პატიოსანი კაციცა ხართ. მაინცდამაინც რასაც მე ვითხოვ, ძნელი საქმე არ არის. ხეივნის ბოლოს, ალაყაფის კარების ახლო, ბოჟონის მხრით ერთი პატარა სახლია, გარეთი კედელი წითლად აქვს შეღებილი... ხომ გესმით?

— დიაღ, — უპასუხა რამბერმა და გონება აადევნა მის, თითქო შიშით აღტაცებულს, მოძრაობას და აჩქარებულს ლაპარაკს.

— ძალიან კარგი! ერთი ყმაწვილი კაცი უნდა მივიდეს იმ სახლში... იმას იქ ელიან. უსათუოდ მივა ის უბედური! ისე უნდა მოახერხოთ, რომ იმ ყმაწვილ კაცს იქ შესვლა არ მოუხდეს. მე თვითონ ვერ მივირბენ იქ, მე არ შემიძლიან გავაფთხილო. გინდათ თუ არა, დაიხსნათ სიკვდილიდან ის ყმაწვილი კაცი? თქვენთვის ის ისეთივე უცნობია, როგორც მე... ჰა, რას იტყვით? იხსნით კაცს სიკვდილისაგან თუ არა?

განა იქ შიში რამ მომელის? — იკითხა რამბერმა.

— არაფერი, — უპასუხა ქალმა, მაგრამ გულდაჯერებით კი არა.

— უფრო ცუდი.

— რათა?

— იმიტომ, რომ მე იქ წავალ, — უთხრა გულუბრყვილოდ რამბერმა.

ქალმა მოხედა ამ ძონძებიანს ღატაკსა მხურვალე მადლობის თვალითა და წარმოსთქვა მარტო: „მადლობელი ვარო“. მაგრამ ამ სიტყვაში გამოითქვა ყოველი. მისმა პატარა ხელმა დაუწყო ძებნა ნოელის ხელს, იპოვა და ღონივრად მოუჭირა.

— აბა, გაიქეცით! უთხარით, რომ კლარა გთხოვს-თქო, რომ მაგ სახლში არ შეხვიდეთ-თქო. არ დაივიწყოთ! აბა ჩქარა, თორემ მერე გვიანღა იქნება.

ქალმა ხელმეორედ უთხრა სახლის ნიშნები. მგონია, ვერავინ გაუძლებდა იმ ქალის გულმხურვალე ვედრებასა და ნოელიც იმ ჯურის ხალხს ეკუთვნოდა, რომელნიც ყოველთვის თავგადადებულნი არიან მოყვასისათვის და მოძმისათვის.

გაიმართა კიდეც წასასვლელად, როცა ქალმა შეაჩერა და ჩაუყარა ხელში ოქროები, რაც კი ქისიდამ წამოყარა. რამბერმა

გაიგონა ბზენა ოქროსი, დაინახა სანათურის შუქზედ ის ბედისწერის ყვითელი ბრჭყრიალი, რომელიც აცდენს ხოლმე კაცის მკვლელს, ათრობს ძუნწს, ხიბლავს, თვალთ უბრმავებს და გონებიდამ შლის ამოდენა ხალხსა. თითქო გაშეშდაო, ეს ოქრო რომ დაინახა. რას მოასწავებდა? რით იშოვა? თუ რამ შველაა საჭირო, ხომ ყოველთვის მზათ არის უსასყიდლოდ მიეშველოს მოყვასსა! რამბერს უნდოდა, ოქრო უკანვე მიეცა ან გადაეყარა, მაგრამ უმალვე თვალ წინ წარმოუდგა საწყალი ჟაკი, ძონძებში გახვეული, თავისი ღარიბი, ცივი სადგური, უიმედო ყოფა მუშაკისა, რომელსაც სამუშავო ვერ უშოვია.

ამასობაში ქალი თითქო ჩურჩულით ეუბნებოდა:

— მე მგონია, თავის დღეში არ მეცოდინოს თქვენი სახელი და ვერც ჩემსას გაცოდინებთ; ეს კი გახსომდეთ, რომ არის ქვეყანაზედ ქალი, რომელსაც თქვენის შემწეობით არც რაიმე უზნეო საქციელი წამოაწითლებს და არც რაიმე ავ-კაცობა გააფითრებს. ეხლა კი წადით! მშვიდობით!

ესა ჰსთქვა და სწრაფად გაჰქრა ხეების ჩრდილში და სულ ამას იძახდა:

— წადით, წადით!

რამბერს ეგონა, რომ ყოველი ეს სიზმრად მეჩვენაო; ადგილიდამ არ იძროდა და მღელვარებით ჰკუმშავდა ხელში ოქროებსა. თავის თავსა ჰკითხავდა, ეს ყველაფერი, რაც ვნახე და გავიგონეო, ცხადია თუ სიზმარიო? ბოლოს ამაყად თავი მაღლა აიღო და ჰსთქვა:

— აბა, რამბერ, წადი და ეს ფულები დაიმსახურე!

რამბერმა გასწია.

მივიდა ნანიშნევ ალაყაფის კართან თუ არა, დაუწყო ძებნა წითელ კედლიანს პატარა სახლს. ბოლოს, როგორც იყო, იპოვა. გარედამ წითელი კედელი ევლო, ისეთის სილამაზით მოყვანილი, რომ ცხადი იყო, ან მდიდარს ვისმეს ეკუთვნოდა და ან გამოჩენილს დიდკაცსა.

— ეს არისო, — ჰსთქვა რამბერმა და მივიდა კარებთან.

კარი ღია დახვდა და რომ შევიდა, ნახა, რომ ბაღში ამოჰყო თავი. ხეივნის თავში, ოცდაათს ნაბიჯზედ პატარა დაბალი სახ-

ლი დაინახა. ფანჯრებში სინათლე არ იყო და ასეთი დუმილი იყო, თითქო ან ყველას დაუძინიაო, ან დაბოცილანო.

— მე იქ არ შევალ, — ჰსთქვა რამბერმა. — აქ მოკიცდი და, როცა ყმაწვილი კაცი მოვა, აქედამ ვეცდები დავაბრუნო.

დიდხანს არ მოუნდა ლოდინი. იმ ბნელა სახლიდამ რაღაც არეული ხმაურობა მოესმა. რამბერი სახლის შესავალს კარებს მივარდა, მაგრამ დაკეტილი დახვდა. მაშინ გარს შემოურბინა სახლს და ნახა, რომ ერთს ფანჯარაზედ თუმცა მძიმე ფარდა ჩამოფარებული, მაგრამ სინათლეა. სწორედ ამ ოთახიდამ გამოდიოდა ხმა რაღაც ცხარე ლაპარაკისა. ფანჯარა ძირის სართულისა იყო, ასე რომ კაცი შეჰსწვდებოდა. ნოელმა ფანჯრის დირეს ხელი ჩაჰკიდა, აიწია მაღლა და დაუწყო ყურება. თუმცა ფარდა ჰქონდა ჩამოფარებული, მაგრამ ფარდის ნაკეცებ შუა ცოტა ღია ადგილი იყო და იქიდამ დაინახა, რომ მაღლა ხვამლი ჰკიდია და იმის სინათლეზედ ორი კაცი მოჩანს. ერთი — ტანად მაღალია და მოხდენილი; ზედ აცვია სერთუკი, თავიდამ ბოლომდე შეკრული და თავზედ შლიაპა ხურავს. იგი იდგა და არხეინად ხელს ისვამდა ლამაზად მოყვანილს შავს წვერზედ. მეორე ქერა, ფერმკრთალი კაცი იყო, გულხელ დაკრეფილი იდგა უშლიაპოდ რაღაცაზედ მიყუდებული და ისეთი სახის მეტყველება ჰქონდა, თითქო იბრძვისო, რომ რაღაც ძვირფასი რამ ხელიდამ არ გამოეცალოსო. მათ შუა პატარა სტოლი იდგა, რაღაც წვრილმან სამკაულებით მოწყობილი, რომელთ შორის როგორღაც უცნაურად ბრწყინავდა ქარქაშიდამ ამოღებული ანდალუზური სატევარი.

საკვირველია, რომ რამბერის თვალი ყველაზედ უწინარეს ამ სატევარს შეაჩერდა და ჟრჟოლამ დაურბინა ტანში.

ეტყობოდათ, რომ ცხარე ლაპარაკი ჰქონიათ და გულზედ მოსულები ორივ გაჩუმებულან. აგრე გაჯავრებულ გულზედ კაცს გონება დაეხშობა ხოლმე და მაშინ მხეცური სურვილები წინ წამოიწევენ. მაშინ ყველაფერი მოსალოდნელია, ყველაფერი შესაძლოა, რომ მოხდეს.

ორნივ ერთმანეთს პირდაპირ თვალებში უყურებდნენ რისხვითა და მუქარითა.

— თქვენ მე უნდა მომცეთ ის, რაც მე მეკუთვნის, — უთხრა მტკიცედ, მკვახედ და რიხიანად უფროსმა და ხელი გადისო წვერზედ.

რამბერს ჟრჟოლამ დაურბინა ტანში. თვალი მოჰკრა, რომ ელვამოსილი თვალი ამ კაცმა სატევარზედ გააჩერა. იმ წამსვე მოესმა პასუხი ყმაწვილ კაცისა: „არასოდეს!“ ამ სიტყვაზედ შავწვერიანი კაცი წამოხტა და სწრაფად წაავლო ხელი სატევარს.

— მოჰკლავს! — დაიძახა რამბერმა და, რაც ღონე ჰქონდა, მიაწვა ფანჯარას, მაგრამ არ გაეღო; მაშინ გატეხა მინა, გადაჰსწვდა, შიგნიდამ გააღო ფანჯარა და გიჟსავით ჩახტა ოთახში.

ყმაწვილი კაცი ძირს ეგდო და შავ-წვერიანი, გაფითრებული, როგორც ქაღალდი, მთელის ტანის კანკალით ჯიბეებს უჩხრეკდა.

— არიქა! კაცი მოკლეს“ — დაიყვირა რამბერმა.

უცნობი ტანში გაიმართა და თვალი გაუსწორა ნოელს. ხელში ეჭირა პატარა წითელი ქისა.

— თქვენ მოჰკალით კაცი! — დაიძახა რამბერმა და ჰგრძნობდა, რომ სისხლი თავში აუვარდა.

უცნობმა ხმა არ გაჰსცა. სწრაფად დაიწია კარებისაკენ, ამოიღო ჯიბიდამ რევოლვერი და დაუმიზნა ნოელს.

— მაგით ვერ შემაშინებ! — შეჰყვირა რამბერმა და ეცა უცნობსა.

რევოლვერი გავარდა. ნოელმა ძირს დაიღუნა თავი და აიცდინა. ტყვია კედელს მოხვდა, მაგრამ მინამ რამბერი ისევ ტანში გაიმართებოდა, იმ უცნობმა კარში გასვლა მოასწრო და არხეინად გარედამ ჩაჰკეტა კარები.

რამბერს უნდოდა ფანჯრიდამ გადმომხტარიყო და კაცის მკვლელისათვის გზა გადეჭრა, მაგრამ ამ დროს ყმაწვილმა კაცმა შესაბრალისად დაიკვნესა. ჯერ უნდა დაჭრილისათვის ეშველნა და მერმე ეფიქრნა ავ-კაცობის გადახდევინება. რამბერი მიუბრუნდა ყმაწვილ კაცს, ჩაჯდა, ფთხილად აუწია თავი, მუხლებზედ დაიდო და საკინძი გაუხსნა.

ყმაწვილი კაცის სახეს მკვდრის ფერი ედო და დიდი ცის-ფერი თვალები უსიცოცხლოდ შემოსცქეროდნენ ნოელსა.

— არიქა! ეი! არავინა ხართ? — ყვიროდა ნოელი და თვა-ლებში ჩაჰსცქეროდა რა დაჭრილს, ეუბნებოდა თითონაც არ ესმოდა რას. გაიქცა. მე ჩემის თვალით ვნახე ყველაფერი, მე ყველაფერს ვიტყვი, არ დავმალავ, როცა მკითხვენ. ძალიან გა-წუხებთ განა ტკივილები?

დაკოდილი ხმას არ იღებდა და მარტო უაზროდ აფათურებ-და მარჯვენა ხელს, თითქო რაღასაც ეძებსო.

— ქისას ხომ არ ეძებთ? — ჰკითხა რამბერმა.

ყმაწვილ კაცის სახემ გამოჰსთქვა რაღაც ნაღველი და მწუ-ხარება.

— იმან წაიღო, — დაუმატა რამბერმა.

უბედურის გულიდამ აღმოხდა ერთი საშინელი, მიყრუებული კვნესა. უნდოდა საწყალს წამოეწივნა, მაგრამ თავი ვერ დასძრა და ისევ რამბერის მუხლებზედ დაეცა. ძლივძლივობით წამო-იყრანტალა:

ვაიმე დედავ!... ვაიმე ძმაო!..

ტუჩებზედ სისხლის ქაფი მოადგა და ხელები უსიცოცხლოდ გაეშხლართა იატაკზედ.

რამბერი მაშინათვე წამოხტა, ხმამაღლა მოჰყვა ყვირილს, მიშველეთო, და ეცა ხან აქეთ, ხან იქით, რომ ოთახიდამ გასა-ვალი იპოვოს. იპოვა კარი, მაგრამ რაღაც ბნელ ოთახში გადი-ოდა. ყვიროდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მაგრამ ხმას არავინ აძლევდა. მაშინ ამ ხელღონიერს გოლიათს მუშა კაცს ტანში ურჟოლა მოუვიდა; მარტოდ ყოფნამ ამ მკვდარ ცხედართან ბნელს და ცარიელს ოთახში ცივი ოფლი დაასხა.

— ეა! არავინ არ მოვა!.. პოლიციას მაინც შევატყობინო... — ჰსთქვა მან, შემოიკრიბა, რაც ღონე ჰქონდა, გაამტვრია ფანჯარა და ეცა ბაღის კარებს, საიდამაც ამას წინად შემოვიდა. კარი მოხურული იყო და გარედამ არეული ლაპარაკი ისმოდა. რამბე-რი შედგა. უსათუოდ იმ ავაზაკის ამხანაგები არიანო, ან თვითონ მოსულა და თან მოუყვანია თავისი ამფსონებიო.

— ვნახოთ, რა იქნება! — ჰსთქვა თავისთავად რამბერმა და წიხლი ჰკრა კარსა.

იმავ წამს რამდენიმე კაცი ეცა ყელში და მკლავებში რამბერს; სხვანი შეცვივდნენ სახლში. მოშორებით ხალხი მოჩანდა და იძახდნენ: „აგერ კაცის მკვლელი! აგერ ქურდიო!“

— გამიშვით! რა გინდათ ჩემგან! — იძახოდა ნოელი. — პოლიციის კამმისარს ვეძებ, აქ კაცი მოჰკლეს. გამიშვით! — იძახდა გულზედ მოსული. — რისთვის მიჭერთ? გეუბნებით-მეთქი, რომ ყველაფერი, რაც ვნახე, პოლიციას უნდა ვუამბო.

— რაც გენებოთ, უამბეთ, — უთხრა ერთმა დამჭერთაგანმა და უფრო მაგრა ჩაავლეს ხელი.

რამბერს თავბრუ დაესხა, არ ესმოდა, მის გარეშემო რა ამბავი იყო. ეგონა, რომ ან ჭკუიდამ შევცდიო, ან საშინელს სიზმარში ვარო. ამას კი ცხადად ჰგრძნობდა, რომ ყოველ მხრიდამ მუჯლუგუნებს ჰსცემდნენ; რომ ქუჩაშია, გარს დიდი ხალხი ახვევია და წინ ეტლი უდგას, რომელშიაც ასწიეს და მკვდარსავით ჩასდეს. გვერდთ და წინ მოუსხდნენ ვიღაც უცნობნი.

— სად მიგყევართ? — ჰკითხა მან.

— თქვენ თვითონ არ ეძებდით პოლიციის კამმისარს? — უთხრა დაცინვით კაცმა, რომელიც პირდაპირ უჯდა ნოელს და მუხლები რამბერის მუხლებზე მიებჯინა.

— მართალია, — უპასუხა რამბერმა და წყნარის, მიქანცულის ხმით დაუმატა: ერთი ეს სიკეთე მიყავით, ნება მომეცით, მუხლები გავიშალო; ძალიან ვოვწყდი.

საცოდავს ღონე სრულებით ჩამოერთვა; თითქმის გულშემოყრილი დაეცა ეტლის ბალიშებზედ.

რამდენსამე ხანს შემდეგ ეტლი შევიდა დიდ ალაყაფის კარებში, რომელიც განათებული იყო წითელ სანათურებითა; რამბერი აიყვანეს ბნელს კიბეზედ მეორე სართულში; შეიყვანეს ერთს დიდ ოთახში, მაღლა კანდლები ეკიდა და ისინი ანათებდნენ ოთახს. ამ ოთახში რამდენიმე კაცი იყო, ზოგი ჰსწერდა და ზოგი თბებოდა ბუხრის წინ. რამბერი ხის სკამზედ ჩამოსვეს და ხუთმეტ წუთამდე ეგრე იჯდა უძრავად და გარინდებული.

ბოლოს სხვა ვიღაცანი შემოვიდნენ და გაიყვანეს მეორე ოთახში. იქ იჯდა ერთი ვიღაც ჩასუქებული კაცი, თურაშაულ

ვაშლსავით ჩაწითლებული წიწ სტოლი ჰქონდა და ზედ ედგა ორი სანთელი და ქაღალდები ეწყო.

— თქვენა ბძანდებით პოლიციის კამმისარი? — ჰკითხა რამბერმა.

კამმისარმა შეხედა ნოელს გაოცებით, თითქო ითაკილაო. მას ეწყინა, რომ ის კაცი ჰკითხავდა, ვისთვისაც თვითონ უნდა ეკითხნა. მეორე იმპერიის მოხელე, როგორც ის ბატონი ბძანდებოდა, უფრო ადვილად აპატივებდა კაცს დანაშაულობას, ვიდრე ამისთანა კადნიერებას და როლების შეცვლას. მაგრამ მაინც არ უსაყვედურა ნოელს, თვალი თვალში გაუყარა და უთხრა:

— მე ვარ.

— მაშ, მოისმინეთ ჩემი ჩვენება.

— უკაცრაოდ, უთხრა კამმისარმა იმ თავმოწონებით, რომელიც მის ხარისხს შეეფერებოდა. თვითონ დაუწყო გამოკითხვა.

ნოელი ალალად და გულმართლად უგებდა პასუხს ყოველს; მის კითხვაზედ. კამმისარმა ნება მიჰსცა ლაპარაკისა და ნოელი მოჰყვა და აუწერა ყოველივე ის საშინელება, რაც ალალ ბედზედ შეემთხვა და ნახა. კამმისარი ყურადღებით უსმენდა თავჩაღუნული და ჩუმ-ჩუმად ათვალიერებდა რამბერს. როცა რამბერმა გაათავა, კამმისარმა თავი მაღლა აიღო და მძიმედ წარმოსთქვა:

— მაშ, არა ტყდებით, რომ თქვენ მოჰკალით კაცი, რომელიც ჩვენ მკვდარი ვიპოვნეთ?

პირველ ხანში რამბერი ვერ მიუხვდა, რის თქმა უნდოდა კამმისარს. ისე ალალად და გულმართლად ნაამბობის პასუხად ამას ასეთი საშინელი სიტყვა უგეს: „მაშ, არა ტყდებითო, რომ თქვენ მოჰკალითო?“ ბუნდად, გაშტერებით შეხედა კამმისარსა, მერე უკან მოიხედა და დაინახა ისინი, რომელთაც დაიჭირეს. არხეინად იდგნენ და ულვაშს იგრეხდნენ. საცოდავი გაფითრდა, თითქო რაღაც უხილავმა ძალამ წარიტაცაო. გულს ცეცხლი მოედო, გამოიჭიმა და აჩქარებით წამოიძახა:

— რაო! თქვენ მე მკითხავთ... პირველში ვერ გავიგე... თქვენ მე მკითხავთ, მე მოვკალ თუ არა? უკაცრაოდ, ბატონო კამმისარო, ეგ მეტისმეტია! მითამ ვინა გგონივართ?! მე მუშა კაცი ვარ და ვამოქმედებ ხელოსნის იარაღს და არა კაცის მკვლელის და-

ნასა. არა, უთუოდ კარგად ვერ გავიგე. როგორ იქნება, როგორ, რომ მე დამსახოთ მკვლელად იმ ყმაწვილ კაცისა, რომელსაც, ვაი, შენ ჩემო თავო, წინ ავეფარებოდი და ისე დავიხსნიდი, რომ მივსწრობოდი.

— მაშ, არა ტყდებით? — ცივად ჰკითხა ხელმეორედ კამმისარმა.

— როგორ გინდათ, რომ გაგიტყდეთ? იცით, რასა მწამებთ?! ჩემთვის რომ ეთქვა ვისმეს, კაცის მოკვლას შეიძლებო, პირში ჩავაფურთხებდი. თქვენ კი არხეინად მეუბნებით მაგას იმიტომ, რომ კამმისარი ბძანდებით და მე თქვენთან მომიყვანეს. ის კი არ იცით, რომ მე თვითონ დაგეძებდით თქვენ. განა კაცის მკვლელი დაეძებს პოლიციას? მე რომ მომეკლა, იქ რაღა დამაყენებდა, გავიქცეოდი. ვაი, სულელი, თავს ვმართლობ კიდეც... გამიგონეთ, ბატონო კამმისარო, მე ოპიტალის ბულვარზედ ვდგევარ, სახლის ნომერი 115-ია. მე მქვიან ნოელ რამბერი, ამ ერთის თვის წინად პოტონიეს ქარხანაში ვმუშაობდი, მე მატანტალა კაცი არა ვარ. იკითხეთ, ჩემი ამხანაგები გეტყვიან, რომ პატიოსანი კაცი ვარ და თუმცა ქარხანის პატრონებმა უარი მითხრეს, რადგანაც სამუშაო შემოაკლდათ, მაგრამ ყოველთვის პატივს კი მცემდნენ. ყველაფერი ამ თითების ბრალია, თითები ჩარხში მომყვა, დამემსხვრა და უნდა მომეჭრა; ვეღარ ვმუშაობდი, მინამ მოვრჩებოდი. ეს რომ არ მომსვლოდა, აბა რა თქმა უნდა, რომ ღამით გარეთ არ ვეხეტებოდი; მაგის ჩვეული არა ვარ . . . არა, რა მენაღვლებოდა, შინ დავრჩენილვიყავ ჩემს პატარა ბალღთან. ჯერ ის სულ პაწაწაა, მაგრამ აბა, ერთი გაუბედეთ და უთხარით, რომ მისი მამა კაცის მკვლელია! ...კაცის მკვლელი!... ეგ ხომ ჭკუაში მოუსვლელია, ბატონო კამმისარო! მე და კაცი მოვკალი! რას ამბობთ? ვინ დაიჯერებს! მე ხშირად მშიერი ვყოფილვარ და ერთხელაც ფიქრად არ მომსვლია ლუკმა-პურის მოპარვა. აი, რას გეტყვით: შესაძლოა, მკვდარი ვენახეთ სიცივისაგან და შიმშილისაგან გაფიჩხებული ჩემს ჩარდახში ჩემს პატარა ბალღთან ერთად, მაგრამ რომ ფიქრად მომსვლოდეს როდესმე სხვის ჯიბისაკენ ხელის გაწვდენა, ანუ დანის დაცემა ვისთვისმე... არა, არა! . . . მაგას ვერავინ ვერ მაკადრებს! ვერავინ ვერ დამწამებს!

საცოდავი ლაპარაკობდა, იქნევდა ხელებს ცეცხლმოკიდებული და აღელვებული; ზოგჯერ ხრინწიანი ხველა მოუკვეთდა ხოლმე სიტყვას და თვალში ცხარე ცრემლი მოეგუბებოდა. კამისარი ხმა-ამოუღებლივ ყურს უგდებდა და პატარა ქაღალდის საჭრელს ხის დანას ხელში ათამაშებდა. მერე მიუბრუნდა ერთს პოლიციის მოხელეს, ნოელის დამჭერსა და ჰკითხა:

— ნივთიერი გეში არის რამე?

პოლიციის მოხელემ ანდალუზური სატევარი მიართვა; სატევარის პირი სისხლში იყო მოსვრილი.

— მაშ, ეს თქვენი სატევარი არ არის? — ჰკითხა კამმისარმა.

— მე ეგ სტოლზედა ვნახე. იმან მაგას წამოავლო ხელი და მაგით მოჰკლა საწყალი ყმაწვილი.

— კარგი! — უპასუხა კამმისარმა: ხვალ ყველაფერს შევიტყობთ.

უბძანა და რამბერი სხვა ოთახში გაიყვანეს. იქ ერთმა მოხელემ გვარი და სახელი ჰკითხა და ჩაწერა წიგნში. მერე ჯიბე და უბეები გაუჩხრიკეს და უპოვეს ოქროვები.

— თქვენ და სამას სამოცი ფრანკი?! სად გიშოვიათ და როგორ? — ჰკითხა კამმისარმა, როცა მოუტანეს ამისთანა მძიმე საბუთის ამბავი.

— სამას სამოცი ფრანკი! — დაიძახა გაოცებით რამბერმა და გაიფიქრა, რამდენი სათამაშოები მოუვა ჩემს ჟაკსაო.

სულ გადავიწყებული ჰქონდა ეს ფული, მარტო ეხლა მოაგონდა და დაწვრილებით უამბო, როგორ შეემთხვა ელისეის მინდვრებზედ ერთს უცნობს ქალსა; რა საქმე დაასაქმა იმ ქალმა, რარიგად ბადლობა გადუხადა და ხელში ჩაუყარა ოქროები, რაც კი ქისაში ჰქონდა.

— მე ეს კი ვეღარ გიამბეთ, — დაუმატა რამბერმა. მე ხომ იმის გამოისობით წაველ ბოჟონს... უხ, რარიგად მტეხს თავი! მე სულ გუნებაში აღარ მომსვლია ეგ ამბავი... ყველაზედ უწინარეს კი ეგ უნდა მეამბნა...

— რასაკვირველია! — შენიშნა კამმისარმა, ეჭვით ჩაიცინა და გავიდა ოთახიდამ.

რამდენიმე ჯარისკაცი შემოვიდა და ნოელი ჩაიყვანეს ბნელს

კიბეზედ სატუსაღოში; იქ საწყალი დაეცა იატაკზედ ღონემიხდილი.

— სულერთია, ხომ სადმე უნდა მომესვენა, — იფიქრა საცოდავმა: ჩემს ჟაკსა მეკარეს სახლში ჰსძინავს, მე კი ... სულ მოშლილი ვარ... ქანცი გამიწყდა.

ერთმა ჯარისკაცმა ნახა რა მისი ფერმიხდილი, დაქანცული სახე და ლაფში ამოწუნწლული ძონძები, შეეცოდა და მიაწოდა ნატეხი პური და ერთი ჯამი წყალი. ნოელი იმ ღონემიხდილობამდე მივიდა, რომელსაც სიკვდილიღა მოსდევს. წყურვილი მოიკლა წყლით და მგელსავით მივარდა პურსა. მერე სახეზედ გაუელვა იმ უგონო და კმაყოფილების ღიმილმა, რომელიც მოუვა ხოლმე ან ახლად გამობრუნებულს დამშეულს სნეულსა, ან კიდევ შიმშილისაგან სიკვდილამდე მიხწეულს ადამიანსა, როცა საჭმელს მიაწვდიან. ისე გაუწყდა ქანცი, ისე მიეხადა ყოველივე ღონე, რომ აღარ ესმოდა, რა მოხდა და რა იყო იმის თავს. ეგრეთ ქანცგაწყვეტილს და ილაჯწართმეულს ჩაეძინა იმ ტყვიასავით მძიმე და მოუსვენარის ძილითა, რომელიც მოუვა ხოლმე დაღალულს ჯარისკაცს ომის გადახდის შემდეგ.

მაგრამ ზოგჯერ ძილი უფრო უარესია, ვიდრე ცხადი. საცოდავი რამბერი, თითქო საოფლეშიაო, ისე ტრიალებდა თავის ხმელს ლოგინზედა და საშინელი სიზმრები ეზმანებოდა. ესიზმრა, რომ ვითომ ჟაკი აკვანში წევს, ქუნთრუშა შეჰყრია და ამაოდ იძახის, მიშველეთო. ნოელს უნდოდა წამომდგარიყო და გაქცეულიყო შვილისაკენ, მაგრამ ნება არ ჰქონდა და როგორც სულთ ამოხდომის დროს, ისე თავიდამ ფეხამდე იწურებოდა ხოლმე ცივს ოფლში მჭლე ტანი ამ მართლა და საცოდავის ადამიანისა.

II

კაცი, რომელმაც ნოელ რამბერის თვალ წინ წამოაველო ხელი ანდალუზურს სატევარს, ჩაჰსცა გულში უბედურს ყმაწვილ კაცს და გაიქცა, დამბაჩა რომ დაჰსცა თვითონ რამბერს, იყო დანიელ მორტალი. ეს სახელი დღესაც ახსოვთ პირენეის მაზრის მცხოვრებელთ, რადგანაც მორტალი ამ ოცის წლის წინად იქა

ყოფილიყო მმართველად დანიშნული და ბევრი ასეთი საშინელი და საძაგელი საქმეები ჩაედინა, რომ მეტი აღარ იქნებოდა. ეს იმისთანა მოუსვენარი და პატივმოყვარე კაცი იყო, რომელთაც ამოქმედებს ხოლმე მარტო ფულის სიხარბე და ანგარება და რომელნიც თაყვანსა ჰსცემენ მარტო მას, რაც გამარჯვებულია ამ წუთის სოფელში და რასაც ძალა და უფლება ხელთ უპყრია. ამისთანა კაცები ხშირად უფლებას ხელში ჩაიგდებენ ხოლმე, როცა რომელიმე საზოგადოებრივი უბედურება მაჯის შეძთხვევას მიჰსცემთ. მაშინ საკვირველი აღარ არის, რომ პატიოსანა კაცები ზურგს შეაქცევენ უფლებას, რომელიც ამისთანა კაცების ხელში ჩავარდება ხოლმე.

დანიელ მორტალის ყოფა-ცხოვრება ბევრს თოკში იყო გამოტარებული; ლხინი ბევრჯელ შეჰსცვლია ჭირად და ჭირი — ლხინად; ერთობ ცხოვრება მისი ჩირქიანი იყო და ამაზედ უარესიც, თუ კი უარესი შეიძლება. მინამ დიდს და გამოჩენილს ადგილს დაიჭერდა, მან დიდხანს აწოწიალა თავისი ცხოვრება თავგამოუჩენელად და მრავალგვარი საფთხე და ფათერაკი ნახა. იგი იყო ძალიან მდიდარის კაცის შვილი. ჯერ სულ ახალგაზდა იყო, როცა ობლად დარჩა მამეულის უზარმაზარის ქონებითა. მალე მოუღო ბოლო ამ ქონებას ქეიფობაში და სალახანობაში. ბუნებამ იგი რკინად, ანუ უკეთ ვჰსთქვათ, ქვად შეჰქმნა როგორც ხორცით, ისე სულითაც. ტანად იყო მაღალი, წამოსადეგი, სახით ურცხვი და ლამაზი. თვალები ნაზი ჰქონდა, მაგრამ მხნეობასაც გამომეტყველებდნენ; შავი წვერი აბრეშუმს უგვანდა და ერთობ მეტად მოხდენილი რამ იყო და საოცარის ძალ-ღონის პატრონი. ამისთანა კაცნი, თუ სიკეთეს მიაქცევენ თავის ძალ-ღონეს, ქვეყანას გადაახალისებენ, ხოლო თუ თავის გულისთქმას აჰყკებიან, აძლიერებენ ხოლმე მარტო ზღვას ბოროტებისას. ძალიან გამჭრე გონების თვალი ჰქონდა და სწრაფად მიხვდებოდა ხოლმე ყოველსფერს; ბევრი წიგნი წაეკითხა თავის სიცოცხლეში, მაგრამ მკლავების ვარჯიშობას უფრო რჩეობდა, ვიდრე ჭკუისას. ძალიან კარგად იჯდა ცხენზედ, ძალიან კარგად იცოდა ხმლის ხმარება დუელში და იმ დროების დიდკაცთა სამარცხვინო შვილების შორის სამაგალითო რამ იყო. გათქმული იყო, რო-

გორც ურცხვი შემაცდენელი ქალებისა, როგორც საკვირველად ბედნიერად ქაღალდის მოთამაშე, როგორც ათასგან დუელის მქონე, — და ამ ამბებში მყოფს, რაღა თქმა უნდა, ყოველს დღეს ხელიდამ ეპარებოდა მამეული სიმდიდრე.

ერთს მშვენიერს დღეს შეიტყო თავის ვექილისაგან, რომ მთელი მისი ქონება შეჭმულია და ამასთანავე იმავ საღამოს შინ მობრუნდა მძიმედ დაჭრილი ერთის ღარიბ მედუქნისაგან, რომელსაც ქალი შეუცდინა. ამ მძიმე და ხანგრძლივ ავათმყოფობაში მორტალმა დააკვირვა თვალი თავის ყოფა-ცხოვრებას და იმ აზრზედ დადგა, რომ მე ბედს უფრო ფართო და დიდის მოქმედებისათვის ვყევარ დანიშნულიო და გულს უღრღნიდა შური ბონაპარტის მიმართ, რომლის პატივმოყვარეობის უგუნური სიზმრები მაშინ არავისთვის საიდუმლო არ იყო. სიღარიბის შიში სრულებითაც არ აწუხებდა, იცოდა, რომ როგორც იქნება დღესა თუ ხვალე უჯაფოდ შეიძენდა სიმდიდრეს; მისი წყურვილი იყო ერთის დიდის თანამდებობის შოვნა როგორმე. ესეც კი იცოდა, რომ მინამ საფრანგეთში ლუდოვიკ — ფილიპპე ხელმწიფობდა, ბრწყინვალე თანამდებობის კარი დახშული იყო მისთვის. ამიტომაც გამოეთხოვა ძველს ევროპას და ახალს ქვეყანაში, ამერიკაში, ჰსცადა თავისი ბედი.

ამ სახით ოცდაოთხის წლის ყმაწვილი კაცი — დანიელ მორტალი გადავიდა ამერიკაში სიმდიდრის შესაძენად და იქ რვა წელიწადი დაჰყო. ბევრი იმისთანა ჭირი გამოიარა, იმისთანა ნაკლებულება, იმისთანა სიღარიბე და უბედობა, რომ სხვა უიმისო მიწასთან გასწორდებოდა, მაგრამ ის კი უფრო გამხნევდა და ამოდენა ვაი-ვაგლახმა არა დააკლო რა მის უძლეველს ბუნებასა. ეს სვე მისის ცხოვრებისა ბნელია: აქ ზღაპარი და მართალი ერთმანეთშია არეული. ეს კი სარწმუნოა, რომ ხან მომღერალად იყო ფილადელფიაში, ხან ოსტატად ნიუიორკში; ხან ავაზაკების წინამძღოლად რიოგრანდოში; ერთგან მთხოვარა გლახად, მეორეთგან — მდიდარ დიდკაცად; კალიფორნიაში — მადნის მთხრელ მუშად, ბოსტონში — გაზეთის რედაქტორად და იგი ყველგან მხიარული, მიმზიდველი, მუდამის ღიმილით თამამად და ურცხვად მეტიჩრობდა ამერიკელთ შორის, რომელთაც არაფერი არ აკვირვებს ხოლმე და რომელნიც არას-

ფერს არ ერიდებიან და სულ წინ მიდიან და მიდიან იალქნებ აშვებულ ხომალდსავით. რვა წლის განმავლობაში მორტალმა ათჯერ შეიძინა სიმდიდრე და ათჯერვე გაფლანგა. ბოლოს მეთერთმეტეჯერ რომ შეუდგა სიმდიდრის შოვნას, იგრძნო, რომ ამისთანა ყოფა მოჰსწყინდა. აპირობდა მეხიკაში მდიდარის ქალის შერთვას, იქვე ზედსიძედ შესვლას და დასახლებას საცოლოს მდიდარს მამულებში, მაგრამ ამ დროს უცბათ მოვიდა ამბავი, რომ საფრანგეთში 1848 წლის რევოლიუცია ასტყდაო. რაც უწინ ნატვრა ჰქონდა, ეხლა ერთბამად გამოელვიძა გულში; დაინახა, რომ უწინ შეუძლებელი, ეხლა შესაძლოა და გამოფრინდა ევროპიისკენ. ისე წავიდა, რომ არც კი მოჰკონებია საცოდავი მეხიკანელი ქალი, რომელმაც ჯავრით წაიჭირა ყელში თავისი მშვენიერი თმები და ისე დაიხჩო თავი. ამისთანა წვრილმანებს, როგორც თვითონ მორტალი ამბობდა ხოლმე, რასაკვირველია, ყურსაც არ ათხოვებდა.

საფრანგეთში რომ მობრუნდა, ახირებულის ძხნეობით მიჰსცა თავი საპოლიტიკო მორევს. იმისთვის სულ ერთი იყო, რომელს დასსაც უნდა ემსახუროს; კარგად იცოდა, რომ თუ გაჭირდა, ყველას ერთნაირად უღალატებდა. გულში მარტო ისა ჰქონდა, რომ რაზედმე ფეხი მოიკიდოს და თავისი ნატვრა აისრულოს. ჯერ რადიკალებს მიემხრო, მერე ნახა, რომ ქარი სხვაგნიდამ უბერავს, დიდის ოსტატობით გაღვიძა რეაქციონერებში და ყველგან გაზეთებში, თუ ხალხში რეაქციის აზრებს ჰქადაგობდა. აღჭურვილი ცხოვრების ვითარების ზედმიწევნილ ცოდნითა და ადამიანის არაფრად ჩამგდები, მით უფრო საფთხილო და საშიში იყო, რომ თავის სიხარბეს სიმდიდრისას და თანამდებობის შოვნისას არ აჩენდა და იბირებდა ხალხს თავის ჭკუისა და თვალადობის მიმზიდველობითა.

მაინც თავის წადილი ვერ აისრულა. აძლიეს, როგორც ბევრს სხვას, რაღაც ნაწილი მოხელეობისა, მაგრამ ამისთანა გაუმაძღარს პატივმოყვარეს მცირე რამ წყურვილს როგორ მოუკლავდა. დანიელ მორტალს მომეტებული და უკეთესი უნდოდა. ამის ლოდინში იგი თვალს ადევნებდა საპოლიტიკო საქმეებს, როგორც გარეშე მაყურებელი, ხოლო ტაშს კი უკრავდა

ყოველს ოინს რეაქციონერებისას და ხელს უწყობდა ყოველს ცილსა, რომელსაც კი ჰსწამებდნენ ხოლმე დამარცხებულს რადიკალებს. ბევრი მის მეგობართაგანი მთავრობის სათავეში იდგა და იმათ ხშირად მოუწონებდა ხოლმე საქციელს და ბარა-ქალით აქეზებდა. ერთი ამისთანა მისი მეგობარი, მისი ძველი ამხანაგი და ამფსონი პრეფექტად იყო იმ დროს პირენეის მაზრაში. მორტალი იმასთან იყო სტუმრად, როცა მოუვიდათ ამბავი ორის დეკემბრისა[1]. გაოცებას და გაბრაზებას ყოველ პატიოსან კაცისას საზღვარი არა ჰქონდა. ხოლო ბევრს სხვას იმედი მოეცა, რომ პატივის და სიმდიდრის კარი გაგვეღოო. მინამ გაუბედავნი ჭოჭმანში იყვნენ, გამბედავებმა დრო ალარ ღაჰკარგეს და მიეცნენ დროთა მიმდინარეობას, რომელიც ყოველ-ფერს უქადდა. მართალი უნდა ჰსთქვას კაცმა, მორტალი ამ უკანასკნელებში ერია. ერთს წუთსაც არ შეფერხებულა, არ უყოყმანია. მაშინვე მიხვდა, რა მოულოდნელი, ბრწყინვალე გზა გადეშალა წინ, მაგრამ ამ ამბავმა იმისთანა დროს მოასწრო, როცა შესაძლო იყო, რომ ჭკუის გამჭრიახობა მას აღარ ჰქონოდა.

სწორედ წინა ღამეს წაეგო უშველებელი ფული — ორასი ათასი ფრანკი და ერთს იქაურს გამოჩენილს არისტოკრატს ლავერდაკს მოეგო. მორტალს გროში არა ჰქონდა თურმე და იმედიც არა ჰქონიყო ეშოვნა სადმე ამოდენა ფული, ამღვარიყო და გუნება არეული წამოსულიყო შინ. ამ დროს წიგნიც მიაჩეჩეს ხელში თავის მეგობარ პრეფექტისაგან, რომელიც ჰსწერდა, რომ დაუყოვნებლივ ჩემთან მოდიო, ძალიან მძიმე საქმე რამ არისო. ადგა გულმოკლული წაგებისაგან და წავიდა საპრეფექტოში.

— ძალიანი ამბავია, — უთხრა პრეფექტმა და მიაწოდა დეპეშა: მირჩიე, რა უნდა ვქნა? რესპუბლიკა გაუუქმებიათ, ნაციონალური კრება დაუთხოვიათ, პარიჟში ომია თურმე, აქაც უსათუოდ ასტყდება. რა უნდა ვქნა, რა გზას დავადგე? ვეწინააღმდეგო თუ მივემხრო?

---

[1] ამ დღეს ნაპოლეონმა III უღალატა საფრანგეთის რესპუბლიკას, გააუქმა იგი და თვითონ დაჯდა იმპერატორად.

ჯერ პრეფექტს თავისი არ გაეთავებინა, რომ მორტალმა აზრი გამოიკვანძა კიდეც. დაუჯერებელის სისწრაფით მოისაზრა ყოველისფერი, ყოველსფერს მიხვდა და სიხარულით აევსო გული, რადგანაც იგრძნო, რომ აი, კვლავ გადეშალა ჩვეული მოედანი ომისა, ბრძოლისა, მრავალგვარ საფთხისა და ფათერაკისა.

— გაიგე, ადამიანო, — განაგრძო პრეფექტმა. — რომ წესიერების, საკუთრების, ოჯახობის გადარჩენის დღეა.

— ყოველივე ეს გადასარჩენია და შენ კიდევ ყოჩმანობ! — წარმოჰსთქვა დაცინების ღიმილით მორტალმა. — ვირი ყოფილხარ შენ, ვირი და სხვა არაფერი! ჩვენმა საათმა დაჰკრა და შენ არც კი ხედავ შენს ბედნიერებას! ნება მომეცი, მე ვიმოქმედო, მე გავუძღვე ყველაფერს; ეს ჩემი სტიქიონია. ხომ იცი, მე შენ ცუდს არ გირჩევ.

მორტალი შინ მობრუნდა მხიარული, გახარებული. ხედავდა, რომ პირველი ნახევარი მისის მოუსვენარის ცხოვრებისა დასრულდა, რომ ახალი სვე დაუდგა, სვე მომკისა; რომ არამც თუ მარტო ამისთვის, მთელს საფრანგეთისათვის ახალი დრო მოვიდა, ყოველივე აირივ-დაირივა და ამ არეულობაში ამასაც თავის წილად კაი ლუკმა შეხვდება. შინ რომ მოვიდა, ლავერდაკის ბარათი დახვდა. ძალიან თავაზით ჰსწერდა მორტალს, თუ გნებავთ, კიდევ ვითამაშოთო, აგება გააქვითოთო ესე წინდაუხედავად წაგებულიო და თუ არა, რამდენს ხანსაც გნებავთ, დაგაცლითო, რადგანაც ამისთანა მოგებას არ ვიკადრებ შეურაცხო ქაღალდის თამაშის ვალად, რომელიც ჩვეულებისამებრ ოცდაოთხს საათში უნდა გადახდილ იქმნასო. ამ კეთილშობილურმა სულგრძელებამ გული კი არ მოჰფხანა მორტალს, პირიქით გააბრაზა. ეგონა, რომ ეგ უკადრისი და სათაკილო სიბრალულია ჩემდამი ჩემის მეტოქისაო, წამოავლო გაჯავრებულმა კალამს ხელი და მიჰსწერა ლავერდაკს, რომ მართალია, ეხლა ფული ორასი ათასი ფრანკი ხელად არა მაქვსო, მაგრამ ქაღალდის თამაშის ვალი — სინიდისის ვალიაო და თქვენ რამდენსაშე დღეს შემდეგ სრულიად მიიღებთო. ეს წიგნი გაგზავნა თუ არა, მაშინვე საპრეფექტოში წავიდა, რადგანაც იქ მოუთმენელად ელოდებოდნენ. იქ ყველაფერი დავიწყებას მიჰსცა, მხოლო ის კი

ახსოვდა, რომ დაუყოვნებლივ ჯარები უნდა გამოაყვაინოს, რომ პირენეის გულფიცხი ხალხი შეშინდეს.

იმ საუბედურო დროს არსად მთელს საფრანგეთში ხალხი ისე არ უჩაგრავთ, უწვალებიათ და უტანჯნიათ, როგორც ამ პირენეის კუნჭულში, საცა რამდენისამე დღით ბედმა დანიელ მორტალი შემოაგდო. ის ოინების მაძებარი სრულად დაეპატრონა იმ საშინელს ამბებს; თითქმის მთელმა მხარემ ხელში იარაღი აიღო, რომ გამოესარჩლოს შეგინებულს და ფეხქვეშ გასრესილს კანონს: ჯარები შეუწყალებლად ხოცავდნენ და ჰსდევნიდნენ ავჯანყებულებს, როგორც მწევარი ნადირს, და ბევრი ხანი არ გასულა, რომ მარტო აოხრებული სოფლებიღა ჩანდა და ქვითინი ისმოდა ქვრივისა და ობლებისა. დამარცხებული ხალხი ხორცს იგლეჯდა გაბოროტებისა და ჯავრისაგან და დანიელ მორტალი კი ცხენით წინ მიუძღოდა ხოლმე ჯარსა და რჩევას აძლევდა მოხელეებს, როგორც გამოცდილი კაცი. ავჯანყებულების დამარცხებას მოჰყვა სასჯელი. არამც თუ ჰკარგავდნენ და გზავნიდნენ სასჯელად მართლა დანაშაულებს, არამედ იმათაც, ვისზედაც კი ეჭვს მიიტანდნენ. საითაც კი უნდა მიგეხედნათ, ნახავდით, რომ ის უბედურები ბორკილგაყრილნი, როგორც ავაზაკნი, დასტა-დასტად მიჰყვანდათ გადასაკარგავად.

ზარდაცემულმა ხალხმა ხმა გაიკმინდა. თუმცა კაცის დაჭერა და დაკარგვა იმ დროს არავის არ აოცებდა, მაგრამ ყველას გაუკვირდა, როცა გაიგეს, რომ სხვათა შორის ლავერდაკიც დაიჭირესო... მართალია, მან როგორც პატიოსანმა კაცმა, ხმამაღლა გაჰკიცხა ორის დეკემბრის დამნაშავე ნაპოლეონ III, მაგრამ არასდროს იგი არ ითვლებოდა არც რადიკალად, არც მოქმედების კაცად. კეთილშობილი, სიტყვით ლიბერალი ლავერდაკი იყო მდიდარი არისტოკრატი და უფრო ლხინსა და ქეიფს მისდევდა, ვიდრე პოლიტიკასა. თამაშობდა ქაღალდს, დოღებში სანაძლეოს იჭერდა, საცა კი საქეიფო სადილი და ვახშამი იქნებოდა, ყველგან პირველი ის იყო და ერთობ ძალიან ხელგაშლილი ცხოვრებდა და ჰფლანგავდა ცოლის მზითებს. თუმცა ცოლი და თავისი ორი ვაჟიშვილი ძალიან უყვარდა, მაგრამ არ ესმოდა კი, რომ ყველას აუბედურებდა იმიტომ,

რომ ისე წინდაუხედავად ჰსჭამდა თავის ქონებას. აბა, ამისთანა ქეიფის კაცს რომ პოლიტიკური ბრალი შეჰსწამეს, რა საკვირველია, ყველას გააოცებდა.

ლავერდაკის ცოლს უნდოდა შეეტყო ქმრის დაჭერის მიზეზი, მაგრამ პრეფექტმა არ მიიღო. ერთხელ საღამოს ჟამს სახლს პოლიცია მიესია და დაუწყო ჩხრეკა ყველაფერს, რაც კი სახლში იყო. რაც ქაღალდები ნახეს, სულ მოაგროვეს, თითქო ლავერდაკი რაიმე საპოლიტიკო შეთქმაში ერიგა. ყველაზედ უფრო ბეჯითად იქცეოდა ერთი ვიღაც უცნობი კაცი, რომელიც პოლიციის კამმისარს თან მოჰყვა. ეს კაცი ლავერდაკის ცოლს უწინ არსად არ ენახა და არც იქაური იყო. ეგ იყო დანიელ მორტალი. რა ქაღალდსაც კი მიაწვდიდნენ ხოლმე, ის ამბობდა გულზედ მოსული: — „ეგ ის არ არისო, არაო".

აშკარა იყო, რომ მორტალმა ვერ იპოვა, რის პოვასაც უნდოდა. როცა პოლიცია და მორტალი წავიდნენ, უმცროსმა შვილმა, ექვსის წლის ჟორჟმა მიუტანა დედას წითელი ჩანთა, რომელიც მის მამას, ლავერდაკს ყოველთვის თან დაჰქონდა.

— აი, დედი, — უთხრა შვილმა ლავერდაკის ცოლს. — იქნება ამას ეძებდნენ. ქაღალდებს რომ აქოთებდნენ, მაშინ ძირს ჩამოვარდა და მე ავიღე, სწორედ იმ ჯავრიან კაცის ფეხებ წინ ეგდო.

ლავერდაკის ცოლმა გახსნა ჩანთა და ნახა რაღაც ბარათები ქმართან მოწერილი; ყველა ბარათი იცნო, ხოლო ერთი, ხელმოწერილი დანიელ მორტალისაგან, არ ეცნობოდა და იმ ბარათში მოხსენებული იყო რაღაც ქაღალდის თამაშის ვალი. რაღა თქმა უნდა, რომ ამ ბარათს ყურიც არ ათხოვა და უნდოდა სტოლზედ მიეგდო, მაგრამ ამ დროს რაღაც ნუსხას, ქმრის ხელით დაწერილს, თვალი მოჰკრა. საცოდავმა ქალმა ტუჩებზედ მიიკრა ძვირფასი ნაწერი ქმრისა და თითქო წმინდანის ნაწილიაო, შეინახა.

ამასობაში ლავერდაკი ციხეში ჩასვეს სხვათა აჯანყებულთა შორის, რომელთაც თოფ-იარაღისათვის ხელი წაეკლოთ, როცა ნაპოლეონის III ოინები შეეტყოთ. აქ ყველა გვარის და წოდების კაცი იყო: სოფლელები, სოფლის ნაცვლები, ადვოკატე-

ბი, ნოტარიუსები და რედაქტორები გაზეთებისა. ამ სხვადასხვა ჯურის კაცთა შორის ლავერდაკმა დაინახა ერთი კაცი, რომელსაც დიდს და გულითადს პატივსა ჰსცემდნენ. ის კაცი ექიმი იყო, ერთი იმ მკურნალთაგანი ღარიბთათვის, რომელთ ცოდნა და ხელოვნება ყოველთვის მზათ არის უბედურთა სამსახურისათვის. მას ერქვა პასკალ არტესი. მთელი სიცოცხლე ამ კაცისა იმისთანა კაი კაცობაში და თავგაწირვაში იყო გავლილი, რომ თვითონ მტერიც კი პატივსა ჰსცემდა.

ჯერ კიდევ ოცის წლისა იყო, როცა მოშორდა თავის დედამამას და წავიდა პარიჟში. იყო მდიდარი, ლამაზი; გძელი თმა უმშვენებდა ჭკვიანურს და გამბედავს სახეს, შემკულს მშვენიერის და ბრწყინავის თვალებითა. მას შეეძლო და შეეფერებოდა კიდეც, რომ პარიჟში მარტო ქეიფი ეწია. როგორც სხვა მდიდარის კაცის შვილებს, მაგრამ ამან უარჰყო ამისთანა უკადრისი ცხოვრება. როცა ახალგაზდობა წაიტყუებდა და ლხინში სადმე დაესწრობოდა, მაშინაც კი ტანჯულების და ჩაგრულების ნაღველი მოაწვებოდა ხოლმე გულზედ და ამ ტანჯულთა და ჩაგრულთა შეჰსწირა კიდეც ყველაფერი, რაც ჰქონდა: თავისი ყმაწვილკაცობა და სიმდიდრე, კაი კაცობას შეჰსწირა თავისი სიცოცხლე სიხარულით, ღიმილით; ჩუმად იყო, არა ყვიროდა, რომ აი, რა კაცი ვარო და ყოველს ჭირში თავის ამხანაგებთან ერთად ჩაებმოდა ხოლმე უღელში და რაც შეეძლო, მხარს აძლევდა.

ციხეში დამწყვდეული იგი ჰსწუხდა თავის თავისთვის კი არა, თავის საწყალ ავათმყოფებისათვის. თუმცა ამისი სახელი მაშინ გათქმული იყო, მაგრამ არ აჰყვა ქვეყნის მაცთურებას და თავი სრულებით ღარიბებისათვის გადასდო, შეიქმნა ექიმად იმ ტანჯულთათვის, რომელთაც გროში არა ჰქონდათ, რომ ეწამლათ და თავი მოერჩინათ. საკვირველის ლოლოებით და ალერსით ექცეოდა თავის ავათმყოფებს, თავის ხარჯით უყიდდა ხოლმე წამალს და როცა მადლობას უხდიდნენ, ეუბნებოდა ღიმილით:

— რას ბძანებთ! მადლობელი მე უნდა ვიყო თქვენი და არა თქვენ ჩემი. განა ვერა ხედავთ, რომ მე წამლებსა ვცდი ხოლმე,

მხოლოდ იმის მაგიერ, რომ კაცი მოეკლა, ვარჩენ ხელმე. ეს არის და სხვა არაფერი.

ციხეში ჯდომის დროს არტესი უელიდა თავის ამხანაგებს და ისე იქცეოდა, რომ ციხის ყარაულებმაც კი შეიყვარეს. ერთხელ ტუსაღები აჯანყდნენ, ცუდს პურს გვაჭმევთო. ციხის კამენდატმა უბძანა, რომ ვინც გაბედავს და პურს დაიწუნებსო, თოფით დახვრიტეთო. მაშინ არტესი წამოდგა წინ და გული მიუშვირა, მე ვიწუნებ, დამხვრიტეთო. ვერავინ ვერ გაბედა, ამისთვის დაეშავებინათ რამე და მეორეს დღეს უკეთესის პურის ძლევა დაიწყეს.

— თქვენი მადლობელნი უნდა იყვნენ, რომ პური გამოუცვალეს ტუსაღებს, — ეუბნებოდა ერთი აფიცერი მეორეს დღეს. — მარტო ერთი თქვენა ხართ, რომელსაც ჩვენი სალდათები ვერ გამოიმეტებენ და ხელს არ შეახებენ.

ლავერდაკმა დაინახა თუ არა არტესი თავისთან ახლო, ჰკითხა:

— თქვენც აქა ხართ, არტეს? თქვენც ტუსაღი ხართ?

— როცა კანონს ფეხქვეშა ჰსთელენ, მაშინ ყველანი კანონის მომხრენი დევნულ უნდა იყვნენ, — უპასუხა არტესმა. — ამას ლოღიკა ითხოვს.

— მე მეგონა, თქვენ პარიჟში ხართ.

— იქ ვიყავ, მაგრამ რაკი რესპუბლიკის დამხობის ამბავი შევიტყე, აქეთ წამოველ, რადგანაც აქ ჩემთვის უფრო ბევრი საქმე იყო. მე კანონის მოსარჩლეთა დასში ჩავდექი. ჩვენ ყუმბარებით წინ დაგვხვდნენ, ღაგვამარცხეს; მეც სხვებთან ერთად დამიჭირეს. მე დამნაშავე ვარ, რადგანაც კანონს გამოვესარჩლე და აი, ვუცდი სასჯელს, რადგანაც ჩემს მოქმედებას ავკაცობად დასახავენ გამარჯვებული ვაჟბატონები. ყველა ყველა და თქვენ როგორ მოხვდით აქ? განა ჩვენს მხარეზედ გადმოხვედით?

ლავერდაკმა უამბო ისტორია თავის უცნაურის დაჭერისა, რომლის მიზეზიც ვერას გზით ვერ გამოეცნო.

— კიდეც ამაშია ჩვენი ღონე თუ უღონობა, — დაუმატა მან. — ჩვენ, მართალია, არავისთვის საჭირონი არა ვართ, არავის უნდივართ; ჩვენ ერთი ქეიფის კაცები ვართ და დროთა ბრუნვას მხარს ვუქცევთ და არაფერში ვერევით ხოლმე, მაგრამ სინიდი-

სი კი გვაქვს და იგი გვაწუხებს ხოლმე რა არის სამუსი და რა არის უნამუსობა. მე ყოველთვის თქვენ დაგნატრიდით არტეს, და ყველგან ვამბობდი, რომ თქვენ გარდა სხვა კაცი არ მინახავს, რომელიც თავის გულახდილ, პატიოსან ცხოვრებით თქვენსავით პატივსაცემი იყოს.

— მე მარტო ჩემს მოვალეობას ვასრულებდი, — უპასუხა გულალალად არტესმა.

— კიდევ კარგია, რომ თქვენ იცით მაინც, რისთვისა ხართ დაჭერილი, — უთხრა ოხუჯობით ლავერდაკმა.

ჩააკვირდა რა თავის თავის გარემოებას, ლავერდაკს ენიშნა, რომ ამის დაჭერა მორტალის საქმე უნდა იყოს, რადგანაც ამისი დიდი ფული ემართა და ყველამ იცოდა, რომ ამ ალიანქოთში ის იყო, რაც იყო. ეს აზრი ლავერდაკმა არტესს უთხრა, მაგრამ არტესმა, თვითონ თავიდამ ფეხამდე პატიოსანმა, არ დაიჯერა, კაცს იქამდე დაემდაბლებინა თავი, რომ აქაო და ვალი მმართებსო, მოვალე ციხეში ჩავაგდოო, ეგებ ამით ვალს გადვურჩეო.

აი, ვნახავთ, — უთხრა ლავერდაკმა. — ხომ სამართალში ჩაგვაგდებენ და მაშინ ყველა გამოჩნდება; მაშინ შევიტყობთ, ჩემი ეჭვი მართალია თუ არა.

ეს ეჭვი მარტო ლავერდაკს არა ჰქონდა; ყველა ამისი ნაცნობი ამას ამბობდა, რომ მახე მორტალმა დაუგოო. ამაზედ გული უფრო მაშინ დააჯერეს, როცა შეიტყეს, რომ მორტალს ქალალდის ვალი ემართა და აქამომდე არ მოეშორებანა.

— აი, საცოდავი რისთვის დაიჭირეს, — ეუბნებოდნენ ჩურჩულით ერთმანეთს ლავერდაკის ნაცნობები და ელოდნენ, ვნახოთ, სამართალი რას იტყვისო.

მაგრამ სამართალი სად იყო? ერთს დღეს სულ ტუსაღები ბორკილშეყრილნი ორ-ორად დაამწკრიეს, ჯარი გააყოლეს და ტულონში გაგზავნეს. სხვათა შორის, არტესი და ლავერდაკიც იყო, რომელნიც ალალბედზედ ერთის ხელ-ხუნდით იყვნენ ერთმანეთზედ გადაბმულნი. წინა რიგში ესენი იდგნენ და უკან სხვა ოთხასი ტუსაღი იყო. მინამ გაგზავნიდნენ ამათ, პრეფექტმა გამოუცხადა წინამძღოლს აფიცერს, რომ თუ ვინმე გაბეღავს და

გაქცევას დააპირებსო, მაშინვე იქავ თოფით დახვრიტეო. მორტალიც მაშინ პრეფექტს გვერდით ედგა. ლავერდაკმა თვალი მოჰკრა, რომ მორტალმა აფიცერს ესა და არტესი დაანახვა.

დეკემბრის ცივი დილა იყო. თხლად და ცუდად ჩაცმულნი სიცივისაგან კანკალებდნენ საცოდავი ტუსაღება და ისე მიეღიოდნენ მობუზულები. ბევრს მოაგონდა თავისი ცოლი, შვილები, თავისი სახლი და მინდვრები და მწარე ცრემლი მოერია თვალებში. ზოგნი კი, თითქმის უსუსური ბალღები, სავ-მოწონებით და გულადად მიდიოდნენ და ხანდახან ხმამაღლაც მიიმღეროდნენ სამხიარულო სიმღერებსა. მაშინ აფიცერი მივარდებოდა ხოლმე და შეუტევდა:

— ჩუმად, თქვე ვირებო!

— აი, უბედური კაცი! — ფიქრობდა გულში არტესი. — ამასა ჰგონია, რომ თავის მოვალეობას იხდის.

შუადღისას ეს საცოდავები დაასვენეს და ნება მიჰსცეს ჰური მოეტეხნათ და იქავ წყაროზედ წყალი დაელიათ. შერე ისევ გზას გაუყენეს. როგორც წინა ვჰსთქვით, ლავერდაკი და არტესი ყველაზედ წინ მიდიოდნენ და უკანებს ამათის ლაჯისათვის უნდა შეეწონათ თავიანთი ლაჯი.

— ცივილიზაცია წინ მიდის, ძმაო არტეს, — ეუბნებოდა ხუმრობით ლავერდაკი. — ქვეყანას ახალი დრო მოსდის.

— არა უშავს რა, — უპასუხა არტესმა. — სიმართლე და ჭეშმარიტება უკვდავნი არიან.

თავ-თავქვე იყო ერთს ადგილას, ძალიან დაქანებული. არტესს და ლავერდაკს უკანიდამ რომ ხალხი მოაწვა, თავი ვერ შეიმაგრეს და გაქანდნენ.

— ეს რა ამბავია! — დაუყვირა აფიცერმა და გზა გადუჭრა: — გაქცევას აპირებთ?

— გაქცევას კი არა, — უპასუხა ლავერდაკმა. — აბა, როგორ გავიქცევით, ავაზაკებსავით ბორკილი გვიყრია.

— ღირსიცა ხართ. მაგრამ გაფთხილდით, თუ ერთი კიდევ აჩქარება შეგამცნიეთ, ბძანებას ავასრულებ და აქავ დაგხოცთ ძაღლებსავით.

— მოწყალეო ხელმწიფევ, — უთხრა არტესმა თავმომწონედ და თამამად: — ჩვენ ფეხი ავუჩქარეთ იმიტომ, რომ უკანიდამ

ხალხი გვაწვება და ამ თავთავქვეზედ თავი ვერ შევიმაგრეთ. ჩვენ ფიქრადაც არა გვაქვს გაქცევა. ჩვენ თქვენ ხელში ვართ. იმედი კი გვაქვს, რომ როცა იქნება, სამართალსა ვნახავთ. თუ გაუსამართლებლად გინდათ საქმეს ბოლო მოუღოთ, რაღას იცდით, აი, აქ არა ვართ, დაგვხვრიტეთ: ჩვენ თქვენები ვართ.

— ჰა! — დაიძახა აფიცერმა. — აბა, ერთი კიდევ დააპირეთ გაქცევა და მერე ნახავთ, რაც იქნება.

გზა უფრო და უფრო დაქანებული გამოდგა. თუმცა ძალიან ცდილობდნენ ლავერდაკი და არტესი არ აჩქარებულიყვნენ, მაგრამ იმოდენა ხალხი აწვებოდა უკანიდამ, რომ ვერას ღონისძიებით ვერ შეიმაგრეს თავი და კიდევ მაინც ფეხი აუჩქარეს და სირბილით გაქანდნენ.

— აი, დაგწყეველოთ ღმერთმა! აკი გაგაფთხილეთ! — დაუყვირა აფიცერმა, ამოიღო ბუდიდამ დამბაჩა და დაუმიზნა ლავერდაკს.

უბედურმა ლავერდაკმა უკან მოიხედა და კინაღამ შუბლი არ შეახეთქა დამბაჩის ლულას, დამბაჩა გავარდა და ლავერდაკის თავის ქალა გაიფანტა ნაჭუჭსავით. სისხლი და ტვინი ზედ შეასხა არტესს პირის სახეზედ და ტანის სამოსზედ.

საშინელი ხმა ელდისა და გააფთრებისა აღმოხდა იმდენი კაცის გულიდამ და ტუსაღები შედგნენ. პასკალ არტესი გაიმართა ტანში და გაფითრებული ამაყად უცქეროდა კაცის მკვლელს, რომლის ხელშიაც ჯერ კიდევ ჰბოლაკდა დამბაჩა. გვერდთ ეგდო წუთის სოფელ გამოსალმებული გვამი ლავერდაკისა.

არტესიც ელოდდა სიკვდილს და ზიზღით და უშიშრად შეჰყურებდა თავის ჯალათსა. ერთის მოკვლა, როგორც ეტყობოდა, საკმარისი არ იყო. აფიცერმა რისხვით გადაავლო თვალი ტუსაღებს, რომელნიცა წყევა-კრულვით ხმაურობდნენ და მკვახედ უთხრა:

— თქვენც ეგ დღე დაგადგებათ, თუ მაგ ყვირილს არ მოიშლით.

სალდათები გაფითრებული იდგნენ და თრთოდნენ სირცხვილისაგან და საწყალი ტყვეები კი, ღონემიხდილნი ციხეში ხან-

გრძლივის გდებითა, ჩაჩუმდნენ და გამწარებულნი დაჰყურებდნენ მკვდარს ლავერდაკსა.

— ჰა! — დაიძახა გამწყრალმა აფიცერმა: — წყნარად იყავით! მერე მიუბრუნდა არტეს და უთხრა: თქვენზედაც კი ასი იყო, რომ დამეცა დამბაჩა.

— რატომ არ დამეცით? — უპასუხა არტესმა და პოიწმინდა პირისახიდამ სისხლი და ზედ შენთხეული ტვინი.

— რაო? თქვენ სიტყვის შემობრუნებასაც მიპედავთ!

— დიაღ და ამასთანავე ვითხოვ, თქვენი სახელი მითხრათ, რომ მერე როცა გამანთავისუფლებენ, ის დღე დაგაყენოთ, რაც ლავერდაკს თქვენ დააყენეთ.

ისე გააფთრდა ამ სიტყვებზედ აფიცერი, რომ გაიძრო ხმალი და მიუხტა არტესს, მაგრამ ერთმა სალდათმა შეაყენა და ხმამაღლა უთხრა:

— კმარა, დალახვროს ღმერთმა! კმარა, ჩვენ მართლა და კაცისმჭამლები ხომ არა ვართ!

აფიცერმა შემოხედა სალდათს შიგ თვალებში. სალდათი არ შეკრთა. თავის ჭაღარა ულვაშს იგრეხდა და ძლივს იმაგრებდა თვალში მოგუბებულს ცრემლს.

— შენ ეი, ბერო კაცო, საცა შენი საქმე არ იყოს, ნუ ერევი ხოლმე, — ჰსთქვა აფიცერმა. — მერე მობრუნდა და უბძანა, დაიძარითო.

პასკალ არტესი ამ სახით გადარჩა, მხოლოდ სიკვდილისაგან კი. ბევრი წელიწადები გაატარა ციხეში გდებით, ხან სენ მიშელში, ხან ლამბესში და ხან კორტში. ბოლოს კი როცა გამოუშვეს და ისევ საფრანგეთში მოტრიალდა, ყველაზედ უწიწარეს ისა ჰქმნა, რომ ლავერდაკის მკვლელი დუელში გამოითხოვა.

დუელი მოუხდა ბელგიაში და არტესმა მძიმედ დასჭრა თავის მეტოქე, ასე რომ ორ წელიწადს უკან თან გადაჰყვა კიდეც თავის დაჭრილობას.

ეს ამბავი 1861 წ. იყო. ამ უკანასკნელს ათს წელიწადში მორტალმა დიდი სიმდიდრე შეიძინა. აბა, ყოველთვის გამოპრანჭული, საგანგებოდ მორთული, ვის ეგონებოდა, რომ ეს

კოხტა კაცი რიოგრანდოს ავაზაკია. ერთის სიტყვით, მორტალმა გულის წადილი აისრულა: სიმდიდრე და ძალა ხელში ჩაიგდო. მას არამც თუ თავს ევლებოდნენ, ძისი ეშინოდათ კიდეც. ამასაც მეტი არა უნდოდა რა. სრულებით ბედნიერი იქნებოდა, რომ ჰყვარებოდა იმ ქალს, რომელიც თვითონ სიყვარულით შეირთო. მორტალს ანგენის წყლებზედ შეხვდა ერთი მართლა და საოცარის მშვენიერების ქალი. აქამომდე ბევრი ცუღლუტობა გამოიარა ქალებთან, მაგრამ არც ერთი არ შეუყვარებია. ეხლა კი სწორედ ცეცხლი მოეკიდა მის გულს, რა კი ის ქალი ნახა. დაჩვეული ქალის სწრაფად მოხიბლვას, ეხლა რომ შეხვდა ქალს, რომელიც სრულებით არათანაუგრძნობდა, უფრო აპილპილდა, უფრო განუძლიერდა სიყვარული. რაც უნდა დამემართოსო, იფიქრა გულში, ის ქალი ჩემი უნდა იყვესო. ადგა და ჰსთხოვა ქალის ხელი მის ბებერს მამასა, გაღატაკებულს არისტოკრატს. კლარა, ქალს ეს სახელი ერქვა, პატარაობითვე მამის მორჩილი იყო და მთელი თავისი ყმაწვილქალობა ზედ დაასრულა, რომ ფხუკიანს და თავმოყვარეს მამას ასიამოვნოს. ამიტომაც ხმაამოუღებლივ აასრულა მამის სურვილი და შეირთო დანიელ მორტალი. ეს კი ჰქონდა ნუგეშად, რომ მინამ მამა ცოცხალი ჰყვანდა, ქმრის მეოხებით დიდკაცურად აცხოვრა თავის სახლში.

ნაზს, მოსიყვარულეს და მეტად კარგს კლარას ეგონა, რომ როცა კარგად გავიცნობ მორტალსაო, იქნება შემიყვარდესო, მაგრამ ამაოდ. ამ თოკიდამ გამოშვებულს კაცს არ მიეკარა, არა და არა, კლარას პატიოსანი გული, თუმცა, კაცმა მართალი უნდა ჰსთქვას, მორტალი ძალიან ცდილობდა, რომ კლარა მოინადიროს. კლარა თითქო სუნითა ჰგრძნობდა მორტალის ავკაცობასა და შიშით ფთხოდა და განზედ უდგებოდა. მორტალი ამ დროს პარიჟში ცხოვრებდა. ქალმა, იგრძნო რა თავის თავის სრული უბედურება, ჰსთხოვა ქმარს, როგორც მოწყალება, რომ ნება მომეციო, ჩემთვის ვიყოვო და საზოგადოებაში ნუ მაიძულებ სიარულსაო. მორტალი ჯერ დაჰყვა ნებას, მერე კი ამ ყოფამ მოთმინებიდამ გამოიყვანა. მან ძალა დაატანა კლარას, რომ ხალხში გამოვიდეს და კლარამაც დაიწყო სიარული ბალებში. კლარას სიტურფემ მოიზიდა ყველას ყურადღება და

მორტალს ეს ძალიან უხაროდა; კლარას კი აინუნშიაც არ მოსდიოდა თავისი სილამაზე და ქვეყნის ქება. თუ მეტი ვზა არ არისო, ამბობდა კლარა გულში, ისევ იმისთანა სახლში ვიყვლიო, საცა ჭკუიანს და განათლებულს ხალხს შევხვდებიო. ამისთანა სახლი გორდონის სახლი იყო, თავისის ქმრის ვექილისა. საღამოობით იქ თავს მოიყრიდნენ ხოლმე ლიტერატორები და სხვა გამოჩენილი კაცები. ამ არჩეულს საზოგადოებაში კლარა თავს გაირთობდა ხოლმე და სიამოვნებდა. თუმცა თვითონ უფრო სხვას ყურს უგდებდა ვიდრე ლაპარაკობდა, მაგრამ როცა კი იტყოდა რასმეს, ისეთს მოსწრებულს და ზედ გამოჭრილს იტყოდა, რომ ყველამ აღიარა კლარა მეუფად იმ პატარა აკადემიისა.

სხვათა შორის, კლარას ყურადღება მიიქცია იმ ერთმა ყმაწვილმა კაცმა, ქერათმიანმა, ფერმკრთალმა და სუსტის აგებულებისამ. ის ყმაწვილი კაციც კი ხშირად შემოჰსცქეროდა ხოლმე კლარას. კლარა არასდროს არ დაჰლაპარაკებია და თვითონ ისიც როგორღაც ერიდებოდა ხოლმე. კლარამ კარტო ეს იცოდა, რომ მემუსიკე იყო და კონსერვატორიაში მედალი მიელო. ერთხელ სახლის პატრონის ცოლსა ჰკითხა კლარამ ამ ყმაწვილ კაცის ვინაობა.

— რას ბძანებთ! — წამოიძახა გარდონის ცოლმა: — განა თქვენთვის არ წარმოუდგენიათ? პოლ ლავერდაკია.

მაშინვე წავიდა, რომ მოიყვანოს და წარმოუდგინოს კლარას, მაგრამ ყმაწვილ-კაცმა უარი ჰსთქვა და უთხრა:

— მომიტევეთ, ბატონო! ისეთის გვარის კაცი ვარ, რომ ჩემი გვარი მორტალების ყურისათვის ვერაფერი სასიამოვნოა.

ესა ჰსთქვა და ყმაწვილი კაცი მაშინვე ოთახიდამ გაეიდა. გორდონის ცოლმა ეს უცნაური სიტყვები გადაჰსცა კლარას. კლარას ეოცა, რადგანაც ლავერდაკის გვარი თავის დღეში არ გაეგონა. ფერმკრთალმა ყმაწვილმა კაცმა ამ სიტყვებით უფრო განუძლიერა კლარას ცნობისმოყვარეობა. აშკარა იყო, რომ აქ რაღაც საიდუმლო რამ არის, მაგრამ რა არის? კლარას მაშინვე დანიელ მორტალი გაახსენდა. უსათუოდ ჩემი ქმარი უნდა იცნობდეს ლავერდაკსა და გული აუკანკალდა, რადგანაც წინად

იგრძნო, რომ აქ რაღაც საშინელი საიდუმლო ამბავი უნდა იყოსო, რაკი ჩემი ქმარი ურევიაო.

— ლავერდაკს იცნობთ? — ჰკითხა კლარამ ქმარს, როცა შინ წამოვიდნენ ეტლითა.

— ლავერდაკს! — დაიძახა მორტალმა და სახეზედ ჯავრმა და ელდამ გაურბინა. — მაგითი მითამ რის თქმა გინდათ?

— მაგდონი არაფრისა, უპასუხა ცივად კლარამ და შეაჩერა თავისი პატიოსანი, გულამდე გამჭვრეტავი თვალები ქმრის არეულს სახეს. დღეს ჩემთვის უნდოდათ გაეცნოთ ერთი ყმაწვილი კაცი, რომელიც გვარად ლავერდაკია.

მორტალმა აჩქარებით, თითქო საოფლეშიაო, დაუწყო გამოკითხვა, რა სახისააო, რამდენის ხნისააო და სხვა ამგვარი და თან უნებურად ენაზედ მოსდიოდა:

— ლავერდაკი! ლავერდაკი!

— მაშ, თქვენ იცნობთ? — ჰკითხა მკვახედ კლარამ.

— არა, მაგრამ, იქნება, მამას კი ვიცნობდი.

— თქვენი მტერი ხომ არ იყო?

— არა.

— მეგობარი?

— მე ძალიან შორეულად ვიცნობდი.

— მაშ, შვილმა რატომ არ ინდომა ჩემი გაცნობა?

— არ ვიცი.

კლარა ეხლა კი დარწმუნდა, რომ მისი ეჭვი უსაბუთო არ არის. ცხადი იყო, რომ რაღაც მძიმე, საუბედურო ჯაჭვია გაბმული მის ქმრისა და იმ ყმაწვილ კაცის შორის. ხოლო რა ჯაჭვია? მორტალს უნდა ეშინოდეს ლავერდაკისა, თუ ლავერდაკი უნდა თაკილობდეს მორტალის წინაშე? ეს არ იცოდა და რასაკვირველია, ამას ვერც შეიტყობდა მორტალისაგან. არც იმათ ღირდა, რომ ეკითხნა: ან არას უპასუხებდა, ან არა და იცრუებდა. მაგრამ ჰგრძნობდა კი, რომ ამ საიდუმლოში დაფარულია რაღაც უბედურება, რაღაც სამარცხვინო საქმე და იქნება ავაზაკობაცა. კლარას ყოველთვის შინებია დანიელისა, ყოველთვის შინებია მისის ყოფილის ცხოვრებისა და ეხლა უფრო მეტის ელდით უყურებდა მის წარსულს, უყურებდა იმ გრძნო-

ბით, როგორც კაცი, ფრიალო კლდეზედ მდგომარე, დაჰყურებს ხოლმე უძირო სიღრმეს, ძის ფერხთა წინ პირდაღებულს. თუმცა კლარა, როგორც ყოველი ქალი, სუსტი და ნაზი იყო, მაგრამ ის მხნეობაცა ჰქონდა, რომელსაც დაუბადავს ხოლმე კაცს შეგინებული გრძნობა პატიოსნებისა. ამიტომაც გადაწყვიტა, რომ რაც უნდა დამემართოსო, თვითონ ლავერდაკს უნდა გამოვკითხო ეს საიდუმლო ამბავიო, რომელიც ძალიან აწუხებდა.

სურვილი მალე ვერ აუსრულდა, რადგანაც სამს-ოთხს კვირას ლავერდაკი აღარ მოვიდა გორდონებთან. ბოლოს კლარამ იკითხა, რა მიზეზია, რომ აღარ დადისო. გორდონის ცოლმა უთხრა სიცილით ყურში, თქვენ მოსწონხართ და გერიდებათო. ამ სიტყვებზედ თვითონ ლავერდაკმაც შემოაღო კარი, შემოვიდა და ორივე ქალს პატივისცემით თავი დაუკრა. იმავ წამს გორდონის ცოლი რაღაცისათვის გაიხმეს და კლარა გაფითრებული, აღელვებული მარტო დარჩა ყმაწვილ კაცთან.

— უკაცრაოდ არ ვიყო და ერთი მითხარით, რატომ არ გინდოდათ მე გაგეცანით? — ჰკითხა აჩქარებით და მოჭრით კლარამ.

— ბატონო....

— რატომ არ გინდოდათ? თქვენ გეთქოთ, რომ თქვენი ვვარი ვერაფრად ესიამოვნება ვითომ ჩემს ყურსა. მე ეს არ მესმის. მითამ რა გინდოდათ, ამით გეთქვათ?

— მე... არაფერი. — უპასუხა ლავერდაკმა. — გთხოვთ, მომიტევოთ.

— არა, არა, თქვენ ვერ მიმიხვდით, რისთვისაც გკითხავთ. მე საყვედურისათვის კი არ გკითხავთ და არცა მაქვს ამის უფლება. მე მარტო მინდა საქმე შევიტყო.

— საქმე შეიტყოთ? — განიმეორა ყმაწვილმა კაცმა და აირია.

— დიაღ, მინდა შევიტყო და თქვენ უნდა შემატყობინოთ. მე ჩემს ქმარსა ვკითხე, მაგრამ უარი მითხრა. მე მარტო ის ვიცი იმისაგან, რომ როდესღაც მამათქვენს იცნობდა ჯურმე. თუ ამ საქმის გახსენება თქვენთვის სამძიმოა, ნურას მეტყვით და მომიტევეთ ჩემი კადნიერება. ხოლო თუ მარტო ჩემი საწყენია,

გევედრებით, ყველაფერი სისწორით მიამბოთ. ლავერდაკის გვარი საწყენი რად უნდა იყოს მორტალების ყურთათვის?

პოლ ლავერდაკი გაფითრებული იდგა ქალის წინ, ტუჩები უთრთოდნენ და ძლივს დამორჩილებული ჯავრი გამოჰკრთა მის ცეცხლსავით ანთებულს თვალში. პასუხი არ გაჰსცა როგორც კაცმა, რომელიც ფთხილობს, სიტყვა პირიდამ არ ამომივიდესო, რადგანაც ის სიტყვა გულს შუაზედ გაუპობსო.

— მორტალი იცნობდა მამათქვენს? — ჰკითხა კლარამ.

— თვითონ ხომ გითხრათ? — ჰკითხა თავის რიგზედ ლავერდაკმა.

— დიაღ.

— ისიც გიამბოთ, როგორის სიკვდილით გადაცვალა მამაჩემი?

— არც კი უთქვამს, რომ მამათქვენი გარდაცვალებულია.

— მაშ, თქვენ არა იცით რა?

— არაფერი, სრულებით არაფერი! — დაიძახა კლარამ. — მაგრამ მინდა კი, რომ ყველაფერი ვიცოდე. აქ რაღაც საზარელი საიდუმლოა... გემუდარებით, ნურას დამიმალავთ, ყველაფერი მიამბეთ!

ამ სიტყვებში იმოდენა მწუხარება და გულისტკივილი იყო, რომ ლავერდაკს ქალი შეებრალა. გორდონის ცოლმა მართალი ჰსთქვა. ლავერდაკი ნახვისვე უმალ მიიზიდა კლარამ, თუმცა მისმა გვარის ხსენებამ კვლავ განუღვიძა ფარული მტრობა მორტალისა, რომელიც პატარაობიდანვე ისე მიაჩნდა, როგორც მამის მკვლელი. ბევრჯელ გაეგო, რომ ქაღალდის ვალი დარჩა მორტალზედ; რომ მორტალმა ის ვალი იმით მოიშორა, რომ უბრალო კაცი გარია საპოლიტიკო დანაშაულობაში და ძალად მოაკვლევინა. რამდენჯერ უნახავს მამის წითელი ჩანთა და შიგ მორტალის ბარათი, რომელიც კარგად გამოადგებოდა, თუ ჯავრის ამოყრას მოიწადინებდა. ბევრჯერ უხვეწნია საყვარელს დედას, თავი დაანებეო, ჯავრის ამოყრას ნუ ინდომებო, დეე, გამარჯვებულმა ავაზაკმა იფარფაროსო; შენ კი მარტო შენს თავს მიაქციე ყურადღებაო და ეცადე პატიოსან კაცად ყოფნასაო. თუმცა გულსა ჰსწვავდა ბოროტი, რომელსაც დედის მუდარების გამო, ეგრე დაუსჯელად უნდა ეფარფარნა, მაგრამ მაინც დედას

ხათრი აღარ გაუტეხა და მორტალი მიანება თავის ბედისწერას. ხოლო როცა მორტალის ცოლს, კლარას, შეხვდა, კვლავ აუფართხალდა გულში დაუძინებელი მტრობა მამის მკვლელის მიმართ. გარნა ეს მტრობა არ გადადიოდა ცოლზეც? როცა ყმაწვილი კაცი დააკვირდებოდა ხოლმე კლარას პატიოსანს და კეთილშობილებით სავსეს სახეს, ჰგრძნობდა, რომ კლარა მონაწილე კი არ იყო ქმრისა, არამედ გაუბედურებული და წამებულია მის ხელში და ყმაწვილ-კაცს უნებლიედ გული შეჰსტკიოდა ამ ქალისათვის. ჯერ მართალ სიყვარულამდე ლავერდაკის გული შორს იყო, მაგრამ ის გულის ღელვა, რომელსაც ლავერდაკი ჰგრძნობდა, სათავეა, საიდამაც სიყვარული იბადება ხოლმე. ტრფიალების პირველ ხანში კაცს მოწონებულ ქალთან მარტო დაახლოვება უნდა და არა მისი დაკუთვნება; ამ ხანში სურვილი წმინდაა და შეუგინებელი. ჯერ წარმოსდგება ხოლმე გამოუცნობელი შემსჭვალულობა ორთა სულთა შორის და მერე გადიქცევა ხოლმე ცეცხლმოკიდებულ ტრფიალებად.

ლავერდაკი, ხედავდა რა გულაღელვებულს ქალს, რომელიც ემუდარებოდა, ეხვეწებოდა მართლის თქმას, ჰფიქრობდა, მოდი და ვუამბობო მამის ჩემის სიკვდილის ამბავსაო, მაგრამ ქალი შეეცოდა, გულს გაუხეთქს ეს ამბავიო და ამის მაგიერ ეს უთხრა:

— მგონია, მორტალს მამიჩემის ვალი ჰმართებია.

— ვალიო!

— დიაღ, ქაღალდებში რაღაც ბარათი ვიპოვე... მაგრამ არაფერი მნიშვნელობა კი არა აქვს.

ეს სიტყვები განგებ სიცილითა ჰსთქვა, თითქო არაფერიაო, მაგრამ კლარა კი მიუხვდა, რომ ლავერდაკი რაღაცაც ერიდება.

— ეგ უსათუოდ საიდუმლო რამ უნდა იყოს და საზარელი საიდუმლოცა იმიტომ, რომ თქვენ გეძნელებათ თქმა! წარმოჰსთქვა კლარამ და გულში ელდამ გაურბინა;

ერთი იფიქრეთ, თუ მანდ სამარცხვინოა რამე, ეგ სირცხვილი მეც შემეხება. მეც მორტალის გვარს ვატარებ! მე მინდა გულდაჯერებული ვიყო, გესმით, გულდაჯერებული, რომ ეგ გვარი უჩირქოა და ჩემთვის სათაკილო არ არის.

— ბატონო!...

— გიკვირთ ჩემი ეს კადნიერება განა? მართალი ხართ. მე პირველად გელაპარაკებით და გაგანდეთ კი ჩემი ფარული, შემაწუხებელი ფიქრები. მე როგორღაც აზრად მომდის, რომ თქვენ რაღაც საშინელი საიდუმლო იცით და გთხოვთ, მიამბოთ.

ლავერდაკმა არ იცოდა, რა ექმნა. მას შეეძლო, მას უნდა ეთქვა ყველაფერი, რადგანაც ამით შეატყობინებდა ქმრის ავკაცობასა და იქნება იმის ხელიდამ ამით დაესხნა კიდეც ეს პატიოსანი ქალი. მაგრამ შიშობდა, ვაი თუ ამით თაკზარი დავცეო ამ უბედურს და არა-რაის ეჭვის მქონებელს ქალსაო. ამის გამო ხელახლად იტყუვა, ანუ უკეთ ვჰსთქვათ, დამალა ნახევარი და უთხრა:

— მორტალს მამიჩემისა ემართა და არ დაუბრუნა. ამის მეტი მათ შორის არა ყოფილა რა. ამის მეტი მეც არა ვიცი რა.

— მეტი არაფერი, მართლა? აბა ერთი ის ბარათი მიჩვენეთ, რომელიც ქაღალდებში გიპოვნიათ.

— განა ისე კი არ მიჯერებთ?

— თუ ეგ ბარათი მართლა არის, მორტალი ეხლავე უნდა გაგისწორდეთ.

— ეგ იმისთანა ვალია, რომელსაც კანონი არ შეიწყნარებს.

— ქაღალდის თამაშობისა ხომ არ არის.

ყმაწვილი კაცი გაუჩუმდა და არა უთხრა რა. რაცა ჰსთქვა, მისის აზრით, ისიც მეტი იყო. კლარამ პირდაპირ თვალებში შეხედა და გულგრილად უთხრა:

— თუ არა ვცდები, მაგისთანა ვალი სინიდისის ვალია. უმორჩილესად გთხოვთ, მოწყალეო ხელმწიფევ, ის ბარათი მე მიბოძოთ; მე თვითონ წარვადგენ საზღვეინებლად. მე მინდა, მორტალის მოვალედ შევიქმნე.

— რაო? ჩემს მოვალედ? — იკითხა გაბოროტების ღიმილით მორტალმა, რომელიც უეცრათ ორივეს თავს წამოადგა.

ლავერდაკმა სწრაფად მოიხედა, იცნო მორტალი და გაფითრდა, გული აუტოკდა და ჯავრის ამოყრის წყურვილმა მთლად შეიპყრა. რა გამწარებულის სიხარულით თხლაშანს გაადენდა მამის მკვლელს, მაგრამ მის წინ იდგა ნაზი და მშვენი-

ერი ქალი და ამას მოერიდა. მორტალსაც კი ენიშნა, რომ მის წინ პოლ ლავერდაკია. ისეთის თვალით შეხედა, თითქო შინადირემ ნიშანში ამოიღო ნადირაო. ერას წამშივე მოისაზრა ამისთანა მტრისაგან რას უნდა გამოელოდდეს და ისეთნაირად აიჭიმა ტუჩები, რომ თითქო აინუნშიაც არ მოუვიდაო ამისთანა სუსტი მტერიო. რაც შეეხება კლარას, იგი გაშტერებული, ხმაგაკმენდილი, გაფითრებული შეჰყურებდა ორიკეს და იცდიდა, ვნახოთ, რით გათავდებაო.

— თქვენი აკადემია თქვენ გელოდებათ, — უთხრა ცოლს მორტალმა და მკლავი მიაწოდა, მერე მოუბრუნდა ლავერდაკს და დაცინვითაც და თავაზიანადაც უთხრა: უკაცრაოდ, მიწყალეთ ხელმწიფევ, რომ ჩემი ცოლი მევე მიმყავს.

მორტალი მკლავი-მკლავ გაყრილი გამოვიდა და ვამოიყვანა ცოლი გაფითრებული და გაშტერებული, თითქო მკვდარიაო. ჯერ კარის დირეს იქით ფეხიც არ გადაედგათ, რომ მორტალმა ბძანების ხმით უთხრა ცოლს:

— შინ წავიდეთ!

კლარა არ ეურჩა. ეტლში ჩასხდნენ. მთელს გზაზედ მორტალს ხმა არ ამოუღია. შინ რომ მივიდა, ხმაამოუღებლივ მივიდა, ცოლს ხელზედ აკოცა და თავის ოთახში შევიდა. საცოღავს ქალს ცივმა ოფლმა დაასხა, რა ნახა თავის ქმრის ასეთი ყინულსავით ცივი გულდინჯობა და მთელი ღამე ძილი არ მოჰკარებია არეულ ფიქრებისა და ელდის გამო. ყველაზედ მეტს ის აწუხებდა, რომ ლავერდაკმა ყველაფერი მითხრა, თუ რაც უფრო სამძიმოა, ის დამალაო. რაც უნდა მომივიდესო, ყველაფერი მორტალს უნდა გამოვათქმევინოო.

მეორე დილას თვალი გაახილა თუ არა, მორტალი შევიდა ცოლის საწოლში და იმავე ცივის თავაზიანობის კილოთი, როგორც გუშინ, ჰსთხოვა ცოლს, ერთი ძალიან საჭირო ბარათი უნდა დამიწეროო და მიაწოდა სტოლიდამ საწერ-კალამი და ქაღალდი.

— უკაცრაოდ კი, რომ ძილი დაგიფთხეთ და გთხოვთ, თქვენის ლამაზის ხელით ორიოდე კალამი მოუსვათ.

— რის დაწერა გინდათ?

— ყველაფერს მოგახსენებთ. როგორც თქვენ, ისე მეც მინდა ლავერდაკის ნახვა, მაგრამ ჩემს სიტყვაზედ არ მოვა, თქვენ კი რომ მისწეროთ, მაშინათვე მოფრინდება. ხომ გესმით?

— მესმის და მაინც არაფერს მივწერ. მე თითქმის არც კი ვიცნობ ლავერდაკსა. მე ვგრძნობ, რომ აქ რაღაც მახეა გაბმული, რაღაც მანქანებაა.

— საშიში ნურა გგონიათ რა. ეგრე აჩქარებული ნუ ხართ. მე გეუბნებით, რომ ლავერდაკთან საქმე მაქვს. ცოტა რამ სამდურავი გვქონდა ერთმანეთში მე და ლავერდაკის მამას და იმ სამდურავის გამო ის ყმაწვილი მერიდება. რომ გიამბოთ ეს, შორს წავა. ეხლა შერიგება მინდა და საჭიროა შუაკაცი. შუაკაცად კიდევ თქვენ უნდა გაგვიხდეთ, ჩემო კარეო კლარავ! აიღეთ კალამი და დასწერეთ.

— კარგი, — უთხრა კლარამ. — აბა რა დავწერო?

— აი ეს დასწერეთ: „მე მსურს, მოწყალეო ხელმწიფევ, — ეუბნებოდა დანიელ. — ის ბარათი ვნახო, რომლითაც მორტალს ლავერდაკის ვალი ჰმართებს. აქ რაღაც საიდუმლოა და მე მინდა, მისი შეტყობა. ოღონდ დამინიშნეთ ადგილი და დრო და თვითონ მე მოვალ“.

— თქვენ საიდამ იცით, რომ ლავერდაკს ეგ ბარათი აქვს?

— მე გუშინ ყურს გიგდებდით, როცა თქვენ ლაპარაკობდით, — უპასუხა ღიმილით მორტალმა და ხელი მოჰკიდა საცოდავის ქალის თითქმის გაყინულს ხელსა. — აბა, ეხლა თქვენი სახელი მოაწერეთ, კლარავ.

ქალი დაიძრა, უნდოდა წამომდგარიყო, მაგრამ მორტალი ბრიყვულად მოექცა და ძალად მოაწერინა სახელი.

— მაშ, მართალი ყოფილა! — წარმოჰსთქვა გულცაფეთებით კლარამ და გაოცებით შეხედა ქმარსა, რომელიც ბარათს არხეინად ჰკეცავდა. — მაგ ბარათს ლავერდაკს გაუგზავნით?

ამ დრომდე კლარას ეგონა, რომ ქმარი ხუმრობსო და ჩემი გამოცდა უნდაო, ამიტომაც დაუჯერა და დაწერა იმ აზრით კი, რომ თუ გაჭირდა, ბარათს არ დავანებებო და სხვა არა იყოს რა, კბილით გავგლეჯო.

— აბა, ეხლა ადრესი დააწერეთ! — უთხრა მორტალმა ბძანებლობითა.

— არასდროს!

— თქვენი ნებაა.

თვითონ დააწერა: უფალს ლაკერდაკს, ტოტკილის ქუჩა, № 20. თავაზით დაუკრა თავი და დაცინვით ჰსთქვა:

— აი, მზათაც არის, ჩემო კარგო კლარაჯ. თქვენ იქნება დავიწყებული გაქვთ, რომ დღეს 31 დეკემბერია. მე გთხოვთ, ნურც დღეს და ნურც ხვალ ნურაფას ნუ მიიღებთ. თქვენ აქ დარჩებით და რაც საჭიროა, აქ მოგართმევენ. ახალი რომანები ხომ არ გინდათ, რომ თავი გაართვათ? იმედი მაქვს, არსად წაბძანდებით. ესეც კია, — უთხრა მკვახედ ბოლოს, — რომ გინდოდეთ კიდეც, სახლიდამ გარედ არავინ არ გაგიშვებს, ბძანება მიმიცია.

მორტალი გავიდა. კლარა მარტო დარჩა ოთახში და მისი ყოფა საშინელი ყოფა იყო. იგრძნო, რომ მახეში გაება. იგრძნო, რომ მორტალმა გულში რაღაც განიზრახა. აშკარად ხედავდა, რომ ყოველივე წინააღმდეგობა და ხელის შეშლა ეხლა ამაოა. ეს ბოროტი კაცი აისრულებს მას, რაც განიზრახა. მაგრამ რა განიზრახა? ჰგრძნობდა, რომ ამისთანა კაცი ერთს საზარელს რასმეს მოახდენს და ელდამ შეუკუმშა გული. ერთი ეს ნუგეშად ჰქონდა, რომ ლავერდაკს გაუკვირდებაო ეს ბარათი, ვერ გაიგებს, რა ამბავიაო, მომთხოვსო, ამიხსენი, ეს რას ნიშნავსო და პასუხი რომ არ მიუვა ჩემგანაო, იფიქრებს, უსათუოდ ჩემი გაბრიყვება უნდოდა ვისმეო და ამ ბარათს დავიწყებას მიჰსცემს. აბა, როგორ დაიჯერებსო, რომ პატიოსანი ქალი მარტო უბრალო ცნობისმოყვარეობის გამო ყმაწვილ კაცთან აპირებდეს მისვლასაო, სხვას ამის მეტს გულშიაც ხომ არას გაიტარებსო, იმოდენად როგორ გაკადნიერდებაო. ამრიგად დარწმუნებული იყო, რომ ლავერდაკი ბარათს ყურსაც არ ათხოვებს.

მართლადაც, მიუვიდა ბარათი თუ არა ლავერდაკს, მეტად გაუკვირდა. რაღა თქმა უნდა, ფიქრადაც არ მოსვლია ის, რაც ამ შემთხვევაში მოუვიდოდა სხვას უიმისოს. ის მიხვდა, რომ საცოდავი კლარა უბედური ქალია; რომ გულს უღრღნის ქმრის ამბების შეტყობის სურვილი. რა თქმა უნდა, რომ იამა. მარტოდ ვნახავ კლარასაო, მარტოდ ველაპარაკებიო. ამას გარდა,

შემთხვევა ეძლეოდა, რომ თავის დაუძინებელს მტერს, თავის მამის მკვლელს ყველაფერი შხამად ამოადინოს. რაკი ყველაფერს გაუმჟღავნებდა კლარას, ერთბამად მოუწამლავდა სიცოცხლეს ბედნიერს ქმარს და სულდაბალს მამისმკვლელსა.

— ჰო, ჰო, — სთქვა თავისთავად ლავერდაკმა. — დავუნიშნავ დროს და ადგილს და იმ ქალს ვინახულებ. მე ვაჩვენებ ბარათსა, რომელშიაც ის ავაზაკი აღიარებს ვალს, ეგრე ურცხვად გადახდილს. მე მორტალის ჯავრს ამოვიყრი ისე, რომ არც კი ზმანებოდეს.

დიდის თავაზით მოჰსწერა კლარას: „მე ლოდანს დაგიწყებთ ერთის ჩემის მეგობრის სახლშია; ჩემი მეგობარი თვითონ რომში წავიდაო და სახლი მე ჩამაბარაო“, და ბოლოს დააწერა, რომ ის სახლი ბოჟონშიაო და იმით არის შესანიშნავიო, რომ წითლად შეღებილი გალავანი არტყიაო.

ეს პასუხი რომ მიიღო, დანიელ მორტალმა თავის ცოლს წაუკითხა და რადგანაც კლარას დიდხანს დამწყვდეულს ვერ შეინახავდა, ჰსთხოვა, რომ მიჰსწერეო და ხვალ საღამოზედ დაუნიშნე დროო. კლარამ ეხლა კი გადაწყვეტილი უარი უთხრა, თუმცა მორტალი არწმუნებდა, რომ ლავერდაკს არა დაუშავდებაო რაო, მე მარტო ვალი მინდა დავუბრუნოვო, რადგანაც დიდი ხანია სინიდისს მიმძიმებსო. ხოლო, რაკი ნახა, რომ ცოლი ძალიან მაგარზედ დგას, გულზედ მოვიდა და კინაღამ მოთმინებიდამ არ გამოვიდა, მაგრამ თავი დაიჭირა და იმავე გულსაკლავის გულგრილობით აკოცა ხელზედ ცოლს, ჰსთქვა: „შენი ნებააო“, და გავიდა ოთახიდამ.

მაშინვე გაუგზავნა კაცი ლავერდაკს და სიტყვით შეუთვალა, რომ თქვენი ნაცნობი ქალი დანიშნულს ადგილას მოვაო ხვალ, პირველს იანვარს, ღამის თერთმეტს საათზედაო.

ის ღამე კლარამ დიდის მწუხარებით გაატარა. ისე მოეშალა ძარღვები და ავად გახდა, რომ თვითონ მორტალიც კი შეშინდა. მორტალს მაინც კიდევ უწინდელებრ აღტაცებით უყვარდა და სწორედ იმისთანა გულქვა უნდა ყოფილიყო კაცი, რომ ეგრე გამოემეტნა და ეწვალებინა ცოლი, როგორც მორტალმა აწამა იმ დღეს. ბოლოს კლარა ისევ კარგად შეიქმნა და მორტალს გულზედ მოეშვა. კლარას კარგად დაეძინა და მეორეს დღეს

სულ ჯანმრთელად გაიღვიძა, თუმცა თავი კი მძიმედ ჰქონდა. სადილობამდე ქმარი არ უნახავს; იჯდა ბუხრის წინ და ფიქრობდა, როგორ გაიპაროს შინიდამ, რომ ლავერდაკი ნახოს და გააფთხილოს. ბოლოს მორტალიც შემოვიდა, ძვირფასი საჩუქარი საახალწლოდ მოართვა და თავაზით უთხრა:

— მომილოცავს ახალი წელიწადი, ჩემო კლარავ! დღეს როგორა ხარ?

პასუხის მაგივრად, კლარა წამოდგა, გაიმართა ტანში და მწყრალად ჰკითხა:

— მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ პასუხი გაგიგზავნიათ ლავერდაკისათვის. დღეს მიდიხართ იმის სანახავად?

— დაგვიანება აღარ შეიძლება, — უპასუხა მორტალმა; — მაგრამ ნუ გეშინიან, არც ლავერდაკს დაუშავდება რამე და არც მე.

სიტყვის გაგძელება აღარ უნდოდა მორტალს, თავი დაანება ცოლს და გამოვიდა ოთახიდამ. კლარას უწინდელზედ უფრო მეტად მოუკვდა გული. იქამდი გაშფოთდა მწუხარებისაკან, რომ ყველაფრისათვის თავი გამოიმეტა. დაარიგა თავისი გოგო, რომ ცოტა ხანს გაეტყუებინა საითმე კარის მცველი, თვითონ ხელდახელ გადიცვა წამოსასხამი, გაიპარა სახლიდამ და გავიდა ქუჩაზედ. კინაღამ საცოდავს დამბლა არ მოუვიდა, რომ მარტო ნახა თავისი თავი ქუჩაში ბნელა ღამეში. მაგრამ ღონე მოიკრიბა და გასწია ალალბედზედ, რადგანაც არ იცოდა, ბოჟონის უბანი საით იყო. ამ საზით თვითონაც არ იცოდა, როგორ და რა გზით მივიდა ელისეის მინდვრებზედ. საოცარი ეს იყო, რომ რამოდენადაც შორს მიდიოდა, იმოდენად უფრო უწყნარდებოდა გული. ბოლოს ყოველივე შიში გადუვარდა გულიდამ და ეხლა თუ ეშინოდა რისამე, მარტო იმისი ეშინოდა, ქმარს არ შევხვდე ლავერდაკის მაგიერო. ლავერდაკის ნახვას კი სულით და გულით ნდომულობდა.

— ახ, ნეტავი შემხვდეს ვინმეო, გავაქციო იმ უპედურის საშველადაო, ამბობდა გულში და მოუსვენარის თვალით აქეთ-იქით ეძებდა, იქნება ერთი კეთილი კაცი გამომიჩნდესო, რომ მიშველოსო და ვისხნა ის საწყალი ყმაწვილი კაცი ფათერაკისაგან და ვინ იცის, იქნება სიკვდილისაგანაცაო.

სწორედ ამ დროს ნოელ რამბერი შეხვდა.

რასაც შიშობდა საცოდავი ქალი, სწორედ ის მოხდა. დანიელ მორტალმა ჩაიდო ჯიბეში დაბმაჩა და გასწია ბოჟონს. დანიშნულს საათზედ ლავერდაკმა კარი გაუღო და დაინახა თუ არა დანიელი, ფერი ეცვალა.

— თქვენ, მგონია, მე არ მელოდით! — უთხრა დანიელმა.

— სრულებით არა, — უპასუხა ლავერდაკმა და გონზედ მოვიდა მის შემდეგ, რომ გულში ერთ წამად გაურბინა, ნუთუ კლარამ ეს მახე დამიგოო.

— მოწყალეო ხელმწიფევ, — უთხრა მკვახედ მორტალმა, როცა ყმაწვილმა კაცმა შეიყვანა ერთ პატარა ოთახში. — თქვენ ერთი ბარათი გაქვთ, რომელიც მე არ მინდა, რომ სხვის ჯიბეში იყოს. ჩემს ხელნაწერებს მე თვითონ კინახავ ხოლმე. მე ძალიან მადლობელი ვიქნები, რომ დამიბრუნოთ.

— ნუთუ თქვენმა მეუღლემ თქვენ გამოგგზავნათ აქ თავის მაგიერ? — უპასუხა ლავერდაკმა, გულთხელი დაიკრიფა და რაღაცას მიეყუდა.

— ჩემი მეუღლე აქ არაფერს შუაშია. თუ თქვენ ბადეს მოხვდით, დამიჯერეთ, ეგ მარტო ჩემი უნარია. ეხლა ჩვენ მარტონი ვართ, ერთმანეთს გულდაგულ უღგევართ და მე ვითხოვ, მომცეთ ის, რაც მე მეკუთვნის.

— უკაცრაოდ, ეგ ბარათი ჩემს ოჯახს ეკუთვნის და არა თქვენ და მგონია, ძვირადაცა გაქვთ გასაღებული. მერე ვინ გითხრათ, რომ მე მაქვს?

— მე დარწმუნებული ვარ, რომ ეხლაც თანა გაქვთ. თქვენ დაპირებული ხართ, რომ თან მოიტანდით და რაღვანაც პატიოსანი კაცი ხართ, სიტყვას არ გასტეხდით.

— მადლობელი ვარ კარვის სიტყვისათვის, მაგრამ მაგისთანაები ვერაფრად უხდება თქვენისთანა კაცსა.

ეს რომ უთხრა, ლავერდაკმა უნებლიედ გადახედა ანდალუზურს სატევარს, რომელიც სტოლზედ იყო. მორტალმა ამ ამბავს თვალი მოჰკრა და როგორც კარგმა მოჭიდავემ, ჩუმ-ჩუმად ჩაიცინა.

— ხელმეორედ გეუბნებით, ჩემთვის ძალიან საჭიროა ბა-

რათი, რომელიც ეხლა ჯიბეში უნდა გქონდეთ! — უთხრა მორტალმა წყრომით და ხმა აიმაღლა.

— მეც ხელმეორედ გეუბნებით, რომ თავის დღეში ვერ მიიღებთ! — უთხრა ლავერდაკმა მისებრ ხმამაღლა: — ოქვენ ხომ უიარაღოდ არ მოხვიდოდით და აი, მომკალით. თქვენი შესაფერი საქმე და თქვენი ხელობა ეგ არის.

— უბედურო! — დაიძახა მორტალმა და ფერი ეცვალა.

— განა მე ყველაფერი არ კიცი! — განაგრძო ლავერდაკმა. — განა თქვენს უნამუსო სახეზედ არ შემიძლიან დავაწერო: კაცის მკვლელია-მეთქი!

— მაგისთანაები აქ უადგილოა, — წარმოჰსთქვა მორტალმა. — მე მინდა, ეგ ბარათი ხელში ჩავიგდო და თქვენ მომცემთ კიდეც.

ლავერდაკმა თვალი თვალში გაუყარა, გული მოიცა, კინაღამ სატევარსაც ხელი არ წაავლო და ხმამაღლა შეჰყვირა:

— არასდროს! არასდროს!

სწორედ ამ წუთში რამბერმა თვალი მოჰკრა, რომ შავწვერიანმა კაცმა სწრაფად წამოავლო ხელი სატევარს და როცა პატიოსანმა მუშამ შეამტვრია ფანჯარა და ჩახტა ოთახში, ყმაწვილი კაცი თითქმის მოკლული იყო კიდეც.

III

მეორეს დღეს დაჭერის შემდეგ გამოიღვიძა ნოელ რამბერმა და ელდაცემულმა ჰკითხა თავის თავს, ამ ბნელს ჯურღმულში რამ ჩამაგდოო. მალე ვერ მოიკრიფა აქოთებული აზრები. გუშინდელი უბედური დღე რაღაც უცნაურ სიზმრად მოეჩვენა. ბოლოს როგორც იყო ყოველივე ამბავი, ცალკე და ბუნდად დახსომილი, ერთად წარმოუდგა თვალწინ; გონებაში აღიდგინა თითო საათობით მწუხარების დღე ახალის წლისა და შეშინდა ყოფილისაგან: „ვაიმე, ღმერთო!“ იფიქრა გულში; ნუთუ ეს სულთამხუთავი დღესაც არ მომეცლებაო“.

უნებლიედ ფეხზედ წამოდგა და დაიხედა თავის თავზედ; მისი ღარიბი ტანისამოსი სულ ამოწუნწული იყო ლაფში, თითქო წუმპეში ჰსძინებიაო.

— კარგ რასმეს კი ვგეევარ! — ჰსთქვა თავისთავად — ეს კიდევ არაფერი, ღონდ მალე მკითხონ და დამითხოვონ, რომ ჩემს ჟაკს მივხედო.

თითქო ვიღაცამ ყური მოჰკრა ამის სურვილსაო, იმავ წამს კარი გაელო და ხელახლად წაიყვანეს პოლიციის კამმისართან, რომელიც ისეთის თვალით დახვდა, თითქო ამის დანახვა ეზიზღაო. ნოელ რამბერს, ფერწასულს, დაქანცულს, გატანჯულს ტუჩები გალურჯებოდა, დაუვარცხნელი თმა აბურძგნული ჰქონდა და მოუპარსავი პირი კიდევ ისეთს ჭუჭყიანს ფერსა ჰსდებდა მის გაჭნაკებულს სახესა, რომ თვალად ძალიან ცუდი სანახავი იყო. ამისთანა კაცს, რომლის სახეზედაც ძლიერი და ხშირად მიმზიდველი ბეჭედი მწუხარებისა წაშლილ იყო რაღაც მხეცურის უგრძნობლობითა, ყოველი ნაფიცი მსაჯული ავაზაკად მიიღებდა. ამრიგადვე თჳითონ პოლიციის კამმისარიც დარწმუნებული იყო, რომ კაცი — მის წინაშე მდგომარე, კაცის მკვლელი ავაზაკია, გვემული სულისა და ხორცის ქენჯნისაგან. კამმისარმა თითქმის დაცინებით ჰკითხა: „უწინდელებრ კიდევ არა ტყდებიო?“ ნოელმა კითხვითვე გაჰსცა პასუხი, ახლა როდემდი უნდა ტყუილუბრალოდ კაცისმკვლელობა მაბრალოთ, და მოუყვა ხელახლად მბობას ყოველ იმისას, რაც გუშინ მოხდა. ცდილობდა, ყოველივე მოეგონა და არაფერი არ გამოჰპარვოდა. პოლიციის კამმისარი ყურს უგდებდა, მაგრამ ცხადი იყო, რომ არაფერს უჯერებდა და დრო-გამოშვებით დაცინებით ეტყოდა ხოლმე:

— დიაღ, დიაღ,... ეგრეა... მერე!

როცა ნოელმა გაათავა, კამმისარმა მძიმედ ამოიოხრა, თითქო ამის თქმა უნდაო: „ღმერთო! რამდენი ფლიდი კაცია ქვეყანაზედ!“ და უბძანა, ისევ ციხეში წაეყვანათ.

— მაინც მიჭერთ? — ჰკითხა რამბერმა.

— დიაღ, გიჭერთ, რომ კაი-კაცობისათვის ჯილდო მოგცეთ, — უთხრა გულზედ მოსულმა კამმისარმა.

რამბერი ისევ საპყრობილეში წაიყვანეს. ბოლოს, რამდენსამე ხანს შემდეგ, სხვა ტუსაღებთან ერთად ჩასვეს დახურულს ეტლში და გადიყვანეს კონსერჟიერის ციხეში. თუმცა ეტლამდი

ათის ფეხის გადადგმა იყო, მაგრამ ეგ დიდ მანძილად ეჩვენა რამბერს. ხალხი ბლომად იღვა გარშემო და იმ უბედურ ტუსაღებზედ ზოგი იცინოდა ბრიყვულად, როგორც ძოგეხსენებათ მოცლილ ხალხის ამბავი, და ზოგი ავის სიტყვითაც იხსენებდა. ნოელი ჰგრძნობდა, რომ სახე უწითლდება სირცხვილით და ისე ეგონა, რომ მის სახელს ხალხი ლანძღვითა და ქოქით ახსენებდა. მაგრამ ეგ მარტო გონებაარეულს ტუსაღსა ელანდებოდა.

გზადაგზა უბედური რამბერი თავის საწყალს ჟაკზედ ჰფიქრობდა. ჰფიქრობდა, ვის ჩავაბაროო, მინამ ჩემის სიმართლის საბუთებს შევაგროვებ და წარვუდგენო. დედას მივაბაროო? მაგას თავის დღეში არ ვიქო. მას შემდეგ, რაკი მართა მრუშობის გზაზედ დადგა, ჟაკსაო დედა აღარა ჰყავსო. ამხანაგები მყვანან, იმათ ჩავაბარებდიო, მაგრამ ღარიბები არიანო და ჩემი ჟაკი მათთვის მძიმე ტვირთი იქნებაო. მაშ, რა მეშველებაო? — იძახდა გულში საწყალი.

ეგ ნაღველი პატარა ბალღზედ პირველს სიტყვებზედვე შეეტყო, როცა კონსერჟიერს მიიყვანეს.

— მე დავამტკიცებ, რომ ის კაცი არ მომიკლავს, — უთხრა მან მოხელეს, რომელმაც ჩაწერა დავთარში მისი სახელი სხვათა ტუსაღთა შორის. — ხოლო ჩემის ბალღის ნაღველი მაქვს; მეშინიან, შიმშილით არ მომიკვდეს.

— როგორ თუ ბალღისა?

— იმას ხომ დანაშაული არაფერში აქვს, ვჰსთქვათ მართლა და კაცის-მკვლელი მე ვიყო. ტყუილია თუ? ნეტა არ შეიძლება ერთი ადგილი რამ აუჩინოთ საწყალს ბალღს, რომ შიმშილით მაინც არ მომიკვდეს.

— დიდია?

— არა, სულ პატარაა. იმისი გამოკვება ძნელი არ არის, თუ კაცს სამუშავო ექნება.

— დედა ჰყავს?

რამბერი ჩაფიქრდა და მერე მოჭრითა ჰსთქვა:

— არა.

— მაშ, შეიძლება მცირე წლოვანთა საპყრობილეში ბინა ავუჩინოთ.

— ჩემი ჟაკი! — დაიძახა რამბერმა. — არასოდეს!... ეგ ფიქრად როგორ მოგივიდათ? ის უნდა საპყრობილეში იყოს მაშინ, როდესაც იმას წაშინდა ჰაერი უნდა. უნდა სირბილი, ხტომა, ცელქობა. არა, მე მაგის ნებას არ მოგცემთ.

— ნება გვიბოძეთ გირჩიოთ, — უპასუხა მოხელემ. — მაგ კილოზედ ლაპარაკს თავი დაანებოთ; ნეტა ვის ატყუებთ? მითამ და უმანკო ბატკანი ხართ.

ყველაზე ძლიერ ისა სწყლავდა და სტანჯავდა რამბერს, რომ მართებულს პასუხს ვერ ეუბნებოდა მათ, ვინც ეგრე ბიაბრუთა ხდიდა ხოლმე და ცილსა ჰსწამებდა კაცის მკვლელობისას. ყველანი ჰსთვლიდნენ ერთ არამზადა კაცად, ქუჩის ავაზაკად და რამბერს კი სახსარი არა ჰქონდა თავისი სიმართლე დაემტკიცებინა და პირში ჩაეფურთხა იმათთვის, ვინც უბედავდა და ეუბნებოდა, აბა, როგორ მოჰკალი კაცი, გვიამბეო. რამბერი ჰგრძნობდა, რომ სულის ღონე, მხნეობა დაეკარგა, რომ ღონე მიეხადა, დაუძლურდა; რომ ძალ-ღონე მოუკვდა იმ მძიმე ბრალის ტვირთქვეშა, რომლის ძალითაც მას უნდა წაერთოს ყოველივე ღირსება არამც თუ თავისუფალის მოქალაქისა, არამედ საზოგადოდ კაცურის კაცობისაც და უნდა გახდეს იმ უმწეო სულიერად, რომელსაც ბრალდებულს ეძახიან. გამოძიება, განსამართლება და თავის მოკვეთა — აი, სამი კარი, რომლებშიაც სწრაფად გაატარებენ ხოლმე სამარცხვინო კაცის მკვლელობაში ბრალეულს. მთელი გვამი ნოელისა ხმამაღლა ღაღადებდა მის უმანკოებას, უბრალობას, მაგრამ რა ექმნა? საქმე ისე მოუხდა, რომ უნდა ხმა გაეკმინდა, პასუხი არ გაეცა და მსჯელობაში არ შესულიყო. პოლიციელები, საპყრობილის მოხელენი, რასაკვირველია, ამის ტანჯვას და წვა-დაგვას ვერ მიხვდებოდნენ. იგი მოუთმენლად ელოდდა გამომძიებელს და დარწმუნებული იყო, რომ მის წინაშე უსათუოდ თავს გაიმართლებდა. ეხლა კი ის ფიქრი ჰკლავდა, რომ ვაი, თუ კაცობრივმა მართლმსაჯულებამ ჩემი საწყალი პატარა ჟაკი საპყრობილეში დამიმწყვდიოსო, ვითომ და გამოსაკვებლადაო.

იმავ დღეს რამბერი წაიყვანეს გამომძიებელთან, რომელსაც დიუბუა-დე-ზობრეს ეძახდნენ. კეთილის გულის კაცი იყო ეგ გამომძიებელი. ღიმილი ტუჩიდამ თავის დღეში არ შორდებო-

და, კაი ჭამა-სმა უყვარდა, თავისუფალ დროს ლექსებსაც ჰსწერდა და ამასთან ერთი ჯიუტობა ჰსჭირდა: ყოველს პრალ-შეწამებულს კაცს ავაზაკად ჰსახავდა. ეხლაც ისე მოუვიდა. რამბერზედ თავისი აზრი წინადვე შეედგინა და, როცა თვალით ნახა ქანცგაწყვეტილი, ჭუჭყიანი, საზიზღარი სახე უბედურის რამბერისა, მაშინ უფრო დააჯერა გული, რომ ნოელ რამბერი ავაზაკია.

ნოელს დაუწყო ჩვეულებრივად გამოკითხვა, მის პასუხს უფრო მოკაზმულის და არჩეულის სიტყვით ჩააწერინებდა ხოლმე სეკრეტარს. ნოელი ლაპარაკობდა მარტივად, დარწმუნებით და როცა ჰკითხეს: „სამართლის ქვეშ ყოფილხარ თუ არაო", უპასუხა: „— გხლებივართ, 15 მაისს და 2-ს დეკემბერს".

დიუბუა-დე-ზობრე ყურს უგდებდა, თან იღიმებოდა და ხელებს იფშვნეტდა.

— გუშინ თქვენ მოგასწრეს იქ, საცა კაცის-კვლა მოხდა, სწორედ იმ დროს, როცა კაცი მოეკლათ. მკვდარი ჰოლ ლავერდაკი ყოფილა. ლავერდაკისათვის გულში დაუციათ სატევარი. აშკარაა, ეგ თვითონ სატევარი ისპანიური დანაა. აი, ხელში მიჭირავს ამჟამად. გეცნობათ ეს სატევარი თუ არა?

— მე ეგა ვნახე სტოლზედ ფანჯრიდამ, რომელთანაც მე მივირბინე, როცა ყვირილი მომესმა. მაგ სატევარით იყო მოკლული ის საწყალი კაცი.

— ლავერდაკობით ახსენეთ ხოლმე.

— მე წინად თავის დღეში არც კი გამეგონა ეგ სახელი.

— მაშ, ჯავრის ამოსაყრელად არ შეიპარეთ იმ სახლში?

— რაო, ჯავრისაო? რა ჯავრი მეჭირებოდა კაცისა, რომლის სახელიც არც კი ვიცოდი. თუნდ ეგ არ იყოს, ჩვენ საწყლები...

— მაშ, მარტო საქურდლად შეხვედით იმ სახლში? — ჰკითხა გამომძიებელმა ისე ტკბილად, თითქო ამბობსო: „სიცარას ხომ არ ინებებთო". — ყველა ეგენი კამმისარს ავუხსენი...

— ვიცი. თქვენ კარგა ფული გიპოვეს, სულ ოქროები. მაგოდენა ფულს მუშაობით ვერ იშოვნიდით. საიდამა ჩაიგდეთ ხელში მაგოდენა ფული? მაგ ფულის შოვნაში რომ ის ვიღაცა

ქალი არ გაურიოთ, კამმისარისთვის რომ გითქვამთ, სხვაფრივ ვერ ამიხსნით მაგ ფულის შოვნის საქმეს?

— მე მარტო მართლის თქმა შემიძლიან, — უპასუხა რამბერმა. — ჩემი რა ბრალია, რომ ეგ მართალი ძნელი დასაჯერია, მაგრამ მაინც მართალი კია. იმ უცნობმა ქალმა მითხრა: „იქ წადით, კაცი სიკვდილისაგან უნდა დაიხსნათ და აი, თქვენი გასამსჯელოო“. გესმით, მე ფულს არ გამოვართმევდი სხვა დროს. მე მთხოვარა არა ვარ, მე ჩემი ხელობა მქონდა, მე მუშაობა მიყვარს, ხოლო მაშინ შიმშილითა ვკვდებოდი და მინდოდა, მეორეს დღეს ჩემის ბალღისათვის ერთი თეფში წვენი და ერთი ლუკმა პური მეშოვნა.

— შეგიძლიანთ იცნოთ ის ქალი, ანუ უკეთ ვსთქვათ, ის მოჩვენება?

— არა მგონია, ბნელოდა, კარგად ვერ გავარჩივე სახე.

— სხვა ნიშანი ხომ არა გაქვთ რა?

— მაქვს. სახელად კლარა ჰქვიან.

— გვარად?

— მარტო კლარაა, გვარი არ ვიცი. ქალმა მითხრა: „იქ კაცსა ნახავთ, უთხარით კლარას სახელით, რომ მოშორდეს იმ სახლს“. მე რომ მცოდნოდა წინადვე, ეს ამბავი მოხდებოდა, რა თქმა უნდა, გვარსაც გამოვკითხავდი. მაგრამ ერთი ღითხარით, ფიქრად როგორ მომივიდოდა, რომ კაცს დაიჭერდნენ იმიტომ, რომ მისაშველებლად წავიდა. იცით, რას გეტყვით? ყოველივე ეს ტყუილია, სიზმარია, ჭე დამნაშავე არაფერში ვარ და თქვენიც იმედი მაქვს, შინ დამითხოვთ.

გამომძიებელი თავს იქნევდა, არხეინად ხმადაბლა უშტვენდა და ისე უგდებდა ყურს უბედურსა, სრულებით დარწმუნებული, რომ მის წინაშე მძიმე დამნაშავე დგას. მისი კეთილი სახე აშკარად ამბობდა: „იტყუე, გაძვერ-გამოძვერ, ჩემო კარგო, რამდენიც გინდა, მაგრამ მე ვერ მომატყუებ!“

როცა გაათავა გამოკითხვა, გამომძიებელმა უბძანა ოქმი ხმამაღლა წაიკითხოს და წაკითხვის შემდეგ ჰკითხა რამბერს:

— თქვენი ნათქვამი სწორედ არის ჩაწერილი?

— სწორედ გახლავსთ...

— წერა იცით?

ნოელმა მხრები აიჩეჩა და ამ მართლმსაჯულების წარმომადგენელს დაცინებით გაულიმა და ისეთის თვალით შეხედა, თითქო ამბობსო: „ვაი, შენ, ჩემო თავო! თქვენ შაროლა პიროუტყვი გგონივართ, მარტო დასაკლავად გამოსადეგი!“ მერე აიღო კალამი და მოაწერა ოქმს ხელი.

ციხეში რომ დააბრუნეს, რამბერს ციებამ ძაგძაგი დააწყებინა. იმოდენა სულისა და ხორცის ტანჯვა, რაც ამ ორ დღეში გამოიარა, სხვა რა ხეირს დააყრიდა.

ცალკე საერთაცო სენაკს, რომელშიაც დაამწყვდიეს რამბერი, ჰქონდა სამი ლაჯი სიგძე და ლაჯ-ნახევარი სიგანე. ჰაერი დახშული იყო და ნათელი ძლივს შემოდიოდა პატარა ფანჯრიდამ, რომელიც ეზოს გადაჰყურებდა. გარედამ შემოდიოდა ხმაურობა და უწმაწური ოხუჯობა ეზოში სასეიროდ გამოშვებულთა ტუსაღთა. თვითონ რამბერსაც ჰსწყუროდა წშინდა ჰაერი ჩაეკლაპა და გულში გაურბინა ფიქრმა, რომ ასწვდეს ფანჯარას და გამოამტვრიოს მინა, მაგრამ ვერ მოახერხა, რადგანაც სკამი, რომელიც უნდა მიედგა ფანჯარასთან ასასვლელად, იატაკზედ იყო ბულღებით დამაგრებული. თუმცა მას აქეთ, რაც რამბერი დაამწყვდიეს, დიდი ხანი არ იყო გავლილი, მაგრამ ტუსაღად ყოფნამ და საპყრობილის მყაყე ჰაერმა მალე გამოიჩინეს ამ უბედურზედ თავისი ზედ-მოქმედება: თავბრუსხმა მოსდიოდა, საფეთქლებმა ტეხა დაუწყო, თითქო ჭახრაკი მოუჭირესო, სისხლი ტვინში აუვარდა და ერთობ მოიშალა სულითა და ხორცითა.

გარნა საღამოზედ ისევ მიეცა შემთხვევა წშინდა ჰაერზედ ყოფნისას: იგი წაიყვანეს, რომ პირისპირ დაუყენონ პოლ ლავერდაკის უსულო გვამსა და მის თანა დასწრებიოა თვითონ რამბერის სახლიც მოჰსჩხრიკონ.

იმ ფიქრმა, რომ პირისპირ ნახავს მკვდარს კაცსა, რომელიც სიკვდილს ვერ გადაარჩინა, რაღაც უნებური შიში მოჰგვარა და ამიტომაც მეტად აუღელდა გული, როცა შეიყვანეს ოთახში, სადაც ტახტზედ იდო გვამი საწყალის ყმაწვილ კაცისა. მკვდრის სახეს რაღაც მშვიდობიანი, უწყინარი სანახაობა ჰქონდა, ხო-

ლო უსიცოცხლო, ფერმკრთალი ტუჩები კი საზარონი იყვნენ. შუბლზედ თმა ისე მიჰკროდა, თითქო სიკვდილის ციყს ოფლს ზედ მიუწებებიაო. ზედ წაყარებული ზეწარი ოდნად გაღეხადათ და გამოეჩინათ პირდაღებული ჭრილობა შიგ გულში ჩაცემულის ხანჯლისა. რამბერი გაჩერდა მკვდრის წინა, თავი ჩაღუნა და იმ მწუხარე დუმილით იდგა, რომელიც კაცს მოუვა ხოლმე, როცა თვალწინ მკვდარსა ჰხედავს.

— ხომ გეცნობათ ეს მკვდარი? — ჰკითხა გამომძიებელმა:

— დიაღ. — უპასუხა რამბერმა.

— ეს ის კაცია, რომელიც, თქვენის სიტყვით, თქვენ თვალწინ მოჰკლეს?

— დიაღ, ის არის.

რამბერი ხედავდა, რომ ყველანი იქ დამსწრენი პირში შემოჰსცქერიან. ჰსცხვენოდა, ჯავრი მოჰსდიოდა, უნდოღა როგორმე მალე გამოსულიყო ამ უნუგეშო ოთახიდამ; გული ჰსტკიოდა, რომ ამ მკვდარს თვალით ჰხედავდა.

— ცხადია, რომ სინიდისი ამხელს, — უთხრა ერთმა პოლიციელმა მეორეს და გამომძიებელმაც ამის ნიშნად თვალი უყო კამმისარსა.

იმ დროს, როცა რამბერი გამოჰყვანდათ ოთახიდამ, კარებზედ მოდგა ერთი ხნიერი დედაკაცი, დააცქერდა ნოელსა და წარმოჰსთქვა გამწარებითა:

— მაშ, ეს არის?

ეს სიტყვები რომ გაიგონა, ნოელმა თავი მაღლა აიღო და მაშინვე მიხვდა, რომ ეს დედაკაცი დედაა მკვდარის ყმაწვილიკაცისა. შეხედა დედაკაცს რაღაც მწვავის სიბრალულითა და ამ მწუხარებით მოკლულ დედის წინაშე აენთო გულში ის მხურვალე, ნაზი სიყვარული, რომელიც თვითონ ჰქონდა თავის პატარა ჟაკის მიმართ. მამამ თანაუგრძნო დედასა. აქამომდე რამბერი რაღაც უღონოდ და უგრძნოდ იყო. ეხლა კი თითქო გამოფხიზლდაო, თვალებში ცეცხლი გამოუბრწყინდა, ერთი ფეხი წინ წადგა ლავერდაკის დედისაკენ და უნებლიედ გატაცებულმა თავის წმინდა სინიდისითა, რომელიც ამ დედაკაცის და დედის წინაშე ამაყად წინა აღუდგა საძაგელს ცილისწამებასა, თამამად ხმამაღლა წარმოჰსთქვა:

— ქალბატონო! ვფიცავ, მე არ მომიკლავს! მე არა ვარ, სხვა არის მკვლელი! მე იმათგანი არა ვარ, რომელნიც კაცებს ხოცვენ.

ეს სიტყვები, პატიოსანის გულის სიღრმიდამ ამოძახილნი, ისეთის სიწრფოებით იყო თქმული, ისეთის გულით საცნობელ სიმართლითა, რომ ლავერდაკის დედა შეკრთა. ის-ის იყო პირზე მოჰსდგომოდა წყევლა და ქოქვა, მაგრამ რაკი რამბერის თქმული მოისმინა, შედგა, ხმა აღარ ამოიღო, თითქო გაქვავდაო და თვალები, რომელშიაც ცრემლი აღარა ჰსჩანდა, მიაპყრინა რამბერს. რამბერის თვალს რაღაც მალნეტიური ძალა ჰქონდა. ასე რომ უბედურმა დედამ თვალი ვერ გაუსწორა, სახე ჩალუნა, მკლავები დაეშო, თითქო მოჰსწყდაო და თავისი რისხვა და წყევლა თან გაატანა მხურვალე ცრემლს, რომელიც თვალთაგან წასკდა.

როცა რამბერი სატუსაღო ეტლში ჩასაჯდომად წაიყვანეს, თან აედევნა სახლთან მოგროვილი ხალხი, მძულვარის თვალით და წყევლით მისდევდა ხალხი და ზოგნი იძახოდნენ კიდეც: „დასახჩობია, დასახჩობიო!“ საწყალი რამბერი ხან ყვითლდებოდა, ხან წითლდებოდა. განსაკუთრებით მაშინ უფრო დაუწყო გულისტეხა, როცა ვიღაც ბალღმა, დაინახა თუ არა, შიშით დაიკივლა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გაიქცა, რომ ამ ავაზაკს მოშორებოდა.

როცა ეტლში ჩასვეს და ორი პოლიციელი აქეთ-იქით ამოუჯდა, რამბერმა უნებურად წამოიძახა:

— ჰსჩანს, ძალიან ჰყვარებიათ!

— ვინა? — ჰკითხეს პოლიციელებმა.

— ის საწყალი ყმაწვილი კაცი.

— ეგრე გგონიათ?

— რად უნდა იყვნენ კაცნი, რომელიც სხვებსა ხოცვენ! — ჰსთქვა რამბერმა და ღრმად ამოიოხრა.

პოლიციელებმა ერთმანეთს ღიმილით შეხედეს და ერთმა მათგანმა თავისთავად წაიდუდუნა:

— თავს ისულელებ, ჩემო კარგო, მაგრამ მაინც ვერ მოგვატყუებ.

რამბერი აქედამ თავის უსიხარულო სადგომში წაიყვანეს. როცა მივიდა თავის ბნელს და ტალახიან კიბესთან, რამბერმა სწრაფად აირბინა კიბე, უკან აედევნენ პოლიციელნიცა. გიჟსავით შევარდა თავის ოთახში და ყვიროდა: „ჟაკ! ჟაკ!“

— მამა! მამაა, მამა! — იძახოდა პატარა ჟაკი და გაფითრებული, გულამომჯდარი კანკალით და თრთოლით მივარდა მამას და ჩამოეკიდა ყელზედ. მამამ ჩმაამოუღებლივ მიიკრა შვილი გულზედ; ჰკოცნიდა, სიხარულით ხან იქით მიატრიალებდა, ხან აქეთ, ათამაშებდა ხელში ბურთსავით, ულოლოებდა, ეალერსებოდა, თავზედ ხელს უსვამდა და გიჟსავით შეჰხაროდა მისთვის დაუფასებელის ბალღის პაწაწუნა სახესა.

— რა რიგად მიხარიან, — განაგრძო ბალღმა სიცილითა და თავის პაწაწუნა თათებითა უწეწდა თავის უბედურს მამასა გამტვერიანებულს თმასა. — ხომ აღარსად წახვალ, მაში? ხომ თავს აღარ დამანებებ?

ამაობაში პოლიციელებმა მოჩხრიკეს იქაურობა, ცარიელი ყუთი ახადეს, დაგლეჯილი ლეიბი გადმოაბრუნეს, გადმოაქოთეს რაც კი რამ ძონძები იყო, სამუშაო იარაღი გაუსინჯეს, სისხლი ხომ არას დაჰსჩნევიაო. იმათ ეგონათ, რომ ამ მგელ-კაცის ბუნაგში უწინდელის ავკაცობის გეშს რასმეს ვიპოვითო. ნოელმა ყურიც არ ათხოვა ამ პოლიციელების ფაცა-ფუცსა. მთელი მისი ყურადღება შეჩერებული იყო პაწაწინა ბალღზედ.

— აბა, ერთი შემომხედე, — ეუბნებოდა ბალღს. — რათა ხარ გაყვითლებული? ხომ კარგადა ხარ? მაკოცე, ჩემო კარგო! მომეხვიე, ჩემო საყვარელო ბალღო! მე არ მიშვებდნენ შენს სანახავად; გესმის? შენთან არ მიშვებდნენ, შენთან, ჩემს გვრიტთან და ანგელოზთან. ხომ კარგად გაჭ?ევენ? ვინ გივლის? მითხარი, ჟაკ, ჩემო კარგო, ჟაკ, ძალიან ჰსწუხდი უჩემოდ?

— არა, — უპასუხა ჟაკმა ღიმილით. — ის მივლიდა.

— ვინ ის?

ბალღმა მოიხედა უკან და დაანახვა ტანად მაღალი კაცი, რომელიც გულხელდაკრეფილი იდგა ფანჯარასთან და ელაპარაკებოდა გამომძიებელს. ნოელმა მიიხედა, მაგრამ ბნელაში მარტო მაღალი ტანის კაცი დაინახა და მისი მომსხო პირის სახე დაწვრილებით კი კარგად ვერ გაარჩია.

— რა ჰქვიან? — ჰკითხა რამბერმა შვილს.

— პასკალ არტესი. — უპასუხა ბალღმა.

ნოელს, დაჩოქილი თაყვის შვილის წინ, სწრაფად წამოვარდა ფეხზედ, მივიდა არტესთან და თავმოწონებით უთხრა:

— თქვენ აქა ბძანდებით, არტეს? ერთი უთხარით ამათ, რომ მე კაცის მკვლელი არა ვარ.

— კაცის მკვლელიო! — განიმეორა ბალღმა და თვალები დააჭყიტა.

პასკალ არტესმა ფეხი წინ წამოდგა და რამბერს დააკვირვა თვალი, სავსე მწუხარებითა და გაოცებულის სიბრალულითა. ამ თვალში გამონათოდა სამწუხარო ეჭვიცა, გულმტკივნეული თანაგრძნობაცა და უსიტყვო სამდურავიცა. ამ თვალმა, რომლის აზრიც ცხადი იყო, უფრო თავზარი დაჰსცა საწყალს ნოელსა, ვიდრე მთელმა იმ ბრალეულობამ, რომელიც აგრე მოულოდნელად თავს მოახვიეს უბედურს.

რამბერს უყვარდა არტესი და პატივსა ჰსცემდა მხურვალებით, აღტაცებით, როგორც შვილი მამასა. მის მომხიბლავ ძალით და სიკეთით მიზიდული რამბერი თან ჰსდევდა ყველგან არტესსა თებერვლის და მაისის არეულობის დროს. არტესი მისთვის ყველაფერი იყო: ხელთმძღვანელიცა, ჭკუაც, სინიდისიცა. ბრძოლის ვაი-ვაგლახი ერთად გამოიარეს, ერთად გამოიარეს ციხეში ჯდომაცა. ბელილის ციხეში რამბერს არტესთან ერთად ერთს სენაკში დამწყვდეულს, რამდენჯერ გაუგონია არტესის დიდებული, მხურვალე ნუგეშინის სიტყვა. რამდენჯერ ხმა გაკმენდით ყური უგდია, როცა არტესი უქადაგებდა, რომ უმაღლესი სიხარული ის არის, რომელსაც კაცი ჰგრძნობს თავის კაცურის მოვალეობის პატიოსნად აღსრულების შემდეგ და როცა წინასწარმეტყველსავით გულმხურვალედ ღაღადებდა, რომ დროებით დათრგუნვილი კანონი და სიმართლე, როცა იქნება, ფეხზედ წამოდგება და ძლევით შეიმოსება. რამბერი გულში ინახავდა ამ სამწუხარო, მაგრამ სანუგეშო ამბავს წარსულისას. მხოლოდ მართას სიყვარულმა, მისმა მუხთლობამ და სხვადასხვა უბედურებამ გადააყენეს რამბერი იმ სწორე და პატიოსან გზიდამ, რომელიც ერთ დროს უჩვენა მას არტესმა.

თუმცა ბევრი ჭირი და ვაი-ვაგლახი ნახა თავის სიცოცხლეში, თუმცა ბევრი იმედი გაუმტყუნდა და გული თითქმის ყველაფერზედ აუცრუვდა უბედურობის გამო, მაგრამ მაინც კი გულის სიღრმეში ინახავდა ბრმად თაყვანისცემას არტესისას, რომელიც შეურყეველი წარმომადგენელი იყო სიმართლისა და ვალდებულობის იდეებისა. ამიტომაც ეხლა, როცა მის ოთახში კაცთა მართლმსაჯულობის წარმომადგენელნი იყვნენ და ეძებდნენ ავკაცობის გეშსა, რამბერი მარტო ერთს გამკითხავსა და მსაჯულსა ხედავდა. ეგ გამკითხველი და მსაჯული არტესი იყო. მარტო ერთის განაჩენისა ეშინოდა, არტესმა არ შემიძულოსო.

— თქვენ გიპატრონებიათ ჩემის ბაღღისათვის, — უთხრა არტესს რამბერმა. ერთი ეს მიბძანეთ, ამდენი ხანია, რაც თვალიდამ მიმეფარეთ და დღეს აქ რა გზით მობძანებულხართ, ბატონო არტეს?

— მე გაზეთებიდამ შევიტყე თქვენი დაჭერის ამბავი და მოვედი აქ. — უპასუხა არტესმა; მერე გაუშტერა თავისი პატიოსანი და გამჭვრეტავი თვალი და ჰკითხა: — აბა, რამბერო, არის თუ არა ერთი ბეწვი სიმართლე მაინც მასში, რასაც გწამებენ?

— სრულებით არაფერი, — უპასუხა რამბერმა მოჭრით. — მარტო ეს არის მართალი, რომ მე ღატაკი ვარ; რომ მე შემთხვევამ მიმიყვანა იქ, საცა კაცი მოჰკლეს; რომ მე უსამართლოდ ბრალსა მდებენ.

— ვინა გდებს ბრალსა? — დაიძახა პატარა ჟაკმა და აბრიალებულის თვალით გადახედა იქა მდგომთ მოხელეთა.

— მაშ, უბრალო ხართ? — ჰკითხა არტესმა.

— პატიოსნებას ვფიცავ, — უპასუხა რამბერმა.

ამ დროს მოუახლოვდა რამბერს გამომძიებელი და უთხრა სიბრალულით:

— ვერაფერი სადგური გქონიათ.

— რა ვქნათ? რაცა გვაქვს, ის უნდა ვიმყოფინოთ, ფული ეგრე ადვილად არ ეძლევა ხელში მუშა კაცსა.

— ამიტომაც ისე ოსტატურად აგვიხსენით, იმოდენა ფული რა გზით ჩაგივარდა ხელში.

— რა ფული? — იკითხა არტესმა.

რამბერმა უამბო, რა ფულზეა ლაპარაკი და მერე დაუმატა:

— იქნება თქვენც არ დამიჯეროთ, მაგრამ მოიცადეთ. ღეე, საქმემ იწარმოვოს და ყველაფერი გამოცხადდება. ესე ხომ არ იქნება, რომ პატიოსანი კაცი ამისთანა საძაგელს ავკაცობაში გახვიონ. მე დავამტკიცებ ჩემს სიმართლეს და ჯერ ხანად ნუღარას მკითხავთ. ბატონო არტეს, ნება მომეცით, ხმაამოუღებლივ ვკოცნო ჩემი ჟაკი.

— მამი, ამათ შენი წყენა უნდათ, — ტიტინებდა პატარა ჟაკი და ეკვროდა გულზედ მამას, თითქო თავის პატარა თათებით ცდილობსო, მამა არავის დაანებოს.

— ნუ, ნუ გეშინიან. — უპასუხა რამბერმა. — მე ესენი ცუღს არას მიზმენ.

ამაობაში სახლის მოჩხრეკა გაათავეს და, რასაკვირველია, ვერა იპოვეს რა. გამომძიებელი წავიდა და ერთმა პოლიციელმა უკადრისად უთხრა რამბერს:

— აბა, გასწი!

წასვლა ამჟამად ნიშნავდა ჟაკთან გამოსალმებას დიდის ხნობით და იქნება სამუდამოდაც. ამ ფიქრმა საწყალი რამბერი, წუთის წინად ღონე მიხდილი, ფეხზედ ძლივს მდგომი, უეცრად გაამხნევა და უწინდებული ღონე დაუბრუნა. იფიქრა, მოდი ერთი ხელდახელ ვეცემიო პოლიციელებს, გამოუსხლტები როგორმე ხელიდამო, მოვიტაცებ შვილსაო და გავიქცევიო. მაგრამ ამ ფიქრმა მალე გადუარა და ხმადაბლა ჰსთქვა: „ნეტა რისთვის?“ მერე მიუბრუნდა არტესს და, ანიშნა რა ჟაკი, უთხრა:

— თქვენ გაბარებთ ამასა.

— მე არ დავრჩები, შენთან წამოვალ. — უთხრა ბალღმა.

— თქვენ გაბარებთ ამ ბაშვს, მინამ მე გამანთავისუფლებენ, — განიმეორა რამბერმა და ცრემლი მოერია თვალებში.

— ნახვამდე, — უპასუხა არტესმა და გაუწოდა თავისი დიდი და პატიოსანი ხელი.

— მადლობელი ვარ, — ჰსთქვა რამბერმა. თვალები სიხარულით და თავმოწონებით გადაავლო იქა მდგომთა, თითქო ამ პატიოსანის კაცის ხელის ჩამორთმევამ არამც ოუ გაამართლაო, არამედ გააპატიოსნა კიდეცაო. მერე სწრაფად ჩაიკრა

გულში თავისი შვილი, გამოესალმა და გიჟსავით გამოვარდა კიბეზედ, საცა ხალხს თავი მოეყარა კიდეც.

ნოელ რამბერი ხელახლად კონსერჟიერს წააყვანეს. ისევ ისე უსიხარულოდ, უნუგეშოდ დაიწყეს დენა მის ტყვეობის დღეებმა. ამ ტყვეობამ, ამ ქვეყნისაგან მოშორებამ, ამ ადამიანურის ცხოვრების მოკვეთამ, რომელსაც მარტოდ დამწყვდევას ეძახიან, თანდათან გამოაჩინა თავის ზედმოქმედება უბედურს ტყვეზედ; ღრმად დაუსერა გული, დაჰსწვა, დაჰსდაგა, თითქო ცეცხლში იწვისო. ჰგრძნობდა, რომ ყოველივე ღონე მიხდოდა, უპატრონოა, უნუგეშოა. თავი ეწოდა მწვავის ტკივილითა, თითქო ტყვია ჩაუსხამთო; ქალა ჰსტეხდა, თითქო ეხდებაო; სრულებით მოიშალა სულით და ხორცით; მას ჰქენჯნიდა და ჰვევდა ორნაირი სენი. მართლადაც, ერთის მხრით — ჰსტანჯავდა ის ბრალი, რომელსაცა ჰსწამებდნენ და მეორეს მხრით — სიჭლექე, რომელიც სწრაფად გაუძლიერდა და ჰსწოვდა უკანასკნელს ღონესა. უდრტვინველად დაემორჩილა თავის მწარე ბედსა და მიეცა იმ ნაღველს და განწირულებას, რომელსაც კაცი ჰგრძნობს რა, რომ ბედს ვერსად ვერ წაუვა, აღარ ურჩობს, აღარ იბრძვის და ხმაამოუღებლივ თავს იხრის და ეძლევა თავის ბედისწერას, საცა გინდა, იქ წამაღეო. სულ ერთიაო! ამბობს მაშინ იმედგადაწყვეტილი ადამიანი და მზად არის ისე დაჰსთმოს სიცოცხლე, რომ ხელიც არ გამოიღოს, ხელიც არ შეუბრუნოს გაბოროტებულს ბედსა. „დეე, დამდონ საძაგელი ბრალი, ამბობდა გულში რამბერი: დეე, რაც უნდათ, ისა ჰსთქვან... მე პატიოსანი კაცი ვარ, საქმე ამაშია... ეს არის, რაც არის... მე რომ პატარა ჟაკი არა მყვანდეს, წარბსაც არ შევიხრიდი; დეე, რაც უნდათ, ის ექნათ“.

რაღაც ელდით და შიშით დაუწყო ყურება თავის საშინელს ყოფასა. რამბერის მართალმა სიტყვამ იმის შესახებ, რაც შეემთხვა პირველ იანვრის ღამეს, ვერ გაჰსჭრა და გამომძიებელი ისევ იმ აზრზედ მტკიცედ დარჩა, რომ დამნაშავე სწორედ რამბერია. მართლადაც, რამბერისაგან თქმული ამბავი ასეთი დაუჯერებელი რამ იყო, რომ თვითონ რამბერიც ზოგჯერ ჰკითხავდა ხოლმე თავის თავს: „ცხადად თუ სიზმრად მომეჩვენა

ის საიდუმლო ქალიო?“ ამ უნუგეშო ყოფამ ისე გაუწყვიტა რამბერს ქანცი, ისე მიხადა ღონე, რომ სრულებით მოუკლა გული, რომელიც განწირულების წამს აღმოაძახებინებს ხოლმე ადამიანს სარწმუნო სიტყვას სიმართლისას, კვნესას დაჩავრულის უმანკოებისას. ჯერ პირველად ბრალდებას სულელობად ჰსთვლიდა, ეხლა კი, თითქო მის წინ თავი მოიდრიკაო, ამბობდა: „მე აღარა მეთქმის რა“.

ამბობენ, მართალმა კაცმა, განსაკითხველად წამომდგარმა სამჯავროს წინაშე, უნდა ერთის ზეგარდამო შთაგონებულ სიტყვით დაარწმუნოს ყველა თავის სიმართლეზედ, მაგრამ, საუბედუროდ, საპყრობილე, განმარტოებითი ტყვეობა, სირცხვილი შეწამებულის უმანკოებისა — ყოველივე ესე ათახსირებს კაცს, რომელსაც გამოუვლია სამკეცი ტანჯვა ციხეში ჯდომისა, გამოძიებისა და ბრალდებისა.

ნოელ რამბერი სწორედ ამ მდგმოიარობაში იყო. ამასობაში გამოძიება შესრულდა და საქმე სამჯავროში წარადგინეს. ნოელმა მოსარჩლეც არ ამოირჩია და თვითონ სამჯავრომ დაუნიშნა. მისი ვექილიც ისე დარწმუნებული იყო, რომ დამნაშავე რამბერია, როგორც გამომძიებელი. მაგრამ არც კი ძალიან იცხელებდა თავს მასზედ, დამნაშავეა თუ არა, იგი მარტო იმასა ცდილობდა, რომ თავი გამოეჩინა ლაპარაკითა და წინადვე იზეპირებდა პტყელ-პტყელ ფრაზებსა. ამიტომაც საკვირველი არ არის, რომ რამბერს კოხტა ყმაწვილკაცთან ლაპარაკი ღროს დაკარგვად მიაჩნდა და უგულოდ ჰო და არათით უთავებდა სიტყვა-პასუხს. თუნდ ეგ არ იყოს, გამოსარჩლებას რა მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა მის თვალში. იგი უკეთეს მოსარჩლედ ჰსთვლიდა თავის პატიოსანს, შრომისმოყვარეს ნამყო ცხოვრებასა. რამბერმა ითხოვა, რომ ჩემი ამბავი ჰკითხეთ ჩემს ნაცნობებსა და ამხანაგებსაო. იმედი ჰქონდა, რომ კეთილის მეტს სხვას არას იტყვიან. მაგრამ ბევრმა, რაკი შეატყვეს, კაცის კვლას ჰსწამებენო, ვერ გაბედეს პირდაპირ თქმა მისი, რასაც რამბერზედ ჰფიქრობდნენ და იცოდნენ, და ზოგმა კიდეც ჰსთქვა, რომ ჩვენ მაგას ძალიან ცოტად ვიცნობდითო. იმ საბლის მეკარემ კი, საცა რამბერი იდგა, აჩვენა, რომ პირველს იანვარს

რამბერი ასეთის გააფთრებულის სახით გამოვიდა შინიდამაო, თითქო რაღაც საზარელის საქმის მოხდენას აპირებსო. თვითონ საზოგადოებასაც ჰსჯეროდა, რომ რამბერია დაჭნაშაკე, ჯერ იძიტომ, რომ გაზეთებმა გააზვიადეს ეს ამბავი და ხმა დაუყარეს და მერე იმიტომ, რომ ლავერდაკი ცოტად თუ ბევრად ცნობილი იყო საზოგადოებისაგან, და გარდა ამისა, ყველას ეცოდებოდა მწუხარე და უნუგეშო დედა. ამ სახით უცინარა, მაკრამ პატიოსანი სახელი ნოელ რამბერისა, ამ კეთილ სინიდისიანის შუშა კაცისა, რომელიც ასე ვაჟკაცურად ებრძოდა სიღარიბეს და გაჭირვებას, შეიქმნა კაცის-მკვლელის სახელად. ასე რომ თვითონ რამბერის ამხანაგებიც, მასთან ერთად ღატაკობის უღლის მწეველნი, თავის ქნევით იხსენიებდნენ ხოლმე იმის სახელს.

ერთი კაცილა იყო, რომელსაც ჯერ კიდევ ჰსწამდა რამბერის უბრალოება. ეგ კაცი იყო პასკალ არტესი. იგი ძალიან პატივსა ჰსცემდა რამბერს და მის აღტაცებულ თაყვანისცემას თვისდამი იმით ცდილობდა, რომ განუზომელად ენდობოდა ყოველსფერში. შეუძლებლად მიაჩნდა, რომ ნოელს კაცის სისხლში გაესვარა ხელი.

პასკალ არტესს არა ჰსწამდა, რომ ქვეყანაზედ ბოროტი უფრო მძლავრობს, ვიდრე კეთილი. გულში ჰქონდა ღრმა, განუსაზღვრელი, ბაშვური რწმენა ადამიანის საკეთისა. თავის თავის საზომითა ჰზომავდა კაცობრიობასაც. მისს ვაჟკაცურს გულს არ უნდოდა ფიქრად აელო, რომ ადამიანის გვამში დაუყარულია თესლი ბოროტებისა. ბევრი დეენულება გამოიარა, ბევრი ტანჯვა კაცთაგან, მაგრამ ერთი ბეწვი მტრობაც არ გაუტარებია გულში თავის მტერთადმი. მისის აზრით, ამ წუთის სოფლის ცხოვრება ხელდახელი ომია, საცა სიბრმავე და უვიცობა უფრო ბევრს ავსა შვრება, ვიდრე ბოროტება. ამის შემდეგ სხვა რა უნდა ეფიქრა რამბერზედ, რომლის პატიოსანს ხელსა ასე ხშირად ჰსჭერია მისი ხელი?

— თუნდ მთელმა ქვეყანამ ერთხმად აღიაროს იგი დამნაშავედ, მე მარტო ერთი ვიღაღადებ ხმამაღლა მის სიმართლესა! — აჰბობდა გულში არტესი.

ძალიან უხაროდა, რომ მამას ცოტათი მაინც შეეწია, რაღგანაც შვილი მისი ჩაიბარა. ამასთანაც, თვითონ არტესი მწყურვალი იყო, რომ ვისმეზედ მიემართა თავისი მამა-შვილური სიყვარული, რომლითაც სავსე იყო მისი გული და ვვამი. აქამომდე მაგ სათუთს გრძნობას სიყვარულისას, მის ბუნებასთან შეთვისებულს, სავალი არა ჰქონდა. არა ჰყვანდა ცოლ-შვილი, ამჩანაცები სულ ერთი-ერთმანეთზედ დაეხოცნენ ზოგი ომში, ზოგი სატყრობილეში, ყოველ წლივ აკლდებოდა ვინმე და თანდათან პარტო რჩებოდა. მართალია, ჰქონდა კიდევ ერთი სხვა უფრო ვრცელი, უფრო დიდი ოჯახი უფრო დიდთა სიხარულთა მომნიჭებელი, მაგრამ იმისთანა კი, რომელიც არ არის ისე ნუგეშმცემელი, ისე მხურვალედ გულშემატკივარი, როგორც საკუთარა ოჯახი და ის ვრცელი ოჯახი მისი სამშობლო, მისი ქვეყანა იყო.

პასკალ არტესს უხაროდა თავმოწონებით, რომ თავის ქვეყანას მტლად დაუდო ყოველისფერი; უხაროდა, რომ მას შეჰსწირა თავის ყმაწვილკაცობის ბედნიერებაც და მოწიფულის ხნიერობისა შემსჭვალულებანიც. როცა თვალს გადაავლებდა ხოლმე თავის ნამყოს ცხოვრებასა, თვალწინ წარმოუდგებოდა მრავალი მწუხარება, მრავალი ტანჯვა, მრავალი გაჭირებული დღე, მრავალი იმედთა გამტყუნება, მრავალი ღალატი, მრავალი მარცხი; ხოლო ერთი იმისთანა მოქმედება, თუ აზრი ვერ წარმოუდგებოდა, რომ სანანურად გახდომიყო, როგორც ერთი უკადრისი რამ. იგი ყოველთვის პატიოსნურად, თავდაბლობით, მარტივად ასრულებდა მას, რაც სიტყვით ასე ადვილად მიგვაჩნია და საქმით კი ასე ძნელია და მძიმე, თავის მოვალეობასა.

რამდენი ბედნიერება, რამდენი გულის წადილი, რამდენი ნატვრა მსხვერპლად ეძლევა ხოლმე შეურყეველს იდეალს, მოვალეობისას. რამდენჯერ მხურვალე ტრფიალებით ატაცებულს კაცს ჰსწყურის ხოლმე ერთს წუთს შედეგს სიყვარულის მომხიბლავს მდელოზედა, მაგრამ შეურყეველი, უძლეველი მოვალეობა მუქარით ეუბნება: „წინ წადი, ნუ დაჰსდგებიო!“ იწყევლება, რომ უნდა წავიდეს, მაგრამ მაინც მიდის. და როცა ცხოვრების დღეთა დაბინდების დროს კაცი იგონებს ხოლმე

ყოველ მას, რაც ყოფილა, ყოველს, რაც წარსულა, და კითხულობს თავის ცხოვრების მატიანის ყოველს ფურცელზედ სიტყვას: „მოვალეობას“, ჩაწერილს მტკიცე ხელითა, ამოუშლელივ, უჩირქოდ, მაშინ იგრძნობს ხოლმე თავ-მოწონებულს კმაყოფილებას პატიოსანის მუშაკისას, რომელსაც თავისი წილად ხდომილი დღიური სამუშაო სინიდისიანად შეუსრულებია. ტვირთი იყო მძიმე, მაგრამ ბოლომდი კი ჰზიდა. მხრები დაეღალნენ, მაგრამ გული კი ნეტარებით უცემს თავმომწონე მკერდში. მუშაკმა შეასრულა თავისი საქმე. ეხლა თუნდა მოკვდეს, ფიქრი არ აქვს. იგი კმაყოფილია თავის თავისა და საშვილიშვილოც ჩაიტანს ტკბილს ნუგეშს აღსრულებულის მოვალეობისას; ნუგეშს, რომ კაცური კაცობა გაჰსწია, რომ საბუთი აქვს თავის თავის პატივისცემა იქონიოს.

იმისთანა დროს, როცა ძლიერის და მტკიცე ხასიათის ხალხნი იქსაქსებიან, როცა ყოველისფერი ნამცეცდება და საზოგადო სინიდისი ჰქრება, მაგალითი ამისთანა სამაჟულისშვილო გულგმირობისა მეტად სანუგეშებელი და წამაქეზებელია.

გარნა არტესი, თუმცა მტკიცე ხასიათის კაცი იყო, მაგრამ ამასთანავე მეტად გულკეთილი იყო; სათუთი, თითქმის დედობრივი გული ჰქონდა. სიყვარული ნეტარებად, სულის საზრდოდ მიაჩნდა. იგი იყო ერთი იმათგანი, რომელთაც ასულდგმარებს ალერსი და სხვისათვის თავის გაწირვა.

თვითონ რისხვაც კი ამისთანა კაცებისა სიყვარულიდამ წარმოჰსდგება ხოლმე. ამისთანა კაცებზედ ის ითქმის, რაც ბორნოვმა ჰსთქვა ფრანციელებზედ: „ამათ უფრო სიყვარული იციან, ვიდრე მძულვარებაო“.

ამიტომაც არტესმა გულწრფელის სიხარულით მიიბარა უპატრონოდ დაგდებული ჟაკი. სრულად მიეცა ამ ბალღს და ცდილობდა, თავიდამ მოაშოროს შავი ფიქრები უბედურის მამის თაობაზედ. მაგრამ ამაოდ ჩაუარა ცდამა. ჟაკს მეტად უყვარდა მამა, მუდამ ოხრავდა და ცრემლმორეული რაღაც სიმწარით იძახოდა ხოლმე: „მამა!“ ბალღი ფერმიხდილი, დაღონებული ხშირად ჩაფიქრდებოდა და მის პაწაწა სახეზედ ამოიბეჭდებოდა ხოლმე მწუხარება და შიში.

— რაზედ ჰფიქრობ? — ჰკითხავდა ხოლმე არტესი.

— მამაზედ.

— ნუ ჰნაღვლობ, სხვაგან არის წასული და მალე მოვა.

— არა, წასული კი არ არის, ციხეში ჰზის და აწვალებენ.

— ვინ გითხრა?

— მე თვითონ ვიცი.

ბალღი ისევ ჩაჩუმდებოდა ხოლმე და მიეცემოდა თავის მწვავს ფიქრებსა. ხმაგაკმენდილი უძრავი იჯდა და გაიყურებოდა საცოდავად, თითქო შტერი ჰსცემიაო. ესეთი ყოფა სნეულებად დაჰსჩემდა საცოდავს ბალღსა. არტესი შიშობდა კიდეც ბალღის ამ ყოფის გამო და ამასთანავე იკვლევდა იმ უცნაურს სნეულებას, როგორც ექიმი.

არტესი დარწმუნებული იყო, რომ საცოდავს რამბერს სწყურის შეიტყოს შვილის ამბავი, ამიტომაც ნება ჰსთხოვა ტუსაღის ნახვისა. როგორც იყო, ნება მიჰსცეს და წავიდა რამბერის სანახავად. მივიდა და ნახა ჩაყვითლებული, დაუძლურებული რამბერი და ამასთანაც, რასაკვირველია, მოაგონდა ბევრი წეღიწადი, რომელნიც თვითონაც გაეტარებინა ამრიგად, როცა დაჭერილი იყო.

— აბა, — უთხრა არტესმა: — ჭირში გატეხა არ უნდა. უნდა იცოდეთ, რომ ქვეყანაზე საპყრობილე იმისთანა არ არის, საიდამაც გამოსვლა არ შეიძლებოდეს. თქვენ, მგონია, ავადა ხართ, რამბერ?

— იქნება, სწორედ მოგახსენოთ, მეც არ მესმის ჩემის თავის ამბავი, — უპასუხა საცოდავმა. — თუნდ ეგეც არ იყოს, ჩემთვის სულ ერთია, ავადა ვარ, თუ კარგად... თქვენ თვითონ იცით, რომ მე მარტო ერთი ნაღველი მაწუხებს: ჩემი ბალღი როგორ არის?

არტესმა უპასუხა, რომ ჟაკი კარგად არის, თუმცა კი ნაღვლიანობს და ხშირად იგონებს მამასაო.

— საწყალი ბალღი! როდის მელირსება იმასთან სეირნობა კვირა საღამოობით? რა სიხარულით დარბოდა ხოლმე ამწვანებულ მინდორზედ და რა სიხარულით ვუყურებდი ხოლმე მე მის ცელქობას!

— მოითმინეთ ზაფხულამდე და ნატვრაც აგისრულდებათ.

— ზაფხულამდე! თქვენ არ იცით, რა რიგად ვახველებ! მე მგონია, რომ ფილტვების მაგიერად რაღაც ცარიელი თოფრაღა მაქვს გულში. მე წასული ვარ, ბევრი აღარა დამრჩენია რა.

— ეგ რაღა ფიქრად მოსასვლელია!

— მე არ ვდრტვინავ, მაგრამ სიცოცხლის უღლის წევნა ადვილი არ არის, როცა იქნება, დაიღლები. მე მთელი ჩემი სიცოცხლე ჯაფა მიწევნია, როგორც ტყვეს და მოვკვდები, როგორც ძაღლი. აი რა მომელის მე, თუნდა აქედამ თავიც დავახწიო; თუ ვერ დავახწიე, ჩემი მხვედრი ან კაიენაა ან გილიოტინა[1].

— ხომ არ გაგიჟდით? რას ამბობთ?

— სასაცილო კი იქნება, რომ სიცოცხლე გილიოტინის ქვეშ დავლიო, — ჰსთქვა რამბერმა და ისეთი მშრალი სიცილი მოუვიდა, რომ სიცილი საზარელ ხველად გადექცა.

პასკალ არტესი შეკრთა ამ საზარო სიტყვებზედა და წამოვიდა საპყრობილიდამ რამბერის სიცოცხლეზედ იმედგაცრუებული, თუმცა კი გული დაარწმუნა, რომ რამბერი დამნაშავე არაფერშია. ნოელი კი მცირე სიამოვნების შემდეგ, რომ არტესი ნახა, ისევ იმ განწირულების მწუხარებაში ჩავარდა, რომელიც სიჭლექეს მოსდევს ხოლმე.

— არა, არა, — ჰფიქრობდა იგი გულმწარედ, — ყველა გათავდა, ჩემი აღსასრული მოდის! ვაი, თუ მოვკვდე, მინამ გამასამართლებდნენ! ვაი თუ სამართლამდე ბედმა აღარ დამაცალოს! ხომ ყველანი დამნაშავედ მიცნობენ მაშინ! კარგს სახელს არ დავუგდებ ჩემს ჟაკს! საწყალი ბალღი! მე კი მინდოდა, რომ იმისათვის სიმდიდრე შემეძინა და დამეგღო! რაებს არა ვნატრობდი იმისთვის! რა არ მინდოდა მექნა! ყოველივე ეს გაქრა, დაინთქა! მე გროშს ველარ დავუგდებ, გროშს! რაღაში ვარგივარ ეხლა მე? იმის ნებაც არა მაქვს, რომ ჩემი ტანი სიკვდილს შემდეგ კლინიკას მივყიდო გასაჭრელად! ჩემი ტანიც მე აღარ მეკუთვნის ეხლა? არ მეკუთვნის, არა! ჩემი ტანი ჩემი აღარ არის, იმათია!

---

[1] გილიოტინა თავის მოსაკვეთი მაშინაა.

ეგ ფიქრი სიკვდილისა და სიღარიბისა თავიდამ აღარ შორდებოდა რამბერს. იყო დრო, როცა რამბერს ეგონა, ჩემს საქმეებს ისე მოვიყვანო, რომ ჩემს შვილს ჰქონდეს ის, რაც ჩემს დღეში მე არა მქონიაო, ესე იგი მოსვენებული ცხოვრებაო, უკლებლობა და ბედნიერებაო. ეხლა კი იძულებულ იყო ყოველსფერზედ იმედი გადეწყვიტა. მის შვილსაც იგივე ბედი, უწყალო და აუცილებელი ბედი მოელოდა; იგივე გაჭირვებული ცხოვრება, იგივე ტანჯვა და იგივე სიკვდილი.

და ამის წარმოდგენაზედ ამ საცოდავს მსხვერპლს კაცთა მართლსაჯულებისას აღმოუხდა გულიდამ ერთი საზარელი, მწვავი, მხეცური და გიჟური ხათხათი და გაისმა ყრუდ საპყრობილის ნესტიან და მწყვდიად თაღებ ქვეშ.

IV

დანიელ მორტალს კი ერთხელ კიდევ ბედმა ხელი მოუმართა. ლავერდაკს შეხვდა და ამ შეხვედრიდამ კვლავ გამარჯვებული გამოვიდა. პოლ ლავერდაკი რომ მოკლა, მოვიდა შინ, ჩაიკეტა კარი თავის კაბინეტში, რამდენჯერმე გადაკითხა ზიზღით და კადნიერის თავმოწონებით ავბედიანი ბარათი, რომელსაც ორის კაცის სიცოცხლე მტლად დაუდო. „სულელი არ ვიყავ“! — იფიქრა მორტალმა და სირცხვილი მოსდიოდა ბარათის ზოგიერთს სიტყვებზედ: — „განა ამისთანაების მიწერა შეიძლება“?...

ამისთანაებსა ჰსწერენ მხოლოდ მაშინ, როცა ყოველისფერი ხელიდამ წაგსვლია, როცა თავი ძლივსღა გატოკს კისერზედ. მერე კი ისე მოვა ხოლმე, რომ კაცმა ყოველივე წვეთი მელანისა უნდა გამოისხნას თითო ჩაფ სისხლითა. დიაღ, ზოგჯერ ძალიან ძვირად ჯდება ხოლმე ერთი კალმის მოსმა.

აიღო და ანთებულ ბუხარში ჩააგდო ბარათი. ერთს წუთს შემდეგ ერთს ბეწვა ფერფლად იქცა იგი და ამ ერთ ბეწვა ფერფლის გამო მან კაცი მოკლა. შეუძლებელია, ამ ფიქრს არ გაევლო მორტალის გულში, მაგრამ იგი არ ნანობდა მას, რაცა ჰქმნა, სინიდისი არ ამხილებდა, არ ნაღვლობდა. მას აწუხებდა

ფიქრი იმ უცნობ კაცზედ, რომელიც ისე მოულოდნელად შეეხვა კაცის კვლის დროს. მაგრამ რა? ბედმა პოლომდე მოუმართა ხელი. მეორეს დღეს გულში დაცინებით წაიკითხა გაზეთებში ამბავი ლავერდაკის მოკვლისა და მისის მკვლელის ნოელ რამბერისა.

ამასობაში კლარა მორტალი სრულიად გულდამშვიდებული იყო, რადგანაც დარწმუნებული იყო, რომ ყმაწვილ კაცს არა აუტყდებოდა რა და მთელი ღამე ძალიან კარგად ეძინა და მეორე დღეს მოუთმენელად ელოდდა თავის ქმრის ნახვას, რომ ჩიშნის მოგებით უთხრას: ...„რაო, გამოგაცალეთ ხელიდამ თუ არა საცოდავი მსხვერპლი!“ მართლადაც, რა წამსაც ქმარი მის ოთახის კარებში მოდგა, კლარა მიეგება და ცივად და დაცინვით ჰკითხა:

— ლავერდაკი მოვიდა განა თქვენს სანახავად?

— ლავერდაკი. — ჰსთქვა მორტალმა მძიმედ და წყნარად, ასე რომ თვითვეული სიტყვა, როგორც ხანჯალი, ისე ხვდებოდა გულს საცოდავის ქალისას. ლავერდაკი ეხლა მკვდარია. კლარას პირველ ხანში გონება მიეხადა გაოცებისაგან და შემდეგ კი, როცა კარგად მოისაზრა თვითოეული სიტყვა ქმრისა, ელდაცემული უკუ იქცა ქმრისაგან.

— თქვენ მოგიკლავთ! თქვენ! — შეჰსძახა კლარამ.

— მე? — უპასუხა მან და მიაწოდა გაზეთი. — ლავერდაკი მოუკლავს ჩვეულს ავაზაკსა, რომელიც საქურდლად შეჰპარვია.

— მოუკლავთო!

— დიაღ, აი წაიკითხეთ, ჩემო კარგო კლარავ.

მთელი პარიჟი დღეს მარტო ამაზედ ლაპარაკობს.

საცოდავი ქალი კანკალმა აიტანა და გაფითრდა; თვალი გადაავლო გაზეთს, სტრიქონები თვალში აერივნენ, მარტო ერთს სახელს ლავერდაკისასღა ხედავდა სტრიქონებ შორის და სხვას არაფერს. ეხლა მარტო ის მოუვიდა ფიქრად, რომ მისმა ცდამ ვერ დაიხსნა საწყალი სიკვდილისაგან, რომ ლავერდაკი ეხლა მკვდარია და ამ საშინელ საქმეში დამნაშავეა ის უცნობი ავაზაკი კი არა, არამედ მისი ქმარი დანიელ მორტალი.

ჯერ ყველაზედ უწინარეს ის განიზრახა, მოდი, წავალ ლავერდაკის სახლშიო და ჩემის თვალით დავრწმუნდებაო, მაგრამ

მორტალმა არ გაუშვა და მთელი დღე და ღამე საცოდავმა ქალმა გულის ქენჯნით და წვალებით გაატარა. პირველ ხანში-ვე მიხვდა, რომ ლავერდაკის მკვლელი დანიელ მორტალია, რადგანაც მარტო ამისათვის იყო საჭირო ლავერდაკის სიკვდილი. საცოდავი მუშა კაცი, რომელსაც ამ სიკვდილს აბრალებდნენ, უსათუოდ ის კაცი იქნებოდაო, რომელიც მე გავგზავნეო, ფიქრობდა კლარა; უსათუოდ ველარ მიუსწერიაო, მისულა ჩაშინაო, როცა ლავერდაკი მოკლული იყო კიდეცაო და იგი დაუჭერიათო მაშინ, როდესაც მართალი მკვლელი კი გაქცეული ყოფილაო. ყოველივე ეს ცხადად და ნათლად წარმოდგენილი ჰქონდა, მაგრამ რა საშინელებაა, გული დაუკეროს ქალმა, რომ იმ კაცს, რომლის სახელსაც იგი ატარებს, სისხლით ხელი მოუსვრია! ამ ფიქრმა ისე დაჰსწვა გული, ისე აამღვრია მისი პატიოსანი ბუნება, რომ ეჭვი შეუვიდა, განა მორტალი იქამდე დადაბლდებოდაო, რომ მაგისთანა საზარელი ავკაცობა ეკადრაო. მაშინ წარმოუდგა თვალწინ საცოდავი, შიშშილით დაღლეული სახე ღატაკისა, რომელიც ლავერდაკის გასაფრთხილებლად გაჰგზავნა და ახალმა, არა ნაკლებ მწვავემ ფიქრმა გაურბინა გულში. ვინ იცის, ჰფიქრობდა კლარა, იქნება ას მიხოვარა ღატაკი შეაცდინა ადვილმა საშოვარმა და მართლა იმან მოჰკლა ყმაწვილი კაცი, მაშინ ხომ მე, მე, კლარა ვარ დამნაშავე; მაშინ ხომ ჩემგან არის იგი მკვდარი, რადგანაც მკვლელს ხელი მე მოვუმართეო! და საცოდავი ქალი იტანჯებოდა ამ გამოურკვეველ ეჭვითა და ფიქრებითა. არ უნდოდა არც ერთი დაეჯერა, არც მეორე; უფრო რჩეობდა, თვითონ დასდებოდა უნებლიეთი ბრალი ამ საშინელის უბედურებისა, ვიდრე ეღიარებინა თავისი ქმარი ავაზაკებრ კაცის მკვლელად. ხოლო უცნაური იდუმალი ხმა გულისა ეუბნებოდა გაუწყვეტლად, რომ ლავერდაკის მკვლელი — დანიელ მორტალია.

კლარას, ულონოდ ქმნილს, ზარდაცემულს, ჯერ ეშინოდა თვალი გაესწორებინა ქმრისათვის, მაგრამ რამდენაღაც უფრო ჩაფიქრდა, რამდენადაც უფრო იტანჯებოდა მძიმე ეჭვთაგან და საზარო ფიქრთაგან, რომელნიც არ უნდოდა დაეჯერნა და უნებლიედ სჯეროდა კი, იმოდენად უფრო თანდათან ღონეზე მოდი-

ოდა. ბოლოს, როგორც ყოველმა გულფიცხმა ადამიანმა, მოთმინებიდამ გამოსულმა, დააპირა პირდაპირ იერიშს მივიტან ჩემს ქმარზედაო და რაც მომივა, მომივიდესო. მეორე ღილას რიხიანად, მკვახედ და მოკლედ უთხრა გაოცებულს ქმარსა:

— დაჭერილმა ღატაკმა კი არა, პოლ ლავერდაკი თქვენ მოჰკალით, თქვენ!

მორტალი მხდალი კაცი არ იყო, მაგრამ ამჟამად კი ჟრჟოლამ გაურბინა ტანში; ცხადად ჰგრძნობდა, რომ ამ ქალის ხელშია ეხლა ბედი მთელის ამის სიცოცხლისა. ხოლო თავის თავზედ მოიმედე არ შეუკრთა და თავის ჩვეულებრივის დაცინვითა უპასუხა:

— მადლობელი ვარ, ჩემო კლარავ, რომ ეგრე აღვილად გახადეთ კაცის მკვლელად ის კაცი, რომლის სახელსაც თქვენ ატარებთ!

— ჩემთვის ორივ ერთია, ლავერდაკი დუელში მოგიკლავთ თუ ავაზაკურად, — უპასუხა კლარამ და მორტალის თვალს თამამად გაუსწორა თვალი. — ფიცს დავდებ, რომ თქვენის ხელით არის მკვდარი.

— ჩემდა საბედნიეროდ, — ჰსთქვა მორტალმა იმავ დაცინვითა. — მკვლელი მართლმსაჯულების ხელშია.

— განა ვინ იცის, რომ მკვლელი ის არის?

— ეგ კი მეტისმეტია! — დაიყვირა მორტალმა. — მე გთხოვთ, მაგ ლაპარაკს თავი დაანებოთ, ეგ თქვენი უგუნური და ჩემი სამარცხვინო ეჭვი შეაყენოთ იმ დრომდე, ვიდრე სამართალი მართალს აღმოაჩენდეს.

— მართალსაო? — ჰსთქვა ცივად კლარამ. — მეც მართალს ვეძებ. იქნება გგონიათ, რომ გულის ხმა სამოსამართლო საქმეში არაფერს ნიშნავს? კიდევ გეტყვით, მე მტკიცედ და შეურყევლად დარწმუნებული ვარ, რომ დაჭერილი ღატაკი აჱ საქმეში უბრალოა. იცით კი, რა მიზეზით შევიდა ის კაცი იმ სახლში, საცა დაიჭირეს?

— იმ მიზეზით, რომ მოპარვა უნდოდა რისამე.

— სტყუით, მე გამოვგზავნე.

— თქვენ?

— დიაღ, მე ელისეის მინდვრებზედ შემხვდა (ეჭვი არ უნდა, ის არის უსათუოდ), მე შევეხვეწე იქ ჩოსულიყო და ლავერდაკი გაეფთხილებინა, რომ იმ სახლში არ შესულიყო.

ან სიტყვებზედ მორტალის სახე მოიღრუბლა; თავი ჩაჰკიდა, როგორც კაცმა, რომელსაც მოულოდნელად წინ დაბრკოლება დახვდა, მაგრამ მცირეს ხანს შემდეგ ამაყად აიღო თავი მაღლა და იმავე გულგრილობის დაცინვითა ჰსთქვა:

— თუ ეგ მართალია, ჩემო ქალბატონო, თქვენც მონაწილე ყოფილხართ ლავერდაკის სიკვდილშია; თქვენ მიგიგზავნიათ მკვლელი. ხოლო ნება მომეცით, ორიოდე სიტყვა გითხრათ თქვენის უგუნურის და გიჟურის ეჭვის თაობაზედ. თქვენ მე გძულვართ, ძალიან კარგი; თუმცა ეგ ჩემთვის დიდად შესაწუხარია, მაგრამ იმოდენადა ვარ ჭირში გამოყენებული, რომ მაგ თქვენს მძულვარებასაც გაუძლებ. ხოლო მაგ ბრალს, რასაცა მდებთ, მაგ ცილისწამებას, რომელსაც შეუძლიან პატიოსანი კაცი ბრალეულთა სკამზედ დასვას, — ვერც ავიტან და ვერც შევიწყნარებ. მე იმედი მაქვს, რომ თქვენ თავის დროზედ ეგ სანანურად გაგიხდებათ და ბოდიშს მოიხდით ჩემ წინ, მაგრამ ერთი ეს მინდა შევიტყო, რას იქმოდით თქვენ, რომ არამც თუ მარტო გულის ხმა გაჯერებდეთ, არამედ საბუთიც გეჭიროთ ხელში, რომ მე ვარ იმისი მკვლელი?

— რას ვიქმოდი? — უპასუხა კლარამ მტკიცედ. — მაშინვე მართლმსაჯულების ხელში მიგცემდით.

— აი და ბარაქალა! კარგი, გვეყოფა ეგ ზღაპრები, ჰსჯობია, საქმეს დავუბრუნდეთ. თქვენ გსურთ საბუთი იქონიოთ, რომ მკვლელი სწორედ ის დაჭერილი კაცია; თქვენთვის საბუთია საჭირო, რომ თქვენს ქმარს ეჭვი აჰხადოთ. ბატონი ბძანდებით, ეგ საბუთიც მოგერთმევათ.

— ვინ მომცემს მაგ საბუთს?

— თვითონ ის. რას იტყვით, რომ თვითონვე ჰსთქვას, მე მოვკალ ლავერდაკიო და არა სხვამაო?

— თუ თვითონ იტყვის?

— დიაღ თვითონ.

კლარამ ხმა აღარ ამოიღო; გონება მიუწდომელმა გულდინჯობამ და გაბედვით ლაპარაკმა მორტალისამ გააოცა კლარა და

გზა და კვალი აურივა. პატიოსანი ქალი უნებლიედ დაემორჩილა კადნიერს და ლაღს სიცრუესა, რომელიც ყველაზედ უფრო მოქმედობს ხოლმე წმინდა, გულუბრყვილო ადამიანზედ, რადგანაც თვითონ ამგვარს ადამიანს არ ძალუძს ტყუილის თქმა. მორტალის გამბედაობამ სრულად შეუშალა კლარას აზრები და მის გულში ხელახლად გაიღვიძა ეჭვმა; ხელახლად მოჰყვა თავის თავის დარწმუნებას, რომ მორტალი ამ საქმეში უბრალოა და დამნაშავე რამბერია, რომელსაც თვითონ, თუმცა არ იცნობდა, მაგრამ გაზეთები კი გაჰკიოდნენ, რომ თოკიდამ გამოშვებული ავაზაკიაო.

— ჰსჯობს, — ჰსთქვა კლარამ ბოლოს — მოვიცადო, მინამ ის თვითონ გამოტყდებაო.

ამით დაიმშვიდა გული, მოშორდა თავის ქმარს და წავიდა თავის ოთახში. ქმარი დარჩა მარტოდ; ჰგრძნობდა, რომ კისრად იღო მძიმე საქმე, რომელზედაც დამოკიდებული იყო მთელი მისი სიცოცხლე. უნდა მოეხერხებინა, რომ ნოელ რამბერს თვითონ ეკისრნა ლავერდაკის მოკვლა და ჯალათის ხელში ჩაეგდო თავისი თავი.

მორტალი ძალიან შეწუხებული და არეული იყო. მას ახალი ფათერაკი კი არ აშინებდა, მას გულს უწყლავდა ის ფიქრი, რომ შეიძინა მტერი, ვინ იცის იქნება ყველაზედ უფრო საშიშარი, ყველაზედ უფრო დაუძინებელი და იგი მტერი ის ქალია, რომელიც მას უყვარს. მართალია, მხურვალე ტრფიალება დროთა განმავლობაში ცოტად გაუნელდა მორტალს და ნაწყენმა ამპარტავნებამ ასწავლა ისე მოიქცეს, რომ ვითომც აინუნშიაც არ მოსდის კლარას გულცივობა, მაგრამ გულის სიღრმეში კი კიდევ ჰქონდა იმოდენა სიყვარული, იმოდენა გაუმაძღარი წადილი და თავმოწონება, რომ არ უნდოდა, კლარას ჰქონოდა ამაზედ ასეთი სამარცხვინო აზრი. ამ სახით, ხედავდა, რომ მისი საკუთარი ბედნიერება, ცოლ-ქმრობის მშვიდობიანობა და იქნება თვითონ მისი სიცოცხლეც საფათერაკოდ ხდება. ძალა რამ მოეხმარა, ვერ ბედავდა, ეშინოდა, რომ განწირულებამდე მიღწეული კლარა მარტო ერთს სიტყვას იტყვის და სრულებით დამღუპავსო. მხოლოდ ერთი ღონეღა იყო, თავი გადერ-

ჩინა; ეგ ღონე მოტყუება იყო. ხედავდა, რომ ეხლა კლარა ყოველფერზედ მზა არის, არაფერზედ არ დაიზოგავს თავს და უნდოდა როგორმე მოებირნა. ამისათვის საჭირო იყო, რომ კლარას ეჭვი როგორმე გაუქარწყლოს და რაკი ეჭვი აღარ ექნებოდა, მაშინ რიღასი ეშინებოდა. მორტალმა, როგორც გამბედავმა და საქმიანმა კაცმა მაშინვე მოისაზრა, რომ როცა რამბერს საქვეყნოდ ვათქმევინებ, ლავერდაკი მე მოკალიო, კლარა მარტო მაშინ აიყრის ჩემზედ ეჭვსაო, მაგრამ როგორ უნდა ეთქმევინებინა და რა გზით? დიდხანს იფიქრა მორტალმა და ბოლოს გადაჰსწყვიტა, რომ ეგ უნდა როგორმე ათქმევინოს თვითონ რამბერს და ამით ბოლო მოუღოს ამ საქმეს, რომელზედაც დამოკიდებული იყო მთელი მისი ბედი და სიცოცხლე.

ყველაზედ უწინარეს წვერი და ულვაში მოიპარსა. ამის გამო სრულად გამოეცვალა სახე. ასე რომ ქუჩაში მისი მახლობელნიც კი ვეღარა ჰსცნობდნენ; რაკი ესე ნახა თავის თავი და დარწმუნდა, რომ ვერა მცნობენო, წავიდა გამომძიებელთან, რომელსაც ძალიან კარგად იცნობდა და ჰსთხოვა, ნება მომეციო, მეც დავესწრაო, როცა რამბერის კითხვა იქნებაო; დაარწმუნა, რომ საშინლად მომინდა იმ უბედურის ნახვაო. გამომძიებელმა, რაღა თქმა უნდა, მაშინვე აუსრულა უცნაური წადილი ამ გავლენიანს კაცს. ამ სახით მორტალი შეხვდა რამბერსა და არამც თუ არხეინად ისმენდა საწყალის ჩვენებასა, არამედ გამომძიებელის ნებართვით, თვითონაც ორიოდჯერ ჰკითხა ამბავი იმ უცნობის კაცისა, რომელსაც, ნოელის სიტყვით, მოეკლა ლავერდაკი. აბა საბრალო რამბერი რას მოიფიქრებდა, რომ ეს კოხტა, გამოპრანჭული კაცი ლავერდაკის მკვლელია და გულწრფელად მოჰყვა და უამბო ყველაფერი. ბოლოს დაუმატა, რომ თუმცა მკვლელის სახელი არ ვიცი, მაგრამ რომ ვნახო, კი ვიცნობო.

— რით იცნობთ? — ჰკითხა გამომძიებელმა. იმითი ხომ არა, რომ ამბობთ, შავი ხშირი წვერი ჰქონდაო და უწყალო და მხეცური სახის მეტყველებაო?

— არა, — უპასუხა ნოელმა. — ხმაზედ ვიცნობ.

— როგორ თუ ხმაზედ?

— სწორედ. აი, ეხლაც ასე მგონია, ყურში ძიდგას-მეთქი იმისი რიხიანი, მრისხანე და ღვარძლიანი ხმა.

— მოწყალეო ხელმწიფევ, — უთხრა მორტალმა რამბერს. — მე გამომძიებელი არა ვარ, ისე გარეშე კაცი ვარ, მაგრამ მაინც კი სასურველია ჩემთვის, რომ უსაბუთოდ კაცი არ დაიხოცოს. მაგრამ, აბა, როგორ გინდათ, თქვენ დაგიხსნან მაგ სუსტის საბუთის ძალით, აქაოდა ყურში ჩამრჩენიაო ხმა კაცისა, რომელიც რომ გაჩვენონ კიდეც, იქნება ვერც კი იცნოთ...

რამბერი გაოცებული ყურს უგდებდა ამ სიტყვებს, რომელიც წარმოთქმულ იყვნენ არხეინად, თავმოწონებით და ცოტა დაცინვითაც. ყურს უგდებდა და ჰკითხავდა თავის თავს: „რა ვქნა, ეს ხმა რად მეცნობაო, თითქო ოდესღაც გამიგონიაო“.

— მართალი ბძანებაა, — უპასუხა რამბერმა უიმედობის მოწიწებითა. — მაგ საბუთით თავის დასხნა შეუძლებელია. მაგრამ რა ვქნა? ბრალსა მდებენ და უბრალო კი ვარ.

ესა ჰსთქვა თუ არა, ხველა აუვარდა და წითელი ლაქები გამოუჩნდნენ ლოყებზედა.

— აი, ყველაზედ უფრო მტკიცე განაჩენს სიკვდილისას ეს დამიწერს, — დაუმატა რამბერმა, გაიქნივა თავი და ულონოდ ჩამოჰყარა ძირს მკლავები.

შინ რომ მოდიოდა მორტალი მხიარულად იყო და ჰფიქრობდა:

— პირველი ბიჯი გადადგმულია. მე ახლა უშიშრად შემიძლიან იმასთან ლაპარაკი, არა მგონია, მიცნას. საწყალი! აბა რამდენი კაცი უნდა დაღუპოს ხოლმე კაცმა, რომ ამ ქვეყანაში გზა გაიკაფოს! მაგრამ რა? ერთით მეტი იქნება, თუ ერთით ნაკლები სულ ერთია! თუნდ ეგ არ იყოს, აბა რა ეშველებოდა ჭკვიანსა და ძლიერს კაცს, თუ ულონო სულელებსაც კაცმა ყური უნდა ათხოვოს?

იმავ საღამოს მორტალმა გამარჯვებულის სახით უამბო კლარას, რომ რამბერი ვნახეო. ერთი უბრალო რალაც ქურდბაცაცა კაცი ყოფილაო, იქნება ბუნებით არც ცუდი კაცი ყოფილიყო, მაგრამ გარემოებას ავ-კაცად გაუხდიაო. კლარამ ცივად და შეწუხებულის სახით მოუსმინა და ნაღვლიანად უთხრა:

— მე გთხოვთ, ნუღარას მეტყვით იმ კაცზედ, ნამეტნავად თუ მართლა დამნაშავეც არის. მე მეშინიან, როცა კაცის

კვლაზედ მელაპარაკებიან და მე ძალიან მადლობელი ვიქნები, თუ მაგვარს რასმეს აღარ მოიმაგონებთ.

— თქვენი სურვილი ჩემთვის ბძანებაა, — უპასუხა მორტალმა, გამოიცვალა რა უეცრად კილო. — რატომ არას მეუბნებით, რომ წვერ-ულვაში მოვიპარსე. მე მომაგონდა, რომ თქვენ გეჯავრებოდათ ჩემი გრძელი წვერი, ამიტომ მოვიპარსე და იმედი მაქვს, ეს ამბავი თქვენი სასიამოვნო იქნება და ამასთანავე ჩვენი შერიგებელიცა.

ხელი მოჰკიდა კლარას ხელს, მაგრამ კლარამ სწრაფლვე გამოაცალა შიშითა და ზიზღითა.

— ბრძანდებოდეთ, რამდენიც გნებავდეთ, ეგრე მიუკარებელ მზეთუნახავ ქალად, — უთხრა მორტალმა ისევ უწინდებულად და ცივად და დაცინვითა. — მე მოგიტანეთ ახალი ამბები იმ კაცის მკვლელზედ იმიტომ, რომ მინდოდა დამემტკიცებინა თქვენთვის, რამოდენად უსამართლოა და საწყენი თქვენი ჩემზედ ეჭვები. ეხლა კი, რაც გნებავდეთ, ის იფიქრეთ. მშვიდობით.

დაცინებით თავი დაუკრა და მაშინვე გავიდა ოთახიდამ.

საწყალმა კლარამ არ იცოდა, რა ექმნა. პირვანდელი ეჭვი მორტალის დამნაშაობაზედ თანდათან უქრებოდა. ეხლა სამყოფი საბუთი აღარა ჰქონდა, რომ ამ საგანზედ მტკიცედ ან ჰო ეთქვა, ან არა. მისი ჩჩვილი, სათუთი ბუნება ერთს იფეთქებდა ხოლმე, როცა ბოროტს ხედავდა და ხანრგძლივად კი ბრძოლას ვერ იტანდა. კლარა ეხლა ჰგრძნობდა, რომ ღონე მიეხადა, დაიღალა და მორტალი ისევ მის ბძანებელად შეიქმნა. კლარას მაინც კიდევ ჰსძულდა თავისი ქმარი, მაინც კიდევ ჰსწამებდა ბრალს და ეზიზღებოდა, მაგრამ იმოდენა მხნეობა აღარა ჰქონდა, რომ ის ზიზღი, მძულვარება და ბრალი პირდაპირ წაეყენებინა ქმრისათვის პირში. ამასთანაც ცოტაოდნად ეჭვიც შეეპარა გულში, იქნება ჩემმა ქმარმა მართალი ჰსთქვა და რამბერი იყოს ლავერდაკის მკვლელიო. საწყალმა ქალმა თავი მოიხარა და მოწიწებით დაეთმორჩილა ბედს.

მორტალიცა ხედავდა, რომ კლარა აქამდინაც მტრულის თვალით იყურებოდა, მაგრამ ეგ მტრობა ეხლა დამორჩილებულ იყო და არაფერს საშიშარს არ მოასწავებდა. რაკი კლარას ფიქრი აღარა ჰქონდა, იგი თაეისუფლად შეუდგა საქმეს და ო-

ვის დასასხნელად ამზადებდა საბუთებს. მართალია, შესაძლო იყო კლარას ხელახლად მოჰბრუნებოდა მხნეობა, გამოსულიყო და საქვეყნოდ ბრალი დაედო მორტალისათვის, მაგრამ მორტალს იმედი ჰქონდა, თუ ოდესმე კლარა ამას გაბედავსო, გვიანღა იქმნებაო.

რამდენსამე დღეს შემდეგ დილით ნოელ რამბერმა, თავის ტახტზედ წამოწოლილმა, გაიგონა კარების ჭრიალი. წამოიხედა და ნახა, რომ მასთან შემოვიდა ვიღაცა მაღალის ტანის კაცი, კოხტად ჩაცმული, როგორც ეტყობოდა, დიდი კაცი იყო, იმიტომ რომ ყარაული ქუდმოხდილი მოჰყვა და მაშინვე უკანვე გაბრუნდა, როცა უბძანა:

— თქვენ წადით. მე ნება მაქვს, ამ პყრობილს ველაპარაკო. ყარაულის წასვლის შემდეგ უცნობი სტუმარი რამდენსამე ხანს ხმაამოუღებლივ იდგა და დაკვირვებით სინჯავდა საწყალს რამბერს, რომლის გამჭლეველებულს და დამჭკნარს სახეს კიდევ ეტყობოდა ნაღვლით მოცული ამაყი სილამაზე.

— ვერა მცნობთ? — ჰკითხა მან ბოლოს წყნარად და რიხიანადა.

— ვერა, — უპასუხა გულგრილად რამბერძა, თითქო ამის თქმა უნდაო. — ავადა ვარ, თავი დამანებეთო.

— შევხვედრილვართ კი ერთმანეთს, — უთხრა უცნობმა, რომელიც დანიელ მორტალი იყო.

— არ მახსოვს, — უპასუხა ნოელმა.

— მე ერთხელ დავესწარი, როცა თქვენ გკითხავდათ გამომძიებელი, — უთხრა მორტალმა და თვალს არ აშორებდა რამბერის სახეს.

— ჰო, ჰო!... — წარმოსთქვა ნოელმა, ანიშნა მორტალს სკამი და თვითონ კი მიეყრდო კედელს ხველება ატეხილი.

მორტალი ცოტას ხანს ჩაჩუმდა. საშინლად იყო გაფითრებული, მის სახეს ეტყობოდა, რომ რაღაც რამ აწევს გულზედ ლოდსავით, სტანჯავს და უნდა ამ ტანჯვას როგორმე მალე ბოლო მოუღოს.

— რამბერ, — უთხრა მან ბოლოს. — იცით თუ არა, რომ რაც უნდა კარგი ადვოკატი იშოვოთ, თქვენი საქმე წასულია, ყოვე-

ლიფერი თქვენ გამტყუნებთ და წინადვე მიჩნეული ხართ დამნაშავედ?

— ვიცი, — უპასუხა რამბერმა უიმედობის გულდინჯობითა.

— დამნაშავე კი არა ხართ?

— არა ვარ, — უპასუხა საწყალმა და არც კი გაინძრა.

— იცით კი, ვინ მოკლა ლავერდაკი?

— რომ ვიცოდე, ვიტყოდი.

— მაშ, დაღუპულხართ.

— სრულებით.

— მაშ ეგრე უდრტვინველად ემორჩილებით ბედს, ეგრე ხმაამოუღებლად კისერს უწვდით ჯალათის ნაჯახსა?

— მე!... მე ჩემი თავი მივანდე ადამიანთა, დეე, რაც უნდათ ისა ჰქმნან. მე ერთი იმათგანი ვარ, რომელთაც ბედი ჰსჩაგრავს. ქვეყანაზედ არიან უბედურები, ღატაკნი, დევნილნი. მე ერთი იმათგანი ვარ. დეე, დამსჯონ სიკვდილითა. ვის მოჰსცხობს ჩირქს უსამართლო განაჩენი. კაცთა მართლმსაჯულებას და სხვას არავის. რაც იქნება, იყოს.

— როგორ, არცა ნანობთ, არც იმდურებით?

— რაო, მითამ ვიტირო? ჩემი ცრემლი მარტო სამასხარაოდ გამხდის მე.

— შვილები არა გყავთ?

— ერთი შვილი მყავს, უპასუხა რამბერმა და, რა მოაგონდა თავისი ჟაკი, ხელახლად მოეცა წინანდებული მხნეობა. პატარა ბალღი მყავს, ლამაზი, როგორც ანგელოზი; ამ წუთის სოფელს რომ ვშორდები, მარტო ის ჩემი ბალღი მენანება და კიდევ ერთი სხვა ადამიანი.

— თქვენს შვილს რა ეშველება?

— აი, ეგა მკლავს კიდეც, — უპასუხა რამბერმა და მწუხარედ გაიქნივა თავი. — ჩემს ბალღს არტესი ჰყავს, მაგრამ შესაძლოა არტესიც მოკვდეს და მაშინ სულ მარტოდმარტო დარჩება. ეჰ, მაგაზედ რად მელაპარაკებით, წყლული ხელმეორედ რად ამატკივეთ? ნუთუ გგონიათ, ჩემთვის ძნელი იქმნებოდა კისერი გამეწვდია თავის მოსაჭრელად ჯალათისათვის, რომ არა მრჩებოდეს პატარა ბალღი, რომელსაც დღეს დაუმწარებს სიცივე, შიმშილი, წყურვილი და მარტოობა. სიკვდილი კი არ

მაშინებს, მე მაშინებს სიღარიბე, ის საშინელი სიღატაკე, რომელსაც მე ვუგდებ სამკვიდროდ ჩემს საწყალს ბალღსა?

— გინდათ კი, რომ თქვენმა ბალღმა არა ნახოს არც შიმშილი, არც გაჭირება? — ცივად წარმოჰსთქვა მორტალმა, მიხვდა რა მაშინვე რამბერის გულისტკივილსა.

— მინდაო! — დაიძახა რამბერმა და სიხარულით სავსე თვალით დააცქერდა მორტალსა. — განა შესაძლოა? რად შეუბნებით მაგასა? ხომ თქვენც იცით, რომ ეგ ფიქრადაც მოსასვლელი არ არის.

— რატომ? ძალიან შესაძლოა.

— კარგით ერთი, სირცხვილია ჩემისთანა უბედურის ეგრე მასხარად აგდება.

— მე თქვენ გეუბნებით, რომ თქვენი შვილი მდიდარი იქნება, თუ თქვენ მოინდომებთ.

— ჩემი ჟაკი მდიდარი იქნება, თუ მე მოვინდომებ? აბა, მითხარით, რა არის მაგისთვის საჭირო? — დაიძახა რამბერმა, შეეპარა რა გულში დაუჯერებელის დაჯერება. რა უნდა შევწირო? ხელი, ფეხი, თავი თუ რა? ოღონდ მითხარი, რა უნდა ვქმნა, და გეფიცებით ყოველსფერს, რაც კი მწამს, გეფიცებით ჩემს ბალღს, რომ არასფერს დავზოგავ და ყოველისფრისათვის მზათა ვარ!

-- უნდა დაიბრალოთ, რომ თქვენ მოჰკალით პოლ ლავერდაკი, — წარმოჰსთქვა მორტალმა კადნიერად და მოჭრით.

— მე! — დაიძახა რამბერმა და გაშტერდა, თითქო ზარი დაეცაო.

რამდენსამე ხანს გიჟსავით დააცქერდა ფერმკრთალს და უგრძნობელს სახეს მორტალისას; თავის თავსა ჰკითხავდა მართლა მითხრა, თუ მე მომესმაო ის ბედკრული სიტყვებიო. მისმა სნეულებისაგან დასუსტებულმა თავმა ვერ დაიტია ისეთი ყოვლად შემმუსვრელი აზრი; გონება დაებნია, საჭირო იყო დრო, რომ ისევ გონება მოეკრიფა, მოეფიქრა, მოეაზრა.

— ეგ შეუძლებელია, უგუნურებაა! — ჰსთქვა რამბერმა ბოლოს ხმადაბლა, იქნევდა რა თავს, როგორც ბაშვი, უნუგეშოდ. — როგორა ვჰსთქვა, რომ კაცი მოვკალ მეთქი? განა მე მოვკალი? ან რად ვიტყვი მაგას? რაო ჩემო... რის გულისთვის,

რას გამოვრჩები. ან თქვენთვის რა საჭიროა, რომ მაგისთანა პირობას მიდებთ?

— კაცი, რომელმაც პოლ ლავერდაკი მოჰკლა, ჩემი მეგობარია, — უპასუხა მორტალმა გულგრილად და არ მოაშორა კი თვალი ნოელსა. — და მე მინდა, ის დავიხსნა. მე მინდა, სხვამ დაიბრალოს და ჩემი მეგობარი განათავისუფლოს ყოველის ეჭვისაგან.

— განა მე ვიღა დამარწუნებს, რომ ლავერდაკის მკვლელი თვითონ თქვენ არა ხართ?

— აი, დამაცქერდით, თუ მე ვარ. ჰსთქვა თუ არა ეს მორტალმა, მივიდა რამბერთან ახლო, გულხელი დაიკრიფა და დადგა უძრავად, არხეინად, ერთი ძარღვიც არ აუტოკდა. იდგა ისე და ელოდა ბედისწერის განაჩენსა.

ეს კაცი, ქვისაგან თუ ყინულისაგან გამოჭრილი, აოცებდა რამბერს, რომელიც ამაოდ ცდილობდა ეპოვა ამ უძრავ, უგრძნობელ, მოპარსულ სახეზედ ნიშანი იმ შავ-წვერა კაცისა, რომელმაც ლავერდაკი მოჰკლა. ან როგორ უნდა დახსომებიყო ნიშნები კაცისა, რომელიც ერთ წუთს ელვასავით თვალწინ გამოუკრთა და გაუქრა; მერე იმისთანა საშინელ ამბავშია? მარტო ერთი რამ ჩარჩა სახსოვარში მკვიდრად; ეგ ერთი რამ, — ხმა იყო ხაზიანი, ზარიანი და მრისხანე. ეგ ხმა ეხლა როგორღაც ეცნობოდა: „მაგრამაო, ფიქრობდა რამბერი, თუ მართლა ეს ის კაციაო, შიშით აქ, ჩემთან როგორ მოვიდოდაო, ხომ ვიცნობდი და გავცემდიო. უსათუოდ ვჰსტყუვდებიო, ეს ლავერდაკის მკვლელი არ უნდა იყოსო.

— აბა, — უთხრა მორტალმა თავის დამცინებელის და ხაზიანის ხმით. — გეცნობით თუ არა?

ამ ხანად კი ხმაშიაც და სახის მოძრაობაშიაც რაღაც ენიშნა რამბერს, ასე რომ გაოცებით უკან დაიწია. ისეთნაირად მიაბჯინა თვალები მორტალს, რომ მორტალი ცოტა არ იყო შეძრწუნდა და აირია. თუმცა წუთის შემდეგ მორტალმა ხელახლად მოიბრუნა წინანდებული სითამამე და გაბედაობა, მაგრამ გვიანღა იყო. რამბერმა მის თვალში ამოიკითხა ყოველისფერი და იცნო პოლ ლავერდაკის მკვლელი.

— ვიპოვე მკვლელი, ვიპოვე! — დაიძახა რამბერმა რაღაც

უცნაურის და გიჟურის სიხარულითა. — შენა ხარ მკვლელი, შენ!

— მართლა? — უთხრა მორტალმა აუმღვრეველას გულდინჯობითა.

— ჰაი, ჰაი! — განაგრძო რამბერმა. — მე ვიცოდი, რომ ეს უწყალო სიზმარი წავა, ეს ძძიმე ლოდი, როცა იქნება, ამეხდება! მე მაბრალებდნენ, მე მარცხვენდნენ, მე ვეუბნებოდნენ კაცის მკვლელი ხარო, ავაზაკი ხარო! აი, ვინ არის ავაზაკი, ვინ არის კაცის მკვლელი! მე ვიპოვე, მე! აქ არის, აქა დგას ჩემ წინ. ეხლა მე რა მიჭირს, რა! მოვრჩი ამ ვაებას!

გიჟსავით ატაცებული სიხარულით ეცა კარებს, რომ ყარაულს დაუძახოს, მაგრამ მორტალმა, ფერმიხდილმა და გამბედავმა, ხელი წაავლო და ხმადაბლა უთხრა: — ნუ ეძახით ნურავის, თქვენი ყვირილი უქმია. მე თქვენთან მოლაპარაკება მინდა, მარტო თქვენთან, გესმით თუ არა?

— აი, დალახვროს ეშმაკმა! ერთი ვინმე ხომ მაინც გამიგონებს! — დაიძახა რამბერმა და ცდილობდა ხელიდან როგორმე გამოუსხლტეს მორტალსა, მაგრამ ამ დროს აუვარდა ხველა, ტუჩებზედ მოადგა გასისხლიანებული დუჟი და საცოდავი ღონემილეული დაეშვა თავის ხმელს საწოლზედა.

— ყური მომიგდეთ, — უთხრა მორტალმა გარკვევით და ბძანებლობის ხმით. — აქ ეხლა ორი კაცია: ერთი სასიკვდილოდ გადუდვია უკურნებელის სენის განაჩენსა, მეორეს კი ჯანიცა აქვს და წყურვილიც სიცოცხლისა. თქვენი მსაჯული — შეუბრალებელი და შეუწყნარებელი სიჭლექია. თქვენს ხველას სისხლი ამოსდევს და დღენი დათვლილი გაქვთ. მე კი ჯანმრთელი ვარ და მსურს ყოველივე ამოვნება სიცოცხლისა ვიგემო. თქვენ მეუბნებით, რომ მიცანით, ვითომ ლავერდაკის მკვლელი ვარ, მართალია, გესმით თუ არა, მე მოვკალი ლავერდაკი. თქვენს წინაშე ვაღვიარებ ამასა. მე მეჯავრებოდა ის კაცი და მოვკალი კიდეც. ეს ყველა კარგი. ხოლო მოწმები ამისი არიან სადღე? მარტო ერთადერთი მოწამეა და ეგ მოწამე თქვენა ხართ, მაგრამ თქვენ თვითონ გაბრალებენ მაგ დანაშაულობას. თქვენ ბრალდებული ხართ და ბრალდებულადაც დარჩებით. თქვენ ამბობთ, რომ მიცანით, ძალიან კარგი. აბა ერთი გაბედეთ და

ჰსთქვით, რომ პოლ ლავერდაკის მკვლელი ის კაცია, რომელსაც თვითონ გამომძიებელი ნებას აძლევს ტუსაღებთან მისვლა-მოსვლისას. მე თქვენის მსაჯულებისა მეგობარი კარ და, აბა რა თქმა უნდა, ჩემგან კაცის მკვლელობა ფიქრადაც არ მოუვათ. თქვენი შეწამება მე არას დამაკლებს და თქვენვე დაგიმძიმებთ სასჯელსა. ხომ გესმით, რომ არავინ არ დაგიჯერებთ, არავინ ყურსაც არ გათხოვებთ... თქვენი დანაშაულობა დამტკიცებულია და ამაოღა იქნება თავი გამოიდოთ. აბა, ჯიბეში ფული გიპოვეს და თითქმის სატევარით ხელში ზედ მკვდარზედ მოგასწრეს. თუ ჩემს თავს სამართალში მიაყვანინებთ, მე თქვენზედ ვიტყვი, რომ ამან მოკლა-მეთქი და მე ყველანი დამიჯერებენ. გეუბნებით-მეთქი, რომ თქვენი დახსნა შეუძლებელია. აბა, გაისინჯეთ თავი. თქვენ ასეთი სნეულება გჭირთ, რომ ვერც მაგას გადურჩებით. პირდაპირი თქმა ჰსჯობია: თქვენ ორი ასეთი ულმობელი ჯალათი გადგათ თავზედ, რომ თავის დღეში არ შეინდობენ ხოლმე კაცს: ერთი გილიოტინაა და მეორე სიჭლექე. თქვენი სასიკვდილოდ მილეული აგებულება ამ ორთა ეკუთვნის მთლად; ხომ გესმით, რასაც გეუბნებით? მე ვხედავ, რომ თქვენ მხდალი კაცი არა ხართ.

— თქვენ თვითონვე მიცანით ეგრე? მომილოცავს, მერე? — უთხრა რამბერმა და უკვირდა ამისთანა გონებამიუწდომელი კადნიერება და უსირცხვილო ლაღობა.

— თქვენ ეს იყო, — განაგრძო მორტალმა. — წარმოჰსთქვით საიდუმლო თქვენის ცხოვრებისა, თქვენი გულისტკივილი და წყლული. თქვენი ტკივილი თქვენი შვილია. თუნდა გამართლებული გამოხვიდეთ კიდეც სასამართლოდამ, ზედ კარებზედ დაგხვდებათ სიღარიბე — ყველაზედ უარესი და საშინელი სულთამხუთავი. მე ვიცი, რომ თქვენი მწუხარება თქვენის შვილის ბედია, როცა თქვენ აღარ ეყოლებით. რა თქმა უნდა, რომ მას მოელის უსყალო სიღატაკე, წვალება და ტანჯვა ლუკმა-პურისათვის. მეც თვითონ გამომიელია მრავალი ჭირი, მაგრამ მარტო ერთი მათგანი მაძრწოლებდა — ეგ სიღატაკე იყო. რომ იგი ამეცდინა, მე არა დავზოგე რა და არასფერს შევუშინდი, არას მოვერიდე და ყოველივე ვიკადრე. აი, დაილახვროს! მე მესმის, რა გაშინებთ თქვენ, რა ჰსწვავს და ჰსწყლავს თქვენს გულსა.

სიკვდილი არაფერია, მაგრამ ღატაკად ცხოვრება კი, მკლავის ძარღვების ჭიმვა, ქედის დრეკა, გონების ჩახჩობა უმადურის და მწარის ჯაფის უღლის ქვეშ — მეტად ძნელი რამ არის. მაგ სატანჯველს, მაგ ჯოჯოხეთს მიჰყავს ხოლმე მოუსვენარი კაცი ჭკუის შეშლამდე, სახჩობელამდე.

— მე არ ვიყავ მოუსვენარი კაცი, — ჰსთქვა რამბერმა ნაღვლით სავსეს ხმით. — მე მინდოდა მშვიდობიანად, მოსვენებით მეცხოვრა და აი, ბედმა სახჩობელას წინ დამაყენა. მე უბრალო და მართალი.

— აბა, ვის ძალუძს გულდაჯერებით გითხრათ, რომ თქვენი შვილიც მაგ დღეში არა ჩავარდება?

— ჩემი ჟაკი? — დაიძახა ელდაცემულმა რამბერმა.

— ღატაკად დაბადებული ღატაკადვე მოკვდება.

— იმუშავებს, დრო გამოიცვლება, — უპასუხა რამბერმა, ცდილობდა რა როგორმე დაარღვიოს სატანებრაივი ლოღიკა მორტალისა.

— ეჰ, რამდენი საუკუნეა, რაც მაგ იმედზედ არიან.

— არა და ჩემი ჟაკი მოკვდება პატიოსან მუშა კაცად, როგორც მე.

— დიახ, მოკვდება და, ვინ იცის, იქნება მოკვდეს ისე, როგორც თქვენა ჰკვდებით — ავაზაკის სახელითა.

— ერთი მითხარით, ვინა ხართ თქვენ?! — დაუკივლა რამბერმა. — იქ კაცისმკვლელი იყავით და აქ ჩემ შესაცდენად მოსულხართ! თავი დამანებეთ. მე გაგამხელთ, ვინცა ხართ. მე დამიჯერებენ, მომცემენ სამართალსა.

— აბა, ჰსცადეთ და ნახავთ.

— გგონია, არა ვიქ თუ? თქვენა გგონიათ, რომ ცხვარსავით დავეხჩობინები თუ? გიჟი ყოფილხართ.

— არა, მე სრულ ჭკუაზედა ვარ.

— მა რა გინდათ ჩემგან? — ჰკითხა ქანცგაწყვეტილმა რამბერმა.

— მე მინდა თქვენი შვილის ბედნიერება. მე მინდა, ეგ ბალღი, რომელსაც ბედი უქადის მარტო ტანჯვას და მწუხარებას, შეიდარი და ბედნიერი კაცი გავხადო. გესმით? თქვენის შვილის

ბედი ჩემს ხელშია. საქმე იმაშია, რომ მე მოვკალ კაცი და ქვეყანას კიდევ დამნაშავის დასჯა უნდა. ჰსთქვით მარტო, რომ მკვლელი თქვენა ხართ და თქვენი შვილი მდიდარი იქნება, ნება ექმნება უყვარდეს, აზროვნობდეს, მოქმედობდეს, სულდგმულობდეს, ერთის სიტყვით, იმისთანა ყოფა ჰქონდეს, რომელიც თქვენ არ შეგეძლოთ გქონოდათ და ისა ჰქმნას, რაც თქვენ არ შეგეძლოთ გექმნათ. მგონია, გულგაშლით გელაპარაკებოდეთ. თანახმა ხართ ჩემს პირობაზედ? გინდათ თუ არა?

— რა?

— სიმდიდრე.

— თუ სირცხვილი! თქვენ გინდათ, რომ ჰსთქვა, კაცის მკვლელი ვარ-მეთქი!

— თქვენ კი ის გინდათ, რომ ბრალმდებელმა დაამტკიცოს თქვენი დანაშაულობა, თავი მოგკვეთონ ისე, რომ თქვენ შვილს საინც სიკეთე არ მოუტანოთ?

— თქვენ პირობად მიდებთ სამარცხვინო საქმეს.

— აქ ვაჭრობაა. მე ვყიდულობ თქვენგან ჩემს ბედს. მე გეუბნებით, თქვენ დაიბრალეთ-მეთქი და ამაში ნაღდს ფულს გაძლევთ.

— იცით რა? — უთხრა გულმოსაკლავის ხმით საწყალმა და პატიოსანმა წამებულმა. — თქვენ საშინელი რამა ხართ!

— ნუთუ თქვენს სიცოცხლეში მარტო ბატკნები შეგხვედრიათ, რომ მგლის დანახვაზედ ეგრე შიშობთ? — ჰსთქვა დაცინებით მორტალმა.

მორტალი ცოტა ხანს ჩაჩუმდა და მერე ისევ განაგრძო:

— კიდევ გიმეორებთ, მე კარგს და გამოსადეგს პირობას გიდებთ. მე თქვენ სულს ხომ არა ვყიდულობ, მე ბევრს გაძლევთ, ძალიან ბევრს თქვენს ხორცში, რომელიც თქვენ აღარ გეკუთვნით. სულ ამაოდ გამოიდებთ თავს. თქვენ ადამიანი აღარა ხართ, თქვენ ბრალდებული ხართ, რომლის გამართლებაც შეუძლებელია. თქვენ ეხლა უსულო საგანი ხართ კანონის ხელში, რომელიც თავის ბრჭყალებიდამ აღარ გამოგიშვებთ. ყოველისფერი თქვენ გამტყუნებთ: თქვენი სიღარიბე, თქვენი სიღატაკე, თქვენი კავშირი დედაკაცთან, რომლისაგანაც შვილი გყავთ, თქვენი დაუჯერებელი ჩვენება და არავინ მიგიხვდებათ,

რომ მაგ დათენთილ და გათელილ სახის ქვეშ პატიოსანი გული დაფარული. მაშ თქვენის ნებითვე გარდაეცით კანონს თქვენი სიცოცხლე, რომელსაც უიმისოდაც წაიღებენ და რომელიც დღე-და-დღე დნება უკურნებელის სენისაგან. თქვენ დაიბრალეთ ლავერდაკის სიკვდილი და თქვენი შვილი, ოცის წლისა რომ გახდება, მიიღებს ნოტარიუს ნობლესაგან ორასი ათას ფრანკსა და, თუ გნებავთ, დღესვე მაგ ფულის პატრონად გავხდი.

— ორასი ათასი ფრანკი, — განიმეორა უაზროდ რამბერმა.

— დიახ, ათი ათასი ფრანკი სარგებელი ექმნება, — უპასუხა მორტალმა. — და მინამ თქვენი შვილი გაიზრდება, თავნი და სარგებელი დიდს ფულს შეადგენს.

ამ სიტყვებზედ ამოიღო ჯიბიდამ ნოტარიუს ნობლეს მოწმობა, რომ ორასი ათასი ფრანკი აბარია, რომელიც რამდენსამე წელიწადს შემდეგ უნდა გადაჰსცეს მას, ვისაც მორტალი ეხლა დაუნიშნავს.

— ეგ რა არის? — იკითხა რამბერმა გაოცებით.

— ქაღალდია, — უპასუხა მორტალმა. — ეხლა ამისი ფასი ორასი ათასი ფრანკია და რამდენსამე წელიწადს შემდეგ თითქმის ერთი-ორად ეღირება. დაღვრილის სისხლის სამაგიერო სასჯელი თქვენ იკისრეთ და ეხლავ ჩავწერ ამ ქაღალდში თქვენის შვილის სახელს. რამდენის წლისაა?

— ხუთისა და მეექვსეში ჩადგა. ჩემი საცოდავი ჟაკი! — წარმოჰსთქვა რამბერმა, თითქო თვალწინ წარმოუდგაო გაცრეცილი, გამხდარი სახე ბავშვისა.

— ჰა, რას იტყვით? — ჰკითხა მორტალმა.

— არა ვიქ, არა! — უპასუხა ნოელმა, რომლის მთელი ბუნება წინა აღუდგა საშინელს მაცდურებას, მაგ მხოლოობითს მაცდურებას, რომელსაც თითქმის ძლივს უძლებდა მისი მშვიდობიანი, პატიოსანი და ჯაფისმოყვარე გული.

— მაშ არ გინდათ?

— ეგ ქაღალდი რომ ტყუილი იყოს, თავდები ვინ არის?

— ნოტარიუსი ნობლე, რომელსაც ხელი უწერია. ჩემს ხელს აღარ ვამბობ.

— მოწყალეო ხელმწიფევ, — უთხრა რამბერმა კანკალით (ცივმა ოფლმა დაასხა და წვეთ-წვეთად დაუწყო დენა ლოყებზედ). — პაემანი მომეციო, რომ მოვიფიქრო.

— ორი დღე მომიცია.

— მე რომ კაცი გამოგიგზავნოთ, ხომ ქალალდს გამომიგზავნით?

— ვის გამოგზავნით?

— ერთს პატიოსანს კაცს, რომელიც ეხლა კაი კაცად მიცნობს და იქნება ამ ცოტას ხანში ისე შემიზიზღოს, როგორც სხვებმა, — პასკალ არტესსა.

— მე იმას ვიცნობ, — ჰსთქვა ღიმილით მორტალმა.

— მაშ კარგი, — ჰსთქვა რამბერმა ყრუდ, მაგრამ კი საზარო ხმითა. — ეხლა წადით და დამანებეთ თავი.

— ნახვამდის, — ჰსთქვა მორტალმა და რომ გამოდიოდა საპყრობილედამ, გაიფიქრა ღიმილით. — აბა, თუ გნებავს, ეხლა გამამხილე, აი!

მოულოდნელმა, დაუჯერებელმა, დამთხვეულმა პირობამ ბორტალისამ საშინლად შეაწუხა საცოდავი ნოელი. მისმა ამოდენა სულისა და ხორცის ტანჯვისაგან დაუძლურებულმა გონებამ ვერ მოითავსა ნამდვილი აზრი ამ საშინელის პირობისა. ერთის მხრით, კაცის მკვლელობის დაბრალება სამარცხვინოდ გახდიდა მის სახელს საუკუნოდ, თუმცა კი უამისოდაც კაცის მკვლელად მიაჩნდათ ყველას და საზოგადოება დარწმუნებული იყო ამის დანაშაულობაზედ; მეორეს მხრით — მტლად დადება თავის თავისა, ეგ დიდი თავგანწირვა, რომელსაც ურჩევდნენ, საუკუნოდ უბედნიერებდა შვილსა. თუნდაც გაემართლებინათ კიდეც, სადღა იშოვიდა სამუშაოს? ვიღა მიიკარებდა? არცერთი ქარხანა არ მიიღებდა ერთხელ კაცის მკვლელობაში შეწამებულს კაცსა, რომელმაც თავი გადირჩინაო, იტყოდნენ, ეშმაკობით და მოტყუებითაო. მართალია, არტესის შემწეობით, კიდევ იქნება როგორმე მოეხერხებინა და ეშოვნა სამუშაო და ისე ერჩინა ვაი-ნაჩრობით თავის თავი და შვილი, მაგრამ მუშაობას ჯანი უნდა და ღონე. მორტალმა მართალი უთხრა, სიჭლექე შეუწყალებელი მტერია, სიჭლექე ხომ არ დაზოგავდა, მაინც ბოლოს მოულებდა და ჟაკი დაჰრჩებოდა უმწეოდ, უნუგეშოდ და

ულუკმაპუროდ. ამ სახით, გამართლდებოდა თუ გამტყუნდებოდა სამართალში, ერთი ბოლო იყო — სიკვდილი, — და რაკი სიკვდილი აუცილებელია, ფიქრობდა საცოდავი კაცი, განა სულ ერთი არ არის, რითაც უნდა მოკვდეს კაცი, გილიოტინითა თუ სიჭლექითა! გილიოტინით სიკვდილი იმით მაინც არის კარგიო, რომ ჩემს ჟაკს სარგებლობას მოუტანს. ნუთუ ჟაკი იმოდენად არა ღირს, რომ მის გულისათვის ორი სიტყვა ვსთქვაო: „მე მოვკალიო!“

— ყველა ყველა და განა მართლა ისე ავადა ვარ, რომ იმედი აღარ უნდა მქონდეს! — დაიძახა რამბერმა ხმამაღლა, იმ საშინელი ფიქრებით გარე მოცულმა.

მოითხოვა საპყრობილის ექიმი და ჰკითხა, ჭლექი ვარო თუ არა? ექიმი კეთილის გულის კაცი იყო და თავის დღეში არ იმეტებდა კაცს, რომ ამისთანა შემთხვევაში მართალი ეთქვა. ამიტომაც პირზედ ღიმილით უთხრა საცოდავს, რომ ჯერ სად არისო, თუნდ ასს წელიწადს კიდევ იცოცხლებთო, თუ ნამეტნავად კარგს ჰავაში იცხოვრებთო და კაი სასმელ-საჭმელი გექნებათო, ოთახიდამ კი რომ გავიდა, ტუსაღების ზედამხედველს უთხრა, მალე გაასამართლეთო, თორემ ეგ წინადვე თავისის სენით მოკვდებაო.

— მაგ სულელს არ გაეგება რა, — იფიქრა რამბერმა. — მერე ითხოვა, რომ წება მიჰსცენ, პასკალ არტესი ინახულოს. პასკალ არტესი მოუყვანეს და რომ ნახა, უთხრა ნაღვლიანად:

— არტეს, ერთი მძიმე საკითხავი მაქვს თქვენთან; ნუ დამიმალავთ, როგორც ყოველთვის მართალის მთქმელი იყავით, ეხლაც მარტო მართალი მითხარით: თუ თავი არ მომჭრეს კიდევ რამდენს ვიცოცხლებ?

— რამდენსაო?

— დიაღ. მე ვგრძნობ, რომ ჩემი აღსასრული ახლოა, განა მართალი არ არის, რასაც ვამბობ?

— თქვენ ძალიანა ხართ ავად.

— რომ მოვრჩე, ფულია განა საჭირო და გაუჭირებელი ყოფა-ცხოვრება?

— რა თქმა უნდა, რომ არც ერთს და არც მეორეს მე ვერ ვეღირსები, ტყუილია თუ?

— მართალია.

— ერთი კიდევ. მაგაებით კი უსათუოდ მოვრჩები?

— ნეტა მაგაებს რაოა მკითხავთ?

— ეგ მე ვიცი, რათაც. ჩემთვის საჭიროა, მართალი შეიტყო, რაც უნდა მწარე იყოს.

— რამბერ, — უთხრა არტესმა. — თქვენი ჟაკი ჩემთან არის. ველი დაიმშვიდეთ და თავს ნუ იწუხებთ.

— ეგ იმას ნიშნავს, რომ ჩემი იმედი აღარ არის.

არტესმა ხმაამოუღებლივ შეხედა რამბერს.

— მე ჭლექი მჭირს თუ არა?

არტესმა კიდევ მაინც ხმა არ გაჰსცა.

— მე ეგ ვიცოდი თვითონაც, — უთხრა რამბერმა: — რამოდენა ხანი კიდევ გავსძლებ?

დიდი მწუხარება და სიბრალული გამოჰსთქვა არტესის სახემ; მაინც ხმა არ გაჰსცა.

— ერთი წელიწადი?

არტესმა მაინც კიდევ ხმა არ ამოიღო და საშინელი, გულისსაკდომი პასუხი ენაზედ შეაკვდა.

— ნაკლებ? — იკითხა ხელახლად ნოელმა და გიჟსავით გაიცინა, თითქო იწვევსო, თქვი რაღაო: იქნება რამდენიმე თვეღა დამრჩომია, იქნება თვეც აღარ არის, რამდენიმე დღისაღა სიცოცხლე მაქვს? ნუთუ ეგღა დამრჩომია? ეგ არის რაღა მთელი ჩემი ავლა-დიდება? დიდი თანხაა, სწორედ მოგახსენოთ! მოდი და ნუ გაიცინებ ამისთანა ბედზედ!

მერე საცოდავს რამბერს წარბი შეეჭმუხვნა, სახეზედ გამოეხატა სიამაყე და გაბედაობა და ჰსთქვა ალერსიანად და სევდიანად:

— გმადლობთ, ბატონო არტეს!

დიდხანს ჩაჰრჩა ყურში არტესს ის მწუხარის ხმით ნათქვამი მადლობა საცოდავისა. დიდხანს ცდილობდა გამოეცნო, რისთვის მკითხავდა თავის სენის ამბავსა ეგრე დაჟინებითაო და რას ნიშნავდა ის გულსაკვდავი ხუმარსიტყვაობაო, ის უცარი რიხი და გამბედაობა ნოელ რამბერისაო.

V

ბოლოს მოვიდა სასამართლოში განკითხვის დღეცა. მხიარულმა აპრილის მზემ თითქო დამაცინარის ღიმილით მოჰფინა თავისი ბრწყინვალე შუქი ბნელს, შემჭვარტლულს სასამართლოს დარბაზს, ჭედით გატენილს ხალხითა. ნოელ რამბერმა იცოდა, რომ რამდენსამე წუთს შემდეგ უნდა წავიდეს და წარსდგეს ნაფიცთა და მსაჯულთა წინაშე; ფერი მიხდოდა და ტუჩებს მღელვარებით იკვნეტდა, ჟანდარმებიც, რომელნიც მოვიდნენ მის წასაყვანად, თვალს უშვრებოდნენ ერთმანეთს, თითქო ამბობენო: „რაო? დაგიწყო გულმა ძგერა თუ არა?“

მართალიც იყო. გული ძალიან შეწუხებით უძგერდა. იგი პატიოსანი, გულუბრყვილო კაცი, გულადი სხვისათვის თავდადებამდე, კეთილი სხვისათვის თავგაწირვამდე, უნდა დამნაშავეთა სკამზედ გამოცხადებულიყო და მოთმინებით ყური ეგდო, როგორ ჰკიცხვენ საქვეყნოდ, საჯაროდ ავაზაკს უძახიან, კაცის მკვლელად ხდიან. მოდი და ამისთანა ყოფაში გული გულის ადგილას გქონდეს! როცა ციხიდამ გამოიყვანეს სასამართლოში წასაყვანად, როცა ფეხი დაადგა პატარა და ვიწრო ჩამოსავალ კიბესა, ნოელ რამბერმა თვალები დახუჭა და ყოვლად შემძლების სიყვარულის ძალით გონების თვალწინ გამოიხატა სახე თავის პატარა ჟაკისა. მაგ უბედურს მამას, რომელსაც თავისი ბალღი ისე უყვარდა, რომ ყოველსფერს ქვეყანაზედ მას ანაცვალებდა, სხვა ნუგეში, სხვა მისაყრდომი არა ჰქონდა რა, გარდა იმისა, რომ შვილი მუდამ გულში გამოსახული ჰყვანდა.

როცა შეაღეს სასამართლოს კარი, საიდამაც შეჰყავთ ხოლმე ბრალდებულნი, ხმაურობა ხალხისა სრულიად შეჰსწყდა და ათასი თვალი მიაჩერდა ნოელ რამბერსა. პირველ ხანში ნოელს შერცხვა, ერჟოლამ დაურბინა ტანში; თავი ჩაჰკიდა და დააცქერდა მუაჯარსა, რომელიც გარს ერტყა ბრალდებულთა სკამს. მაგრამ მალე მოიბრუნა გული, ჰსთქვა, ბოლომდე უნდა ვიბრძოლო და ბედის უღელი ვწიოო, აიღო მაღლა თავი და გულდამშვიდებით აქეთ-იქით ყურება დაიწყო. გრძნობის რაღაც უცნაურის ცდუნებითა, ახლა თავის თავი ბრალდებულად აღარ ერჩვენა; ეგონა, მე თვითონ მაყურებელი ვარო და ის საზარელი

დრამა, რომელზედაც დამოკიდებული იყო მისი სიკვდილ-სიცოცხლე, ეგონა ტყუილი სიზმარიაო, თეატრის წარმოდგენააო.

ამ გრძნობათა ცდუნებამ გული გაუღო რამბერსა. ღიმილით შეხედა ლუდოვიკე XVI დროინდელს ხვამლსა, რომელიც დარბაზის შუა ჩამოკიდებული იყო, უშველებელს ძველს ბუხარსა, მჭვარტლიანს ჭერსა, მსაჯულებს, რომელნიც მწკრივად ისხდნენ წითელის მანტიებით, გადახედა ხალხსაც — სეირის საყურებლად მოსულსა, მხიარულ?ა თბილმა სხივმა აპრილის მზისამ, რომელნიც ფარდებშუა გამომჭვირვალებდა და თამაშობდა ქალების ტანისამოსზედ და კაცების მოტკლეპილს ოავებზედ, სხვაგან გაიტაცა რამბერის გონება. რამდენი ხანია არ ენახა მზის შუქი და უნებლიედ გაიფიქრა:

— რა კარგი რამ იქნება ეხლა ვენსენის ტყე! დღეს ხუთი აპრილია. ყველაფერი ახლად ამწვანებული იქნება და გაცოცხლებული. რამდენი ხალხი იქნება ეხლა იქ სასეირნოდ, რარიგად ეთბილება, რამდენს სიტკბოებას იგემებს იქ კაცი!

ბრალმდებელმა ოქმმა გაუფანტა საწყალს რამბერს ეს ტკბილი ოცნება და კვლავ წინ დაუყენა ის საზარელი ყოფა, რომელშიაც ასე უღვთოდ ჩავარდნილი იყო. პირისპირ ედგა უკანასკნელს მოქმედებას დრამისას, უკანასკნელ სიტყვას უსამართლო დევნისას, რომელიც წინადაუხედავმა ბედმა აწვია. ყოველივე ეხლა უნდა გათავებულიყო. ეს არის, რით ვათავდებოდა? რამდენსამე საათს ან აღიარებდნენ დამნაშავედ, ან გაამართლებდნენ!...ნუთუ ეგ შესაძლებელია? ნუთუ ელირსებოდა განთავისუფლება ციხიდამ? ნუთუ კიდევ წმინდა ჰაერს ჩაჰყლაპავდა? ნუთუ კიდევ გადაეხვევოდა თავის შვილს, თავის პატარა ჟაკსა! თუნდ რომ შესაძლო ყოფილიყო განთავისუფლება, განა დიდხანს გასწევდა ეგ ბედნიერება? ვინ იცის, განა საჭლექეს წინადვე არ დაეწერა თავისი განაჩენი, მსაჯულთა განაჩენზედ უფრო მეტად შეუბრალებელი? ამ ფიქრებმა ცეცხლი წაუკიდეს უიმისოდაც იმ მწვავს ეჭვსა, რომელიც ჰსჯიჯგნიდა ამ უკანასკნელს დროს მის გულსა. ეხლა წარმოუდგა თვალწინ თავისი უიმედო, უნუგეშო ყოფა ცხადად და ნათლად. ეხლა ჰგრძნობდა სრულიად, რომ ორ საშინელ ცეცხლშუა იყო: ერთ

მხრივ განთავისუფლება და სიღატაკე ჟაკისა და მეორეს მხრით — სამარცხვინო სასჯელი და ჟაკის სიმდიდრე.

ამ სამწუხარო ფიქრებში წასული, იგი მხოლოდ მიგადაშიგ ათხოვებდა ხოლმე ყურს ბრალმდებელსა ოქმსა, რომელსაც უკითხავდნენ. ამ დროს უცებ მისმა მოსარჩლემ ხელში მიაჩეჩა რაღაც ბარათი. ნოელმა თვალი გადააკლო ნაწერსა და ამოიკითხა შემდეგი ბედისწერის სიტყვები, რომელთა აზრიც სხვისათვის გაუგებარი იყო და რამბერისათვის კი მეტად ცხადი: „ერთი, ერთადერთი სიტყვა და ყოველივე დღესვე გარდაცემული იქნება“.

თავის დღეში ამისთანა საზარელი და მწარე გრძნობა არ გამოუცდია ნოელ რამბერს, როგორც ამ წუთსა. თითქო უშველებელი ქვა გულზედ დააწვა, სული შეუგუბდა და ძლივსღა იბრუნებდა და ვინ იცის, იქნება თავის სიცოცხლეში პირველჯერ იგრძნო რაღაც გაუგებარი შიშიცა. ეშინოდა, გული არ შემიწუხლესო და არ გადავიქცეო და ამ სახით ამოდენა უსაქმო და ენაჭარტალა ხალხს მიზეზი არ მივცეო, რომ ქალაჩუნობა შემწამონო.

— ეჰ, რაც მომივა, მომივიდეს! — ჰსთქვა თავის გულში — ერთი განსაცდელი კიდე და ყოველივე გათავდება. კაცი კაცად უნდა იყვეს.

საშინელი ძალა იხმარა თავის თავზედ, მთელის ტანით გაიმართა, თავი მაღლა აიღო, ხელით დაებჯინა მუაჯარს, რომელზედაც დაბჯენილა იმდენი სისხლით შესვრილი ხელი, დაუწყო პირდაპირ ყურება ხალხსა, არა კადნიერებით, არამედ გულახდილად.

— ბრალდებულო, თქვენი სახელი? — ჰკითხა სასამართლოს თავმჯდომარემ.

— ლუი ფრანსუა ნოელ რამბერი.

— რამდენის წლისა ხართ?

— ოცდათოთხმეტისა, — უპასუხა უბედურმა, რომელიც თვალად ორმოცდაათის წლის კაცსა ჰგვანდა.

— რა ხელობის კაცი ხართ?

— ქარხანაში ვმუშაობდი.

საწყალი რამბერი ლაპარაკობდა ნელა, დაყუდებულის ხმით სწორედ ისე, როგორც ჭლექები ლაპარაკობენ.

— სამართლის ქვეშ ყოფილხართ როდისმე? — ჰკითხა თავმჯდომარემ.

— გხლებივართ, საპოლიტიკო მიზეზის გამო, — უპასუხა რამბერმა და მის პასუხმა ცუდად იმოქმედა მსმენელებზედ.

— თქვენც ერიენით ხალხის არეულებაში, თქვენც გიომნიათ ქუჩებში?

— დიაღ, შეცდომა იყო ეგ ჩემის მხრით, თოფი და ხმალი ვერაფერი წამალია სატკივარისა.

— მაშ, აღიარებთ, რომ ჰსცდებოდით?

— დიაღ, მე ეგ წინადაც მიღიარებია.

— როცა გაპატივეს პარიჟში მოხვედით, ისევ თქვენს საქმეს მოჰკიდეთ ხელი და ყოველთვის იმასა ჰსცდილობდით, რომ თქვენს ამხანაგებში აგეძრათ გრძნობა შურისძიებისა და მძულვარებისა. მუშაობის დროს იმისთანა სიმღერებს მღეროდით, რომელთაც მღერიან ხოლმე ჩვენის ისტორიის საუბედურო დროსა?

— მე იმას ვმღეროდი ხოლმე, რაც ჩემი ნება იყო, რაც მომწონდა, მაგრამ დიდხანს არ მიმღერია. მძულვარების შესახებ კი ამას ვიტყვი, რომ გეფიცებით ქვეყანაზედ კაცი არ არის, რომ მე მძულდეს.

— დიაღ, მე ვიცი, გინდათ გულკეთილ კაცად გამოიჩინოთ თავი.

— მე სხვაზედ კეთილი კი არა, სხვაზედ უბედური ვარ.

— არიან მოწმები, რომელნიც ამტკიცებენ, რომ თქვენ ყოველთვის თქვენს ამხანაგებს ამღვრევდით.

— მოწმებიო?

— დიაღ, თქვენივე ამხანაგები — მუშა კაცნი.

— ჩემი ამხანაგები მე მამტყუნებენ? საწყლები! შესაბრალისნი არიან და არა გასაკიცხველნი!

თავმჯდომარემ უბძანა, ჯეროვანი პატივისცემა იქონიეთ სასამართლოსი და მოწმებისაო.

— თქვენ მერე გიცდენიათ ახალგაზდა გასათხოვარი ქალი, სახელად გარდი, განაგრძო თავმჯდომარემ.

— გიცდენიაო? — ჰსთქვა რამბერმა და ძლივს იჭერდა თვალში ცრემლებსა. — მაშინ ჩვენ ერთმანეთი გვიყვარდა, ჩვენ სიყვარულით ვიყავით შეერთებულნი. რამდენსამე ხანს ნეტარებით ვცხოვრებდით, მერე უბედურება გვეწია, განეშორდით და ერთმანეთი დავივიწყეთ.

— მას, რასაც თქვენ სიყვარულის კავშირს ეძახით, მრუშობა ჰქვიან. ასეა თუ ისე, თქვენ ერთს მშვენიერს დღეს გაგიგდიათ თქვენი მეგობარი, დედა თქვენის შვილისა.

— მე არ გამიგდია, არა — უპასუხა რამბერმა. — ის თვითონ მიმოწმებს.

— მართა გარდმა გამოძიების დროს აჩვენა, რომ უწყალოდ ექცეოდით.

— მართლა? — ჰსთქვა გაოცებით რამბერმა.

— ხოლო თქვენდა სასარგებლოდ ეს უნდა ითქვას, რომ თქვენი უკანონო შვილი თქვენ შეგიწყნარებიათ. როგორა ჰზდით?

— როგორა? ისე, რომ მართლა კაი ბალღი დადგა. ბოლოს კაცადაც კი გამოვიყვანდი (ხალხმა გაიხარხარა). დიაღ, მე იმას მართლადა კაცად გამოვიყვანდი! როგორა ჰზრდიო? ისე ვზრდი, როგორც ზრდის შვილის ტრფიალი მამა. მე იმისათვის ოთხის კაცის ოდენა ვმუშაობდი ხოლმე.

— თქვენ არ გესმით, რის თქმა მინდა. მე გკითხავთ, შკოლაში სადმე გიბარიათ თუ არა.

— შკოლაშიო? არა, მე თვითონ ვასწავლიდი. ჯერ სულ პაწაწაა და წერა-კითხვა კი იცის.

— არა მგონია, თქვენ იმისათვის გესწავლებინოთ რამ.

— მე რომ დამცალებოდა, ყველაფერს ვასწავლიდი, რაც მე თვითონ ვიცი.

ხალხმა გაბოროტებით ხმაურობა შეჰქმნა.

— მართალნი არიან, — ჰსთქვა თავის გულში რამბერმა. უნებლიედ სირცხვილმორეულმა. — მართლადა, აბა მე რა ნება მაქვს, რომ ასე ვლაპარაკობ. ეს სიტყვები, რომელნიც აქა ვსთქვი, ჩემთვისვე სამარცხვინონი შეიქმნენ. ვიცი, ეხლა თავი როგორ უნდა დავიჭირო.

ამის თქმაზედ საშინელმა ცეცხლმა თვალებში გამოუელვა. რაც კი რამა ჰკითხეს პოლ ლავერდაკის მოკვლის თაობაზედ, მასზედ, თუ როგორ გაატარა პირველ იანვრის ღამე და რას აკეთებდა იმ სახლში, საცა ლავერდაკი მკვდარი იპოვეს. რამბერმა არაფერი პასუხი აღარ მიჰსცა.

— ერთი მითხარით, რას აკეთებდით პირველ იანვარს? — ჰკითხა თავმჯდომარემ.

— ქუჩებში დავწანწალებდი, ვეძებდი ლუკმა-პურს, მშიერი ვიყავ.

— მგონია, იმ საღამოზედ თქვენ სასმელიც გიშოვიათ. თქვენის სახლის კარის მცველმა გვიამბო, რომ იმ საღამოს, შინიდამ რომ გამოსულხართ მეტად არეული ყოფილხართ, თითქო მთვრალი იყოვო. სად წახვედით მაშინ შინიდამ?

— არ მახსოვს.

— სულ ერთია, საცა უნდა წასულიყავით დიდი არაფერია. საქმე იმაშია, რომ თქვენ იქ მოგასწრეს და დაგიჭირეს, საცა ლავერდაკი იყო მოკლული; თქვენ ის-ის იყო, კაცი მოგეკლათ, მიზეზი ავკაცობისა ცხადია: თქვენ მოგიკლავთ იმისათვის, რომ ის უბედური გაგეცარცვათ.

— გამეცარცვაო?! — დაიძახა რამბერმა და ამ ძახილში გამოითქვა გულტკენილი და გაუპატიურებული ამპარტავნება პატიოსანის მუშაკისა.

მან თამამად, ამაყად და წყრომით შეხედა კაცსა, რომელმაც გაბედა და აკადრა ამისთანა სიტყვა. თავმჯდომარე, მსაჯულნი და ბრალმდები თითქო ყურს სულაც არ უგდებენო; ერთი ბრჭხილებს იწმენდა, მეორე ყურთ უკან იფხანდა და სხვები ამთქნარებდნენ. უბედური რამბერი გაშრა და მოკლული იყო ამისთანა გულგრილობის გამო, რომელიც იმის ნიშანი იყო, რომ რამბერის დანაშაულობაზედ ეჭვი აღარა აქვთ.

ეს რომ ნახა, მაშინ კი განიზრახა, პირობაზედ დავეთანხმებიო, გავიყიდი თავსო... მძიმედ დაეშვა სკამზედ და მთელი ტანი აუცახცახდა. მერე გადიგდო თავი უკან და საშინელი ირონიით დაიძახა:

— კიაღ, მე მოვკალ და მოვკალ იმისათვის, რომ გამეცარცვა

მის ხმაში ისმოდა რაღაც საზარელი, ხმაგაკმენდილი ქვითინი და გაოცებულს ხალხს კი ეგონა, რომ თავდაჭერილი ხარხარიაო.

— მაშ, აღიარებთ რაღა თქვენს დანაშაულობას? — ჰკითხა ცივად თავმჯდომარემ.

— აღიარებო? — უპასუხა რამბერმა: — რას? იმას რომ მე მოვკალ? თქვენ ხომ ამას უჩემოდაც დაამტკიცებდით. განა მართლმსაჯულება ყოვლად მცოდნე არ არის, ყოვლად მხედველი, ყოვლისფრის გამომცნობელი? ოთახში ორ კაცსა ხედავთ: ერთი მკვდარია, მეორე ცოცხალი. აქ რა დიდი ლარი და ხაზი უნდა, აიღეთ და ჩამოახჩეთ კაცის მკვლელი! ჩამოახჩეთ ქურდი და კაცის მკვლელი, ჩამოახჩეთ! ბევრი ჩიჩინი რად გინდათ, თქვენ, ყველაფრის მცოდნენო, ყველაფრის დამნახველნო, ყველაფრის გამომცნობელნო!

ამ სიტყვებს რომ ამბობდა, რამბერი საშინელი რამ იყო. დიდებულად საშინელი და ყველანი ვინც კი მაშინ იგი ნახა, უნებლიედ შეკრთნენ. ხალხს რაღაც თავზარი დაეცა. ფერმკრთალი, ჩამომხმარი, იგი ლაპარაკობდა ისე თითქო ძილშიაო, თითქო ჰბოდავსო, იგი ლაპარაკობდა ისე, თითქო ვილაც უხილავს, იქ არ მყოფს ეუბნებაო და ანუ მომავალს საუკუნოებს შეჰჩივისო.

— მაშ, ტყდებით რაღა? — განუმეორა თავმჯდომარემ და ცდილობდა, სიტყვაში რაშიმე დაიჭიროს.

— თქვენ ამტკიცებთ ჩემს დანაშაულობას და რაღა მეთქმის, — უთხრა რამბერმა.

— ეხლა თქვენ თვითონვე არ გამოგვიტყდით?

— მაშ, კარგი! მართალია, გამოვტყდი, მე მოვკალ.

ნოელ რამბერმა ამ სიტყვებით თავისი თავი ჯალათის ხელში ჩააგდო. საკუთარის ნებით, გმირულად, კადნიერის გამბედაობით ზურგი შეუქცია ყოველისფერს: თავის პატიოსნებას, თავის წარსულსა, თავის კაი-კაცობას. ყველასფერი უარჰყო და თავი მისცა ჯალათსა. იმ ეშმაკეულს მაცდურებას ველარ გაუმაგრდა და შეჰსწირა თავის შვილის ბედნიერებას ყოველისფერი, რაც კი მის ღირსებას, მის კაცურ-კაცობას შეადგენდა.

ქვეყნის საწყეველლად ხდიდა თავის თავს, კაცის სისხლის ცოდვას იდებდა ქვეყნის წინაშე და სულ ვისთვის? თავის პატარა ჟაკისათვის. იგი მოურიგდა კაცის მკვლელს, მის ადგილას ჩადგა და თავის თავზედ მიიღო ყოველისფერი: სირცხვილი და სასჯელი. რაღაც გაშმაგებულის სიტკბოებით მან დაარღვია, მან დამიწა თავისი პატიოსანი, ჯაფის მწევი ოცდაათის წლის ცხოვრება და ამ დარღვევას და დამიწებას შეაკლა მთელი თავისი უკანასკნელი ძალღონე. ჰფიქრობდა, თუ წასახდენი ვარ, დიდებულად მაინც წავხდეო, ისე, როგორც ვაჟკაცსა ჰშვენისო. ამის გამო სასამართლოში მოგროვილს ხალხს ეხლა კადნიერებით და გამბედაობით დაუწყო ყურება, თითქო საომრად ითხოვსო. რაკი რამბერმა თავისი თავი აღიარა ლავერდაკის მკვლელად, საქმე გათავებული იყო. აღარც მოწმეებს, აღარც ბრალმდებელს, აღარც მოსარჩლის მოკმაზულ სიტყვებს ყური აღარავინ არ ათხოვა. ყოველივე ეს გაუქმდა იმ საშინელ განაჩენის წინაშე, რომელიც თვითონ რამბერმა თავის თავზედ წარმოსთქვა.

— ჭკუიდამ შეშლილია! — ჰსთქვა ერთმა იქ დამსწრემა. — არაფერი გეში და საბუთი არ იყო მის გასამტყუნებელად. ბევრი-ბევრი ციხეში ჩასვამდნენ ან ტულონში გაისტუმრებდნენ. ეხლა კი თვითონ გაუწვდინა კისერი ჯალათსა. ეს რა ქნა, თქვენი ჭირიმე! ეგ ადამიანის შვილი არ არის.

რამბერი კი გატაცებული იმითი, რომ თავი დასდვა შვილისათვის, ამბობდა თავისთავად: ჟაკი გამიბედნიერდება! ჟაკი მდიდარი მეყოლება!

და სახეზედ ამოებეჭდა გმირული თავგაწირვა. რამბერი იმ ჯურის ხალხს ეკუთნოდა, რომელნიც მზად არიან ძარღვი გაიხსნან, რომ მწყურვალს ამხანაგებს თავისი სისხლი ასვან და იმითი წყურვილი მოუკლან, რომელნიც მთლად მიეცემიან ხოლმე მსხვერპლად იდეას, ანუ საყვარელს არსებასა. ეგ უჩუმარნი, წამებულნი და გმირები, რომელნიც უხილავად თავსა ჰსდებენ ხოლმე სხვისათვის, უფრო ხშირად ღატაკთა რაზმში მოიპოვებიან.

ნოელ რამბერი ჰგრძნობდა თავისის გულის სიღრმეში, ჰგრძნობდა მთელის თავის არსებით განუსაზღვრელს უზომო

სიყვარულს თავის შვილისადმი, სიყვარულს განუსჯელს, როგორც პირუტყვის სიყვარულია და სათუთოს და ნაზს, როგორც ქალის სიყვარულია. რამბერი იყო ნამდვილი და ჭეშმარიტი მამა. დედა ვერ იგრძნობდა იმ აუარებელს, გიჟურს სიხარულს, რომელიც თავიდამ ფეხამდე ტანში დაუვლიდა ხოლმე ამ კაცს, როცა კი თავის პაწაწა შვილს კანკალით გულზედ მიიკრავდა. რაღაც დიდებულება იყო ამ შვილისადმი მამის სიყვარულში. ამიტომაც რად უნდა გვიკვირდეს ამისი თავდადება შვილისათვის. რაო? სიცოცხლეს ჰსწირავდა! ბატონებო, სიხარულით შეჰსწირავდა არა ერთხელ, ათასჯერ, თუ შესაძლო იქნებოდა. ჯალათის ნაჯახს გაუშვირა კისერი. ამით მითამ რაო? შვილს მოუპოვა ლუკმა-პური, მოუპოვა ბინა, თავისუფლება, კაცური ცხოვრება. დიაღ, შვილის საბედნიეროდ გაიწირა თავი სასიკვდილოდ. მაინც უიმისოდაც ხომ უნდა ჴომკვდარიყო სიჭლექისაგან რამდენიმე თთვის შემდეგ. რა უყოთო, ჰფიქრობდა გულში; უამისოდაც შემოდგომაზედ უნდა მოვჴკვდარვიყავო, ეხლა კი გაზაფხულის პირზედ მოვკვდებიო; სხვა ხომ არაფერიო. ნოელ რამბერს სახეზედ გამოეხატა სიხარული და თავმოწონებული ამპარტავნება. როცა სამართალმა გამოუცხადა თავისი საშინელი განაჩენი, ამაყად თავი მაღლა აიღო და გიჟურმა სიხარულმა უელვა თვალში ამ კაცსა, რომელიც თავის თავსა სდებდა წამებულთათვის გმირულად და დიდებულად.

დანიელ მორტალი სიხარულით ფეხზედ არ იდგა. მან შეუძლებელი შეჰსძლო და ალალმართალს კაცს კაცის კვლა აკისრებინა, თავისი დანაშაული სხვას აჰკიდა. ეხლა კი გული დააჯერა, რომ გამბედაობა და მედგრობა ყოვლად შემძლებელი ყოფილა, ეხლა შეეძლო გულდადებით ეფიქრა, რომ ზნეობითი კანონი ფუჭი და უღონო სიტყვაა ამ ქვეყანაში, რადგანაც ამ საშინელს და ერთმანეთთან შეუწონებელს ბრძოლაში გამარჯვება თვითონ დარჩა, მაშინ, როდესაც ყოველი სხვა უიმისო კაცი დამარცხდებოდა. თავმოწონებით გამოვიდა სასამართლოდამ, ურცხვად გადახედა ხალხს, რომელიც უცოდინარობისა გამო ქოქვით და წყევლით იხსენიებდა სასიკვდილოდ დანიშნულ ღატაკსა. მორტალი შინ მივიდა და გახარებულმა უამბო

ყოველისფერი თავის ცოლსა. კლარამ გულცივად და ხმაამოუღებლივ მოისმინა მისი ლაპარაკი!...

— ჰსჩანს, შემცდარი ვყოფილვარ! — უთხრა კლარამ თავის ქმარს, როცა ამან სიტყვა გაათავა. — ტყუილად დამიბრალებია. იმ კაცს მოუკლავს ლავერდაკი და არა თქვენ. მკვლელი აღმოჩნდა. თვითონ გამოტეხილა. მე თავის დღეში ლავერდაკის სახელს თქვენს წინაშე აღარ ვახსენებ. ნოელ რამბერი დამნაშავედ ცნობილია და სიკვდილით სასჯელი განუწესებიათ. ეგ საკმაოა ჩემთვის. მაგრამ მაგგვარი დაბოლოვება საქმისა ჩვენს ყოფასა არაფრით არა ჰსცვლის. რაკი თქვენზედ იმისთანა საშინელი ეჭვი შემოვიტანე, ჰსჩანს გულში ბევრი ბალღამი მომკრეფია. თქვენ შემწამეთ, რომ მე ის კაცი მყვარებია და მე შეგწამეთ, რომ ის კაცი თქვენ მოგიკლავთ. ძალიან უნდა გვძულდეს ერთმანეთი, რომ ჩვენმა იჭვნეულობამ მაგნობამდე მიგვაჯწევინა. ჰსჩანს, ჩვენ ერთმანეთისათვის უცხონი შევიქენით, ჩვენ ამას იქით თუმცა ერთს ჭერს ქვეშ ვიცხოვრებთ, მაგრამ ჩვენ შუა ხიდი ჩატეხილი იქნება სამუდამოდ.

— მაგითი რის თქმა გინდათ, მითამ? — ჰკითხა ქმარმა.

— იმის თქმა მინდა, რომ მე თქვენს გვარს კი ვატარებ ამას იქით, მაგრამ ცოლი კი აღარ ვიქნები.

— ეე!... — ჰსთქვა ღიმილით მორტალმა. — ეგ გაბუტება თვისებაა ლამაზის ქალისა! მალე გაიცლის, როგორც ყოველისფერი ამ წუთის სოფელში.

— მე თქვენ არ მიყვარხართ, — უთხრა გადაწყვეტილად კლარამ. — და თუ რამ კავშირია კიდევ ჩვენს შორის, იმის მადლობელი იყავით, რომ მე ჩემი მოვალეობა ვიცი და მწამს.

— მე მაგასაც ვიკმარებ, ვიდრემდე სხვა ბძანებას გამოჰსცემდე, — უთხრა მორტალმა და დამაცინარის ზრდილობით თავი დაუკრა და გამოეთხოვა.

რამბერის გამოტეხის ამბავმა მალე მოირბინა მთელი ქალაქი. ხალხი ბევრს რასმეს მოელოდა სასამართლოში გარჩევის დროს, მაგრამ ლოდინმა ამაოდ ჩაუარათ. რაკი ნოელი გამოტყდა, ხალხისათვის საინტერესო რაღა უნდა ყოფილიყო. ყველას აზრით, რამბერი სხვებისათვის წვრილმანი, გულწამ-

ხდარი კაცის მკვლელი გამოდგა, რომელსაც იმედი ჰქონია, გამოეტყდებიო და იქნება სასჯელი შემიმცირონო.

რამბერის ამხანაგებს უკვირდათ. ზოგი ამბობდა, მოდი და დაუჯერე ადამიანის საბესაო; ზოგი — ბევრი რამ არის ქვეყანაზედ უცნაური და გაუგებელიო. ზოგი — არ დავიჯერებთო, აქ რაღაც სხვა ამბავი უნდა იყოსო. მხოლოდ ერთმა კანტორაში მოსამსახურემ შენიშნა გულისხმიერობით:

— მე წინადვე ვიცოდიო, რომ რამბერის ბოლო ეგ იქნებოდაო; რესპუბლიკელი იყოო.

ამ ამბავმა ყველაზედ უფრო პასკალ არტესი გააოცა. სამართალს, შესაძლო იყო, რამბერი დამნაშავედ ეცნო, შესაძლო იყო, რომ კაცობრივი მართლმსაჯულება შემცდარიყო, მაგრამ რომ რამბერმა თვითონ აღიარა დანაშაულობა, ამას არტესი თავის დღეში არ მოელოდდა, ამას თავის დღეში არ დაიჯერებდა. ან მე არა მესმის რაო ქვეყნიერობისაო, ამბობდა გულში არტესი; ან რამბერი კაცის მკვლელი არ არისო. მაგრამ რას იზამო? თვითონვე გამოტყდაო. ის წუთი, როცა არტესმა ეს საშინელი ამბავი შეიტყო, იმისთანა წუთი იყო მისთვის, რომ ამაზედ უმწარესი თავის სიცოცხლეში არ ენახა. ისე ჰსწამდა ნოელ რამბერის კაი კაცობა, რომ მთელის ქვეყნის წინაშე მის სარჩელს არ ითაკილებდა, წინა აღუდგებოდა თვით სასამართლოს განაჩენსა, მაგრამ რა ვუყოვო, რომ თვითონვე აღიარა თავისი ავკაცობაო. არტესს გული აემღვრა მთელს კაცობრიობაზედ, რაღაც თავზარი დაეცა და კანკალმა აიტანა. ვინღა და რაღა უნდა ეწამებინა ამას იქით? ვიღას და რაღას უნდა ჰნდობოდა?

არტესს არამც თუ უკვდებოდა საუკუნოდ ჩირქმოცხებული ერთი პატიოსანი კაცი და კეთილშობილი ამხანაგი, არამედ უკვდებოდა მასთან ერთად თვით რწმენაც ადამიანის სიკეთისა და ამ რწმენის დაკარგვაზედ უარესი განა არის რამე ქვეყნიერობაზედ!

არტესს უნდოდა, რამბერი ენახა და თვითონ გამოეძია რამოდენად სარწმუნო იყო რამბერის გამოტეხა. ნება მიჰსცეს რამბერის ნახვისა. ნოელი სულ გამოცვლილი იყო, წვერი მო-

ეპარსნათ, თმები საფეთქლებთან გაჰსთეთრებოდა, თვალები ჩაჰსცივნოდა და რაღაც მხეცურის ცეცხლით უელავდა.

— ნუთუ, რამბერო, შენა ხარ? — უთხრა არტესმა რამდენსამე ხანს შემდეგ.

— მე ვარ, მე, — უთხრა უბედურმა. — მე ვარ სასიკვდილოდ დანიშნული, რას იტყვით ამაზედ?

— მართლა თქვენ თვითონ აღიარეთ? — ჰკითხა არტესმა მკვახედ და უწყალოდ .

— მე თვითონ, — უპასუხა ნოელმა გადაწყვეტილად.

— მაშ თქვენ მოჰკალით?

— თქვენ მოჰკალითო? — დაიძახა რამბერმა და ტუჩებზედ იკვნიტა, შიშობდა, მართალი არ წამომცდესო; ერთს წუთს შემდეგ დაბლა ხმით დაუმატა: — მე არ ვიცი, მე მოვკალ თუ არა, მხოლოდ ის კი ვიცი, რომ სასჯელი მე დამდეს და მიხარიან. ეხლა ყველაფერი გათავებულია.

— არა, არა! — დაიძახა არტესმა. — არ დავიჯერებ, თქვენ კაცს არ მოჰკლავდით, თქვენი ნათქვამი არ იქმნება, მე მოვკალიო. როგორ ეტყოდით მაგას მსაჯულებსა! აბა, ეე შემომხედეთ და ხელმეორედ წარმოჰსთქვით ჩემ პირისპირ ეგ საშინელი სიტყვები.

— მე ვთქვი სამართლის წინ, რომ მე მოვკალ-მეთქი.

— მაშ, მე მოგიტყუებივარ, რომ მეფიცებოდით უბრალო ვარო.

— მართალია, ორში ერთი მომიტყუებიხართ: ან თქვენ, ან სამართალი.

— თქვენ ან გაგიჟებულხართ, ან ძალიან უბედური ხართ. თქვენ მე არ მომატყუებდით, დარწმუნებული ვარ. თქვენ არ მოგიკლავთ ის კაცი, არა, და არა!

— მე თვითონ გამოვტყდი და საქმეც ამაშია, — უთხრა რამბერმა რაღაც გაბოროტებულის დაცინებითა.

— ჰო, თქვენ თვითონ გამოტეხილხართ, — დაიძახა არტესმა. — თქვენ თვითონ მიგიციათ თქვენი თავი მსაჯულთა ხელში, მხოლოდ იცით, რისთვის მოვსულვარ მე აქ? თუ?ცა თქვენ თვითონ გიღიარებიათ, მაგრამ მე მაინც დარწმუნებული ვარ,

რომ თქვენ კაცის კვლას არ იკადრებდით. კაცის მკვლელი უნამუსო კაცია და თქვენ უნამუსო არა ხართ. მე თქვენ კარგად გიცნობთ, რამბერ! მითამ თქვენ მოჰკალით კაცი იმისათვის, რომ გაგეცარცვათ! თქვენ, ეგრე პატიოსანმა კეთილშობილმა, წმინდამა და სულგრძელმა კაცმა! არა, არა! მთელი ჩემი არსება ამას ეწინააღმდეგება და ათასი რომ ჰსთქვათ „მე ვარ კაცის-მკვლელიო“, მე პირში მოგახლით: „სტყუი და ცრუობ-მეთქი“.

ნოელი იდგა და ცდილობდა გული არ ამოსჯდომოდა და სული არ შეხუთოდა. აწითლებული თვალები ცრემლებით აევსო. მთელის ტანით კანკალებდა და თითქო უნდოდა, გადახვეოდა არტესსა და ეთქვა: „ჰო, მართალი ხართ, მე ვიტყუე, მე დამნაშავე არა ვარ“. ხოლო ჟაკი მოაგონდა, ამან შეაყენა. მწუხარების ღიმილი გამოესახა ტუჩებზედ და იფიქრა: „რისთვის“. დეე, ამანაც ის იფიქროს ჩემზედ, რასაც სხვანი ფიქრობენ“, — და მერე დაბლა ხმით უთხრა არტესსა:

— მაგაზედ ნუღარას მეტყვით ბატონო არტესს. თუ გინდათ რომ ამაზედ მეტად უფრო არ გამაუბედუროთ. განა შეუძლიან ვისმეს სხვის გულში ჩახედვა? არავის. მალე შეიტყობენ ყველანი, რად მოვიქეცი ესე და არა სხვა რიგად. ეხლა კი ნუღარასა მკითხავთ. თქვენ ჩემი ავკაცობა არა გჯერათ. მადლობელი ვარ ამისათვის; თქვენ ყველაზედ პატიოსან კაცად გიცნობთ, თქვენ მეტ-ნაკლებობით სიყვარული არ შეგიძლიანთ, თუ გიყვართ ვინმე, სრულად გიყვართ. თქვენ არა გჯერათ ავკაცობა მათი, ვინც თქვენთან ერთად გულმართლად ირჯებოდა და იბრძოდა თავისუფლებისა და სიმართლისათვის. ვინ იცის, იქნება მართალიც იყოთ მაგაში. ვინ იფიქრებდა, რომ ნოელ რამბერი, მხიარული, პატიოსანი ლეკი ბიჭი აგრე სამწუხაროღ გაათავებდა თავის სიცოცხლესა! ოჰ, ღმერთო! რა გულუბრყვილო ვიყავ, რა უმეცარი, რა კეთილი! მე ამ ქვეყნისა ყველაფერი მწამდა და ყველაზედ გულდანდობილი ვიყავ. მე იმისთვის ვიყავ გაჩენილი, რომ მყვარებოდა ყოველი: კეთილი, ყოველი მშვენიერება! ჩვენს სამშობლო ქვეყანას შევწირე ჩემი თავი და ყოველივე ჩემი ზრუნვა და ფიქრი. მხოლოდ ბოლოს ჟამს ამიჩნდა ერთი სხვა საგანი სიყვარულისა, თქვენც იცით, მართა (სა-

წყალი ქალი!) და პოლიტიკა გულიდამ ამოვიღე. აი დამნაშავე რაში ვარ. მე ვფიქრობდი, თავისუფლება ძვირად უჯდება-მეთქი კაცსა. კმარა, რაც სხვისთვის ვიტანჯე-მეთქი, სხვისთვის ფიქრი გვეყოფა-მეთქი, დროა ჩემს საკუთარს თავსაც მოვხედო-მეთქი, გაუმარჯოს-მეთქი სიყვარულსა და ბედნიერებასა! დიაღ, მე მიყვარდა მართა! მხოლოდ ბედნიერება კი ვერა ვნახე და იმ დღიდამ დავიღუპე. მას აქეთ მწუხარება, ვაება მეწვია, სიცოცხლე მომბეზრდა, ერთის სიტყვით, მომესია ყოველივე ის, რაც კაცს მიიყვანს ხოლმე იქამდე, რომ აიღოს და თავი მოიკლას. რამდენჯერ მომდომია თავი დამეხჩო წყალში, მაგრამ ჩემი პაწაწა ჟაკი მაგონდებოდა ხოლმე და ის მისხნიდა. ბევრიც არა უნდოდა რა. ხიდიდამ თავდაყირა დავეშვებოდი და ყველაფერი გათავდებოდა. მართალია, ამბობენ მაგისთანა სიკვდილი უნამუსობააო, ეგ სიკვდილი მხდალის სიკვდილიაო; შეიძლება უფრო უკეთესის სიკვდილით მოჰკვდეს კაცი და ეგ უკეთესი დღეს მე ამომირჩევია. როდესმე ეს ძალიან გაგიკვირდებათ და ეხლა კი საკვირველი არა არის რა. მე კაცის კვლა დამაბრალეს, მითხრეს, შენა ხარ დამნაშავე და მეც ვუთხარი: კარგი, ვჰსთქვათ, რომ მე მოვკალი-მეთქი. ეხლა ისღა დამრჩენია, რომ ეშაფოტზედ ავიდე და ადამიანთა მართლმსაჯულება გულმოგებული იქმნება.

— ერთი ეს მითხარით, — დაიყვირა არტესმა გაცხარებით. — თქვენა ხართ კაცის მკვლელი, სწორედ თქვენ, რამბერ?

— მე გთხოვთ, ნუღარას მკითხავთ, — უპასუხა რამბერმა ქაღალდსავით ფერგაცრეცილმა. — ნუღარა მკითხავთ, ნუ, გეხვეწებით. თქვენ ყოველთვის ჩემი გულშემატკივარი ბძანებულხართ და ეხლა გულმტკივნეულებთ ჩემის შვილისათვისაც. მაშ ნება მომეცით, ორი რამა გთხოვოთ, მხოლოდ წინადვე კი აღმითქვით, რომ ამისრულებთ.

— ჯერ ეს მინდა ვიცოდე, ვინ მელაპარაკება: მამულის შვილი რამბერი, თუ კაცის მკვლელი რამბერი?

— თქვენ კეთილი ხართ და კაცთმოყვარე, ბატონო არტეს, — უთხრა რამბერმა და თრთოლით მიაბჯინა თვალები. ვიცი, გიყვართ ჩემი შვილი, შვილი რა პასუხისმგებელია მშობლის ავკაცობაში. მპირდებით თუ არა, ჩემს პაწაწა ჟაკისათვის ის

ამისრულოთ, რასაც გთხოვთ... თუნდ მართლაც ლავერდაკის მკვლელი ვიყო.

— როგორ თუ „თუნდ მართლაცაო?“ სამართალს თვითონ არ უთხარით, რომ...

მე გეუბნებით, თუნდ მართლაც მე ვიყო კაცის მკვლელი. მეთქი, — განუმეორა რამბერმა.

არტესს ეოცა, რომ რამბერი ასე გულგრილად ლაპარაკობს იმ საშინელს ავკაცობაზედ, რომელიც მას მიეღო თავის თავზედ სამართლის წინაშე. არტესს ეჩვენა, რომ ამ კაცის სიტყვებში ისმის დიდი ტანჯვა, ისმის, რომ ეს კაცი მართალია. არტესს ჟრჟოლა მოუვიდა. შიშობდა, ვაი თუ ან მართლა კაცის მკვლელი იყოსო, ან სხვისგან ვისგანმე გაწირულაო. ერთიცა და მეორეც თავზარსა ჰსცემდა არტესსა.

— მე აგისრულებთ ორივე თხოვნას, — უპასუხა არტესმა.

მაშინ რამბერმა, ხმადაბლა, ხველებით ძლივ-ძლივ უთხრა, სილვიო პელიკეს წიგნი გამომიგზავნეო, ჯერ კი საწამლავით გაჟენთე უკანასკნელი ფურცელიო, ასე რომ მშვიდობიანად მოვკვდე ციხეშიო და არა სამარცხვინო სიკვდილით მოეღანზედ დავლიო სულიო. არტესმა პირობა მიჰსცა. მეორეს ამასა გთხოვო, წახვიდეთ დანიელ მორტალისას და ჟაკის სახელზედ დაბეჭდილი წერილი გამოართვათო. როცა ჟაკი ოცის წლისა შესრულდება, მაშინ შეუძლიან ის წერილი გახსნასო, ეს თხოვნა ძალიან ეოცა არტესსა, თუმცა დაჰპირდა კი აგისრულებო. მით უფრო, რომ რამბერისაგან გაეგო, რომ მორტალს უნდაო, რაიმე სიკეთე უყოს ჩემს შვილსაო.

— მადლობელი ვარ, — განაგრძნო რამბერმა. — ეხლა ერთი სურვილი კიდევ მაქვს; მე არ მინდა, რომ ჩემმა შვილმა ატაროს გვარი კაცის მკვლელის რამბერისა. მაშინ მიიღოს ეგ გვარი, როცა დარწმუნდება...

— რაში დარწმუნდება, რაში? — დაიძახა არტესმა, რაკი შეამცნია, რომ რამბერი ჭოჭმანობს.

— მასში, უპასუხა რამბერმა: რომ მაგისთანა ტვირთის ტარება შეეძლება. იმ დრომდე სხვა გვარი დაარქვით. მხოლოდ დედის გვარს კი ნუ, თუ დედა მოიწადინებს ჟაკის თავისთან

წაყვანას, არ დაანებოთ. არ მინდა რომ იმისთანა საძაგელი გაშოვიდეს, როგორც მისი უნამუსო... ნუ დაანებებო, უთხარით: ეხლა გვიანღა არის თქო, შვილი თქვენი აღარ არის თქო.

— ნოელ, გინდათ რომ თქვენი ჟაკი მე ვიშვილო? უთხრა არტესმა.

— მინდაო? დაიძახა რამბერმა და თვალები აუწერელის სიხარულით აენთო.

— მაშ, მითხარით რომ თქვენ ლავერდაკი არ მოგიკლავთ.

— მე ვაღვიარე და მოვრჩი, ჰსთქვა გულდაწყვეტილად და დაბლა ხმით რამბერმა.

— მაშ, მართლა მოჰკალით?

— მე ვაღვიარე მეთქი, განიმეორა უბედურმა.

— ვაი, უგუნურო! უთხრა არტესმა: თქვენის გულის სიღრმეში რაღაცაა დაფარული და ის რაღაცა ვერც წამიკითხავს და ვერც გამომიცვნია. თქვენ სულს გიხუთავთ რაღაც საიდუმლო, რაღაც მწუხარება. ნოელ რამბერ, თქვენ მართალი მითხარით წელან. დამნაშავეთ ხართ, თუ არა, თქვენი ხელი კაცის სისხლშია მოსვრილი, თუ ისეთივე წმინდაა და უჩირქო, როგორიც მე ჩემს ხელში ასე ხშირად ძმურად მჭერია და რომელმაც იცოდა მარტო მუშაობა და ბრძოლა სამშობლო ქვეყნისათვის, მაგაების გამოკითხვა ეხლა გვიანღა არის. მხოლოდ ამას კი ვიტყვი, რომ თქვენ გრჩებათ შვილი, პატარა, უმანკო ბალღი, იმას არ უნდა გადახდეს ის დანაშაულობა, რომელსაც თქვენ დღეს სიკვდილით იხდით. რამბერ, შეგიძლიანო სული მშვიდობიანად დალიოთ. ნოელ, პაწაწა ჟაკს ლოყებს არ აუნთებს სირცხვილით გვარი რამბერისა, გვარი ღატაკის მუშა კაცისა, რომლის სახელითაც შეიძლებოდა, რომ თაკიც მოეწონა, თქვენი ჟაკი ჩემი შვილი იქნება, თქვენს ჟაკს ჩემი გვარი ერქმევა.

— ჰოი, ბატონო არტეს! — დაიძახა ნოელმა. — მაგ სიტყვებისათვის მთელ სიცოცხლეს მივცემდი, მთელს ჩემს სისხლს დავანთხევდი! თქვენმა სიკეთემ გული დამიამა და მე სასიკვდილოდ დანიშნული კაცის მკვლელი, გაუპატიურებული, ყველასაგან შეჩვენებული ეხლა ჩემს თავს ყველაზედ უბედნიერეს კაცადა ვჰსთვლი! ჩემი კაცი! ჩემი პაწაწა ჟაკი თქვენს ხელში გაიზდება! კაცი იქნება, კაცი!

— მაგრამ ფიქრად მოუვიდა თუ არა, რომ არტესი გაუზდის შვილსა, საწყალს რამბერსა თავზარი დაეცა. მაშ რაღად გაიწირა თავი, რაღა საჭირო იყო ის დიადი და დიდებული უგუნურება, თუ პასკალ არტესი ეყოლებოდა პატრონად მის შვილსა? ახალი, უფრო საზარელი განსაცდელი წარმოუდგა ნოელს. უნდოდა, ყველაფერი ეთქვა, ყველაფერი აეხსნა, ყველაუერი გაემჟღავნებინა და ერთის სიტყვით დაერღვია სამარცხვინო პირობა, შეკრული მორტალთანა. მაგარმ არტესმა უნებლიედ გაუქარწყლა გულის წადილი და მოაგონა უწყალო ცხოვრება ღატაკისა.

— დიახ, კაცი იქნება, კაცი, — უპასუხა არტესმა. — მაგრამ ღარიბი და დამარცხებული როგორც მე. ვინ იცის, შეეიძლებ იმის გაბედნიერებას თუ არა?

— ღარიბი! დამარცხებული! — განიმეორა რამბერმა და მერე თავისთავად გაიფიქრა გულში: ჰო, ღარიბი იქნება.

— რა უყოთ, რომ ღარიბი იქნება. დეე, იყოს ღარიბი და პატიოსანი კი, — განგრძო არტესმა.

— კარგი! — ჰსთქვა თავის გულის სიღრმეში რამბერმა. — ჟაკი მდიდარი იქნება, მდიდარი! ნუთუ შენ ცოცხალ-მკვდარო მამავ, შვილს იმოდენად გამოიმეტებ, რომ შენს სიცოცხლეს იმის ბედნიერებას არ ანაცვალებ! არა, არა! ჟაკი მდიდარი უნდა იყოს და იქნება კიდეც!

— სხვა არაფერი გაქვთ სათქმელი რამბერ? — უთხრა არტესმა კარგა ხნის დუმილის შემდეგ და მწუხარებით შეჰსცქეროდა უბედურს ღატაკსა.

— აღარაფერი.

— მაშ ისინი მართალნი არიან, თქვენ კაცი მოჰკალით?

რამბერმა ხმა არ გაჰსცა.

— მე მივდივარ, — უთხრა არტესმა. — რაც დაგპირდი, ყველაფერს აგისრულებ; მაგრამ გთხოვთ კი, გეხვეწებით, მართალი მითხარით, ნოელ რამბერ, მართალი მითხარით.

მართალიც ის არის, რომ მე თქვენ პატივსა გცემთ და მიყვარხართ ისე, როგორც ჩემი შვილი მიყვარს. მართალიც ის არის, რომ მე ღატაკი, უბედური მარტო ერთმა კაცმა მიცნო

და ერთმა კაცმა შემინდო. ის კაცი თქვენა ხართ. მართალიც ის არის, რომ სიკვდილი მწყურიან, რომ სული ვვაშში აღარ მიდგება, სიცოცხლე მომბეზრებია. მართალიც ის არის, რომ მე ისე ვკვდები, რომ არც მიღალატნია და არც ვღალატობ არცერთს იდეას ჩემის ყმაწვილკაცობისას! ოჰ, ბატონო არტესს! ჩემი უკანასკნელი ვედრება ეს არის; ჯერ მოიცადეთ, წინასწარ ნუ მომიძულებთ! დრო თავისას იტყვის.

— რაო? დრო თავისას იტყვისო? — დაიძახა არტესმა.

— მშვიდობით, უპასუხა რამბერძა.

ციხიდამ გამოვიდა თუ არ არტესი, გული ეუბნებოდა, შენ გამოეთხოვე კაცის მკვლელს კი არაო, არამედ ტანჯულსა და წამებულსაო.

მეორე დღესვე აუსრულა ორივე თხოვნა. მორტალს გამოართვა დაბეჭდილი წერილი ჟაკ რამბერის სახელზედა და ციხეში გაუგზავნა სილვის პელიკოს თხზულება, რომლის უკანასკნელი ფურცელი გაჟენთა საწამლავით. მაგრამ ვერ მოუხდათ დანაპირები. რამდენსამე დღეს შემდეგ დაუბრუნეს წიგნი ზედ წარწერით: „არ შეიძლება“.

ამის შემდეგ ერთს საღამოზედ მთელმა პარიჟმა შეიტყო, რომ მეორე დღეს რიჟრაჟზედ ლაროკეტის მოედანზედ გილიოტინა იქნება დადგმული და თავს მოჰსჭრიან ნოელ რამბერსა, პოლ ლავერდაკის მკლელსაო.

დანიელ მორტალმა ეს ამბავი კლუბში შეიტყო. დიდი ხანია წინადვე ეშოვნა ბილეთი, რომ ამ ამბავს დასწრებოდა, რადგანაც გულში მაინც შიში ჰქონდა ვაითუ გადათქვასო და გამამხილოსო, უნად იქ ვიყოვო, რომ იქვე როგორმე ეუშველო რამე ჩემს თავსაო.

შუაღამის ერთი საათი იქნებოდა, როცა ხალხი მოგროვდა ციხის ახლო ერთი კასკასით, სიცილით და ხმაურობითა. ალაყაფის კარებთან იდგა გილიოტინა. ჯარისკაცნი მორიგებულნი იყვნენ, რომ ხალხი ახლო არ მიეშვათ. მორტალიც მოვიდა და რაკი ბილეთი აჩვენა, ნება მიჰსცეს გილიოტინასთან ახლო მისულიყო; რომ მივიდა და ნახა გილიოტინა, შეეზარა, მაგრამ არ შეიმცნივა და გაიღიმა.

გარშემო ისმოდა უფროსების ბძანების ხმა, ცხენის თქა-ფა-თქუფი და მუნიციპალიის გვარდიის ხმლების ჩხარა-ჩხუ-რი. ეს გვარდია მორიგებული იყო, რომ ხალხი გილიოტინასთან არ მიეშოთ. მორტალს კი ნებართვის ბილეთი ჰქონდა და ამიტომაც ნება მიჰსცეს გილიოტინასთან მისვლისა. თვალი მოჰკრა გილიოტინას თუ არა, უნებლიედ ჟრჟოლა მოუვიდა, მაგრამ წუთს შემდეგ გულში ზიზღით ჩაიცინა და ავიდა ბაქან-ზედ, საცა ის საზარელი მაშინა იდგა. მერე თვალი შეასწრო ყუთს, საცა ჩავარდება ხოლმე თავმოჭრილი ტანი დასჯილისა. უნდოდა აქაც გაეღიმნა და წარმოედგინა რას ვიგრძნობდი, რომ ჩემთვისაც ბედს ამ მაშინის ქვეშ სიკვდილი ღაენიშნაო.

— საკვირველია, — იფიქრა თავისთავად მორტალმა, — რად-განაც თმები თავზედ აეშალნენ რაღაც უცნაურის გრძნობის გა-მო; მე თითქო ტანში ჟრჟოლა მივლისო.

ამ ყოფაში იყო მორტალი. დაჰკრა საათმა ხუთი. თუმცა მთელი მისი არსება რაღაც უცნაურის გრძნობით იყო შეპყრო-ბილი, მაგრამ მაინც თვალი ვერ მოეშორებინა მაშინისათვის. თითქო ჰგრძნობდა, რომ ამისთანავე განსაცდელი დღესა თუ ხვალე ამასაც ჩაითრევს და ამიტომაც ჰსწყურია, რომ ამ საში-ნელს თამაშას მალე მოჰღებოდა ბოლო და გათავებულიყო, შინ წასულიყო და იქ ელოდნა რით გათავდებოდა საქმე. ამისი ქმნა ვერ შეჰსძლო.

ამასობაში ნოელ რამბერს ჯერ კიდევ ეძინა. ბოლოს გააღ-ვიძეს და უთხრეს: „დღეს არისო“.

— რა არის დღესაო? — იკითხა რამბერმა, რადგანაც პირ-ველ ხანში ვერ მოისაზრა, სად არის და რა ყოფაშია. ხოლო ერთის წუთის შემდეგ კი მოავონდა, თავი გაიქნია და ჰსთქვა: ჰო, მართლა! დღეს არის, დღეს! უფრო კარგი! გული ისეთის ცეცხლით მეწვის, რომ ოღონდ მოვრჩენილვიყავ და მე თვითონ გადავარდებოდი ცეცხლში. გილიოტინა კი მზათ არის? მე ვერა გავიგე რა, მიკვირს. ჰსჩანს, ხმაურობამ კედლებს ვერ შემო-ატანა. ესეც კია, დღეს ძალიან ჩამძინებოდა. ამ ბოლოს დროს ასე იშვიათად მძინებია.

ამას რომ ამბობდა მთელი ტანი უთრთოდა, შიშის გამო კი არა, იმ სირცხვილის გამო რომ საჯაროდ დასჯიან.

— წიგნი ხომ არა მოუტანიათ რა ჩემთან? — იკითხა უბედურმა.

— წიგნიო?

— დიაღ, თხზულება სილვიო პელიკოსი. მე მინდოდა, ერთხელ კიდევ წამეკითხა.

ყველანი იქ დამსწრენი გაკვირვებას მიეცნენ. კაცი კვდებაო და წიგნი აგონდებაო, ხომ არ გაგიჟებულაო. ამ უკანასკნელს დროს ყოველთვის ამ წიგნზედ ლაპარაკობდა ხოლმე.

ამ დროს მღვდელიც შემოვიდა.

— მაღლობელი ვარ, — უთხრა რამბერმა მე მარტოდ მინდა ჩემს აღსასრულს შევეყარო.

მღვდელმა დაუწყო ლაპარაკი სინანულზედ, ღვთის მოწყალებაზედ, ცოდვისაგან დახსნაზედ, მაგრამ რამბერმა სიტყვა გააწყვეტინა.

— მამაო, — უთხრა კეთილსულობითა. ხშირად ვინახავთ განა დამნაშავე ასე გულდამშვიდებულად და, მგონია, პატიოსანადაც მაყურებელი?

მღვდელი შეჩერდა, ვერ გაუძლო რამბერის თვალთა მართლადა პატიოსანს და მშვიდობიანს მეტყველებას. მერე ყველას უამბო თურმე, რომ რამბერი დამნაშავედ კი არ მეჩვენაო, არამედ წამებულადაო.

— მაშ, აღსარების თქმა არა გსურთ? — უთხრა მღვდელმა.

— არა, მადლობელი ვარ.

— თქვენი ცოდვა, დანაშაულობა...

— მე არავისთვის არა დამიშავებია რა.

— შვილო ჩემო, სინანული...

— მე მარტო იმის სინანული მაქვს, რომ აქამდინაც ცოცხალი ვიყავ, — უთხრა რამბერმა და მერე დაუმატა. — მე მინდოდა, სილვიო პელიკოს წიგნი მქონოდა. დაპირებული იყვნენ გამოგიგზავნითო.

ჯერ კიდევ იმედი ჰქონდა, რომ საწამლავს მიიღებდა, მაგრამ მღვდელმა გაუცრუვა იმედი და უთხრა, რომ წიგნი, მართალია, მოიტანესო, მაგრამ ციხის ზედამხედველმა ნება არ მიჰსცა თქვენთვის გადმოეცათო.

— მაშ, ეგრე ყოფილა! — ჰსთქვა მწუხარებით რამბერმა და დაბლა ხმით დაუმატა თითქო თავის თავს ეუბნებაო. — ალბათ ჩემს ბედს ასე ჰსდომებია! რაღა ეშველება! სიმწარე ბოლომდინ უნდა დავლიო. აბა, ჟაკ, ჩემო პაწაწა ჟაკ, მშვიდობით. მტკიცედ გიყვარდეს მამაშენი. ვაი, რომ თავის დღეში გულზედ ვეღარ მოგიკრავ...

ზოგიერთს იქ დამსწრეს თვალებში ცრემლი მოერიათ. ნოელს ხველება ამოუვარდა და ტუჩებზედ სისხლი გამოუჩნდა. ერთმა ამხანაგმა ჯალათისამ სისხლი ხელცახოცით მოჰსწმინდა.

— ეგ ლავერდაკის სისხლია, — ჰსთქვა ერთმა ვიღაცამ დაბლა ხმით, მაგრამ რამბერი ისე იყო აღელვებული, რომ ვერ გაიგო ეს მხეცური შენიშვნა და ხმაამოუღებლივ შეხედა მთქმელსა.

ამის შემდეგ შეუდგნენ დამნაშავის კმაზვას და მორთვას: შეჰკრიჭეს კეფაზედ თმები და შეაკვეცეს პერანგის საყელო. იგრძნო შეხება ცივის მაკრატლისა თუ არა, რამბერს ჟრჟოლა მოუვიდა და დაბლა ხმით წარმოსთქვა:

— სხვისთვის თავდადება ადვილი არ ყოფილა!

მერე უთხრეს, დალიე რამე ან არაყი ან კონიაკიო, გულს გაგიმაგრებსო.

— მადლობელი ვარ, მე არ მეშინიან.

ძალიან დასუსტებული იყო და ძლივს იდგა ფეხზედ, მაგრამ თავის თავს ძალა დაატანა და დაიბრუნა ყოველივე ის, რაც ესე უცბად ხელიდამ მიჰსდიოდა: სიცოცხლე და ძალღონე. ამაყად გასწორდა ტანში და ისე გამოვიდა ციხიდამ. ეზოში რომ მიდიოდა, ნახა რომ იასამანს ყვავილი გამოეტანა.

— ეს ყვავილები ჩემზედ მეტს იცოცხლებენ, — გაიფიქრა საწყალმა.

მერე მოუბრუნდა მღვდელს, რომელიც გვერდთ მოზდევდა და ჰსთხოვა, ჩემს ლეიბს ქვეშ ბარათიაო ყარანდაშით დაწერილიო. ის ბარათი გარდაეციო დოკტორს არტესს, ჩემის შვილის პატრონსაო. მღვდელი დაჰპირდა აღსრულებას ამ უკანასკნელის თხოვნისას და მაშინ რამბერმა ჰსთქვა:

— მე ვკვდები გულდამშვიდებული და კმაყოფილი.

ამ დროს უშველებელი ალაყაფის კარი გაიღო და ნოელ რამბერმა დაინახა საშინელი სურათი: გილიოტინა, ხალხი, ხეები და ქუჩის იქით აყუდებული სახლები. ერთის შეხედვით, ერთის მომაკვდავის შეხედვითა თვალი გადაავლო ყოველს ამასა, ამაყად თავი მაღლა აიღო, თითქო ამის თქმა უნდაო:

— ეს არის და სხვა არაფერი!

მერე თვალები ძირს დაუშვა და გზადაგზა ხმადაბლა იგონებდა თავის ძვირფასს, საყვარელს ჟაკს, რომლის მოგონებაც ანუგეშებდა.

მღვდელი, გაფითრებული რამბერზედ უფრო მეტად, გამოეთხოვა რამბერს. როცა გილიოტინასთან მივიდნენ, აჯიდა რა თამამად ბაქანზედ, რამბერს ხველა აუვარდა.

— მე ხომ უამისოდაც მოვკვდებოდი, იფიქრა. კარგად ვიცოცხლე, კაი ფასად გავიყიდე თავი!

და მწარედ გაიღიმილა.

ეგ ღიმილი სნეულისა, ღიმილი გიჟურად ატაცებულისა და თავდადებულისა რამბერს გილიოტინის ნაჯახის ქვეშაც შერჩა ტუჩებზედ. ჯალათს არ ეურჩა და ნებით ყოველისფერში დაემორჩილა. მხოლოდ აღტაცებული მით, რომ შვილის ბედნიერებას შეჰსწირა თავისი თავი, გულში სულ ამას ამბობდა: — ჟაკი მდიდარი იქნება, მდიდარი!

ხალხს ხმა ჩაუვარდა იმ საშინელის კვნესის შემდეგ, რომელიც აღმოხდა ათასის კაცის გულიდამ იმ წუთს, როცა ბაქანზედ გადმოვარდა თავი უბედურის რამბერისა. მოჰკვდა კაცი, რომელმაც თავისი სიცოცხლე შეჰსწირა და რომელსაც ეგ თავგაწირვა შთააგონა ყველაზედ უმაღლესმა, ყველაზედ უდიდებულესმა, ყველაზედ უწმინდესმა ადამიანობრივმა გარუსჯელობამ; საზაროდ საოცარმა თავდადებამ მამისამ შვილის ბედნიერებისათვის.

ხალხი დაიშალა, ზოგი იცინოდა ამ თამაშის შემდეგ, ზოგი მღეროდა. მარტო ერთი კაცი იყო გაცრეცილი, გაფითრებული, თითქო მკვდარიაო, იგი ცივს ოფლში იწურებოდა და თავზარდაცემულსავით უყურებდა საკაცეს, რომელზედაც დასდეს მკვდარი დამნაშავე. ეგ კაცი იყო დანიელ მორტალი.

შინ რომ მოვიდა თავიდამ ფეხამდე მოშლილი იყო, თითქო ნაგვემიაო. ცივ წყალში იბანა, ცოტად მოჯობიანდა და წავიდა რესტორანში საუზმის საჭმელად. მადიანად ისაუზმა.

— უჰ, ძლივს მოვრჩი, — უთხრა თავის თავს, როცა ერთი ჭიქა ღვინო დალია და სიგარას მოუკიდა. — გამოვიხსენ ლავერდაკის ბარათი ორასი ათას ფრანკად. ძვირად კი დამიჯდა! მაგრამ რა ვუყოთ, თავი ხომ გადვირჩინე!

———

არტესმა რომ შეიტყო რამბერს თავი მოსჭრესო, იფიქრა, მორტალი ყოვლად ბედნიერია და რამბერს კი თავი მოჰსჭრეს, კაცი მოჰკალიო! ამის შემდეგ რაღაა ამ ქვეყანაზედ! მოდი და ყველაფერზედ იმედს ნუ გადიწყვეტ! მაგრამ რათა? კაცობრიობას იდეა დაჰსტრიალებს. სიმართლე თავისას გაიტანს. სულის სიდაბლე ადამიანისა დღესა თუ ხვალ თავის სასჯელს მიიღებს. ვინ იცის, რა დაეშართოს მორტალსა!

შინ რომ მოვიდა, გადეხვია ეამობრიულად ჟაკსა და გრძნობით უთხრა:

— ჩემო ჟაკ! მე შენ მეყვარები შვილსავით, შენ ამას იქით მე . . .

— ვიცი, ვიცი, — უთხრა ბალღმა ტირილითა, — ამას იქით თქვენ ჩემი მამა იქნებით.

დანიელ მორტალი გახარებული, რომ ავკაცობამ ევრე კარგად ჩაუარა, მიეცა ისევ უწინდებულად ხელგაშლილ ცხოვრებასა და ყოველს მეცადინეობას ხმარობდა, რომ კლარას გული თავისაკენ ხელახლად მოებრუნებინა.

— ჩემო კარგო კლარავ, მონასტრად ხომ არ გინდათ გადაიქციოთ ჩემი სახლი!

— თითქმის, — უპასუხა კლარამ.

— თუ ევრეა, სულის საქმეს შეუდექით. ეგ გაგართობთ. გნებავთ, მოვიწვიო აბბატი დოლინიაკი? საკვირველი მქადაგებელიაო, ამბობენ.

— გმადლობთ, მე მარტოდ ყოფნა მინდა. მე მიყვარს მარტოობა და მყუდროება. ჩემი ნუგეში მაგ ყოფაშია.

— მართალია, დაკოდილს გულს ნუგეშად მარჭოობა და მყუდროება აქვს ხოლმე, — ჰსთქვა დაცინვით მორტალმა. — რაღა თქმა უნდა, ერთიც და მეორეც კარგი რამ არის!

— გული ჩემი დაკოდილი კი არა, მკვდარია, — უპასუხა კლარამ.

ამ დღიდამ მორტალმა გადაჰსწყვიტა, რომ სულელობააო ჩემი დღენი ამის სიყვარულის ძებნაში დავლიოო და მას მერმედ დიდი ხანი აღარ გამოსულა, რომ მთელმა პარიჟმა შეიტყო, დანიელ მორტალი გადეკიდაო ერთს ვენგრიელს მომღერალს ქალსაო, რომლის მდიდრული ცხოვრება და ფარფაშობა გაითქვა მთელს ქალაქში.

არტესმა დაამარხვინა ნოელ რამბერი კლამარის სასაფლაოზედ, სწორედ იმ ადგილას, საცა დასჯილს ავაზაკებს მარხავენ ხოლმე. საფლავზედ ჯვარიც აამართვინა. ჯვარზედ სახელი არ იყო დაწერილი. მხოლოდ ეს ეწერა: „განუსვენე, უფალო, სულსა მონისა შენისასა. 1859 წ.“

ხშირი ბალახი, მინდვრის ყვავილებით შეხამებული, ჰფარავს ებლა იმ უცნობს სამარეს, რომელშიაც განსვენებულია მტვერი უბედურის ღატაკისა.

[1879 წ.]

„ლექსნი პროზითა“

(ტურგენიევისა)

მუსაიფი

ალპების მწვერვალებია... მთელი კედლებია ფრიალო კლდეებისა... თვით შუა გულია მთებისა.

მთებს გადმოჰფენია ციაგი, ფუსტუღი, ნათელი ცა. ძლიერი, მწვავე სუსხია ყინვისა. თოვლიდამ ზოგან თავები ამოუყვია გაყინულს, ნაქარევს წვეტებს კლდეებისას.

ორი უზარმაზარი, ორი გოლიათი მთა ცის კალთებზედ ორივე მხრივ ამართულა: ერთი იუნგფრაუ და მეორე ფინსტერნაარგორნი.

იუნგფრაუ ეუბნება თავის მეზობელს:

— რას იტყვი ახალს? შენ უფრო დაინახავ, რა ამბავია იქ, ქვევით?

გადის რამდენიმე ათასი წელიწადი: ერთი წუთი. აჰა გრგვინავს პასუხად ფინსტერნაარგორნი: — მთლად ზედ წაჰბურებია ღრუბელი დედა-მიწას. თვალი არა სჭრის... დაიცა პატარა!

გადის კვლავ ათასობით წელიწადები: ერთი წუთი.

— აბა ეხლა-ღა? ჰკითხავს იუნგფრაუ.

— ეხლა კი ვხედავ. იქ, ქვევით ისევ ისეა: აჭრელებული, დანამცეცებული. მოჩანან წყალნი ლურჯად, ტყეები შავად, თაგვისფრად უშველებელი გროვა ქვისა. მათს ახლო-მახლო

ჰფუსფუსებენ ჭია-ჭუანი, აი ხომ იცი, ორფეხნი, რომელთაც ჯერ აქამომდე ჩვენამდე ვერ ამოუღწევიათ და მწიკვლი არ მოუცხიათ არც შენთვის და არც ჩემთვისა.

— ადამიანებს ამბობ?

— ჰო, ადამიანებს.

გადის კვლავ ათასობით წელიწადები: ერთი წუთი.

— აბა ეხლა? ჰკითხავს იუნგფრაუ.

— თითქო ჭია-ჭუა შეცოტავებულა, ცოტანიღა სჩანან; — ჰგრგვინავს ფინსტერნაარგორნი: იქ, ძირს ნათელია, თვალი ეხლა კარგად სჭრის უფრო. წყალნი დაპატარავებულან, ტყენი გათხელებულან.

გადის კვლავ ახალი ათასი წელი: ერთი წუთი.

— ეხლა რაღას ჰხედავ? ეუბნება იუნგფრაუ.

— ჩვენს გარეშემო, ჩვენს ახლო ყველაფერი თითქო ჩაირეცხაო, — უპასუხა ფინსტერნაარგორნმა: აბა იქ კი, შორს მინდვრებზედ კიდევ ეტყობა შიგადაშიგ ჭუჭყი და რაღაც მოქრაობს.

— აბა ეხლა? — ჰკითხავს იუნგფრაუ, რაკი კიდევ გაიარა სხვა ათასმა წელმა: ერთმა წუთმა.

— ჰო, აბა ეხლაა კარგად, — მიუგო ფინსტერნაარგორნმა: ყველგან სისუფთავეა, ყველგან სულ გასპეტაკებულია, საითაც კი მიიხედავ... ყველგან ჩვენი თოვლია; ერთნაირი, თანაბარი თოვლი და ყინული. ყოველისფერი გაყინულა. ეხლა კარგია, ყველა დადუმდა, ყველამ მოისვენა.

— ძალიან კარგი, — სთქვა იუნგფრაუმ: შორიშორს სიტყვა კია, მაგრამ ჩვენ ძალიან გავებით ლაპარაკსა, ბებერო! დროა ჩავთვლიმოთ.

— დროა.

სძინავთ უშველებელს მთებს; სძინავს ფუსტუღს, მოწმენდილს ცას, სამუდამოდ დადუმებულის დედამიწის ზემოდ წამოდგმულსა.



ბებერი დედაკაცი

ერთს ტრიალს მინდორზედ მარტოკა მივდიოდი. უეცრად მომელანდა, თითქო რაღაც ქურდული, ფრთხილი ფეხის ხმა მომესმა უკანით. ჩემს ნავალს ვიღაცა მოსდევდა.

უკან მივიხედე და დავინახე ერთი პატარა, ტანშიმოხრილი დედაბერი. თავგისფერ ძონძებში იყო შეხვეული. ძონძებში მარტო პირის სახეღა უჩანდა: ყვითელი, დამჭკნარი, ცხვირწვეტა, კბილებჩაცვივნული პირისსახე.

მე მივედი... იგი შედგა.

— ვინა ხარ? რა გინდა? მთხოვარა ხარ? მოწყალებას ელი?

დედაბერმა ხმა არ ამოიღო. დავაკვირდი სახეს და ვნახე, რომ ორსავ თვალებზედ უსინათლო, მოთეთრო ლიბრი გადაჰკროდა, როგორც ზოგიერთს ფრინველსა აქვს ხოლმე. ფრინველი მაგ ლიბრსა ჰხმარობს, რომ მეტმა ნათელმა თვალი არ შეუწუხოს: ხან იფარებს ლიბრს, ხან აიცლის ხოლმე.

ხოლო ბებერს კი ის ლიბრი არ ეძროდა, თვალთა გუგას არა ჰშორდებოდა... ამით დავრწმუნდი, რომ იგი ბრმაა, უსინათლო...

— მოწყალება გინდა? ვკითხე ხელმეორედ: რად მომდევ უკან?

ბებერმა უწინდებურად ხმა არ გამცა და ცოტა არ იყოს მოიკუნტა მხოლოდ.

მე გამოვბრუნდი და გავუდექ ჩემს გზასა.

ხელახლად მომესმა იგივ ქურდული, ფრთხილი ხმა ფეხისა.

— კიდევ ის ბებერია! ვიფიქრე მე: რას გადაჰკიდებია? გულში გამიარა, — — ვერასა ჰხედავს, ბრმაა, უსათუოდ გზა არევია და ჩემს ფეხის ხმას მოსდევს, რომ ჩემთან ერთად ადამიანის სადგურს სადმე მიაღწიოს. დიაღ, სწორედ ეგრე უნდა იყოსმეთქი!

მაგრამ რაღაც უცნაურმა შიშმა ცოტ-ცოტად ამიტანა და დაინებია ჩემი ფიქრები: ეხლა ისე მეჩვენა, ვითომც ბებერი მე კი არ მომდევს, არამედ მე თითონ იმას მივყევარ, ხან აქედ მიმატრიალებს, ხან იქით და ძალაუნებურად თავის ნებაზედ მატარებს.

მაინც კიდევ გული არ გავიტეხე და ჩემს გზას გავუდექ... ჩემ წინ, აიქ შორს, გზაზედ ეს რა გამოჩნდა შავად? თანდათან დიდდება და დიდდება... რაღაცაა, ორმოსა ჰგავს... „სამარეა, სამარე!“ გამიელვა თავში ამ ფიქრმა: „აი სად მივყევარ თურმე ბებერსა!“

უცბად მოვტრიალდი და გამოვწიე უკან. ბებერი ისევ თვალწინ ამეტუზა. ეხლა თვალი აეხილა! დამიწყო ცქერა თავისის დიდრონის, ბოროტის და უბედურობის მომასწავებელის თვალებითა... სისხლთა მსმელის სვავის თვალები იყო სწორედ. ახლო მივედი, კვლავ დავაკვირდი იმის პირისახეს, იმის თვალებს... ხელახლად იგივ უსინათლო ლიბრი, იგივ დამჭკნარი და მკვდარი სახე დავინახე.

— „ეჰა! ვიფიქრე მე: ეგ ბებერი ჩემი წერაა, სვე-ბედიამეთქი. იგი წერა, იგი სვე-ბედი, რომელსაც ადამიანი ვერასად ვერ წაუვა ხოლმე“.

— „ვერსად წაუვა, ვერა, ვერა!... — ეჰ, რა სულელობაა!... რატომ ვერა?... ცდაა საჭირო, ცდა!...“

მაშინვე გადვუხვიე გზას, სხვა მხარეზედ წავედი.

მივდივარ, რაც შემიძლიან, ჩქარა... მაგრამ იგივ ქურდული ხმა ფეხისა არ მეშვება... მომდევს, ზურგთ უკან უფრო ახლოსა და ახლოს. წინ იგივ შავი თხრილია...

ხელახლად გადვუხვიე გზას, სხვა მხარეს ვეცი. მაინც კიდევ იგი ფეხის ხმაა უკანით და წინ იგივ საშინელი თხრილია.

ხან იქით ვეცი, ხან აქედ, გავრბოდი და გამოვრბოდი, რო-

გორც გამოფთხალი კურდღელი... მაგრამ მაინც კიდევ იგივ ფეხის ხმაა უკან, იგივ ორმოა წინ.

— „მაშ კარგი! ვიფიქრე მე: მოდი ჩავჯდები. ვნახოთ რას იზამს ბებერი?“ მაშინვე ჩავჯექ იქავ დედამიწაზედ.

ბებერი უკანიდამ თავს წამომადგა, სულ ორი ფეხის გადადგმა არ იქნებოდა, ისე ახლო. ხმა, კრინტი მისი არ ისმის, მაგრამ მესმის, ვგრძნობ, რომ ჩემს ახლოა.

უეცრად დავინახე: ის თხრილი, რომელიც შავად მოჩანდა შორს, ჩემკენ მოდის, ჩემკენ მოცურავს!

— აჰა, ღმერთო ჩემო!... მივიხედე უკან... ბებერი პირდაპირ მე ჩამომშტერებია და უკბილო პირი დაჰგრეხია დაცინების ღიმისაგან...

— ვერ წამიხვალ, ვერა!

ძაღლი

ჩვენ ორნი ვართ ოთახში: ჩემი ძაღლი და მე... ჯარედ საშინელი ქარი ჰქრის და ჰღმუის.

ძაღლი წინ მიზის და თვალებში შემომცქერის.

მეც თვალებში შევცქერი.

თითქო რიღაცის თქმა უნდაო... იგი მუნჯია, პირუტყვია, თვითონაც არა იცის-რა თავის თავისა, მაგრამ მე კი ვიცი, მე ვგრძნობ...

მე მესმის, რომ ამ წუთს იმასაც და მეც ერთი და იგივე გრძნობა გვიღვივის, რომ ჩვენს შორის არაფერი განსხვავებაა... ჩვენ ერთნი ვართ, თვითვეულს ჩვენგანს ათპობს და ანათებს ერთიდაიგივე ცეცხლი.

სიკვდილი წამოგვიქროლებს, მოგვისომს თავის ციესა და განიერს ფრთასა...

და მშვიდობით კიდეც!...

ვინ გაარჩევს მერე: თვითვეულს ჩვენგანში რა გვარი ცეცხლი ენთო სახელდობრ.

არა! აქ პირუტყვი და ადამიანი კი არ შეჰყურებენ ერთმანეთს თვალებში... ორი წყვილი ერთნაირი თვალი ურთმანეთს შესქცერიან.

ეგ ორი წყვილი თვალი პირუტყვისა და ადამიანისა — კრძალვით აწვდიან ერთმანეთს ერთსადაიმავე სიცოცხლესა.



მთხოვარა

მე ქუჩებში დავდიოდი. ჯანმიღებულმა მოხუცმა მთხოვარა შემაყენა.

ჩაწითლებული თვალთა ბუდენი, სველი, წირპლმორეული თვალები, გალურჯებული ტუჩები, აბურძგნული თმები, ჩირქიანი წყლულები... ოჰ, რა საშინლად გამოუხრავს სიღარიბეს ეს საცოდავი ადამიანი!

გამომიწოდა აბურცებული, დასიებული, ჭუჭყიანი ხელი. შემომკვნესა, ძროხასავით შემომბღავლა.

მე მაშინვე ჯიბეს ვიკარ ხელი... ჯიბე-უბეები სულ გადმოვაბრუნე და ღვთისაგან განაჩენი ვერა ვიპოვერა... არც ქისა, არც საათი, ხელთსახოციც კი არ გამომყოლოდა შინიდამ.

მთხოვარა მიცდიდა. გამოწვდილი ხელი უკანკალებდა, უთრთოდა.

მე დაბნეულმა, სირცხვილეულმა ჩამოვართვი მთრთოლვარე ჭუჭყიანი ხელი, მაგრა მოვუჭირე და ვუთხარი:

— ნუ მიწყენ, ძმაო! არაფერი არ მაქვსრა, ძმაო!

მთხოვარმა გამისწორა თავისი ჩაწითლებული თვალები. მისთა ჩალურჯებულთა ტუჩთა შემომცინეს გულისტკენით. მაგრა მოკუმშა თავის ხელში ჩემი გაცივებული თითები.

— რა ვუყოთ, ძმაო! წაიწმუკუნა მთხოვარამ: მაგისათვისაც მადლობელი ვარ, ეგეც გაკითხვაა, მოწყალებაა, ძმაო!

მე შევიგენ, მე ვიგრძენ, რომ მეც განკითხულ ვიქმენ, მეც მოწყალება მივიღე ჩემის ძმისაგან.



*
* *

„გაიგონებ მსჯავრსა სულელისასა“
პუშკინი

„გაიგონებ მსჯავრსა სულელისასაო“... შენ ყოველთვის მართალს ამბობდი ხოლმე, ჩვენო დიდებულო მწერალო! ამ ხანადაც მართალია ეს შენი ნათქვამი. „მსჯავრი სულელთა და კირთად აგდება ხროვისაგან“. ვის არ გამოუცდია ერთიცა და მეორეც?

ყოველივე ესე შესაძლოა და საჭიროცა კაცმა აიტანოს და, ვისაც ძალღონე შესწევს, ილიზღოს კიდეც, ყური არ ათხოვოს.

მაგრამ არის ისარი, რომელიც შიგ გულში მოხვდება ხოლმე კაცსა და ყველა კვეთებაზედ მწვავია... კაცმა ჰქმნა ყოველი, რაც კი შეეძლო. დღედაღამ მუშაობდა, სიყვარულიანად, პატრონსურად... და პატიოსანი კაცნივ საძაგლად პირს არიდებენ. პატიოსანი გვამნი აინთებიან ხოლმე წყრომისაგან იმის სახელის ხსენებაზედ. წარეველი ჩვენგან! გადი, გადი! მისძახის პატიოსანი ყმაწვილკაცობა. შენ ჩვენთვის არაფრის მაქნისი ხარ, არც შენი ნაშრომი, ნაჯაფევი... შენ ჰბილწავ ჩვენს სადგურსა — შენ ჩვენი არა იცი რა, ჩვენი არა გაგეგება რა... შენ ჩვენი მტერი ხარ!

რა ქნას მაშინ იმ კაცმა? უნდა განაგრძოს თავისი შრომა, არამც და არამც არ ინდომოს თავის მართლა და არც მოელოდებოდეს უფრო სამართლიანს განსჯასა.

ერთს დროს მხვნელნი და მთესველნი სწყევლიდნენ მოგზა-

ურსა, რომელმაც კარტოფილი პირველად მოუტანა, რომ თუ არ პურით, იმით მაინც იკვებოს თავი ღარიბმა. გაწვდილ მათ მიმართ ხელიდამ გააყრევინეს იგი ძვირფასი საჩუქარი, გადაჰყარეს ლაფში, ფეხით დაუწყეს სრესა.

ეხლა იგინი იმით იკვებებიან, — და არც კი იციან სახელი თავისის კეთილმყოფელისა.

ნუ იციან! რად უნდოდათ იმისი სახელი? იგი უსახელოდაც შიმშილისაგან იხსნის ხალხსა.

ჩვენ მარტო ის ვეცადოთ, რომ ჩვენი მოტანილი, მართლა და, სასარგებლო საზრდო იყოს.

მწარეა უმართლო მდურვა იმათგან, ვინც გიყვარან... მაგრამ, შესაძლოა, კაცმა ესეც აიტანოს...

„მცემე, ოღონდ კი მომისმინეო". — ეუბნებოდა ათინელი მხედართმთავარი სპარტანელსა.

„მცემე, ოღონდ კი შენ იყავ ჯანმრთელ და მაძღარ!" — უნდა ვსთქვათ ხოლმე ჩვენცა.



სულელი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი სულელი.

დიდხანს მიდიოდა იმისი ცხოვრება ქეიფითა და შვებითა. ბოლოს ცოტ-ცოტად მოაწია იმის ყურამდინ, რომ ყველანი ქარაფშუტას ეძახიან.

ეწყინა სულელს და დაიწყო ზრუნვა მასზედ, რომ როგორმე კრიჭა აუკრას ამ უსიამოვნო ხმებსა.

უცბად ამისი ბნელი ტვინი გაანათა ერთმა აზრმა. ერთს წუთს აღარ დაყოვნებულა და ის აზრი განახორციელა.

ქუჩაში შეხვდა ერთი თავისი ნაცნობი. ამან უქო ერთი გამოჩენილი მხატვარი...

— რას ბრძანებთ!... შეჰყვირა სულელმა: ამ მხატვარს დიდი ხანია აბრუ გაუტყდა, დაძველდა... ნუთუ არ იცოდით? მე ეგ თქვენგან არ მეგონა... თქვენ, ერიჰა! საიდამ სად ჩამორჩენილხართ ქვეყნიერობას!...

ნაცნობი შეშინდა და მაშინვე თანახმა გაუხდა სულელსა.

— რა მშვენიერი წიგნი წავიკითხე დღეს! ეუბნება მასვე სულელს მეორე ნაცნობი.

— რას ბრძანებთ! შეჰყვირა სულელმა: როგორ არ გრცხვენიანთ? რის მაქნისაა ის წიგნი!... რამდენი ხანია, რაც ზედ არც კი აფურთხებენ... ნუთუ ეგ არ იცოდით? ერიჰა! საიდამ სად ჩამორჩენილხართ ქვეყნიერობას!

ეს ნაცნობიც შეშინდა და თანახმა გაუხდა სულელსა.

რა კაი კაცია ჩემი მეგობარი NN! ეუბნებოდა სულელს მესამე ნაცნობი: აი, მართლა-და, კეთილშობილი კაცი ის არის!

— რას ბრძანებთ! შეჰყვირა სულელმა: NN ხომ გაქნილ, უნამუსო კაცად არის ყველგან და ყველასაგან ცნობილი. მთელი თავისი გვარეულობა გაყვლიფა. ვინ არ იცის ეს ამბავი? ერიჰა!... საიდამ სად ჩამორჩენილხართ ქვეყნიერობას!

მესამე ნაცნობიც შეშინდა, თანახმა გაუხდა სულელსა და მეგობარს გადაუდგა. ვი̃ც და რაც კი უნდა გექოთ სულელის წინაშე, ყოველზედ და ყველაფერზედ ერთი და იგივე პასუხი ჰქონდა.

ხანდისხან, დრო გამოშვებით, ამასაც ჩაუმატებდა ხოლმე კიცხვით: ნუ თუ აქამომდე თქვენ ავტორიტეტები გწამთ?

„გესლიანი კაცია! წიწლაკიანია!“ დაიწყეს ლაპარაკი სულელის ნაცნობებმა: მაგრამ რა ჭკუაა, რა გოგრა!“

„რა ენის პატრონია, უმატებენ სხვანი: უეჭველი ნიჭია, უეჭველი ტალანტი!“

ბოლოს ისე გათავდა საქმე, რომ ერთმა რედაქტორმა გაზეთისამ მიიწვია იგი სულელი და ჩააბარა კრიტიკის ნაწილი გაზეთისა.

სულელმაც დაიწყო კრიტიკა ყველასი და ყველაფრისა. ერთი სიტყვა არ გამოაკლო თავის ჩვეულებრივს სიტყვა-პასუხსა, სულ ერთსა და იმავეს გაიძახოდა.

ეხლა იგი, უარმყოფელი ავტორიტეტებისა, თვითონ შეიქმნა ავტორიტეტად და ყმაწვილი კაცნი თაყვანს სცემენ, მისი დიდი შიში და რიდი აქვთ. მაშ სხვას რას იქმოდენ საცოდავნი ჭაბუკნი? თუმცა — საზოგადოდ რომ ვსთქვათ — თაყვანება რიგი არ არის... მაგრამ რასა იქმ აქა... არა სცემ თაყვანს, ძველებში, უკან ჩამორჩენილებში ჩაგთვლიან!

მხთალთა შორის სულელების ბედს ძაღლიც არა ჰყეფს.



ბელურა

მე ნადირობიდამ მოვდიოდი ბაღ და ბაღ. მეძებარი ძაღლი წინ მიძუნძულებდა.

უცბად ძაღლმა სიარული იკლო, ფეხაკრეფით დაიწყო მიპარება, თითქო ნადირის, თუ ფრინველის ალღო აიღოვო.

გავიხედე წინ, ვითვალთვალე და დავინახე ბღარტი ჩიტისა: იგი ბუდიდამ ჩამოვარდნილიყო (ქარი ძალიან არხევდა ხეებსა) და უძრავად იჯდა, ახლად აშლილი ფრთები გადაეფოფხა აქეთ-იქით უნუგეშოდ.

ჩემი ძაღლი მძიმედ ეპარებოდა ბღარტსა. უეცრად გადმოქანდა იქავ ხიდან ხნიერი შავგულმკერდა ბელურა და შურდულის ქვასავით ძაღლის ცხვირწინ დაეცა. აბურძგნულმა, გაკაპასებულმა, იმედ-დაკარგულის და საცოდავის ხმით, ერთი ორჯერ ისკუპა პირდაპირ პირდაღებულ, დაღრენილ ძაღლისაკენ.

ეცა გამოსახსნელად და წინ აეფარა თავის შვილსა... მაგრამ მაინც კი პატარა ტანი უთრთოდა შიშისაგან, პაწია ხმა გაუხრინწიანდა, გაუბოხდა, იგი თრთოდა, გული ელეოდა, იგი თავგანწირული იყო შვილისათვის!

რა უშველებელ ვეშაპად უნდა სჩვენებოდა ძაღლი! მაინც კიდევ არ დადგა იგი, მაღალ ტოტზედ უშიშრად მჯდომარე... ძალმა, ნებაზედ უფრო ღონიერმა, გადმოაქანა იგი მაღალ ხიდამა.

ჩემი ტრეზორა შედგა, უკან დაიწია... სჩანს, იმანაც იცნა იგი ძალი.

მე ვუხმე გაშტერებულს მყეფარს და წამოვედი, ბელურის მიმართ თაყვანისცემით გულ აღვსილი.

დიაღ! ნუ გაგეცინებათ. მე მოწიწებით თაყვანისცემა ვიგრძენ იმ პაწია და თავგაწირულ ჩიტის წინაშე, წინაშე მისის სიყვარულის აღფრთოვანებისა!

სიყვარული, ვიფიქრე მე: სიკვდილსაც და სიკვდილის შიშსაც სძლევს. მარტო მითი, მარტო სიყვარულით მძლეობს და მოძრაობს ცხოვრება.

[1883]

ცხოვრება

მეფე ლირი

ტრაგედია

ვილლიამ შექსპირისა

ინგლისურიდამ გადმოღებული
ივ. მაჩაბლის და ილ. ჭავჭავაძის მიერ

მოქმედნი პირნი

ლირი, მეფე ბრიტანიისა.
მეფე საფრანგეთისა.
მთავარი ბურგუნდიისა.
მთავარი კორნვალიისა.
მთავარი ალბანიისა.
გრაფი კენტი.
გრაფი გლოსტერი.
ედგარი, გლოსტერის შვილი.
ედმუნდი, გლოსტერის ბუში.
ბერიკაცი, გლოსტერის მამულზედ მდგომი ხიზანი.
ექიმი.
ხუმარა.
ოსვალდი, გონერილას მსახურთ უფროსი.
ასისთავი, ედმუნდის ხელქვეითი.
აზნაური, კორდელიას თანამხლებელი.
კარის გზირი,
გონერილა,
რეგანა,
კორდელია.
} ლირის ასულნი.
კურან, კარის-კაცი.
რაინდნი, ლირის თანამხლებელნი, ასისთავნი.
შიკრიკები, მხედარნი და მეფის ამალა.
(ასპარეზი მოქმედებათა არის ბრიტანიაში).

მოქმედება პირველი

სანახავი I

მდიდრულად მორთული ოთახი მეფე ლირის სასახლეში. შემოდიან კენტი, გლოსტერი და ედმუნდი.

კენტი

მე მეგონა, რომ მეფეს ალბანიის მთავარი უფრო მეტად უყვარს, ვიდრე კორნვალი.

გლოსტერი

ყველას ეგრე გვეგონა. მაგრამ ეხლა, როცა მათ გაუნაწილა სამეფო, გამოჩნდა, რომ ერთი მეორეზედ მეტად არ მიაჩნია, მათს შორის სამეფო ისეთის სისწორით არის გაყოფილი, რომ კაცი ერთს წილს მეორეს ვერ დაამჯობინებს.

კენტი

ეს ყმაწვილი კაცი თქვენი შვილი ხომ არ გახლავთ?

ГЛОСТЕРИ

დიაღ, ბატონო, იგი ჩემის შრომითა და ღვაწლით გაჩენილია. მაგის ჩემს შვილად ხსენებაზედ ისე ხშირად წამოეწითლებულვარ, რომ ეხლა სიწითლეც აღარ მეკიდება.

КЕНТИ

მე, ბატონო, თქვენი საუბარი არ მესმის.

ГЛОСТЕРИ

ამ ყმაწვილ კაცის დედას კი ძალიან კარგად ესმოდა... და დაუსხვილდა წელი კიდეც ისე, რომ ჩვეულებრივი სარტყელი აღარა ჰსწვდებოდა. ბოლოს ასეთი საქმეც დაემართა, რომ ჯერ ქმარი საწოლში არა ჰყოლოდა და შვილს კი აკვანში რწევა დაუწყო. ეხლა ხომ მიმიხვდით, რა ცოდვაცა მდევს?

КЕНТИ

თუ ცოდვას ამისთანა მშვენიერი ნაყოფი მოსდევს, მაშ კაცთა უცოდველობა აღარ უნდა იყოს სანატრელი.

ГЛОСТЕРИ

მე, ჩემო ბატონო, კანონიერი შვილიცა მყავს, ამაზედ ცოტა უფროსია, მაგრამ ორივე ერთნაირად მიყვარს. მართალია ამ თავლაფიანმა მაშინ გამოჰყო ქვეყანაზედ ურცხვად თავი, როცა არავინ ეპატიჟებოდა, მაგრამ მაინცა და მაინც უნდა ვჰსთქვა, რომ ამისი დედა მშვენიერი რამ იყო.... მაგის ჩასახვაში ბევრი სიამოვნება მიმიღია. ცოდვაც არის, რომ ეგ ცოდვის შვილობით დავიწუნო. ედმუნდ! შენ ამ კეთილშობილს პირს არ იცნობ?

ЭДМУНДИ

არა, ბატონო!

გლოსტერი

გრაფი კენტი ბძანდება. დაიხსომე, რომ ეგ ჩემი უკეთესი მეგობარია.

ედმუნდი

მიგულეთ მე, თქვენო ბრწყინვალებავ, ყოველთვის მზად თქვენის სამსახურისათვის.

კენტი

მე ყოველთვის მეყვარებით და ვეცდები, უკეთ ვაგიცნოთ.

ედმუნდი

მეც ვეცდები, რომ თქვენი სიყვარულის ღირსი გავხდე.

გლოსტერი

ეგ ცხრა წელიწადი იყო სამზღვართ გარედ და ეხლაც იქით აპირობს წასვლას. — აგერ ჩვენი ხელმწიფეც მობძანდება. (საყვირის ხმა ისმის).

შემოდიან ლირი. კორნვალი, ალბანი, გონერილა, რეგანა, კორდელია და მეფის ამალა.

ლირი

იახელ, გლოსტერ, ფრანგთა მეფეს და ბურგუნდთ მთავარს, ჰსთხოვე, მობძანდნენ!

გლოსტერი

აღვასრულებ ბძანებას თქვენსას. (გადის).

ლირი

ვიდრემდე მოვლენ, ჩვენს დაფარულს განზრახვას ვიტყვით. მომართვით მე აქ სამეფოსი ჩვენისა რუკა.

ისმინეთ ჩემი: მე სამეფოს სამს ნაწილად ვყოფ,
რათა ყოველი მასზედ ზრუნვა, ფიქრი, ნაღველი
სიბერის ჟამსა ჩვენსა თავსა ჩვენ მოვაშოროთ
და კისრად დავსდვათ უფრო ჭაბუკს ძალსა და ღონეს.
ჩვენ კი მოხუცნი, ტვირთაბსნილნი, ნელ-ნელა გოგვით
ვიელით, ვიდრემდე ქვეყნის ჟამთ-ცვლა სიკვდილს შეგვყრიდეს.
შენ, საყვარელო შვილო კორნვალ და შენც ალბანი,
არა კორნვალზედ ნაკლებ ჩვენგან შეთვისებულო!
გიცხადებთ მე დღეს უცვალებელს ჩემს მტკიცე ნებას
მასზედ, რაზომსა მზითევსაცა მე ჩემთ ქალთ ვაძლევ,
რომ მით მოგისპოთ მომავალში შუღლის მიზეზნი,
საფრანგეთისა ხელმწიფე და ბურგუნდთ მთავარი,
ჩვენის უმცროსის ქალის თხოვად ჩვენად მოსულნი,
დიდნი რაყიფნი ურთიერთის და მოცილენი
ჩვენს სასახლეში ბედს უცდიან დიდი ხანია.
დღეს მიიღებენ იგინიცა ჩვენგანა პასუხს.
ასულნო ჩემნო! იცოდეთ, რომ დღეს ავიხადეთ
სუფევა ჩვენი, გამგებლობა, ჩვენი უფლება,
და აწ მითხარით, რომელს თქვენგანს მეტად ვუყვარვარ,
რომ სიყვარულის კვალობაზედ მეც განგიწილოთ
დიდება ჩვენი და მოგიწყოთ ზომა-ზომაზედ.
შენ, გონერილავ, უფროსი ხარ და შენ დაიწყე.

გონერილა

ბატონო ჩემო! მე მიყვარხართ ესდენ ძლიერად,
რომ კაცთა ენას არა ძალუძს გამოთქმა მისი.
თქვენ ჩემთვის მეტ-ხართ, ვიდრე თვალთა ჩემთა ნათელი,
ვიდრე სამყარო, ჟამი, სივრცე, თავისუფლება.
თქვენ ჩემთვის მეტ-ხართ ყოველს მასზედ, რაც კი კაცთათვის
ღირებულია, ძვირფასი და სანატრელია,
და არა ნაკლებ ძვირფასი ხართ იმ სიცოცხლეზედ,
რომელ სავსეა ნეტარებით, მშვენიერებით,
დიდებულებით, დიდებით და სიტკბოებითა!...
მე თქვენ მიყვარხართ, ჰე მაღალო ხელმწიფევ ჩემო,

ისე რომ სხვა შვილს მამა თავისი არ ჰყვარებია!
მოზღვავებულა სიყვარული თქვენი ჩემს გულში
ესდენ, რომ ნიჭი მეტყველების უქმადა მრჩება
და ხმაც არ მომდევს აღმოქშენად სიტყვათა ჩემთა.

კორდელია (თავის თავს ეუბნება)

მე რაღა მშთება? მხოლოდ ის, რომ უნდა მიყვარდეს და
ბაგეთ ჩემთა ვერ აღმოსთქვან ეს სიყვარული...

ლირი

ამა მიჯნიდამ აქამომდე სრულ მთა და ბარი
თავისის წყლითა, ტყითა, მინდვრით და საძოვრებით
გვიბოძებია, და შენ გხადით დღეს მათ მფლობელად,
იყოსმცა იგი კუთვნილ შენი და ალბანისა
საშვილიშვილოდ. — აწ რას იტყვის ჩვენი ძვირფასი
მეორე ქალი რეგანაი, კორნვალის ცოლი?
რიგი შენია.

რეგანა

მე იმავე ნაკვეთისა ვარ,
რისაც და ჩემი; ფასი დამსდეთ მისდა კვალადა.
მხოლოდ კი ვიტყვი გულწრფელადა, რომე ჩემს გულში
მისგან გამოთქმულს სიყვარულზედ უფრო მეტსა ვგრძნობ.
უთქვენოდ არ მრწამს სიხარულნი ამა სოფლისა,
არ მრწამს ყველა ის, რაც კი გრძნობას განატკბილებდეს
და ცხოვრებისა ჩემის სვესა მე ვხედავ მხოლოდ
თქვენს სიყვარულში, დიდებულო ჩემო ხელმწიფევ!

კორდელია (თავის თავს ეუბნება)

ვაი, სიტყვით ღარიბს კორდელიას! მაგრამ რა ვაი!
მე ვარ მდიდარი გულწრფელითა სიყვარულითა,
რომელიც სიტყვით კმაზულს გრძნობას გარდემატების.

ლირი

შენა და შენთა მემკვიდრეთა ჩვენ გიწყალობებთ
მესამედს ჩვენის მშვენიერის სამეფოისას.
ეს მესამედიც სიდიდით თუ შემკულობითა
გონერილიის წილადხდომილს არ შთამოშთება.
ეხლა შენ, ჩემო სიხარულო, უმცროსო შვილო,
არა უმცროსო სხვათა შორის მამის გულშია,
შენ, რომლის წინაც ბურგუნდიის და საფრანგეთის
გვირგვინოსნები ტრფიალებით თავსა იხრიან,
აბა რას იტყვი ისეთს, რომე შენსა დებზედა
დღეს უკეთესი წილი ჩემგან დაიმსახურო?

კორდელია

მე? არარასა.

ლირი

არარასა?

კორდელია

დიაღ, არარას.

ლირი

არარაისგან არ იქმნების არარაიცა!...
ჰსთქვი რამე-მეთქი!

კორდელია

ვამე ბედკრულს?!... რა ვსთქვა? არ ძალუძთ
ბაგეთა ჩემთა გული ჩემი ზე აღმობეჭდონ.
მე თქვენ მიყვარხართ ისე, როგორც მე ეგ ვალად მდევს,
მასზედ არც მეტად, ხელმწიფეო, და არცა ნაკლებ.

ლირი

რას ამბობ, რასა, კორდელიავ, კილო შეჰსცვალე,
თუ რომ არ გინდა, ბედსა შენსა გამოესალმო.

კორდელია

ჩემო ხელმწიფევ! ეს სიცოცხლე მე თქვენგანა მაქვს,
თქვენ გაგიზდივართ, გყვარებივართ მამაშვილურად
და ვალსა ამას გიხდით ისე, როგორც რიგია,
პატივისცემით, სიყვარულით და მორჩილებით.
თუ ჩემს დებს მხოლოდ თქვენ უყვარხართ, როგორც ამბობენ,
რად თხოვდებოდნენ, რად ირთავდნენ იგინი ქმრებსა?
თუ გავთხოვდები, ქმარი ჩემი უეჭველია
თანა წარიღებს ნახევარსა ჩემსა თქვენდამი
გულისტკივილსა, სიყვარულსა, მოვალეობას.
მე რომ მარტო თქვენ მყვარებოდით, მხოლოდ მარტო თქვენ,
არ ოდეს ქმარსა ჩემს დებსავით არ შევირთავდი.

ლირი

მაშ რასაც ამბობ, სწორედ ამბობ, წრფელის გულითა?

კორდელია

სწორედ, ხელმწიფევ.

ლირი

ჰმ, ასე ნორჩი და ასე გულქვა!

კორდელია

ასე ნორჩი და ასე გულწრფელ.

ლირი

მაშ ეგრე იყოს!
მზითვად გეყოს შენ ამას იქით ეგ გულწრფელობა.
ვფიცავ მე ღვთიურს მზის შარავანდთ სხივოსნობასა,
ვფიცავ წყვდიადსა და ჰეკათის საიდუმლოებს,
სიკვდილ-სიცოცხლის მომვლინებელს სფერათა ბრუნვას,
რომ დღეის იქით აგვიყრია შენზედა გული,
უარგვიყვია ჩვენთა შორის მამაშვილობა.
განგდებულ იქმენ საუკუნოდ ჩემის გულიდგან!
ბარბაროზ სკვითი, ან თვისთ შვილთა ხორცისმჭამელი
იქმნეს ჩემ მიერ უფრო მეტად შეთვისტომებულ,
დაახლოებულ, შეწყნარებულ და შეყვარებულ,
ვიდრე შენ, ჩემო უწინდელო, ყოფილო შვილო!

კენტი

მეფეო ჩემო....

ლირი

ჩუმად, კენტო! სუ! ნუ ჩასდგები
ვეშაპისა და მის რისხვის შუა! — მე ეგ მიყვარდა
ყველაზედ მეტად, მსურდა, ჩემნი ნაშთენნი დღენი
მაგისა შვილის აკვანზედა მე დამელია.

(კორდელიას)

წარვედ, მომშორდი, თვალით ნუღარ დამენახვები!
საფლავისა ქვა ნეტა ისე გამიმსუბუქდეს,
როგორც ადვილად გულით ჩემით შენ განგარინე.
ვინა ხართ, მანდა? გიბრძანებთ თქვენ, აწ მოიწვიოთ
საფრანგეთისა ხელმწიფე და ბურგუნდთ მთავარი.
კორნვალ და ალბან, თქვენთა ცოლთა უხვსა მზითევსა
ეს წართმეული მესამედიც ზედ დაუმატეთ.
ამპარტავნობა, რომელიც მას გულწრფელობად სწამს,

ეყოსმცა მაგას მზითვად და მით იგი გათხოვდეს.
გარდმომიცია თქვენთვის ყველა უფლება ჩემი,
ყველა სიმართლე მეფეთანი, მეფეთ მოავრობა,
ხოლო ვიახლებთ ჩვენ ასს რაინდს, რომელთაც თქვენა
მე შემინახავთ თქვენის ხარჯით ღირსებისამებრ.
თვისა და თვის თავს საცხოვრებლად თვითოს გეწვევიო.
მე ვიშთენ მხოლოდ მეფის სახელს, მეფის ღირსებას,
სხვა კი ყოველი: ქვეყნის მართვა, შემოსავალი
თქვენ მოგანიჭეთ, საყვარელნო სიძენო ჩემნო!
დასამტკიცებლად ყოველ ამის, აჰა გვირგვინიც!
(აძლევს გვირგვინსა).

კენტი

ჰოი მაღალო, დიდებულო, ჩემო ხელმწიფევ!
როგორც ხელმწიფეს მე ყოველთვის შენ თაყვანს გცემდი,
როგორც მამასა დაგხაროდი, თავს გევლებოდი,
როგორც მფლობელსა გმორჩილებდი ვით ერთგული ყმა,
გიხსენიებდი ჩემს ლოცვებში ვით ჩემს მეოხეს.....

ლირი

მოზიდულია მშვილდი, კენტო, უფრთხილდი ისარს!

კენტი

მსტყორცნე ისარი! სჯობს, განაპოს მან მკერდი ჩემი,
ვიდრე მლიქვნობამ ღრღნა დაუწყოს ჩემს სინიდისსა.
ვკადნიერდები, მაგრამ ეგე მე მომეტევოს
იქ, საცა მეფეს გზას უკვალავს უგუნურება.
ნეტა რას ჩადი, ბერო კაცო? ნუთუ გგონია,
რომ იქ დადუმდეს ერთგულება, სადც მეფის ძალი
ჰირფერობამ და მლიქვნელობამ დაიმორჩილა?
როდესაც მეფეს აერევა მის გზა და კვალი,
ყმის ერთგულება მაშინ უნდა იქ ღაღადებდეს.
უარ-ჰყავ შენი განაჩენი და დამჯდარის ჭკვით

ეგ უსამართლო გულსწრაფობა უკუირიდე.
მე ჩემს თავს დავსდებ სასიკვდილოდ, თუ ამ უმცროსს ქალს
სხვაზედა ნაკლებ უყვარდე. მეფევ, მერწმუნე,
არ არის სრულად ის უგულო, ვისიც წყნარი ხმა
ვერ სძლებს აღმოსთქვას თვისის გულის შემსჭვალულება.

ლირი

სუ! ხმა გაკმინდე, თუ გინდა, რომ სიცოცხლე შეგრჩეს!

კენტი

ჩემს სიცოცხლესა ჩალად ვხადი, ოდეს შენს მტერთან
მე ვიბრძვი ხოლმე. არ მაღონებს მე მის დაკარგვა,
როდესაც შენი სიკეთე მე წინ მიმიძღვება.

ლირი

გა, გამეცალე! მიმეფარე თვალთა ჩემთაგან!

კენტი

აღახვენ თვალნი!... ლირო, ლირო, მიმოიხედენ
და თჳალთაგანა ნუ იშორებ შენს ერთგულს ყმასა.

ლირი

აპოლონს ვფიცავ.....

კენტი

მეცა ვფიცავ იმავ აპოლონს,
რომე ამაოდ იხსენიებ შენ ღმერთთა შენთა.

ლირი (ხმალზედ ხელს იწვდენს)

ჰოი ორგულო!...

ხელმწიფეო, გთხოვთ, რომ დამშვიდდეთ.

კენტი

განმგმირე აწ მე! მოჰკალ, მოჰკალ შენი მკურნალი
და საზაროსა სენსა შენსა მიმეცი საზრდოდ.
უკუვ-უქციე, რაც წაართვი შენს უმცროსს ქალსა,
თვარემ ვიდრემდე მე, კენტს, პირში სული მიდგია,
ვიტყვი ყოველთვის, რომ დღეს შენ ჰქმენ უსამართლობა.

ლირი

ისმინე ჩემი, განდგომილო და მოღალატევ!
მეუფებისა სახელითა შენ, ყმას, გიბრძანებ:
მისთვის, რომ სცდილობ აღთქმა ჩვენი დაგვარღვევინო,
მით გვაქმნევინო ის, რაც ჩვენთვის უკადრისია;
მისთვის, რომ გსურს შენ სამარცხვინო ამპარტავნობით
ჩვენის ნების და განჩინების შუა ჩამოსდგე,
მით შეურაცხყო ხარისხი და დიდება ჩვენი, —
შენ აწ გინიშნავს სათნოება სუფევის ჩემის
ხუთ დღეს პაემნად, რომ მომზადდე განსაცდელთათვის,
მეექვსე დღეს კი განერინო ჩვენის ქვეყნიდგან.
თუ მეათე დღეს სახე შენი კვლავ აქ ვიხილეთ,
წამსვე რისხვამან ჩვენმან შენი სიცოცხლე მოსპოს.
გა!.. ვფიცავ ზევსსა, არ გადიდთქვას ეს სიტყვა ჩვენი!

კენტი

მშვიდობით მეფევ! დღეს გვაჩვენე, რომ შენსა ახლოს
თავისუფლება და სიმართლე ვერ ისადგურებს.
(კორდელიას),
მეფის ასულო, გულმართლობით აღმომეტყველო!
იყოსმცა ღმერთი ჩვენი მფარველ და მეოხ შენი,
(გონერილას და რეგანას)

მსურს, გრძელს საუბარს თქვენსას მოჰყვეს სულგრძელებაც
და ტკბილთა სიტყვათ ზედ ჩაერთვას სათნო საქმენი.
ბატონის შვილნო, გეთხოვებათ თქვენ ყველას კენტი,
უცხო ქვეყნადაც ის დაშთების იმავე კენტად. (გადის)

(შემოდიან გლოსტერი, ხელმწიფე საფრანგეთისა, მთავარი ბურგუნდიის და ამალა).

გლოსტერი

საფრანგეთისა ხელმწიფე და ბურგუნდთ მთავარი
მობძანდნენ თქვენთან, დიდებულო ჩემო ხელმწიფევ.

ლირი

ბურგუნდთ მთავარო! ჩემსა სიტყვას ჯერ თქვენ მოვმართავთ,
თქვენ ეცილებით ფრანგთა მეფეს ჩემს უმცროსს ქალსა,
და აწ მიბრძანეთ, გსურსთ თუ არა თქვენ მისი შერთვა
და ან რაოდენს მზითევსაცა თქვენ ჩემგან ითხოვთ?

ბურგუნდთ მთავარი

მაღალო მეფევ! მე არ ვითხოვ იმაზედ მეტსა,
რაცა აღუთქვა თქვენს ქალს თქვენმა დიდებულებამ
და მაზედ ნაკლებ ბოძებასა არც თვით ინებებთ.

ლირი

კეთილშობილო, სვემაღალო ბურგუნდთ მთავარო!
ოდეს ასული ეგე იყო ჩვენთვის ძვირფასი,
ძვირფასადაცა მას ვხადოდით. წარვიდა ის დროც...
ეხლა მის ფასი ჩვენ თვალთა წინ შემცირებულა.
აგერ თვით იგიც. თუ თქვენ იგი მოგეწონებათ
მარტო მისისა გარეგანის ჰაეროვნებით,
რომელსაც წყრომა ჩვენი ზედა დაემატების
და სხვა არარა, წაიყვანეთ, იგი თქვენია.

ბურგუნდთ მთავარი

მე არ ვიცი, რა გიპასუხოთ.

ლირი

ჩემო ხელმწიფევ!
თუ გსურსთ თქვენ ცოლად იგი ყოველ იმა ბიწითა,
რომელიცა მას ეგრე უხვად მინიჭებია,
იგი, რომელსაც არ ჰყავს ტოლი, არც მეგობარი,
იგი, რომელსაც მზითვად ვაძლევთ ჩვენს მძულვარებას
და რომელიცა წყევლით ჩვენგან განდევნილია,
აგერ შეირთეთ, თუ არა და უარი-ჰყავით.

ბურგუნდთ მთავარი

მომიტევეთ მე, ხელმწიფეო, მაგ წყრომის შემდეგ
არ შეიძლება ქალი თქვენი ცოლად ვითხოვო.

ლირი

მაშ უარჰყავით. ვფიცავ ძალთა, ჩემთა გამჩენელთ,
რომ ყოველივე მის სიმდიდრე ჩამოგითვალეთ.
(საფრანგეთის ხელმწიფეს)
თქვენ კი, მეფეო, ამას გეტყვით, მე არ მსუროდა,
რომ სიყვარული თქვენი იქა შთანერგილიყო,
სად მძულვარებამ ჩემმა ფესვი თვისი გაიდგა.
არ ვიცანდომებ თქვენთვის ესეთს ქორწინებასა
და ამისთვის გთხოვთ, სიყვარული თქვენი მიჰმართოთ
უფრო ღირსეულს არსებასა, ვიდრე ამ ბედკრულს,
რომლისაც ცნობა თვით ბუნებას ეთაკილება.

საფრანგეთის ხელმწიფე

მაოცებს მე ეგ!.. იგი, ვინცა დღეს აქამომდე
იყო თქვენისა სიყვარულის პირველ საგანი,

საგანი თქვენის სიქადულის და სასოების,
ნუგეში თქვენის სიბერისა, თქვენი საუნჯე, —
ნუთუ იქმოდა იმისთანას საზაროს რასმეს,
რომ ერთს წუთზედა შეეცვალა მას გული თქვენი
და მოწყალება მრისხანებად გარდაექცია?
ან ბრალი მისი უნდა იყოს ესდენ საშინელ,
ესდენ დამრღვევი ბუნებისა წესის და რიგის,
რომ ქალი თქვენი მისგან იქმნეს შემაზრზენებელ,
ან უწინდელი სიყვარული თქვენი მისდამი
ყოფილა მხოლოდ მარტო ერთი თვალთმაქციობა.
მაგრამ გონებას და გულს ჩემსას ვერ ურწმენია,
რომ თქვენს უმცროსს ქალს ბრალი დიდი რამ მოეჰდინოს.

კორდელია

დიდებულებას თქვენსას ერთს ვსთხოვ, თუმც ენა ჩემი
არ არს გაქლესილ და გაპოხილ პირფერობითა
და ვრჩევობ ჯერედ საქმე იყოს და მერე სიტყვა,
მაგრამ მაინც გთხოვთ, აღიაროთ, ჩემო ხელმწიფევ,
რომე მიზეზი თქვენის წყრომის და გულის აყრის
არ არის არცა ბიწიერი ქცევა რამ ჩემი,
არცა კაცისკვლა, ავსულობა, ნამუსდამხობა,
არც ქალწულების ჩემის რითმე შეურაცხყოფა
და არცა სხვაი სამარცხვინო რამ საქციელი,
არა, არც ერთი საზიზღარი უწმინდურება
ვერ გაბედავს ჩემს ყოფაქცევას მოაცხოს რამე.
თუმც რაც მაკლია, მე იმით ვარ მხოლოდ მდიდარი,
მაგრამ ეგ ნაკლი მე გამიხდა წყრომის მიზეზად;
მე არ მაქვს თვალნი მათხოვარნი და ენა მლიქვნი
და არ ქონვა ეგ მე მახარებს და მასულმდგმარებს,
თუმც მაგ არ ქონვამ მამის გული დამაკარგვინა.

ლირი

თუ არ მაამებ, ის ჰსჯობდა, რომ არ შობილიყავ.

საფრანგეთის ხელმწიფე

მისთვის უწყრებით? ეგ ხომ მხოლოდ კრძალულებაა,
რომელიც ხშირად კაცს წადილსა ვერ ათქმევინებს.
ბურგუნდთ მთავარო, თქვენ რას ეტყვით პასუხად ამ ქალს?
ის სიყვარული სიყვარულად არ იხსენება,
როს ანგარება, ანგარიში მას ზედ დაერთვის.
თუ სიყვარულში სიყვარულზედ მეტს რასმეს გავრევთ,
მაშინ დაბლდება სიყვარული და უკუ დგება.
გსურთ იგი თუ არ? თვის მზითევი ეგ თვითონ არის.

ბურგუნდთ მთავარი

გვირგვინოსანო, დიდებულო ხელმწიფევ ლირო!
რაც ალუთქვით თქვენ, თუ კვლავ მისცემთ ასულსა თქვენსა,
მე ვირთავ მას და აღვიარებ ბურგუნდთ დედოფლად.

ლირი

არარას მივცემ! ფიცი მითქვამს და არ გავსტეხავ.

ბურგუნდთ მთავარი

მე დიდად ვსწუხვარ, რომ მამასთან საქმროც დაჰკარგეთ.

კორდელია

მადლობელი ვარ! ნუ სწუხდებით, ბურგუნდთ მთავარო.
მას, ვისაც გულში ჰქონდა მხოლოდ მზითვისა შოვნა,
თვით კორდელიაც თავის დღეში ქმრად არ ინდომებს.

საფრანგეთის ხელმწიფე

სიტურფით სავსევ, კორდელიავ, რა კარგი რამ ხარ!
შენ ხარ მდიდარი თვითონ ემაგ სიღარიბითა.
განგდევნეს შენა და უარგყვეს, — მე აღგირჩიე,
შეგიძულეს შენ და უფრორეს მე შეგიყვარე.

შენა და შენმა სათნოებამ შემიპყრა მე დღეს,
და შენ, სხვათაგან უარყოფილს, მე ცოლად გხადი.
ოჰ, ღმერთნო ჩემნო! საოცარ და საკვირველია,
რომე რაც მეტად იგი ამათ აითვალწუნეს,
მით უფრო მეტი სიყვარული ჩემს გულს ეგზნების.
მეფევ, უმზითვო ქალი შენი ბედმა მარგუნა,
იყოსმცა იგი დღეს მფლობელად და მბრძანებელად
ჩემი და ჩემის მშვენიერის საფრანგეთისა.
მრავალწყლიანმა ბურგუნდიამ და მის მთავართა
ესე ობოლი მარგალიტი ვეღარ იყიდონ,
ეს, რომელიცა უფასოა და ვერ აფასებთ.
თუმცა სასტიკად, ულმობლად შენ აქ მოგეპყრნენ,
მაინც მათ ყველას, კორდელიავ, გამოეთხოვე,
დასტოვე ყველა, რომ უკეთესს ბედსა შეგყარო.

ლირი

მაშ ეგ შენ მიგყავს, ხელმწიფეო საფრანგეთისავ?
ძალიან კარგი, წაიყვანე. იყოს ეგ შენი!
ჩვენ კი მას შვილად დღეის იქით აღარა ვხადით
და მაგის საზეს აღარასდროს არ ვინახულებთ.
წარვედით ჩემგან უმოწყალოდ, უსიყვარულოდ
და დაულოცველ! — წამობრძანდით, ბურგუნდთ მთავარო.

(საყვირის ხმა. გადიან ლირი, ბურგუნდთ მთავარი, კორნვალი, ალბანი, გლოსტერი და ამალა).

საფრანგეთის ხელმწიფე

გამოეთხოვე, კორდელიავ, შენსა დებსაცა.

კორდელია

თვალცრემლიანი კორდელია გეთხოვებათ თქვენ,
მამისა ჩემის საუნჯენო! ვიცი, რაცა ხართ,
მაგრამ ვით დასა გამხილება თქვენი მე მიმძიმს.

გემუდარებით მამაჩვენსა თქვენ უპატრონოთ.
მსურს, არ გამტყუნდეს სიტყვა თქვენი სიყვარულისა
და რაც სიტყვით სთქვით, იგი საქმით თქვენ აღასრულოთ.
ვაი, რომ მე არ დამაშთინა მამამ თავისთან;
მასთან მე ჭირსა ვირჩევნიდი, ვიდრე სხვაგან ლხინს.
მშვიდობით დანო.

გონერილა

შენ თავს მიეც ეგ დარიგება.

რეგანა

ის ჰსჯობს, ეცადო, რომ აამო შენ შენსა ქმარსა,
რომელსაც ეგრე სამაღლოდა დღეს თან მიჰყევხარ.
შენ მორჩილება არა გქონდა და ჩამოგერთვა
იგი ყოველი, რისაც ღირსი შენ არ იყავი.

კორდელია

რა ორპირობაც, ცბიერობაც აქ თავს იმალავს,
დრო გამოაჩენს; ბოროტება არ დადუმდება,
და თვით სირცხვილი ფარდას ახდის მზაკვარებასა.
მშვიდობით დანო! მსურს მე თქვენთვის ბედნიერება!

საფრანგეთის ხელმწიფე

ეხლა კი, ჩემო კორდელიავ, დროა, წავიდეთ.

(გადიან საფრანგეთის ხელმწიფე და კორდელია)

გონერილა

მე მსურს, ჩემო დაო, მოგელაპარაკო ისეთს საქმეზედ, რო-
ზელიც ორივეს დიდად შეგვეხება. ვგონებ, მამაჩვენი ამაღამ
აქედგან მიდის.

რეგანა

მართალია. ჯერ შენთან მოდის და მეორე თვეს კი მე მეწვევა.

გონერილა

ხედავ, ამ სიბერეში რა დაუდგრომელი ხასიათი დაიჭირა? ჩვენი უმცროსი და ხომ ჩვენზედ მომეტებულად უყვარდა, მაგრამ ნახე, რა ცუდ-უბრალოზედ შემოსწყრა და აითვალწუნა? ეს ყურადღების ღირსია.

რეგანა

მაგგვარი სენი სიბერეში აუცილებელია. ეგეც რომ არ იყოს, სწორე გითხრა, მამაჩვენს თავისი თავი მის დღეში რიგიანად არა ჰსჭერია.

გონერილა

ჯერ როცა უფრო უკეთესი დრო ჰქონდა, მაშინაც კი თავს ვერ იმაგრებდა და ეხლა, როცა წელთა სიმრავლემ განუმტკიცა მას ავზნეობა, არამც თუ ბევრი მოთმინება დაგვჭირდება, არამედ ბევრს ტანჯვასაც მოგვაყენებს ის მოუსვენარი გულის ფეთქება, რომელიც მოსდევს ხოლმე უძლურს, დაღვრემილს და ზაფრამორეულს მოხუცებულებას.

რეგანა

მაგის ჭირვეულობისაგან რატომ ჩვენ კი არ უნდა მოველოდეთ კენტის გაგდების მზგავსს რასმეს.

გონერილა

ან კიდევ იმას, რაც ყოფა დააწია დღეს საფრანგეთის ხელმწიფეს გამოთხოვების დროს. ჩვენ, ჩემო დაო, ეროს პირზედ

უნდა ვიდგეთ, თვარემ თუ მაგ სიანჩხლესთან ძალაც შერჩება,
რა ხელსაყრელი იქნება ჩვენთვის ის, რაც დღეს მოგვცა?

რეგანა

მაგაზედ მერეც ვიფიქრებთ.

გონერილა

ჰსჯობს, გიდრე არ დაგვიანებულა, მოვაგვაროთ რამე.
(გადიან).

———

სანახავი II

ოთახი გრაფი გლოსტერის ციხე-დარბაზში
(შემოდის ედმუნდი, ხელში ბარათი უჭირავს).

ედმუნდი

შენ, ბუნებაო, მე ჩემს ღმერთად მიწამებიხარ,
მე ვმონებ მხოლოდ კანონს შენსას და თაყვანსა ვცემ.
რად მოვუხრი თავს უსამართლოს კაცთ ჩვეულებას
და კაცთ კანონის ცთომილებას მუხლს რად მოვუდრეკ?
ნუთუ მად, რომე თორმეტის თუ თოთხმეტის თვითა
ჩემს ძმაზედ გვიან დავიბადე? უკანონოო?!
რითა ვარ აბა უკანონო? რა მაკლია მე?
ჭკვის სითამამე, ძალ-ღონე თუ ჰაეროვნება?
ყოველ ამითი მდიდარი და შემკული მე ვარ
ისე, ვით შვენის პატიოსნის დედისგან შობილს.
მაშ რაღად გვძრახვენ და გვარქმევენ ურცხვთა სახელთა?
უკანონოო! ღლაპო! ბუშო! ნაბიჭვაროო!
რაში შემფერის მე ამგვარი სახელთწოდება,
მე, ვინც ჩამსახა უტკბოესმა ვნებათ ღელვამა
და საიდუმლო ტრფიალებამ შთამბერა სული,
მე, რომლისთვისაც თვით ბუნებას კრძალვით წარსტაცეს

სულისა ღონე და სიტურფე თვალტანადობის?
ესრედ ნაყოფის გამოღება ნუთუ არ სჯობდეს
ჩვეულებრივის გაცვეთილის გრძნობით გაჩენას,
რომელიც კანონთ ნებადართვით, თვლემით, მთქნარებით
ბადავს ამ ქვეყნად ამდენ ტუტუცთ და სულელთ გროვას?
მაშ კარგი, ედგარ, კაცთ კანონით კანონიერო,
იმედია, რომ მე ბუშს დამრჩეს ქონება შენი.
ორნივ ერთ რიგად მივაჩნივართ მამასა ჩვენსა,
მე — უკანონო და შენ — შვილი კანონიერი.
კანონიერი!... ვიშ რა სიტყვა მოუგონიათ!...
ჰო, კარგი ჩემო ბედნიერო კანონიერო,
თუ ამ წერილმა არ მიმტყუნა და გაიმარჯვა,
თუ მოგონილი მანქანება არ გამიცუდდა,
მაშინ ამ ბუშის უკანონოს ედმუნდის ხვედრი
კანონიერის ედგარის ხვედრს გადააჭარბებს,
მაშინ გავკეთდე, ავმაღლდე და გავბედნიერდე!
ოჰ, ღმერთნო ჩემნო, შეგვეწიეთ უკანონოებს.

(შემოდის გლოსტერი)

გლოსტერი

კენტი განდევნეს!... ფრანგთა მეფე გულნაკლ წავიდა!...
ხელმწიფე ჩვენიც წუხელისვე გზად განემგზავრა!...
თვისი უფლება სხვას გადასცა... სხვის კერძად დარჩა...
ყოველი ესე უცნაურად, უცბად არ მოხდა?!
ოჰ, ედმუნდ, აქ ხარ, ახალი ამბავი რა იცი?

ედმუნდი (ვითომც ბარათსა მალავს).

მე ახალი ამბავი არა ვიცი რა, თქვენო ბრწყინვალებავ.

გლოსტერი

რატო აგრე ძალიანა ცდილობ მაგ წერილის დამალვას?

ედმუნდი

მე, ბატონო ჩემო, ახალი ამბავი არა ვიცი რა.

გლოსტერი

ეგ რა წერილსა კითხულობდი?

ედმუნდი

მე? არაფერსა.

გლოსტერი

როგორ არაფერსა? მაშ ეგრე სწრაფად რად უკარ თავი ჯიბეში, თუ არაფერსა? არაფერს დამალვა არა სჭირია. აქ მაჩვენე, მოიტა. თუ მართლა არაფერია, სათვალეებიც აღარ დამჭირდება.

ედმუნდი

მომიტევეთ, ბატონო ჩემო, ეს წერილი ჩემის ძმისგან არის და თუმცა ჯერ ბოლომდინ არ გადამიკითხავს, მაგრამ რის წაკითხვაც მოვასწარ, იქიდამ ვსცან, რომ იგი თქვენი წასაკითხი არ არის.

გლოსტერი

მოწყალეო ხელმწიფევ, აქ მომეც-მეთქი.

ედმუნდი

მოგართვათ თუ არ მოგართვათ, ორივ თქვენთვის ერთნაირად საწყენი იქნება. რაოდენადაც მე ეგ წერილი წავიკითხე, ვსცან, რომ რაც მასში სწერია, არაფრად მოსაწონი გახლავთ.

გლოსტერი

მაჩვენე, მაჩვენე-მეთქი ეგ წერილი.

ედმუნდი

ჩემის ძმის გასამართლებლად ეს კი უნდა მოგახსენოთ, რომ ვგონებ, ეს წერილი იმას ჩემის ერთგულების გამოსაცდელად მოუგონია.

გლოსტერი (კითხულობს წერილს)

„ამგვარი მორჩილება და ერთგულება მოხუცებულობისადმი ჩვენს უკეთესს ცხოვრების დროს გვიმწარებს. მაგ მორჩილების და კრძალულების გამო ხელიდამ გვეცლება ქონება და მხოლოდ სიბერის დროს მოგვეცემა, ესე იგი მაშინ, როდესაც ცხოვრებით დატკბობა აღარ შეგვეძლება. მე ეხლა მივხვდი, რომ სულელობა და უხეირობა ყოფილა, კაცმა თავი შეივიწროოს და ექვემდებაროს გამოჩერჩეტებულს სიბერის მძლავრობასა, რომელიცა მეფობს არა თვისის ძლიერებითა, არამედ კაცთა ჩვეულების ძალითა. მოდი ჩემთან, რომ ამ საგანზედ უფრო დაწვრილებით მოგელაპარაკო. თუ მამა ჩვენი ისეთის ძილით დაიძინებს, რომ აღარ გაიღვიძოს, ვიდრე მე არ გავაღვიძებდე, მაშინ შენც სამუდამოდ გერგება ნახევარი მისის შემოსავლისა და იქნები საყვარელ ძმად შენის ძმის ედგარისა“. რაო?! არ გაიღვიძოს, ვიდრე მე არ გავაღვიძებდეო? შენ ნახევარი გერგებაო? ედგარ, ჩემო სისხლო და ხორცო? ნუთუ ეს შენმა ხელმა დასწერა? ნუთუ ეს ფიქრები შენმა ტვინმა და გულმა გამოზარდა? როდის მოგივიდა ეხ წერილი? ვინ მოგიტანა?

ედმუნდი

ეს, ბატონო, არავის მოუტანია, აქ სხვა ხერხი უხმარიათ. ეს ჩემის ოთახის ფანჯარაზედ დაეგდოთ და იქ ვიპოვე.

გლოსტერი

მერე შენ იცი, რომ ეს სწორედ შენის ძმის ხელაა?

ედმუნდი

ამ წიგნში რომ კარგი რამ ეწეროს, მე თავს დავსდებდი, რომ ეს სწორედ ჩემის ძმის ხელია, მაგრამ ეხლა კი დიდის სიამოვნებით დავბრმავდებოდი, რომ იმის ხელი არ მეცნო.

გლოსტერი

მაშ სწორედ იმის ხელია?

ედმუნდი

დიაღ, ბატონო, სწორედ იმის ხელია, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ წიგნის წერაში იმის გულს მონაწილეობა არ მიუღია.

გლოსტერი

მაშ აქამდინ შენთვის იმას ამ საგანზედ არა გაუხსენებია რა?

ედმუნდი

ხმაც არ ამოუღია. მხოლოდ ეს კი ხშირად გამიგია იმისაგან, რომ როცა მამა ბერდება და შვილი ასაკში შედის, უმჯობესი იქნებაო, რომ მამამ შვილს დაუთმოს თავისი ქონება და კისრად დასდვას თავისის მოვლისა და შენახვის მზრუნველობაო.

გლოსტერი

ოჰ, შე არამო, გველის წიწილო! ეგევ აზრია ამ წერილში გამოთქმული. ჰოი, საზიზღარო არამზადავ! შე ბუნების შემარყეველო, ფლიდო, გაქნილო, მხეცო და მხეცზედ უარესო! წადი, მონახე! მე იმას საპყრობილეში სულს ამოვართმევ! სად არის ეხლა ის ბოროტი არამზადა?

ედმუნდი

რა მოგახსენოთ, ბატონო. გავკადნიერდები და ვიტყვი, რომ ურიგო არ იქნებოდა თქვენი რისხვა მცირეს ხანს შეგეკავათ, ვიდრე ჩემის ძმის განზრახვას კარგად არ გამოიკვლევდეთ. ვინ იცის, იქნება უბრალოც იყოს და მაშინ თქვენი ეხლავე სასტიკად მოპყრობა ცუდად ჩამოგერთმევათ და იმის მორჩილს გულსაც განგლეჯს და შეზარავს. მე ჩემს თავს თავდებად გაძლევთ, რომ ჩემმა ძმამ ეს ბარათი მომწერა ჩემის თქვენდამი ერთგულების და სიყვარულის გამოსაცდელად და არა სხვა რაიმე ბოროტის განზრახვითა.

გლოსტერი

მაშ შენ ეგრე გგონია?

ედმუნდი

თუ თქვენის ბრწყინვალებისათვის სათაკილო არ იქნება, მე დაგმალავთ თქვენ იმისთანა ადგილს, საიდამაც შეგეძლებათ მოისმინოთ ჩემი და ედგარის ამაზედ საუბარი. მაშინ თქვენ თქვენის საკუთარის ყურით ნამდვილსა ჰსცნობთ. თუ მიბძანებთ, ამას დაუყოვნებლივ დღეს საღამოზედვე მოვახდენ.

გლოსტერი

არა, ის ამისთანა გველი არ იქნება.

ედმუნდი

სწორედ რომ არ უნდა იყოს.

გლოსტერი

მე უნდა მღალატობდეს? მე, რომელსაც ისე სათუთობით და ისე განუსაზღვრელად მიყვარდა. ჰოი, ძალნო ცისა და ქვეყნისაო! ედმუნდ, მონახე იგი, ერთი იმის გული გამაქექინე, ერთი

იმის სულში ჩამაძვრინე! გეხვეწები ამას. ისე მოახერხე ეს საქმე, როგორც შენის ჭკუისაგან ვიცოდე. ოღონდ კი მართალი შევიტყო და თუნდა ხელს ავიღებ ყველაფერზედ, რაც კი მაბადია.

ედმუნდი

მე ეხლავ გიახლებით და მოვნახავ. ვეცდები, შეძლებისამებრ საქმე ისე მოვაგვარო, რომ თქვენ ყველაფერი მართალი ჰსცნოთ.

გლოსტერი

ეს უკანასკნელი მზისა და მთოვარის დაბნელება კარგს არას მოასწავებდა. მართალია, ამ მოვლინებას ბუნებისმეტყველება ხან ასე ხსნის, ხან ისე. მაგრამ მაინცადამაინც აშკარაა, რომ კანონნი ბუნებისანი ირღვევიან: სიყვარული განქრა, მეგობრობა დაემხო, ძმა ძმაზედ აღსდგა, ქალაქებში შფოთია და არეულობა, სოფლებში განხეთქილება, მეფეთა სასახლეში ღალატი, შამასა და შვილს შუა სწყდება მამაშვილური კავშირი და ჩემი უკეთური შვილიც ამართლებს წინასწარმეტყველების სიტყვას, შვილი აღსდგეს მამასა ზედაო. ხელმწიფემაც დაივიწყა ბუნებითი მიდრეკილება და უარჰყო საკუთარი შვილი თვისი და აჰა, ესეც გამართლდა: მამა აღსდგეს შვილსა ზედაო. აიგავა ჩვენი უკეთესი დრო და მოისპო. მზაკვრობა, ფლიდობა, ღალატი და ყოველი დამამხობელი უწესობა განუწყვეტლად მოგვდევენ ჩვენ საფლავის კარამდინა. მონახე, ედმუნდ, ის ავაზაკი, გულმოდგინედ მოეკიდე შენ ამ საქმეს და წაგებაში არ იქმნები! — კეთილშობილი და ერთგული კენტი განდევნეს! მისი ბრალი მხოლოდ პატიოსნება იყო! მიკვირს, მაოცებს!

(გაეცის).

ედმუნდი

სასაცილოა კაცთა სულელობა! როდესაც უბედურება გვეწვევა რამე, მაშინ ჩვენს უბედურებას, თუნდ რომ ჩვენი ბრალიც იყოს, გადავაბრალებთ ხოლმე მზეს, მთოვარეს და ვარსკვლავებს. თითქოს ჩვენ ვიყვნეთ გულმურტალნი მარტო იმისათვის,

რომ ეგ ეგრე გვაქვს დანიშნული, ვიყვნეთ სულელნი ზენარის ძალდატანებით; ფლიდნი, ქურდნი, ავაზაკნი სფერათა ბრუნვისა გამო; ლოთნი, ცრუნი, მლიქვნი ვარსკვლავთა ზედმოქმედებისაგან და თითქოს ყოველივე ბოროტება ზენარის განგებისაგან წარმოსდგებოდეს. ძალიან ოსტატური თავის გამართლება არ იქნება მეძავ-მრუშე კაცისაგან, რომ თვისი ძაღლური მსუნაგობა ვარსკვლავებს გადააბრალოს?! აქაო და ესა და ეს ვარსკვლავი იყო ცაზედ, როცა დედაჩემმა მამაჩემთან შესცოდაო და ამა და ამ ვარსკვლავზედ დავიბადეო, — ამისთვის უსათუოდ მზეცი და მრუში უნდა ვიყოო.[1] მე კი ასე მგონია, რომ თუნდა თვით უქალწულეს ვარსკვლავს განებრწყინებინა ჩემი უკანონო ჩასახვა, მე მაინც ის ვიქნებოდი, რაცა ვარ. (ედგარი შემოდის), აი ედგარიც! სწორედ მოსწრებაზედ არ მოვიდა! ეს ამბავი ძველ კომედიას მომაგონებს. ეხლა მე თომა ბედლემელსავით თავი ძალად უნდა მოვიწყინო, ოხრვას და კვნესას მოვყვე. — ოჰ, ეს დაბნელება ამ შფოთებს მოასწავებდა! ფა, სოლ, ლა, მი.[2]

ედგარი

რა ამბავია, ძმაო, რატომ აგრე ოცნებას წაულიხარ?

ედმუნდი

მე იმაზედ ვფიქრობდი, რაც ამ დღეებში წავიკითხე, დაბნელება კარგს არაფერს მოასწავებსო.

ედგარი

განა შენ მაგისთანაებიცა გჯერა?

ედმუნდი

მე გარწმუნებ, რომ რაც წამიკითხავს, ჩემდა სამწუხაროდ, სულ მართლდება. მაშ რა არის ეს სიძულილი მამისა და შვი-

---

[1] აქ დედანში დასახელებულია ვარსკვლავები მრავალი და კეშაპის ბოლო.

[2] ევროპიული სამუზიკო ხმების ნიშნებია.

ლის შუა, ეს ჭირიანობა, ეს შიმშილი, ეს ძველი და მტკიცე მეგობრობის დარღვევა, სახელმწიფოში ამბოხი, დიდებულთა და მეფეთა ავად ხსენება და მუქარა, უმიზეზო მიუნდობლობა, მეგობართა განდევნა, ავკაცობის გამრავლება, ცოლ-ქმართა შუა შფოთი და განხეთქილება და ათასი სხვა ამისთანა.

ედგარი

როდის აქეთ მიჰყავ შენ ვარსკვლავთმრიცხველობას ხელი?

ედმუნდი

ეჰ, რა დროს ეგ არის? ერთი ეს მითხარ, უკანასკნელად როდისა ნახე მამაჩვენი?

ედგარი

მერე რაო?.. წუხელისა ვნახე.

ედმუნდი

ელაპარაკე კიდეცა?

ედგარი

მთელი ორი საათი.

ედმუნდი

მერე მშვიდობიანად მოსცილდით ერთმანერთსა? ხომ უკმაყოფილობა რამ არა შეგიმცნევია რა, ან სახეზედ, ან ლაპარაკში?

ედგარი

სრულიად არაფერი.

ედეუნდი

აბა კარგად ჩაუიქრდი, ხომ არა გიწყენინებია რა? თუ გიყვარდე, ცოტას ხანს მოერიდე და ნუ დაენახვები, ვიდრე ბრაზი არ გადუვლის. ეხლა ის შენზედ ისე გაჯავრებულია, რომ მოგკლას კიდეც, გული არ დაუშოშმანდება.

ედგარი

ეს რა მესმის? სწორედ ერთს უმზგავსოს ვისმეს დაუბიზღებივარ.

ედეუნდი

მეც მაგისი ფიქრი მაქვს. გთხოვ, ძმაო, ჰატარა ხანს მოერიდო, ვიდრე იმას რისხვის ცოფი გადუვლიდეს. ჩემს ოთახში წაბრძანდეგ. მე აქ ისე მოვახერხებ, რომ შენის ყურათმე გაიგებ, რასაც მამაჩვენი ილაპარაკებს. გეთაყვა, ჩემს ოთახში შედი. აი გასაღებიც. თუ შინადგან კარში გამოხვიდე, უიარაღოდ ფეხი არ მოიცვალო.

ედგარი

უიარაღოდაო?! რაო, რას ამბობ, ედმუნდ?

ედეუნდი

მე, ჩემო ძმაო, რასაც გეუბნები, შენის სიკეთისათვის გეუბნები. ფეხს ნუ მოიცვლი-მყთქი უიარაღოდ, დამიჯერე. შერცხვენილი ვიყო, თუ აქ ბოროტი რამ განზრახვა არ იყოს. მე მარტო ის გითხარ, რაც ვნახე და გავიგონე, მაგრამ ეს იმის ჩრდილიც არ არის, რაც მოსალოდნელია. გთხოვ, რომ აქედგან წახვიდე.

ედგარი

როდისლა ამიხსნი ამ გამოცანას?

მე ერთის სიტყვით კარგად წავიყვან ამ საქმეს.
(ედგარი გადის).

მამაა ასე გულდამჯერი, ძმა გულმართალი,
ისეა იგი უბოროტო, გულწრფელ, უბრალო,
რომ სხვის ბოროტსაც ვერ მიმხვდარა, ვერ მიუგნია.
იგი თავისის სულელურის პატიოსნებით
მალე მოხვდება ჩემს ბადესა და თავს გაიბამს.
ეხლა ცხადია, თუ არ მოდგმით, ჭკუით მაინცა
ვპოვებ ქონებას და სიმდიდრეს ხელში ჩავიგდებ.
ყველას ვიკადრებ, რაიც კი მე ხელსა შემიწყობს.
(გადის).

სანახავი III

ოთახი ალბანის სასახლეში
(შემოდიან გონერილა და მის მსახურთ უფროსი ოსვალდი)

გონერილა

მართლა მამაჩემმა ჩემი აზნაური გალახა იმისათვის, რომ ხუმარა გაულანძღა?

ოსვალდი

დიაღ, ბატონო.

გონერილა

დღე და ღამისა ერთი წუთიც ისე არ გავა,
რომ რამე წყენა მამაჩემმა არ მომაყენოს.
მან გაგვიწვრილა ყველას გული, აბეზარსა ვართ.
ხან იქ მოახდენს და ხან აქა ერთს რასმეს შფოთსა,
ამდენს ვაგლახსა, უზომობას ვეღარ მოვითმენთ!

მისნი მხლებელნი ურცხვად სრულსა გარყვნას მიეცნენ
და თვითონც მოჰყვა წყრომას, სტუქსვას ცუდუბრალოზედ.
როს მოვა იგი ნადირობით, არ ვინახულებ;
უთხარი, რომ მე შეუძლოდ ვარ და თვითც კარგს იზამ,
რომ სამსახური შენი იმას ცოტად მოუკლო.
თუ გიწყინოს რამ, ნუ გეშინის, მე გავცემ პასუხს.

ოსჟალდი

აგერ თვით იგიც გიახლებათ! მგონი ხმაც ისმის.
(საყვირის ხმა).

გონერილა

შენცა და სხვათა ჩემთა მხლებელთ მე დღეს გიბძანებთ,
რომ რაც შეგეძლოთ, უზდელადა მას მოექეცით,
ნეტა არ მინდა ამაზედა მან მითხრას რამე
და მით ყოველი, რაც გულში მაქვს, სულ მათქმევინოს.
თუ წუნი დამდვა, მიბძანდეს და ჩემს დასთან დარჩეს.
მაგრამ ჩემი დაც ჩემს აზრს ადგა ამ შემთხვევაში,
არც იმას უყვარს ჩემსავითა სხვის ბატონობა.
ეგ ბებრუცანა და ჩერჩეტი თავს არ ანებებს
იმ დიდებასა, რომელიცა მან სხვას გადასცა.
სწორედ რომ უჭკვო ბავშვსა გვანან მოხუცებულნი,
თუ გაიბუტვენ და ალერსით ვერას უშველი,
გაწყრომა უნდა. — რაც გითხარი, არ დაივიწყო.

ოსჟალდი

არა, ბატონო.

გონერილა

მის რაინდთაც ყურს ნუ ათხოვებთ,
რაც უნდა იმათ დაემართოს არას ვინაღვლი;
სხვებსაც უთხარ შენ, რომ ყველანი ცუდად მოეპყრნენ.

მიზეზს ვეძებ, რომ რაც ეხლა ვსთქვი, ის შევასრულო.
ჩემს დასაც მივსწერ, რომ იგიცა ჩემებრ მოიქცეს.
ეხლა კი წადი და სადილი მოგვიმზადე ჩვენ.

(გადიან).

სანახავი IV

სხვა ოთახი იმავე სასახლეში
(შემოდის კენტი სხვარიგად ჩაცმული)

კენტი

თუ მოვახერხე ხმის და კილოს ჩემისა შეცვლა,
რომ საუბარი ჩემი სხვისას ემზგავსებოდეს,
მაშინ აღსრულდეს ის კეთილი ჩემი სურვილი,
რომლისათვისაც სახე ეგრედ გამოვიცვალე.
მაშინ მივხვდები მეც ჩემს წადილს. — განდევნილ კენტო!
თუ სამსახური გაგივიდა იმა ადგილსა,
სადაც დაგსაჯეს, მაშინ მეფე, რომელიც გიყვარს,
გულს დააჯერებს, რომ შენ მხოლოდ მისთვის ჰსცდილობდი.

(საყვირის ხმა. შემოდიან ლირი, რაინდნი და თანამხლებელნი)

ლირი

სადილი, ჩქარა სადილი! მე ცდა არ მიყვარს (მხლებელი გადის.) შენ ვინღა ხარ?

კენტი

ადამიანი, ჩემო ბატონო.

ლირი

რა ხელობის პატრონი ხარ? რას ითხოვ ჩვენგან?

კენტი

მე იგი ვარ, რასაც მხედავთ, არც მეტი და არც ნაკლები. ვინც მომენდობა, მას ვემსახურები; ვინც პატიოსანია, მას ვეყვარები; ვინც გონიერია და ცოტას ლაპარაკობს, იმის ძვირფასობას გავუწევ; სამსჯავროს შიში მაქვს, ჩხუბიც ვიცი, როცა სხვა გზა არ არის და თეძოს კი, სწორედ მოგახსენოთ, არ გიახლებით.

ლირი

მაინც ვინა ხარ?

კენტი

პატიოსანი გულის კაცი ვარ ისე ღარიბი, როგორც მეფე.

ლირი

თუ როგორც მეფეა ღარიბი სიღარიბის კვალობაზე, შენც ისე ხარ — გლეხობის კვალობაზე, მაშინ მართლა რომ ღარიბი ყოფილხარ. ჰსთქვი რა გისდა?

კენტი

სამსახური.

ლირი

ვისთანა გსურს სამსახური?

კენტი

თქვენთან.

ლირი

მერე იცი, მე ვინა ვარ?

კენტი

არა. მაგრამ ისეთი საბისმეტყველება გაქვთ, რომ სასიამოვნო იქნება ჩემთვის თქვენისთანა ბატონის ყოლა.

ლირი

მერე იმისთანა რა იპოვე ჩემს საბისმეტყველებაში?

კენტი

მეუფების ნიშანი.

ლირი

რა სამსახური შეგიძლიან?

კენტი

შემიძლიან რიგიანი რჩევა მოგცეთ, ქვეითად აქეთ-იქით ვირბინო და ცხენით გავქანდე და გამოვქანდე; საამური ამბავი უგემურად გიამბოთ, წვრილმანი საქმე რიგიანად შევასრულო, ერთის სიტყვით, რაც ერთს საწყალს კაცს შეუძლიან, მეც შემიძლიან. ჩემში კარგი კიდევ ის არის, რომ ყველაფერში გულმოდგინე და ხალისიანი ვარ.

ლირი

რა ხნისა ხარ?

კენტი

არც ისე ყმაწვილი ვარ, რომ დედაკაცი მარტო სიმღერისა გამო შევიყვარო, არც ისე ხნიერი, რომ ყველაფერზედ სიყვარულით ავპილპილდე. მე ზურგთა მკიდია ორმოცდარვა წელიწადი.

ლირი

მაშ კარგი. ჩემთან დარჩი და მემსახურე. თუ სადილს შემდეგაც ეგრე მომაწონებ თავს, მაშინ ჩემგან არ მოგიშორებ. ეი, სადილი მეთქი! არ გეყურებათ? სად არის ჩემი მახვილაკი ხუმარა? აქ დამიძახეთ (შემოდის ოსვალდი). ეი, ბრიყვო, ჩემი ქალი სად არის?

ოსვალდი

ნურას უკაცრავოდ... (გადის).

ლირი

ეგ რა მიჰქარა! ერთი აქ დამიძახეთ ეგ უზდელი! სად არის ჩემი ხუმარა? ეს რა ამბავია, თითქო ყველასა სძინავსო? რაო? რა ოქმნა ის გაცვეთილი?

რაინდი

იგი მოგახსენებთ, რომ თქვენი ქალი შეუძლოდ ბძანდებაო.

ლირი

თვითონ რატომ აღარ იკადრა მობრუნება, როცა მას ვუხმე?

რაინდი

ხელმწიფეო, მან პირდაპირ მითხრა, რომ ჩემი ნება იყო და არ მოვბრუნდიო.

ლირი

ჩემი ნება იყოო?!

რაინდი

ხელმწიფეო, მე არ მესმის ეს რა ამბავია, მხოლოდ მე ვგონებ, რომ თქვენს დიდებულებას პატივისცემით აღარ ეპყრო-

ბიან, არც მოსამსახურეები, არც თვითონ მთავარი და არც თქვენი ქალი უწინდელებრ მოწიწებით აღარ იქცევიან.

ლირი

ჰმ, შენც მაგას ამბობ?!

რაინდი

მომიტევეთ, ხელმწიფეო ჩემო, თუ ამაში მე ვცდებოდე. მოვალეობა ჩემი არ მაძლევს ნებას დავდუმდე მაშინ, როდესაც ვხედავ, რომ თქვენ უკადრისად გექცევიან.

ლირი

რასაც შენ ანბობ, ის მეც თვითონ შემინიშნავს. ამ უკანასკნელს ჟამს მეც თვითონ შევამჩნიე, რომ მე აქ ყურს აღარ მათხოვებენ, მაგრამ ეგ ცუდი მოქცევა ჩემდამი მათს ბოროტს განზრახვას კი არა, ჩემს საკუთარს იჭვნეულებას შევწამე. მაინც დამაინც ვნახავ კიდევ რა იქნება. ნეტა სად არის ჩემი მასხარა? ეს ორი დღეა, რაც თვალით აღარ დამინახავს.

რაინდი

მას შემდეგ, რაც ჩვენი უმცროსი ბატონიშვილი საფრანგეთში წაბძანდა, იგი მეტად დაღონებული და გულჩათუთქვილია.

ლირი

მაგას ნუღარ მომაგონებ... ეგ მეც თვითონ შევნიშნე... წადი და უთხარი ჩემს ქალს, რომ მე მასთან ლაპარაკი მსურს. ჩემს ხუმარასაც აქ დამიძახეთ (შემოდის ოსვალდი). ოჰ, ბატონს ჩემს გაუმარჯოს! ერთი აქეთ მობძანდი, ერთი მიბძანე, მე ვინა ვარ?

ოსვალდი

თქვენ ჩემის ქალბატონის მამა ხართ.

ლირი

მამაო! მარტო მამა და სხვა არაფერი! აი, შე მურტალო! შე ძუკნა ძაღლო! შე ყურმოჭრილო მონავ! შე ქოფაკო!

ოსვალდი

უკაცრავად, მე არც ერთი ვარ, არც მეორე და არც მესამე.

ლირი

სიტყვასაც მიბრუნებ მე? როგორ ბედავ მაგას შე წუწკო, წუწკის შვილო!

(ცემას დაუწყებს).

ოსვალდი

უკაცრავად, მე გასალახი კაცი არ გახლავართ.

კენტი

არც ფეხწამოსაკრავი ხარ, შე ნაბიჭვარო! წიხლით სათელო! შე ტაკიმასხარავ!

(ფეხს წამოსდებს და წააჭცევს).

ლირი

მე, ჩემო ძამიავ, მადლობელი ვარ შენი. შენ მე დღეს კაი სამსახური გამიწიე და ამის შემდეგ მეყვარები.

კენტი

აბძანდი და გაეთრიე! მე შენ გასწავლი, სად როგორ უნდა მოიქცე. გაეთრიე, გაეთრიე-მეთქი, თუ არ გინდა ხელმეორედ გაიშხლართო. ეხლავ აქედგან გაეთრიე! გადი მეთქი, თუ ჭკუა გაქვს! არც ეხლა გახვალ?

(კინწისკვრით გააგდებს ოსვალდს).

ლირი

მაღლობელი ვარ, ჩემო მეგობარო! აი წინ გასაღები შენის ჯამაგირისა.

(აძლევს კენტს ფულსა).

(შემოდის ხუმარა)

ხუმარა

მეც არ ჩამოგრჩები უკან, მეც მივცემ წინ გასაღებს და მოჯამაგირედ დავიჭერ. აჰა, ჩემი ჩაჩი.

(აძლევს კენტს ჩაჩსა.)

ლირი

ოჰ, შენც მოხვედი, კუდიანო! როგორა ბძანდები?

ხუმარა

რატომ არ ინებე ჩემი ჩაჩი?

კენტი

ჩაჩი რად მინდა?

ხუმარა

როგორ თუ რად გინდა? შენ ეგ დაგჭირდება ჯერ იმიტომ, რომ შენ იმას თავს ევლები, ვისაც ეხლა თავს ივლებენ და მეორე იმიტომ, რომ როცა ქარი ჰქრის, ზურგს არ მიაქცევ ხოლმე და პირდაპირ უდგეხარ, ხომ სურდო შეგეყრება. აი ჩემი ჩაჩი ამისათვის არის შენთვის საჭირო. დამიჯერე, წაიღე მეთქი. აი, ხო ხედავ ამ ჩერჩეტას. ეს ის ბძანდება, რომელმაც თავისი ორი ქალი გააგდო და მესამე კი დალოცა, თითონაც არ იცის როგორ. თუ ამის აყოლა და ხლება გინდა, უსათუოდ ჩემი ჩაჩი უნდა გებუროს. აბა, შენ როგორღა ხარ, ჩემო ბიძია? აი, ნეტაი ორი ქალი მყოლოდა და თანაც ორი ჩაჩი მქონოდა!

ლირი

მერე რად გინდოდა, შე კუდიანო?

ხუმარა

როგორ თუ რად მინდოდა? თუ ყოველს ჩემს ქონებას ქალებს მივცემდი, ჩემთვის ჩაჩებს მაინც დავირჩენდი. აი, ერთი ხომ მე მაქვს, მოდი, თუ ღმერთი გრწამს, მეორე შენს ქალებს მოსთხოვე.

ლირი

შენ ეი, გამიფრთხილდი, თორემ ამ მათრახს ხედავ!

ხუმარა

ეგ არის და! სიმართლე ქოფაკი ძაღლია, იმას ცემა-ტყეპით კარში გააგდებენ ხოლმე და თავმოწონებულს ფინიას კი ნებას მისცემენ, რომ ბუხრის წინ გაიშხლართოს და ინებიეროს.

ლირი

მოსწრებული, მაგრამ შხამიანი სიტყვაა!

ხუმარა

გინდა, ბიძია, ერთი კაი შაირი გასწავლო?

ლირი

აბა.

ხუმარა

ყური კარგად მათხოვე:
რაც რამა გაქვს, სჯობს, რომ იმას ჰფარვიდე,
რაც რამ იცი, სჯობს, რომ იმას არ ჰსთქმიდე.

გაცემასა ყველაფრისას არ ჰქმიდე,
ცხენზედ იჯდე და ფეხით არა ვლიდე,
რაცა იცი, მასზედ მეტს ისწავლიდე,
არვის ენდო, ვიდრე არ გაიცვნიდე,
ლოთობას და ქალთ დევნას დაიშლიდე,
შინიდგანა კარში აღარ გახირდე.
მაშინ იქმნე მდიდართ თანასწორია,
როგორც სწორედ ოცი ათჯერ ორია.

ლირი

მაგ შაირში აზრი არ არის.

ხუმარა

როგორც მუქთის ვექილის სიტყვაში. რასა სწუხარ? ფასი ხომ არ გაგიღია? შენ ერთი ეს მითხარ, ნათლია ჩემო, არაფერიდამ განა არა გამოვა რა?

ლირი

როგორ არა? არაფერიდამ გამოვა არაფერი.

ხუმარა (კენტს)

ერთი, თუ ძმა ხარ, მაგას უთხარი, რომ მაგას ეხლა სწორედ მაგოდენი შემოსავალიღა აქვს. მე ვეტყოდი, მაგრამ მე ხუმარა ვარ, როდი დამიჯერებს.

ლირი

მწარედ მომდო ამ გესლიანმა ხუმარამ.

ხუმარა

მერე, იცი გარჩევა გესლიანისა და უგესლო ხუმარისა?

ლირი

არა, შენ გელი, მასწაელე.

ხუმარა

ის ბატონი, ვინც გირჩია
ქონების სულ გაბოძება
ჩემთან დადგეს, თუნდ შენ დადეგ,
ეგ ორივ ერთი იქნება.
მაშინ ორივ ის ხუმარა
უგესლო და გესლიანი
მე გაჩვენო: ერთი აგერ, (ლირზედ უჩვენებს).
მეორე ჭრელკაბიანი (თავის თავზედ უჩვენებს).

ლირი

ხუმარასაც მეძახი, შე ურცხო?

ხუმარა

მაგ სახელის გარდა, რაც დედის მუცლიდამ სახელი და ხარისხი დაგყვა, სულ სხვას გაუბოძე და მე რაღა დაგიძახო?

კენტი

ხელმწიფეო. ეს სულელი მთლად სულელი არ ყოფილა.

ხუმარა

შენც არ მომიკვდე!... მე რომ მთლად სულელი ვყოფილვიყავ, განა დიდი კაცნი მაგას მიყაბულებდნენ? შენვან არ მიკვირს? თითონ რაღა ეშველებოდათ, რომ მთელი სულელობა მე დამეჩემა. დიდკაცთა ცოლები და ქალები ხომ სულ გაიჭაჭებოდნენ, რომ სულელობას მარტო მე დავპატრონებოდი. აბა, ნათლი, ერთი კვერცხი მომეცი და ორს გვირგვინს მოგცემ.

ლირი

რა გვირგვინზედ ყბედობ?

ხუმარა

იმაზედ, ჩემო ბიძიავ, რომ როცა შენგან ბოძებულს კვერცხს ორად გავყოფ და გულს გადავყლაპავ, შენ იმ კვერცხის ნაჭუჭები მაინც შეგრჩება და გვირგვინად მოიხმარებ, თორემ ამას წინად რომ შენი გვირგვინი შუაზედ გაჰყავ და სულ ერთიანად შენს ქალებს გადააყლაპე, შენ რა გარგუნეს? ვაი, შენ ჩემო თაო! მეფეს ვირი ზურგზედ აგკიდეს და ტალახში გაგაყვაისეს. არა, მაგ მოტვლეპილს კეფაში ტვინი არა გქონდა, რომ ოქროს გვირგვინი გადიგდე?[1] მე მართალია ხუმარა ვარ, მაგრამ ვინც ამ ჩემს თქმულს მართლადა მასხარობაში ჩამომართმევს, აბა მათრახი იმას უნდა. აი! (მღერის)

წელს ხუმარებს ლილახანა წაუხდათ,
მასხარობას ბრძნები გვეცილებიან,
ჭკვა რომ ძნელი მოსავლელი გაუხდათ,
პამპულად და მაიმუნად ხდებიან.

ლირი

შენ როდის აქეთია შეეჩვიე სიმღერასა?

ხუმარა

მას აქეთ რაც შენი ქალები ბატონებად გაიხადე, სკიპტრა და გვირგვინი ჩააბარე და შენი მეუფება დასთმე (მღერის).

მაშინ იმათ ატირებდა
უეცარი სიხარული
და მე კი ამამღერებდა

---

[1] ანგლიურად ეჭ ზმაა ხმარებული: კროუნ (crown) ფულიც არის, ქვიდაბაზ უზალთუნიანი, გვირგვინიც და კეფაც. ხუმარა ამბობს: ერთი კვერცხი მომეცი და ორს კროუნს მოგცემო.

მწუხარება დაფარული,
მისთვის რომ ბრძენს ჩვენსა მეფეს
ჭკვა-გონება აერია.
თვალ ხუჭანის თამაშს მოჰყვა
მასხარებში გაერია.

ნათლი! შენს ხუმარას ერთი ოსტატი დაუჭირე, რომ ტყუილა ასწავლონ. მე დიდის ხალისით ვისწავლიდი ყოველგვარს სიცრუესა.

ლირი

თუ ტყუილს მოჰყვები, მათრახიც მოგზვდება.

ხუმარა

მე მიკვირს ერთის სისხლისა და ხორცისა როგორა ხართ შენა და შენი ქალები. ისინი მართლის თქმისათვისა მცემენ და შენ კი ტყუილისათვის; ზოგჯერ ჩუმად ყოფნობისათვისაც კი მომხვდება ხოლმე. რო იტყვიან: „გავიქცევი ქარიანი მქვიან, დავდგები ლაჯიანიო“, აი ეს არის, აი! ხუმარად ყოფნა სწორედ რომ საძაგლობაა, მაგრამ მაინც შენს ყოფაზედ არ გავცვლი. შენს ჭკვას გვერდები იმოდენად ჩამოათალე ორივე მხრით, რომ შუაში აღარა დაინარჩუნე რა. აგერ, გაიხედე შენკან ჩამონათალი რაფოტიც მოდის.

(შემოდის გონერილა)

ლირი

ოჰ, ასულო ჩემო, რატომ აგრე წარბი შეგიკრავს? ამ უკანასკნელს დროს მგონი შენ როგორღაც ავ გუნებაზედა ხარ.

ხუმარა

ეჰე, დაგადგა სუსხი თუ არა?... დრო იყო, ჩემო ძამიავ, როცა შენ ყურსაც არ იბერტყავდი, ავ გუნებად ბძანდება ეს ქალბატონი, თუ კარგ გუნებადა. მაშინ შენ კაცად-კაცი იყავ და ეხლა

კი არც გუდაფშუტა ხარ. ეხლა შენ მეც კი გჯობივარ, მე ხუმარა მაინცა ვარ და შენ ეგეც არა ხარ. ეხლა კი დროა, ხმა გავიკმინდო. (გონერილას). თუმცა შენ არაფერს მეუბნები, მაგრამ სახეზედ კი გატყობ, რომ ჩემი დაჩუმება ძალიან გულით გინდა. დავჩუმდები, ბატონო, დავჩუმდები, აი მმ.... მმ....

ვინც სხვას მისცა თვისი საზრდო, ქონება
ყველას ჩხირად თვალში გაეწონება!

(უჩვენებს ლირზედ).

აი, ბატონებო, თუ გინდათ, ცარიელი ცერცვის ჩენჩო ეს არის, აი.

გონერილა

არამცა თუ ეს თავგასული სულელი ღლაპი,
არამედ თქვენი განრყვნილი და ურცხვი ამალაც
თაყ-საცილობენ, ქიშპობენ და ჭირვეულობენ,
აურზაურად ყოველს ჩვენგანს ეკიდებიან.
მათს ურცხვად ქცევას, შეცოდს და ჩხუბსა ჩვენ ველარ ვუძლებთ.
მე ვგონებდი, რომ როცა ამას თქვენ შეიტყობდით,
გაუწყრებოდით და მოსპობდით ამით ყოველსა,
მაგრამ თქვენ თვითონ თქვენის სიტყვით და თქვენის ქცევით
ცხადად გვამცნებთ, რომ ხელს აფარებთ მათს საძაგლობას
და მით აქეზებთ თავაღებულთ თქვენთა მხლებელთა.
თუ ყოფაქცევა ესე მათი კვლავ განგრძელდება
და რისხვა თქვენი ძირიანად მას არ აღმოჰკვეთს,
მაშინ ჩვენ ვიხმართ ჩვენსა ღონეს აწ დაძინებულს.
ეს სათაკილო ქცევა მათი თქვენც შეურაცხგყოფთ
ამ ჩვენს კეთილად განწყობილსა სახელმწიფოში;
და ამით უფრო საჭიროა მივიღოთ ზომა
ასე სასტიკი, რომ შემდეგში ეგ აღარ იყოს.

ხუმარა

ვერ გეჭაშნიკა განა, ნათლია ჩემო?
ჩიტსა, გუგულის მზრდელსაო,
გუგული თავს მოკვნეტსაო,

სანთელი რო გარედ გაიტანე, არ იცოდი, რომ ბნელაში დავრ-ჩებოდით.

ლირი

ნუთუ შენ ჩემი შვილი ხარ?

გონერილა

კარგი, კმარა, ბატონო! სასურველია, რომ კვლავ იმ მაღალს მსჯელობაზედ დადგეთ, რომელიც თქვენ ეგრე უხკად მონიჭებული გქონდათ და თავი დაანებოთ იმისთანა უცნაურს ქცევას, რომელიც თქვენ აღარ შეგფერით, რადგანაც თქვენ ის აღარა ხართ, რაც უწინ იყავით.

ხუმარა

მიგიხვდა ვირი თუ არა: მუხას ვაშლი არ ასხვაო? — ყოჩაღ, გოგრავ! მაგისთვის მიყვარხარ, აი!

ლირი

ნუთუ აქ მე აღარავინა მცნობს?.. არა, მე ლირი არა ვარ? ლირი ასე არ დადის? ასე არ ლაპარაკობს? რას აუბმია იმისათვის თვალები? გონება გაფთხობია, თუ ცნობა მიხდია? სძინავს, თუ ღვიძავს? არა, აქ სხვა რამ უნდა იყოს. ერთი მითხარით, მე ვინა ვარ? ლირის აჩრდილი?![2] მე ვხედავ, რომ ყოველივე ჩემთან არის: ძლიერება, ჭკვა, გონება, მაგრამ იმას კი ვერა ვხედავ, რომ მე ქალისშვილები მყავს.

ხუმარა

შენ ვერც იმას ხედავ, ძმობილო, რომ იმათ მშობელი მამა ყურმოჭრილ ყმად გაიხადეს.

---

2 ზოგიერთს დაბეჭდილში სიტყვებს „ლირის აჩრდილი" ხუმარა ამბობს.

ლირი

თქვენი სახელი, მშვენიერო მანდილოსანო?

გონერილა

კმარა, ბატონო, თავ-საცილი თქვენი ამგვარი,
ჩამოჰგავს თქვენსა ახირებულს გარეწრობასა,
დროა, ბატონო, ჩემი სიტყვა სწორედ ასწონოთ
და ვით თქვენს ხანსა შეჰფეროდეს, ისე მოიქცეთ.
თქვენდა მხლებელად დაგიგდიათ ასი რაინდი,
რომელთ ურცხვობამ, მეძაობამ, უწესოებამ
პალატნი ჩვენნი შებილწა და გააბინძურა
და გარყვნილობის ქარვასლადა გარდააქცია.
მათის მრუშობით, ბინძურობით სასახლე ჩვენი
უფრო ემზგავსის ყავახანას და საროსკიპოს,
ვიდრე კეთილად განწყობილსა სამეფო პალატს.
რომ თვით არ შერცხვეთ, მათ სასტიკად მოპყრობა უნდა.
თუმცა უთქვენოდ მეც შემეძლო, მაგრამ თქვენვე გთხოვთ,
რომ ცოტაოდნად შეამციროთ ამალა თქვენი
და იახლოთ თან იმათგანი მარტო ისეთნი,
რომელნიც თქვენთან წლოვანებით სწორნი არიან
და რომელთც ძალუძსთ თქვენი ცნობაც და თვის თავისაც.

ლირი

ჰოი, წყვდიადო ჯოჯოხეთო და ტარტაროზნო!...
ჩქარა ცხენები!... მიხმეთ აქა მხლებელნი ჩემნი!...
ჩემის აქ ყოფნით არ შეგზარავ, შე ავო სულო!
მე მოგშორდები! ერთი ქალი კვლავ დამრჩენია.

გონერილა

თქვენ ჩემთა მხლებელთ მილახავთ მე, და თქვენი ხროვა
უკეთესთ ჩემთა მსახურთ თვისდა მონად იხდიან.

(შემოდის ალბანი)

ლირი

ვაი მას ვინცა გვიან შევა სინანულშია! (ალბანს).
ოჰ, თქვენც მობძანდით!... თანაუგრძნობთ ამ თქვენს მეუღლეს?
მითხარით რაღა! მომიმზადეთ სწრაფად ცხენები!
უმადურებავ, შე გულქვაო შავო სატანავ!
როს შვილის გულში ჩაისახვი, შენ შეიქმნები
გველეშაპისა სახეზედაც უფრო საზიზღარ!

ალბანი

რამ აღგაშფოთათ, ხელმწიფეო, გთხოვთ, რომ მიბძანოთ.

ლირი (გონერილას).

სტყუი, მიჰქარავ, სულდაბალო, სისხლმსმელო სვავო!
მე მახლავან სულ დარჩეულნი დარბაისელნი.
მათ კარგად ესმით თვისი ვალი, პატიოსნება,
არ შეირცხვენენ კეთილშობილს სახელსა თვისსა.
მცირედი იგი შეცოდება კორდელიასი
ვით მეჩვენა მე ესდენ დიდად, ესდენ საზაროდ!
ვით დაარღვია მან სიცოცხლის ჩემისა წყობა!
ვით ამოაფთხო თვის ბუდიდამ მიდრეკილება
მამაშვილური, ბუნებრივი ჩემი მისდამი!
ვით ამოსწოვა სიყვარული ჩემის გულიდამ
და მის მაგიერ ჩამაწვეთა ზაფრა-ნაღველა! (თავში ხელს ირტყამს).
ვაი, ლირ! ლირ! ლირ! ურაკუნე ეხლა იმ კარსა,
რომლიდამაც შენ გამოდევნე გონება შენი
და უჭკუობა შიგ შეუშვი! წავიდეთ ჩემნო!

ალბანი

მე უბრალო ვარ და არ ვუწყი, ვინ გაწყინათ თქვენ.

ლირი

ეგ შესაძლოა! მაშ მისმინე, ჰოი, ბუნებაე,
შენ, კეთილმყოფო ჩემო ღმერთავ, გამიგონე მე!
თუ ამ აფთარსა განუჩინე შენ შვილოსნობა,
გააუქმე ეგ განაჩენი და უარჰყავი.
გაუწყალე და გაუცოფე მუცელში თესლი,
დასწვი, დასდაგე, დაუხრაკე საშოთა ძარღვნი,
რომ თავის დღეში ბიწიერის მის სხეულისგან
არ იშვას ბავშვი მის ნუგეშად, სასიხარულოდ!
მხოლოდ თუ მისთვის შვილის ყოლა ბედს განუგია,
მიეცეს შვილი ბალღამით და შხამით შეთხზნილი.
დაუშაშროს მან თავის დედას გულმკერდი, სახე,
ატიროს ისე, რომ ცხარე ცრემლთ მწვავმა დენამა
ჩაუთხაროს და ჩაუღრუტნოს სერ-სერად ღაწვნი!
მშობლიურს მისსა ყოველს ალერსს, ყოველს ამაგსა
ის თაკილობდეს, ზიზღობდეს და შეურაცხყოფდეს!
დეე, ჰსცნოს მაგან შვილებისა უმადურება,
რაოდენადაც გველის კბილზედ უფრო ბასრია!
შორს, შორს აქედგან! ფეხი ჩვენი აქ აღარ იყოს!

(გადის)

ალბანი

ჰოი, მაღალნო ღმერთნო ჩემნო, რას ნიშნავს ესა?

გონერილა

რაზედა სწუხხარ? თავს რად იტკენ ტყუილუბრალოდ?
თავი ანებე, იშმაგოს მან ვიდრე მოსწყინდეს.

(ლირი დაბრუნდება).

ლირი

როგორ! შუაზედ გაუყვიათ ჩემთ მხლებელთ რიცხვი!
ორმოცდაათი კაცი ჩემი დაუთხოვნიათ.

ალბანი

რა ამბავია? გთხოვთ მიბძანოთ, ჩემო ბატონო.

ლირი

რაც ამბავია გეტყვი მე შენ, სიკვდილ-სიცოცხლევ!
ოჰ, შე არწივო! მრცხვენის, მრცხვენის, რომ შენ შესძელი
ძალ-გულის ჩემის ესდენ რყევა, დაძაბუნება,
რომ თვალთა ჩემთა წამოღვარნეს შენს წინა ცრემლნი,
თითქოს ღირს იყო, შე უღირსო, ჩემის ცრემლისა!
შეგმუსროს მეხმა, შეგსვას, შეგნთქას ნისლმა, ბურუსმა!
მამისა წყევლამ დაგშალოს შენ და ყველა ძარღვნი
უკურნალისა იარითა დაგიწყლულოს შენ!
თქვენ, ჩემნო თვალნო უძლურნო და მიბერებულნო!
ნუღარა სტირით, თვარემ ხელით ჩემით ალმოგთხრით,
გაგსრესთ და თქვენგან ნაწურის წყლით მიწას მოვალხობ.
ესეა საქმე!... ესეც ვნახე!... მაშ ეგრე იყოს!...
მე ერთი შვილი კიდევა მყავს! ის კეთილია,
მაამებელი, მოთავაზე, მოსიყვარულე.
მან რომ შეიტყოს ულმობელი ეს შენი ქცევა,
მაგ ცოფით სავსეს მგლურსა დინგსა ბრჭყალით დაგიხოკს.
მე დავიბრუნებ ისევ იმა ჩემს მეუფებას,
რომელ გგონია საბოლოოდ ჩემგან თმობილი.
მე შენ გაჩვენებ, დაგიმტკიცებ ამ ჩემს მუქარას.
(გადიან ლირი, კენტი და ამალა).

გონერილა

აი, ხომ შენის თვალით ნახე, რასაცა ჰსჩადის?

ალბანი

თუმცა შენდამი, გონერილავ, დიდს სიყვარულს ვგრძნობ,
მაგრამ არ ძალმიძს, ამ საქმეში მე შენ მოგკერძო.

გონერილა

გთხოვთ, დაგვეხსნათ და დაგვაცალოთ, — ეი, ოსვალდო!
(ხუმარას).

შე ხუმარა და ვირ-ეშმაკავ, გაჰყევ შენ ბატონს;

ხუმარა

ბიძია, აი, ბიძია ლირო! შენს ხუმარასაც აღარ უცდი? რაო, თან აღარა მიგყევხარ?

ვინც ცბიერსა მელასა,
შვილს ამის მზგავსს ყველასა
ერთად შეჰკრავს, შებოჭავს
და გაუგლის კარგად თავს,
ჩემს ჩაჩს დავხურავ თავზედ,
და მე წავალ ჩემს გზაზედ.

(გადის).

გონერილა

ასი რაინდი!... ლაშკარია, ხუმრობა არის!...
მას თვისი საქმე ურიგოდ არ დაუჭერია.
კარგს არ ვიზამდით ასის კაცის ნება მიგვეცა,
რომ როცა თავში ფიქრი რამე მოუვიდოდა
ან შეგვასმენდა ვინმე ბეზღით, ცილისწამებით,
ან ყურში რასმეს ჩვენზედ ავსა წასჩურჩულებდა,
ან თვით მოსვლოდა უმიზეზო ჟინი და ბრაზი,
ეჭირვეულნა და მუქარით თავი წაეღო.
ასის კაცისა იარაღით გაზვიადებულს
სიცოცხლე ჩვენი სრულად ხელში ეჭირებოდა!..
ოსვალდ, არ გესმის?

ალბანი

მეტისმეტი შიშია ეგე.

გონერილა

მეტს დანდობაზედ ფრთხილი შიში უმჯობესია.
ჯერ უნდა კაცმა განსაცდელი უკუირიდოს

და მერე მხოლოდ განუტეოს გულიდგან შიში.
რა ზნისაც არის კარგად ვიცნობ მე მამა ჩემსა...
რაც ჩაიდინა ყველაფერი ჩემს დას მივწერე
და ვაცნობე მე ყველა იგი, რაც თავს არ მოდის.
იმასაც ვნახავთ მას ჩემი და ვით მოექცევა,
ვით შეუნახავს ასსა რაინდს? — ოსვალდ, არ გესმის?

(შემოდის ოსვალდი)

წიგნი მზად არის ჩემს დასთანა?

ოსვალდი

დიაღ, ბატონო.

გონერილა

იახელ ვინმე თან და ეხლავ გზას შეუდექი.
უამბე ჩემს დას ყველა იგი, რის შიშიცა მაქვს
და შენც შენი რამ საბუთები ზედ დაუმატე.
მარჯვედ იარე, რომ მარჯვედვე უკან დაბრუნდე.

(ოსვალდი გადის)

დამიჯერე მე, ჩემო ქმარო, ეგრე არ ვარგა.
თუმცა ეგ შენი ლმობიერი გულკეთილობა
და უბოროტო საქციელი არ დაიძრახვის,
მაგრამ მაინც კი, მომიტევე, მე უნდა გითხრა,
რომ შენ გაკლია ცოტაოდნად შორსმხედველობა.
მაგ ნაკლისათვის შენ უფრორე საკიცხავი ხარ,
ვიდრე საქები შენის მავნე გულჩვილობისთვის.

ალბანი

რამოდენადაც შენ შორს ხედავ, მე ეგ არ ვიცი.
ეს კია, ხშირად ბევრის ნდომით ცოტასაც ვკარგავთ.

გონერილა

მაშ შენის სიტყვით.....

კარგი, კმარა, ბოლოსაც ვნახავთ.

სანახავი V

ალბანის სასახლის ეზო

(შემოდიან ლირი, კენტი და ხუმარა)

ლირი

შენ წინ წადი და ეს წერილები გლოსტერს ჩააბარე. ნურაფერს ნუ გაუხსენებ ჩემს ქალს, რაც იცი. თუ წერილის წაკითხვის შემდეგ შენ გკითხოს რამე, მხოლოდ მაშინ კი მიეცი პასუხი. ძალიან აუჩქარე, თვარემ მე წინ მიგისწრობ.

კენტი

ვიდრე ამ წერილებს არ ჩავაბარებ, თვალსაც არ მოვხუჭავ, ხელმწიფეო ჩემო!

ხუმარა

კაცის ტვინი რომ ფეხის ქუსლებში იყოს, ნეტა ვიცოდე არ გაილახებოდა?

ლირი

მა რა მოუვიდოდა, ჩემო კარგო?

ხუმარა

მაშ მომილოცავს, შენი ტვინი გაცვეთილს ქალამანში აღარ მოექცევა.

ლირი

ჰა, ჰა, ჰა!

ხუმარა

შენ ეგრე იცინე და მე ეს ულვაში მომპარსე, თუ შენა მეორე ქალი პირველისავით კარგად არ მოგექცეს. თუმცა ის ამას ისე ჰგავს, როგორც მაჟალო ვაშლსა, მაგრამ მაინც საქმელი უნდა ითქვას.

ლირი

რა სათქმელი უნდა ითქვას, შე გაქნილო?

ხუმარა

ისა, რომ ორივე ერთნაირი მაჟალოები არიან... ერთი ეს მითხარ, ბიძია, ცხვირი შუა პირის სახეზედ რად არის?

ლირი

არ ვიცი.

ხუმარა

მად, რომ ერთი თვალი აქეთ უჯდეს და მეორე იქით: რასაც კაცი სუნით ვერ აიღებს, ის თვალით დაინახოს.

ლირი

მე დავჩაგრე იგი და შეურაცხვყავ...

ხუმარა

არ იცი, სადაფი სადაფს როგორ იკეთებს?

ლირი

არ ვიცი,

ხუმარა

არც მე ვიცი. ეს კი ვიცი, რისათვისაც იკეთებს.

ლირი

რისთვის?

ხუმარა

მისთვის, რომ თავი შიგ შეაფაროს და არა იმისთვის, რომ ის თავის ქალებს მიუბოძოს და თითონ კი თავშეუფარებელი დარჩეს.

ლირი

ბუნებას ჩემსას მე თვითონ ვგმობ და დავივიწყებ!... მერე ვინა?... ასეთი კეთილი მამა!.. მზად არიან ცხენები?

ხუმარა

შენი ვირები წავიდნენ ცხენების მოსაყვანად. ერთი ეს მითხარ, ცაზედ როცა შვიდი ვარსკვლავია, შვიდი რად არის?

ლირი

იმიტომ რომ რვა არ არის.

ხუმარა

ეგ კარგი მოგივიდა, შენ კარგ ხუმარად გამოდგებოდი.

ლირი

ძალით უნდა უკან დაბრუნება, ძალით!.. ჰოი, შე საზარო უმადურებავ!...

ხუმარა

ბიძია, იცი, რას გეტყვი? შენ რომ ჩემი ხუმარა ყოფილიყავ, ერთ ლაზათიანად მიგტყებდი, რომ ეგრე უდრო-უდროოდ დაჰბერდი.

ლირი

როგორ თუ უდრო-უდროოდ!

ხუმარა

ისე, რომ ჯერ ჭკუა უნდა გესწავლა და მერე დაბერებულიყავ.

ლირი

მადლო ზეცისავ, მომეც, მომეც მე მოთმინება!
ტვინს ნუ შემირყევ, დამიფარე ჭკვიდამ შეშლისგან!
ჭკვისა დაკარგვა მაძრწუნებს მე. (შემოდის რაინდი).
რაო? ცხენები
მზად არიან თუ?

რაინდი

მზად გახლავან, ჩემო ხელმწიფევ.

ლირი

წამო, შვილო წავიდეთ.[3]

(ცადიან)

3 ამის შემდეგ ხუმარა ორსტრიქონიანს შაირს ამბობს. ეგ შაირი ძალიან ცუდი უაზროა, რომ სრულიად არ უხდება არც ხუმარას და არც ტრაგედიის გარემოებასა. გამოჩენილი კრიტიკოსი შექსპირისა სტივენსი ამბობს ამ შაირზედ, რომ სხვისაგან ჩამატებულიაო. ჩვენც სტივენსს დავუჯერეთ და არა ვსთარგმნეთ.

მოქმედება მეორე

სანახავი I

გრაფის გლოსტერის ციხე-დარბაზის ეზო.
(ედმუნდი და კურანი შემოდიან და ერთმანერთს შეხვდებიან).

ედმუნდი

კურანს გაუმარჯოს.

კურანი

ღმერთმა გაგიმარჯოს, ბატონო. ეს-ეს არის ეხლა მამათქვენს ვახლდი და მოვახსენე, რომ მთავარი კორნვალი და მეუღლე მისი რეგანა ამაღამ აქ მობძანდებიან.

ედმუნდი

ნეტა მიზეზი რა უნდა იყოს?

კურანი

არ ვიცი, თქვენმა მზემ. თქვენ, რასაკვირველია, ეს უკანასკნელი ამბავი გაგონილი გექნებათ. მე იმ ამბავზედ მოგახსენებთ, რომელზედაც ჯერ მხოლოდ ხმადაბლა ლაპარაკობენ. მართლადა ეს ისეთი ამბავია, რომ ჯერ მარტო ყურში თუ ითქვის.

ედმუნდი

მე არა გამიგონია რა. მიამბე, თუ გიყვარდე.

კურანი

მაშ იმისთანა რამ არა გაგიგონიათ რა, რომ ვითომც კორნ-
ვალი და ალბანი ერთმანერთში ომს აპირობენ?

ედმუნდი

ერთი სიტყვაც არ გამიგონია.

კურანი

მაშ, მალე გაიგებთ. მშვიდობით ბძანდებოდეთ.

(გადის).

ედმუნდი

კორნვალი მოვა აქ ამაღამ... ეს კარგი არის!
ჩემს საქმეს თვითქმის თავისთავად ხელი ეწყობა...
მამაჩემმაცა ბძანა ჩემის ძმისა დაჭერა....
სხვა რაღა მინდა?... მარტო ის, რომ მეც ხელი გავძრა
და არ დავყონდე, როცა ბედი ამრიგად მშველის:
ყური მომიგდე, ედგარ!... ერთი აქ ძირს ჩამოდი!...
გამიგონე და!... ჩამო-ღეთქი. სათქმელი რამ მაქვს.

(შემოვა ედგარი).

წადი აქედგან, მამაჩვენი ყველგან დაგეძებს,
კიდეც უამბეს სადაც იყავ შენ დამალული....
ვიდრე ღამეა მე შენ გირჩევ, რომ გაიპარო.
ერთი დაფიქრდი, კორნვალზედა წინააღმდეგი,
ან ძვირი რამე ხომ არსად არ წამოგცდენია?
ის და რეგანა ამაღამ აქ მოისწრაფიან....
ანუ იქნება სადმე ვისმეს შენ გაუმჟღავნე,
რომ ის ალბანის წინააღმდეგ ომსა აპირობს!?

ედგარი

გეფიცები, რომ არსად სიტყვაც არ წამცდენია.

აგერა მამაც!... რომ შენს მომხრეს მე არ ვეგონო,
მე შენზედ განგებ, არ გეწყინოს, ხმალს ამოვიწვდენ
და შენც ხმალდახმალ დამიდეგი, თვითქოს მიგერებ.
ვითომ მექცევი, უკუ წადეგ. (ხმამაღლა) დამნებდი ძმაო!...
მამას იახელ.... მომინათეთ!.... ჩქარა სანთელი!....
(ხმადაბლა) გამექეც ედგარ! (ხმამაღლა) მომინათეთ!.. (ხმადაბლა)
გასწი, მშვიდობით!
(ედგარი გადის).
ცოტა რამ სისხლი რომ მდიოდეს, დამიჯერებენ,
რომ თავდადებით და მედგრადა მე მიბრძოლია.
(ხელს იკაწრავს).
ბევრჯერ მინახავს ლოთი ბიჭი, რომ უფრო მეტად
ცუდუბრალოზედ სალაღობოდ ხელი ეკაწროს.
(ხმამაღლა) მამავ, მიშველე! დადეგ!.. დადეგ!.. არავინ მშველის?

(შემოდიან გლოსტერი და მოსამსახურეები, რომელთაც ხელში მაშხალები უჭირავთ.)

გლოსტერი

რა იქმნა, ედმუნდ, ის ფლიდი და ის ავაზაკი?

ედმუნდი

ეხლა აქ იყო ამ ბნელაში ხმალამოწვდილი
და მთვარეს რაღაც ჯადოქრობით იგი იწვევდა
შესაწევნელად და მეოხედ.

გლოსტერი

ეხლა რა იქმნა?

ედმუნდი

აი, ბატონო, სისხლიცა მდის...

ГЛОСТЕРИ

რა იქმნა-მეთქი
ის ავაზაკი?

ЕДМУНДИ

აი, აქეთ გაიქცა იგი.
როცა ვერასგზით.....

ГЛОСТЕРИ

დამიჭირეთ ის დაწყეველილი!...
გზა შეუკარით! — (ერთი მსახური გადის) რა ვერასგზით, რა
უნდა გეთქვა?

ЕДМУНДИ

როს თქვენს სიკვდილზედ ვერასგზით ვერ დამიყოლია,
მე ვუპასუხე, რომე ღმერთნი სისხლის მზღვეველნი
მთელს თვისს რისხვასა მიაქცევენ მამისა მკვლელსა;
რომ ღვთიურია მამა-შვილთა შორის კავშირი....
და რა ბოლოს ჰსცნო, რომ ჩე მეღვრად წინააღვუდეგ
მისსა განზრახვას ბუნებისა შემარყეველსა,
იგი გააფრდა და იშიშვლა მყის ხმალი თვისი,
შემომიტივა გაცოფებით უიარაღოს
და ხელში დამჭრა. მაგრამ როცა მე იმან ჩნახა
მისისა ქცევით საშინელის რისხვით ანთებულ
და გამზადებულ სიმართლისთვის თავდასადებად,
ანუ იქმნება შეუშინდა ჩემს ხმაურობას,
მაშინვე გაფთხა და გაიქცა.

ГЛОСТЕРИ

დეე, გაიქცეს!
ჩვენს ადგილებში იგი ვერსად დაგეშალება....
და თუ მას სადმე მოასწრობენ, მაშინ გათავდა!...

აქ მობრძანდება ამაღამა ჩვენი მთავარი,
იგი მე მწყალობს, ყოველსფერში მე ნებას დამრთავს....
მე მის სახელით საქვეყნოდა გამოვაცხადებ,
რო? ვინც იმ მამის მგმობელს პირუტყვს სადმე გვიპოვის
და ხელში მოგვცემს დასასჯელად, დავაჯილდოებთ,
და ვინც დამალავს, მას სიცოცხლე თვით მოესპობა,

ედმუნდი

მე ჩემი ვქმენი და ვეცადე, რომ უარეყო
და დაეშალა საშინელი თვისი განზრახვა,
მაგრამ არ იქმნა!... იგი მტკიცედ იდგა მასზედა.
მაშინ მუქარით მე ვუთხარი, — გაგამხელ-მეთქი.
მან მიპასუხა: „შე ბოგანავ, შე ნაბიჭვარო!..
ნუთუ გგონია, გაიტანო შენ რამე ჩემგან
მაგ ერთგულობით, სიმართლით და პატიოსნებით!?
როცა მე და შენ პირისპირად დაგვაყენებენ,
მე უარვყოფ ყოველსფერსა, თუნდ რომ წერილი,
რომელიც მეო შენ მოგწერე, წამომიყენო.
მეო ყოველფერს შენ თვითონვე გადმოგაბრალებ,
ვიტყვიო, რომ შენ მიბირებდი, მითათბირებდი
მამისა ჩემის განდგომისა და ღალატისთვის;
თვით შენ გაგხდიო მამის მტრად და მამის მგმობელად.
ნუთუო ეგრედ სულელია ესე ქვეყანა,
რომ ყველა ესე შენს სიხარბეს არ მიაწეროს?!
ვინ არ ირწმენსო, რომ თვით შენ მე გადმომემტერე
მხოლოდ იმისთვის, რომ სიკვდილი ჩემი შენ გინდა,
რათა ჩემს შემდეგ მემკვიდრობა უცილოდ დაგრჩეს?!
ვინ არ ირწმენსო, რომ სიხარბეს, შურიანობას
შენ უცდენიხარ, წაულიხარ ამ შემთხვევაში?!“

გლოსტერი

გაჯიქებული და გულმრუდე ის ავაზაკი!...
თავის საკუთარს წერილსაცა განა უარჰყოფს?! —

არა, — არ არის იგი ჩემი სისხლი და ხორცი!

(საყვირის ხმა მოისმის).

სუ!... საყვირის ხმა!... მობძანდება ჩვენი მთავარიც!...
ნეტა რა უნდა იყოს იმის მოსვლის მიზეზი....
ყოველგან გზებსა ხმელეთისას თუ ზღვის პირისას
მე მას შევუკრავ, — სად წამივა იგი პირშავი....
და თვით მთავარიც მე ამაში ხელს მომიმართავს.
საცა მივსწვდები, იმის სახეს ყველგან გავგზავნი,
რომ ყველამ, ვისაც შეხვდეს იგი, მაშინვე იცნოს.
მერე შენც, ჩემო ნამდვილო და ერთგულო შვილო,
მოგიხერხებ, რომ ჩემს სიმდიდრეს დაგაპატრონო.

(შემოდიან კორნვალი, რეგანა და თანამხლებელნი).

კორნვალი

ჩემო ერთგულო მეგობარო, რა დაგმართვიათ?
შემოვდგი ფეხი თუ არ, მყისვე მე დამახვედრეს
გასაოცარი რამ ამბავი. რაო? რა მოხდა?

რეგანა

თუ ეგ გამართლდა, ყოველგვარი ტანჯვა, სასჯელი
ცოტა იქმნება იმ საზარელ მგმობელისათვის.
საშინელი რამ ამბავია! — თქვენ ვითღა სუფევთ?

გლოსტერი

ოჰ, დედოფალო, გული ჩემი დაბერებული
განგმირულია და მკვდარია ამგვარის ამბით.

რეგანა

ნუთუ ის, ვისაც ნათელი ჰსცსო მამამან ჩემმან,
ვისაც უწოდა მან სახელი, თქვენ გადავიდგათ?
ნუთუ ედგარი, თქვენი შვილი მას გაბედავდა,
რომე სიკვდილი თქვენი იმას გულს განეზრახოს?

ГЛОСТЕРИ

ოჰ, დედოფალო, დედოფალო! მეც თვითონ მრცხვენის,
მაგრამ არ ვიცი, სად გავექცე ამა სირცხვილსა!...

РЕГАНА

ხომ არ უვლია იმ ვერაგთა მხლებელთა თანა,
რომელიც ახლავს მამაჩემსა ამალად თვისად?

ГЛОСТЕРИ

რა მოგახსენოთ. — ოჰ, რა ცოდვა გარდამეკიდა!...

ЭДМУНДИ

დიაღ, ბატონო, იგი მათთან ხშირად ყოფილა.

РЕГАНА

მაშ რაღად გიკვირსთ, რომ ბოროტი მას განუზრახავს?
ის მათგან არის უსათუოდ წაქეზებული
ამა მოხუცის მოსაკლავად, რათა მის შემდეგ
ხელი ჩაჰკიდონ მის ქონებას და სრულ გაჰფლანგონ.
მე ამ საღამოს ჩემის დისგან წიგნი მივიღე,
მწერს მამის ჩემის ამალისას ისეთსა ქცევას,
ვერაგობას და ამბოხებას, რომ როცა მოვლენ,
აღარ დავხვდები მე ჩემს სახლში.

КОРНЕЛИ

არც მე დავხვდები.
მომხსენდა, ედმუნდ, რომ ვითომც შენ მამიშენისოვის
მამაშვილური სამსახური გაგიწევია.

ЭДМУНДИ

რაც ვალად მედო, მე იგი ვქმენ, ბატონო ჩემო.

გლოსტერი

როცა ამან ჰსცნო მის ბოროტი განზრახულება
და შესაპყრობლად მიიზიდა, — დაიჭრა კიდეც.
აი, თვით თქვენმა ბედნიერმა თვალმა იხილოს.

კორნვალი

მერე მდევარი გაუსიეთ?

გლოსტერი

დიაღ, ბატონო.

კორნვალი

ოღონდ შეიპყრან და ჩვენ ასეთს საქმეს დავმართებთ,
რომ მის მზაკვრობამ აღარავინ არ შეაშინოს...
თქვენც თქვენი ჰქმენით, — რაიც გსურდეთ, — ჩემის სახელით,
და შენ კი, ედმუნდ, მამისადმი მორჩილებისთვის
და სიმტკიცისთვის, რაიც შენ დღეს გამოაჩინე,
თან გიახლებთ ჩვენ. ჩვენთვის მეტად საჭირო არის
შენებრ მტკიცე და პატიოსნის გულის მექონი
და ამისთვისაც მიმყევხარ შენ.

ედმუნდი

ხელმწიფევ ჩემო!
რაც შემეძლება მე თავს დავსდებ თქვენს სამსახურზედ.

გლოსტერი

მისდა მაგიერ მადლობასა მე მოგახსენებთ.

კორნვალი

მგონა ვერ მიხვდით, რა მიზეზით დღეს გეწვიენით...

ასე უდროოდ, ამ საშინელს ბნელა ღამეში.
მძიმე მიზეზმა გვაიძულა ჩვენ აქ მოსვლადა
და გაგვიხადა საჭიროდა ჩვენ რჩევა თქვენი.
მამაჩემი და ჩემი დაი — ორივე მწერენ,
რომ ერთმანეთში უთანხმობა ჩამოვარდნიათ
და ვირჩივე მათ ვუპასუხო თქვენის სახლიდგან.
მათნი შიკრიკნიც აქ ელიან ჩვენგან პასუხსა.
დიდი ხნის ჩვენო მეგობარო, კეთილო გლოსტერ!
ცოტას ხანს გულით გადიყარეთ ეგ მწუხარება
და თქვენს საჭიროს რჩევას ჩვენთვის ნუ დაიშურებთ;
გვირჩივეთ რამე ამ სასწრაფო, მძიმე საქმეში.

გლოსტერი

მზადა ვარ თქვენის, დედოფალო, სამსახურისთვის
და სიხარულით მოვეგები თქვენს მობძანებას.

(გადიან ყველანი).

სანახავი II

გლოსტერის ციხე-დარბაზის წინა
(შემოდიან კენტი და ოსვალდი სხვადასხვა მხრით)

ოსვალდი

გამარჯვება შე კაიკაცო! შენ აქაური ხარ?

კენტი

აქაური.

ოსვალდი

ერთი ეს ცხენები სად დავაყენო?

კენტი

წუმპეში.

ოსვალდი

სწორედ მითხარ, თუ გიყვარდე.

კენტი

მიყვარდე, რა საყვარელი შენა ხარ!

ოსვალდი

მაშ თუ აგრეა, თავშიმც ქვა გიხლია.

კენტი

მე გახლიდი თავში ქვას სხვაგან რომ შემხვედროდი!..

ოსვალდი

კაცო, რას ჩამომეკიდე. მე შენ არც კი გიცნობ ვინა ხარ და!..

კენტი

მე კი გიცნობ, შენ რა წითელი კოჭიცა ბძანდები.

ოსვალდი

ვითომ ვინა გგონივარ?

კენტი

არამზადა, ნაცარქექია, ფეხთამლოკი, ნაბიჭვარი, დიდგულა, ფუღურო, მათხოვარა, ორპირი, მყრალი, მურტალი, ლაჩარი, გაქნილი, ძაღლის გავარდნილი, თავლაფდასხმული, მელაძუა, პრანჭია, ლაწირაკი, გლახა, ღატაკი, მაჭანკალი. შეთითხნილი

არამზადობისა, გლახა მათხოვარობისა, ლაჩრობისა და წუწკობისაგან; ძუკნა ძაღლის გავარდნილი! ნეტავი არ მინდა ამ საზელებში ერთს ასოზედ მაინც უარი ჰსთქვა, ამდენს მოგარტყამდი, რომ ჭყივილით აქაურობა აგეკლო.

ოსვალდი

ვინა ხარ, ეი!.. რა ობერ-ტიალი რამა ყოფილხარ. არ ვიცნობ, არ გიცნობ და ეგრე კი იგინები.

კენტი

ვერ უყურებთ ამ ვირის თავს არამზადას!.. არ გიცნობო. მაშ ის ვინ იყო, რომ ამ ორის დღის წინად ხელმწიფის თვალწინ გაგშხლართა და მიგბეგვა. — გაიძერ ხმალი, შე წუწკის შვილო! მართალია ღამეა, მაგრამ მთვარე კიდევ იმოდენად ანათებს, რომ ლუკმა-ლუკმაღ აგკუწო და ძვალი და რბილი ერთმანეთში დომხალსავით აგირიო. ამოიღე ხმალი, შე მურტალო ნაბიჭვარო! ამოიღე-მეთქი!

(თვითონ ხმალს იღებს).

ოსვალდი

გადი, დამეკარგე, მე შენი თავი არ მაქვს!..

კენტი

გაიძერ ხმალი-მეთქი, შე ყურუმსაღო! მე შენ გიჩვენებ ჩვენის ხელმწიფის წინააღმდეგ ბარათების ტარებას. როგორ გაბედე, რომ თოჯას მიჰკერძე და იმის გვირგვინოსანს მამას კი გაღუდეგი!... ამოიღე ხმალი, შე ვირეშმაკავ, თორემ სულ სუკებს ამოგათლი! ამოიღე, შე ნაცარქექიავ, შენა!... გამაგრდი მეთქი, შე მხდალო და ლაჩარო! —

ოსვალდი

ვაი, მიშველეთ! მიშველეთ!.. მკლავენ!

კენტი

გამაგრდი, შე წუწკო! დადევ! დაღეგ, შე არამზადავ!... გამაგრდი-მეთქი, შე ყურმოჭრილო მონავ!

ოსვალდი

მიშველეთ! მკლავენ! მკლავენ!

(შემოდიან ედმუნდი, კორნვალი, რეგანა, გლოსტერი და მოსამსახურეები).

ედმუნდი

რა არის? რა ამბავია? გაშორდით ერთმანეთსა!

კენტი

არც შენ გაგექცევი, თავმომწონევ ვაჟბატონო! თუ გული გერჩის, მობძანდი, შენც გარგუნებ შენს კერძსა.

გლოსტერი

ხმალსაცა ხმარობენ!.. რა ამბავია?

კორნვალი

შეჩერდით, თუ რომ სიცოცხლე არ მოგძულებიათ... ვინც გასძრავს ხელსა, ის მოკვდება. რაზედა სჩხუბობთ?

რეგანა

ეგენი ჩემის დისა და ხელმწიფის შიკრიკნი არიან.

ოსვალდი

მე, აი, ხელმწიფეო ჩემო, ძლივსღა ვიბრუნებ სულსა და!..

კენტი

მაშ, რა მოგიელოდა? შენ იმდენი ძალგულოვნობა გქონია, რომ ყელშიაც მოგებჯინა. აი, შე თავლაფიანო ლაჩარო! თითონ ბუნებასაც კი ეზიზღები... შენ თერძის შეკერილი ხარ.

კორნვალი

რას სულელობს!.. თერძისაგან კაცის შეკერვა გაგონილა!

კენტი

ეგ კი სწორედ თერძისაგან არის შეკერილი, თორემ ხარატი და მხატვარი ამისთანა მახინჯს ვერ შეჰქმიდენ, თუნდ რომ ორი საათიც ესაქმათ.

კორნვალი

იტყვით თუ არა რაზედ წაეკიდენით ერთმანეთსა?

ოსვალდი

ეს ბებერი ავაზაკი, რომლის სიცოცხლეც მაგის ჭაღარა წვერს ვაპატივე....

კენტი

აი, შე ანბანის უხმარო ასოვ! შე ხორცმეტა შენა! — ნებითა თქვენითა, ბატონო ჩემო, მე ამ უზდელს წუწკსა როდინში დავნაყავ, ტალახსავით ავზელ და იმით ფეხის ადგილის კედლებს გავლესავ. ჩემი სიცოცხლე ჩემს ჭაღარა წვერს აპატივა!.. აი, შე ხე-კაკუნა კოდალავ!..

კორნვალი

ხმა დაიკმინდე, შე უმსგავსოვ!.. რად არა იცი, ვისთან როგორი ქცევა უნდა.

კენტი

ვიცი, ბატონო!
მაგრამ აქვს თვისი ნებისყოფა გულისწყრომასაც.

კორნვალი

რამ გაგაწყრომა?

კენტი

მან, რომ ამგვარს წუწკსა მონასა
ხმალი ჰკიდია, კაცობა კი არ გააჩნია.
ამგვარნი კაცნი გაქნილნი და ღრეჭით მღიმარნი,
ხშირად, ვით თაგვნი, შუა სჭრიან იმ წმინდა კაკშირს,
რომელიც ისე შეკვანძილ და შებეჭვილია,
რომ შეუძლებელ არის მისი გახსნა, დარღვევა.
ეგენი თვისის მლიქვნელობით და პირფერობით
თვის მბრძანებელის წყენას, შფოთვას აძლიერებენ,
ცეცხლზედ ზეთს ასხმენ და ცივს გულზედ თოვლსა აყრიან;
ჰოსაც ამბობენ და არასაც ერთს და იმავ დროს,
ამყოლს ასდევენ და ჩამომყოლსა ჩამოჰყვებიან,
რადგანც ძაღლსავით უკან დევნა იციან მხოლოდ.
მეხიმც დაგეცა მაგ ბრიყვს თავზედ! რას იღრიჭები?
ისე ჰკრეჭ კბილებს, თითქო ჭკვიდამ შეშლილს მხედავდე.
ნეტა არ მინდა ტრიალს მინდორს სადმე შემყროდი..,
მე შენ ბატსავით ხალხათი წინ გამოგიგდებდი
და სულ ყივილით მიგარბენდი შენს საბუდრამდინ.

კორნვალი

რაებსა ბოდავ, ბერო კაცო? რამ გაგაგიჟა?

გლოსტერი

რამ წაგკიდათ თქვენ ერთმანერთსა? იტყვით თუ არა?

კენტი

არცერთსა მტერსა თვისი მტერი ისე არა სძულს,
როგორც რომ მე მძულს ამისთანა გაქნილი კაცი.

კორნვალი

რის გამო ჰსწამობ გაქნილობას? რა დაგიშავა?

კენტი

მე მაგის სახე, ერთის სიტყვით, თვალში არ მომდის.

კორნვალი

იქმნება ჩვენი სახენიცა თვალში არ მოგდის?!...
ვთსქვათ ჩემი სახე, ან ამისი, ანუ იმისი...

კენტი

ბატონო ჩემო! მართლის თქმასა დაჩვეული ვარ.
ამ სახეებზედ, რომელთაც მე ეხლა აქ ვხედავ,
ჩემს სიცოცხლეში უკეთესი ბევრი მინახავს.

კორნვალი

ეს კაცი სწორედ ჰგავს ზოგიერთს ვირეშმაკასა,
რომელიც თუ კი აქე სადმე პირში თქმისათვის
თავს მოიბრიყვებს, კადნიერად მოჰყვება როტვას
და მთელს გაუთლელს თვის ბუნებას წინ გადმოგიშლის.
მაგას რო ჰკითხოთ, პირფერობას როდი იკადრებს,
ეგ პატიოსნის აზრისაა, სწორედმთქმელია!...
თავს ნებას მისცემს ყველას პირში მართალი უთხრას.
თუ გაუვიდა, — ხომ რა კარგი, და თუ კი არა, —
მარტივის გულის უმეცრებად ჩამოერთმევა.
მე კარგად ვიცნობ ამგვარს ცბიერს და გაქნილს ხალხსა!...

ყველა მათგანი მართლისმთქმელის სახესა ქვეშე
ჰფარავს უფრო მეტს ავ განზრახვას და მზაკვარებას,
ვიდრე ქვემძრომი ოცი მონა დაბლად თავმხრელი,
რომელნიც ყველას ხელთ ულოკვენ, ფეხთ ეშლებიან,
გულში კი მალვენ ათასნაირს გესლიანს წადილს.

კენტი

სრულის სიმართლით, პირუთვნელის ჭეშმარიტებით,
ნებითა თქვენის დიადობის სხივოსნობისა,
რომლისაც შუქთა შარავანდი მიემზგავსების
ფებისა თავზედ ბრწყინავთ სხივთა ელვარებასა....

კორნვალი

მაგითი მერე რა გინდა ჰსთქვა?

კენტი

მე მინდა გადავეჩვიო ჩემს ჩვეულებრივს ლაპარაკსა, რომელიც თქვენ ეგრე ძლიერ არ მოგეწონათ. ბატონო ჩემო, მე პირმოთნე კაცი არ გახლავართ. ვისაც პირში თქმით თქვენი მოხიბლვა სდომებია, ის სწორედ პირში მთქმელი გაქნილი კაცი ყოფილა. მე კი მაგ ხელობას ვერ ვიკისრებ, თუნდ ამის გამო თქვენი წყრომა და რისხვა ზედ დამერთოს.

კორნვალი

რა დაუშავე შენ ამ კაცსა?

ოსვალდი

მე? არაფერი.
ამ ეხლახანსა ხელმწიფემა, მაგის ბატონმა
ტყუილუბრალოდ მოინდომა ჩემი გალახვა.
ეგეც იქ გახლდათ, — და მის გულის საამებელად

ფეხი წამომდო უკანიდგან და წამაქცივა.
მეფის წინ ხელის გამოღება რომ ვერ გავბედე,
უფრო წაქეზდა, მომყო ხელი, დამიწყო ცემა
და მეფის ქება მარტო იმით დაიმსახურა,
რომ მეფის ხათრით ხელშეკრულსა მაგან მაჯობა.
აქაც ეგონა ხელუხლებლად გადამრჩებოდა
და რაკი მნახა, გავაჟკაცდა, იშიშვლა ხმალი.

კენტი

მაგ უსირცხვილო ლაჩარს თქვენ რომ ყური ათხოვოთ,
თვით აიაქსეც ამასთანა ფეხის მტვერია.

კორნვალი

მოიტათ ხუნდი!... მე გიჩვენებ შენს თამაშასა!...
ჭკვას გასწავლი შენ, გაცვეთილს და ქოფაკს ტრაბახას!...

კენტი

ჩემი სწავლება გვიანღაა, ბატონო ჩემო!
ამ ჩემს ჭაღარას ეხლა სწავლა აღარ შეჰფერის.
ხუნდი მეტია... გთხოვთ, შეჰსცვალოთ ბძანება თქვენი...
მე დღეს ვახლავარ ჩემს ხელმწიფეს და მის საქმეზედ
მისგან შიკრიკად თქვენს წინაშე წარმოვგზავნილვარ.
და თუ მის შიკრიკს არ დაინდობთ და ხუნდს შეუყრით,
თქვენ დაამტკიცებთ, რომ თქვენ ჩემის მაღალის მეფის
არ გაქვსთ არც რიდი, არცა კრძალვა, არცა თავაზა —
თქვენ შეურაცხჰყოფთ მას მაგგვარის კადნიერებით.

კორნვალი

ხუნდები-მეთქი!.., ვფიცავ თავს და პატიოსნებას,
რომ შუადღემდინ ხუნდშეყრილი მე მეყოლები....

რეგანა

შუადღემდინო!?... საღამომდინ!... გათენებამდინ!...

КЕНТИ

რაო, რას სჩადით, დედოფალო? როგორ კადრულობთ!
ძაღლიც რომ ვიყო, მამის თქვენის უკანასკნელი,
არ იყო რიგი, რომ ამგვარად მე მომპყრობოდით.

РЕГАНА

არამც თუ ძაღლი, შენ ძაღლზედაც უარესი ხარ
და ამის გამო როგორცა მსურს, ისე გეპყრობი.

КОРНВАЛИ

სწორედ ეს კაცი იმ ავაზაკთ ჯგურისა არის,
რომელთა ზედაც გონერილა თავის წიგნში გვწერს.
არ გეყურებათ! ხუნდი-მეთქი!... რას აგვიანებთ!

ГЛОСТЕРИ

ნება მიბოძეთ, ვსთხოვო. თქვენსა უმაღლესობას,
რომ მაგ წყრომისა აღსრულება არა ინებოთ.
თუმც მართალია ეგე დიდად ბრალეულია,
მაგრამ, გარწმუნებთ, თვითონ მეფე, მაგის ბატონი
გაუწყრება მას და დასტუქსავს მაგ ბრალისათვის.
ეგრე ნუ დასჯით. — სამარცხვინო მაგა სასჯელით
სჯიან მხოლოდ ქურდს, ნამუსმიხდილს და გულმოთხრილსა,
ანუ თვით ქურდზედ უარესად წამხდარს და წარყვნილს.
თუნდ ეგ არ იყოს, დიდად იწყენს თვითონ ხელმწიფე,
რომ მის სახელმაც ვერ დაიხსნა მისი შიკრიკი
ამ სამარცხვინო სასჯელისგან.

КОРНВАЛ

პასუხს მე გავცემ.

რეგანა

ჩემს დას უფრორე ეწყინება, რომ მის აზნაურს,
იმის საქმეზედ წარმოგზავნილს თავზედ ესხმიან,
ლანძღვენ, ათრევენ, აგინებენ. გაუყარევით
ფეხებში ხუნდი (კენტს ხუნდს გაუყრიან). ჩემო ქმარო, ჩვენ
კი წავიღეთ.

(გადიან რეგანა და კორნვალი)

გლოსტერი

დიდად მაწუხებს, ჩემო ძმაო, ეგ შენი ყოფა,
მაგრამ ეგ მთავრის ნებაა და უნდა აღსრულდეს.
მთელმა ქვეყანამ იცის, რომ მის განკარგულებას
ვერავინ შეჰსცვლის, წინ ვერავინ გადაუდგება.
მე ვთხოვ მთავარს, რომ გაპატიოს.

კენტი

მე გთხოვთ, ბატონო,
მაგას ნუ იზამთ. მე მაინცა დაღალული ვარ,
გზაც ძნელი იყო და ძილის დროც არა მქონია,
ცოტას ჩავთვლემავ და მერე თუნდ შტვენით გავერთვი.
ეგრეა თურმე, კეთილ სულთა ბედი არ შესწევთ.
დილა მშვიდობის გაგითენოთ ღმერთმა, ბატონო!

გლოსტერი

მთავარს ამ ქცევას არა კაცი არ მოუწონებს....
მე ვიცი, რომ ეს საქმე ცუდად დაბოლოვდება.

(გადის).

კენტი

ხელმწიფევ ჩვენო, გულკეთილო! მე მეშინიან,
შენზედ არ ახდეს, არ გამართლდეს გლეხის ანდაზა:

ვაის გავექეც და ვუისა შევეყარეო.
მომიახლოვდი შენ, კანდელო ქვეყნიერების
და მომაფინე სხივნი შენნი მაამებელნი,
რათა წაკითხვა ამ წერილის შესაძლო მექმნას.
ყველა კეთილი ბედკრულთათვის სასწაულია
და მეც დღეს ვხადი სასწაულად ამა წერილსა...
დიაღ, ეს სწორედ კორდელიას ნაწერი არის.
მას შეუტყვია, რომ ვახლავარ მე ჩემს ხელმწიფეს
და მის სიკეთის გულისათვის აქ თავს ვიმალავ.
მას შეუტყვია, რა ჰედშიაც ჩაცვივნულნი ვართ
და ჩვენის დახსნის შემთხვევასა ის არ დაჰკარგავს,
ამ საშინელის ყოფისაგან გამოგვიხსნის ჩვენ.
მიმელალენით, დამიმძიმდით თქვენ, თვალნო ჩემნო?
მაშ რაღას ელით?... მილულდით და მიიძინევით,
რათა ეს სახლი სამარცხვინო აღარ იხილოთ.
ღამე მშვიდობის!.... აბა ბედო, კვლავ გამიღიმე
და ჩარხი შენი ჩემკენ კიდევ მოატრიალე!....

(იძინებს).

სანახავი III

ტრიალი მინდორი (შემოდის ედგარი)

ედგარი

რა სასჯელიცა განმიჩინეს მე დღესა ვსცანი,
და რომ ხის ღრუვში თავი ჩემი არ მიმემალა,
მამისა ჩემის მდევარს ვერსად წავუვიდოდი.
ზღვისა და ხმელის ყოველი გზა ჩემთვის შეუკრავთ,
არ არის კუთხე, სად მზვერავი ჩემი არ იყოს
და სადც მდევარი შესაპყრობლად მე არა მდევდეს.
სიფრთხილე მმართებს, რომ მე თავი გადავირჩინო.
მივიღებ სახეს იმ საზიზღარ სიღატაკისას,
რომელიც ესდენ რყვნის კაცისა სანახავობას,
რომ ადამიანს, ამ ღვთის კერძოს, სრულად მხეცად ხდის.

თავს გავითხუპნი ტალახით და უწმინდურებით,
მოვბინძურდები და ძონძებში გამოვეხვევი,
თმასაც საზარლად, შესაშიშრად მე ავიბურძგვნი,
ეგრედ უმწეოდ დაშთომილი წინ დავუდგები
ცისა ქარ-ცეცხლსა, ცისა გრგვინვას, ჭექა-ქუხილსა.
ამ ქვეყანაში ყოფილან და კვლავაც არიან
გლახა მთხოვარნი ბედლემელნი მხეცებრ მბრდღვინავნი,
რომელნიც ხიჭვთა, ნევსთა, ლურსმანთ და ჯაგის ეკალთ
თვის გაშეშებულთ და წყლულებულთ ხელთ განიყრიან.
ესრედ საბრალო სახის მქონნი და საზიზღარნი
მეცხვარეთ შორის, გომურებში და წისქვილებში
ან მიყრუებულ სოფლებ შორის დაწანწალებენ
და ხან ბღავილით, წყევლით, ქოლვით და ხან ვედრებით
კაცთ მოწყალების თვალს თავისკენ მიიზიდავენ.
საბრალო თომაჲ და ტერლიგუდ.... მაგრამ რას ვამბობ?!
თქვენ ხართ რამ მაინც!... მე, ედგარი აღარა ვარ რა....
(გადის).

სანახავი IV

გლოსტერის ციხე-დარბაზის წინა

(შემოდიან ლირი, ხუმარა და აზნაური)

ლირი

მიკვირს სახლიდამ ისე უცბად აქ წამოსულან,
რომ ჩემის კაცის დაბრუნებაც არ უფიქრიათ.

აზნაური

ჩემო ხელმწიფევ, მე შევიტყე, რომ გუშინ თურმე
შინიდამ წასვლა მათ ფიქრადაც არა ჰქონიათ.

კენტი

დღე მშვიდობისა, ხელმწიფეო!

ლირი

ამას რას ვხედავ...
შენ თვითონ ხომ არ იცულლუტე თავ-გასართობლად
და ხუნდი ფეხში გაიყარე?

კენტი

არა, ბატონო!

ხუმარა

აი, გიდი, ჰა!... ვერა ხედავთ რა მაგარი წვივსაკრავი შემოუკრავს!... საკვირველია ღმერთმან იცის, ცხენს თავით ამბენ ხოლმე, ძაღლსა და დათვსა — კისრითა, მაიმუნს — წელითა და კაცებს კი — ფეხებითა. ვინც ნაეტანად ფეხებს აფათურებს და თოხარიკობს, სწორედ ამისთანა ხის პაჭიჭები ჰსდომებია.

ლირი

ვინ იყო იგი რომ ჩემს მხლებელს პატივი არ გსდვა და ამრიგადა შეურაცხგყო?

კენტი

ორნივ, ბატონო!
არამც თუ მარტო თქვენი სიძე, თქვენი ასულიც.

ლირი

ისინი მაგას არ იქმოდენ!

კენტი

ჰქმნეს, ხელმწიფეო!

ლირი

მე ვამბობ, არა!

კენტი

დიაღ-მეთქი, მე მოგახსენებთ.

ლირი

მე გეუბნები არ იქმოდენ!... არა და არა!...
უპატივრობას ესრეთს მე ვერ შემომბედავდენ!...

კენტი

შემოგბედესთ და მორჩნენ კიდეც.

ლირი

არა, ჰსტყუა შენ!
იუპიტერის სახელს ვფიცავ არ გაბედავდენ!

კენტი

მე იუნონას გეფიცებით, გაბედეს-მეთქი.

ლირი

არ გაბედავდნენ!... არ იქმოდნენ!.... არ ინდომებდნენ!...
არ შეარცხვენდნენ სახელს ჩემსას ეგრეთის ქცევით!...
ეგრედ შერცხვენა თვით სიკვდილზედ უარესია....
ჩქარა მიამბე დაწვრილებით და დალაგებით, —
რა დააშავე სამაგისო, რომ შენ ჩემს შიკრიკს
ემაგისთანა სამარცხვინო სასჯელი დაგდვეს.

კენტი

მიეედ თუ არა თქვენის სიძის სასახლეშია,
მყის მივართვი მათ მუხლმოდრეკით თქვენი წერილი,
და წამოდგომაც ვერ მოვასწარ, რომ მსწრაფლ მოიჭრა
გაოფლებული, დაქანცული ერთი შიკრიკი.

გონერილიის მოკითხვა მან მათ მოახსენა
და ამასთანვე მიართვა მათ მისი წერილიც.
თქვენი წერილი უკუაგდეს, მის კითხვას მოჰყვნენ
და რომ შეიტყეს რაც ეწერა, უხმეს მსახურთა.
შესხდნენ ცხენებზედ და აქეთკენ გამოემგზავრნენ.
მე კი გულცივად მიბძანეს, რომ თან გამოგვყეო,
გვდიე, ვიდრემდე მოვიცლით და პასუხს მოგცემთო.
აქ რომ მოვედით, აქაც დამხვდა კიდევ შიკრიკი.
მის დანახვაზედ ავიმღვრივე, ცუცხლებრ ავენთე. —
ის გახლდათ იგი, რომელიცა ამას წინადა
გაკადნიერდა თქვენს წინაშე და გაწყენინათ.
გონი არ შემრჩა, მეც კაცი ვარ, გულზედ მოვედი,
ვერ მოვითმინე, წავეკიდე, ვიშიშვლე ხმალი.
შემიშინდა მე ის ლაჩარი და მოჰყვა ღრიალს.
იმის ღრიალზედ ბატონი, ყმა თავზედ დაგვესხა....
სიძემან თქვენმან და ასულმან ეს ჩემი ბრალი
ამ სათაკილო სასჯელისა ღირსი გახადეს.

ხუმარა

გარეული ბატები რომ აქეთ მოფრინავენ, ეტყობა ჯერ კიდევ ზამთარს არ გაუვლია.

მამას ღარიბსა, ღატაკსა
შვილები მოიძულებენ,
პატარა ჯიბე მოზდილს კი
თავის თავს ფეხქვეშ უგებენ.

ბედი სწორედ უნამუსო ქალია,
ღარიბი სძაგს, მდიდრის ეშხით მთვრალია.

მაშ, აბა ნუღარ გაგიკვირდება, რომ შენმა ქალებმა ამდენი ვაი გაყვირონ, რომ მთელი წელიწადი თვალო, ვერ დათვალო.

ლირი

ჰოი, რა რიგად მომადგა მე ყელში ნაღველა!....
ეშმაკეულნო სალმობანო, წარვედით ჩემგან

და შენც, ნაღველავ ყელთ მომდგარო, ძირსვე დაეშვი!...
სად არის იგი ქალი ჩემი?

კენტი

აქ, გრაფთან გახლავთ.

ლირი

მე მათთან წავალ. თქვენ აქ დარჩით, ნუ გამომყვებით.
(გადის).

ხუმარა

მაშ რაც სთქვი შენა, მეტი ბრალი არა გქონია?

კენტი

მაგაზედ მეტი არაფერი. ერთი მითხარით,
ჩვენს მეფეს ეგრე ცოტა ხალხი რად მოჰყოლია?

ხუმარა

აი, მაგ კითხვისათვის რომ გაეყარათ შენთვის ხუნდები, ახ.
მაშინ იქმნებოდა.

კენტი

მაგ კითხვაში მერე სამაგისო რა ნახე, შე ლაზღანდარავ!

ხუმარა

ისა ვნახე, რომ ჯერ შენ კიდევ ჭკვა გაკლია და ჭიანჭველასთან შაგირდად მისაბარებელი ხარ, რომ ჭკვა ისწავლო. აბა, ისიც კი გეტყვის, რომ ზამთარში მუშაობა მუშაობად არა ღირს. კაცი რომ დადის, ცხვირი წინ მიუძღვის და თვალებს კი დაჰყავთ, რასაკვირველია, ბრმის გარდა. და ოცს ცხვირში ერთს

იმისთანა უხეირო ცხვირს ვერ იპოვნი, რომ ვერ ვაიგოს, მყრალი სუნი საიდამ მოდის. თავ-თავქვე რომ დაქანდება ურმის თვალი, ხელი როდი უნდა ჩაჰკიდო, თორემ ჩაგითრევს და ცუდად მოგითელს მაგ კინკრიხოსა. აღმა კი რომ ადის, მაშინ ხელი მაგრა ჩაჰსჭიდე, ზედ წვერზედ მოგაქცევს. როცა ჭკვიანმა კაცმა ამაზედ უკეთესი რჩევა მოგცეს, მაშინ ეს ჩემი რჩევა უკანვე დამიბრუნე კუთვნილებისამებრ. მე მინდა, რომ ამ რჩეკას მარტო უნამუსო კაცი აჰყვეს იმიტომ, რომ ეგ რჩევა სულელის რჩევაა.

ფლიდი ბრძენი სარფისათვის მსახურებს,
იგი ჭირში შენ არ გამოგადგება.

სარფის მდევნი ჭკვიანი გიღალატებს,
ჩემისთანა სულელი კი შეგრჩება.

ფლიდი ბრძენი ჭირში გასულელდება,
სულელი კი, — მოჰკლა, — არ გაფლიდდება.

კენტი

ვინ გასწავლა ეგენი შენ, მართლადა სულელო!

ხუმარა

ვაი, მაგ გამხმარ გოგრას!.... სწორედ ხუნდებმა მასწავლეს, — ჰო, თქვენმა მზემ.

(შემოდიან ლირი და გლოსტერი)

ლირი

ისინი ჩემთან ლაპარაკსაც არ კადრულობენ?!....
გზამ დაგვღალაო!... შევწუხდითო!.... ავადა ვართო!...,
ეგ ხომ ტყუილი მიზეზია!... ეგ ნიშანია
მათის ჩემდამი ამბოხების, უპატივრობის!...
წადი და იმათ უკეთესი პასუხი ჰსთხოვე!

გლოსტერი

მეფევ, თვით უწყით, რომ მთავარი გულფიცხი არის,
ახირებული და უჯათის ხასიათისა,
და რასაც ერთხელ დაიჟინებს, მასზედ მტკიცედ სდგას....

ლირი

ეჰა, წარწყმედა!.... წყეულა! ქოქვა! ჭირი! ვაება!...
გულფიცხიაო!... მერე რაო, რომ გულფიცხია!
ოჰ, გლოსტერ!.... გლოსტერ!. ნახვა მეთქი მათი მინდა მე!
ლაპარაკი მსურს კორნვალთან და მის მეუღლესთან!...

გლოსტერი

როგორც მიბძანეთ, ნება თქვენი ისე ვაცნობე....

ლირი

მაშ სწორედ ისე აცნობე შენ? შენ ეს მითხარი,
თვით კი გაიგე, რაც გიბძანე?

გლოსტერი

დიაღ, ხელმწიფევ!

ლირი

ხელმწიფესა სურს ლაპარაკი კორნვალთან მეთქი!
მშობელს მამასა თვის ღვიძლს ქალთან სიტყვის თქმა უნდა!...
მამა შვილს უხმობს!... ესე ყველა ესრედ აცნობე?!
გულფიცხიაო?!... სისხლი შრება!.... სული გუბდება!..,
მაშ, წადი, უთხარ იმ შენს გულფიცხს, უჯათს მთავარსა....
მაგრამ მოიცა, ჯერ ნუ წახვალ, ჯერ ნურას ეტყვი....
იქმნება მართლაც ავად იყოს, მაშინ სხვა არის.
როს ავადა ვართ, აღარ გვახსოვს ჩვენ იგი ვალი,
რომელსაცა ჩვენ სიმრთელეში კისრად ვღებულობთ.

ჩვენ ჩვენი არ ვართ, როცა გვამში სენი რამ გვიდგა,
მაშინ ბუნება სხეულთანა სულსაცა ჰქენჯნის.
ჰსჯობს მოვითმინო. მეტისმეტი გულსწრაფობაა
სნეულს ის ვსთხოვო, რაც კარგამყოფს მოეთხოვება.
(კენტს შეხედავს).

არა!... სტყუიან!... ეს სიცოცხლე წყეულიმც იყოს!...
ჩემი თავაზა, ჩემი რიდი მათ არ ჰქონიათ!
ეგ ცხადი არის. მაშ, ეს კაცი ხუნდში რადა ზის?!
ეს მიმტკიცებს მე, რომ ყოველსფერს განზრახ ჰსჩადიან,
ეს აქ წამოსვლაც იმათ განგებ მოუხდენიათ.
გიბრძანებთ, ეხლავ ჩემს მხლებელსა ხუნდი აჰყაროთ!
წადი და უთხარ იმ შენს მთავარს და მის მეუღლეს,
რომ ეხლავ, ამ წუთს მათთან მნებავს ლაპარაკი მე!...
უთხარ, მოვიდნენ, მოისმინონ სიტყვანი ჩემნი,
თორემ გუბძანებ, რომ იმათის საწოლის კართან
ასტეხოწ ერთი საშინელი ნაღარის ცემა,
რომ თვით ნაღარა ყურში ამას ურახუნებდეს!
„მაშ თუ ეგრეა, — დაიძინეთ მკვდრისა ძილითა“.

გლოსტერი

დმერთო, კეთილო ბოლო მოეც ამათ სამდურავს!...
(გადის)

ლირი

აზვავდა გული!... ამომიჯდა!... ყელთ მომებჯინა!....
ვაი, გლახ-გულო! ძირს, ძირს წადი, ნუ ამოდიხარ!

ხუმარა

ერთი დედაკაცი სწორედ მაგას ეუბნებოდა გველთევზაებს, როცა იმათ ცოცხლივ კუპატებში ჰსჩრიდა: „ძირს, ძირს, თქვე ცელქებოო“, და თანაც წკეპლას თავში ჰსცემდა. იმ დედაკაცს ისეთი ძმაც ჰყვანდა, რომელსაც ისეთნაირად უყვარდა თავისი

ჯაგლაგი ცხენი, რომ თივაზედ კარაქს უსვამდა და იმას მიართმევდა ხოლმე საჭმელად.

(შემოდიან კორნვალი, რეგანა, გლოსტერი და მოსამსახურეები).

ლირი

დილა მშვიდობის, ბატონებო!

კორნვალი

სალამი ჩემი
მომირთმევია თქვენთვის, თქვენო დიდებულებავ!

(კენტს ხუნდს გამოუყრიან)

რეგანა

დიდად მიხარის, რომ ვხედავ თქვენს დიდებულებას.

ლირი

მჯერა, რეგანავ!... ისიც ვიცი, რისთვისაც მჯერა....
ჩემი ნახვა რომ შენ, ჩემს ქალსა, არ გიხაროდეს,
თვით დედის შენის საფლავს მაშინ შეურაცხვყოფდი,
როგორც საფლავსა უნამუსო დედაკაცისას.
(კენტს) აჰა, შენთვისა ხუნდი კიდეც გამოუყრიათ?!
მაგრამ ამაზედ ლაპარაკი მერეც მექმნება.
ჩემო რეგანავ!..., დაი შენი ფინთი რამ არის!...
რეგანავ!.... შვილო!... შენმა დამა, იცი, რა მიყო?
აქ, აქ (უჩვენებს გულზედ) ჩამკიდა მან კბილბასრი უმადურება
და არწივისა ბრჭყალებსავით შიგ განმიწონა...
განა მას იტყვის კაცის ენა, რაც დამმართა მე?!
არ დაიჯერებ რა გულღვარძლი და პირშავია!
ოჰ, ოჰ, რეგანავ!...

რეგანა

გთხოვთ, ბატონო, გული დაიცხროთ.
მე უფრო მჯერა, რომ ჩემს დასა თქვენ ვერ აფასებთ,
ვიდრე იგი, რომ იმას თქვენთვის რამ ეწყენინოს.

ლირი

როგორ თუ გჯერა!?... ერთი კარგად გამაგებინე...

რეგანა

ფიქრად ვერ მომდის, რომ ჩემს დასა დავიწყებოდეს
მცირე რამეშიც თვის თქვენდამი მოვალეობა.
თუ მართლა მას სურს, რომ შელაგმოს თქვენი ამალა
და მითი მოსპოს მათი ლალვა, შფოთი, ამბოხი.
ამით ჩემი და არავისგან დაიძრახების.
აქ რავდენადაც მიზეზია პატივსადები,
იმოდენადაც თვით განზრახვა კეთილი არის.

ლირი

წყეულიმც იყოს იგი ჩემგან!....

რეგანა

ბატონო ჩემო!

თქვენ მოხუცდით და მიაღწიეთ იმა საზღვრამდე,
რაც ბუნებასა დაუნიშნავს კაცთ აქ ყოფნისთვის.
იმ ხანში ხართ თქვენ, რომ თქვენთვისა საჭირო არის
სხვა გპატრონობდესთ, სხვა გივლიდესთ, თვალს გადევნებდესთ
და ხელმძღვანელად იგი გყვანდესთ, რომელიც ხედავს
საჭიროებას თქვენსას უკედ, ვიდრე თქვენ თვითონ.
ამისთვის გირჩევთ, რომ წაბძანდეთ ისევ ჩემს დასთან
და განუცხადოთ, რომ თქვენ თვითონ მას აწყენინეთ.

ლირი

რაო, ბოდიშიც უნდა ვსთხოვო?!... საჯე შენ თვითონ,
მართებულია მამისათვის, შვილთან მივიდეს,
დაუჩოქოს და ესე უთხრას: (დაიჩოქებს) „ძვირფასო შვილო!
მოვუძლურდი და სიბერე მჭირს კაცთ გარდუვალი,
მუხლმოდრეკითა მოწყალებას მე შენგან ვითხოვ,
მომეც ლოგინი, ტანსაცმელი, მასვი, მაჭამე?!“....

რეგანა

რას ჰსჩადით მაგას? რად ჰკადრულობთ მაგგვარს საქციელს?
მე მხოლოდ გირჩევთ, ჩემს დასთანა წაბრძანებასა.

ლირი

არ ვიზამ მაგას თავის დღეში!... მან შუა გაჰყო
ამ[illegible] ჩემი და ბირმქუშად მე მეპყრობოდა,
მის ცხვმ გული როგორც გველმა მე დამიშხამა.
შურისძიებავ, ზეცას მისთვის გამზადებულო!
სრულისა შენის გულისწყრომით წარმოიქუხე,
მის უმადურს თავს ზედ დააწყდი და გაამტვრე!...
და შეწც ჰაერო, მოწამლულო შავის ჭირითა,
ძვლებში ჩაუდეგ, ღრღნა დაუწყე, ჩაფქვი, ჩაფშვნიტე!...

კორნჟალი

უჰ, უჰ, რა მესმის!... გაგონილა ესეთი წყევლა!...

ლირი

შენც, მსწრაფლ მორბედო მეხის ელვავ, მწვავის ალითა
გასწვი, გაჰბუგე მის საზიზღთა თვალთა გუგანი,
წარხოცე ღონე მხედველობის და დააბრმავე!
შენც, მყაყე გუბეს კავშირთა ხრწნით შექმნილო სენო,
მუნით ოშხივრად მზისა ძალით აღმონაქშენო,

გარდაედე მას, წაუბილწე შვენება სახის
და შეუმუსრე ის ზვიადი ამპარტავნება!....

რეგანა

ოჰ, ღმერთო ჩემო!... ნუთუ ეგრედ გულისწყრომის ჟამს
მეც გამიმეტებთ და დაძწყევლით?!

ლირი

არა, რეგანავ!
შენ თავის დღეში შენს თავს მე არ დამაწყევლინებ...
შენ ხარ გულწყნარი, გულკეთილი, მშვიდობიანი,
შენ გული შენი ძვირს და ბოროტს არ გაქმნევინებს...
არა, რეგანავ!.... იმის თვალი ცოფით სავსეა,
შენი თვალი კი ნუგეშით ჰკრთის, ათბობს, არა ჰსწვავს.
რაც მიამება, მას შენ ჩემთვის არ დაიშურებ,
არ გამიდევნი, არ გაჰფანტავ ჩემს ამალასა;
სიტყვას უკადრისს, სათაკილოს მე არ მაკადრებ,
არ მომაკლებ მე ჩემს შესაფერს ყოფაცხოვრებას,
არ გამიხიდებ კარში ურდულს, როს მოვალ შენთან.
შენ უკედ იცი ბუნებისა წესი და რიგი,
მამაშვილური კავშირი და მოვალეობა,
რიდი, თავაზა, ზრდილობა და მადლის გადახდა.
შენ გახსოვს, რომ მე ნახევარი სამეფო მოგეც....

რეგანა

მერე რა გნებავთ? ბოლოც ბძანეთ, ბატონო ჩემო!

(საყვირის ხმა ისმის).

ლირი

ვინ გაბედა და ჩემი კაცი ხუნდში ვინ ჩასვა?

კორნვალი

საყვირის ხმაა.... ეს რას ნიშნავს?

რეგანა

ვეჭვ ჩემი დაა, —
მწერდა მოვალო (ოსვალდი შემოდის) ქალბატონი შენი
მობძანდა?

ლირი

აი, ეგ არის იგი ყალბი და წუწკი მონა,
რომელსაც თავი დიდად მოაქვს შენის დის ჩრდილქვეშ
და რომელსაცა მარტო იმით გული ყელთ ჰსჩრია,
რომ მის ბატონის ცვალებადი წყალობა ჰფარავს.
წა, დამეკარგე თვალთაგანა, შე არამზადავ!

კორნვალი

მერე რა გნებავთ, ხელმწიფეო?

ლირი

მნებავს შევიტყო,
ვინ გაუყარა ჩემს მხლებელსა ფეხებში ხუნდი.
მე იმედი მაქვს შენ, რეგანავ, მას არ იქმოდი.
(გონერილა შემოდის).
ამას ვის ვხედავ?!..... ჰოი, ძალნო ზენარისანო!
თუ შეგტკივათ თქვენ გული ჩემებრ მოხუცთათვისა,
თუ მორჩილებას კაცთა შორის თქვენ მადლად სახავთ
და თუ თქვენც თვითონ მოხუცნი ხართ, ჩამოდით ქვეყნად
და ჩემთან ერთად იღვაწეთ თქვენც ჩაგრულთათვისა.
(გონერილას) პირშიც მიყურებ! არა გრცხვენის ამ თეთრის
წვერის!
რეგანავ, მაგას ხელსაც აძლევ!?...

გონერილა

ვითომ რად არა?
რა შემიცოდავს? ყველა იგი ცოდვა არ არის,
რასაც ცოდვად ჰსცნობს განუსჯელი უხიაკობა.

ლირი

ოჰ, რას არ უძლებ კაცის გულო!... მაგრამ არ ვიცი,
გაუძლებ თუ არ შენ ამასაც! — მითხარით მეთქი,
ვისის ბძანებით გაუყარეს ჩემს შიკრიკს ხუნდი.

კორნვალი

ჩემის ბძანებით. — ეგ მაგისთვის კიდევ ცოტაა,
მაგის ავს ქცევას უფრო მეტი მოუხდებოდა.

ლირი

მაშ, შენა ჰქმენ ეგ!!!...

რეგანა

მამაჩემო, რაღადა ჰსწყრებით?
ვინც უღონოა, მისი წყრომა რა მუქარაა?
გაინახევრეთ ამალა და ჩემს დასთან მიდით,
და როცა თვეს იქ შეასრულებთ, მობძანდით ჩემთან.
ეხლა მეც თვითონ სხვის სახლში ვარ, ვერ დაგიხვდებით,
რადგანაც არა მაქვს მომზადება თქვენს მისაღებად.

ლირი

რაო?! დავსთმო მე ნახევარი ჩემი ამალა
და კვლავ შენს დასთან მე წავიდე საცხოვრებელად?!
ცის ქვეშ დავრჩები, წვიმა-ავდარს შიშველი ვებრძვი,
ბუისა და მგლის ამხანაგად გავხდი ჩემს თავსა
და მე შენს დასთან კი არ წავალ, ოჰ, გაჭირებავ!
შენ ხარ მარწუხი ჩაჭიდული კაცის გულშია....
ისევ შენს დასთან მე წავიდე?!... ის მირჩევნია,
რომ გულმხურვალეს საფრანგეთის მეფეს ვეახლო,
მას ყმად გავუხდე, მას, ვინც ჩემზედ გულნაკლულია
და ვინც უმზითოდ ჩემს უმცროს ქალს შეექორწინა.
ის მირჩევნია, მის ტახტის წინ პირქვე დავემხო,

ვსთხოვო, თვის მსახურთ შორის მომცეს მეცა აღგილი
და ჩემს საბრალო ცხოვრებისთვის ლუკმა მაწვდიოს.
შენს დასთან მირჩევ მე წასვლასა?... ბარემ მირჩიე
(ოსვალდზე აჩვენებს) ამ საძაგელს და მყრალს მონასა ბიჭად იახლო
და ტვირთთა მზიდველ სახედარად მას გაუხდი-თქო.

გონერილა

თქვენი ნებაა.

ლირი

ჭკვას ნუ მირყევ, მამა გთხოვ შვილსა!...
ნუ გეშინიან, დღეის იქით თავს არ მოგაწყენ,
მე მოგშორდები, რომ არ შევხვდეთ კვლავ ერთმანერთსა.
მშვიდობით, შვილო!.... საუკუნოდ გეთხოვები მე!...
ვაი, რომ შენ ხარ ჩემი შვილი, ჩემი გულღვიძლი,
ჩემი ხორცი ხარ, ჩემი სისხლი!.. მაგრამ რას ვამბობ?!.
ხორცი კი არა — შენ ხარ ჭირი ჩემის ხორცისა,
რომელსაც უნდა უნებლიედ ჩემად გხადოდე!....
სისხლი კი არა — შენ ხარ ჩირქი, სნება და შხამი
წყლულით, იარით შემწიკლულის ჩემის სისხლისა!...
თუმც ესეთი ხარ, მაგრამ მაინც აღარ გაგკიცხავ....
დეე, სირცხვილმა შეგანანოს შენ შენი ცოდვა
და თავის დროზედ სინიდისმა გაგამხილოს შენ.
მე კი ჩემის მხრით ამას იქით აღარას გერჩი...
მეხთა დამცემსა ისარს შენზედ არ მოვუწოდებ,
არარას გეტყვი იუპიტრის განკითხვის დღისას....
თუ მოცლა გქონდეს, შეინანე და გარდაკეთდი,
მე მოგითმენ შენ, მე დავრჩები ჩემს რეგანასთან
ჩემისა ასის რაინდითა.

რეგანა

არა, ბატონო!
მე არ გელოდით და არცა ვარ მომზადებული,

რომ შესაბამად თქვენდა ეხლა მე თქვენ მიგიღოთ.
ღაჰყევით ჩემს დას, ჰქმენით იგი, რასაც ის გირჩევთ.
ვინცა გონებას დააკვირვებს თქვენს დაჟინებას,
ის იტყვის თქვენზედ, მოხუცდაო და ამიტომაც....
ჩემმა დამ კარგად იცის იგი, რასაცა ჰსჩადის...

ლირი

შენც მაგას ამბობ, შენც რეგანავ!....

რეგანა

სწორედ მას ვამბობ.
ორმოცდაათი კაცი თქვენთვის განა არ კმარა?
მეტი რად გნებავთ? ჩემის ფიქრით ეგეც ბევრია,
მაგდენის ყოლას შიშიც მოსდევს და დიდი ხარჯიც.
ეგეც არ იყოს, აბა, როგორ მოთავსდებიან
ერთს და იმავე სახლში ორის ბატონის კაცნი?
უეჭველია შფოთი, ჩხუბი გამოერევათ.

გონერილა

რეგანას და მეც იმდენი გვყავს სახლში მხლებელნი,
რომ თქვენც და ჩვენცა სამსახური მათი თავს აგვდის,
ძაშ, რაინდები რაღად გინდათ? ჩვენნი იმყოფეთ.

რეგანა

მართლა რად გინდათ? თუ თქვენ ჩვენნი არ გაამებენ,
ჩვენ აქ არა ვართ, დავტუქსავთ მათ და კიდეც დავსჯით.
ფიქრი მომეცა და ამისთვის მოგახსენებთ თქვენ,
თუ მოხვალთ ჩემთან, ნუ იახლებთ ოცდახუთის მეტს.
მე მაგაზედ მეტს არ მივიღებ, არც ადგილს მივცემ.

ლირი

მე მოგეცით თქვენ ყველაფერი, რაც კი მებადა....

რეგანა

კარგადაც ჰქმენით.

ლირი

თქვენ მოგყუდეთ მე თავი ჩემი
და მხოლოდ ასი კაცი მხლებლად მე შევირჩინე...
მაგასაც მართმევთ?!... მაგასაცა!... რა ჰსთქვი, რეგანავ!...
ოცდახუთ კაცზედ მეტით სახლში არ მიგიღებო!

რეგანა

კიდევაც ვიტყვი, — მასზედ მეტსა მე არ მივიღებ.

ლირი

ბოროტი სული უბოროტესს სულსა სჯობია!...
ვინც სხვაზედ ნაკლებ ბოროტია, — მითაც კარგია.
(გონერილას). მაშ, შენთან მოვალ! ორმოცდაათ კაცს ჰე
მარჩენ შენ.
ორმოცდაათი ოცდახუთზედ ორჯელ მეტია,
ჰსჩანს, შენ ამაზედ ერთიორად მე გყვარებივარ.

გონერილა

ნეტა რად გინდათ ოცდახუთი, მეტი ან ნაკლებ,
იქ, სადაც მსახურთ უმისოდაც ბევრს გაახლებენ.

რეგანა

ან თუნდა ერთიც, ნეტა მითხრა, რა საჭიროა?

ლირი

რა საჭიროა?!.... ნუ ახსენებ საჭიროებას!....
გლახა ღატაკსაც მის განწირულს სიღატაკეში
უპოვი ისეთს რასმეს, რაიც მისთვის მეტია.
რაც საჭიროა, მასზედ მეტი რომ კაცს არ მივსცეთ, —

ადამიანი ხომ პირუტყვად გარდიქცეოდა.
აი, დღეს შენ ხარ ქალბატონი, შეყვარებული,
თუ სითბო გიჭირს და თბილად ხარ, — ისიც გეყოფა.
მაშ რაღად იცვამ და იხურავ ეგრე მდიდრულად,
მაშინ, როს ეგე მორთულობა შენ არც კი გათბობს?
სხვა არის, სულ სხვა ჭეშმარიტი საჭიროება....
ძალნო ციურნო, მოთმინება მომეცით აწ მე!...
საჭიროება ჩემთვის ეხლა ძოთმინებაა....
ოჰ ღმერთნო ჩემნო!... ხომ მხედავთ მე უბედურს მოხუცს,
ხნიერობით და მწუხარებით ორგზით პედკრულსა!...
თუ აუმღვრიეთ ამათ გული ჩემ წინააღმდეგ,
მეც მიხვაიშნეთ, შემარჩინეთ გონი და ძალი,
ძალგულოვანის რისხვით, წყრომით აღმჭურვეთ ძეცა,
რაცა მე ცრემლმა, — მაგ ფარ-ხმალმა დედაკაცისამ,
მამაკაცურნი ესე ღაწვნი არ შემირცხვინოს!...
ოჰ, თქვე ქაჯებო!.... თქვე აფთრებო!... გველის წიწილნო!...
მე თქვენ გადგიხდით იმე, რომ მთელს ცას და ქვეყანას...
მე თქვენ დაგმართებთ!... რას დაგმართებთ, თვით შეც არ ვიცი,
მაგრამ კი ვიცი, რომ შევარყევ ქვეყნიერობას
და დედამიწას თავზარს დავსცემ და შევაძრწუნებ!...
თქვენ ჩემს ცრემლს კლით? თქვენ გგონიათ, რომ ამატირებთ?
არ ავტირდები, თუმც ბევრი რამ მაქვს სატირალი....
რომ ასი ათას ნაჭრად იქცეს ეს ჩემი გული,
მაინცა ცრემლი თვალთა ჩემთა არ წამოჟონონ!...

(ხუმარას)

ერთგულო ჩემო, ლამის ჭკვიდამ შევიშალო მე....

(გადიან ლირი, გლოსტერი, კენტი და ხუმარა)

კორნვალი

შეიდეთ შინა, თვარემ აქ ჩვენ წვიმა მოგვასწრობს.

(შორიდამ ქუხილი მოისმის)

რეგანა

პატარა არის ეს სასახლე და მე არ ვიცი,
ამ ჩვენს ბებერს და მის ამალას როგორ დაიტევს?

ГОНЕРИЛА

მისი ბრალია. ნეტა აქეთ რისთვის მორბოდა?
რად გამოექცა კმა-საყოფელს ჩემსა სახლ-კარსა?
დეე, თვითონვე თავის თავსა პასუხი გასცეს.

РЕГАНА

სიამოვნებით მივიღებდი მარტო მამაჩემს
და ამალით კი მის მიღება სწორედ ძნელია.

ГОНЕРИЛА

მეც მაგ აზრის ვარ. გრაფი გლოსტერ ნეტა რა გვექმნა?

КОРНВАЛИ

ბებერს თან გაჰყვა... აგერ იგიც, უკანვე მოდის.
(გლოსტერი შემობრუნდება).

ГЛОСТЕРИ

ხელმწიფე მეტად გამწყრალია...

КОРНВАЛИ

ნეტა რას შვრე

ГЛОСТЕРИ

ცხენები ბძანა და არ ვიცი, სად მიბძანდება.

КОРНВАЛИ

საცა ნებავდეს, იქ წაბძანდეს, — გზას თვით გაიგნებს.

ГОНЕРИЛА (გლოსტერს).

თქვენც ნუღარა ჰსთხოვთ აქ დარჩენას, რა საჭიროა.

გლოსტერი

ღამე იბურვის, ცივი ქარიც ასტყდა და სუსხავს....
ჯაგიც არ არის ახლომახლო თავშესაფარი...

რეგანა

რასაც თავის თავს ცუდს დამართავს თვითრჯული კაცი,
მისთვის ახია, ჭკვას ისწავლის, მეორედ არ იქმს.
უბძანეთ, — თქვენი ციხის კარი ეხლავ ჩაკეტონ.
იმას ისეთი დამთხვეული ამალა ახლავს,
რომ საკვირველიც არ იქნება, შემოგვბედონ რამ.
მაგისთანებში მამაჩემს ხომ ცოტა რამ უნდა,
მაგგვარს ბნედიანს ხალხს ყოველთვის უნდა უფრთხილდეს.

კორნვალი

ჩემი რეგანა მართალს ამბობს, კარი დაჰკეტეთ,
ღამე რამ მოდის საშინელი, შევიდეთ შინა
და შევეფარნეთ, თვარემ ლამის ავდარმა გვისწროს.

(გადიან).

მოქმედება მესამე

სანახავი I

ტრიალი მინდორი. გრიგალი ჰქრის, ჰქექა და ქუხილია
(კენტი და აზნაური ერთმანერთს შეეყრებიან).

კენტი

ვინა ხარ ემანდ ამ საშინელს ვაი-ვაგლახში!

აზნაური

იგი, ვინც გულში ჰგრძნობს უფრო მეტს ვაი-ვაგლახსა.

კენტი

ჩვენი ყოფილხარ.... სად ბძანდება ჩვენი ხელმწიფე?

აზნაური

იგი აწ ებრძვის გულგამწყრალთა ბუნების კავშირთ,
გრიგალს შეჰბღავის, აღგავეო ეს დედამიწა,
მიიტანე და ჩაღუპეო ზღვისა სიღრმეში;
ან წამოღვარე თვითონ ზღვაო დედამიწაზედ,
რომ ეს ქვეყანა ან დაინთქას, ან ჩაირეცხოს.
თავზედ თმას იგლეჯს და ხელიდამ სტაცებს მას ქარი
და თვალთ უმალეს სისწრაფითა, ვინ უწყს, სად ჰკარგავს;
ადამიანის სუსტის ღონით წინ დაჰსდგომია
ერთად მოსეულს მასზედ გრიგალს, წვიმას, ავდარსა.
ამ დროს, როს დათვიც შიმშილითა ძუძუგამშრალი
ლომი და მგელი შიმშილითვე ფერდ-ფერდზედ მცემნი
წვანან და ძრწიან და ვერ ბედვენ გარედ გამოსვლას,

ამ დროს ის-მეთქი თავშიშველი ცის-ქვეშე დარბის
და სიკვდილს იწვევს, ეს ქვეყანა წარღვნას, წარწყმიდოს.

კენტი

მარტოკაა თუ?

აზნაური

მას თან ახლავს მარტო ხუმარა.
საწყალი ცდილობს, განუქარვოს ის გულისქენჯნა,
რომელიც ესე ულმობელად მას მიაყენეს.

კენტი

შენ უცხო არ ხარ და მიცვნიხარ სანდო კაცადაც,
გაგესდობი შენ და მოგანდობ ერთს მძიმე საქმეს:
კორნვალს და ალბანს რაღაც მტრობა ჩამოვარდნიათ,
მაგრამ ჯერხანად ეშმაკობით ამასა ჰფარვენ.
მათი მსახურნი, — ხომ შენც იცნობ დიდკაცთა მსახურთ, —
თვის ბატონებზედ არ არიან ნაკლებ ეშმაკნი,
ისინი ფრანგთა ხელმწიფესა ენას უზიდვენ,
ატყობინებენ ყოველისფერს, რაც კი აქ ხდება,
ისიც აცნობეს, რომ მთავარნი ერთმანერთს მტრობენ,
რომ ესეთს სასტიკს ტანჯვას მისცეს მათ მეფე ჩვენი
და სხვაც ბევრი რამ, რაც ამბობს და შფოთს შეუდვება.
ეს კი სწორეა, რომ ლაშკარი საფრანგეთისა
ჩვენსა განხეთქილს სამეფოსა კიდეც მოადგა,
შემოპარულა, დაუპყრია ნავთა სადგურნი
და საცა არის დროშას გაშლის და ომსაც ასტეხს.
მაშ, გამიგონე: თუ გჯერა შენ ეს ჩემი სიტყვა,
ეხლავ დუვრს წადი, იქ შეხვდები იმგვართა პირთა,
რომელნიც დიდსა მადლობასაც გადაგიხდიან,
თუ მიუტან მათ სწორეს ამბავს მასზედ, რაც მეფეს
ჭკვის შემარყევი ბოროტება გულსა უჯიჯგნის.
კეთილშობილის სისხლისა და გვარისა მეც ვარ,
შენც კეთილშობილს მისთვის განდობ ამ მძიმე საქმეს.

აზნაური

ცუდს არ იზამდი, რომ ზოგი რამ უფრო ვრცლად გეთქვა.

კენტი

ვრცლად თქმა რად გინდა? თუ არ გჯერა, რაც ჩემს თავზედ ვჰსთქვი,
აჰა, გახსენი შენ ეს ქისა და რაც შიგ არის,
ამოიღევი და ვინცა ვარ, მაშინ შეიტყობ.
ვეჭვ, კორდელიას უსათუოდ შენ იახლები;
იმას მიართვი ეს ბეჭედი და ის გიბძანებს,
ვინ არის იგი, ვინც ამჟამად გესაუბრება.
უჰ, რა ქარია!... ჩვენს ხელმწიფეს წავალ, მოვნახავ.

აზნაური

მაშ, მშვიდობითა. ხომ სათქმელი აღარა გაქვს რა?

კენტი

ცოტა ვსთქვი, მაგრამ ბევრი საქმე კისრად დავდე მე...
დროა წავიდეთ და ხელმწიფე ჩვენი მოვნახოთ.
აი, ორი გზა: შენ იქით და მე აქეთ წავალ
და ხმა მივცეთ ჩვენ ერთმანეთსა, თუ შევხვდეთ მეფეს.
(სხვადასხვა მხრივ გადიან)

სანახავი II

სხვა მხარე იმავე ტრიალის მინდვრისა, კიდევ ჭექა და ქუხილია
(შემოდიან ლირი და ხუმარა)

ლირი

იზუზუნე და იქროლე შენ, ქარო მსუსხავო,
უბერე, ვიდრე ღაწვნი ზედ არ დაგასკდებიან!
გარდმოენთხიეთ წყლისა ღვარნო და შენც, გრიგალო,

წამოუბერე, წამოღვარე ზვირთნი ზღვისანი
და სრულად შთანთქე ეს ქვეყანა ძირით თხემამდე!
თქვენც, ელდაზედა უმალესნო ელვისა ცეცხლნო,
წინა მორბედნო ყოვლთ-შემმუსვრელთ მეხთა კვეთების,
ზედ მოესიეთ ამ ჩემს მოხუცს ჭაღარა თავსა!....
და შენც, ყოველთა შემარყევო ჭექა-ქუხილო,
რისხვით და გრგვინვით ქვე-ეკვეთე, დაიგრიალე
და განაპრტყელე ბურთებრ მრგვალი ეს დედამიწა!...
მილეწ-მოლეწე და შეშალე ამ ქვეყნის სახე,
გაანადგურე, განაბნივე და მტვრად აღგავე
თესლნი უმადურთ ადამიანთ დამბადებელნი!....

ხუმარა

ნათლი, ა ნათლი! ეხლა რა ჰსჯობია: მშრალს ჭერქვეშ წოლა, თუ ამ ავდარში დგომა? ვეჭვობ, მშრალს ოთახში აიაზმაჲ წყალით სხურება სჯობდეს ტრიალ მინდორზედ წვიმის წყალით თავიდამ ფეხამდე გაბანებასა. დამიჯერე, წადი-მეთქი შენ ქალებთან, კურთხევა და ბოდიში ჰსთხოვე-მეთქი, თვარემ ხო ხედავ, ეს ასეთი ბაიყუში ღამეა, რომ არც შენისთანას ჭკვიანს ინდობს და არც ჩემისთანა სულელსა.

ლირი

იჭექ-იქუხე, წვიმა ღვარნე, ცეცხლნი აფრქვიე!....
წვიმა, გრიგალი, ქარი, ცეცხლი, ჭექა, ქუხილი
ჩემი სისხლ-ხორცნი ჩემი შვილნი როდი არიან!
თქვენ სტიქიონნო, მე არ გწამებთ ულმობელობას,
სამეფო ჩემი მე ხომ თქვენთვის არ მომიცია,
ხომ ჩემს შვილებად არ ოდეს არ მიწოდებიხართ!....
ჩემგან არარა გემადლისთ რა!... რაღა ნება მაქვს,
რომ მორჩილებას, შებრალებას თქვენგან ველოდდე!
მაშ ეგ საზარო რისხვა თქვენი დამეცით თავსა!....
აჰა, აქ ვდგევარ თქვენს წინაშე ქედმოდრეკილი,
ღონემიხდილი, შესაბრალი, მოძულებული,

მე, — ბერიკაცი განდევნილი შვილთა ჩემთაგან!
მაგრამ, ფუ, თქვენს თავს!.. თქვენ მიჰკერძეთ ჩემ წარწყმედილთ შვილთ!..

ფუ!... თქვენ გაუხდით მოზიარე იმ ორს ბაიყუშს
და ყურმოჭრილის მონის მზგავსად ნებას უსრულებთ!
მათთან შეთქმულნი თქვენ ზემოდამ მე, — ბერ-კაცს მებრძვით!
სირცხვილი თქვენსა ძლიერებას!.... ფუ, ძალთა თქვენთა!....

ხუმარა

იცი, ბიძიავ? ვისაც ეხლა თავშესაფარებელი აქვს, იმას თავიცა ჰქონია და იმ თავში ცოტაოდენი ტვინიცა.

თუ კაცი თავს არას დასდევს
და მარტო ფეხებს აჰყვება,

მაშინ თავი გლახასავით
მკბენარებით აევსება.

თუ ფეხებით შენ იქმ იმას,
რის ქმნაც შვენის მარტო გულსა,

კორძი ფეხზედ გამოგივა
და გაყვირებს ვაის, ვუსა;

ძილს ღვიძილად გადაგიქცევს
გაკრუსუნებს უბედურსა....

იცი, კიდევ რას გეტყვი? ქვეყანაზედ ერთი ლამაზი ქალიც არ არის, რომ სარკეში ჩაიხედოს და არ დაიპრანჭოს.

(შემოდის კენტი)

ლირი

მოთმინებისა მაგალითად გავხდი ჩემს თავსა!....
აღარას ვიტყვი!... არა!... არა!...

კენტი

ვინა ხარ ემანდ?

ხუმარა

უმაღლესი მეფე და უმდაბლესი პაიკი, ესე იგი, ბრძენი და სულელი.

კენტი

ვაი, შენ, ჩემს თავს!... ხელმწიფეო, თქვენ აქ ბძანდებით?!
თვით იგი, ვისაც სიბნელე და წყვდიადი უყვარს,
იგიც კი ამგვარს სასტიკს ღამეს მოერიდება.
ნადირნიც ღამით მოარულნი ამ გრგვინვის შიშით
შეცვივნულან თვის ბუნაგებში და იქა ძრწიან.
რაც თავი მახსოვს, არ მინახავს ესეთი ღამე,
ესე ცეცხლთფრქვევა, გველებრ კლაკვნა ცაზედ ელეათა!
არ მოვსწრებივარ ამგვარს მგრგვინავს ჭექა-ქუხილსა,
ამგვარს საშინელს ქარის ბრდღვნასა და წვიმის ხუილს!...
კაცის ბუნებას არა ძალუძს რომ აიტანოს
ესდენ საზარო ზათქი, ზარი და შფოთვა ცისა!

ლირი

დეე, თვით ღმერთმა, რომელიც ცას აწ თავზედ გვაქცევს,
დღეს განიკითხოს მოსისხლენი და შემცოდველნი!...
თრთოდე, ბოროტო, შენ, რომელიც სასჯელს ამცდარხარ
მარტო იმით, რომ შენთა საქმეთ ჯერ ვერ ამხელენ!
მიმალე ხელი, კაცის მკვლელო, სისხლში შესვრილი!...
ითრთოდეთ თქვენცა, ფიცთ-გამტეხნო და მემრუშენო,
სისხლის შემრევნო ნათესავთან შეცოდებითა!
ითრთოდე შენცა, საზიზღარო პირ-მოთნე სულო,
რომელიც ყალბს გულს სათნოების ფერითა ჰფერავ!...
და შენც გულ-მრუდევ, ვინც სიკეთის საბეს იღებ,
მაშინ როს გულში განგიზრახავს ძმისა სიკვდილი,
ათას-ნაჭრადა გაიფლითე და განადგურდი!....
ჰოი, ყოველნო მიმალულნო ბოროტებანო!
აღმოდით ხვრელთა აწ თქვენთაგან და განერთხენით
ყოველთა არსთა საშინელის გაკითხველის წინ, —

და შეავედრეთ თავნი თქვენნი მისატევებლად!...
გარნა მე..., უფრო ტანჯული ვარ, ვიდრე მტანჯველი.

კენტი

ეჰა, რას ვხედავ!. თავ-შიშველიც თურმე ბრძანდებით!..
ხელმწიფეც ჩემო, აქავ ახლო რაღაც ქოხია, —
მუნ შეეხიზნეთ ამ ავდარსა; მე კი მივმართავ
კვლავ იმ ულმობელს, განუკითხველს ციხე-დარბაზსა,
საცა ეხლახან მე გიკითხეთ და თქვენს კითხვაზედ
კარის დირეზედ ფეხი არც კი დამადგმევინეს.
წავალ და ძალით მათ აღვუძრავ ლმობიერებას.

ლირი

ტვინი მერყევა.... შვილო ჩემო, წამო, წავიდეთ...
სიცივითა ჰთრთი შე საწყალო? მეც თვითონ მცივა...
(კენტს.) ჩალა კი არის, მეგობარო, ქვეშ გასაშლელად?
ბევრი რამ იცის გაჭირებამ, ზოგჯერ თვით ჩალას,
უბრალო ნივთსა უძვირფასეს ნივთად გარდგვიქცევს. —
აბა, გაგვიძელ, მიგვიყვანე იმ შენს ქოხთანა. —
ჰოი, საწყალო, საცოდავო, ჩემო მასხარავ!....
ჩემს გულში კიდევ დარჩენილა მცირე ადგილი,
რომელიც შენთვის მტკივნეულობს და იტანჯება!....

ხუმარა

ვისაც კი თავში უჭყავის
ცოტა რამ მაინც ტვინია,
ის ეხლა წევს თავის ჭერ-ქვეშ,
იმისთვის ჭირიც ლხინია;
წვიმაცა და ქარიშხალიც
იმას ფეხებზედ ჰკიდია.

ლირი

მართალს ამბობ, ჩემო კარგო! — აჰა, მივდივართ იმ შენს ჭოხში.

(გადიან ლირი და კენტი)

ხუმარა

ეს ისეთი ბაიყუში ღამე ყოფილა, რომ მხურვალე ქალსაც კი გააგრილებს. მე კი მაინც ისე არ წავალ აქედამ, რომ ზოგიერთი რამ არ ვიწინასწარმეტყველო.

როს მღვდელი ლოცვის მაგიერ
ქადაგსავით აყბედდება,
როს ლოთს კაცსა, ღვინის მსუნაგს,
ღვინო ყელზედ დაადგება,
როს მეჯღანეს დიდი-კაცი
შავირდად მიებარება,
როს რჯულთ-გადამდგარის ნაცვლად
ბოზი ცეცხლში დაიწვება,
როს ყოველი კაცთ კანონი
მართლ-კანონად შეიქმნება,
როს თავადს და აზნაურსა
ვალი, ვახში მოშორდება,
როს კაცთ ცილის მწამებელსა
ენა ძირში მოეჭრება,
როს ქურდს იქ არ მიუშვებენ,
საცა ხალხი შეგროვდება,
როს კრიჟანგი, ძუნწი კაცი
დარდიმანდად გაგვიხდება;
როს ბოზი და მაჭანკალი
საყდრის შენებას მოჰყვება, —
მაშინ დიდი ალბიონი
ატოკდება, აღელდება,
ხალხსაც, ჭოჭინზედ ჩვეულსა,
ფეხი მაშინ აედგმება.

ეჰ, რას ვჩადი?!.... გათენება ხომ მამალმა უნდა იყივლოს, — ჩემი რა საქმეა.

(გადის).

სანახავი III

ოთახი გლოსტერის ციხე-დარბაზში
(შემოდის გლოსტერი და ედმუნდი)

გლოსტერი

არ მომწონს, ედმუნდ, ეს უღვთო და უწყალო საქციელი. მე ხელმწიფის სიბრალულმა წამიღო და მინდოდა, მეშველა რამე, მაგრამ იმათ არამც თუ ნება დამრთეს, ჩემს სახლში ამასზედ ხმაც არ ამომაღებინეს. მითხრეს, რომ თუ იმაზედ კიდევ გვეტყვი რასმესო, ან იმის შეწყნარებას მოგვთხოვო, ან შენ თვითონ იმას ხელს გაუმართავო, მაშინ შენზედ ჩვენს წყრომას საზღვარი არ ექმნებაო.

ედმუნდი

სწორედ უღვთოობა და მხეცური ქცევაა.

გლოსტერი

ნურავისთან კი ნურა გრჯის რა და ჩვენთა მთავართა შუა შუღლი ჩამოვარდნილა. შუღღიო?! შუღლი კი არა, ცოტა რამ მეტიც. მე წუხელის წერილი მომივიდა. ვშიშობ კიდეც, რომ ამაზედ ვლაპარაკობ. ის წერილი შიშით ჩემს ოთახში მაქვს დამალული. იწერებიან, რომ ვინც ხელმწიფეს ბოროტი დამართაო, იმას სამაგიეროს გადაუხდითო, ზოგიერთს ადგილას ჯარიც გამოსულა ჩვენს ხმელეთზედ. ხელმწიფეს ჩვენ მხარი უნდა მივსცეთ. მე წავალ იმის მოსანახავად, რომ ფარულად მაინც შევუმსუბუქო როგორმე მწუხარება. შენ კი წადი და მთავარი ლაპარაკით გაართე, რომ არ შემიტყოს ეს ჩემი ხვაშიადი განზრახვა. თუ მიკითხოს, უთხარ, ავად გახდა და წევს-თქო. თუნდ

რომ თავიც მომჭრან, როგორც მემუქრებოდნენ, მაინც ვეცდები, რომ ჩემს ჰოხუცებულს ხელმწიფეს ვუშველო რამე. ჩემო ედმუნდ, ბევრი რამ ავი მოგველის, ფრთხილად იყავ.

(გადის).

ედმუნდი

მაგ შენს დაფარულს სულგრძელებას მთავარს შევასმენ, წიგნსაც მოვნახავ და წარვუდგენ. საქმე თავს მოდის..... რაც წაერთმევა მამაჩემსა მას მე შევიძენ.
მთელს მის სამკვიდროს მე გადმომცემს მთავარი ჩვენი.
წარწყმდეს სიბერე და აღყვავდეს აწ ჭაბუკობა!...[4]

(ვადის).

სანახავი IV

სხვა მხარე იმავე ტრიალის მინდვრისა. მინდორზედ ქოხი ჰსდგას (შემოდიან ლირი, კენტი და ხუმარა)

კენტი

აი, ის ქოხიც. შიგ შებძანდით, ჩემო ხელმწიფევ.
ეს ღამე ისე ბოროტია, მძლავრი, უწყალო,
რომ ცის ქვეშ დგომას ვერ გაუძლებს ადამიანი.

ლირი

დამეხსენ. მე მსურს მარტოდ ყოფნა!

კენტი

კვლავ გთხოვთ, შებძანდეთ.

ლირი

ხომ არ გამიგლეჯ შუაზედ გულს!.... არ დამეხსნები?!

---

[4] ეს მონოლოგი ედმუნდისა ზოგიერთს ნაბეჭდში არ არის, ბევრგან სხვაში კია.

კენტი

უწინამც ჩემი გული იქმნას შუა გაგლეჯილ....
გთხოვთ, გევედრებით, ხელმწიფეო, ქოხში შებძანდეთ.

ლირი

ნუთუ გგონია, კაცისათვის დიდი რამ იყოს,
როცა მსუსხავი ქარიშხალი ძვალ-რბილში უვლის?
იქნება შენთვის ეგრეც იყოს, არ გაგამტყუნებ.
მაგრამ კი ვინცა თვის გულში ჰგრძნობს დიდსა ტკივილსა,
იგი მცირესა ტკივილს თვისას არარად იმცნევს.
დათვს რომ ექცევი და წინ გხვდება ზღვა აღელვილი,
უკუე წამოხვალ და ისევ დათვს ჰირში ეცემი.
როცა გული აქვს ადამიანს დამშვიდებული,
მაშინ თვითონ მის სხეულიცა მგრძნობიერია.
ჩემს გულში აწ ჰქრის ვაებისა მძაფრი გრიგალი,
იგი სხვას, ერთის ტკივილის მეტს, არ მაგრძნობინებს,
ეს ტკივილია — შვილთა ჩემთა უმადურება.....
ეს იმას ჰგავს, რომ პირმა კბენა და ღრღნა დაუწყოს
ხელსა, რომელიც აწვდის იმას საზრდოებასა.
მე ვაზღვევინებ!... მე საშინლად გადვუხდი იმათ!..
ცრემლით, ტირილით თავსა ჩემსა მე არ შევირცხვენ!...
ამ წყვდიადს ღამეს გამომაგდეს მე იმათ კარში.....
იგრიალე ცავ! წამოღვარე ეგ ნიაღვარი!
იწვიმ-იქუხე!... მე მოვითმენ!... ყველას ავიტან!....
ამ წყვდიადს ღამეს!... ოხ, რეგანავ!.... ახ, გონერილავ!...
ესდენ თქვენდამი გულკეთილი მოხუცი მამა,
რომელმაც ყველა, რაც ებადა, თქვენ დაგილოცათ....
აღარას ვიტყვი, თვარემ ლამის ჭკვა შემეშალოს....
ღმერთო, მიხსენ მე!....

კენტი

გთხოვთ, ბატონო, ქოხში შებძანდეთ

შენ თვითონ შედი, მე გთხოვ ამას, თვით მოისვენე.
მე ქართა ქროლვას თან ვაყოლებ მტანჯავთა ფიქრთა....
მაგრამ შევიდეთ. (ხუმარას) ჩემო კარგო, ჯერედ შენ შედი.
შენ დაბინავდი, შე ღატაკო და უბინავო!....
მე კი ვილოცამ ჯერ და მერედ ძილს მივცემ თავსა. —

(ხუმარა შედის ქოხში.)

ტიელ-ოხერნო, უბედურნო, შიშველ-ტიტველნო!
რას შვრებით მაშინ, როს მოგასწრობთ ესეთი ღამე?..
მშიერ-მწყურვალნი, უმოსელნი, უსახლკარონი
ნეტა ვით იტანთ ამისთანა ვაი-ვაგლახსა?
ვაი, რომ ესდენ ცოტა თქვენზედ მე მიზრუნვია
კარგი ჯულაბი, სიმდიდრეო, შენთვის იქმნება,
რომ ჩაგრულ-ყოფა უბედურთა შენც განიცადო;
მაშინ მეტს ლუკმას შენსას იმათ განუზიარებ,
მით დაამტკიცებ, რომ სიმართლე ქვეყნად ყოფილა.

ედგარი (ქოხიდამ)

შვიდ ადლ ნახევარი! შვიდ ადლ ნახევარი! ვაი, შე საწყალო თომავ!

(ხუმარა ქოხიდამ გამოვარდება).

ხუმარა

ბიძია, ბიძია, — აქ ნუ შემოხვალ! ვაი, ვაი!... აქ ეშმაკი მჯდარა.

კენტი

ხელი მომე! ეშმაკი კი არა, რას მიჰქარავ.

ხუმარა

ღმერთი, რჯული, ეშმაკია-მეთქი, ეშმაკი! მითხრა კიდეც, რომ სახელად თომა მქვიანო.

კენტი

ვინა ბულღუნებ ემანდ? გარედ გამოდი.

(შემოდის ედგარი გიჟად ჩაცმული).

ედგარი

მომეცალენით! შორს ჩემგანა! ავი სული უკან მომდევს!... კუნელის ეკლებიდამ ცივი ქარი მოზუის. ახტი, დახტი, ცივს ლოგინში ჩახტი და გათბები.

ლირი

ნუთუ შენს ორ ქალს მიეც შენცა ყოველიფერი,
და იმათ შენმა ამ ყოფამდინ მიგაღწევინეს?!...

ედგარი

აბა, ვინ რას მისცემს საწყალს თომას!... საწყალი თომა ავმა სულმა ბევრგან ათრია, ცეცხლშიაც გაატარა, ალშიაც გაატარა, მორევიც გაატარა, ჭაობიც გაატარა, საფლობიც გაატარა; შიგ ბალიშში ხანჯლები დაუტანა, შეჭამადში დარიშხანა ჩაუყარა, საყდრის ნიშში სახრჩობელა დაუდგა; გული გაუზვიადა, წითელ იორღა ცხენზედ შესვა და ოთხგოჯიან ხიდებზედ არბეინა, თავისი ჩრდილი თავის მოღალატედ დაანახვა და იმას უკან გამოუყენა. გიკურთხოს ღმერთმა თვალი, ყური, ხელი, ენა, ცხვირი!.... თომასა ჰსცივა!.... დადადადადა!..... დაგიხსნას ღმერთმა კუდიანის ქარისაგან, ჭირისა და ბნედისაგან!... გაიკითხეთ რითიმე საწყალი თომა! ავი სული ჩასდგომია და აწვალებს... დამაცა, დამაცა.... ეხლავ დავიჭერ.... აი, ის წყეული აქ არის, აი!... აქ არის!.... აქა!... აქა!... აქა!... აი, აქა!...

(ქარი კიდევ ჰქრის).

ლირი

მისმა ქალებმა ეს დამართეს ამ უბედურსა?...
ნუთუ არარა შეირჩინე?... ყველა მათ მიეც?....

ᲮᲣᲛᲐᲠᲐ

ჩვენსავით გიჟი ხომ არ იყო, რომ ყველა მიეცა. ვერა ხედამ, რომ ძონძები შეურჩენია. ეგეც რომ არ შეერჩინა, ხომ ჩვენ გადაგვაჭარბებდა და შეგვარცხვენდა.

ᲚᲘᲠᲘ

დეე, ბოროტი, რაც ჭირიანს ჰაერში ბრუნავს
და დასტრიალებს განსაკითხად კაცთა ცოდვათა,
შენთა ქალთ თავზედ წამოეფრქვას, ზედ მოესიოს....

ᲙᲔᲜᲢᲘ

ბატონო ჩემო, ქალიშვილნი მაგას არა ჰყავს.....

ᲚᲘᲠᲘ

ჰსტყუი!... მიჰქარავ!.. თუ არ გულღვარძლ ქალიშვილებსა,
სხვას არვის ძალუძს კაცის ესდენ გათახსირება.....
ნუთუ განდევნილს მამებს საქმე ისე გაუხდათ,
რომ თვის სხეულის გვემას, ტანჯვას აღარა ჰგრძნობენ?
სამართლიანი სასჯელია, ახია მათთვის,
ესდენ წყეულს და შეჩვენებულს შვილებს რად ჰბადვენ!...

ᲔᲓᲒᲐᲠᲘ

პილიკოკი ჯდომილა პილიკოკის მთაზედა! ტიტლი, ტიტლი, ტიტლი, ტიტლი, ტი-ი-ტლი!....

ᲮᲣᲛᲐᲠᲐ

ლამის ამ ბრიყვმა და გადარეულმა ღამემ ყველა ჭკვიდამ არ გადაგვრიოს!

ᲔᲓᲒᲐᲠᲘ

მოეცალენით! ეშმაკი მოდის! დედ-მამის მორჩილი იყავ, სიტყვაზედ მტკიცედ დადეგ, ნუ ფიცულობ ხოლმე, სხვის ცოლ-

თან ნუ შესცოდებ, შენს ცოლს ფარჩით ნუ მორთავ. ჰსცივა თოშასა, ჰსცივა!

ლირი

შენ ან ვინ იყავ? ან რა იყავ?

ედგარი

კაცი ვიყავ, ადამიანი, გულზვიადი, ჭკვა-ამაყი. თმას ვიხუჭუჭებდი, საყვარლის ხელთათმანს ქუდის ქალამანში ვატარებდი, ჩემს საყვარელს ქვეშ ვეთელინებოდი, იმასთან ცოდვის საქმეს ვჩადიოდი, ყოველს სიტყვაზედ ვფიცულობდი და ყოველს შემთხვევაში იმ ფიცსა ვტეხდი. რაც ძილში მურტალი ფიქრები მომდიოდა, მე იმას ღვიძილში ვასრულებდი. ღვინო ძალიან მიყვარდა, იმაზედ მეტად კოჭის თამაში, ქალების უკან დევნაში კი ოსმალოსაც გადავაჭარბებდი. მე ვიყავ გულითა მზაკვარი, ენითა — მაბეზღარი, ხელითა — სისხლის მღვრელი, ზარმაცობითა — ღორი, მპარაობითა — მელა, მსუსაგობითა — მგელი, სიცოფითა — ძაღლი, მტაცებლობითა — ლომი. ერიდე, ერიდე, რომ ქალის წუღების ბაკი-ბუკმა და აბრეშუმის კაბის შრიალმა შენი გული არ დაატყვევონ. სამიკიტნოში ფეხს ნუ შედგამ, ქალის უბეში ხელს ნუ ჩაჰყოფ, შენს მოვალეს თამასუქს ნუ მიჰსცემ, ნუ ენდობი ეშმაკსა. მაინც კიდევ კუნელის ეკლებიდამ ცივი ქარი გამოზუის. აი, იძახის ზუ, ზუ, ზუო. თავი დაანებე, ჩემო პატარა ბავშვო, დეე, იზუზუნოს.

(ქარი კიდევ ჰქრის)

ლირი

ის არ გერჩივნა, რომ ცოცხალი შავს მიწაში დამარხულიყავ და ეგრედ ტანშიშველი კი არ დასდგომოდი ამ ზეცის საშინელს გულისწყრომასა. — ნუთუ მართლა ეს ადამიანია და ადამიანი ამის მეტი არა არის რა?!.... აჰა, ხომ ხედავთ, ამას ნათხოვარი არა აქვს რა. ამისთვის არც ჭიას უთხოვებია აბრეშუმი, არც მხეცს — ტყავი, არც ცხვარს — მატყლი, არც ყვა-

ვილს — სუნნელება. ჩვენ სამნივე ყალბნი, ფერადებით შეხამებულნი ვართ!.... აი, ნამდვილი ადამიანი!.... შეუხამებელი ადამიანი შიშველის ორფეხის ცხოველის მეტი არა ყოფილა რა. შორს ჩემგან ტანის სამკაულო! შენ ნათხოვარი ხარ და არ მინდიხარ!

(ტანისამოსს იგლეჯს).

ხუმარა

ჰოო, სწორედ ეგღა გაკლდა. არა, ტანისამოსს რომ იხდი, ამ ბნელა ღამეში ცურვას აპირობ თუ? — ეხლა ამ ტრიალს მინდორზედ ერთი ბეწვა ცეცხლი სწორედ ბებერი არშიყი კაცის გულს ეგვანება, იმიტომ რომ ბებერს არშიყს მარტო გულიღა უბუტავს იმ ვეება გაციებულს ტანშია. აგერ ჩვენკენ ცეცხლიც მოტანტალებს.

ედგარი

ეგ მე ვიცი, ვინც არის. ეგ ეშმაკია. ფლიბერტი ჯიბბერტი ჰქვიან. მაგან ტანტალი იცის ხოლმე ბინდიდამ პირველ მამლის ყივილამდე. ეგ თვალში ლიბრს აკეთებს, კაცს აბრმავებს, ტუჩს სამად უყოფს, ხორბალს ამყაყებს და ყოველგვარ ტანჯვას აყენებს ამ დედამიწის შვილებსა.

წმინდა ვიტოლდმა ღელე
სამჯერ შემოიარა,
მაჯლაჯუნა და ალი
მას წინ შემოეყარა.
უბძანა: პირქვეშ ჩემ წინ
ეხლავე დაემხეთო,
რომ ბოროტს აღარა იქმთ,
ეხლავ შემომფიცეთო.
მიწასთან გაგასწორებთ,
თუ მე ფიცს გამიტეხთო.

კენტი

ხომ ძლიერ არ შესწუხდით ხელმწიფეო!

(შემოდის გლოსტერი, ხელში მაშხალა უჭირავს)

ლირი

ეს ვიღა მოდის?

კენტი

ვინა ხარ ემანდ? რას დაეძებ?

გლოსტერი

თქვენ ვიღა ხართ? თქვენი სახელი?

ედგარი

საბრალო თომა, მჭამელი ბაყაყებისა, თავკომბალებისა, ჯოჯოებისა, ხვლიკებისა, რომელიც, როცა ეშმაკი გულზედ მოიყვანს ხოლმე, თაგვებს და ძაღლის მძოვრებსა ჰსჭამს, ნეხვს წნილად ატანს და მყაყე გუბის წყალსა სვამს, რომელსაც ერთის სოფლიდამ მეორემდინ ჯოხით უკან ჰსდევენ, ჰსტანჯვენ, ციხეში ამწყვდევენ, რომელსაც ერთს დროს ჰქონდა სამი ჩოხა ზურგისათვის, ექვსი პერანგი — ტანისათვის, საჯდომი ცხენი — ტარებისათვის და იარაღი — ბაქი-ბუქობისათვის.

ეხლა კი მარტო თაგვებსა ჰსჭამს, ჭია-ჭუასა,
შვიდი წელია ასე ირჩენს უბედურს თავსა.

მოეცალე ჩემს მწვალებელს და მტანჯავსა. ხმა გაიკმინდე! აღარ დადგები, ეშმაკო?! აღარ მომასვენებ საწყალსა?!

გლოსტერი

ვაი, შენ ჩემო თავო!..... ნუთუ, ხელმწიფეო, ეს დღეც დაგადგათ, რომ ამისთანა კაცი მოსაუბრედ გაგხდომიათ?!...

ედგარი

მწყდიადთ უფალი ძლიერი თაყადია, იმასა ჰქვიან მოდო და მაჰუ.

გლოსტერი

ესდენ გაბილწდნენ ჩვენნი შვილნი, ჩვენნი სისხლხორცნი, რომ თვისთ სიცოცხლის მომნიჭებელთ წინა აღგვიდგნენ?!...

ედგარი

ჰსცივა, ჰსცივა საწყალს თომასა!...

გლოსტერი

ჩემო ხელმწიფევ! წამობრძანდით, ბინას გიშოვით... ნებას არ მაძლევს ერთგულება, რომ ყოველსფერში მე დავმორჩილდე თქვენთა ქალთა სასტიკს ბძანებას. თუმც მათ მიბძანეს, რომ არასგზით არ შეგიწყნაროთ და მსხვერპლად მიგცეთ ამ საშინელს ვაი-ვაგლახსა, მაგრამ გავბედე გამოპარვა თქვენს საძებნელად, რომ წაგიძღვეთ და შეგახიზნოთ იქ, სადაც თქვენთვის ყველა მზად არის, — ვახშამიც და თბილი ოთახიც.

ლირი

ჯერ დამაცალე, ვესაუბრო ამ ფილოსოფოსს. ერთი მითხარი, — ეს ქუხილი რისაგან არის?

კენტი

ჩემო ხელმწიფევ, უარს ნუ ჰყოფთ ამის თხოვნასა, მიჰყევით მაგას....

ლირი

ამ სწავლულს და მეცნიერს ბერძენს მინდა რამ ვკითხო (ედგარს) ერთი მითხარ, — რა სიბრძნეს მიხდევ?

ედგარი

მას, რომ მატლებსა ვჭყლეტ და ეშმაკთა შევაჩვენებ ხოლმე.

ლირი

ნება მომეცით, ცალკედ გითხრათ ორიოდ სიტყვა....

კენტი (გლოსტერს)

ნუ მოეშვებით, კვლავაც ჰსთხოვეთ, თვარემ ხომ ხელავთ, ჭკვა და გონება ერევა მას...

გლოსტერი

განა რად გიკვირს?
მის ღვიძლნი შვილნი სასიკვდილოდ მას იმეტებენ!
კეთილო კენტო!.... ყოველი ეს მან წინად იგრძნო....
ვაი უწყალოდ განდევნილსა!.... შენ მეუბნები,
რომ ხელმწიფესა ჭკვა-გონება ეკარგებაო....
მეც ამას გეტყვი, მეგობარო, მეც მაგ დღეში ვარ,
ლამის მეც ჭკვიდამ შევიშალო მწუხარებითა.
მეც ღვიძლი შვილი, დღეს ჩემგანა შეჩვენებული,
ეხლახანს სიკვდილს მიპირებდა.... მენდე, ძმობილო,
ისე მხურვალედ მიყვარდა ის, რომ არცერთს მამას
არ ჰყვარებია თვისი შვილი, — და დამიჯერე,
რომ ამ სევდამა შეარყია ჩემი გონებაც (ქარი კიდევ ჰქრის.)
უჰ, რა ღამეა!... გთხოვთ, მეფეო....

ლირი

ოხ, უკაცრავოდ.
თქვენც წამობძანდით ჩვენთან, დიდო ფილოსოფოსო.

ედგარი

ჰსცივა, ჰსცივა თომასა.

გლოსტერი

არა, აქ დარჩი, საცოდავო, შენს ქოხში შედი.

ლირი

თუ ეგრე არის, ჩვენც თან შევყვეთ, ჩვენც თან ეახლნეთ.

კენტი

ბატონო ჩემო, ჩვენ მოგვყევით.

ლირი

ამას გავყვები.
მე მინდა-მეთქი, დავრჩე ამ ჩემს ფილოსოფოსთან.

კენტი (გლოსტერს.)

ნუ აწყენინებთ, — თან იახლოს ეგ უბედური.

გლოსტერი

ეგ კაცი თქვენ თან იახელით, ჩემო ხელმწიფევ!

კენტი

წამოგვყევი თან, შე საწყალო.

ლირი

თქვენც წამობრძანდით,
ათინის ბრძენო.

გლოსტერი

ნურას იტყვი და თან იახელ.

ედგარი

გმირი რაინდი როლანდი
შავსა ციხეს მიადგაო,
ვაი, ვაი, დაიძახა,
აქ ბრიტთ სისხლის სუნი სდგაო.

(გადიან).

სანახავი V

ოთახი გლოსტერის ციხე-დარბაზში

(შემოდიან კორნვალი და ედმუნდი)

კორნვალი

ისე არ წავალ აქედამ, რომ იმას არ გადავახდევინო.

ედმუნდი

მე ამასა ვშიშობ, ბატონო, რომ ყველასაგან განკიცხულ ვიქნები, რადგანაც ჩემი მამაშვილური გრძნობა თქვენდამი ერთგულებას შევსწირე.

კორნვალი

მე ეხლა ვხედავ რაც არის: შენმა ძმამ რომ მამის შენის სიკვდილი განიზრახა, ეგ მარტო სიბოროტით არ მოსვლია, აქ მამიშენის გულმრუდობაც ყოფილა მიზეზად.

ედმუნდი

ჩემმა უბედურმა ბედმა ორს ცეცხლს შუა ჩამაგდო: არ მეოქვა, ორგულობა იქმნებოდა, ვამბობ და მამის ღალატი გამოდის. აი ის წერილიც, რომელზედაც იგი მელაპარაკებოდა. აქედამ ცხადადა ჰსჩანს, რომ იმას გულში მუხანათობა სდებია და ამის გამო მიწერ-მოწერა გაუმართავს საფრანგეთის ხელმწიფესთან. — ოჰ, ღმერთო ჩემო!... ჯერ ნეტა ეს ორგულობა არ მომხდარიყო და თუ მოხდა, მე მაინც გამამხელინებდი.

კორნვალი

წამომყევ, დედოფალი ვნახოთ.

ედმუნდი

თუ რაც ამ წერილში სწერია, სულ მართალი გამოდგა, მაშინ მრავალი მძიმე საქმე გაგიჩნდებათ.

კორნვალი

მართალი გამოდგება, თუ ტყუილი შენ მაინც მაგ წერილმა ერაფ გლოსტერად გაგხადა. ერთი მიპოვე მამაშენი, მინდა დავაჭერინო.

ედმუნდი (თავისთავად)

თუ ღმერთმა მიშველა და მივასწარ რომ მამაჩემი ხელმწიფეს ეხმარება, მაშინ ამას უფრო მომეტებულად ავუმღერევ გულსა. (კორნვალს) თუმცა ამ შემთხვევაში ჩემი მამაშვილური გრძნობა ძლიერ ებრძვის თქვენდამი ერთგულებასა, მაგრამ მაინც და მაინც თქვენს ერთგულებაზედ მე თავი დამიდგია.

კორნვალი

მე შენი დიდი იმედი მაქვს და თვითონც შენ ჩემში უკეთესს მამას იპოვი. (გადის).

სანახავი VI

ოთახი გლოსტერის ხიზანის სახლში, გლოსტერის ციხედარბაზის გვერდით.

(შემოდიან გლოსტერი, ლირი, კენტი, ხუმარა და ედგარი).

გლოსტერი

რაც უნდა იყოს, მაინც აქ ყოფნა ჰსჯობია ცის ქვეშე დგომას. ამისათვისაც მადლობელნი ვიყვნეთ. რაც შემეძლება, ვეცდები, რომ აქ ყოველი თქვენი სურვილი აღსრულდეს. თქვენ აქ ბძანდებოდეთ, მე წავალ და ეხლავ უკანვე გიახლებით.

კენტი

გულფიცხობამ და მოუთმენელობამ შემუსრა ამის გონების ძლიერება.... (გლოსტერს). ღმერთმა გადაგიხადოთ, ბატონო, ეს სიკეთე.

(გლოსტერი გადის)

ედგარი

ეშმაკი მეძახის და მეუბნება, რომ ნერონი საბნელეთის ტბაში ჩანგლით თევზს იჭერსო. (ხუმარას). შე უგუნურო მტრედო, მოერიდე ეშმაკსა.

ხუმარა

ბიძია, ერთი მითხარი, — ნამდვილად სულელი ვინ არის? გლეხი, თუ თავადი?

ლირი

ხელმწიფეა, ხელმწიფე!....

ხუმარა

არა. ნამდვილად სულელი ის გლეხია, რომელმაც თავისი შვილი გაითავადა, ის გლეხია-მეთქი, რომელიც თვითონ კი გლეხად დარჩა და შვილი კი გაიბატონა.

ლირი

დეე, ათასთა გახურებულთ რკინის შამფურთა
ის ღვარძლიანი გულ-მუცელი გაუწოს იმათ!....

ედგარი

ეშმაკი მხარ-ბეჭში მკბენს....

ხუმარა

არა, სულელი ის არის, ვისაც სჯერა მორჩილება მგლისა, ალერსი — ცხენის წიხლისა, ტრფიალება — ბავშვისა და ფიცი — უნამუსო დედაკაცისა.

ლირი

მორჩა... სამსჯავროს განსაკითხად მე მივცემ იმათ!... (ედგარს) აქეთ დაბძანდით, მეცნიერო მოსამართლეო,

(ხუმარას) შენც გვერდთ მოუჯეგ, დიდო ბრძენო! საჯეთ ისინი. აბა მელებო, წარმოსდეგით განსაკითხავად.

ედგარი

შეხე, შეხე, როგორ დგას და იჭყიტება!..... ქალბატონო, თვალს ტყუილად ნუ გვიშვრები, შენი სილამაზე ჩვენ ვერ გვაცდენს, — ტყუილად ირჯები.

შენ, საბედო, ჩემთან მოდი, გამოცურდი ემაგ წყალსა.

ხუმარა

თვითონც უნდა, მაგრამ ცოტა ზიანი აქვს მაგის წავსა.

ედგარი

ეშმაკმა ბულბულსავით შტვენითა ტვინი წაართვა საბრალო თომას. თომას მუცელში გობდენს ერთი ყოფა გააქვს. მიუგდეთ ერთი ორი ქაშაყ-თევზა. რას ბუყბუყებ, შავო ეშმაკო, მე რა მაქვს, შენ რა გაჭამო!....

კენტი

რა გადგეკიდათ, ხელმწიფეო? რატომ ეგრე ხართ?
რამ გაგაცვიფრათ? გაშტერებით რად იყურებით?
გთხოვთ, რომ მცირეს ხანს აქ წამოწვეთ და მოისვენოთ.

ლირი

არა, ჯერ მინდა სამართალი ამათი ვნახო.
რაღას უყურებ, მოიწვივე ჩქარა მოწმები.
(ედგარს) თქვენსა ადგილას თქვენ დაბძანდით, დიდო მსაჯულო,
(ხუმარას) შენც გვერდთ მოუჯეგ მართლმსაჯულის თანაშემწეო,
(კენტს) შენც, როგორც მწევრი სამსჯავროის მაგათ მოუჯეგ.

ედგარი

ნურაფრის შიში გაქვს, კაი სამართლით გაგასამართლებთ.

გლვიძავს, თუ დაგიძინია,
ჩემო კარგო მეცხვარეო?
ცხვარი ყანას მოსდებია,
ადეგ და მოუარეო,
სალამური დაუკარი,
ცხვარს თავი მოუყარეო.

ლირი

ჯერ ამას დასდეთ სასჯელი. ამას გონერილა ჰქვიან. ამ პატიჟცებულის კრების წინაშე ფიცსა ვსდებ, რომ მაგან თავის საცოდავს, ხელმწიფე-მამას წიხლი ჰკრა და კარში გამოაგდო.

ხუმარა

წინ წამოდეგით, მანდილოსანო! — თქვენ სწორედ გონერილა გქვიანთ?

ლირი

ვერ იტყვის მაგაზედ უარს!....

ხუმარა

უკაცრავად, ქალბატონო! მე თქვენ სკამად მიგიღეთ.

ლირი

აგერ მეორეც!... ზედ ეტყობა გარყვნილ სახეზედ
რაგვარის გულის პატრონია, ნურსად გაუშვებთ.
ხედავთ, რა ქმნეს ამ წყეულებმა?!.... გაუშვეს კიდეც!...
ცეცხლით დაგბუგავთ!... ეგ რა ჰქენით!... იარაღს ვიხმარ!...
მთელი სამსჯავრო დაუქრთამავთ, შეუსყიდნიათ!.....
შე ცრუ მსაჯულო, რად მიეცი გაქცევის ნება!....

ედგარი

გიკურთხოს ღმერთმა თვალი, ყური, ხელი, ენა, ცხვირი.

კენტი

ვაი ჩემს თავსა!... რა გექნმათ თქვენ ის მოთმინება,
რომლითაც ეგრედ ხშირად, მეფევ, თქვენ ქალულობდით!

ედგარი (თავისთავად)

ტირილი მომდის!... ლამის ცრემლთა ჩემთა მე გამცენ.

ლირი

შემომხვევიან გარს ძაღლები და მარტოს მყეფენ!....

ედგარი

საცოდავი თომა მაგ ძაღლებს თავის თავს ესვრის და ისე გაგიფთხობს. გადით, გადით, თქვე დინგ-ძაღლებო!...

თუნდა იყოს მეძებარი
თუნდ გოშია, თუნდ მწევარი,
თუნდ კბილბასრი ცოფიანი,
თუნდ კუდა, თუნდ კუდიანი,
თომა ესვრის მათ თავის თავს
და მაგ ძაღლებს სულ გაჰფანტავს.

გაცით! გაცით! გაცით! ეხლა ჩვენ წავიდეთ და თრევა დავიწყოთ მეიდნებზედ, ბაზრებში, დღეობებში. საწყალს თომას ყანწში არა უდგა რა.

ლირი

აბა, ეხლა შუა გასჭერით რეგანა და ნახეთ, გულზედ რა აკრავს. ერთი გასინჯეთ, რა ბუნების ძალია იმისთანა, რომ ესე უქვავებს ადამიანს გულსა. (ედგარს). თქვენ, ყმაწვილო, შემირიცხავხართ ჩემის ასის რაინდის რიცხვში. ეს კია, რომ თქვენი სამკაული მე არ მომწონს. იქნება იმითი იმართლოთ თავი, რომ ეგ სპარსთა საცმელიაო, მაგრამ მაინც გთხოვთ, გამოიცვალოთ.

კენტი

გევედრებით, ხელმწიფეო, პატარა ხანს თავი მისდოთ და მოისვენოთ.

ლირი

სსსუ!... ხმა გაიკმინდე!... ფარდა ჩამოუშვი! ჰოო, ეგრე, ეგრე, ეგრე!... ვახშამი დილაზედ ვჭამოთ. ჰო, ეგრე, ეგრე....

ხუმარა

შენ თუ ვახშამს დილაზედა სჭამ, მეც შუადღისას ლოვინში ჩავეგდები.

(შემოდის გლოსტერი)

გლოსტერი

ერთი აქეთ მო. სად ბძანდება ჩვენი ხელმწიფე?

კენტი

ნუ შეაწუხებთ, აქ ბძანდება, ჭკვიდამ შეგვიცდა.

გლოსტერი

ეხლავ უშველე ხელმწიფესა. ასწი, წაიღე.
მე ყური მოვკარ, რომ სიკვდილსა უპირობენ მას....
აქავ მზად არის საკაცეცა, შიგ ჩააწვინეთ,
ისე წაიღეთ და გასწიეთ დუვრისაკენა.
იქ ყველა კარგად მიგიღებთ თქვენ და შეგეწევათ.
აჩქარდი, თვარემ საცა არის თავს დაგვესხმიან.
მაშინ ხელმწიფეც, თვითონ შენცა და სულ ყველანი,
ვინც კი მაგისი მომხრენი ვართ, დავიღუპებით,
ჩქარა ასწიეთ, წამომყევით, ნუ დაყოვნდებით,
მე წაგიძღვებით და გაგიყვანთ დუვრის გზაზედა.

სძინავს ამ ტახჯულს და დაჩაგრულს ადამიანსა...
იქნება ძილმა დაგიამოს გულისა ქენჯნა
და აღგიდგინოს შერყეული გონება შენი.
და თუ ძილი და მოსვენება შენ არ დაგცალდა,
ეგ სენი შენი მაშინ ძნელად განიკურნების.
(ხუმარას). აბა ავწიოთ, გავიტანოთ, — შენც მომეშველე,
ვიცი, რომ აქაც შენ შენს ბატონს არ მოშორდები...

გლოსტერი

აჩქარდით-მეთქი. რას უყურებთ? ნუ იგვიანებთ.
(გადიან კენტი, გლოსტერი, ხუმარა და გააქვთ ლირი).

ედგარი

როდესაც ვხედავთ ჩვენზედ დიდთა ჩვენებრ ტანჯულთა,
მაშინ საკუთარს ჩვენს ტანჯვასაც ადვილად ვიტანთ.
უფრო მწვავია, როცა მარტო ჩვენ ვიტანჯებით
და გარშემო კი ყველა ხარობს, ყველა ფუფუნებს.
ხოლო თუ ტანჯულთ ჩვენთან ერთად სხვათაცა ვხედავთ,
გული მაგრდება და ტკივილსა არ ეპოება.
გამიადვილდა ეხლა თვითონ ჩემი წვალებაც,
რაკი რომ ვხედავ ერთნაირად ორივ ვიტანჯით, —
მეც და ხელმწიფეც.... იგი შვილთა თვისთა განდევნეს
და მე მშობელმა... მაშ წადი შენც აქედამ, თორმავ,
და ყოველს იმას, რაც მოხდება, თვალი ადევნე.
როს განიფანტვის იგი ცილი, რაცა დაგწამეს
და რამაც ესდენ შეამწიკვლა სახელი შენი,
როს ქვეყანა გულს დააჯერებს შენს სიმართლეზედ
და შეგირიგებს შენ უბრალოდ ტანჯულს, დაჩაგრულს,
მაშინ რაც იყავ, იმავ სახით გამოდი ქვეყნად.
თუმცა ესეთი ღამე არის, მე არ დავიშლი,
წავალ და მეფეს თან გავყვები, რომ ვუშველო რამ.

(გადის).

სანახავი VII

ოთახი გლოსტერის ციხე-დარბაზში

(შემოდიან კორნვალი, რეგანა, გონერილა, ედმუნდი, და მოსამსახურენი).

კორნვალი

ეხლავ წაბძანდით თქვენს მეუღლესთან და ეს წერილი აჩვენეთ. საფრანგეთის ლაშქარი ჩვენს ხმელეთზედ გამოსულა კიდეც. — მიპოვეთ ეხლავ და აქ მომგვარეთ ის საძაგელი გლოსტერი.

(რამდენიმე მოსამსახურე გადის)

რეგანა

ეხლავ ჩამოახრჩეთ.

გონერილა

ოცვალები დაჰსთხარეთ.

კორნვალი

ეგ მე ვიცი, რასაც ვუზამ. — ედმუნდ, შენ ჩვენის ცოლის დას იახელ. რიგი არ არის, რომ დაესწრო იმ სასჯელის გადახდევინებაზედ, რომელსაც ჩვენ ვუპირობთ მუხანათს მამაშენსა. რაწამს მიხვალ, ჩააგონე მთაყარს, რომ რაც შეიძლება დააშუროს საომრად მომზადება, მეც ეხლავ მაგ საქმეს შევუდგები. ჩვენ ერთმანერთთან კაცის ფეხი არ უნდა მოვსწყვიტოთ და ჩვენ ჩვენი ამბავი ხშირად ერთმანეთს უნდა ვატყობინოთ. — მშვიდობით, ჩემო საყვარელო დაო. მშვიდობით, გრაფო გლოსტერ. (შემოდის ოსვალდი) აბა, რას იტყვი, — ხელმწიფე სად არის?

ოსვალდი

აქედამ იგი გააპარა გრაფმა გლოსტერმა.
ოცდახუთმეტი თუ თექვსმეტი მეფის რაინდნი

აქ ჭიის კართან დახვდნენ მეფეს და თან ეახლნენ,
და ორიოდე თვითონ გრაფის აზნაურიცა
მათ მიემატა, — და სულ ერთად წავიდნენ დუვრსა.
ქადულობდნენ, რომ იქ ვპოვებთო ჩვენს მომხრეებსა,
კარგად გაწყობილთ იარაღით და სურსათითო.

კორნვალი

წადი, ცხენები მოუმზადე შენს ქალბატონსა.

გონერილა

მშვიდობით, ჩემო საყვარელნო სიძევ და დაო.

კორნვალი

მშვიდობით, ედმუნდ (გადიან გონერილა და ედმუნდ)
თქვენ გლოსტერი მიპოვეთ-მეთქი,
გაბაწრეთ იგი როგორც ქურდი და მომითრიეთ!

(კიდევ რამდენიმე მოსამსახურე გადის).

თუმც ის სასჯელი, რომელსაცა მე მას ვუპირობ
მხოლოდ სამსჯავროს განკითხვითა განიწესების.
მაგრამ რა უშავს?.... მე დავსჯი მას ჩემის ძალითა, —
დეე, კანონმა აქ დაუთმოს ჩემს გულისწყრომას.
ვითომ რას მიზმენ? სამართალში ხომ არ მიმცემენ?
ოყაყანებენ და ბოლოს კი დაჩუმდებიან.

(მოსამსახურეებს გლოსტერი შემოჰყავთ)

ვინ არის მანდა? ხომ არ მოგყავთ ის მუხანათი?

რეგანა

ის მოჰყავთ, ისა!... უმადური, ბებერი მელა!....

კორნვალი

გაუბოჭეთ მაგ მუხანათსა მაგრად ხელები!

გლოსტერი

რაზედ მიწყრებით, ბატონებო? რა ამბავია!
ნუ დაივიწყებთ, რომ დღეს თქვენ ხართ სტუმარნი ჩემნი,
პატივი დამდეთ ამით მაინც, — ნუ შეურაცხმყოფთ.

კორნვალი

შებოჭეთ-მეთქი, მე გიბძანებთ!
(მოსამსახურეები გლოსტერს ხელებს უკვრენ)

რეგანა

მაგრა შებოჭეთ! —
შე გულ-მურტალო მუხანათო!... შე მოღალატევ!...

გლოსტერი

მე კი არა ვარ მოღალატე, შენ ხარ უწყალო.

კორნვალი

შებოჭეთ-მეთქი და ემაგ ბოძს ზედ მიაკარით!
მე შენ გიჩვენებ, არამზადავ!....
(რეგანა გლოსტერს წვერს გამოაგლეჯს).

გლოსტერი

ღმერთმა გკითხოს შენ!....
რაზედ ირცხვენ თავს და თეთრს წვერსა მაგლეჯ მე ბერ-კაცს!...

რეგანა

წვერი გაქვს თეთრი და გული კი ამოჭვარტლული.

გლოსტერი

წყეულიმც იყავ!... ამ თეთრ-წვერის ყოველი ბეწვი,
რ..ელსაც ეგრე უწყალოდ შენ ეხლა მე მაგლეჯ,
ენას აიდგამს და ქვეყნის წინ შეგაჩვენებს შენ!...

მასპინძელი ვარ თქვენი-მეთქი, — და არა გრცხვენით,
რომ ავაზაკებრ შეაგინეთ თვით მასპინძლობაც!...
რასა სჩადით, რას?!

კორნვალი

გვითხარ ეხლავ, ამ მოკლე ხანში
ის რა წერილი მიგიღია ფრანგთ ხელმწიფისგან?

რეგანა

ჩვენ ყველა ვიცით და დამალვა აღარას გარგებს.

კორნვალი

გვითხარი-მეთქი, — შენ რა ზავი გქონდა ჩვენს მტრებთან,
რომელნიც ეხლა ჩვენს ქვეყანას შემოსევიან?

რეგანა

უჭკო ხელმწიფე ვის გარდეცი, ვისა? — გვითხარი.

გლოსტერი

მე მაქვს წერილი, მართალია, მაგრამ იმაში
გადაწყვეტილად არარაა მოხსენებული.
ჭარეშე კაცი მწერს იმ წერილს და არა მტერი.

კორნვალი

ჰსცრუობ!...

რეგანა

მიჰქარავ!...

კორნვალი

შენ ხელმწიფე სად გაისტუმრე?

ГЛОСТЕРИ

ღუერს გავისტუმრე.

РЕГАНА

შენ იმას ღუერს რად ისტუმრებდი,
მაშინ როდესაც შენ სასტიკად აკრძალულ გქონდა?...

КОРНВАЛИ

რად გაისტუმრე შენ იგი ღუერს? — დეე, ჯერ ეგ ჰსთქვას.

ГЛОСТЕРИ

ბოძზე მიკრულსა მომხვევიხართ და იღრინებით...

РЕГАНА

ჰსთქვი-მეთქი, — რისთვის გაისტუმრე შენ იგი ღუერსა?

ГЛОСТЕРИ

მისთვის, რომ მე არ დამენახა ვით დასთხრიდი მას
შენის უწყალოს ბრჭყალებითა საცოდავს თვალებს.
არ დამენახა ვით შენი და გააფთრებული
თვის ბასრთა ეშვთა ჩაუყრიდა მას ცხებულ ტაწში!..
მან თავშიშველმა იმ საშინელს ჯოჯოხეთს ღამეს
გამოვლო ესდენ ძლიერთ გრიგალთ, ქარიშხალთ ქროლვა.
რომელთ ძალ ედვათ, რომ თვით ზღვანი აღმოეზიდათ
და მათის ზვირთით დაეშრიტათ ცისა მნათობნი.
მას კი საცოდავს უნებლიედ ჰსცვივოდა ცრემლი,
რომელიც ცისა ნიაღვარსა ემატებოდა.
მგლებიც ღმუილით იმ ღამეს რომ კარს მოგდგომოდენ,
შენ უნდა გეთქვა, — „მეკარეო, კარი გაუღე“.
ყველა სიავე დასცხრებოდა იმ ბნელსა ღამეს.....
თუ დავრჩი, ეწახავ, რომ წყეულთ შვილთ ცა გაწგიკითხავთ
და თავზედ ღვთისა რისხვის ზარი წამოგერღვევათ!....

კორნვალი

მაგას ვერ ნახავ თავის დღეში! — მოდით, დამიჭით!
ჯერ მაგ შენს თვალებს გაგისრესავ ჩემის ფეხითა.

(მოსამსახურეები გლოსტერს ბოძზედ მიაკვრენ, კორნვალი ერთს თვალს გამოსთხრის და ფეხით გასრესს).

გლოსტერი

ჩემ დრომდინ მოყრა ვისაც გინდათ, მოდით, მიშველეთ!....
ჰოი, ჯალათო!... ვაი, ღმერთო!...

რეგანა

მეორეცა და!...
თვარემ დაშრეტილს თვალს დაუწყებს იგი დაცინვას.

კორნვალი

გინდა, სჯა ნახო ღვთისა ჩვენზედა!....

ერთი მსახური

ნუ იქმთ, ბატონო!
ხელს ნულარ ახლებთ, — ვედრებით გთხოვთ, წყრომა დასთმევით,
და თუ ამ თხოვნამ გასჭრა, ვიტყვი, რომ ამისთანა
მე სამსახური თქვენთვის ჯერ არ გამიწევია,
თუმცა სიყრმითვე თქვენ გახლავართ და თქვენ გმსახურებთ.

რეგანა

რასა ბოდავ, შე ძაღლთ ნაშენო? ეგ რა მიჰქარე?!...

მსახური

კაცი რომ იყო, ჩემის ხელით სულ წვერს გაგლეჯდი!...
რაებსა სჩადი?!...

კორნვალი

ვერ უყურებთ ამ ჩემს ფეხის ძტვერს!...

(მახვილს ამოიღებს და მსახურს მივარდება)

მსახური

თუ გნებავს, მოდი, მე კი ხელი დამიბანია.

(ამოიღებს მახვილს და ერთმანეთს ებრძვიან. კორნვალი დაიჭრება).

რეგანა (მეორე მსახურს)

მომეც მახვილი! — წუწკიშვილი, ხედავ, რას ბედავს!...

(მახვილს გამოსტაცებს, პირველს მსახურს უკანიდამ მოუვლის და დასცემს).

მსახური

ეჰა, მომკლეს მეც! — თქვენ, ბატონო, კიდევ გაქვსთ თვალი, რომ დაინახოთ თქვენს ჯალათს მე ვით ვაზღვევინე.

(კვდება)

კორნვალი

რომ არც ეგ ნახოს, მეორესაც ეხლავ დავუშრეტ.

(გლოსტერს მეორე თვალსაც გამოსთხრის და ძირს დააწარცხებს)

გა და გაერთხი დედამიწას, მურტალო ლორწო!...
შენ აღარ გქონდეს ბრკიალება ჩვეულებრივი.

გლოსტერი

გარს დამიბნელდა და შიშით ვთრთი!... სადა ხარ ედმუნდ?

აღინთე, შვილო, წყრომის ცეცხლი, მეშურნოება...

ამ ულმობლობის მაგიერი გარდუხადე მათ!...

რეგანა

აი, მეხი კი დაგეცა მაგ მუხანათს თავზედ!
იმან დაგმართა ეს ამბავი, ვისაც აწ უხმობ.
შენმა ედმუნდმა შეგვასმინა ღალატი შენი, —
ის იმოდენად ერთგულია და გულუბრყვილო,
რომ შენისთანა მუხანათსა არ შეიბრალებს.

გლოსტერი

ვაი, ამ ჩემსა სულელობას, უგუნურებას!...
ეხლა ცხადია, რომ ედგარი ცილმა დაღუპა...
ოჰ, ღმერთნო ჩემნო, შემინდეთ მე ეს ცოდვა ჩემი
და ჩემს შვილს ედგარს, ჩემგან ჩაგრულს, მეოხ ეყავით.

რეგანა

პანღური ჰკარით და გააგდეთ ეზოს გარედა,
დეე, სუნს აჰყვეს და დუვრის გზა ისე გაიგნოს.
რა დაგემართა? ეგ რა სახე დაგდებია შენ?

კორნვალი

დაკოდილი ვარ. — ჩემო კარგო, წამო, წავიდეთ.
გაათრიევით ეს ბრმა კარში და ეგ ლეში კი
გაიტანეთ და სანეხვეზედ გადააგდევით.
რარიგ მდის სისხლი!... უდროო დროდ დავიკოდე მე...
ჩემო რეგანავ, მომეშველე, ხელი მომეცი.

(რეგანა კორნვალს ხელს აძლევს და გაჰყავს, მოსამსახურენი გლოსტერს ბოძიდამ ახსნიან, გაუხსნიან ხელებს და გარედ გაიყვანენ).

პირველი მსახური

თუ გადუხდელად ამ ჩვენს მთავარს ესეც ჩაუვლის,
მაშინ ხელს მივყოფ და ყოველს ფერს ბოროტს მეც ვიზამ.

მეორე მსახური

თუ იმის ცოლსა ღმერთმა კიდევ დღე გაუგრძელა
და სიბერემდი მშვიდობითა მიაღწევინა,
მაშინ ვეშაპად დედაკაცნი გარდიქცევიან.

პირველი მსახური

გრაფს უკან გავყვეთ და ვუშოვოთ მთხოვარა ვინმე,
რომ უსინათლომ საცა უთხრას, იქ მიიყვანოს.
მთხოვარანი ხომ მზად არიან ამგვარ საქმისთვის?

მეორე მსახური

შენ გაჰყევ, მე კი მჩვარს ვუშოვი და კვერცხის ცილას,
და დავადებ მის დასისხლებულს თვალთა ბუდესა.
ღმერთო, უშველე, დაიფარე ეს საცოდავი!....

(გადიან სხვადასხვა მხარიო).

მოქმედება მეოთხე

სანახავი I

ტრიალი მინდორი.
(შემოდის ედგარი)

ედგარი

ესრედ ყოფნა ჰსჯობს!.. ჰსჯობს ვიცოდეთ, რომ ყველა
გვზიზღობს,
ვიდრე გვზიზღობდენ და პირში კი ქებას გვასხმიდენ.
ჩემებრ ჩაგრულსა, დათრგუნვილსა, დამდაბლებულსა
შიში აღარ აქვს არაფრისა, იმედით ჰსცხოვრებს...
ბედის ცვლილება დღეის იქით აღარ მეშინის.
ცვლილება არის სამწუხარო ბედნიერთათვის,
ბედკრულნი კი მას სიხარულით მიეგებიან.
მაშ შენ, ჰე, სვეო ცვალებადო, აწ სალამს გეტყვი!...
შენ მე შთამაგდე უბედური ვაების ზღვაში
და რაც მიყავი ამაზედ მეტს ველარას მიზამ. —
ეს ვინ მოჩანან!

(შენიღბული გლოსტერის ხიზანი და თან გლოსტერი შემოჰყავს).

ვაი, ჩემს თავს!.... მამაჩემია!....
როგორც მთხოვარა ისე მოჰყავთ!... ეჰა, საწუთროვ!
ცვლილება შენი შენს თავს ჩვენ რომ არ გვაძულებდეს,
ეგრე ხანგრძლივად სიცოცხლესაც კაცთ არ მიჰსცემდი, —
ხანგრძლივ გვაცოცხლებ, რომ ხანგრძლივად შენ გვტანჯო
ჩვენა...

ბერიკაცი

ჩემო კეთილო ბატონო! ეს ითხოვება წელიწადია, რაც მე თქვენს მამულზედ ხიზნადა ვარ. ჯერ მამათქვენს ვემსახურებოდი და მერე თქვენ.

გლოსტერი

წადი შენ, ჩემო მეგობარო, უკან დაბრუნდი.
რამდენს თვით ივნებ, იმოდენად ვერას მიშველი.

ბერიკაცი

ბატონო, თვალნი აღარა გაქვსთ, გზას ვერ გაიგნებთ.

გლოსტერი

მე აღარც გზა მაქვს, — და თვალები რიღასთვის მინდა...
თვალხილულიცა ვყოფილვარ და მიბორძიკნია.
ვიდრე თვალნი გვაქვს მოხმარება მათი არ ვიცით.
და როს დავკარგავთ, — ცოდნა იგი მოგვევლინება.
ვაი, ძვარფასო შვილო ედგარ!.... შენა ხარ მსხვერპლი
მოტყუებულის მამის შენის გულისწყრომისა!
რქმა დღე-ჩემი იმა დრომდე მიღწეულიყო,
რომ, შვილო ჩემო, ხელშეხებით მაინც მენახე!....
მაშინ ჩემთა თვალთ აღმოთხრასა არ ვინაღვლიდი.

ბერიკაცი

ეი, ვინა ხარ?

ედგარი (თავისთავად).

ღმერთო ჩემო!... განა კაცს ეთქმის, —
„რაც ჭირი მჭირსო უარესი აღარ იქმნება“.
აჰა, ესეცა უარესი მაზედ, რაცა მჭირს.

ბერიკაცი

ეხლა ვიცანი, საცოდავი გიჟი თომაა.

ედგარი (თავისთავად).

რაცა ჰსთქვი, მაზედ უარესიც იქმნება ვიყო....
ვიდრე ცოცხალა ქვეყანაზედ ადამიანი,
ვერ ეთქმის, რომე „ჩემთა ჭირთა ბოლო ეს არის“.

ბერიკაცი

საით, ძმობილო?

გლოსტერი

მთხოვარაა?

ბერიკაცი

დიაღ ბატონო,
მთხოვარაც არის უბედური, ჭკვა დაკარგულიც.

გლოსტერი

თუ თხოვნა იცის, ჰსჩანს ჭკვა სრულად არ დაჰკარგვია.
წუხელ ავდარში შევხვდი მაგგვარს საცოდავს ღატაკს,
მის დანახვაზედ კაცი სწორედ მატლად მეჩვენა.
და მას შემდეგა გამახსენდა მე ჩემი შვილი,
რომელზედაც მე მაშინ გული აყრილი მქონდა.
მას აქეთ ბევრი რამ შევიტყე და გავიგონე....
ღმერთნი ჩვენ ისე გვექცევიან, ვით ბავშნი ბუზებს,
გვტანჯვენ იგინი და იმითი შეექცევიან.

ედგარი (თავისთავად)

ორ ცეცხლ-შუა ვარ: თვალთა წინა მშობელი მიდგა
ეჰრედ ტანჯული, გულმწუხარე, და მე კი მაინც,
რომ არვინ მიცნოს, თავი უნდა მოვისულელო,

ოვითონც შევწუხდე და სხვანიცა აბეზარი ვჰყო....
გაკურთხოთ ღმერთმა, ბატონებო!

გლოსტერი

შენ რომ მითხარი,
მთხოვარააო, ეგ ის არის?

ბერიკაცი

დიაღ, ბატონო.

გლოსტერი

მაშ, დამეთხოვე, ჩემო ძმაო, და უკან წადი....
მხოლო თუ გინდა სამსახური რამ დამავალო
და გაიხსენო ერთგულობა ძველი ჩემდამი,
წადი, მოუტა ამ საცოდავს საცმელი რამე.
ეგ გამიძღვება და წამიყვანს დუვრისაკენა.
თუ გაირჯები, დუვრის გზაზედ ჩვენ ჩოგვეწევი.

ბერიკაცი

ბატონო, სრულად სულელია.

გლოსტერი

ჟამთა ჭირია,
როდესაც ბრმანი სულელებსა წინ იმძღვარებენ....
იქმ იმას, თუ არ, რაც მე გთხოვე, შენი ნებაა, —
ოღონდ კი წადი, რომ შენ ჩემთან არავინ გნახოს.

ბერიკაცი

წავალ, უკეთესს საცმელს ჩემსას მაგას მოვუტან
და რაც მომივა მომივიდეს. (გადის).

გლოსტერი

აქ მო, საწყალო.

ედგარი

ჰსცივა თომას!.. (თავისთავად) აღარ ძალმიძს თავის დამალვა!. ლამის სევდამა თავი ჩემი გამამხელინოს.

გლოსტერი

ძმობილო, აქ მო.

ედგარი (თავისთავად).

უნდა შევსძლო, მეტი რა გზაა!...
(გლოსტერს) გიკურთხოს ღმერთმა ეგ თვალები! საწყლებს
სისხლი ჰსწვეთსთ.

გლოსტერი

ერთი მითხარ შე, კაი კაცო, დუვრის გზა იცი?

ედგარი

ვიცი, ვიცი! ყველა გზა ვიცი. თხრილზედაც გადაგატარებ, ჭიის კარებშიაც გაგიყვან, ბილიკზედაც დაგაყენებ, საურმე გზაზედაც გატარებ. საწყალს თომას ჭკვა და გონება დაუფიხეს. ღმერთმა დაგიხსნას, კეთილო კაცო, ეშმაკისაგან. საწყალს თომას ხუთი ეშმაკი ერთად ჩაუძვრა სულში: ერთი ობიდიკუტი — ეშმაკი მეძავ-მრუშობისა, მეორე გაბიდიდენ — მუნჯობისა, მესამე მაჰუ — ქურდობისა, მეოთხე მოდო — მკვლელობისა, მეხუთე ფლიბბერტი-ჯიბერტი — ფილენჯისა და წვალებისა. ეს მეხუთე ეშმაკი მბრძანებელია ყველა მოახლეებისა და გამდლებისა. ღვთის წყალობა მოგეცეს, ბატონო ჩემო!

გლოსტერი

აჰა, მიიღე ქისა ჩემი შენ, რომელიცა
ცის გულისწყრომის კვეთებამა ეგრე ძირს დაგცა.
უბედურებამ ჩემმან დეე შენ ბედნიერ გყოს!...
ნეტა ყოველთვის ცისგან ესე განიგებოდეს....

დეე, მდიდარმა, რომელიცა განცხრომით არის
და განცხრომაში არად აგდებს ცის განკითხვასა,
ჰსცადოს, გამოვლოს ცისა წყრომა, ცისა სასჯელი.
მაშინ ნამეტანს თვისას იგი სხვას გარდასცემდა
და მით ყოველსა თვის სამყოფი მიეცემოდა
და მოისპოდა კაცთ წარმწყმედი სიღარიბეცა....
დ.ვერი გინახავს შენ როდისმე?

ედგარი

დიაღ, ბატონო.

გლოსტერი

იქ ერთი კლდეა მაღალი და წვერგადახრილი,
იგი საზაროდ გადაჰყურებს მის წინ მბრდღვინავს ზღვას.
წამიყვანე და დამაყენე იმ კლდისა წვერზედ.
ოღონდ ესა ჰქმენ და ჯიბეში მე განძი რამ მაქვს,
მე მას შენ მოგცემ, გასამსჯელოდ იგი გეყოფა.
იგი დაგიხსნის სამუდამოდ სიღარიბისგან. —
იქ დაგითხოვ შენ.... იქ მეც თვითონ გავიგნებ ჩემს გზას!...

ედგარი

ხელი მოიტა და გამომყე, წინ გაგიძღვები.

(გადიან)

სანახავი II

ალბანის მთავრის სასახლის წინა

(შემოდიან გონერილა, ედმუნდი და ოსვალდი წინ დახვდებათ).

გონერილა

ჩიკვირს მტირალა ჩემი ქმარი არ მოგვეგება.
შევიდეთ შინა (ოსვალდს), სად ბძანდება შენი ბატონი?

შინა ბძანდება, მაგრამ ისე გამოცელილია,
რომ, ქალბატონო, ვეღარ იცნობთ. — როს მოვახსენე,
რომ მტრის ლაშკარი ჩვენ ხმელეთზედ გამოსულია,
მათ გაიღიმეს და როს თქვენი მოსვლა ვაცნობე,
მათ პასუხადა ეს მიბძანეს: ეგ უფრო ცუდი.
მერე ვაცნობე გლოსტერისა მუხანათობა
და მის უმცროსის ძის სიკეთე და ერთგულება;
მათ მიბძანეს მე: სულელი ხარ, შავს თეთრად ხედავ.
რაც საწყენია მათ მიიღეს სააჟურადა,
რაც საამური — საწყენადა მათ მიიჩნიევს.

გონერილა (ედმუნდს)

მაშ დაბრუნდით თქვენ. აწ მეტია თქვენი აქ ყოფნა.
ეგ მხოლოდ მისის ლაჩრის გულის მხთალი შიშია...
გულჯაბანია და იტანს იმ ბოროტებასა,
რომელსაც უნდა ვაჟკაცურად პასუხისგება.
ვეჭვ, გაგვიმართლდეს იგი, რაც ჩვენ გზაზედ დავაწყეთ....
დაბრუნდი, ედმუნდ, ჩემს სიძესთან და მის ლაშკარი
მოამზადევი და საომრად წინ წამოუძეღ.
მე, დედაკაცი, იარაღით შევიჭურვები,
ჩემს ლაჩარს ქმარს კი მივაჩეჩებ ხელში თითის ტარს.
ეს ერთგული ყმა შუამავლად ჩვენ გვეყოლება...
მარჯვედ იყავი, რომ საყვარლის აღთქმა აღსრულდეს...
აჰა, სახსოვრად იქონიე!.. (სახსოვარს აძლევს) სუ! ნურას იტყვი!
ერთი აქეთ მო, ყურში მინდა ჩუმად რამ გითხრა.

(ჰკოცნის და ჩუმად ეუბნება).

ამ ჩემს კოცნას რომ მეტყველების ნიჭი ჰქონოდა,
იგი შენს გულსა წარიღებდა აღმაფრენითა.
რაც ვეღარა ვჰსთქვი, თვით შენ მიხვდი.... მშვიდობით, ედმუნდ.

ედმუნდი

ვიდრე მოვკვდები, შენი ვარ მე (გადის).

გონერილა

ძვირფასო ედჷუნდ!
ისიც კაცია და ესეცა!... ვიშ, ჩემო გლოსტერ!
ქალთ თაყვანების ღირსი შენ ხარ და ჩემს საწოლს კი
ეპატრონება ის მასხარა და ქალაჩუნა.

ოსვალდი

მთავარი ჩვენი, ქალბატონო, აქ მობძანდება.

(ოსვალდი გადის და ალბანი შემოდის)

გონერილა

მე მოვედი აქ და შენ ძაღლად არც კი ჩამაგდე,
ვგონებ ღირს ვიყავ, ჩემს მოსვლაზედ წინ დამხვედროდი.

ალბანი

შენ იმა მტვერის ღირსიც არ ხარ, რომელსაც ქარი
დედამიწისა ზურგიდაჷ ხვეტს და პირში გაყრის!....
საშინელია იგი საქმე, რაც თქვენა ჰქმენით....
იგი, ვინც თავის დასაბამსა ეგრედ იძულებს,
ვერ შეიმაგრებს თავისთავსა ვეღარასფერში.
შტო, რომელიცა მოსწყდეს თავის მშობელსა ხესა,
დაჭკნეს და გახმეს, ჯოჯოხეთის ცეცხლს შეეკეთოს.

გონერილა

ეგ რა იგავი მოიტანე! ნეტა რას როტავ!

ალბანი

სიბრძნე, სიკეთე ავსა სულსა როტვა ჰგონია.
ბილწი ყოველგან ბილწსა ხედავს და სხვას არარას.
ეგ რა ჰქმენით, რა, თქვე აფთრებო და არა შვილნო?!
შვილი ღას იზამს, რაც ყოფა თქვენ მას დააწიეთ?!
პატივსაცემი, მოწყალე და ბებერი მამა,

რომელს დათვიც კი ალერსითა ხელთ გადულოკდა,
თქვე ბარბაროსნო, თქვე არამნო, ჭკვიდამ შეშალეთ!
მიკვირს მე, ქვისლმან ჩემმან ეგე ვით მოგითმინათ?!
რაც უნდა იყოს კაცი არის, დიდგვარის კაციც
და მასთან ესდენ უხვად ცისგან დამადლებული!...
თუ ცა-მოშურნე თვის ხილულთ ძალთ არ წარმოგზავნის,
რომე აღხოცოს შემაზრზენი ეგ ბოროტება,
მაშინ ერთმანერთს მგლებსავითა კაცნი დასჭამენ.

გონერილა

განა კაცი ხარ, ქუდი გხურავს შე, ქალაჩუნავ?
თავს ატარებ ზედ მარტო მისთვის, რომ ლაფი გასხან
და მაგ შესარცხვენს ლოყებს მისთვის, რომ სილები გცენ.
თვალიც არ გიჭრის, უბედურო, რომ დაინახო,
ვინ არის შენი მოყვარე და ვინ არის — მტერი.
არც ეს იცი, რომ მარტო სულელს ებრალება ის,
ვისაც კი გულში ბოროტება რამ განუზრახავს
და წინვე სჯიან, რომ განზრახვა ვერ აღასრულოს.
მტერი კარს გვადგა, ფრანგთ ხელმწიფემ დროშა გაშალა,
სიკვდილს გიქადის გულზვიადი მტერი მოსისხლე,
შენ აწ ნაღარას უნდა ჰსცემდე, ჯარს აგროვებდე,
თავით ფეხამდე იარაღში ჩამჯდარი იყო
და მის მაგიერ, ზნემაღალო, შე, ქალაჩუნავ,
აქ დამდგომიხარ და ბუდღუნებ: „ეს რა მოგვდისო“.

ალბანი

ერთი შენს თავზედ დაიხედე, შე, ტარტაროზო!
მაგ გულქვაობით რა საზარო, საზიზღარი ხარ!
გულქვა დიაცი სატანაზედ უარესია.

გონერილა

ვაი, მაგ შენსა ფუღურო თავს, ნაცარქექიავ!

ალბანი

ოჰ, შე ბოროტო! გულში მაგდენს შხამს რომ ატარებ,
სირცხვილით მაინც ნულარ აჩენ! ხუ ჰრყვნი შენს სახეს!
ადამიანი გველეშაპად ნუ გვეჩვენები!.....
რომ არ მცხვენოდეს და გულისთქმას მე ჩემსას ავყვე,
ჩემის ხელით ხორცს დაგაგლეჯდი, ძვლებს დაგიმსხვრევდი!
მაგრამ რა გიყო?! თუმც ეშმაკზედ უარესი ხარ,
გარნა დედაკაცთ სახე გდევს შენ და ეგე გფარავს.

გონერილა

ხედავთ ამ ჯაგლაგს, რა უნარი გამოიჩინა!
მაშ რას ამბობენ, — ვერაფერი ვაჟკაციაო.

(შემოდის შიკრიკი).

ალბანი

რა ამბავია?

შიკრიკი

დიდებულო ჩემო ხელმწიფევ,
მთავარი კორნვალ გარდიცვალა, მსახურმა მოჰკლა,
როდესაც იგი გლოსტერს ჰსთხრიდა მეორე თვალსაც.

ალბანი

ეს რა მესმის მე!... გლოსტერსაო თვალსა ჰსთხრიდაო!...

შიკრიკი

მსახური იგი თვით მთავრისგან გაზდილი გახლდათ,
მაგრამ რა ნახა ეს მთავრისა სასტიკი ქცევა,
კბენა დაუწყო სინიდისმა, ვერ მოითმინა,
თვის დიდებულსა მებატონეს წინ გადაუდგა
და მახვილითა შეუტივა. მყისვე მთავარი
გააფთრებული მივარდა მას, იქვე გააფრთხო,
მაგრამ თვითონაც სასიკვდილოდ დაკოდილ იქმნა.

ალბანი

აჰა, ზენარის განკითხვისა ცხადი მოელენა!
აჰა, ვით სწრაფად დაისაჯა ამქვეყნად ცოდვა!....
უღმრთოობაა!... მებრალები, საწყალო გლოსტერ!....
ორივე თვალი გამოსთხარეს?

შიკრიკი

ორივ, ბატონო.
ესე წერილი, ქალბატონო, თქვენის დისაა,
მათ მოგართვეს თქვენ და სწრაფადვე პასუხს ელიან.

გონერილა (თავისთავად)

თუმც ეს ამბავი ერთის მხრითა საამურია,
მეორეს მხრით კი ცოტაოდნად საწყენიც არის....
ეხლა ჩემი და ქვრივად დარჩა.... ედმუნდიც გვერდთ ჰყავს...
ვშიშოთ, რომ ჩემი ოცნებანი არ ჩამეშალონ
და ეს სიცოცხლე უფრო მეტად არ გამიმწარდეს.
მაგრამ მაგ რიგად საშიშიც აქ არა არის რა.
აქ მომიცადე, წავიკითხავ და პასუხს მოგცემ.

(გადის)

ალბანი

თვალებს რომ სთხრიდენ, მისი შვილი მაშინ სად იყო?

შიკრიკი

მან ის ვერ ნახა, თქვენს მეუღლეს თანა ხლებოდა.

ალბანი

აქ არ მინახავს. თუ თან ახლდა, მერე რა იქნა?

შიკრიკი

უ ნ დაბრუნდა, გზაზედ შემხვდა, რომ მოვდიოდი.

ალბანი

მერე იცის მან, რაც მამასა მისსა დამართეს?

შიკრიკი

იცის, ბატონო! თვითონ მანვე დააბეზღა ის
და მსწრაფლად აქეთ წამოვიდა რომ თვის იქ ყოფნით
ცოტა რამ რიდი არ აღეძრა იმათს გულშია.

ალბანი

თუ ცოცხალი ვარ, მე შენ, გლოსტერ, მადლს გადაგიხდი,
რომ ხელმწიფისთვის ერთგულება გაგიწევია
და შენთა თვალთა ამოთხრასა შევანანებ მათ.
აქ გამომყევ და დაწვრილებით ყველა მიამბე.

(გადიან)

სანახავი III

საფრანგეთის ლაშკარის ბანაკი დუვრის სიახლოვეს.
(შემოდიან კენტი და აზნაური)

კენტი

საფრანგეთის ხელმწიფე ისე უეცრად უკან რად დაბრუნებულა? მიზეზი ხომ არ იცი?

აზნაური

ამბობენ, რალაც მძიმე საქმე გახსენებია,
რომელიც თურმე მარტო მისგან უნდა განიგოს
და თუ თვით იქ არ წასულიყო, მის სამეფოში
უსიამოვნო რამ ამბავი მოუხდებოდა.

კენტი

თვის მაგივრად ვინ დააგდო ჯართ წინამძღოლად?

აზნაური

საფრანგეთისა სპასალარი, ლეფერ რომ ჰქვიან.

კენტი

წერილი ჩემი კორდელიამ როგორ მიიღო?
ხომ არ შეწუხდა, არ აღელდა? რა შეამცნიე?

აზნაური

მან ის წერილი გამომართვა და კითხვას მოჰყვა.
როს კითხულობდა, მის მშვენიერს, ნარნარს ღაწვებზედ
თვითო-ოროლად ხანდაზმობით ცრემლი ჰსცვიოდა.
ცხადი იყო, რომ იკავებდა გულისღელვასა
და ხელმწიფეებრ ვით ურჩს მოყმეს იმორჩილებდა,
მაგრამ კი გულის მისის ღელვა ეურჩებოდა
და ცდილობდა, რომ ხელმწიფება წაერთვა მისთვის.

კენტი

მაშ, იმ წერილმა შეაწუხა?

აზნაური

დიაღ, მაგრამ კი
განწირულების აღშფოთებას არ მისცემია.
თმენა სევდასა ჰსთავაზობდა და სევდა — თმენას.
ენა ვერ იტყვის, რა სიტურფით უკრთოდა სახე!...
იცით რა არის, რომ იტყვიან, მზე პირს იბანსო?
მას ჰგვანდა იგი; მის ცრემლთ შორის ღიმილი თრთოდა...
თრთოდა ღიმილი ბედნიერი მის ტუჩთ დაკონვით,
თითქო არ გრძნობდა, რა სტუმარნიც მის თვალთ სწვეოდენ
და მუნით ვითა მარგალიტნი ვიდოდენ ობლად.
რა გითხრა!... სევდა სანატრელად კაცთ ექმნებოდათ,
რომ ყველასათვის იყოს იგი ეგრედ მოსახდენ.

კენტი

არა ბრძანა რა!

აზნაური

როგორ არა. ერთხელ თუ ორჯერ
გულის კანკალით, გულის ფეთქით ჰსთქვა: „ვაი, მამავ“, —
თითქო ეს სიტყვა გულზედ აწვა და აეხსნაო.
მერმე უცრად აღმოკვნესით წარმოიძახა:
„ახ, დანო!... ჩემნო!... ვაშ, სირცხვილო დედაკაცისავ!....
ახ, დაწო!... დანო!... კენტო!.... მამავ!... ჩემო მშობელო!.....
ახ!... დაწო!... როგორ!... იმ ბნელს ღამეს!... იმ ქარიშხალში!...
მაშ აღარ არის სიბრალული!.... „ — და რა ჰსთქვა ესა
მსწრაფლ მადლით სავსე ცრემლი მოსწყდა მის ცაურთ თვალთა
და გულის კვნესა მიუყრუა. მერე გაბრუნდა,
მომერიდა მე, რომ მარტოსა ენაღვლა ცალკედ.

კენტი

სწორედ ვარსკვლავნი განაგებენ კაცისა სვეტსა,
თვარემ ერთისა და იგივე დედ-მამისაგან
ეგრე სხვადასხვა ნაყოფი ვით გამოიღება.
მას შემდეგ მასთან ლაპარაკი აღარ გქონია?

აზნაური

აღარ მქონია.

კენტი

ფრანგთ ხელმწიფე მაშინ იქ იყო?

აზნაური

არა, წინადვე წასულიყო.

კენტი

მადლობელი ვარ.
საწყალი ჩვენი მეფე ლირი ეხლა დუვრშია,
ჭკვაზედ რომ მოდის, აგონდება რაც დაგვემართა
და კორდელიას ნახვაზედა დიდს უარზედ დგას.

აზნაური

ვითომ რათაო?

კენტი

სირცხვილითა ვერ ჰსჩვენებია.
აგონდება რომ ავგულად მას იგი მოექცა,
წყეველით განდევნა, გადაჰკარგა უცხო ქვეყნადა,
ყველა წაართვა და იმ გულძაღლთ ქალებს უბოძა,
ესე ყოველი ტვინში იმას გესლსა აწვეთებს
და უმწვავესის სირცხვილითა უდაგავს გულსა, —
ჰრცხვენის და თვის შვილს იგი ველარ დანახვებია.

აზნაური

ვაი, საწყალი!

კენტი

რას შვრებიან კორნვალ და ალბან?
იმათი ჯარის ამბავი ხომ არა იცი რა?

აზნაური

მე გავიგონე, რომ ისინი აქეთ მოდიან.

შენ ამას იქით ხელმწიფეს ლირს თან უნდა ახლდე,
მე კი ჯერ ხანად თავსა ჩემსა ვერ გამოვიჩენ....
როს გავიმხელ თავს, არ ინანებ ჩემს გაცნობასა,
წამო, წავიდეთ, წაგიყვანო ჩვენს ხელმწიფესთან.

(გადიან.)

სანახავი IV

იგივე ბანაკი, სანახავი კარავშია

(შემოდიან კორდელია, ექიმი და ჯარისკაცნი)

კორდელია

იგი ყოფილა, სწორედ იგი! იგი უნახავთ,
გაგიჟებული დარბის თურმე ვით ღელვა ზღვისა,
დარბის და მღერის მაღალის ხმით, ყვირის, იძახის. —
მოუკრეფია ბალახები, მინდვრის ყვავილნი,
ჭინჭარი, მდოგვი, შხამ-ბალახა, ჟოლო, ჭიოტა,
ყაყაჩო და სხვა ღვარძლ-ბალახნი, ყანის მჩაგრავნი
და ყოველი ეს გვირგვინსავით ჩაუწნავს თმაში.
ეხლავ გაგზავნეთ მთელი დასტა ჯარისა კაცთა,
მინდვრები ყველგან დაიარონ, ყველგან მონახონ
და ნახვის უმალ მოიყვანონ იგი ჩემთანა.
ნეტა ძალუძს კი კაცთა ცოდნას, მეცნიერებას,
რომ შერყეული მის გონება კვლავ აღადგინოს!?
ოღონდ გაჰკურნოს იგი ვინმემ, ოღონდ ეგ შეჰსძლოს
და თუნდ ყოველფერს მას დავუთმობ, რის პატრონიც ვარ.

ექიმი

არის, ხელმწიფევ, განკურნების ღონისძიება:
ძილია მთელის ბუნებისა ძიძა, მკურნალი, —
და გაჰფთხობია იგი იმას, მაგრამ ხელთა გვაქვს
მრავალი ღონე, რომ თვით ტანჯვას ძილი მოვგვაროთ.

კორდელია

ნეტა რაც ძალი და მადლი აქვს ცას და ქვეყანას,
ჯერედ კაცთაგან არ ცნობილი, არ გამოცდილი,
ერთად შეიკრბენ, — მე ჩემთა ცრემლთ ზედ ვაწვიმებდი,
ვიდრე ყვავილსა სამკურნალოს გამოიღებდნენ,
რომ საყვარელი მამაჩემი მით გამეკურნა.
წადით, მონახეთ, რომ თავის თავს უხელთ-მძღვანელსა,
არ აუტეხოს რამ უსაზღვრო უგუნურებით.

(შემოდის შიკრიკი)

შიკრიკი

ჯარი დაძრულა ბრიტანიის და აქეთ მოდის,
ჩემო ხელმწიფევ!

კორდელია

ეგ წინათვე შეტყობილი მაქვს.
ჩვენც მზადა ვართ და ველით იმათ. — ოხ, მამაჩემო,
ჰოი, მშობელო საყვარელო! შენთვის ვიბრძვი მე.
ხელმწიფემ ჩემმან ნება დამრთო შენდა საშველად...
მე ცრემლით, ხვეწნით მოვაბეზრე მას თავი ჩემი.
არა სახელის გათქმის ნდომა ბრძოლად გვიწვევს ჩვენ,
არამედ წმინდა სიყვარული და სამართალი
მოხუცებულის მამის ჩემის შვილთა წინაშე.
ნეტა როს ვნახავ და იმის ხმას როს გავიგონებ?!..

(გადიან).

სანახავი V

ოთახი გლოსტერის ციხე-დარბაზში

(შემოდიან რეგანა და ოსვალდი)

რეგანა

რას შვრება ჩემის სიძის ჯარი? დაიძრა თუ არ?

ოსვალდი

დიახ, დაიძრა.

რეგანა

ჩემი სიძეც თვითონ ჯარშია?

ოსვალდი

დიახ, ბატონო! — ძლივს ძლიობით გაბედა ეგ მან.
ვაჟკაცობაში იმათ თქვენი და ჰსჯობნებია.

რეგანა

ედმუნდს და ალბანს ლაპარაკი სახლში რამ ჰქონდათ?

ოსვალდი

არა ჰქონიათ.

რეგანა

რად ჰსწერს წიგნსა ჩემი და ედმუნდს?
ნეტა რას ნიშნავს ეგე წიგნი!...

ოსვალდი

რა მოგახსენოთ.

რეგანა

აქედამ ედმუნდ გაეშურა მძიმე საქმისთვის....
ჩვენ დიდად შევცდით, რომ გლოსტერი თვალებდათხრილი
არ მოვაკვდინეთ და ცოცხალი წავიდა ჩვენგან.
აწ საცა მივა, ყველას გულსა ჩვენზედ აუმღვრევს.
ვეჭვ, ედმუნდ მისთვის წავიდა, რომ ბოლო მოუღოს
და განაშოროს უსინათლოს სიცოცხლეს იგი.
მგონი, ამასთან საფრანგეთის ჯარსაც დაზვერავს.

ოსვალდი

მე ეხლავ უნდა გამოვუდგე გრაფსა ედმუნდს,
და ეს წერილი ჩავაბარო.

რეგანა

რას ეშურები?
დღეს აქ იყავი. ჩვენი ჯარიც ხვალ დილით გადის
და იმას გაჰყვე, თვარემ გზებზედ დიდი შიშია.

ოსვალდი

არ შემიძლიან, ქალბატონო, აქ დაყოვნება.
რაც მიბრძანეს, მე მოვალე ვარ მსწრაფლ აღვასრულო.

რეგანა

ნეტა წერილი რად უნდოდა? თუ საქმე ჰქონდა,
დაგაბარებდა და შენც ედმუნდს პირად ეტყოდი.
მაგრამ ვინ იცის? იქნება აქ სხვა ამბავია....
მე შენ ბედს შეგყრი, თუ მაგ წერილს ხელში ჩამიგდებ.

ოსვალდი

უწინამც მე თავს....

რეგანა

კარგი ერთი!.... განა არ ვიცი,
რომ შენს ქალბატონს თავის ქმარი ვერაფრად უყვარს.
მე ყველა ვიცი. რას ეშმაკობ? ვითომ რას მალავ?
ამ ბოლოს დროსა რომ ჩემი და აქ ჩვენთან იყო,
თვალნი იმ რიგად უცნაურად მიაპყრა ედმუნდს,
რომ არა თქმული ითქვა იმით. მაგრამ რას ვამბობ.
ავანჩავანი მათი შენ ხარ, შენ უკედ იცი.

ოსვალდი

მე, — ქალბატონო?!

რეგანა

რაკი ვამბობ, ალბად მცოდნია.
ტყუილიღაა აქ დამალვა. მაშ გამიგონე:
ქმარი აღარ მყავს, ქვრივი ვარ და თავისუფალი,
მე და ედმუნდი გავენდევით ერთმანერთს კიდეც...
ჩემგან ქრმის შერთვა უფრო ჭკვაში მოსასვლელია...
გესმის თუ არა? რაც ვერა ვჰსთქვი, შენ თვითონ მიხვდი.
ედმუნდ რომ ნახო, მიეცი მას ეს წერილიცა,
და თუ ჩემს დასთან შენ გამამხელ, ესეც ურჩევე,
რომ ნუ სულელობს, თუ რამ უნდა ჯერ მოიფიქროს.
ეხლა წაბძანდი. თუ შეხვდე შენ იმ ბრმა მუხანათს,
გაიხსენე, რომ იმის მკვლელსა ჯილდო მოელის.

ოსვალდი

ნეტა კი შევხვდე, ქალბატონო, და მაშინ ჰსცნობდით,
ვისი ერთგული მსახურიც ვარ.

რეგანა

კარგი, მშვიდობით.
(გადიან)

სანახავი VI

მინდორი დუვრის სიახლოვეს

(შემოდიან გლოსტერი და ედგარი. ედგარი გლეხის ტანისამოსშია).

გლოსტერი

ნეტა კლდის წვერზედ როდის ავალთ?

ედგარი

აკი ავდივართ.
ხედავ, აღმართზედ სიარულით რა ჯაფა მოგვდის!...

გლოსტერი

მე კი მგონია, რომ ისევ ის ვაკე გზა არის.

ედგარი

უზარმაზარი აღმართია, ზღვის ხმა არ გესმის?

გლოსტერი

საკვირველია, როდი მესმის!

ედგარი

ჰსჩანს გულისყური
თვალთა ტკივილის სიმწვავითა დაგყრუებია.

გლოსტერი

შესაძლო არის. აი, ხმასაც შენსას ველარ ვცნობ,
თვითქო ხმაცა და ლაპარაკიც გამოგცვლიაო.

ედგარი

ძლიერ სტყუვდები. მე რაც ვიყავ, ისევ ისა ვარ,
ოღონდ ეს კია ტანსაცმელი გამოვიცვალე.

გლოსტერი

მე მაინც ვიტყვი, — ლაპარაკი ეხლა სულ სხვა გაქვს.

ედგარი

აჰა, ავედით.... კლდის წვერზე ვართ.... ფრთხილად იყავი....
რა სიმაღლეა!... თავბრუ მესხმის, ძირს რომ ვუყურებ!....

კლდის ნახევარის სიმაღლეზედ ყვავნი ფრინავენ
და მაინც კიდევ ბუზანკალის ოდნად მოჩანან.
მათ სისწრივ კაცი დაკიდულა კლდისა ფლატეზედ
და ზღვის კამას ჰკრეფს. — დიდი თავის გამეტებაა!...
რა პატარად ჩანს!... კაცის თავის ოდენიღაა!....
აგერ ზღვის პირას მებადურებს აქედამ ვხედავ, —
თითქო თაგვები დადიან და დაფუსფუსებენ!
აგერ ზღვაში დგას დიდი გემი, ღუზით დაბმული, —
დიდია, მაგრამ აქედამ ჩანს პატარა ნავად, —
და თვითონ ნავი თითქო რაღაც ნაფოტიაო,
ასე რომ კაცის თვალსა ვერც კი გაურჩევია.
ისე მაღლა ვართ, რომ კლდეზედა ზღვისა შხაპუნი
ჩვენ არც კი გვესმის. — საშინელი სანახავია!.....
თვალს მოვაშორებ, თვარემ ლამის თვალი ამებას,
თავბრუ დამესხას და აქედამ გადავიჩეხო.

გლოსტერი

მაშ, შენს ადგილას დამაყენე.

ედგარი

მომეცი ხელი,
აი, აქ დადეგ. კლდის პირამდე ერთი ბიჯია...
ცის ქვეშეთიც რომ მომცენ, მაგ ბიჯს მე წინ არ წავდგამ,

გლოსტერი

ეხლა კი ხელი გამიშვი მე. აი, ძმობილო,
ერთი სხვა ქისაც. შიგ ისეთსა განძსა იპოვი,
რომ შენისთანა ღარიბისთვის დიდი ლუკმაა..:
წადი და ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროს ეგ.
წადი, მშვიდობით, — და მეც ძმაო, გზა დამილოცე...
ფეხისა შენის ხმაურობით მე დამაჯერე,
რომ შენ აქედამ სწორედ წახველ.

ედგარი

ღმერთმა, ბატონო,
მშვიდობა მოგცეთ. (ფეხს აბაკუნებს ვითომც მიდის).

გლოსტერი

ღმერთმა მოგცეს შენც, ჩემო ძმაო!

ედგარი (თავისთავად)

სხვას რას ვიქმოდი? ამ წვალებულს და უსასოოს
როგორც მოვექეცი, მარტო იმით თუ გადავარჩენ.

გლოსტერი

ეჰა, ღვთაებავ!.. ამ უწყალოს ქვეყანას მე ვთმობ
და შენს წინაშე უდრტვინველად და მოთმინებით
ჩემის სიკვდილით მე თვითონ ვკვეთ ჩემს დიადს ტანჯვას.
ამ ტანჯვის ზიდვა, რომ ჩემთვისა შესაძლო იყოს,
თქვენს უცვალებელს ნებას მე არ გადუდგებოდი
და მოვითმენდი იმა დრომდე, ვიდრემდე ნამწვი
ჩემის ტანჯულის სიცოცხლისა თვით ჩაჰქრებოდა.
ამას კი გთხოვ შენ, — თუ ედგარი ცოცხალი არის,
მეოხ ეყავი და აკურთხე!.... მშვიდობით, ძმაო!...
(გადასავარდნელად ისკუპებს და იქავ კი დაეცემა).

ედგარი

დახე, არ ხუმრობ!... გადიჩეხე?! მაშ მშვიდობითა! —
მიკვირს სიცოცხლის დღეებს კაცი რაღად იპარავს,
როს თვით სიცოცხლე უმისოთაც დღეთ მპარავია....
საცა უნდოდა, რომ მართლა იქ დაცემულიყო,
ეხლა ხომ ნდომა აღარაფრის არ ექმნებოდა.
რაო, ძმობილო? შეგრჩა სული კიდევ თუ არა?
ერთი ხმა გამე, კარგო კაცო!.... რა დაგემართა?
(თავისთავად) იქნება კიდეც მართლა მოკვდა!.. არა... მობრუნდა..
(გლოსტერს). რა დაგემართა, აღარ იტყვი?

ГЛОСТЕРИ

თავი მანებე,
დამეხსენ, ძმაო, სიკვდილს მინდა მივცე მე თავი....

ედგარი

რისაგანა ხარ შენ შექმნილი?! როგორ გაუძელ?
შენ ან ქარი ხარ, ან ბუმბული, ან აბლაბუდა.
იმ სიმაღლიდან გადმოეშვი... კიდევ ცოცხალ ხარ!...
შენ უნდა ისე გამსკდარიყავ, როგორც რომ კვერცხი
და კიდევ ფეთქავ? მიკვირს, ეგრე როგორ გადარჩი!
კანიც ზედ შეგრჩა, არც სისხლი გდის და ხმასაც იღებ
და როგორც გატყობ არაფერი დაგშავებია! —
ასეთი დიდი სიმაღლიდამ წამოხვედი შენ,
რომ ათი ანძა გადააბა ვერ ასწვდებოდა.
საკვირველია!.... როგორ მოხდა, ერთი მიამბე.

ГЛОСТЕРИ

განა მართლა კი ჩამოვვარდი?

ედგარი

რაო, მართლაო?!
კაცო, არ გესმის თავდაყირა წამოხველ მეთქი, —
აგერ შეხედე, — იმ ფრიალო კლდის წვერიდამა.
ერთი შეხე და!... თვით ტოროლის ზარიანი ხმაც
იმ სიმაღლიდამ აქ ჩვენამდინ ვერ ჩამოაწევს.
შეხედე-მეთქი.

ГЛОСТЕРИ

რით შევხედო? თვალნი აღარ მაქვს...
ნუთუ ტანჯული სიკვდილსაცა ვერ ღირსებია?!
მსხვერპლის ნუგეში მარტო ერთი სიკვდილიღაა:
მსხვერპლი თვის მტარვალს მით უფრო ნებისყოფასა

და იმ წადილს, რომ ხანგრძლივ ჰსტანჯოს, ფუჭად უტარებს...
ღღეს ეს ნუგეშიც მომკლებია...

ედგარი

აბა, წამოდეგ,
ხელი მომეცი... ჰა... ადეგი... წამოიწიე...
ჰა.... როგორა ხარ? ფეხთ მაგრა ხარ? არა გტკივა რა?

გლოსტერი

არა მიჭირს რა, კარგადა ვარ.

ედგარი

პა, პა, პა, პა, პა!....
როგორ გადარჩი!... გვერდთ ვინ გედგა აიმ კლდის წვერზედ?
რაღაც სხვანაირ სულიერად მეჩვენებოდა.

გლოსტერი

ვიღაც ღატაკი უბედური მთხოვარა იყო.

ედგარი

აქედამ კაცს რომ დაენახა, — უჰ, რასა ჰგვანდა!
თვალი ეჭყიტა როგორც ორი გავსილი მთვარე,
ათასი მეტი ცხვირი ჰქონდა და თავზედ რქები
ზღვის ტალღასავით ერეოდნენ, ეკლაკნებოდნენ.
ეშმაკი იყო, დამიჯერე, სწორედ ეშმაკი!
ღმერთს დაუმადლე, რომ მაგ საფრთხეს გადაგარჩინა...
თუ ღმერთი არა, სხვა ვერავინ გადაგარჩენდა.
რაც კაცსა უმძიმს, ის ღვთისათვის ადვილი არის.

გლოსტერი

ეხლა კი მიეხვდი და ვსცან, რამაც მე ამიყოლა...
რაკი ეგრეა, ამას იქით ჩემს ტანჯვას ვზიდავ

იმ დრომდე, ვიდრე თვით არ იტყვის: „ეხლა გეყოფა, კმარა, მოკვდი და საუკუნოდ განისვენეო“.
თურმე ეშმაკი არ ყოფილა?!... კაცი მეგონა.
მისთვისაც ხშირად ახსენებდა ეშმაკის სახელს...
მან ამიყოლა, დამაყენა იმ კლდისა წვერზედ.

ეშმაკი

ბედს დაუწყნარდი, ბედს დაჰყევი. — ეს ვიღა არის?

(შემოდის ლირი ყვავილებით, უცნაურად მორთული)

კაცის საღი ჭკვა თავის პატრონს ეგრე არ მორთავს.

ლირი

ხელმწიფე მე ვარ!... ფულის მოჭრა მარტო მე ძალმიძს!.. აი, ჩემს უფლებას ისინი ვერ შეეხებიან.

ეშმაკი (თავისთავად)

ვაი, რა რიგად გულს მიწყლავს მე ეს სანახავი!

ლირი

ამ სახით ბუნება ხელოვნებაზედ მაღლა მდგარა. — ჯარი რომ მომიგროვე, გასამსჯელო წაიღე და აჰა, ფული. — ის სულელი ისე ეპყრობა თავის შვილდ-ისარს, როგორც ჩიტების საფრთხულს. ფეიქრის ადლი მაინც მომეცით. აგერ ხედავთ — თაგვია! ნელა! ნელა! დამაცათ. მე მაგას მოხარშულის ყველის ნაჭრით მოვიტყუებ და დავიჭერ. აგერ ჩემი რკინის ხელ-ჯაგვი. თუნდა ბუმბერაზის ხელს დაატოლეთ. მომეცით მე აქ საომარი ნაჯახი.... ხედავთ, — ჩიტი რა მარდად გაფრინდა? ნიშანში მიდის, ნიშანში! ჰოუ!.... ნიშნად რას მეტყვი?

ეშმაკი

თავშავასა.

ლირი

მაშ, გაიარე.

გლოსტერი

ეგ როგორღაც მეცნობა.

ლირი

დახე, გონერილას თეთრი წვერი გამოსვლია. — როგორც გოშია ძაღლს ისინი ისე მიალერსებდნენ, თავზედ ხელს მისვამდნენ. ისინი მარწმუნებდნენ, — შენ ჭაღარა წვერი გაქვსო. მაშინ მე შავი წვერიც არა მქონია. ყოველ სიტყვაზედ ჰოსაც მეუბნებოდნენ და არასაც. „ჰო“ და „არა“ ვერაფერი სიტყვა ყოფილა. როცა წვიმამ თავით-ფეხამდე გამწუწა, როცა ცივმა ქარმა კბილი კბილს მაცემინა, როცა ქუხილი ჩემს ბძანებას არ დაემორჩილა, მაშინ გავიგე იმათი გემო, მაშინ მივხვდი, რანიც არიან. დამეკარგნონ!... ვერაფერი სიტყვის პატრონნი ყოფილან! ისინი მეუბნებოდნენ, ყოვლად ძლიერი ხარო. სტყუიან!.... ციება ჩემზედ ძლიერი ყოფილა!

გლოსტერი

სწორედ ნაცნობი ხმა მესმის მე.... ნუთუ მეფეა?!...

ლირი

მეფე ვარ, მეფე! სწორედ მეფე თავით-ფეხამდე!
როცა წარბშეკრულს მხედავს ერი, — ნახე, როგორ ართმის!..
მე შეუნდე და სიკვდილითა აღარ ვსჯი ამ კაცს!
რა დააშავა? იმრუშაო? არა არ მოგკლავ...
მრუშობისათვის კაცი როგორ მოიკვდინების!....
აგერა ჩიტიც, აგერ მწერიც ოქროს ფრთოსანი
აქავ ჩემ თვალ-წინ ცოდვილობენ, მეძავ-მრუშობენ....
დეე, იხაროს ქვეყანაზედ მეძავ-მრუშობამ!
აი, გლოსტერის შვილი ედმუნდ ხომ ბუში არის,

უკანონოა, მაგრამ მამა მას უფრო უყვარს,
ვიდრე ჩემთა ქალთ, კანონიერს ლოგინზედ შექმნილთ.
მაშ მეძაობამ ფრთა გაშალოს.... მე ჯარი მინდა...,
ვერა ხედავ ამ პრანჭია ქალს? თითქო თოვლია
ისეთი ცივი ღიმილი თრთის იმის ტუჩებზედ.
იგი წმინდანობს, ტრფიალისა სიტყვისა ჰრცხვენის
და ვნების ამშლელს სიტყვაზედა ცხვირს ზევით იწევს,
მაგრამ, აბა, შენ ნება მიეც.... ნახავ, რას იზამს!....
მაშინ თვით ძაღლის და ულაყის ცხენის ხურვებას
მის თავგასული მსუნაგობა, გადააჭარბებს,
ცხენ-ქალა არის. წელზემოდამ ქალია ეგა
და წელ ქვემოდ კი ცხენი არის.... ერთი შეხედე, —
რაც წელზევით აქვს, — ყოველივე ღვთაებრივია
და რაც წელ-ქვევით, — სულ ყოველი ეშმაკეული...
წელქვევით საბნელეთია, ჯოჯოხეთია!... გოგირდის ორმოა!..
დულს! ყარს!.... ფუჰ, ფუჰ, ფუჰ!... მომეცი, ექიმო, ერთი დრამი
მუშკამბარი, — ჩემს გონებას ეს მყრალი სუნი მოვაშორო. აჰა,
ფულიც.

ᲒᲚᲝᲡᲢᲔᲠᲘ

ხელი მიბოძე, ხელმწიფეო, მინდა, გემთხვიო.

ᲚᲘᲠᲘ

ჯერედ გავიწმენდ, თვარემ მძოვრის სუნით მიყარს ის!....

ᲒᲚᲝᲡᲢᲔᲠᲘ

აჰა, ბუნების აღნაგისა ნგრეული ნაშთი!....
ესე დიადი ქვეყანაცა ეგრედ გაცვდება
და არარადა შეიქმნება. (ლირს) ხელმწიფევ, მცნობთ მე?

ᲚᲘᲠᲘ

მე შენი თვალები ძალიან კარგად მახსოვან. რატომ ეგრე
ალმაცერად მიყურებ? რაც უნდა ეცადო, ბრმაო კუპიდონო, მე

შენ არ შეგიყვარებ. აბა, ეს გამოწვევის ბარათი წაიკითხე, თვალი დააკვირვე და შემიტყე ვისი ხელია....

გლოსტერი

ყოველი ასო მაგ ბარათის მზედ რომ გადიქცეს,
მაინც მაგათში მე ვერცერთსა ვერ გავარჩევდი.

ედგარი

სხვას რომ ეთქვა ეს, რასაც ვხედავ, — მე არ ვირწმენდი,
მაგრამ თვით ვხედავ.... ეგ მაჯერებს და მიკლავს გულსა.

ლირი

წაიკითხე და!....

გლოსტერი

რით, ბატონო? თვალთა ბუდითა?!...

ლირი

ეჰე, შენც ეგრე ყოფილხარ!... თვალში სინათლე მოგკლებია და ქისაში ფული. თუმცა თვალებს მძიმე საქმე მოსვლიათ, მაგრამ ქისა კი სუბუქად დაგრჩენია. მაინცდამაინც შენ ხედავ ამ ქვეყნის უკუღმართობას?

გლოსტერი

გრძნობიერებით ვხედავ.

ლირი

ჭკვიდამ შეშლილხარ თუ? ქვეყნის უკუღმართობა უთვალოდაც დაინახება. თუ თვალი არა გაქვს, ყურით უყურე. აბა უყურე, მსაჯული საცოდავს ქურდს რარიგადა სტუქსავს. ჩვენში კი დარჩეს და აბა ერთი მეორის ადგილას დასვი, მაშინ თუ კაცი ხარ, გამოიცნობ — რომელია ამათში მსაჯული და რომე-

ლი — ქურდი. გინახავს გლეხკაცის ძაღლი როგორ მივარდება ხოლმე მთხოვარასა?

გლოსტერი

მინახავს, ბატონო.

ლირი

ისიც გენახება, ძაღლს როგორ გაექცევა ხოლმე ის საცოდავი. მაშ, შენ გინახავს დიადი მაგალითი უფლებისა. ძაღლი თავის ადგილას უფლებაა და უფლებას კაცი უნდა ემორჩილებოდეს....

ჯალათო, ხელი სისხლშესვრილი შეიკავე შენ!...
ამ მატანტალა როსკიპს დიაცს ტყავს რისთვის აძრობ?...
ტყავგასაძრობი თვითონ შენ ხარ.... შენ თვითონ მზად ხარ
შენის ძაღლურის საწადელის აღსასრულებლად
მას აქმნევინო ის, რისთვისაც შენ ეხლა მას სხეპ...
აგერ მოვახშე აბრჩობს ფლიდსა და მატყუარსა.....
მცირე რამ ცოდვა კაცს ძონძებ ქვეშ თვალში ეცემა
და ფარჩის ქვეშ კი ყოველივე დაფარულია.
ოღონდ ოქროთი დაჰფერე შენ დანაშაული
და თვით ლახვარი სამართლისა ზედ შეემსხვრევა!....
ძონძში ხვეულს კი პიგმეოსის ჩალაც განჰგმირავს!
არავინ არის დამნაშავე ქვეყანაზედა!....
არავინ არის ბრალეული! არა, არავინ!....
მათი მოსარჩლე მე ვარ-მეთქი! ეს დაიხსომე!...
ყოველს ბრალმდებელს ჩემის ხელით პირში ბურთს ჩავჩრი!...
მინის თვალები იყიდევი და ჩაისხი შენ
და ვით გამოცდილს პოლიტიკოსს შეეფერება,
მაინც ჰთქვი, — „ვხედავ", — თუნდ ვერაფერს ვერა ხედავდე.
ეხლა კი.... ეხლა.... ფეზსაცმელი.... გამხადევით მე....
გასწიეთ რაღა.... მაგრა გასწით.... ჰო, ეგრე, ეგრე....

ედგარი (თავისთავად)

აჰა, სიბრძნე და უქმი სიტყვა ერთად რეული!

აჰა, გონება სიშმაგეში, ვითა მზე ჩრდილში!...

ლირი

თუ გსურს იგლოვო და იტირო შენ ბედი ჩემი,
აჰა, გათხოვებ თვალთა ჩემთა, — იმით იტირე!
კარგად გიცნობ შენ.... შენ სახელად გლოსტერი გქვიან....
უნდა ითმინო.... ტირილითა ვიბადებით ჩვენ!
შენ თვითონ იცი, — პირველს ჟამს როს ჰაერსა ვყლაპავთ,
ვბღავით და ვტირით.... ყური მიგდე, — მოძღვრებას გეტყვი....

გლოსტერი

ვაი, ამ შავის დღისა დამსწრეს!...

ლირი

როს ვიბადებით,
ვსტირით, რომ სულელთ თამაშაა კაცთა ცხოვრება
და გინდა თუ არ, უნდა ჩავსდგეთ და ვიტრიალოთ.
ეს ქუდი მოგწონს? უჰ, რა კარგი ხერხი იქნება,
რომ ერთი ჯოგი ცხენი ნაბდით დავაჭედინო!...
ამას გამოვცდი.... ჩემს სიძეებს მივეპარები,
მაშინ მშვიდობით!... ჟლიტე, ჟლიტე, ჟლიტე და ჟლიტე!

(შემოდიან აზნაური და სხვა მსახურნი).

აზნაური

აქ ბძანებულა, ნუ გაუშვებთ, ხელი მოსჭიდეთ!
ხელმწიფეც, თქვენის სასურველის ქალის ბძანებათ....

ლირი

არავინ მშველის? მაშ გათავდა!.... ტყვედ დავრჩი ამათ!..
ბედისგან მუდამ მე მასხარად აგდებულ ვიყავ....
მე კარგად უნდა მომიაროთ, — სახსნელს მიილებთ....
ექიმიც მიჭირს, თავში დამჭრეს... ტვინში წყლული მაქვს...

აზნაური

ხელმწიფევ, რაც კი საჭიროა, თქვენთვის მზად ვახლავთ.

ლირი

მარტოდ დამაგდეს..., ეს რა მიყვეს!.... არავინ მშველის!...
ამგვარი ყოფა ადამიანს იმდენს ცრემლს ადენს,
რომ კაცის თვალსა ვეძად გახდის და კაცს მარილად –
იმდენს ცრემლს ადენს, რომ მტვრიანს გზას სარწყავად ეყოს.

აზნაური

ჩემო ხელმწიფევ....:

ლირი

მე მოვკვდები როგორც ვაჟკაცი,
როგორც სასიძო თავმომწონე, მე ლხენა მმართებს....
მე ხელმწიფე ვარ.... ეგ თქვენ უნდა კარგად იცოდეთ!

აზნაური

დიახ, ხელმწიფე ბძანდებით თქვენ, ჩვენ – ყმანი თქვენნი.

ლირი

აბა, სიცოცხლეც მაგაშია და!... თუ დაჭერა გინდათ, ჯერ უნდა გამოუდგეთ. დაიჭი, დაიჭი, დაიჭი!...

(გაიქცევა და მსახურნი გამოუდგებიან).

აზნაური

ამ საცოდავის ყოფაშია არამც თუ მეფე
უკანასკნელი მონაც იყოს, საბრალისია!
მაგრამ ნუგეშად ერთი ქალი შენ დაგშთენია:
რაც ორმა შენმა ქალმა სცოდა მამაშვილობას,
ამ ერთის შენის ქალის მადლი დაჰსძლევს, დაიხსნის.

ედგარი

გამარჯვება თქვენ.

აზნაური

გაგიმარჯოს. საქმე გაქვს რამე?

ედგარი

ერთი მიბძანე, — ეს ომის ხმა მართალი არი?

აზნაური

რომ მართალია, ყველამ იცის, ვისაც ყური აქვს.

ედგარი

თუ არ გწყინთ, ესეც მიბძანევით, — მტერი ახლოა?

აზნაური

აქ ახლო-მახლო თურმეაო და საცა არის
მის მეწინავე ჯარი ჩვენს ჯარს წინ შეეყრება.

ედგარი

გმადლობ, ბატონო! ეგ მინდოდა მარტო შემეტყო.

აზნაური

თუმც დედოფალი აქ დაბრკოლდა საქმისა გამო,
მაგრამ ჯარი კი გაისტუმრა.

ედგარი

კიდევაც გმადლობთ.

(აზნაური გადის).

გლოსტერი

აწ სული ჩემი თქვენ ხელთ იყოს, ღმერთნო მაღალნო,
მხოლოდ მაცდურის მაცდურება ამაცილეთ მე,
რათა არ მოვკვდე, ვიდრე თქვენი ნება არ იყოს.

ედგარი

ეგ ლოცვა შენი, ბერო კაცო, კარგი ლოცვაა.

გლოსტერი

ნეტა ვიცოდე, ვინა ხარ შენ, ჩემო ძმობილო!

ედგარი

მე ვარ ღარიბი, ბედისაგან დამდაბლებული....
მე განმიცდია, ბევრი ტანჯვა გამომივლია,
ასე რომ გულსა სიბრალულით მივსებს სხვის ტანჯვაც. —
მომეცი ხელი, მე შენ ბინას სადმე აგიჩენ.

გლოსტერი

მადლობელი ვარ, მადლობელი, ჩემო ძმობილო.
ღმერთი გადგიხდის მაგ სიკეთის სამაგიეროს.

(შემოდის ოსვალდი)

ოსვალდი

კაი ბედს შევხვდი!.... ჯილდო ეხლა ჩემი იქმნება!....
ეგ ბრუციანი თავი შენი ღმერთთ შეუქმნიათ,
რომ ზეაღწევის საფეხურად ჩემს ბედს გაუხდეს.
შე, ბებრუცანა, მუხანათო, აჰა მოვიდა
შენის სიცოცხლის აღსასრული!... ღმერთს შეევედრე!....

გლოსტერი

მოკვლა გსურს ჩემი? ჩქარა მომკალ და გამაოავე.

(ედგარი ოსვალდს წინ გადუდგება).

ოსვალდი

რას სჩადი, მხეცო? როგორ ჰბედავ, რომ ხელს აფყარებ
ამ მუხანათსა, საქვეყნოდა გამოცხადებულს?
გამეცა, თვარემ მაგის დღესა შენც დაგაყენებ!
გაუშვი ხელი! გეყურება ჩემი თუ არა!...

ედგარი

ნუ გამიწყრები კი, შენი ჭირიმე, და მე ამას თავს ვერ დავანებებ.

ოსვალდი

იქით დაიკარგე-მეთქი, შე უმზგავსოვ, თვარემ აქავე სულს გაგაფთხობინებ.

ედგარი

ერთი თუ ღმერთი გწამს მოგვშორდი და შენს გზაზედ წადი. რა გინდა ამ საწყალის კაცისაგან? გზაზე რას გაეხიდე? დეე, თავისთვის გაიაროს. ვითომ რომ მემუქრები, რას მემუქრები? ყველა მაგისთანა მუქარაზედ რომ მე გული გამეხეთქა, აქამდინ ხომ ათასჯერ დამიწებულიც ვიქნებოდი. თავი დაანებე-მეთქი ამ ბებერ კაცს, თორემ მე ვიცი!... აი, ამ კომბალს ხო ხედავ! თუ ერთი თავიხებურად დატრიალდა, მაშინ გამოჩნდება, ეს უფრო მაგარია, თუ შენი უხეირო გოგრა. მე ხო მხედავ, ბევრი მიდებ-მოდება არ ვიცი, რაც გულში მაქვს, იმას პირდაპირ გეუბნები.

ოსვალდი

დაიკარგე იქით-მეთქი, შე ნეხვის გუდავ!

ედგარი

ბიჭოს!.. შენ როგორღაც ზურგი აგქავებია. რახან ეგრეა, მობძანდი. რატომ ეგრე შემომიტივე? გგონია, შეგიშინდე თუ?

(ერთმანეთს ეტაკებიან. ედგარი მოერევა და წააქცევს).

ოსვალდი

აკი არ მომკლა ამ უმზგავსომ!.. რაკი ეგრეა,
აჰა, ეს ქისა, არამზადავ! კარგად ღამმარხე...
და თუ გინდა ბედს შეეყარო, ზედ წიგნები მაქვს,
წაიღე და გრაფს გლოსტერისას — ედმუნდს გადაეც....
იმას იპოვი ბრიტანიის ჯარის ბანაკში....
რა ცუდს დროს ვკვდები ეს ოხერი!.. (კვდება).

ედგარი

კარგად გიცნობ შენ!..
გულდადებული იყავ ყოველ საძაგლობაზედ!
იმოდნად ეყმე ქალბატონის შენისა ბიწსა,
რამოდენადაც თვითონ ბიწსა ეგე უნდოდა.

გლოსტერი

მოკვდა ეგ კაცი?

ედგარი

აქ დაჯეგი და შეისვენე.
მე კი ჯიბეებს დავუჩხრეკავ, წიგნებს ვუპოვი,
იქნება მართლა მე რაშიმე გამოვიყენო. —
დიაღ, მოკვდა ეგ და მე მარტო იმასა ვწუხვარ,
რომ ჩემის ხელით მოკვდა იგი და არა სხვისით.
ერთი გავსინჯოთ... ავხსნათ ლაქა, რა დროს რიდია!...
კაცი მტრის აზრის შესატყობრად მის გულსაც გასჭრის
და რომ ქაღალდი მისი გახსნას, ვინ უკიჟინებს!

(კითხულობს.)

„გახსოვდეს ჩვენი ერთმანეთის აღთქმა და ფიცი. შენ ადვილად იპოვი შემთხვევას, რომ იმ ერთს სულიერს ბოლო მოუღო. ოღონდ სურვილი შენი იყოს, თვარემ დრო და ადგილი ბევრია. თუ **[illegible]** ცოცხალი დაბრუნდა, ყოველივე ჩვენი დაწყობილება ამაოდ ჩაივლის. მაშინ მე ტყვე ვარ და იმისი საწოლი საპყრობილეა ჩემი. დამიხსენ იმა საპყრობილის საძაგელის ბუ-

ღისაგან და შენს გასამრჯელოდ იმისი ადგილი დაისაკუთრე.
შენი ცოლი (ნეტავი შემეძლოს ამისი თქმა) და შენი
ერთგული გონერილა.

აჰა, დედაკაცთ უსაზღვრელი თავგასულობა!...
პატიოსანის ქმრისა უნდა თურმე სიკვდილი
და მის მაგიერ შერთვა — ვისი? ჩემისა ძმისა!
შე კაცის მკლელთ და მეძავ-მრუშეთ ხელის შემწყობო,
აქვე დაგმარხავ, აქ ქვიშაში ჩავფლავ შენს ლეშსა, —
ან წერილით კი თავის დროზე მე გავაკვირვებ
მთავარს ალბანსა, რომელს ცოლი სიკვდილს უპირობს.
მას რომ ვუამბობ მაგ ყოველს შენს არამზადობას,
არა მგონია, გამიწყრეს მე შენის მოკვლისთვის.

გლოსტერი

მეფე ჭკუიდამ შეიშალა!.... რა რიგ გაჯიქდა,
რა რიგ გაკერპდა დაწყევლილი ჩემი გონება!
მით უფრო ვიწვი, რომ ვგრძნობ და ვცნობ ჩემს დიადს
ტანჯვას...
ნეტავი მეცა მისებრ ჭკვიდამ შევშლილვიყავი,
რომ ვაით-ყოფა ჩემი აზრად მე ვერ ამელო,
და ჩემს ვაებას არ ჰქონოდა თვით-ცნობა თვისი.

ედგარი

მომეცი ხელი. ნაღარისა რაღაც ხმა მესმის...
ჩქარა წავიდეთ, ბინა უნდა გიშოვო სადმე.

სანახავი VII

საფრანგეთის ბანაკი, სანახავი შიგ კარავშია
(ლირი საწოლზედ წევს, ექიმი, აზნაური და სხვა მხლებელნი
დგანან. შემოდიან კორდელია და კენტი).

კორდელია

კეთილო კენტო! როგორ ვიყო, არ ვიცი, რა ვქმნა,
რომ მაგ სიკეთის მაგიერი გარდაგიხადო?

ყველა ცოტაა შენის მადლის გადასახდელად,
თვითონ სიცოცხლეც არ მეყოფა, რომ ვალი გიზღო.

კენტი

რაკი სიკეთე, დედოფალო, დამინახეთ თქვენ,
მე სასყიდელი ერთი ორად მიღებული მაქვს.
რაც მაშინ მე ვსთქვი, პირუთვნელი სიმართლე იყო,
მაზედ არც მეტი და არც ნაკლებ ბეწვის ოდენაც.

კორდელია

ეგ ტანთ საცმელი შენი ავთა დღეთა მაგონებს,
გთხოვ, სხვა ჩაიცვი.

კენტი

დედოფალო, ნუ გამიწყრებით,
ბრძანების თქვენის აღსრულება ჯერ მე არ ძალმიძს,
ეხლა რომ მიცნან, რაც დავაწყე ფუჭად ჩამივლის.
თვითონ თქვენცა გთხოვთ, რომ ვით უცხო დრომდე მიგულოთ.
როცა დრო მოვა გამხილების, მე მოგახსენებთ.

კორდელია

ნება შენია, ეგრე იყოს, ჩვენო ერთგულო! —
(ექიმს) როგორ ბძანდება ეხლა მეფე?

ექიმი

ძილშია კიდევ.

კორდელია

ღმერთნო ყოველთა, მოწყალენო, განუკურნეთ მას
გაწბილებულის სულის მისის დაკოდილება,
აქოთებულნი გრძნობანი მას დაულაგევით
და აღმიდგინეთ ბავშვად ქმნილი ხნიერი მამა!

ექიმი

თუ ეხლა ნებას დამრთავთ, თქვენო დიდებულებავ,
გამოვალვიძებთ ხელმწიფესა. ძილი ეყოფა.

კორდელია

შენი ნებაა, — როგორც იცი, ისე მოიქეც.
ტანთ კი აცვია ხელმწიფესა?

აზნაური

დიაღ, ბატონო!
როცა ღრმა ძილში ბძანდებოდა, მაშინ შევმოსეთ.

ექიმი

როს გაიღვიძებს, დედოფალო, გვერდთ ბძანდებოდეთ.
მე გარწმუნებთ თქვენ, არ იშფოთებს, მშვიდად იქნება.

კორდელია

გვერდთ ვეყოლები, ბატონი ხარ.

ექიმი

ახლო მობძანდით.
(მემუსიკენი შემოდიან).
ცოტა ხმამაღლა დაუკარით.

კორდელია

ჩემო მშობელო!
ნეტავი ძალმა კურნებისამ ჩემს ბაგეს მოსცხოს
ისეთი რამ, რომ ამბორებამ ჩემმან განგკურნოს
და გაგიმთელოს ჩემთ დებთაგან დაკოდილება!...

კენტი

მაღლი შენს გამჩენს, დედოფალო, რომ ეგრეთი ხარ!...

კორდელია

სწორედ მამაც არ ყოფილიყავ, მამა, მშობელი,
ამ თეთრის თმისთვის მაინც უნდა პატივი ეცათ!
განა ეგ სახე მძაფრს ქარიშხალს უნდა ელახნა?
განა შენ უნდა განგეცადა ზათქი და გრგვინვა
გულგამწყრალის ცის გულიდამა გამოჭექილი?
მაშინ, როდესაც მეხთ კვეთება არყევდა მიწას
და საშინელთა ელვათ ხლართვა კაცს თავს ზარს ჰსცემდა, —
ნუთუ შენ მაშინ კარში უნდა დაშთენილიყავ?
ნუთუ ეს თხელი მუზარადი გფარავდა მხოლოდ,
ვაი, ბედისაგან განწირულო მშობელო ჩემო!...
ჩემის მტრის ძაღლსაც, ჩემს მაკბენარს იმ ბრდღვინავს ღამეს
კარს გავუღებდი, ჩემს კერასთან მივცემდი ბინას.
შენ კი, საწყალო მამაჩემო, იძულებულ გყვეს
უილაჯობით უბრალო ქოხს შეჰხიზნებოდი,
ღორებთან ერთად და გიჟებთან ღამე გეთია
და ქვეშ ლეიბად გაგეშალა ჩალა დამპალი.
ვიშ!.. ვიშ!.. რა გიყვეს!.. მე ის მიკვირს, მე ის მაოცებს,
რატომ ჭკვასთან შენ სიცოცხლეცა არ დაგკარგვია!...
აგერ იღვიძებს... ხმა გაეცით...

ექიმი

ხელმწიფევ ჩემო,
უმჯობესია, რომ თქვენ თვითონ მოახსენოთ რამ,

კორდელია

როგორ ბძანდებით ეხლა, თქვენო დიდებულებავ!

ლირი

ეს რა მიყავით?.. საფლავიდამ რად ამომიღეთ?..
შენ ნეტარებით აღსავსე ხარ, სულო ნეტარო,
მე კი განვცმულვარ ცეცხლოვანსა ურმის თვალზედა,
რომელს მდუღარე ცრემლსა ვადენ, ტყვიებრ გამწველსა.

კორდელია

ბატონო ჩემო, მცნობთ თუ არა?

ლირი

დიაღაცა გცნობ,
შენა ხარ სული უსხეულო. რად გარდაცვლილხარ?

კორდელია

ჯერ მის გონება არ დამჯდარა, კვლავაც შორს ჰფრინავს....

ექიმი

ჯერ ბურანშია. მცირეს ხანსა ჰსჯობს, რომ მოშორდეთ.

ლირი

ან სად ვიყავი აქამომდე, ან ეხლა სად ვარ?..
ვიშ, ამ მშვენიერს დღისა ნათელს!.. ხომ არ ვტყუვდები!...
სხვა რომ მენახა ჩემს ადგილას და ჩემს ყოფაში, —
სიბრალულითა მოვკვდებოდი.... რა ვსთქვა არ ვიცი!..
განა ჩემია ეს ხელები?!.. ვერ დავიფიცავ...
აბა, გავსინჯოთ... მტკივა... დიაღ ქინძისთავი მჩხვლეტს...
ნეტა ვიცოდე, — რა ვარ ანუ სიდამ მოვედი!..

კორდელია

ბატონო ჩემო, შემომხედეთ და ხელნი თქვენი
დასალოცავად მომმართეთ მე. (ლირი მუხლს იდრეკს). ნუ, ნუ
ინებებთ!..

ლირი

გევედრები შენ, — სასაცილოდ ნუ ამიგდებ მე...
მე ვარ უმწეო, სულელი და უჭკვო ბებერი,
ოთხმოცს წელიწადს გადავმცდარვარ, — და სწორედ რომ
ვსთქვა,
სრულს გონებაზედ ვარ თუ არა, — ეგეც არ ვიცი.
ისე მგონია თვითქო, ქალო, მე თქვენ გიცნობდეთ...
თვითქო როგორღაც ეს კაციცა მემცნაურება..

გზა-კვალს ეს მირევს, ვერ მიმხვდარვარ, ეხლა სადა ვარ!
ტანისამოსიც სულ სხვა მაქვს ზედ... საიდამ? როგორ?
სად გავათიე წუხანდელი ღამეც, — არ ვიცი...
ნუ კი დამცინებთ, ამას ვიტყვი: თუ მე კაცი ვარ,
მგონი ეს ქალი ჩემი შვილი კორდელიაა....

კორდელია

კორდელია ვარ, კორდელია!..

ლირი

რაო? ჰსტირი შენ?
მართლა რომ ჰსტირი... გევედრები, — ნუ, ნუ იტირებ!..
თუ საწამლავის მოწვდენა გსურს, მომეც, დავლევ მე!....
მე კარგად ვიცი... მე შენ აღარ უნდა გიყვარდე...
შენს დებს მიზეზი არ ჰქონდათ და შემიძულეს,
შენ კი ათასი მიზეზი გაქვს... რად გამამტყუნებ!..

კორდელია

არა!.. მაზეზი არა მაქვს რა!

ლირი

სადა ვარ ეხლა?
საფრანგეთში თუ?

კენტი

თქვენ ბძანდებით თქვენს სამეფოში.

ლირი

ნუ, ნუ დამცინით!..

ექიმი

დედოფალო, მომილოცნია,
თქვენ თვითონ ხედავთ, რომ სიშმაგემ გადაუარა.

მაგრამ ჯერ კიდევ საშიშია, სიფრთხილე უნდა...
ნუ მოაგონებთ, რაც მას ჭირნი გარდახედია.
კარგი იქმნება, რომ მცირეს ხანს გაასეირნოთ,
წყენას არიდოთ, ვიდრე სრულად დამშვიდდებოდეს.

კორდელია

ხომ არ ინებებთ, ხელმწიფეო, გასეირნებას?

ლირი

შენთან? დიაღაც!.... გთხოვ, დამითმო და შეჰინდო მე!..
აჰა, ხომ მხედავ!... მე ბებერი და სულელი ვარ!..

(გადიან ლირი, კორდელია, ექიმი და მხლებელნი)

აზნაური

განა მთავარი კორნვალისა მართლა მოუკლავთ?

კენტი

სწორედ მოუკლავთ.

აზნაური

მერე მის ჯარს წინ ვინ მოუძღვის?

კენტი

მე გავიგონე, ედმუნდიო, გლოსტერის ბუში.

აზნაური

და ედგარი კი მისი შვილი კანონიერი,
ამბობენ, ვითომც კენტთან არის გერმანიაში.

კენტი

ზოგი რას ამბობს, ზოგი რასა, ჭორი ბევრია.
მაგის დრო ვის აქვს, კარს მოგვადგეს ლამის მტრის ჯარი.

აზნაური

ომი მოხდება, და ძლიერიც. როგორც ეტყობა,
მრავალი სისხლიც დაიქცევა. — წავალ, მშვიდობით.

(გადის),

კენტი

ავად თუ კარგად გათავდება ჩემი თათბირი.
მას გამოაჩენს დღევანდელი ფიცხელი ომი.

(გადის).

მოძმედება მეხუთე

სანახავი I

ბრიტანიელთ ჯარის ბანაკი დუვრის სიახლოვეს
(შემოდიან ედმუნდი, რეგანა, ასისთავნი, ჯარისკაცნი და სხვანი. თან ნაღარები და ბაირაღები შემოაქვთ)

ედმუნდი

შემიტყეთ, მთავარს აზრი ხომ არ გამოუცვლია,
იქმნება ვინმემ სხვა ურჩია. ის ხომ სულ ტოკავს
და რასაც იტყვის ბოლოს ისევ თვითვე იწუნებს.
(ასისთავს) რა აზრზედა დგას ეხლა იგი, წადი, შემიტყე.

რეგანა

ალბად ფათერაკს გარდეკიდა ჩემის დის კაცი.

ედმუნდი

მეც ეგ მგონია.

რეგანა

ჩემო ედმუნდ, თქვენ კარგად იცით,
რომ მე სიკეთე თქვენი მინდა. — ერთს რასმეს გკითხავთ
და იმედი მაქვს, მართალს მეტყვით... გთხოვ, სწორედ მითხრათ:
ჩემი და გიყვართ?

ედმუნდი

ბატონყმურის სიყვარულითა.

რეგანა

მაშ ჩემის სიძის გზაზედ ფეხი ჯერ არ დაგიდგამთ?

ედმუნდი

მაგგვარის ეჭვის შემოტანას როგორ კადრულობთ!...

რეგანა

მე კი მგონია რომ თქვენ მასთან ისე ახლო ხართ,
რომ მეტი ალარ შეიძლება.

ედმუნდი

არა, ბატონო!
მე სიტყვას გაძლევთ, რომ ეგ ეჭვი ტყუილი არის.

რეგანა

მე ის დიდად მძულს და თქვენც გირჩევთ, ჩემო გლოსტერო,
მოერიდეთ მას და გულიდამ ამოიღევით.

ედმუნდი

თქვენ იჭვი ნუ გაქვსთ. — აგერ იგიც და მის მეუღლეც.
(შემოდიან ალბანი, გონერილა და ჯარისკაცნი.)

გონერილა (თავისთავად)

ოღონდ ჩემმა დამ მე და ედმუნდ არ გაგვაშოროს
და თუნდ დღეს ომში გამარჯვება ჩვენს მტერსა დარჩეს.

ალბანი

მშვიდობა თქვენი ნახვა, ჩემო საყვარელო დავ! —
მესმა ყმაწვილო, რომ თვის ქალთან ლირი მისულა,
მას მიჰყოლიან თანა თურმე ბევრნი ჩვენგანნი,
აჯანყებულნი ჩვენზედ ჩვენის უსამართლობით.
საცა სიმართლე არ მიმიძღვის, — ხმალიც არ მიჭრის....

თუმც ეხლა ხმალი ამიღია, მაგრამ იცოდეთ,
რომ მე მტერს ვებრძვი ჩემს მამულზედ შემოსეულსა;
მეფისა ლირის მომხრეებს კი მე მტრად არ ვსახავ, —
არ ვსახავ მე მტრად მას, ვინც იბრძვის სიმართლისათვის.

ედმუნდი

მოსაწონია ფრიად ყველა, რაც ეხლა ბძანეთ.

რეგანა

მაგისთანები ნეტა აქ რა მოსატანია.

გონერილა

რა დროს ეგ არის! აქ თანხმობა საჭირო არის!...
ჩვენ უნდა ერთად წინ აღვუდგეთ შემოსეულს მტერს, —
რა დროს სიტყვების სროლა არის? რა დროს ბაასი?

ალბანი

მე შევყრი სარდლებს და ომისთვის თათბირს დავაწყობთ.

ედმუნდი

მეც თვითონ ეხლავ გიახლებით.

რეგანა

შენ ჩემო დაო,
ჩვენთან წამოხვალ?

გონერილა

თქვენთან? არა.

რეგანა

ჰსჯობს, წამოხვიდე,
უფრო მართებულ იქნებოდა, რომ ჩვენთან იყო.

გონერილა (თავისთავად)

მიგიხვდი ემაგ ეშმაკობას!... (რეგანას) კარგი, წამოვალ.
(გასვლას რომ აპირობენ, შემოდის ედგარი სხვაგვარად ჩაცმული.)

ედგარი

თუ კი ოდესმე ღირსებია ჩემებრ საწყალსა,
თქვენთან, ბატონო, ლაპარაკი, მეც მომისმინეთ.

ალბანი

თქვენ მიბძანდით, მეც ეხლავ მოვალ. — რის თქმა გინდა შენ?
(გადიან ედმუნდი, რეგანა, გონერილა, ასისთავნი, ჯარისკაცნი და მხლებელნი).

ედგარი

გთხოვთ, რომ ომამდე ეს წერილი თქვენ წაიკითხოთ.
ვინიცობაა გამარჯვება დღეს თუ თქვენ დაგრჩათ,
მაშინ უბძანეთ მებუკესა, რომ ბუკი დაჰკრას
და ამ წერილის მომტანიც აქ გამოცხადდება.
თუმც ღარიბი ვარ, მაგრამ ფარ-ხმალს მეც კარგა ვხმარობ
და ამ წერილის სიმართლესა ხმლით დავამტკიცებ.
თუ კი დამარცხდით, ყოველივე უქმია თქვენთვის
და თვით იმათაც შეთქმულობა ფუჭად ჩაუვლის.
მე გიახლებით. ბედმა ხელი მოგიმართოთ თქვენ.

ალბანი

აქ მომიცადე, ვიდრე წერილს გადვიკითხავდე.

ედგარი

არ შემიძლიან, აკრძალულ მაქვს. როცა დრო მოვა,
უბძანეთ გზირსა, დაიძახოს და აქ გავჩნდები.

(გადის).

ალბანი

მაშ, მშვიდობითა. ამას ეხლავ გადავიკითხავ.

(შემოდის ედმუნდი)

ედმუნდი

მტერი მოდისო. ბძანეთ თქვენის ჯარის დაწყობა.
აჰა, ინებეთ ჩვენის მტრისა ლაშქრისა სია;
რაც მზვერავებმა შეგვიტყეს ჩვენ, აქა სწერია.
გთხოვთ, დაეშუროთ.

ალბანი

მე ჩემის მხრით არ დაგაბრკოლებთ.

(გადის).

ედმუნდი

ორივ დებს ჩემის სიყვარულის ფიცი მივეცი....
ერთი მეორეს ისე სძულს ვით გველი დაშხამულს.
ვინ ავირჩიო? ორივ? ერთი? თუ სულ არც ერთი?
ვიდრე ორივე ქვეყანაზედ ცოცხალ არიან,
ძნელია მათში ამორჩევა. თუ ქვრივს შევირთავ,
მაშინ იმის და გაცოფდება, ღღეს გამიმწარებს;
თვით მის შერთვა კი არ იქმნება, ქრმიანი არის.
ჯერ იმის ქმარი საჭიროა ომისათვისა;
ომის შემდეგ კი თუ ცოლს ქრმისგან თავის დახსნა სურს,
რაც უნდა ის ჰქმნას, რომ დაიხსნას მით თავის თავი.
მის ქმარს ლირის და კორდელიის შეწყნარება სურს....
მაგასაც ვნახავთ!... ჯერ ერთი ეს ომი გადაწყდეს, —
და თუ ისინი მაშინ ხელში ჩამიცვივიან,
ჩემგანა იმათს შეწყნარებას ნურვინ მოელის.
მე ჩემის თავის დაცვა მიჭირს, სხვისას ვინ ჩივის!...
აქ ჭკვის თათბირი რაში მარგებს? დრო ხმლისა არის.

(გადის).

სანახავი II

მინდორი ორ ბანაკ შუა. ნაღარის ხმა ისმის.

(მინდორზედ გამოჩნდებიან ლირი, კორდელია და იმათი ჯარი. ნაღარის ცემით და ბაირაღებით გადიან. შემოდიან ედგარი და გლოსტერი.)

ედგარი

აი, ამ ხის ქვეშ დაჯეგ, მამი, — კარგი ჩრდილია.
ღმერთს შეევედრე, რომ სიმართლემ დღეს გაიმარჯვოს.
თუ დავბრუნდები, უფრო კარგად დაგაბინავებ.

გლოსტერი

იყოსმცა ღმერთი შენი მფარველ და მწყალობელი.
(ედგარი გადის).

(ომის ხმაურობაა და ნაღარის ცემა. მერე უკან გამობრუნების ნაღარის ცემა მოისმის. ედგარი უკვე მოიქცევა).

ედგარი

ადეგი ჩქარა, ბერო-კაცო, წამო, წავიდეთ!
ხელმწიფე ლირი დაგვიმარცხეს. მომეცი ხელი!...
ლირიც და მისი ქალიც ორივ ტყვედ წაიყვანეს.

გლოსტერი

სადღა მიგყევევარ? განა აქ კი ვერ დავმიწდები!...

ედგარი

კიდევ ავ ფიქრს არ გარდეკიდე!... ჭირს რად უტყდები?
ზოგჯერ უკუღმა, ზოგჯერ წაღმა ბედი ტრიალებს, —
ორივეს კაცი უნდა დახვდეს გულმაგრა ხოლმე.
წამო, წავიდეთ.

გლოსტერი

მართალს ამბობ, ჩემო ძმობილო!....
(გადიან).

სანახავი III

ბრიტანიელთ ბანაკი დუვრის სიახლოვეს.

(შემოდიან გამარჯვებულნი: ედმუნდი, ასისთავნი და ჯარისკაცნი ნაღარითა და ბაირაღებითა. ლირი და კორდელია შემოჰყავთ დატყვევებულნი).

ედმუნდი

ზოგმა ესენი წაიყვანეთ და ფთხილად გყავდეთ,
ვიდრემდე მაგათს ბედს გადასწყვეტს უმაღლესი სჯა.

კორდელია

ავად ახდომა კეთილისა, ვის არ მოსვლია!....
ჩვენ ხომ ამისი მაგალითნი პირველნი არ ვართ.
თუ გული მტკივა, შენთვის მტკივა, დევნულო მამაე!..
მე კი ავყია ბედის წყრომას ხელს შევუბრუნებ...
იმ ორსა დებსა, იმ ორ ქალებს — ჩვენ ვინახულებთ?

ლირი

არ ვინახულებთ!... არა! არა!... შვილო, წავიდეთ.
როგორც გალიას ერთად ჩავსხდეთ საპყრობილეში..:
იქ გვრიტებსავით ვიღულუნოთ ნელად და ტკბილად.
როცა შენ მომთხოვ, — დამლოცეო, თვით დაგიჩოქებ
და თვით მე მოგთხოვ, შვილო ჩემო, მოტევებასა.
ეგრე ვიცხოვრებთ, ვიჭუკჭუკებთ და ვილაღობებთ,
ვილოცებთ კიდეც, ვიმღერთ კიდეც, ზღაპრებსაც ვიტყვით.
ხან ფარვანას თვალს ავაყოლებთ და ვიკასკასებთ,
ხან ყურს დაუგდებთ კარის კაცთა ენა ჭარტლობას,

ტიკტიკს მოვყვებით, ვკითხავთ ამა ქვეყნის ამბავსა, —
ვინ მაღლა ადის, ვინ ჩამოდის, ვინ მიდის, მოდის.
ჩვენ ყურს დავუგდებთ ამა ქვეყნის ხვაშიადს ტრიალს
ღვთისაგან ქვეყნად წარმოგზავნილ მზვერავებსავით.
საპყრობილეში ვისხდებით და იქაც ხმა მოვა,
რომ ერთი დასი გმირებისა მეორესა ჰსცვლის
და ვით ზღვის ღელვა მთვარის გამო მიდის და მოდის.

ედმუნდი

წაიყვანევით.

ლირი

კორდელიავ, შენც ჩემთანა ხარ!....
მაგ შენს მსხვერპლს ზეცით თვითან ღმერთნი გუნდრუკს აკმევენ.
აქა მყევხარ შენ!... რაღა გაგვყრის ჩვენ ერთმანეთსა!...
თვით ზეციდამ რომ მუგუზალი ჩამოიტანონ
და გვიხრჩოლონ ჩვენ, ვით სოროში მელას უხრჩოლვენ,
მაინც ერთმანეთს დღეის იქით ვეღარ გაგვყრიან.
შვილო, ნუ სტირი!... ჯერ უწინამც მათ ჭირი შესჭამს,
ჯერ დამშეული სიკვდილი მათ ღრღნასა დაუწყობს,
ვიდრემდე თვალში ჩვენ იგინი ცრემლსა მოგვგვრიან!...
წავიდეთ, შვილო!.... (ლირი და კორდელია გაჰყავთ).

ედმუნდი

ასისთავო, აქ მოდი ახლო.
აჰა, ბძანება. (ქაღალდს აძლევს) ეს წაიღე და იმათ გაჰყევ.
ჯილდო ხომ მოგეც და თუ იგიც შენ აღმისრულე
რაც აქ ჰსწერია, — უფრო ბევრი მოგენიჭება.
როგორიც დროა, კაციც უნდა ისეთი იყოს!
დღეს ხმალი გაკრავს, გულჩჩვილობა როდი შეგშვენის.
შენ იმ ხარისხის პატრონი ხარ, რომ რაც გიბრძანონ,
ყოველი უნდა აღასრულო უსჯელ-უთქმელად.
ან მითხარი, რომ რაც გიბძანე — მას აღასრულებ,
ან თუ არა და საცა გინდა, იქით მიბძანდი.

ასისთავი

მე ნებას თქვენსას აღვასრულებ.

ედმუნდი

მაშ, დაეჩქარე!
ეხლავე წადი და მაცნობე როს გაათავებ....
რაც შიგ ჰსწერია, ერთ ბეწვზედაც ნუ გადაჰსცდები.

ასისთავი

ურემს ვერ ვზიდავ, შვრიას ვერ ვსჭამ, შესაძლოს კი ვიქმ.

(საყვირის ხმა. შემოდიან ალბანი, გონერილა, რეგანა, ასის-თავნი და მხლებელნი).

ალბანი

ყმაწვილო, დღეს თქვენ ვაჟკაცობა გამოაჩინეთ,
და მწყალობელი თქვენი ბედიც დღეს თქვენკენ იყო....
ვინც ჩვენ გვებრძოდა, დღეს იგინი თქვენ ტყვეთა გყვანან,
გადმოგვეცით ჩვენ, რომ ჩვენ იმათ ისე მოვეპყრათ,
ვით მათ ხარისხს და ჩვენის თავის სიფრთხილეს შეჰფერს.

ედმუნდი

მე საჭიროდა დავინახე, ჩემო ბატონო,
რომ უბედური მეფე იგი მოხუცებული
პატიმარ-მეყო და გუშაგნიც გარს მომეხვია.
იმის ხანსა და იმის ხარისხს ბევრი რამ ძალუძს....
ხალხის გულს ჩვენზედ აამღვრევს და თვით მიიზიდავს
და თვით ჩვენს ჯარსაც ხმალს ჩვენზედვე ახმარებინებს.
ამ აზრით მასთან დედოფალიც პატიმარი-ვყავ...
ხვალ თუ ხვალზევით, როცა თქვენი ნება იქმნება, —
მათ თქვენს უმაღლესს სამსჯავროში წარმოვადგენ მე.
ეხლა არავის გული არ აქვს მათ განსაკითხად;
ჯერ ომის ოფლიც, ომის სისხლიც არ შეგვშრობია,

არ უგლოვნია ჯერ მეგობარს თვის მეგობარი, —
და თვით თქვენც იცით, პირველ ხანში თვით გამარჯვებაც
ომგადახდილთა დასაწყევად უხდებათ ხოლმე.
დიაღ, ბატონო, ეხლა მათთვის არვის სცალიან....

ალბანი

ნუ დაივიწყებთ, რომ დღეს ჩვენი ხელ-ქვეითი ხართ
და არა სწორი.

რეგანა

არა სწორი? ზოგი ჩვენც გვკითხეთ....
ჩვენის ნებართვით იგი თქვენი თანასწორია.
შორს რად მიდიხართ!... აქ არა ვარ? ჯერ მე მკითხავდით...:
იგი, რომელიც ჩემს ლაშქარსა წინა უძღოდა,
რომელსაც ჰქონდა უფლება და ხარისხი ჩვენი,
ნუთუ ის თქვენი თანასწორი არ უნდა იყოს!...

გონერილა

ნეტა რას ცხარობ? ეგ ამაღლდა თვისის ქველობით
და არა შენის მოწყალების მეოხებითა.

რეგანა

ყოველი ჩემი ხელმწიფება მე გარდავეც მას
და ეხლა იგი არავისზედ ნაკლებ არ არის.

გონერილა

რა ყოფას გვაწევ? თვითქო შენი ქმარი იყოსო!...

რეგანა

დამცინი, მაგრამ ფრთხილად იყავ, ენა გიყივლებს.

გონერილა

გული კი გითხრობს, სიზმარი კი არ აგიხდება.

რეგანა

ავად გავხდი მე.... მე როგორლაც გული მელევა,
თვარემ რაც გულში ნაღველი მაქვს ზედ დაგანთხევდი!,..
(ედმუნდს) დღეს მე თქვენ გაძლევთ ტყვეებს, ჩემს ჯარს, ჩემს
სამფლობელოს
და ყოველს ამას და თვითონც მე დამეპატრონეთ.
ქვეყნის წინაშე ჩემს პატრონად და მეუღლედ გხდით.

გონერილა

ვითომ გგონია შენ ეგ მაგით ბედსა შეჰყარო?!

ალბანი

ეგ შენი საქმე როდი არის.

ედმუნდი

არც შენი გახლავთ.

ალბანი

თუ ჩემი არა, მაშ ვისია, შე ნაბუშარო?

რეგანა

(ედმუნდს) ბძანე, ნაღარა დაჰკრან და მით გაძოაცხადე,
რომ შენთვის ჩემი ხელმწიფება დამილოცნია.

ალბანი

ფეხიც არ გასძრათ!... აქ დადეგით და მოისმინეთ!
(ედმუნდს) შენ და აშ (გონერილაზედ უჩვენებს)
ოქროდ დაფერილ გველს ღალატისათვის
მე პატიმარ-გყოფთ. — (რეგანას) თქვენ კი, ჩემო სასურველო დავ,
მაგას ვერ შეგრთავთ, ეგ ჩემს ცოლსა თქვენ დაუთმეთ.
ცოლისთვის ვცდილობ, როგორც ქმარი, და ამის გამო
მას ვერ წავართმევ თავის საქრმოს და თქვენ ვერ მოგცემთ.
ქრმის შერთვა გინდათ? აქ არა ვარ!... მ[illegible] შემირთევით...

ხომ ხედავთ, ეხლა ჩემი ცოლი სხვაზედ თხოვდება....
თქვენ ქმარი არ გყავთ და მე ცოლი — რაღა დაგვიშლის?

ГОНЕРИЛА

ნეტა ვიცოდე რაებს ბოდავს!....

ОЛБАНИ

გლოსტერ, მზად იყავ.
მიხმეთ მებუკე, ბუკი დაჰკრას — და თუ მის ხმაზედ
არვინ არ მოვა, რომ თვისის ხმლით შენ დაგიმტკიცოს
შენი უშვერი და აშკარა გმობა, სიმუხთლე,
თვითონ გამოვალ და მე თვითონ მას დაგიმტკიცებ.
ჩემის მუქარის ნიშნად, აჰა, ჩემი ხელჯაგიც!...
(ხელჯაგს გადუგდებს).
პურსაც არა ვჭამ, ვიდრე რაც ვჰსთქვი, იმის სიმართლეს
ჩემის ხმლის წვერით არ ჩავაჭდევ შენს გულის ფიცარს.

РЕГАНА

ოხ, სული მიგუბს და გულზედა რაღაც მაწვება! —

ГОНЕРИЛА (თავისთავად)

მაშ, რა გეგონა! საწამლავსა ძალა არა აქვს?!...

ЭДМУНДИ

მაშ, აჰა ჩემიც!... (ხელჯაგს გადუგდებს) ვინც მე გმობას და
ღალატს მწამობს,
იგი ცილს მწამებს, იგი სტყუის, იგი მიჰქარავს!
ბუკი დაჰკარით!... ვინც გაბედავს და აქ გამოვა, —
შენ იქმნები, თუ სხვა იქმნება, — მე ჩემის ხმლითა
მას დავუმტკიცებ ჩემ სიმართლეს, პატიოსნებას.

ОЛБАНИ

ჰეი, მებუკევ!

ედმუნდი

ჩქარა ბუკი!.... ჰეი, მებუკევ!....

ალბანი

შენ ეხლა მხოლოდ შენის თავის იმედი გქონდეს, —
შენი ჯარი კი, ჩემის სიტყვით მოგროვებული,
ჩემის სიტყვითვე დაიშალა.

რეგანა

გულს მეჭიდება....

(კარის გზირი შემოდის).

ალბანი

შეუძლოდ არის; ჩემს კარავში წაიყვანევით.

(რეგანა გაჰყავთ).

აქ მო, მებუკევ! ბუკი დაჰკარ და ეს ქაღალდი
წაიკითხევი შენ ხმამაღლა.

ასისთავი

ბუკი დაჰკარი.

კარის გზირი (კითხულობს).

„თუ ვისმე შთამომავალობით კეთილშობილს და ქვეყნობით სახელგაოქმულს სურს დაუმტკიცოს ედმუნდს, რომელიც გრაფის გლოსტერის სახელს ირქმევს, — რომ იგი მრავალგვარის მუხანათობის მომქმედია, მოედანზედ გამოვიდეს მას შემდეგ, რაკი ბუკი მესამედ ხმას გამოსცემს. ედმუნდი მზად არის პასუხის საგებლად“.

ედმუნდი

დაჰკარ ბუკი! (ერთხელ დაუკვრენ ბუკს.)

კიდევ დაჰკარ. (მეორედ დაუკვრენ).
ერთი კიდევა. (მესამედ დაუკვრენ).

(შემოდის ედგარი იარაღში ჩამჯდარი. წინ მებუკე მოუძღვის).

ალბანი

აბა, ჰკითხეთ მას — ბუკის ხმაზედ რისთვის მოვიდა?

კარის გზირი

ვინა ბძანდები? შენი გვარი, შენი სახელი?
და ბუკის ხმაზედ შენ რისათვის მობძანებულხარ?

ედგარი

ჩემი სახელი, ბატონებო, დაკარგულია,
ღალატის კბილმა იგი დაღრღნა და შეამწიკვლა.
გვარიშვილობით მე ნაკლები არა ვარ მასზედ.
ვისთანაც ეხლა გამოვსულვარ მე საბრძოლველად.

ალბანი

მერე ვინ არის იგი, ვისაც შენ ბრძოლად იწვევ?

ედგარი

ედმუნდ, რომელიც გრაფ გლოსტერის სახელსა ირქმევს.

ედმუნდი

აქა ვარ შენ წინ. რა გნებავს შენ?

ედგარი

მზად იყავ, ედმუნდ.
თუ ჩემი სიტყვა შენსა სახელს ღეს შეურაცხჰყოფს, —

შეურაცხყობა ეგ აგხადოს შენ შენმა ხმალმა!
მეც ხმალი მზად მაქვს... მე აქ ბრძოლად გამომიყვანა
ჩემმა წოდებამ, ჩემმა აღთქმამ, პატიოსნებამ!...
შენ ხარ ჭაბუკი, ძლიერი და სახელოვანი,
ძლევა მოსილი, მხნე, გულადი ზე აღწეული,
აღმოჩავალის ბედის სხივით შუქ-მოფენილი, —
მაგრამ მაინცა მე შენ გეტყვი: მოღალატე ხარ!
შენ უღალატე შენს ღმერთს, შენს ძმას, შენსა მშობელსა,
შენ უღალატე ამ სვე მაღალს ბრწყინვალე მთავარს!...
უსჯულოებით ხარ შესვრილი, შემწიკვლებული
და როგორც ჯოჯო ლაქებში ხარ თავით-ფეხამდე!...
თუ შენ ამ ჩემს თქმულს უარსა ჰყოფ, მყის ხმალი ჩემი
და გულისწყრომა ჩემი, შენზედ აფეთქებული
აქავ შენს მკერდზედ დაამტკიცებს, რომ მტყუანი ხარ!...

ედმუნდი

რაინდთ წესია ჯერ მეკითხნა, ვინა ხარ შენა,
და თუ შენს თავს კვლავ დამალავდი, არ მებრძოლნა მე
და მით თავიდამ შენთან ბრძოლა მე ამეცილა.
მაგრამ მე ამას არ ვიკადრებ.... ვხედავ, რაცა ხარ....
შენს სიტყვა-პასუხს, სითამამეს, თვალ-ტანადობას
ეჭვობა შენი სიკეთე და გვარიშვილობა.
რაც შენ აქა ჰსთქვი, ყოველივე უარმიყვია
და მაგ შენს ცილსა საზაროს და საჯოჯოხეთოს
შიგ გულში გახლი მე უკანვე, და თუ ზედ ასხლტა
შენს რკინის პერანგს, მე ჩემის ხმლით გზას შეუკაფავ,
რომ საუკუნოდ ცილი შენი შენს გულში დარჩეს! —
ბუკი დაჰკარით!....

(ბუკს დაუკვრენ. ედმუნდი და ედგარი იბრძვიან. ედმუნდი წაიქცევა).

ალბანი

ნუ მოაკვდენთ!

აქ ღალატია!....
გლოსტერ, შეგეძლო მხედართ წესით შენ არ გებრძოლნა
მასთან, ვინც გიწვევს საომრად და თავს კი იმალავს.
საფრთხე დაგიგეს, მოგატყუეს, მით დაგამარცხეს!...

ალბანი

სუ, შე წყეულო! ხმა გაწყვიტე! ენას ნუღარ ჰსძრავ!
თორემ ამ წიგნით მე დაგიბავ მაგ ჭარტალს ენას!...
(ედმუნდს) აჰა, წერილი, — წაიკითხე რაც კაცი ხარ შენ!
(გონერილას) შენ კი... არ ვიცი, რა საბელი უნდა დაგარქვა, —
შენის თვალითვე უყურე შენს თავლაფდასხმასა!....
ხელში ნუ მწვდები! ამა წერილს შენ ისეც იცნობ!...

(ედმუნდს წერილს აძლევს)

გონერილა

რაა, რომ ვიცნობ?! აქ ვის ძალუძს დამიშალოს რამ?!
ჩემი კანონი აქ თვით მე ვარ და არა შენა!....

ალბანი

ოჰ, შე აფთარო! იცან განა შენ ეს წერილი!...

გონერილა

შენ რა საქმე გაქვს, რა ხელი გაქვს ვიცან თუ არა?!

(გადის).

ალბანი (ერთს ასისთავს).

უკან გაჰყევით!.... გააფთრდა და გულმოსულია!....
უფთხილდით, რამ არ აუტეხოს მან თავის თავსა.

(ასისთავი გადის).

ედმუნდი

აწ აღვიარებ, რომ ყველა ის, რაც შენ დამწამე,
მართალი არის: მე იგი ვქმენ და მასზედ მეტიც!...
დრო გამოაჩენს ჩემსა ცოდვებს და განმიკითხავს....
დრო იგი ჩემი აწ წარვიდა და მეც მივდივარ!....
ხოლო ვინ ხარ შენ დღეს ჩემზედა ძლევამოსილი?
თუ გვარტომობით მაღალი ხარ, — სისხლს გაპატივებ...

ედგარი

მაშ, ვაპატიოთ და ერთმანეთს ცოდვა შევუნდოთ...:
მე გვარტომობით შენზედ, ედმუნდ, ნაკლები არ ვარ
და თუ მეტი ვარ, მით უფრორე მკვდარი ვარ შენგან..
მე ვარ ედგარი, მე ვარ შვილი მამის შენისა!
მართლმსაჯულება ღმერთთა ჩვენთა ეგრედ განაგებს,
რომ უტკბოესსა ბიწსაც ჩვენსას ჩვენს სასჯელად ხდის.
შენი გაჩენა იდუმალი და ცოდვიერი
ოვალების დათხრად დაუჯდა მას....

ედმუნდი

შენ მართალი ხარ...:
სწორეა ყველა, რაც ეხლა სთქვი.... ეჰა, აღსრულდა!
ჩემის ბედისა ბრუნვა შედგა!.... აჰა, ხომ მხედავ....

ალბანი

შენს წარმოსადეგს და ახოვანს სანახავობას
ზედ ეტყობოდა ხელმწიფური პატიოსნება.
მომეცი ნება, გულს მიგიკრა და მოგეხვიო.....:
ჭირმა განგლიჯოს გული ჩემი, თუ ამ გულშია
ან შენი, ანუ მამის შენის მტრობა მქონოდეს.

ედგარი

ჩემო ხელმწიფევ, მე მაგაზედ ეჭვი არა მაქვს.

ალბანი

სად იყავ, ედგარ, აქამომდე მიფარებული
და სად შეიტყე მამის შენის უბედურება?

ედგარი

მე მამაჩემი თვით დამყვანდა და ვპატრონობდი.
თავს გარდასავალს ჩვენსას მოკლედ მოგახსენებთ თქვენ,
როს გავათავებ, დე, გათავდეს სიცოცხლე ჩემიც!...
ჩემს მოსაკლავად როს ყოველგან ბძანება გაჰსცეს
და ჯეხის კვალზედ მომდევდენ მე დასაჭერადა,
მოვიგიჟმაჟე თავი ჩემი, ველად გავვარდი;
გლახა ღატაკის ძონძებშია გამოვეხვიე
და ისე გავხდი, რომ თვით ძაღლსაც ვეზიზღებოდი.
ყველა ესე ვქმენ თავის ჩემის გარდასარჩენად.
სული ტკბილია.... მეტად უმძიმს კაცსა სიკვდილი....
მას ურჩევნია, სიკვდილისა შიშით სულს ლევდეს
ყოველ-ჟამს და წამს, ვიდრე ერთხელ მოკვდეს და მორჩეს.
ამ ყოფით ვიყავ, როცა შევხვდი საწყალს მამაჩემს....
ძვირფასი თვლები თვალთ ბუდიდამ მას დაჰკარგოდა
და თვალთ მაგიერ სისხლიანი რგოლნიღა უჩნდნენ....
მე წინ გავუძეღ უსინათლოს ვით მთხოვარასა,
გამვლელ-გამომვლელს პურსა ვსთხოვდი, იმას ვაჭმევდი,
როგორც შემეძლო ვაცილებდი ავსა ფიქრებსა
და გულს ამღვრეულს, გაწბილებულს ვუშოშმანებდი.
მაგრამ ვაი, რომ ვერ გავბედე მეთქვა, ვინა ვარ!....
იარაღი რომ ავისხი და აქ მოვდიოდი,
მაშინ კი ველარ მოვითმინე, თავი ვაცნობე....
რადგანც არ მწამდა, გავიმარჯვებ მე დღეს თუ არა,
თუმც ღვთის იმედი დიდი მქონდა, — კურთხევაც ვსთხოვე.
მას, შემდეგ ჩემის წვალების და თრევის ამბავი
თავით ბოლომდე ყველა ვუთხარ, ყველა ვუამბე.
მაგრამ მის გული, უმისოდაც ძალ-მილეული,
შუა გააპო სიხარულმა ჩემის ნახვისამ

და ჩემის შავის დღისა ამბის მწუხარებამა.
ამ ორთავ კიდურთ გრძნობათ ბრძოლას ველარ გაუძლო,
უეთქა შესწყვიტა და ღიმილთ დალია სული!...

ედჟუნდი

მაგ შენმა ოქმულმა გული დამწვა და ამამღვრია, —
იქმნება ესე კეთილს რასმეს მოასწავებდეს...,
განაგრძე სიტყვა.... მგონი რაღაც დაგრჩა სათქმელად....

ალბანი

თუ გსურს ჰსთქვა რამე უფრო მწვავი, ნულარას იტყვი,
უიმისოდაც გული ჩემი ლამის გაირღვას!

ედგარი

ვისაც გული აქვს, რაც ვსთქვი, მისთვის ეგეცა კმარა,
რომ მიმიხვდეს მე, რა ღრმა ტანჯვაც გამომიელია, —
და ვინც გულქვაა, ეს ამბავი მისთვის ცოტაა...
თუ ტანჯვა ტანჯვას ზედ არ დართე და ერთ სახითა
განუსაზღვრელი ბოროტება არ დაანახვე,
ვერარას იგრძნობს, გული მისი არ ატოკდება. —
ვიდრე მამაჩემს ჩემ წინ მკვდარსა მე დავტიროდი,
მოვიდა ჩვენთან კაცი ვინმე, რომელიც უწინ,
როცა მხედავდა მაწანწალად, მერიდებოდა.
ხოლო როს მიცნო და შეიტყო როგორ ვტანჯულვარ,
ძლიერნი ხელნი მომხვია მე და ყელს მომეჭდო;
ერთი საშინლად და საზაროდ მოჰყვა ქვითინსა,
თვითქო უნდაო ცის კამარა შეარყიოსო
და მამი ჩემის უსულო გვამს მსწრაფლ დაეცა ზედ.
თავის თავზედ და მეფე ლირზედ მოჰყვა ამბავსა
ესდენ გულსაკვდავს, რომ კაცის ყურს ჯერ არ სმენია,
მოჰყვა, მაგრამა გულის ტეხა ემატებოდა
და თანდათანა მოეშოდენ სიცოცხლის ძაფნი.

ამ დროს მომესმა მეორედაც ბუკის ძახილი,
მე აქ წამოველ, გონმიხდილი ის — იქ დავტოვე.

ალბანი

ვინ იყო იგი?

ედგარი

განდევნილი კენტი, ბატონო!
იგი სხვის სახით თავის მეფეს, მასზედ გულგამწყრალს,
თან ახლდა თურმე, როგორც მონა უკანასკნელი....

(შემორბის აზნაური, ხელში სისხლში შესვრილი დანა უჭირავს.)

აზნაური

ვაი, მიშველეთ! ჩქარა! ჩქარა!

ედგარი

რა ამბავია?

ალბანი

ჰსთქვი, რა მოხდა?

ედგარი

სისხლ-შესვრილი დანა რას ნიშნავს?

აზნაური

ჯერ კიდევ სისხლი არ შემშრალა, დანა თბილია!...
ეს ეს არის, რომ გულიდამა ამოართვეს მას....

ალბანი

ვის ამოართვეს გულიდამა?

აზნაური

თქვენს მეუღლესა.
თვით აღიარეს, რომ ჩემი და მე მოვწამლეო.

ედმუნდი

ორივე დასა ქმრობისა მე აღთქმა მივეცი
და ეხლა სამნივ შავ მიწაში დავქორწინდებით.

ალბანი

მკვდარნი არიან თუ ცოცხალნი, აქ მოასვენეთ. —
აჰა, განკითხვა ზენაარი!... ჩვენ ეგ გვაძრწუნებს,
მაგრამ მათდამი სიბრალულს კი ჩვენს გულში არ ჰსძრავს.

(აზნაური გადის).

(შემოდის კენტი)

ედგარი

აი, კენტიცა, ჩვენი კენტი!

ალბანი

დიაღ, ის არის.
ვწუხვარ, დრო არ გვაქვს ღირსებისებრ მივიღოთ იგი.

კენტი

მოველი აქ, რომ ჩემს მეფეს და ჩემსა ბატონსა
სალამი მივცე, მოვახსენო „ღამე მშვიდობის“.
აქ არ ბძანდება?

ალბანი

ვაი, ჩემს თავს, რა დაგვავიწყდა!..
სადა გყავს, ედმუნდ, მეფე ლირი და კორდელია?

(გონერილა და რეგანა შემოაქვთ).

ხედავ ამ ამბავს, ჩემო კენტო?

კენტი

ეს რა მომხდარა!...

ედმუნდი

მართლა რომ ედმუნდ ჰყვარებიათ.... ჩემის გულისთვის
დამ და მოსწამლა და მერე თვითც მოიკლა თავი.

ალბანი

არა, ჰსტყუი შენ!.... წააფარეთ რამ სახეებზედ.

ედმუნდი

სიცოცხლე მიმდის.... ჩემს სიავეს თუმც არ შეჰფერის,
მაგრამ კი მინდა, სიკვდილის ჟამს კეთილი რამ ვქმნა...
ეხლავე კაცი გააქციეთ საპყრობილეში....
ჩქარა, თვარემა მე ბძანება მიცემული მაქვს,
რომე ლირი და კორდელია ორნივ დახოცონ....
სულარას იცდით.... ჩქარა-მეთქი....

ალბანი

ჩქარა, უშველეთ!
ჩქარა, გასწიეთ! ჩქარა! ჩქარა! აგებ მიუსწროთ!

ედგარი

ვისთან წავიდეთ? ვის მიეცი შენ ეგ ბძანება?
ნიშანი რამე გაგვატანე.

ედმუნდი

შენ მართალი ხარ.
აჰა, ნიშნადა ჩემი ხმალი.... ასისთავს მიეც....

ალბანი

ჩქარა გასწიე, თუ სიცოცხლე რადმე გიღირს შენ.

(ედგარი გადის).

ედმუნდი

მე და მეუღლემ შენმა ერთად გადავსწყვიტეთ,
რომ კორდელია ჩამოგვეხრჩო საპყრობილეში...
და ხმა გაგვეგდო, რომ უსასო მწუხარებითა,
მან თვისი თავი თვით მოიკლა...

ალბანი

ღმერთო, დაიხსენ....
ეს კი თვალიდამ მოგვაშორეთ!... ჩქარა, გაიტათ!...

(ედმუნდი გააქვთ).

(შემოდიან ლირი, ედგარი, ასისთავი და სხვანი. ლირს ხელში მკვდარი კორდელია უჭირავს).

ლირი

იგლოვ-იტირეთ! თმა იგლიჯეთ და იქვითინეთ!...
გულის მაგიერ თქვენ ქვა გიდევთ!.... რა კაცები ხართ...
მე რომ მაგვჭენი თვალნი მქონდეს და მაგვდენი ხმა,
ჩემის ღრიალით და ვაებით ცას გავარღვევდი!...
ვიშ, საუკუნოდ განმშორდა მე.... ვიშ, რა ღავკარგე!....
მკვდრისა და ცოცხლის ერთმანერთში გარჩევა ვიცი, —
იგი მკვდარია, მკვდარი არის ვით დედამიწა!....
მომეცით სარკე.... თუ დაორთქლდა.... მაშ, ცოცხალია...

კენტი

აჰა, ეს არის, რომ იტყვიან მეორედ მოსვლას!

ედგარი

ეს ნიშნებია ამა ქვეყნის აღსასრულისა!

ალბანი

ამის მნახველი ბარემც მოკვდეს, ის ურჩევნია!....

ლირი

ფრთა შეანძრია.... არ მომკვდარა.... ჯერ ცოცხალია. —
ოღონდ შენ კიდევ გამიცოცხლდი, ოღონდ ხმა გამე
და რაც ვტანჯულვარ, ყოველივეს ლხინად ჩავითვლი.
(კენტი დაუჩოქებს).

კენტი

ვაიმე, ჩემო ხელმწიფეო!....

ლირი

იქით გამეცა!

ედგარი

ბატონო, ეგ ხომ კენტი გახლავსთ, თქვენი ერთგული.

ლირი

შავსა ჭირსაცა წაულიხართ ყველანი ერთად!..
ეს რა მიყავით, თქვე მუხთალნო და კაცისმკვლელნო!...
რად დამიშალეთ!... სიკვდილიდამ ხომ დავიხსნიდი!....
ვაი, ეხლა კი საუკუნოდ გამშორდა იგი!....
ოჰ, კორდელიავ!... კორდელიავ!.... ნუ გამშორდები!....
ერთს წუთსა მაინც ჩემთან დარჩი.... კიდევ ერთს წუთსა...
რაო, ხმას იღებ?... გენაცვალოს შენ ჩემი თავი!....
იმის ხმა იყო მუდამ წყნარი, ტკბილი, ნარნარი.....
მისებრივი ხმა ქალთათვისა საუნჯე არის...
შენი დამხრჩობი მონა ჩემის ხელით მოვკალ მე!

ასისთავი

მართალი ბძანა, მოჰკლა იგი.

ლირი

განა რომ მოვკალ!...
დრო იყო, როცა მათ ჩემის ხმლით წინ დავიფრენდი,

და როგორც ცხვრებსა გავფანტავდი ერთის შეტევით...
ეხლა დავბერდი.... ამდენ ტანჯვამ ბოლო მომიღო....
ვინა ხარ შენა? მე როგორღაც თვალი ძერევა.

კენტი

თუ ბედს ჰყოლია კაცი ვინმე ზეაღწეული
და მერმე ძირსა დაცემული — აი, ეს არის.

ლირი

თვალთ მიბნელდება.... მე მგონია, რომ შენ კენტი ხარ.

კენტი

კენტი გახლავართ, თქვენი ყმა და მოსამსახურე.
განა არ გახსოვთ, ხელმწიფეო, თქვენი კაიუს?

ლირი

კარგი ყმა იყო; მტრის დახვედრა კარგად იცოდა....
იგი მოკვდა და შავს მიწაში იხრწნება ეხლა.

კენტი

ჯერ არ მომკვდარა, ხელმწიფეო, იგი თვით მე ვარ.

ლირი

მაშ, აბა ერთი ახლო მოდი, კარგად გაგსინჯო.

კენტი

უბედურების თქვენის პირველ დასაწყისიდამ
ამ უკანასკნელს შავს ღღემდინა თქვენ უკან გდევით.

ლირი

კეთილი იყოს ნახვა შენი.

კენტი

ვაი, ხელმწიფევ!....
ყველა კეთილი წარხდა ჩვენთვის.... და ეხლა მხოლოდ
გარს მწყვდიადია, სიკვდილი და გლოვა-ტირილი!
უფროსთა ქალთა თქვენთა თავი თვითვე მოიკლეს
და იმით აქვე თავის თავსა დასდვეს სასჯელი.

ლირი

მართალი არის, მართალია!... სწორედ ეგრეა!....

ალბანი

თვითც აღარ იცის, რა უნდა ჰსთქვას. ტყუილიღაა
ეხლა წარვსდგეთ და თავი ჩვენი მას მოვაგონოთ.

ედგარი

მეტია ჩემო ხელმწიფეო. (შემოდის ასისთავი).

ასისთავი

გრაფი ედმუნდი

გარდაიცვალა.

ალბანი

ეხლა იმის დარდი ვიღას აქვს. —
კეთილშობილნო მეგობარნო და დიდებულნო!
გადაწყვეტილი ჩვენი სიტყვა აწ მოისმინეთ:
რაც ამ დიდებულს ტანჯულს ნაშთსა ეკუთვნებოდეს,
ყოველი იგი მაგათთვისვე მომირთმევია.
ვიდრე ცოცხალა ეგე ჩვენი მოხუცი მეფე,
მაგათ იმეფონ, მაგათ ვუთმობთ ჩვენს ხელმწიფებას.
(ედგარს და კენტს),
თქვენთვის კი თქვენი ღირსება და ხარისხოვნება

გარდმომიცია ჯილდოდ თქვენის ერთგულებისა,
ზედ დამირთვია გულბთადი მადლობა ჩემი,
ქველობისამებრ ერთგულთ მათი ჯილდო მიეცეთ,
ორგულთ კი შესვან სიმწარითა სავსე ფიალა. —
ერთი შეხედე, მაგ საცოდავს რა ემართება!....

ლირი

ჩემი საწყალი ცუგრუმელა აკი დამიხრჩეს!....
აღარ ჰფეთქს იგი სიცოცხლითა!.... აღარ.... აღარა!....
ოთხფეხი ძაღლი, ცხენი, თაგვი უნდა ცოცხლობდეს
და შენ კი!... შენ კი!... ერთხელ მაინც კიდევ ხმა გამე!..
შვილო, წამიხველ?!... თავის დღეში აღარ მომიხვალ?!....
აღარ მომიხვალ!... აღარ.... აღარ.... აღარ.... აღარა!...
ერთი აქ ხრიკი გამიხსენით.... მადლობელი ვარ....
ეს ვინ დავკარგე!... ერთი ნახეთ.... ერთი უყურეთ....
მისნი ბაგენი.... ვიშ, შეხედეთ.... შეხედეთ-მეთქი....

(კვდება).

ედგარი

გულის წუხილი მოუვიდა!.... მეფევ.... ბატონო!....

კენტი

ოხ, გულო ჩემო, რაღას უცდი, რად არ ირღვევი!..

ედგარი

ბატონო, თვალნი გააბილეთ, ზე აიხედეთ....

კენტი

ნუღარ უწვალებთ წვალებულს სულს!.... დეე, განშორდეს!..
მარტო მის მტერი თუ ისურვებს მის მობრუნებას
კვლავ ამ უწყალოს ქვეყანაში სატანჯველადა!....

ედგარი

სული დალია! საუკუნოდ განისვენა მან!...

კენტი

აქამომდე რომ იცოცხლა მან, — რატომ არ გიკვირს?
დღე-ჭარბი იყო, სიცოცხლის წრეს გარდაცილებულ!

ალბანი

მიცვალებულნი გაასვენეთ. — ჩვენ ეხლა გვმართებს
საყოველთაო ტირილი და მგლოვიარება. —
ი·ქვენ, გულითადნო მეგობარნო! აწ მოგანდობთ მე
ჩვენის სამეფოს გამგებლობას და მმართებლობას.

კენტი

გმადლობთ, ბატონო! შორს გახლავართ მეც წასასვლელი...
ჩემი ხელმწიფე წარვიდა და თავისთან მიხმობს...
უარს ვერ ვეტყვი: მე ჩემს ბატონს თან უნდა გავყვე...

ალბანი

ყოველთ-დამთურგნელ დროთ უღელი კისრად ავიღოთ
და უდრტვინველად მწუხარებას ჩვენსას მივეცნეთ.
რაც ამ მოხუცსა ტანჯვა, ჭირი გამოუვლია,
ჩვენებრ ჭაბუკიც ვერც განიცდის, ვერც გამოივლის.

(გადიან. მუსიკა სამგლოვიაროზარს უკრავს).

დასასრული.

[1873 წ.]

ᲡᲐᲠᲘᲐᲜᲘᲡᲗᲐᲘ
ᲓᲘᲔᲡᲜᲘᲐᲠᲗᲐᲘ
ᲔᲡᲜᲘᲔᲡᲜᲘᲐᲠᲗᲐᲘ

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა აკადემიური გამოცემის წინამდებარე ტომში შევიდა დასავლეთევროპული და რუსული ლიტერატურის თარგმანები. ძირითადი ტექსტის დადგენისას ვეყრდნობოდით ავტოგრაფებსა და ნაბეჭდ წყაროებს, რომლებიც ქრონოლოგიურად მითითებულია თხზულებათა პასპორტებში. იქვე ვიძლევით შენიშვნებს ამა თუ იმ თარგმანის ისტორიისა თუ წყაროების შესახებ და ვარიანტულ სხვაობებს. წყაროების ჩამოთვლისას აღნიშნული გვაქვს ხელნაწერი ასლებიც, თუმცა ყველა შემთხვევაში ეს ასლები გადმოწერილი ჩანს ნაბეჭდი წყაროებიდან და ვარიანტული სხვაობები მათ შორის არ აღინიშნება.

ხელნაწერი წყაროები (ავტოგრაფები და ასლები) ძირითადად დაცულია კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში, რომელსაც თხზულებათა პასპორტში აღვნიშნავთ U ლიტერით და გ. ლეონიძის სახ. სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმში, რომელიც აღნიშნული გვაქვს M ლიტერით.

თარგმანები განლაგებულია ქანრობრივ-ქრონოლოგიური პრინციპით. დათარიღებისას ვეყრდნობით პირველ რიგში ავტოგრაფის თარიღებს, შემდეგ ნაბეჭდი წყაროების თარიღს; თუ თარგმანი უთარიღოა, მას ვათარიღებთ პირველი პუბლიკაციის თარიღით და ვსვამთ ოთხკუთხ ფრჩხილებში.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ძირითადი ტექსტის ყველა სქოლიო მთარგმნელს ეკუთვნის.

ვარიანტების ჩვენებისას ვიყენებთ პირობით ნიშნებსა და ლიტერებს, რომლებიც აღნიშნულია წინამდებარე გამოცემის პირველ ტომში.

ჩიტი (გვ. 9)

ხელნაწერი: ავტოგრაფი U № 105 (C), № 108 (D); ასლი U № 217 (F); M № 17501 (E);
ნაბეჭდი: ცისკარი, 1857, № 1, გვ. 7 (B);
თხზულებანი ილია ჭავჭავაძისა, ტ. I, ტფილისი, 1892, გვ. 8-9 (A);
სათაური: პატარა ჩიტი C.
სათაურის ქვეშ: თარგმანი CDE.
ხელმოწერა: თ. ილია ჭავჭავაძე B.
თარიღი: 1856-სა წელსა, ნოემბრის 17-ს ქ. ტფილისი DE. 1857 A. 1856 წ. 11 ნოემბერი, ტფილისი B.—C.

ამ ლექსის ავტორი ცნობილი არ არის. არსებობს ამ თარგმანის ილიასეული სამი ხელნაწერი. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ილია ჭავჭავაძის ფონდის № 105 ხელნაწერი წარმოადგენს ლექსის თარგმანის პირველ რედაქციას. იგი საგრძნობლად განსხვავდება სხვებისაგან და მის ტექსტს იქვე ვარიანტებში ცალკე ვბეჭდავთ. შემდგომში „ჩიტის“ თარგმანის შესწორებული პირი (ავტოგრაფი № 108) ილიას გადაუცია ჟურნალ „ცისკარში“, სადაც იგი დაიბეჭდა 1857 წლის საახალწლო ნომერში. შემდეგ ეს თარგმანი ზოგიერთი ცვლილებებით დაიბეჭდა 1892 წელს „ქართველთა ამხანაგობის“ მიერ გამოცემულ ილიას თხზულებათა პირველ ტომში.

„ჩიტის“ ეს მეორე ვარიანტი იბეჭდება ძირითად ტექსტში 1892 წლის გამოცემის ტექსტზე დაყრდნობით.

9. 3 გავიღვიძებ] განვიღვიძებ BD. 4 ფრთას] ფრთა D, შემოვკრავ] შემოვჰკრავ B. 5 დავჰკრავ] დავკრავ DE. დავუშტვენ] დაუშტვენ DE. 5-6 ღმერთსა ვადიდებ, მსმენელს ვაგიჟებ] მსმენელს ვაგიჟებ, ღმერთსა ვადიდებ D. 8 ვთეს] ვსთეს BD. 9 გამაძღარი ვარ~BED. 12 და ვფრინავ გახარებული] მაწინ, ვარ აღტაცებული BD, გახარებული] აღტაცებული E. 14 და საფრენად ცა განათებული] ცისა ქვეშ ვფრინავ გახარებული BDE. 15 ჩამოვეშვები] შთამოვეშვები D. 16 მშვენიერთ] მშვე-

წიერ E. 18 ვითა] და ვით D. 20 გინდ მიმინო და გინდ შევარდენი] შევარდენივით მალი გამფრენი D, ხშირად მსახურვენ მალვისთვის ხენი BE. 21 გარნა] მაგრამ D.

პატარა ჩიტი

(I ვარიანტი)

ყოვლის უწინარეს მე განვიღვიძებ,
ფრთა ფრთას შემოკრამ, რა თვალს ვახილებ,
დავკრამ, დაუშტვენ, ღმერთსა ვადიდებ,
მშვენიერის ხმით მსმენელს ვაგაჟებ.
უფლისაგან მაქვს საჸმელ-სასმელი,
არცა ვთეს, არც ვმკი, არცა ვარ მხვნელი,
ვარ გამაძღარი, მაქვს მე ყოველი,
მოდი, გაზაფხულო, მე შენ მოგელი.
მიყვარს გაზაფხული მწვანით შემკული
ვცელქობ, მაშინ ვარ აღტაცებული,
სახლი მაქვს მინდვრათ ღვთის მოცემული
და ზეცასაც ვფრინავ გახარებული.
ზეცით მწვანეზედ ჩამოვეშვები,
მშვენიერთ ყვავილთ შორისა ვჯდები,
ხან ტყის, ხან წყლისა პირს მოვეღები.
ვითა ისარი მაზედ გავსხლტები.
ვერვინ მეწევა, ვერც მარდ ცხენზედა,
ვცურავ აერში, ვჯდები ხეზედა,
მაგრამ დამიჭერენ, ვაი, რაზედა —
პატარა ხორბლის კარგ მარცვალზედა.*

ლექსს დართული აქვს შემდეგი შენიშვნა:
„ანუ ეს შეიძლება:

„ვინ მომეწევა, გინდ იყოს ცხენი,
მსახურვენ ხმისა მალვისთვის ხენი,
მაგრამ მიჭერენ მცირეს მახითა,
მიტყუებენ რა ხორბლის მარცვლითა.
ესრეთ ამბობდა ხეზედ მჯდომარე
პატარა ჩიტი, კეკლუც მშტვენარე,
მის წმინდა ხმასა მოეცვა არე,
და ყურს უსმენდა თვით არე-მარე".

ბედა მჭადაგებელი (გვ. 10)

ხელნაწერი: ავტოგრაფი U № 108 (B); ასლი U № 217;
ნაბეჭდი: ცისკარი, 1859, № 1, გვ. 1—3 (C); თხზულებანი ილია ჭავჭავაძისა, ტ. I, ტფ., 1892, გვ. 34—36 (A); ვ. აბაშიძე, ჩანგი, გამოცემა მე-2, ტფილისი, 1892, გვ. 311—314 (D); ვ. აბაშიძე, ჩანგი, გამოცემა მე-4, ბათომი, გვ. 260—262 (E);
სათაურის ქვეშ: გეტესი (AB).
ხელმოწერა: თ. ილია ჭავჭავაძე (D).
თარიღი: 1858 (A); 1857-სა წელსა 23 აღვისტოს, ს. პეტერბურღი (D). 1858 მარიამობისთვის 25-ს. ს. პეტერბურღი (B).

ამ ლექსის ავტორად ილიას მიერ შეცდომითაა მითითებული გეტე (გოეთე) სინამდვილეში ლექსი ეკუთვნის იაკობ პოლონსკის, რომელიც ავტორს 1844 წელს დაუწერია. (იხ. ი. კენჭოშვილის — ილია ჭავჭავაძის ერთი პოეტური თარგმანის გამო, „ლიტერატურული გაზეთი“, 1961, 7 აპრილი).

10. 3 საღამო არის] იყო საღამო BCDE. 4 გარდმოიშალნენ] გარდმაშლილ იყვნენ BCDE. 6 გადმოწვნენ გრძლადა დედამიწაზედ] გატყორცნილ იწვნენ გრძლათა მიწაზედ BCDE. 7 არის] იყვნენ BCDE. 8 მდუმარებს მთა თუ ბარია] ჩუმობდა გარშემო (გარშამო B) არე BCEF. 9 შეჰფარებიან ბუდეს ფრინველნი] სადგომს არიან ფარულ ფრინველნი BCDE. 10 და ხმაურობა მთლად მიმწყდარია] და რაღაც ძილში არს არე-მარე BDE. 11 მხოლოდა] ხოლოთა B. მხოლოდ E, დიდს ხნისანი] დიდ-ხნის მცხოვრებნი E. 19 ირხევიან] ირხეოდნენ BDE. 13 ხავსით მოსილნი წვეტნი კლდისანი] ჭაღარად ქმნილნი დიდრონი კლდენი BCDE. 14 ძირს... გადმოსცქერიან] მოსილნი გინგლით გარმოშვენოდნენ BCDE. 15 ყრმაზედ მინდობილ~BCDE. 19 ქვაყრილსა... რუევით] გარიყულს გზაზედ კანკალით, რუევით BCDE. 19 უსინათლო და... ჩაფიქრებული] ვიდოდა მძიმედ, ჩაფიქრებული, ბრმად ქმნილი ბედა მოხუცებული E.

11. 1 ყრმამ... ხილს] ყრმა იგი, მის წინამძღვარი BDE. 2 დაიღალა..; ატყუებს] იძალა E, დასუსტდა, კენკრათ ჰსურს გემოვნება BCDE, თუ ბედა ჰყვანდა მოსატყუარი+E. 3 რქვა] ჰრქვა E, სვლა აღარ ძალმიძს] მსურს მოსვენება BDE. 4 ღონე... მუხლებს] მე შევისვენებ, გრძელ გზითა ძალ მწყდა BDE. 5 შენ თუ გწადდეს] თუ გსურს BCDE. 6 უქადაგე... დიდება] იწყე შენ ქადაგება BDE.] 7 უკვე] მრავალთა E. მწყემსებმა განახეს] მრავალთა მწყემსთა BDE. 8 შენს გარს ხალხიც] აგერ ხალხიც გზაზედ E, გარს] გზაზედც BD. 9 წვრილ-შვილით დედა-მამანი] შვილებით თვითვე დედანი BDE. 10 უთხარი] უთხარ E, იმათ სწავლა-მო-

ძღვრება] უფლისა, ღვთისა დიდება B; მათ ღვთისა ჩვენის დიდება E. 11 ღვთისა] მის ძის BDE. 13 მსწრაფლ] მყისვე E, სასოებათ] ზენარის BDE, სიწმინდით E. 14 გამოუშუქდა სახე მოხუცსა] მოხუცსა სახე გამოუბრწყინდა BDE. 15—16 და მოსკდა... უკაცურსა] ძლიერის სიტყვით და ხმითა მაღლით ზეციერს აზრსა ნათლად ხედვიდა BDE. 17 ვითარცა] და როგორც E. 18 ამომხეთქი] აღმომხეთქი BE. 19 ისე ნაკადი] ზვირთნი ცოცხალთა B, ცოცხლადა DE. 21 და ზეგარდმო] ზეგარდმოი B. 25 თვით... ნეტარებით] იმ მოხუცს დროს დიდებით E, წარუდგა ცა სრულ მშვენებით BD, თვალწინ წარუდგა ცა თვის მშვენებით E. 26—29 გამოეცხადა მოხუცს... თმასა] ხელნი ცახცახით და მოწიწებით, ზე აღემართა მის თეთრსა თმასა BDE. 30 მთისა... სძრავდა] ცელქი ნიავი ალერსით სძრავდა BDE. 32 აქვნდა+ გამშრალ თვალთაგან ცრემლნი სცვიოდნენ, ცრემლნი სიწმინდის გარდმოსცვიოდნენ E, მხოლოდ] ხოლოთ BE. 33 ჰზეც] მზეცა B. 34 ბინდის... დაჰბერა] მწუხრის სიგრილემ ხეობას ჰბერა BDE.

12. 1 მოკაშკაშდა ცაზედაც მთვარე] მოწმენდილს ცაზედ სცურავდა (მასხლტოდა E) მთვარე BDE. 2 და კლდენი დაჰფერა] და თვის მკრთალ (მცხრალ E) სხივით მთათა დასცქერდა BDE. 4 გუბნება] ეტყოდა E. 5 დროა... გარსა] გუოფნის! წარვიდეთ! აღარვინ არ არს! BDE. 7—8 ყველა წავიდა... გზასა] მზის მაგიერად ვჰვრეტთ მთვარეს მცხრალსა E. 9 შეწუხებული] თავ-ჩაღუნული BDE. 10 თავჩაღუნული] შეწუხებული BDE. 11 კიდამდინ] კიდემდინ E. 12 პასუხად] პასუხათ B.

*** რა ტკბილ არს (გვ. 13)

* * *

ხელნაწერი: ავტოგრაფი U № 108 (B).
ნაბეჭდი: თხზულებანი ილია ჭავჭავაძისა, ტ. I, ქართველთა ამხანაგობის გამოცემა, ტფ., 1892, გვ. 22 (A).
სათაურის ქვეშ: (ვალტერ სკოტი) B,—A.
თარიღი: 1858 A, 1859-სა წელსა, 9-ს თებერვალს, ს. პეტერბურღი B.

ავტოგრაფში (№ 108) სათაურის ზემოთ ილია ჭავჭავაძეს ფრჩხილებში მიუწერია: „ვალტერ სკოტის რომანში „ანტიკვარი“ ეპიგრაფად არის ესე“. ამის შესახებ არაფერია თქმული პ. ინგოროყვას მიერ მომზადებულ ათტომეულის I ტომში (1951), სადაც დაბეჭდილია ეს თარგმანი. ლექსის მეშვიდე სტრიქონში გამომცემლის მიერ შეტანილია სწორება: „ — და ვით ფრინველნი“... ავტოგრაფი და ნაბეჭდი წყარო ამ სწორებას არ ადასტურებს. ვფიქრობთ, რიცხვში შეთანხმება ამ შემთხვევაში აუცილებელი

არ არის და ტექსტს აღვადგენთ ავტოგრაფის და ნაბეჭდი წყაროს მიხედვით.

18. 1 წყვდიად] მწყვდიად B. 7 აღვალს] მაღლობს B, ცაღ] ცათ AB.

ცრემლთა შინა ნუგეში (გვ. 14)

ხელნაწერი: ავტოგრაფი U № 108 (C); U № 212 (A); ასლი U № 217.
ნაბეჭდი: „ცისკარი“, 1859, № 2, თებ., გვ. 93—95 (B).
სათაურის ქვეშ: შილლერისა C.
ხელმოწერა: ილია ჭავჭავაძე B.
თარიღი: 1858-სა წელსა, 12-ს თებერვალს, პეტერბურღი C, თებერვლის 13, 1858 წელსა, ს. პეტერბურღს B, — A.

ცნობილი გერმანელი მწერლის ფ. შილერის (1759—1805 წწ.) ლექსის „ცრემლთა შინა ნუგეშის“ ქართულად თარგმნისას ი. ჭავჭავაძეს იმ დროს არსებული ერთადერთი ვ. ჟუკოვსკისეული რუსული თარგმანით არ უსარგებლია („Вестник Европы“, 1808 г. № 1). მკვლევარ ჯ. გაგნიძის აზრით, ილიამ „ცრემლთა შინა ნუგეშის“ ქართული თარგმანი უშუალოდ გერმანული ორიგინალიდან შეასრულა*.

ავტოგრაფი № 108 წარმოადგენს ლექსის თარგმანის პირველ ვარიანტს, იგი გადაბეჭდილია „ცისკარში“ (1859 წ., № 2) უმნიშვნელო სტილისტური ცვლილებებით. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული მეორე ავტოგრაფი (№ 212) კი ამ თარგმანის შესწორებული რედაქციაა. როგორც სწორად მიუთითებს პ. ინგოროყვა (ტ. I, 1951, გვ. 487), ჩანს, ილიას აღარ აკმაყოფილებდა ლექსის თარგმანის პირველი ვარიანტი და მას თარგმნას მოგვიანებით იგი ხელახლა დაუბრუნდა (ავტოგრაფი № 212). ეს უკანასკნელი ავტოგრაფი, რომელსაც ჩვენ ძირითად ტექსტში ვბეჭდავთ, შეიცავს რამდენიმე გადახაზულ და შემდეგ ჩასწორებულ სტრიქონს. მე-8 სტრიქონში მთარგმნელს ჯერ დაუწერია „მოსთქვამს ტირილით და“, შემდეგ გადაუხაზავს და ზემოდან დაუწერია: „ასე მოსთქვამდა ის“. მე-20 სტრიქონის შემდეგ გადახაზულია ორი სტრიქონი: „წამერთო აწ მე რა სიყვარული, წამერთო ყველა, მომიკვდა გული“. მე-2 გვერდის მე-3 სტრიქონში ჯერ ეწერა: „გულისა წყლულსა“, ეს გადახაზულია და ზემოდან აწერია: „დაკოდილს გულსა“. მე-7 და მე-8 სტრიქონების ბო-

* ჯ. გაგნიძე, ილია ჭავჭავაძის სტუდენტობის პერიოდის ერთი თარგმანის გამო, კრებ. „ევროპული ლიტერატურის ქართული თარგმანები XIX საუკუნის მეორე ნახევარში“, თბ., 1979, გვ. 69—76.

ლო სიტყვები „ურგებად“ და „შეუშრობლად“ გადახაზულია, მაგრამ მის ნაცვლად სხვა სიტყვა არაა ჩაწერილი. ჩვენ აღვადგინეთ გადახაზული სიტყვები. მე-10 სტრიქონის შემდეგ მოდის გადახაზული ორი სტრიქონი: „შემდეგ სიტკბოთა და აღტაცების, მშვენიერისა სიყვარულისა“.

ლექსის „ცრემლთა შინა ნუგეშის“ თარგმანის პირველი კარიანტის „ცისკრია“ პუბლიკაციას ვბეჭდავთ აქვე და ქვემოთ ვიძლევით მის ვარიანტულ სხვაობებს C (№ 108) ავტოგრაფიდან.

ცრემლთა შინა ნუგეში

(შილლერით)

მოღელვენ ზვირთნი, მოჭუხს მდინარე,
ტყე ყრუთ ხმაურობს ორ მხრივ მდგომარე.
გადახრილ წყლისკენ ზის ნაზი ქალი,
უფრო ღელდება მდინარის წყალი.
უფრო სიშფოთით ზვირთი ზვავდება;
უნებურ ცრემლნი ქალის არ მალვით
ორ ნაკადულთა თვალით იღვრება
და მის სიმღერა მოდის წყალსავით;

„დამემსხვრა გული და ეს სოფელი
შეიქნა ჩემთვის სულ ცარიელი;
ბედნიერება აღარ მაქვს ქვეყნათ.
გათავდა, რაც მხვდა ჩემ წილით, მჩედრათ.
დედავ წმინდაო! ოხ, ღვთის მშობელო!
წარმიღე შენ მე ნუგეშმცემელო!
ბედნიერება აწ წუთ სოფლისა
ვცანი ყოველი, კიდეც გათავდა,
ვსცოცხლე ცხოვრებით ამ სიცოცხლისა,
ვიყავ ბედნიერ, კიდეც მიყვარდა“.

— „აფრქვევ ამაოთ ცრემლთ ნაკადულსა,
შენი სატრფო მათ საფლავს ვერ ისმენს,
მითხარ მე, შენსა გულისა წყლულსა
რა გაამთელებს, რაი მოგირჩენს
შემდეგ სიყვარულთ სიტკბოებისა?
მითხარ და ყოველს ვავლენ შენთვისა“.

— „ნება მომეცი, ეგრე ურგებათ
ვღვრიდე ჩემს ცრემლებს შეუშრომელათ.
თუნდ არ ესმოდეს თვის ცივსა საფლავს
ჩემს საყვარელს და გულის მეგობარს.
შემდეგ სიტკბოის და აღტაცების

თვით მშვენიერის სიყვარულისა,
შემდეგ დიდ გრძნობით აღფრთოვანების
არის წამალი ჩემის წყლულისა,
არს უმაღლესი ბედნიერება,
რითაცა ტანჯვა ჩემს გულს ნელდება. —
ეგ — ცრემლნი ჩემნი — მათში ნუგეშს ვგრძნობ,
მათში წარსულის სიცოცხლით ვცხოვრობ!“

თებერვლის 13,
1858 წელსა,
ს. პეტერბურღს

665. 15 ქალის არ მალვით] ქალწულის თვალით C. 16 ნაკადულთა თვალით] ნაკადულათ სქლათა C. 19 შეიქნა] შეიქმნა C. 21 წილით] წილათ C. 25 გცანი] ვსცანი C. 27 ვიყავ ბედნიერი~C. 28 აფრქვევ ამაოთ~C. 29 მათ] მას C. 31 გაამთელებს] გაგიმთელებს C, რაი] და რა C. 35 ჩემს] ჩემ C, შეუშრომელათ] შეუშრობელათ C. 36—37 არ... მეგობარს] თუნდ თვის საფლავში არ ესმოდეს მას, ვინც ჩემს თვალშია ამ ცრემლებს ჰბადავს C. 38 სიტკბოის] სიტკბოთა C. თვით მშვენიერის] მშვენიერისა C.

666. 4 არს] არც C. 6 ნუგეშს] ნუგეშ C. 8 ვცხოვრობ] ვსცხოვრობ C.

სტიროდეთი (გვ. 16)

ხელნაწერი: ავტოგრაფი U № 108 (B); M № 17501 (C); ასლი U № 217.

ნაბეჭდი ცისკარი, 1859, № 9, სექტ. გვ. 3—4 (D).
თხზულებანი ილია ჭავჭავაძისა, ტ. I, ქართველთა ამხანაგობის გამოცემა, 1892 წ., გვ. 23 (A).
ჩანგი, ვ. აბაშიძისა, გამოც. მეორე, თბ., 1892, გვ. 328—329 K.
ჩანგი, ვ. აბაშიძისა, გამოც. მეოთხე, ბათომი, 1900, გვ. 265—266 (E)
ლექსები ილია ჭავჭავაძისა, ტფ., 1904, გვ. 37 (F).

სათაური: ებრაული მელოდია KE.

სათაურის ქვეშ: ლორდ ბაირონით. ებრაული მელოდია BCD. ბაირონით KE.

ხელმოწერა: ილიკო ჭავჭავაძე D, სარჩევში: თარგმანი ი. ჭავჭავაძისა KE.

თარიღი: 1858 წ. A, 1858-სა წელსა, 23-სა თებერვალსა, ს. პეტერბურღი BC, თებერვლის 25-სა დღესა, 1858 წელსა, ს. პეტერბურღი D, — KEF.

18. 6 ვისიც] მათ, ვისც BC. 8 სტიროდეთ... იუდის] სტირდეთ ისრაელთ დამსხვრეულ BC. 9 სადაც] სადაცა DE. 10 იმა] აწ იმ B. 12 რომელ] რომელს BCD, ჰყავთ] ჰყავსთ F. 13 ფეხთ] ფერხთ C. 14 კვლავცა] კიდევ BC. 16 როს კვლავ იუდის] დიდ ისრაილის BC. 17 გაძოაცოცხლებს ისევ იმ] როს გააცოხლებს კვლავ იმა BC. 18 სძგერდნენ] ჰსძგერდნენ B. 19 სვლით მოწყლულითა] მოწანწალითა BC, ძოწანწალეთა D.

17. 3 სამშობლო] მამული B.

ანგელოზი (გვ. 18)

ხელნაწერი: ავტოგრაფი M № 17501.

ჰეშმარიტება (გვ. 19)

ხელნაწერი: ავტოგრაფი M № 17501 (C); U № 108 (B).
ნაბეჭდი: თხზულებანი ილია ჭავჭავაძისა, ტ. I, ტფილისი, 1892, გვ. 21 (A). ივერია, 1899, № 109, გვ. 3 (D).
ა. ს. პუშკინი. თხზულებანი, ტფილისი, 1899, გვ. 87 (E).
სათაურის ქვეშ: პუშკინით (AB).
ხელმოწერა: ილია ჭავჭავაძე (D).
თარიღი: 1858 წელს 27-სა ივნისს, ს. ტიარლევო (ABC); 1858 (A); (-D).

19. 4 კვალს] კვალთ. B. 5 ხსნიდნენ] სხნიდნენ D. 6 აზრს] აზრით D. 12 სილენმა] სილენმან B. ვგონებ] თითქმის E, ბრძენმა] თკითი ბერ E. 13 მხილველმა] მხილველმან B. 14 მობეზრებულმა] მოქანცებულმან B. 17 მთლად] მთლათ B.

წინასწარმეტყველი (გვ. 20)

ხელნაწერი: ავტოგრაფი U № 105 (C); № 108 (D); M № 17501 (B). U ასლი № 217.
ნაბეჭდი: ცისკარი, 1861, № 1, გვ. 130—132 (F). თხზულებანი ილია ჭავჭავაძისა ტ. I, ტფ., 1892, გვ. 32—33 (A). ივერია, 1899, № 109, გვ. 2 (G).
ა. ს. პუშკინი, თხზულებანი, ტფ., 1899, გვ. 85—86 (H).
სათაურის ქვეშ: პუშკინიდგან (F); პუშკინით (A).
ხელმოწერა: ილია ჭავჭავაძე (G).
თარიღი: 1858 (A). 1858 წელსა 28 ივლისს, ს. ტიარლევო (CDF).

20. 3 რა დავდიოდი] რა ვწანწალებდი B. 7 სიზმარნი] სიზმარი H. 11 მერედ] მერეთ D. 20 საქანჯელი] საქანჯელი C.

21. 1 დალოცვილ... შინა] სისხლიან ხელით გასისხლებულში, შთა-მოდგა ბაგეს მან გაყინულში B. 2 მერე] და მან B. 5 ჩემ მკერდში] ღია მკერდს C. 7 აღზდექ] აღსდექ C. 8 წინასწარ — მეტყვო] წინასწარ მთქმელო B. 9 ჩემის ნებითა] ჩემისა ვნებით D. 10 რა.... ზღვათა] ხშელეთთა. ზღვათა D.

*** როცა შევყურებ (გვ. 22)

ხელნაწერი: ავტოგრაფი U № 108 (B); M № 17501 (C).

ნაბეჭდი: თხზულებანი ილია ჭავჭავაძისა, ტ. I, ქართველთა ამხანაგობის გამოცემა, თბ., 1892, გვ. 40 (A).

„ჩანგური“, სპ. ჭელიძის შედგ. ბათუმი, 1904, გვ. 220 (D).

საათურის ქვეშ: ღეინიდამ B C—D.

ხელმოწერა: სარჩევში: თარგმნ. ი. ჭავჭავაძისა D.

თარიღი: 1858-სა წელსა, 22 დეკემბერი, ს. პეტერბურღი BC. 1859 წ. A—*D.

ცნობილი გერმანელი პოეტის ჰაინრიხ ჰაინეს (1797—1856) ლექსების ილიასეული ქართული თარგმანი, მკვლევარ ვ. კავთიაშვილის აზრით, „ორიგინალურიდან შესრულებული ჩანს“. ჰ. ჰაინეს ლექსების ილიასეული ქართული თარგმანების შესახებ ვრცლად იხ. ვ. კავთიაშვილი, ჰაინრიხ ჰაინე ქართულ ლიტერატურაში, თბ., 1978, გვ. 20—40.

22. 2 შენს] შენ C. 3 გმინვა] გრგვინვა BC. 4 ბაგესა] ტუჩებსა BC. 5 სიცოცხლეზე] სიცოცხლეზედ BC. 6 მე ვიხრი თავსა] მოვიხრი თავსა BC. 7 ქვეყნად] ქვეყნათ BC, ვსცხოვრებ] ვცხოვრობ D. ვცხოვრობ C. 9 თვითც] თვით BCD, ვუწყ] უწყ BC, მწარედ] მწარეთ BC.

---

* 1892 წლის გამოცემაში (თხზულებანი ილია ჭავჭავაძისა, ტ. I, ქართველთა ამხ. გამოც.) სარჩევის სქოლიოში მოთავსებულია რედაქციის შენიშვნა „შეცდომით მოგვივიდა, რომ ზოგიერთი ლექსი ამ წიგნში დაბეჭდვის წელიწადით არის აღნიშნული, მაშინ, როდესაც აზრად გვქონდა ლექსები დაწერის წელიწადით აღგვენიშნა. ეხლა ვასწორებთ ამ შეცდომას იმით, რომ სარჩევში ვაჩვენებთ ცალ-ცალკე წლობით — როდის რა ლექსია დაწერილი“. ამ ლექსთან (...„როცა შევყურებ“) დაკავშირებით კი მოხდა პირიქით, ლექსის დაწერის თარიღი (1858 წ.) არ ემთხვევა სარჩევში მითითებულ, რედაქციის მიერ გასწორებულ თარიღს (1859 წელს). ძირითად ტექსტში კი იგი სწორადაა მოთავსებული 1858 წელს დაწერილი ლექსების გვერდით.

*** ლოყით მოეპყარ (გვ. 23)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: ავტოგრაფი U № 108 (B); M № 17501 (C).

ნ ა ბ ე ჭ დ ი: კრებული, 1871, მესამე წიგნი, გვ. 118 (D).
თხზულებანი ილია ჭავჭავაძისა, ტ. I, ქართველთა ამხანაგობის გამოცემა, 1892, გვ. 143 (A).
ვ. აბაშიძე, ჩანგი, გამოც. მე-2, 1892, გვ. 279 (F).
ვ. აბაშიძე, ჩანგი, გამოც. მე-4, 1900, ბათუმი, გვ. 245 (K).
ჩანგური, შედგ. სპ. ჭელიძის მიერ, ბათომი, 1904, გვ. 173 (E).
სალამური, შედგ. სპ. ჭელიძის მიერ, ბათომი, 1904, გვ. 13.

ს ა თ ა უ რ ი ს ქ ვ ე შ: ღეინიდამ BC, ღეინედამ D, ჰეინედან E, ჰეინედამ K.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: ***D, თარგმ. ი. ჭავჭავაძისა E.

თ ა რ ი ღ ი: 1858-სა წელსა, ს. პეტერბურღი B, 1858-სა წელსა, დეკემბერი, ს. პეტერბურღი C, 1863 წ. A*.

ჰ. ჰაინეს ამ ლექსის შესახებ იხ. ვ. კავთიაშვილის დასახელებული ნაშრომი.

28. 3 რომ] დე C, ჩვენნი] ჩვენი C, ერთად] ერთათ BCD, შეერთდნენ] შეერთდენ E. 4. მოეკარ] მიეკარ C, მოეპყარ BD, ჩემს] ჩემ CE. 5 რომ] დე C, ერთის ცეცხლით ორნივ] ორნივ ერთის ცეცხლით E. 6 როს] რომ B, როს იმ] იმავ E. 8 გადაგეხვევი] გარდაგეხვევი E. გადაგეხვევი რა ორივ] მე მაგრათ მოვხვევ შენს ტანს რა B, მე მაგრათ შენს ტანს მოვხვევ რა C.

*** ჩრდილნი მაღალ მთებისა (გვ. 24)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: ავტოგრაფი U № 108 (B); M № 17501 (C).

ნ ა ბ ე ჭ დ ი: თხზულებანი ილია ჭავჭავაძისა, ტ. I, ქართველთა ამხანაგობის გამოცემა, ტფ., 1892, გვ. 48 (A).

ს ა თ ა უ რ ი ს ქ ვ ე შ: რუკერტით BC.

თ ა რ ი ღ ი: 1859-სა წელსა, 19-სა იანვარს, ს. პეტერბურღი B, 18 იანვარს, 1859, პეტერბურღი C, 1859 A.

---

* ჰ. ჰაინეს ეს ლექსი 1892 წლის გამოცემაში (ტ. I) მოთავსებულია 1871 წელს დაბეჭდილი ლექსების გვერდით. ხოლო სარჩევში დაწერის თარიღად კვლავ არასწორადაა მითითებული (1863 წ.). დამატებით იხ. ჩვენი გამოცემის გვ. 668.

რიუკერტი ფრიდრიხ (ნამდვ. გვარი ფრაიმუნდ რაიმარი, 1788—1866) გერმანელი პოეტი, დრამატურგი და მთარგმნელი. ი. ჭავჭავაძემ გადმოაქართულა მისი „მგზავრის მწუხრისეული სიმღერა“ (1833), რომელსაც თარგმანში ეწოდება „ჩრდილნი შაღალ მთებისა“.

24. 3 წყალზე] წყალზედ BC. 5 თეთრად] თეთრათ BC. 6 დაღლილად] დაღლილათ BC, ჰსცემს] სცემს B. 7 მკერდში სუსტად გული] სუსტათ გული მკერდში C, სუსტად] სუსტათ B. რარიგად] რარიგათ BC. 9 მაგრად] მაგრათ BC, მივაპყრობდი მკერდს] მოვხვევდი მე ხელს C. 12 მაგრამ] მარამ B.

*** მეცა მჭონია (გვ. 25)

ხელნაწერი: ავტოგრაფი U № 108 (B); M № 17501 (C).
ნაბეჭდი: თხზულებანი ილია ჭავჭავაძისა, ტ. I, ქართველთა ამხანაგობის გამოცემა, 1892, გვ. 144 (A).
კრებული, 1871, წგ. 4, გვ. 128 (D).
ი. გოგებაშვილი, ბუნების კარი, ტფ., 1906, გვ. 287 (E).
ი. გოგებაშვილი, ბუნების კარი, ტფ., 1907, გვ. 266 (F).
სათაურის ქვეშ: მიბაძვა ღეინისადმი B, მიბაძვა ჰეინისადმი (C), მიბაძვა ღეინესადმი (D), ჰეინესი (E), ჰეინედან (F).
ხელმოწერა: ილია ჭავჭავაძე (EF), ***D...
თარიღი: 1859-სა წელსა, 19-ს იანვარსა, ს. პეტერბურღი (BC), 1863*(A) — (EFD). ჰ. ჰაინეს ამ ლექსების შესახებ იხ. ვ. კავთიაშვილის ზემოთ დასახელებული ნაშრომი (ჩვენი გამოცემის გვ. 668).

25. 3 სუფევდა] სცხოვრობდა BCD. 5 კიაესე] კიაესე არს C. 7 სცხოვრობდნენ] სცხოვრებდნენ CD. 8 ღია ჰქონიათ მაშინ] თურმე გაეღოთ მაშინ BD, თურმე ეპოვნათ ძმობით C. 9 კიაესე] კიაესე არს C.

ჭაჭი-აბრეკი (გვ. 26)

ხელნაწერი: ავტოგრაფი U № 108 (C);
ნაბეჭდი: ცისკარი, 1860, № 11, გვ. 311—335 (B); თხზულებანი ილია ჭაჭავაძისა. 1892, ტ. I, ტფ., გვ. 49—70 (A).

---

* ჰ. ჰაინეს ამ ლექსის თარიღიც 1892 წლის გამოცემის სარჩევში არასწორადაა ნაჩვენები (1863 წ.) იხ. ჩვენი გამოცემის გვ. 668.

საათაურის ქვეშ: ლერმონტოვით (C). ლერმონტოვისა (A).
თარიღი 1859-სა წელსა, 16 მარტსა. ს. პეტერბურღი (BC); 1859 (A).

ეს არის მ. ლერმონტოვის პირველი ნაწარმოები, რომელიც დაიბეჭდა ავტორის ხელმოწერით. («Библиотека для чтения» № 8, 1835). პოეტის ახლო მეგობარი ა. შან-გირეი იგონებს, რომ ნიკოლოზ იურევი, რომელიც სწავლობდა ლერმონტოვთან ერთად იუნკრების სკოლაში, დიდხანს არწმუნებდა მას, დაებეჭდა თავისი ლექსები. იურევმა პოეტისაგან მალულად «Библиотека для чтения»-ს რედაქტორ სენკოვსკის გადასცა პოემა „ჰაჯი-აბრეკი“, როგორც სხვა წყაროებიდანაც ხდება ცნობილი, პოემა დაიწერა 1833 წელს.

მ. ლერმონტოვმა პოემაში გამოიყენა სახელები, რომელიც მას კავკასიაში განაგონი ჰქონდა ჯერ კიდევ ბავშვობიდან. „სახელოვანი ბეი-ბულათი, კავკასიის რისხვა“ — ასე დაარქვა ჰუშკინმა ცნობილ ჩეჩენ მხედარს ბეი-ბულათ თაიმაზოვს თავის თხზულება: „მოგზაურობა არზრუნში“. ბეი-ბულათმა მოკლა კუმიხი თავადის სალათ-გირეის მამა და მისი მოსისხლე მტერი იყო. რამდენიმე წლის შემდეგ იგი მოკლულ იქნა თავისი მტრის მიერ. ეს მოხდა 1831 წელს. მ. ლერმონტოვს ნათესავების მონაყოლიდან, რომლებიც ჩამოდიოდნენ კავკასიაში, შეეძლო მოესმინა ეს ამბავი. საფიქრებელია, რომ მან აულ ჯემაათის სახელიც ასევე გაიგო.

პოემის ი. ჭავჭავაძისეული თარგმანის სამი ავტოგრაფი არსებობს და თითოეული მათგანი საკმაოდ მნიშვნელოვან სტილისტურ სხვაობას შეიცავს. პირველი ვარიანტი, რომელიც დასრულებულია 1859 წლის 16 მარტს, ილიას უთარგმნია პეტერბურგში სტუდენტობის დროს (ილიას ფონდი № 108 S: 4993, გვ. 67—95).

შემდგომში „ჰაჯი-აბრეკი“ დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკრის“ 1860 წ. № 9-ში გვ. 311—335. აქ მთარგმნელს პირველ ხელნაწერ ვარიანტთან შედარებით შეუტანია ზოგიერთი სტილისტური ხასიათის ცვლილება.

1892 წელს ეს პოემა დაიბეჭდა „ქართველთა ამხანაგობის“ მიერ გამოცემულ ილია ჭავჭავაძის თხზულებათა პირველ ტომში. ამ ნაბეჭდ წყაროშიც პირველ ორ ვარიანტთან შედარებით შეტანილია ახალი ცვლილებები.

ჩვენს გამოცემაში თარგმანი იბეჭდება 1892 წლის გამოცემის მიხედვით.

ვა 6 სდგას] დგას BC. 8 გამოწთულები] მოკალულები B. 8 აქვთ] აქვსთ B. 15 ჰბოლავს] ბოლავს B. 16 შავად] შავათ BC. 16 მოსჩანს] მოჩანს B 17 უძრავად] უძრავათ C.

27. 3 ჰსურთ] სურთ B. 4 ხელახლად] ხელახლათ B. 5 მოსატაცებლად] მოსატაცებლათ B. 7 იმ სამსხვერპლოდა სატკბო] ჭათვის სანატრელ დიდ ხნის C. 7 სამსხვერპლოდა] სამსხვერპლოთა B. 8 ნაობთ] უზ-

დენთ C. 8 ჰკრთება] სჩნდება BC. 9 მხოლოდა] ხოლოთა BC. 11 ჰზის] ზის B. 16 მიმოვიდოდნენ] წხირათ დარბოდნენ BC. 16 შეწუხებულად] შეწუხებულათ B. 21 მოჰმადლა] აჩუქა BC. 24 ვდგევარ მარტო] მარტო ვსდგევარ C. 24 ვდგევარ] ვსდგევარ B. 25 ვითა] ვით C. 25 მინდეოპ შორის — C. 26 ვაი] აი C. 29 სცემს და ჰრბის] ხანდახან ორბის C. 29 ჰრბის] რბის B. 33 მე ჩემსა] საყვარელ C.

28. 2 ქვეყნად] ქვეყნათ B. 5 იგი უთუოდ~ C. 5 უთუოდ] უთეოი B. 9 იმ უკანასკნელ ჩემის ქალითა] ერთი ქალიღა უბედურს დაჰრჩა C. 9 ჩემის] იმ ჩემ B. 10 საცხოვრებლად] საცხოვრებლათ B. 11 სამღთოსაითა] სამღრთოსაითა B. 12 ჩემის სიბერის სანუგეშებლად] ჩემ სიბერისა სანუგეშებლათ BC. 15—16 უდაბნოს წამყვნენ... რტო] თოფიც თან წამყვა ჩემი ერთგული C. 16 რტო] შტო B. 19 ჩემ სასაწყლის] იქ ყოველ ფეხს C. 20. შევეჩვივე] შევეჩვივე B. 20 მე] იქ C. 20 დიაღ] ძრიელ C. 23 მაგრამ] მარამ B. 24 გაჰჭრა] გაჭრა B. 27 ანგელოზი] ანგელოსი B. 29 მესმა] მესმის C.

29. 3 შევსტყორცე] შევსტყორცნე B. 6 პირველად] პირველათ B. 1—6 ვიხმე... იქ მიღალტა] გამოუყენე მას წყევლა უკან ტყვიაც მდუღარე მივიტანე თან. ოხ! ეს მეორე უკან მდევარი — რათარ წამოსწვა ტყვია მდუღარი!... C. 5 ერთგულმა] ჩემ ერთგულ B. 6. პირველად] პირველათ B. 9 ჩემის სიბერით] ჩემ სიბერითა BC. 10 ჩემის მტრის] ჩემ მტრისა B. 11 ვამბობ] კანბობ B. 14 გადასრესილი ეთრევა] გაჭყლეტილი და არამკვდარი C. 15 წყეულ] მტანჯველ C. 18 სახელი] სახელიც C. 20 თქვენში... ქალსა] და ვინ მომგვრის მე საყვარელ ქალსა C. 20 მომგვრის] მამგვრის B. 24 მსწრაფლ] მყის C. 27 თვის... უშიშარს] უბრალოთ ჰპკის უშიშარს C. 28 ამაოდ... არ შეუდგამს] თვის ცხენზედ ფეხი ჯერ არ შეუდგავს C. 28 ამაოდ] უბრალოდ B. 32 ძლიერს] ძრიელ B. 34 ლაქვარდოსან] სილაჟვარდით C. ლაჟვარდიან B.

30. 1 აღმოჩნდნენ+დაგვირგვინებულ ყინვით ბრწყინაკნი B. 4 მთანი] მათნი B. 8 ეგრედ] ესრეთ BC. 10 ფშვენდა] დილა C. 12 მხედარი მთისა] ვიღაც ჩერქეზი B. 13. მზისა] მზესი C. 18 ჰცვიოდა] ცვივოდა B. 28 მწუხარედ] მწუხარეთ B. 32 ერთად] ერთათ B. 30. ჰრიჰინა] მჰრიჰინე B. 33 მუნით] იქიდამ BC. 33 ვით] როგორც DC. 33-ე გაშლილსა] ისა C. 33 თვისსა... გაშლილსა] როგორც თვის ფეხქვეშისა B.

31. 3 დაქანებულ] გადმოგრეხილ B. 10 თვალთა წინ] თვალ-წინა BC. 11 მიიკლაკნოდა] იგრიხებოდა BC. 9 გაგრძელებული] გაგძელებული B. 12 დარდიანადა] დარდიანათა B. 14 ჭალო] ტურფავ C. 13 ცისკარო ნაზო] ცისა ლამპარო B. 13 ჭალო ლამაზო] ნაზო ცისკარო B. 15 მინაზებულ საოცარ ზრუნვით] მშვენიერ ნაზ მზრუნველობით C. 16 ემაგ დუმილით და ემაგ ურვით] მაგ ტანჯვითა და ემაგ გრძნობით C. 18 ომიდამ] ბრძოლიდამ B. 21 დასაცემადა] დასაცემათა B. 24 დაგიხსნა] დაგისხნა

B. 25 მაგ] და BC. 26 ნათელნი] ბრწყინავნი C. 30 ჰლამიან] ითხოვენ BC. 32 გრძნეულ] დამატებელ C. 32 ეტანებიან] იხმობენ C.

32 3 უბრძვის] ელტვის B. 3 გადასახდელად] გადასახდელათ B. 4 ჰოი] მი B. 8 ადვილად] ადვილათ B. 12 პირველად] პირველათ B. 12 ხედავს] ხედავდა B. 12 იმასა] იმას B. 12 იგი] და C. 12 იმას] მასსა C. 16 მზად] მზათ B. 17, რად] რათ B. 22 როგორც] აგრეთ C. 25 რაღადა] რაღათა B. 25 ჰზიხარ] ზიხარ B. 24 იცდი] სდგეხარ C.

33. 2 უცხო] უცნობს C, 3 დიდმა] ძლიერ BC. 4. სამაგიეროდ] მის სამაგიეროთ BC. 4 საყვარელ] ღამაზსა C. 7—8 ვიშ . . . ხანსა] როგორ? ვახსოვართ განა მამაჩემს? ნუთუ საბრალო ეელარ მივიწყებს C. 7 ვიშ] ვით B. 15 იგი — C. უჩემოთა] მწუხარებით C.

34. 4 როგორაც] როგორც B. 11 ჰზის] ზის B 14 მართლადაც] მართლათაც B. 14—15 რა . . . შუბლის] მის სასტიკ შუბლზედ რა ოიგ იძვრება შეკეცილება დაჰმჭვნილება B. 19 ჰსურს] სურს B. 21 დაჰკრა] ჩაჰკრა B. 22 ჰთამაშობს] თამაშობს .B. 24 ჰთროიან] თრთიან B. 25 ცხოველ ყმაწვილურ აღტაცებითა] და გასაოცარ ყმაწვილურითა C.

35. 1 ხან მკლავთ გადიწვდის სულ გადიხრება, ხან მარდათ უკლის და ხან შედგება — A. 2 იგი] და C. 2 ტრიალებს] ტრიალებდა C. 2 სტუმრისა] მის C. 5 თეთრის ხელებით] თეთრ-ხელებით C. 5 იცილებდა] იცილებდა C. 5 თეთრის] თეთრი B. 7 დიდ ხანს თვის ზემო] თავზედა დიდხანს C. 8 და+თვის C. 9 მშვიდად] მშვიდათ B. 10 უსიტყვოდ] უსიტყვოთ B. 19—20 ნუთუ . . . აღმაშფოთრად] მითხარ მე: ნუ თუ შენს სიცოცხლეში სიკვდილზედ ფიქრი არა გწვევია და მისგან სულ არ შეგშინებია? C. 19 ნუთუ] რქვი B. 19 მარქვ! ნუთუ არასდროს სიკუდილი ფიქრათ B. 22 ერთს] ერთ B. 24 რად] რათ B. 25 ქვეყნად] ქვეყნათ B. 27 ეროს კიდევ ~C.

36. 1 სამშობლოსთვის] სამშობლოზედ B. 2 ცისთვის] ცაზედ ცაზე B. 4 ნეტა რისთვისა] მითამ რათაო C. 5 მე . . . მხიარულება] უფრო მაქვს შვება, მხიარულება B. 14 სწრაფად] სწრაფათ B. 14 დაფრთხება] დაფთხება B. 9 გულს . . . მამული] გულისთვის კია არ არის მამული C. 18 ვუყვარვართ] უყვარვართ B. 21 ქვეყნად] ქვეყნათ B. 30 კაცისთვის] კაცთათვის C.

37. 1 მოუკვდება] კაცს დაუნაქეს C. 7 გვაძლევს] მოვეცემს B. 15 უთუოდ] უთუოთ B. 17 მომიკვდა] მამიკვდა B. 17 უსახელოდ] უსახელოთ B. 20—21 როცა . . . მტრობა] როს საწყალს ედგა თვალწინ სიკვდილი, მაშინ თვის მტრობა და თვისი სისხლი C. 22 მე] და BC. 24 მზად] მზათ 24 დასაცემადა] დასაცემათ B. 25 დასანთხევადა] დასანთხევათა B. 26 მაგრამ] მარამ B. 27 ერთ] ერთს B. 28 ტანჯვად] ტანჯვათ B. 27 სიკვდილი რაა] რა არს სიკვდილი BC. 30 უთუოდ] უთუოთ B. 30 ქვეყნად] ქვეყნათ B.

38. 2 მისსა] მისა B. 3 დანთქამს] დანსთქამს B. 4 აჰა] ბოლოს BC.

5 შენმა] შენსა BC. 14 ჩემ] ჩემს B. 15 თამამად] თამამათ B. 19 აფრქვევს] აბრქვევს B. 21 უწყალოდ] უწყალოთ B. 24 დასცინი] დამცინი B. 24—25 უცოდველისა... თვალში] შენ წინა ვსდგევარ სულ უბრალულის! ნუ თუ უცოდველის ცრემლთ საკადული არა რათ გიჩანს შენ შენსა თვალში B. 29 ოჰ, შემიბრალე] შემიბრალე მე C. 31 მითხარ] მარქვი BC. 31 იქ ცრემლსა] ცრემლსა იქა B. 31 რარიგად] რა რიგათ B. 31 ჰღვრიან] ღვრიან B. 33 აგინთო] აღგინთო B. 34 ადრე ... სიკვდილი] რისთვის მიგზავნი ყმაწვილს სიკვდილსა C.

39. 6 როსმე] შენ დროს B. 10 არა სჩანს] სჩანს არც BC. 12 მკარგავ] მკარგამ BC. 13 მკლავ] მკლამ B. 17 სწრაფად] სწრაფათ B. 27 უეცრად] უეცრათ B. 28 მიჰქროდა, ჰხტოდა] იგრიხებოდა B. 29 ცრთხოდა] ფთხოდა B. 30 წასართმევდა ... თავსა] და გაიშლიდა შხირსა ფაფარსა BC. 32 აჭაფებული] აღჭაფებული B.

40. 1 ჰქრება] ქრება B. 4 ღრუბლები ბნელი] ღრუბელნი ბნელნი B. 4 ქინქღლიანი] ქინქლიანი B. 5 ჯგუფად] ჯგუფათ B. 6 ბნელ] ბნელს B. 7 შავად] შავათ B. 7 ბუჩქებსა] ფუჩქებსა B. 8 ჰრბის] სრბის B. 8 ფრადა] ფრათა B. 10 ქაფადა] ქაფათა B. 19 მაგრამ] მარამ B. 21 მშიშრადა] მშიშრათა B. 23 გალესილი] გაქლესილი B. 26 ბევრჯერ] ბევრჯელ B. მიწმინდავს] მიწმინდამ B.

41. 2 ამხანაგო] ამხანაკო B. 5 ჰქშენ] ქშენ B. 5 მძიმედ] მძიმეთ B. 3 რატომ ... მალე] უწინ სიცქვიტით შავარდნის მზგავსო C. 2 მრქვი] აწ C. 5 რადა ... ქვეშა] რომელ დღის აქეთ გამომეცვალე C. 5 მძიმედ] მძიმეთ B. 8 ვერცხლად] ვერცხლათ B. 9 ველს] ველ B. 9 მთებში ველს] მწოლელს] ველს მთებში მწოლელს C. 12 სიოზე] სიოში B. 13 დაკინახავთ] დავინახათ B. 14 ჯოგის] ჯოგისა B. 17 მაგრამ] მარამ B. 22 მშვიდადა] მშვიდათა B. 24 მუნჯ] ყრუ B. 25 უძრავად] უძრავათ B. 26 გრძელ] გძელ B. 29 სიფრთხილითა] სიფთხილითა B. 28 შორს გაწვდილს] შორეულს BC. 31 ამხანაგსა] ამხანაკსა B.

42. 1 ჰფიქრობს] ფიქრობს B. 2 უთუოდ] უთუოთ B. 8 მძიმედ] მძიმეთ B. 8 ჰგრძნობდა] გრძნობდა B. 10 ოდეს] როს ის BC. B მაგრად] მაგრათ B. 13 მიიკრავს მკვდარს] მიიკრამს მკვდარ BC. 17 ძალა] ძალი B. 16 ერთსა] და ერთ BC. 17 სრულიად] სრულად B. 21 უეცრად] უეცრათა B. 23 სიკვდილის დღისა] ბნელ სიკვდილისა BC. 25 სწრაფად] სწრაფათ B. 29 უყურებს... გაუკვირდა] იმარხავდა რა ბნელ სიჩუმესა ჰაჯი იმ ლეკზედ სულ არ გაკვირდა BC.

43. 1 გავიდა] წარვიდა BC. 5 იმათ შუბლზედა] და იმათ შუბლზედ B. ნათლად] ნათლათ B. 7 ორივე] ორივ BC. სისხლში] სისხლითა BC. მოსვრილნი] გადასხმულ BC. 8 მაგრად] მაგრათ B. 9 მეგობრად] მეგობრათ B. 11 მხოლოდ] ხოლოთ B. 12 ესე კი ეჩვენათ] ეჩვენათ იმ საწყალ B. 12 იმ საწყალს — A. 13. ზოგჯერ] ხანდისხან BC. 15 მდიდარი... მათი] ბაშლაყი მათ ქუდთ ეფარებოდა BC. 14 ემუქრიან] ემუქროდნენ BC. 18 და მეორეს კი] მეორეს კია B.

კართა თანა (გვ. 44)

ხელნაწერი: ასლი IJ № 217.
ნაბეჭდი: ცისკარი, 1859, № 12*, გვ. 279—280 (B).
თხზულებანი ილია ჭავჭავაძისა, ტ. I, ქართველთა ამხანაგობის გამოცემა, ტფ., 1892, გვ. 46 (A).
ვ. აბაშიძე, ჩანგი, თბ., გამოცემა მე-2 1892, გვ. 279—280.
ვ. აბაშიძე, ჩანგი, ბათომი, გამოც. მე-4, 1900, გვ. 246 (C).
სათაური: კარებებთან (B).
სათაურის ქვეშ: რუკერტით (B).
ხელმოწერა: ილია ჭავჭავაძე (B).
თარიღი: 1859 წელსა, 26 ივლისს, ტფილისი B, 1859 (A).

44. 3 ვარაკუნე] ვარახუნე B. 5 მიუველ] მიუელ B, მიველ C. 6 გუგუნებდა] ჟუჟუნებდა B. 7 სცხოვრებს] ცხოვრებს B. 10 საშიშრადა] საშიშრათა B. 11 ქვეყნად] ქვეყნათ B. 13 ზარსა] სარსა B. 15 უთუოდ] უთუოთ B.

მწირი (ნაწყვეტი) (გვ. 45)

ხელნაწერი: ავტოგრაფი U № 108 (A). M № 7989 (B).
სათაურის ქვეშ: ლერმონტოვით (AB).
თარიღი: — (AB).

ციცაბი კლდე (გვ. 51)

ხელნაწერი: ავტოგრაფი U № 108 (A); M № 17501 (ორი დასრულებული ვარიანტი) (BC).
თარიღი 4 აგვისტო (ABC).
სათაური „კლდე“ (BC).

1 სუბუქმა] ლამაზმა C. 2 ახოვან... გულზედა] დიადის კლდისა მაგარ გულზედა BCD. 3 გაჰკრა... მხიარულმა] ადრე გაუდგა გზასა C. ადრე გაჰკრა სუბუქმა D. 4 მიმოთამაშით] მიმოთამაშე C. 5 მის... ბეჭდადა] კი დარჩა მოხუცისა კლდის C. კი სველი კვალი ბეჭდადა D. 6 დარჩა... ნახეთქში] ნახეთქში მისგან სველი ნავალი C. 7 იგი] კლდე D. 8 სივერანეში] სავერანებში B. ის უდაბნოში D.

---

* პ. ინგოროყვას მიერ გამოცემული ათტომეულის I ტომის შენიშვნებში შეცდომით არის მითითებული „ცისკარი“, 1859, № 11. თარგმანი დაიბეჭდა „ცისკრის“ მე-12 ნომერში.

სიზმარი (გვ. 52)

ხელნაწერი: ავტოგრაფი U № 108 (B); M ავტ. № 17501 (E); ასლი U № 217.

ნაბეჭდი: საქართველოს მოამბე, 1863, № 4, გვ. 80 (D).
თხზულებანი ილია ჭავჭავაძისა. ტ. I, 1892, ტფილისი, გვ. 89—90 (A).

სათაურის ქვეშ: ლერმონტოვით (BD); ლერმონტოვისა (A).

თარიღი: 1860 (A). 4 აგვისტო, 1860 წ. პავლოვსკი (B); 4 აგვისტო (E); 4 აგვისტო 1860 (D).

52. 3 ქვეშე] ქვეშა BDE. 4 ვეგდე... მსხვერპლად] ვიყავ მლოდნელად BD. ნაკრავი მე ვეგდე უძრავად E. 5 ორთქლად] ოხშივარით BDE. 5 ჩემი] ჩემს E. 5 წყლული] წყლულით E. 5 რადმე აბოლდებოდა] ამოდიოდა E. 7 დიდროვან] დიდრონ D გარშამო E. 8 წვეტიან] წკვეთილი E. 8 თავთ] თავთა E. 12 მხარეს] მხარზედა BD. 12 ტკბილსა მხარესა] ნანატრ ველზედა E. 13 ჰქონდათ ქალებსა] იქ ყმაწვილ ქალებს მხიარული, გალაღებული, ჰქონდათ ბაასი, ლაპარაკი ჩუმი ჩემზედა BD. ყმაწვილ ქალებსა მხიარული, გალაღებული, ჰქონდათ ბაასი, იქ ლაპარაკი ჩუმი ჩემზედა E. 15 ხოლო] მაგრამ DE. 16 ერეოდა] ერევოდა D. 17 მწუხარე... წაეღო] მჭმუნვარ სიზმარში B. 17 მწუხარე სიზმარს] მწუხარ სიზმარში E.

წინასწარმეტყველი (გვ. 54)

ხელნაწერი: ავტოგრაფი M № 17501 (E); U № 108 (C); ასლი U № 217.

ნაბეჭდი: ცისკარი, 1861, № 1, გვ. 132—133 (D).
თხზულებანი ილია ჭავჭავაძისა, ტ. I, ტფილისი, 1892, გვ. 87—88 (A).

სათაურის ქვეშ: ლერმონტოვიდან (CD); ლერმონტოვისა (A).

ხელმოწერა: თ. ილია ჭავჭავაძე (D).

თარიღი: 4 აგვისტო, 1860 წ., პავლოვსკი. (CD); 1860 (A).

54. 3 მეფობს] სჯის E. 5 ხოლმე] ხშირად E. 10 შმაგად] მკაცრად E. 11 თავს წავიყარე ნაცარი, ფერფლი] ზედ წარვაყარე ჩემს თავსა ფერფლი ED. შევბღერტე მტვერი მე თავსა ჩემსა E. 13 ვცხოვრობ] ვსცხოვრობ C. როგორც ფრინველი] სავერანესა E. 14 უფლის საზრდოთი მე უდაბნოსა] მაცხოვრებს ღმერთი საუდაბნოსა და აჰა ვსცხოვრობ სავერანესა, ვით ფრინველს ღმერთი მაძლევს საზრდოსა E. 15 ასრულებენ] აღსრულებენ. C. 16 მიწიერნი] ქვეყნიერნი E. 17 კი მე მმორჩილებენ] იქ მე მისმენენ E.

55. 3 მოხუცნი] ცხოვანნი E. 4 ცბიერ] მზაკვარ E. 6 ეგ ამაყია] ამაყი არი E. 9 ემაგ ბედშავსა] მაგ ფერ მკრთალსა CE. 10 რა პირქუშია, მოუსვენარი] რა მწუხარეა, გლახა, გამხდარი E. 12 სძულთ] ჰსძულთ CD.

*** ზღვათა მფლობელის (გვ. 56)

ხელნაწერი: ავტოგრაფი U № 108 (B); ასლი U № 217.
ნაბეჭდი: „საქართველოს მოამბე", 1861, № 9 (C).
თხზულებანი ილია ჭავჭავაძისა, ტ. I. ქართველთა ამხანაგობის გამოცემა, თბ., 1892, გვ. 132 (A).
ვ. აბაშიძე, ჩანგი, გამოც. მე-2, თბ., 1892 (D).
ვ. აბაშიძე, ჩანგი, გამოც. მე-4, ბათომი, 1900, გვ. 216 (E).
სათაურის ქვეშ: ანდრე შენიედამ (EC),—(B).
ხელმოწერა: მთარგმნ. ი. ჭავჭავაძე (E).
თარიღი: 1861 A,—(BE).

ძირითადი ტექსტის ორივე სქოლიო არ არის EB წყაროებში.

ფრანგი მწერლის ანდრე შენიეს (1762—1794) ამ ლექსის ილიასეული თარგმანი შესრულებულია ვ. ტუმანსკისეული რუსული თარგმანიდან. ამის შესახებ ვრცლად იხ. მ. იამანიძე, ანდრე შენიეს ერთი ლექსის ილია ჭავჭავაძისეული თარგმანის გამო, კრიტიკა, 1984, გვ. 185—190.

56. 2 მფლობელის ვენეტიკის] მფლობელის ვენეციის BC. 5 ჰმღერს] მღერს BC. 6 უფასოდ ჰმღერის] უფულოდ მღერის B, ჰმღერის] მღერის C. 7 სცნობს] ჰსცნობს BC. 8 არცა სახელს] არც სახელსა B. 11 შეუშინებლად] და უდარდელად B. 13 მშფოთვარი] მშფოთარე E.

ირლანდიისადმი (გვ. 57)

ხელნაწერი: ავტოგრაფი U № 108 (B).
ნაბეჭდი: კრებული, 1872, № 7, გვ. 100—101 (C).
თხზულებანი ილია ჭავჭავაძისა, ტ. I. ქართველთა ამხანაგობის გამოცემა, ტფ., 1892, გვ. 171—172 (A).
ვ. აბაშიძე, ჩანგი, გამოც. მე-2, თბ., 1892, გვ. 145.
ვ. აბაშიძე, ჩანგი, გამოც. მე-4, ბათომი, 1900, გვ. 206—207 (D).
ლექსები ილია ჭავჭავაძისა, ტფ., 1904, გვ. 33**, (E).

---

* „კრებულში" არის სქოლიო, სადაც მითითებულია: * „Отеч. Зап. 1871 г. Декабрь".

** ამ გამოცემის ტექსტი ზუსტად იმეორებს 1892 წლის გამოცემას.

სათაურის ქვეშ: ტომას მურის ნათქვამი, რუსულიდამ გადმოღებული (BC).

ხელმოწერა: ილია ჭავჭავაძე (CD).

თარიღი: 1872 წ. 5 თებერვალი (BC), 1872 წ. (A),—(DE).

ჩვენთვის არაა ცნობილი, თუ საიდან შეასრულა ი. ჭავჭავაძემ ინგლისელი პოეტის ტომას მურის (1779—1852) ლექსის „ირლანდიისადმი“ ქართული თარგმანი. ლექსის 22-ე სტრიქონი ათტომეულის I ტომში (1951 წ.) დაბეჭდილია B ავტოგრაფის მიხედვით, რომელსაც იმეორებს „კრებულიც“: „როს-ვითა თვის შვილთ ფელიქვანი-გვაწოვებ შენა“. ჩვენ ვბეჭდავთ 1892 წლის (I ტ.) გამოცემის მიხედვით.

57. 4 მიდგია] მიდგა მე BC, მიდგას მე D, ძარღვში] ძარღვებში C. 5. გაწყდება] გასწყდება D. 6 უბედუროვ] უბედურო BC, ხსოვნა] ხსოვა BCD, მექმნება] მექნება D. 7 მწუხარის] მწუხარების D. 9 იმა ქვეყნებზე] იმ ქვეყანაზე D. 10 თავისუფლების რომელთ ათბობს] რომელთაც ათბობს თავისუფლების CD. B-ში ჯერ დაუწერია: „რომელთ ათბობს თავისუფლების მშვენიერი მზე“. შემდეგ ასე გადაუკეთებია: „თავისუფლებას ათბობს რომელთ მშვენიერი მზე“. 15 დავსტკბებოდი] დავჰსტკბებოდი BC, დავტკბებოდი D. 21 იქმნები] იქნები D, ხოლო] მხოლო D.

58. 2 თვისთა] თვის BCD. ფელქვანი] პელიკანი CD. B-ში ჯერ უწერია „პელიკანი“, შემდეგ გადაუხაზავს და დაუწერია „ფელიქვანი“.

ნატვრა (გვ. 59)

ნაბეჭდი: ვ. აბაშიძე. ჩანგი. გამოცემა მე-2. ტფილისი, 1892, გვ. 173.

XIX საუკუნის 90-იან წლებში ცნობილი ქართველი მსახიობი ვასო აბაშიძე ბეჭდავდა ლიტერატურულ ალმანახს „ჩანგის“ სახელწოდებით. („ჩანგი“ სალიტერატურო საღამოებზე და დივერტისმენტებში სახმარებლად). სულ გამოვიდა ოთხი გამოცემა.

1892 წელს გამოსულ ტომში 173-ე გვერდზე ვხვდებით ნ. ნეკრასოვის თარგმნილ ლექსს, რომლის სათაურია „ნატვრა“, სარჩევში აღნიშნულია — „ნატვრა“ (ნეკრასოვისა), ი. ჭავჭავაძისა.

ლექსი ნ. ნეკრასოვს დაუწერია 1861 წელს, პირველად დაიბეჭდა მწერლის 1864 წელს გამოცემულ კრებულში. მას ორიგინალში სათაური არა აქვს. ილიას, ლექსის შინაარსიდან გამომდინარე, დაუსათაურებია: „ნატვრა“. ეს თარგმანი არაა შესული ილია ჭავჭავაძის არც ერთ გამოცემაში და არც მის ბიობიბლიოგრაფიაში.

ილიას ეს უცნობი თარგმანი პირველად იბეჭდება მის თხზულებათა აკადემიურ გამოცემაში.

ლექსის მე-7 სტრიქონში შეცდომით დაბეჭდილი იყო, რითაც რითმაც დარღვეული იყო: „და წმინდა ნატვრა მე ამიხდა“, ჩვენ აღვადგინეთ „ამიხდება“.

კაენი (გვ. 63)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: ავტოგრაფი M № 17501.

ხელნაწერი წარმოადგენს შავ ავტოგრაფს. ავტოგრაფი უთარიღოა, მაგრამ მის კვერდით მოთავსებული ლექსების შავები 1860 წელს განეკუთვნება, ამდენად აღნიშნულ ლექსსაც პირობითად 1860 წლით ვათარიღებთ. ავტოგრაფი უსათაუროა, არის გადახაზული ადგილები. აბელის სიტყვებს აქვს ორი შავი ვარიანტი:

I. ღმერთო! ვინცა მიწა შეჰქმენი,
ჰაერი, ცეცხლი, ოკეანე, სივრცთა ზღუდენი,
რომელმაც შემდეგ დღე და ღამის დაბადებასა,
რადგანც ქვეყნებზედ ცვივა სხივი შენ ნათელისა
და შენი ჩრდილი, ტანი ყოველ არსისა
ხასიხარულოდ რომ უყვარდეს,
რათა იხაროს და უყვარდეს, უყვარდე თვით შენ,
თაყვანსა გცემ მე! თაყვანსა გცემ!

II. ღმერთო, ვინცა არაფრით შეჰქმენი,
მიწა, ჰაერი, ოკეანე, ცეცხლი, სივრცენი,
რომელმაც მოეც ფორმა, ტანი ყოველ არსებას
რათა იხაროს და უყვარდე თვით შენ.

მე-6 სტრიქონის შემდეგ გადახაზულია შემდეგი სიტყვები: „სასიხარულოთ, სატრფიალოდ და საყვარელად“.

მანფრედი (გვ. 65)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: ავტოგრაფი M № 17501.

ავტოგრაფში თარიღი ნაჩვენები არაა. მას ვათარიღებთ ისევე, როგორც „კაენს“. იხ. ჩვენივე შენიშვნა, გვ. 679. ავტოგრაფი შავია, არის გადახაზული ადგილები:

მანფრედის სიტყვის პირველი სტრიქონის შემდეგ გადახაზულია შემდეგი სიტყვები: „თვარა იმ დრომდინ, ვიდრე (....) იგი ჩაქრება“. მესამე სტრიქონში ჯერ ეწერა „დაუსრულებელთ“, შემდეგ დაუწერია „უსრულებელთ“. მე-4 სტრიქონის ნაცვლად ეწერა სხვა სტრიქონი, რომელიც გადახაზულია: „რომელთ დაჭერა და მოდრეკა არ შემიძლიან“. მე-5—7 სტრიქონების ნაცვლად ეწერა:

„ჩემს გულს არასდროს არ მოუვა თვლემა და ძილი,
ჩემს გულს არასდროს არ მოუვა ჟამი ძილისა.
დავხუჭავ რა თვალთ — იგინი მე შიგ ჩამყურებენ,
მაგრამ კი ვცხოვრობ, სახე, ფორმა კაცის ცოცხალ მაქვს“,

მე-11—12 სტრიქონების ნაცვლად ეწერა:

„მე აღმოვსწურე იგი ღრმა ტბა ფილოსოფისა,
ფილოსოფოსთ ტბა, დიდი, ბნელი. წყარონი..“

მე-15 სტრიქონის შემდეგ მოდის გადახაზული სტრიქონები:

„მაგრამ ამითაც ვერარა გავხდი, მითაც სიკეთე
ვქმენი კაცთათვისა.
მაგრამ ამითაც არაფერი მე არ მეკეთილა,
მე კაცთა შორის (მოვინდომ.) სიკეთის ქმნასა,
ვნახე, სიკეთე კაცებშიაც თურმე უოფილა,
მაგრამ ამითაც არაფერი არ მეკეთილა
მე კაცთათვისა მოვინდომე ქმნა კეთილისა,
ვნახე, სიკეთე კაცებშიაც თურმე უოფილა,
მაგრამ ამითაც არაფერი არ მეკეთილა“.

მე-17 სტრიქონის ნაცვლად ეწერა: „მაგრამ ვერარა გავხდი

მითაც, მტრებიცა მყვანდენ, რადგან დაუმარცხებელმა....“

ბოლო სტრიქონის ნაცვლად კი ეწერა: „იყო ჩემთვისა, ვითა წვიმა ზედა ქვიშასა“.

დემონი (გვ. 67)

ხელნაწერი: ავტოგრაფი M № 17501.

ავტოგრაფში თარიღი ნაჩვენები არაა, მაგრამ მის გვერდით მოთავსებული ლექსების შავები 1860 წელს განეკუთვნება, ამდენად, აღნიშნული ლექსის ნაწყვეტი პირობითად თარიღდება 1860 წლით.

უკანასკნელი გასაკვეთი (გვ. 71)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: ასლი U № 217.

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1877, გვ. 9—12 (B).
თხზულებანი ილია ჭავჭავაძისა, ტ. III, ქართველთა ამხანაგობის გამოცემა, ტფ., 1892, გვ. 220—229 (A).

გამოჩენილი ფრანგი მწერლის ა. დოდეს (1840—1897) მოთხრობა „უკანასკნელი გასაკვეთი“ 1892 წლის პუბლიკაციის შემდეგ ილიას თხზულებათა არც ერთ გამოცემაში არ შესულა.

71. 12 ატვენის] შტვენის B. 19—20 ჰკითხულობს] კითხულობს B.

72. 1 ია] ისა B. 3. ბრძანება] ბძანება B. 5 მითხრან] მითხრა B. 13 შეევარდე] შევარდი B, ბ-ნ] უფ. B. 16 ზოგი] ზოგნი B. 17 იზეპირებდა] იზეპირებდნენ B. 18 დაეხსოვნათ] დაეხსომნათ B. 20 ერიამულის] ერიამულის B. 21 დავმჯდარიყავ] დავმჯდარვიყავ B. 25 თავისის] თავისი B. 25 გზა] შარა B. და იმ სიჩუმეში] იმ სიჩუმეში და B. 29 ბატონმა] უფალმა B. 30 ფრანსო] ფრანცო B.

73. 9 ისხდნენ] იყვნენ B, ჰაუზერიც] ხაუზერიც B. 11 ბევრი] ბევრნი B. 14 და ზედ გადაშლილზედ — A. 15 გარდი-გარდმო] გარდი-გარდმოდ B, სათვალეები] სათვალები B. 16—17 ბატონი] უფალი B. 21 ბრძანება] ბძანებს B. 22 გერმანულიღა] ნემეცურიღა B. 24 ფრანგული] ფრანციული B. 25—26 ბარბაროსნო] ბარბაროზნო B. 29 სჩანს] ჰსჩანს B.

74. 2 რომელთაც] რომელთც A. 3 ბატონი] უფალი B. 4 მის] ამის B. 7 მივხვდი] მივხდი B. 9 უკანასკნელის] უკანასკნელი B. 10 ბატონის] უფალის B. 13 ეკარგებოდათ] შორდებოდათ B. 18 სიტყვაშივე] სიტყვაში B. 19 ვიდეგ] ვიდექ B. 20 ბატონი] უფალი B (ეს სიტყვა A-ში ყველგან ასეა ნასწორები და აღარ ვიმეორებთ). 21 ფრანსო] ფრანცო B. 24 დიაღ] დიახ B, დღეხვალეობაში] დღეხვალიობამ B. 25 გერმანელებს] ნემენცებს B. 29 ფრანსო] ფრანცო B. 31—32 არასა ჰზრუნავდნენ] არას ზრუნავდნენ B.

75. 4 სათევზაოდ] სადარბაზოდ A. (ფრანგულ დედანშიც არის სათევზაოდ). 7 ფრანგულის] ფრანსიულის AB. 8 ფრანგული] ფრანსიული AB. 13 გადაჰსნა] გადასხნა B. 18 აუხსნია] აუხსნია B. 20 გადმოგვცესო] გადმოქვცესო B. 33 ჰღუღუნებდნენ] ღუღუნებდნენ B. 33—34 გერმანულად] ნემენცურად B.

76. 3 სცდილობსო] ცდილობსო B. 9 მოეცვითნა] მოეცვეთნა B. 15 გამოსთხოვებოდნენ] გამოჰსთხოვებოდნენ B. 19—20 ბაშვებმა] ბავშვებმა B. 21 ჰაუზერს] ხაუზერს B, სათვალეები] სათვალები B. 27 სწავლების] სწავლის B.

77. 4 საწერ] საწერს B. 5 ცარცი] მელი B. 6 დასწერა] დაწერა B. 11 დასრულდაო] დასრულდა B.

უბინაო კაცი ნუიორკში (გვ. 78)

ხელნაწერი: ასლი U № 215.

ნაბეჭდი: გაზ. „ივერია“, 1878, № 3, გვ. 11—16; № 4, გვ. 12—16; № 5, გვ. 13—16.

აღნიშნული მოთხრობის რუსული თარგმანი სათაურით „Нью-Йоркский бродяга“ დაიბეჭდა 1877 წელს ჟურნალში „Отечественные записки“ (№ 12). მოთხრობის ავტორი ჩვენთვის ცნობილი არ არის, ის კი დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მისი ავტორი „მხოლოდ ამერიკელი მწერალი შეიძლება იყოს“. ამის შესახებ დაწვრილებით იხ. ნ. ჩიტაური, ილია ჭავჭავაძის ორი პროზაული თარგმანი, „ცისკარი“, 1985, № 6, გვ. 154—157.

ხელნაწერი № 215 წარმოადგენს „ივერიაში“ გამოქვეყნებული ტექსტის ასლს, ერთმანეთთან შედარებისას ვარიანტული სხვაობები არ აღინიშნება. „ივერიის“ ტექსტიდან ჩანს, რომ მოთხრობა ექვს თავად ყოფილა დაყოფილი, ოღონდ წინა ორი თავი ტექსტში არ არის გამოყოფილი; იგი ჩვენ დავყავით თავებად.

